საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

## სიმონ ჯანაშია

# შრომები

## V

„მეცნიერება"
თბილისი
1987

63.3 (2 Г)
ჯ 203

ს. ჯანაშიას „შრომების" V ტომის გამოქვეყნებით გრძელდება მეცნიერის ნაშრომთა პუბლიკაცია (ბოლო IV ტომი დაისტამბა 1968 წ.), მომდევნო VI ტომიც უახლოეს ხანებში ელის გამოქვეყნებას.

წინამდებარე წიგნში შესულია ს. ჯანაშიას მიერ სხვადასხვა დროს, 1925—1946 წწ., დაწერილი ისტორიული, წყაროთმცოდნეობითი და კრიტიკულ-პოლემიკური ხასიათის გამოკვლევები, რომელთაგან ზოგიერთი იბეჭდება პირველად, უმრავლესობა კი მიმობნეულია სხვადასხვა, ამჟამად ძნელად მისაწვდომ, პერიოდულ ორგანოში.

ტომს ერთვის პირთა, ტომთა, გეოგრაფიულ და და განხილულ სახელთა საძიებლები; ავტორის მართლწერისა და სტილის ნორმები დაცულია, მცირეოდენი ცვლილებებით, სალიტერატურო ენის ნორმების შესაბამისად.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორები: ნ. ჯანაშია, პ. რატიანი

რეცენზენტები: არჩ. ბარამიძე, შ. ხანთაძე

ჯ $\frac{0505010000}{М\ 607(06)—86}$ 183—85

© გამომცემლობა „მეცნიერება", 1986



## საქართველოს ისტორია

### წინასიტყვაობა პირველი გამოცემისათვის*

ეს წიგნი არის ცდა მოთხრობილ იქნას მთლიანი კურსი მეცნიერულ საფუძველზე აგებული საქართველოს ისტორიისა იმ სახით, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი იყოს საშუალო სკოლის უფროს კლასებში.

ხსენებული კურსის შექმნისათვის აუცილებელ ნიადაგს შეადგენდა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი მდიდარი ისტორიოგრაფია, ხოლო პირობებს — ის იდეური ატმოსფერო და ნივთიერი ბაზისი, რომელიც საქართველოს ისტორიის მეცნიერებამ მოიპოვა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ყოფილ საქართველოს ფილიალის მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში (ამჟამად გაყოფილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ენის ინსტიტუტებად).

ეს დიდი საკვლევაძიებო, ქართველთმცოდნეობითი დარგების უმეტესი ნაწილის შემცველი დაწესებულება 1936 წ. ჩამოყალიბდა უმნიშვნელოვანესი ამოცანებისათვის საბრძოლველად.

ამ ამოცანების თეორიული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის შეგნებით გამსჭვალულებმა — ინსტიტუტის ისტორიულმა, არქეოლოგიურმა, ეთნოგრაფიულმა და ენათმეცნიერულმა კადრებმა დაძაბული შრომით, რესპუბლიკის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების მუდმივი ხელისშეწყობით, მეორე და მესამე ხუთწლედების საყოველთაო შემოქმედებითი აღფრთოვანების ხანაში, მრავალი პირველხარისხოვანი ღირებულების ფაქტი შესძინეს ცოდნას ქართველი ხალხის ისტორიის შესახებ.

ეს ახალი მასალა ნაწილობრივ არის შესული წინამდებარე მოკ-

---

* რედაქტორის შენიშვნა: აქ წარმოდგენილი წინასიტყვაობანი აკად. ს. ჯანაშიამ დაწერა „საქართველოს ისტორიის" სახელმძღვანელოს პირველი და მეორე გამოცემებისათვის. თვით სახელმძღვანელოს ს. ჯანაშიასეული ტექსტი იბეჭდება 1946 წლის გამოცემის მიხედვით.

ლე კურსში, რომელიც გამოდის იმ მომენტში, როცა ქართველი ხალხი საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებთან ერთად და მხარდამხარ თავდადებულად იბრძვის სამშობლოს დამოუკიდებლობისა და საკაცობრიო კულტურის დასაცავად ფაშისტური ბარბაროსობისაგან. თუ წიგნი მცირეოდენ წვლილს მაინც შეიტანს საბჭოთა ხალხის გამარჯვების ორგანიზაციის საქმეში, ავტორები თავს ბედნიერად ჩათვლიან.

მოკლე კურსი დაიბეჭდა ხელნაწერის უფლებით 1940 წ. („საქართველოს ისტორია უძველესი ხანიდან ჩვენს დრომდე", თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა), საზოგადოებრივი განხილვის შედეგად საჭიროდ იქნა ცნობილი თავდაპირველი ტექსტის გადამუშავება, გამარტივება და შემოკლება საშუალო სკოლის მოთხოვნილებათა თვალსაზრისით. ვინაიდან ამ დროისათვის აკად. ივ. ჯავახიშვილი უკვე გარდაცვალებული იყო, მისი ნაწილის გადამუშავება დაევალა გამოცემის რედაქტორს. განსვენებული მეცნიერის ტექსტი, ავტორის ხელიდან გამოსული, უცვლელი სახით წარმოდგენილია 1940 წლის გამოცემაში.

ამრიგად, 1943 წლის გამოცემაში აკად. ივ. ჯავახიშვილს ეკუთვნის §§ 55—111; პროფ. ნ. ბერძენიშვილს — §§ 112—149 და რუკები №№ 4 და 5; აკად. ს. ჯანაშიას — §§ 1—54, 78, რუკები №№ 1—3, ბაგრატიონების გენეალოგიური ტაბულა და საერთო რედაქცია. ქართული დამწერლობის განვითარების ტაბულა და ცალკე ნიმუშების პირები შესრულებულია რ. შმერლინგის მიერ, ხოლო ეთნოგრაფიული ჩანახატები — ნ. ბრაილაშვილის მიერ, მონეტები 1200, 1227, 1245 წლებისა და კოლხური დიდრაქმა გამოცემულია ნუმიზმატ დ. კაპანაძის მასალების მიხედვით. წიგნის დასურათებაში რედაქტორს დახმარება აღმოუჩინეს საილუსტრაციო მასალის დათმობით თუ ცალკე რჩევებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის, საქართველოს მუზეუმის, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისა და მუზეუმ „მეტეხის" სათანადო სექციებმა და მათმა ხელმძღვანელებმა, რაც თავ-თავის ადგილას მითითებულია თვით წიგნში.

წიგნის თავების დასაწყისში გამოყენებული თავსართები აღებულია საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების მასალებიდან და წარმოადგენს ნიმუშებს ქართული ხალხური ორნამენტისას ხეზე (სახლის სვეტების სამკაულები დასავლეთ საქართველოდან).

## ᲬᲘᲜᲐᲡᲘᲢᲧᲕᲐᲝᲑᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

მეორე გამოცემაში, პირველთან შედარებით, შეტანილია მცირე სტრუქტურული ცვლილებები (მასალის პარაგრაფებად დანაწილებაში), რიგი შესწორებანი და დამატებანი. ხელახლა არის დაწერილი § 61 და ახლად — §§ 62 და 71 ს. ჯანაშიას მიერ. მანვე შეადგინა რუკა: „ქართველთა სახელმწიფოები და განსახლება VI საუკუნეში ძვ. წ.“. პეტიტით არის აწყობილი, როგორც მოწაფეებისათვის არასავალდებულო, საცნობო და საორიენტაციო მასალა.

# შესავალი

## § 1. პირველყოფილი საზოგადოება საქართველოს ტერიტორიაზე

მრავალი მილიონი წლის წინათ ახლანდელი კავკასია თითქმის მთლიანად ზღვით იყო დაფარული. მაგრამ ნელინელ, უთვალავი საუკუნის განმავლობაში წყალი ხმელეთს უთმობდა ადგილს. ზღვიდან ამოიწია კავკასიონმა და სხვა მთაგრეხილებმა. დასასრულ, კასპიის ზღვა მოსწყდა შავს და მათ შორის კავკასიის ყელი გაჩნდა.

მაღალი ქედების წარმოშობას შემდეგში გამყინვარება დაერთო; ერთ დროს მყინვარები მთის კალთებზედაც ჩამოდიოდა; ზოგან მთების ძირობამდე. შემდეგში ისინი მწვერვალებსღა შემორჩნენ. ხმელეთის გაჩენასთან ერთად თანდათან მოშენდა და მომრავლდა მცენარეულობა და ცხოველები.

ბოლოს აქ გაჩნდა ადამიანიც. საქართველოში რამდენიმე ადგილას არის ნაპოვნი ამ პირველყოფილი ადამიანის კვალი: ზემო იმერეთში, ქვემო იმერეთში, სამეგრელოში, აფხაზეთში, თრიალეთში, სოხუმის რაიონში ნაპოვნი იმდროინდელი ზოგი ნაშთი ყველაზე ძველთაგანია საბჭოთა კავშირში. იმ უძველესი ადამიანის სადგომებს ზოგჯერ გამოქვაბულებში ვხვდებით. მაშინდელი ადამიანი სიცივე-ავდრისაგან თუ საშიში მხეცებისაგან თავს ხშირად გამოქვაბულში იცავდა.

მაშინდელი ბუნება განირჩეოდა ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ბუნებისაგან. ტყეები იყო ბევრად უფრო მეტი და ხშირი, მდინარეებიც უფრო წყალმრავალი. მცენარეებშიაც და ცხოველებშიაც მას შემდეგ ბევრი რამე გამოიცვალა. ასე, მაგალითად, მაშინ ჩვენში იყო გამოქვაბულის დათვი, რომელიც ახლა უკვე აღარ გვხვდება. გადაშენდა მას აქეთ ბევრი სხვა ცხოველიც. სამაგიეროდ, გაჩნდა ზოგიერთი ახალი ცხოველი და მცენარე.

**პირველყოფილი ჯგუფი.** უმწეო და განუვითარებელი იყო იმდროინდელი ადამიანი. მას არც მიწის დამუშავება შეეძლო, არც შინაური ცხოველი ჰყავდა. იგი თავს ირჩენდა მხოლოდ ტყის ნაყოფითა და ნადირის ხორცით. იარაღიც მას ისეთი ჰქონდა, რომ ბუნებასთან

ბრძოლაში ბევრს ვერაფერს გახდებოდა — კაჟისა და ობსიდიანის (ვულკანური მინაა) ნამტვრევები, წვეტიანი ძვალი, ხის კეტი. ქვასა და ძვალს ადამიანი ტკეცავდა და ჩორკნიდა ისევ ქვით, მოსახმარ ფორმას აძლევდა მათ და ასე ამზადებდა საჭრისებს, საფხეკებს, სახვრეტებს, აკეთებდა ის აგრეთვე ხელის ცულს. ასეთი ტლანქად დამუშავებული იარაღის ნაშთები ბლომად არის ნაპოვნი დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით გამოქვაბულებში, მაგალითად — გამოქვაბულ დევისხვრელში, ხარაგოულის მახლობლად.

ცხოვრობდნენ მაშინ პატარ-პატარა ჯგუფებად. ეს ჯგუფები ერთად მიდიოდნენ სანადიროდ, რაკი იარაღი ისეთი სუსტი ჰქონდათ, რომ მარტოხელა კაცი ვერასგზით დიდ ნადირს ვერ მოერეოდა. ყოველგვარ სხვა სამუშაოსაც ადამიანები მაშინ მეტწილად საერთო ძალით ასრულებდნენ.

ტანის დასაფარავად მაშინ ჩვეულებრივად ნადირის ტყავს ხმარობდნენ.

თიხის ჭურჭლის გაკეთება ჯერ არ იცოდნენ. იმდროინდელი ადამიანის ენაც განუვითარებელი იყო. ტომები ჯერ კიდევ არ არსებობდნენ. ტომები გაჩნდნენ დიდი ხნის შემდეგ.

ეს პირველყოფილი ადამიანი საქართველოშიაც, ისევე როგორც სხვაგან, იცნობდა და ხმარობდა უკვე ცეცხლს.

ამ ხანას „ძველი ქვის“ ანუ „პალეოლითის“ ხანას ეძახიან. თანდათან ადამიანმა გააუმჯობესა თავისი იარაღები, თავისი მეურნეობა. კულტურა ახალ საფეხურზე ავიდა. ეს იყო უკვე „ახალი ქვის“ ანუ „ნეოლითის“ ხანა.

**გვარისა და ტომის წარმოშობა.** პალეოლითის ხანაში თანდათან გაჩნდნენ გვარები — სისხლით მონათესავე ადამიანების უფრო დიდი და მკვიდრი ჯგუფები. მაგრამ ეს გვარები და მათი მეურნეობა უფრო გაძლიერდა, როცა მრავალი ათასწლეულის შემდეგ ადამიანი პალეოლითისაგან ნეოლითზე გადავიდა. ნელინელ ადამიანმა ისწავლა ქვის ხეხვა, ხერხვა და გაკრიალება. კაჟზე უფრო რბილი ქვისაგან ის ახლა აკოპიტებდა დიდ ცულებს, რომელსაც ყურს უკეთებდა ხის ტარისათვის. აკეთებდა ის, აგრეთვე, სატეხებს, ხერხებსა და ბევრს სხვა იარაღს. ახლა მშვილდ-ისარი იქცა ადამიანის მთავარ საბრძოლო-სანადირო იარაღად. ისარს უკეთებდნენ მაგარ წვეტს, მეტწილად კაჟისაგან, აგრეთვე ძვლისაგან.

გაჩნდნენ იარაღის ოსტატები და მათი სახელოსნოები, რადგანაც ამგვარი იარაღის გაკეთებისათვის დახელოვნება იყო საჭირო.

ქვის ცულით, ხერხითა და სატეხით ადამიანი უფრო კარგად ამუშავებდა ხესაც. ხისას აკეთებდნენ საოჯახო ჭურჭელს, მარხილებს,

ნავებს, ძელურ (ჯარგვალა) სახლებს. ადამიანმა ნეოლითის ხანაში ისწავლა კალათების წვნა, ქსოვილების ქსოვა, თიხის ჭურჭლის კეთება, ახლა ადამიანი უფრო ძლიერი იყო ბუნებასთან ბრძოლაში, ვიდრე პალეოლითის დროს. ის ნადირსაც უფრო ადვილად ერეოდა და უსულო ბუნებასაც.

მონადირეობის წყალობით ადამიანმა თანდათან მოაშინაურა ცხოველები, ყველაზე ადრე — ძაღლი, შემდეგ — ირემი, თხა და ცხვარი, ღორი, ძროხა. შინაურ საქონელს ადამიანი ხმარობდა თავდაპირველად ხორცად (საჭმელად) და შესაბმელად (ძაღლი, ირემი, ძროხა). შემდეგში წველაც ისწავლეს.

თანდათან შეითვისა ადამიანმა მიწათმოქმედებაც. წვეტიანი ჯოხისა და სადა თოხის საშუალებით ამუშავებდნენ მიწას და თესდნენ ქერს, ფეტვს, ხორბალს.

ნეოლითური იარაღები ნაპოვნია იმერეთში, სამეგრელოში, რაჭალეჩხუმში, აფხაზეთში. სამეგრელოში, სოფელ ოდიშში, აღმოჩენილია ნეოლითური ხანის სადგომ-სახელოსნოს ნაშთი.

ნეოლითური ხანის მეურნეობის წყალობით ადამიანი უფრო ადვილად იკვებავდა თავს და უფრო ადვილადაც მრავლდებოდა. მოსახლეობა გახშირდა და ერთ ადგილას დაბინავდა. ხალხი ახლა სოფლებად ცხოვრობდა. ჩამოყალიბდნენ ტომები — გვართა კავშირები. თითოეულ ტომს საკუთარი ენა ჰქონდა. ნეოლითურ ხანაში ადამიანთა საზოგადოების პირველყოფილ-თემურმა წყობილებამ განვითარებული სახე მიიღო.

## § 2. პირველყოფილ-თემური წყობილება ქართველ ტომებში

პირველყოფილ-თემური წყობილება გამოვლილი აქვს მსოფლიოს ყველა ხალხს, მათ შორის ქართველებსაც.

**ქართველობა.** ქართველი ერი სხვადასხვა მოძმე ტომისაგან არის შემდგარი. მთავარი ქართველი ტომები არიან: ქართები, მეგრელ-ჭანები და სვანები. ეს ტომებიც თავის მხრივ ცალკე თემებად იყოფოდნენ. ქართების თემები იყვნენ ქართლელები, კახელები, ფშავ-ხევსურები, მთიულ-მოხევეები, იმერლები, გურულები, რაჭველები, ლეჩხუმლები, აჭარლები, მესხები, ჯავახები, შავშები, კლარჯები და სხვები.

ამ დაყოფის ნაშთები დღემდე არის შემონახული, მაგრამ ისინი თანდათან ქრებიან. ქართველი ტომები უკვე ძველადვე დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ამ დაახლოებას საშუალო საუკუნეებში ხელი შეუწყო ქართველი ტომების გაერთიანებამ ერთ სახელმწიფოში და ქართული ენის მიღებამ საერთო ეროვნულ სამწერლო ენად. XIX საუ-

კუნეში, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში, ქართველობა კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდა, რადგანაც საერთო სამეურნეო და კულტურული ცხოვრება უფრო ცხოველი და ძალუმი გახდა. მაგრამ სამეურნეო, საზოგადოებრივი და კულტურული კავშირები ჩვენს ქვეყანაში არასოდეს არ ყოფილა ისეთი ახლობელი და მტკიცე, როგორიც არის დღეს, საბჭოთა ხელისუფლების დროს. ამიტომაა, რომ ლიტერატურული ენა ახლა უფრო სწრაფად ვრცელდება და კუთხური კილოკავების ადგილს იჭერს. ქრება აგრეთვე ძველი კუთხური დრომოჭმული ზნე-ჩვეულება, რომელიც ადგილს უთმობს ახალს, სოციალისტურ ყოფას.

ი. სტალინი ერის შესახებ თავისი თეორიის დამუშავებისა და იმ ნიშნების დადგენისას, რომელთა ერთობლიობა ყოველ ერს უნდა ახასიათებდეს („ერი — ესაა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა ენისა, ტერიტორიისა, ეკონომიკური ცხოვრებისა და ფსიქიკური წყობისა, რომელიც კულტურის ერთობაში იხატება“), ასახელებს საქართველოს, როგორც ისტორიის მაგალითს იმ დებულებისათვის, რომ, ერის სხვა ნიშანთა გარდა, „საჭიროა კიდევ შინაგანი ეკონომიური კავშირი, რომელიც ერის ცალკეულ ნაწილებს ერთ მთელად ამჭიდროებს“. XIX საუკუნის დამდეგს საქართველოს ჰქონდა ერის დამახასიათებელი ყველა ნიშანი, გარდა ეკონომიურისა.

სტალინის ეს მოძღვრება საშუალებას გვაძლევს, გავითვალისწინოთ ქართველობის ერად ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესი. ქართველი ტომები უხსოვარი დროიდანვე მთლიან მასად ესახლნენ საერთო მიწა-წყალზე და მათ ადრევე დაიწყეს თავისი ეროვნულ-კულტურული ბირთვის, ქართლის, გარშემო შეკავშირება. ამ ნიადაგზე მათ ადრევე გაუჩნდათ ერთობის შეგნება, რომელიც მომდევნო ხანაში თანდათან მტკიცდებოდა და ფართოვდებოდა. მაგალითად, VI—VII სს. განათლებულ ქართველთა აზროვნებაში ცნება „ქართლი“ აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად დასავლეთსაც, ეგრისსაც, მოიცავდა. IX—X საუკუნეებში შორეულ სინას მთაზე გადახვეწილი ქართველი ბერები ლოცულობდნენ „ყოველთა ძმათა და ყოველთა ქრისტიანეთა და, უფროჲს ყოველთასა — ყოველთა ქართველთა“-თვის (864 წლის ხელნაწერის მინაწერი) და „ქართლისა მშვიდობისა, საზღვართა განმაგრებისა, მეფეთა და მთავართა დაწყნარებისა, მტერთა გარემოქცევისა, ტყვეთა მოქცევისა“-თვის ევედრებოდნენ ღმერთს.

ერთობის ასეთი შეგნება ემყარებოდა არა პოლიტიკურ საფუძველს — მაშინ საქართველო ხომ კიდევ უფრო დაქუცმაცებული იყო, ვიდრე VI—VII საუკუნეებში, არამედ ტომობრივსა და საეკლესიო-კულტურულ ნათესაობასა და კავშირებს. 951 წელს ცნობილი

ქართველი მწერალი გიორგი მერჩული წერდა: „ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“ და, ამრიგად, მას ფაქტიურად საქართველოს საზღვრები საკუთრივ ქართლისაგან შორს გადაჰქონდა. საქართველოს სახელმწიფოებრივმა გაერთიანებამ და დიდი ქართული სამეფოს შექმნამ ძლიერ გააფართოვა ეროვნული გაერთიანების ამ პროცესში ჩაბმული ტომების წრე და ამასთანავე საეკლესიო-სარწმუნოებრივი ზღუდეებიც გადალახა. ეს გამოიხატა, სხვათა შორის, იმაშიაც, თუ როგორ განსაზღვრავდნენ ამა თუ იმ ისტორიული პიროვნების ეროვნულ კუთვნილებას. თამარ მეფის ცნობილ მხედართმთავრებს, ძმებს ზაქარია და ივანე მხარგრძელებს, რომელთაც ძველი ქართველი ისტორიკოსები წარმოშობით სპარსელებად თვლიან, ხოლო ძველი სომეხი ისტორიკოსები — ქურთებად, იგივე წყაროები და, აგრეთვე, მათი თანამედროვე ევროპელი მწერლები ეროვნებით ქართველებად მიიჩნევენ, თუმცა ყოველივე ზემოთქმულის გარდა, ერთი ძმა მართლმადიდებელი იყო, მეორე კი გრიგორიანი. მოსკოვის არქივში დაცულ ერთს XVII საუკუნის დამდეგის საბუთში ვკითხულობთ: „კენეის ფაშა ტომით ქართველია... და ბასურმანიო“, ე. ი. განჯის ოლქში თურქების მიერ დანიშნული მმართველი ეროვნებით ქართველი ყოფილა, ხოლო სარწმუნოებით მუსლიმანი.

ასეთსავე ფარგლებში ესახებოდათ ქართული ეროვნულ-კულტურული ერთობლიობა უცხოელ დამკვირვებლებსაც. XI საუკუნის ბიზანტიელი მწერალი იოანე ცეცესი ამტკიცებს: იბერები, აბაზგები და ალანები ერთ ხალხს შეადგენენო; ხოლო XV საუკუნის სომეხი მემატიანე თომა მეწოფელი განუმარტავს მკითხველებს, რომ ქართველთა სახლში, ე. ი. ქართულ ეროვნულ-კულტურულ გაერთიანებაში, შედის 8 ტომი — ქართები („ვრაცები“), იმერლები, მეგრელები, სვანები, აფხაზები, მესხები, დვალები და ოსები, ეროვნული ერთობის ეს შეგნება შენარჩუნებულ იქნა საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგაც, იმ ხანაშიც კი, როცა ქვეყანა ყველაზე დიდს სამეურნეო და პოლიტიკურ დაქვეითებას განიცდიდა. XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი, ფ. გორგიჯანიძე, 1555 წელს ირანსა და თურქეთს შორის დადებული ხელშეკრულების შესახებ რომ მოგვითხრობს, შენიშნავს: „ხონთქარმან და ყაენმან საქართველო შუა გაიყვეს: სამცხე და ქართლი და კახეთი — ყაენსა, იმერეთი, ოდიში და აფხაზეთი, გურია და ლაზის ქვეყანა — ხონთქარს“ დარჩაო.

1790 წელს ქართველმა მეფეებმა და მთავრებმა დადეს ერთობის „საუკუნო პირობა“. რომელშიც ვკითხულობთ: „ტრაქტატი, ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული, ქართლისა, კახეთისა,

იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეფოსა ქალაქს თბილისს, 1790 წელსა. ვინაიდგან ყოველთავე ივერიელთა, მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა აქვსთ ერთმორწმუნება, არიან ძენი ერთის კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ მავასხებლობითიცა (ე. ი. საურთიერთო) სიყვარული, ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვრობით შეკრულთა ურთიერთა შორის, ამისთვის ჩვენ ზემოხსენებულნი ქვეყანათა ივერიისათა მეფენი და მთავარნი... აღვსთქვამთ მტკიცესა ამას ერთობასა“...

ქართველი ერის ჩამოყალიბების ეს მრავალსაუკუნოვანი პროცესი დაგვირგვინდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როცა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამ საქართველო მთლიან სამეურნეო ერთეულად შეაკავშირა. ასეთივე გზა განვლო მსოფლიოს ყველა კულტურულმა ხალხმა: „იგივე უნდა ითქვას სხვა ერებზედაც, რომელთაც ფეოდალიზმის სტადია გაიარეს და თავიანთ ქვეყნებში კაპიტალიზმი განავითარეს“, — ამბობს სტალინი.

ქართველი ერის, ისევე როგორც აღმოსავლეთ ევროპის ზოგი სხვა ერის, წარმოქმნა სრულდება ეროვნული დამოუკიდებლობის უქონლობის პირობებში: „ასე ყალიბდებიან ერებად ჩეხები, პოლონელები და სხვ. — ავსტრიაში; ხორვატელები და სხვ. — უნგრეთში; ლატვიელები, ლიტველები, უკრაინელები, ქართველები და სომხები და სხვა — რუსეთში“ (ი. სტალინი).

ყველა ეს ფაქტი მოწმობს, რომ არავითარი საფუძველი არ არსებობს ვამტკიცოთ, როგორც ამას ზოგიერთი ავტორი ჩადის, თითქოს ერის წარმოქმნის პროცესი საქართველოში, ან საერთოდ კავკასიაში, უჩვეულოს რასმე წარმოადგენდა და XIX საუკუნის ფარგლებში მიმდინარეობდა. ამ ავტორებს უთუოდ ავიწყდებათ, რომ „ერი ყალიბდება მხოლოდ ხანგრძლივი და რეგულარული ურთიერთ კავშირის შედეგად, ადამიანთა ერთად ცხოვრების შედეგად თაობიდან თაობამდე“ (ი. სტალინი).

მაგრამ, ვიდრე დღევანდელ მდგომარეობას მოაღწევდა, ქართველობამ გრძელი ისტორიული გზა გამოიარა — რამდენიმე საზოგადოებრივი წესწყობილება გამოიცვალა. ქართველ ტომთა განვითარების ყველაზე ადრინდელი საფეხური სწორედ პირველყოფილ-თემური წყობილება იყო.

ჩვენი წინაპრების პირველყოფილ-თემურ წყობილებას ვსწავლობთ იმ ნაშთების მიხედვით, რომელიც ახალ დრომდე შემოინახა ენაში, ზოგი (უმთავრესად — მთის) თემის ზნე-ჩვეულებაში და ნივთიერი კულტურის ძეგლებში.

**ენობრივი ნაშთები.** ასე მაგალითად პირველყოფილ-თემური ტექ-ნიკის ნაკვალევია ქართულ ენაში შენახული სიტყვა „მარგვლა", „მარ-გვლა" „მარგილით" მუშაობას ნიშნავს, „მარგილი" კიდევ წვერწამა-ხულ, წაწვეტებულ ხის ნაჭერს ჰქვიან. ასეთ იარაღს ხმარობდნენ მი-წის დამუშავებისათვის (უმთავრესად რგვისათვის მებოსტნეობაში) ძალიან ძველად, ახლა კი „მარგვლას" სიმინდის (და აგრეთვე ზოგი სხვა პურეულის) პირველ გათოხნას ეძახიან. მეგრულად „ბერგი" თოხს ეწოდება, „ბარგუა" — თოხნას. სვანურადაც „ლი-ბარჯე" თხრას ნიშნავს, „ლი-ბერგე" — თოხნას. ეს იგივე სიტყვებია. ძველი ტერმი-ნი ახლა ახალ შინაარსს გამოხატავს.

იმ შორეულ დროში ქართველი ტომები ჯერ კიდევ დაშორებუ-ლი არ იყვნენ ერთმანეთს; ქართული, მეგრულ--ჭანური და სვანური ენები ერთმანეთისაგან ჯერ კიდევ არ იყო გათიშული.

**დედისა და მამის გვარის განვითარება.** ცხოვრობდნენ მაშინ ქარ-თველები ცალკე „სახლებად", „სახლი" (ჭანურ-მეგრულად „ოხორი", სვანურად „ლახორ" ანუ „ლალხორ") ერთი დიდი ოჯახი იყო, რო-მელიც მხოლოდ ნათესავებისაგან (დედით ნათესავებისაგან) შედგე-ბოდა და ერთ ჭერქვეშ ერთ სახლში ცხოვრობდა. სახლების კრებული შეადგენდა ცალკე თემს, თემთა კრებული — „ნათესავს" ანუ ტომს. ეს სახლები უკვე ბინადარ ცხოვრებას ეწეოდნენ. მათი მეურნეობის მთავარი დარგი მიწათმოქმედება იყო; ჯერ უპირატესად მებოსტნეო-ბა, შემდეგ — მემინდვრეობაც. ასეთ მეურნეობას ქალები უძღვებოდ-ნენ და სახლის სათავეშიაც უფროსი ქალი იდგა, რომელიც „დიასახ-ლისად" იწოდებოდა. დიასახლისი განაგებდა სახლის ყველა საქმეს. დედის გვარის წყობამ ანუ მატრიარქატმა ძალიან გაიდგა ფესვები ქართველ ტომებში და ხალხის მერმინდელ შეგნებასა და ზნე-ჩვეულე-ბაშიაც ღრმა კვალი დატოვა. იმდროინდელი წესწყობილების ნაშთია, მაგალითად, ის ტერმინი, რომელიც დღესაც იხმარება ქართულ ენა-ში — „გუთნისდედა". ეს ტერმინი იმაზე მიუთითებს, რომ თავის დრო-ზე უპირატესობა ხვნა-თესვის საქმეში დედაკაცს ეკუთვნოდა; შემ-დეგ, მესაქონლეობისა და სამხედრო საქმის განვითარებასთან ერთად მეთაურობა მამაკაცების ხელში გადავიდა და დიასახლისის ადგილი „მამასახლისმა" დაიჭირა. ტომსაც ჰყავდა ამორჩეული მმართველები, სატომო საბჭო, ტომის წინამძღოლები — ცალკე სამხედრო საქმისა-თვის, ცალკე სამოქალაქოსათვის, და სხვები.

კერძო საკუთრება მაშინ არ არსებობდა. მიწა საზოგადო საკუ-თრებას შეადგენდა და მას საზოგადო ძალით ამუშავებდნენ.

არც ცალკე ჯარი არსებობდა მაშინ. თვითონ ხალხი იყო ჯარი.

ამიტომაა, რომ ძველ-ქართულად სიტყვა „ერი“ ხალხსაც ნიშნავდა და ჯარსაც.

ერისშვილები სავსებით თანასწორი იყვნენ და მათ ერთმანეთშიაც დიდი ერთობა ჰქონდათ.

**თემური წყობილების გადმონაშთები ქართველ მთიელებში.** თემური წყობილების ნაშთებმა ჩვენს მთიელებში XIX—XX საუკუნეებამდისაც მოაღწია. დიდმა ქართველმა მწერლებმა ვაჟა-ფშაველამ და ყაზბეგმა მხატვრულად აგვიწერეს ხევსურული, ფშაური, მოხეური თემი. თემის „რჯული“ და ყრილობა, სისხლის აღება, უფროს-უმცროსობა, სტუმარ-მასპინძლობა, რასაც ჩვენ გვიხატავენ ვაჟა და ყაზბეგი, სწორედ თემური წყობილების ნაშთებია.

სვანეთშიაც, ე. წ. თავისუფალ ანუ უბატონო სვანეთში, რომელსაც მდ. ენგურის სათავეები ეჭირა, თემური წყობილების ნაშთები კარგად იყო შემონახული წარსული საუკუნის დამლევამდე. აქ რამდენიმე სოფლის კავშირი შეადგენდა თემს. თემს სათემო ყრილობა ანუ სვანურად „ლუზორ“, „ლუხორ“ განაგებდა. სათემო ყრილობა შედგებოდა თემის ყველა მამაკაცისაგან, ოცი წლის ასაკიდან მოკიდებული. თუ კომლში სრულწლოვანი ვაჟკაცი არ იყო, მაშინ სათემო ყრილობაში კომლის სახელით ქალი მონაწილეობდა. სათემო ყრილობა განაგებდა თემის ყველა საქმეს და თავისი მოქმედებისათვის ანგარიშს არავის აძლევდა. სამართალიც მის ხელში იყო. სათემო ყრილობა არჩევდა ისეთ საქმეებს, როგორიც იყო: მეზობელ ტომებთან ზავის დადება თუ ომის დაწყება, კავშირის შეკვრა სხვა თემებთან, სასჯელი ქურდობისათვის და მამაპაპური ადათების დარღვევისათვის, კომლებზე გადასახადების გაწერა, როცა ტყვედ ჩავარდნილი თემის შვილი იყო დასახსნელი, ანდა თემის წევრის მიერ მოკლული მტრის სისხლი უნდა ეზღოთ. დანაშაულისათვის სათემო ყრილობას შეეძლო ერთი ან რამდენიმე კომლი აეყარა თავისი ადგილიდან, ამოეწვა მათი კარმიდამო, გაეძევებინა საზოგადოებიდან მავნე პირები და სიკვდილითაც კი დაესაჯა ისინი. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად ითვლებოდა „თემის გატეხა“, „ქვეყნის ღალატი“ — ესე იგი, თუ ვინმე ეცდებოდა, რომ თავისი თემი მეზობელი თავადისათვის ან უცხო ტომებისათვის დაემორჩილებინა და, აგრეთვე, ღვთის გმობა. სიკვდილით თემი მაინც იშვიათად სჯიდა. უდიდესი სასჯელი თემიდან გაძევება იყო, — ასეთი გაძევებული ადამიანი მიუსაფარი იყო. მას მოსარჩლე აღარავინ ჰყავდა. სამაგიეროდ, ბოროტმოქმედებაც იშვიათად ხდებოდა თემში, წესრიგის შეგნება და სათანადო ადათები ხალხს ძვალრბილში ჰქონდა გამჯდარი.

თემის სათავეში „მახვში“ იდგა, რაც სვანურად უფროსს ნიშნავს. მახვში იყო სათემო ყრილობის თავმჯდომარე და თემის უმაღლესი მოხელე. მახვშს უვადოდ ირჩევდნენ და, თუ ის ღირსეული აღმოჩნდებოდა, ღრმა მოხუცებამდე უძღვებოდა თავის თანამდებობას, თუ არა და, ხალხს ყოველთვის შეეძლო მახვში გადაეყენებინა. მახვშის თანამდებობაზე ირჩევდნენ ხანში შესულს, გამოცდილს, გონიერს, გულადს, პატიოსანსა და თემის ერთგულ კაცს. მახვშის არჩევნებში მონაწილეობდა თემის ყველა სრულწლოვანი წევრი, მათ შორის — ქალებიც. როგორც არჩევნებისათვის, ისე თემის ყრილობისათვის საზოგადოდ ერთი მოედანი იყო განკუთვნილი. ხალხს ყრილობაზე გრძელი სპილენძის ბუკის ძახილით კრებდნენ. მახვში ყრილობის დაუკითხავად არაფერს აკეთებდა, მაგრამ მას დიდი გავლენა და პატივისცემა ჰქონდა მოხვეჭილი. ვიდრე ყრილობაში საქმეს გამოიტანდა, მახვში ჯერ გამოცდილსა და სანდო პირებს დაეთათბირებოდა. ყრილობას შეეძლო მახვშის აზრი მიეღო ან არ მიეღო, როგორც საჭიროდ დაინახავდა.

მახვშის გარდა, თემს მოსამართლეებიც, „მორვარები“, ჰყავდა არჩეული. სასამართლოშიაც მთავარი როლი მახვშის ჰქონდა დაკისრებული, სასამართლოს განაჩენს მომჩივანიცა და მოპასუხეც სიტყვის შეუბრუნებლად ემორჩილებოდნენ.

თემთა კავშირი შეადგენდა „ხევს“ ანუ „ხეობას“. ძველად მას სვანეთში „სვანეთის ერთობილ ხევს“ ან „სვანეთის ბედნიერ ხევს“ ეძახდნენ. ხევსაც ჰქონდა თავისი ყრილობა, ხევის თავყრილობა ცალკე თემების მახვშებისა და „ჩენილებისაგან“ ანუ წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. განსაკუთრებულ შემთხვევებში კი თემის თავყრილობას ყველა კომლის წარმომადგენელი ესწრებოდა, ასე მოხდა 1875 წელს, როცა სვანებმა აჯანყების დროშა ააფრიალეს რუსეთის მეფის მთავრობის წინააღმდეგ.

საერთო წესწყობილებას შეეფერებოდა თემის წევრების უფლება-მოვალეობაც. ყოველი სვანი მოვალე იყო, თავისი თემის სახელი და ღირსება დაეცვა და საერთო მტრისათვის პასუხი გაეცა. სამაგიეროდ, თვითონაც თემისაგან ყოველნაირ შემწეობას იღებდა. გადამწვარს, მაგალითად, თემი ეხმარებოდა. თითოეული მოსახლე მას თავისი მოსავლის ნაწილს უთმობდა; სახლის შენებისას საშენებელი მასალა მოჰქონდათ და სხვა მხრივაც ეშველებოდნენ. უპატრონო მოხუცებს, ავადმყოფებსა და ღატაკებს თემი უვლიდა. გაჭირვებული კაცის სათხოვარს თემი მაშინაც თანაგრძნობით ეკიდებოდა, როცა ეს კაცი სხვისი თემისა იყო. ხოლო თავისი თემის კაცს უცხოს წინააღმდეგ თემის კაცი მაშინაც უნდა დახმარებოდა, როცა ამათ შორის მტრობა იყო.

თემის კაცის, თავისუფალი სოფლის მეურნის ნათქვამია ეს ხალხური ლექსი:

„არც არავის ყმა ვყოფილვარ,
არც არავინ ყმად მყოლია,
ძველი პური, ძველი ღვინო
წლით-წლობამდე გამყოლია".

მაგრამ სვანების ამ თემებში უკვე იყო კერძო საკუთრების შესამჩნევი ჩანასახი შემოპარული. სათემო წესწყობილება ყველგან ირღვეოდა და მის ადგილს უფრო მოწინავე წყობილება იჭერდა. მთაში ის მხოლოდ უფრო გვიან დაემხო.

სვანებისა და სხვა ქართველი მთიელების თემები იმის ნიმუშია, თუ როგორი უნდა ყოფილიყო საერთოდ თავის დროზე, ძალიან ძველად, საზოგადოებრივი წყობილება ყველა ქართველ ტომში, ვიდრე მათში კლასები და სახელმწიფო გაჩნდებოდა.

## § 3. პირველყოფილი-თემური წყობილების დარღვევა, საზოგადოებრივი კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა

**ლითონის იარაღის შემოსვლა.** თანდათან გამოიცვალა ჩვენი წინაპრების პირველყოფილ-თემური ცხოვრება. შემოვიდა ლითონის იარაღი, ჯერ სპილენძის, შემდეგ — ბრინჯაოსი (სპილენძისა და კალის შენადნობი) და ბოლოს რკინისაც. ქართველმა ტომებმა ადრე ისწავლეს ლითონის დამუშავება, ამიტომ ქართველი ტომების ისტორიაში ლითონის იარაღის გავლენაც უფრო ადრე გამოჩნდა.

ბრინჯაოს და, განსაკუთრებით, რკინის იარაღმა ადამიანის შრომა უფრო ნაყოფიერი გახადა. ვისაც ახლა ხელში ასეთი იარაღი ეჭირა, ის ბუნებასთან ბრძოლაშიაც უფრო ღონიერი იყო, ვიდრე ძველად — ქვისა და ხის იარაღების დროს. ამიტომ ხალხი უფრო შემძლებელი და მდიდარი გახდა და უფრო ადვილადაც მრავლდებოდა.

**კერძო საკუთრების ჩანასახი.** თანდათან ჩნდებოდა კერძო საკუთრებაც, ყველაზე ადრე კერძო საკუთრების საგნად იარაღი იქცა. იარაღს ადამიანი იმიტომ იჩემებდა ძველად, რომ უფრო ხშირად თვითონ აკეთებდა მას, მუდმივ თან ატარებდა და ხმარობდა.

იარაღს ძველ ქართულად „ჭურჭელი" ერქვა. ძველი ქართველის კერძო ქონება და სიმდიდრე სწორედ „ჭურჭელი" იყო. ამიტომაა, რომ შემდეგშიაც „საჭურჭლეს" ეძახდნენ იმ საგანძურს, სადაც კერძო პირები და მეფეები თავის სიმდიდრეს ინახავდნენ ხოლმე.

**შრომის განაწილება და ალებ-მიცემა.** ლითონის იარაღის გაკეთება ყველას არ შეეძლო. ზოგი გულდაგულ სწავლობდა მჭედლობას და შემდეგ თავს ამ ხელობით ირჩენდა. ვისაც იარაღი სჭიროდა, მაგრამ მისი გაკეთება არ შეეძლო, ის მჭედელთან მიდიოდა, იარაღსა სთხოვდა და სამაგიეროს აძლევდა, რაც თვითონ ებადა — შინაურ პირუტყვს, ჭირნახულს ან სხვა რამე საგანს. გარდა ამისა, გაჩნდა ბევრი სხვა ხელობაც. ზოგი წისქვილის ქვის კეთებაში დაოსტატდა, ზოგი — თიხის ჭურჭლისა. სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვანაირი ბუნება იყო და ამ ბუნებასთან შეგუებით საქმიანობაც სხვადასხვანაირი. ზოგან ლითონის მადანს თხრიდნენ, ზოგან ქვამარილს იღებდნენ. ერთგან მესაქონლეობა უფრო ხელსაყრელი იყო კარგი საძოვრების წყალობით. მეორეგან მიწათმოქმედებას უფრო ადვილად უძლვებოდნენ ნოყიერი ნიადაგის გამო. მაგრამ მეჯოგეს პური აკლდა ხოლმე; ლითონი იქაც სჭიროდათ, სადაც მისი მაღაროები არ მოიპოვებოდა; უმარილოდ ხომ ხალხს გაძლება არ შეეძლო. ამიტომ ესენიც ერთმანეთში გაცვლა-გამოცვლას აწარმოებდნენ. ასე გაჩნდა ალებ-მიცემა. უკვე უძველეს დროში ქართველ ტომებს ალებ-მიცემა ჰქონდათ შორეულ ქვეყნებთანაც.

**პირველყოფილი ფული.** ვაჭრობდნენ ჯერ უბრალო გაცვლის სახით, შემდეგ გაჩნდა „ფულიც“, ფული სხვადასხვანაირი იყო. ასე მაგალითად, ფულად იყენებდნენ ძველად შინაურ რქოსან პირუტყვს, „ზროხას“. გამოითვლიდნენ, რამდენ „ზროხას“ უდრიდა ორივე გასაცვლელი საგანი და ისე ცვლიდნენ. თუ ერთ მხარეს სათვალავში აკლდებოდა, იგი „სართს“ აძლევდა, უმატებდა. ძროხებით ანგარიშობდნენ ხევსურები XIX საუკუნეშიც. ჯოგი მაშინ დიდ სიმდიდრედ ითვლებოდა და ისიც კერძო ქონების საცავად გადაიქცა.

**მონობის გაჩენა.** რაკი ვაჭრობას სარგებელი მოჰქონდა, ამიტომ ვისაც შეეძლო, ცდილობდა მეტი პროდუქტი დაემზადებინა გასასყიდად, მაგალითად, მეტი სპილენძის მადანი და ქვამარილი ამოეღო, ან მეტი პური მოეყვანა. მეტი პროდუქტის დამზადებას მეტი მუშა სჭირდებოდა. თუ სახლში ბევრი მუშა ხელი იყო, ხომ კარგი, თუ არა და იგი სადმე სხვაგან უნდა ეშოვნათ. შეიძლებოდა, ძალა დაეტანებინათ და მუქთად ემუშავებინათ უცხო კაცი, თუკი იგი ხელში მოხვდებოდათ. ასეთი უცხო კაცი იყო ტ ყ ვ ე.

მაშინ ომიანობა ხშირი იყო, მეზობელი ტომები თავს ესხმოდნენ ერთმანეთს სხვადასხვა მიზეზით, უფრო ხშირად კი სიმდიდრის მოტაცების გულისათვის. ასეთ მოტაცებულ სიმდიდრეს შეადგენდა „ტყვეც“ — ცოცხალი ადამიანი. ვისაც სახლში ზედმეტი საქმე ჰქონ-

და გასაკეთებელი, ის ამ ტყვეს ამუშავებდა პირუტყვსავით. ამგვარ მუშა ტყვეს „მონა“ დაერქვა. ასე გაჩნდა მონობა.

**საზოგადოებრივი უთანასწორობის განვითარება.** მონობას მოჰყვა უთანასწორობა ადამიანებს შორის. მონების პატრონი, მონათმფლობელი, მონას უყურებდა როგორც პირუტყვს: თუ მოისურვებდა, გაყიდდა მონას, ან მოკლავდა კიდევაც, პასუხს მას ვერავინ მოსთხოვდა. მონათმფლობელის მეზობლები, ვისაც მონები არა ჰყავდა და არც სიმდიდრე ჰქონდა დაგროვებული, მონათმფლობელებთან შედარებით დაჩიავდნენ და დაუძლურდნენ. თანდათან მონობა მოედო ტომის თავისუფალ წევრებსაც, ერისშვილებს. ღარიბი მდიდრისაგან სესხად პურს აიღებდა და თავდებობისათვის დროებით მონად დაუდგებოდა, ასეთს დროებით მონას მანამ უნდა ემუშავნა მასესხებლის სასარგებლოდ, სანამ თავის ვალს არ გაისტუმრებდა. ხშირად ხდებოდა, რომ დროებითი მონა ვალიდან ველარ ამოდიოდა და სამუდამო მონად იქცეოდა.

**სახელმწიფოს წარმოშობა.** მდიდრებმა, იარაღსა და მონებს გარდა, ჯოგები, ცალკე მიწის ნაკვეთები და სხვა ქონებაც დაისაკუთრეს. გაჩნდა მტრობა და სიძულვილი მონათმფლობელებსა და მონებს შორის, მდიდრებსა და ღარიბებს შორის. მონათმფლობელებისა და მდიდრების უსამართლობა და სისასტიკე ძნელი ასატანი იყო და ხალხი მათ ხშირად შავ დღეს აყენებდა ხოლმე. მონებიც ყოველთვის თავისუფლებაზე ფიქრობდნენ, თვალი გაქცევისკენ ეჭირათ. ამიტომ მდიდარი მონათმფლობელები ერთმანეთში შეკავშირდნენ, თვითონაც კარგად შეიარაღდნენ და ცალკე შეიარაღებული რაზმებიც გაიჩინეს, რომ ურჩობა ველარავის გაებედა და მონებსაც წინააღმდეგობა ველარ გაეწიათ. ხალხის არჩეული წინამძღოლების ადგილი თანდათან დაიჭირეს მთავრებმა და მეფეებმა, რომელნიც მემკვიდრეობით გადასცემდნენ ხოლმე თავის ხელისუფლებას. მთავრებმა და მეფეებმა ნელნელა ხალხური სამართალი მოშალეს და ხალხის მოხელეები მოსპეს, მათ ადგილას კი საკუთარი მოხელეები და სასამართლო გაიჩინეს და საპყრობილეები მოაწყვეს. ამ საპყრობილეში იმათ ამწყვდევდნენ, ვინც მეფემთავრებს ეურჩებოდა. თავისი პირადი შეიარაღებული მცველების გარდა მეფე-მთავრებმა ხალხისაგან გამოყოფილი ცალკე ჯარიც შეადგინეს. კარგად შეიარაღებული, გაწვრთნილი ჯარი საჭირო იყო გარშემოხვეული მრავალრიცხოვანი მტრების წინააღმდეგაც, საკუთარი მიწა-წყლისა და სარჩო-საბადებლის დასაცავად, ან სხვისი მიწაწყლის დასაპყრობად. ასე გაჩნდა სახელმწიფო.

უძველესი სახელმწიფოები მონათმფლობელური სახელმწიფოები იყო. ეს სახელმწიფოები ჯერ პატარა იყო და სუსტი, მაგრამ შემდეგში ისინი თანდათანობით გაიზარდნენ.

## § 4. ქართველ ტომთა წარმოშობა. ხეთურ-იბერული გვარტომობის ხალხები

ქართველები წარმოშობით წინა აზიის ძველს მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნიან.

უძველეს ხანაში, ამ ხუთი-ექვსი ათასი წლის წინათ, ხ ე თ უ რ-ი ბ ე რ უ ლ ი გვარტომობის, ერთმანეთის მონათესავე ხალხებს ვრცელი მიწა-წყალი ეჭირათ წინა აზიაში და აქედან დასავლეთისაკენ გავრცელების შედეგად, აგრეთვე, აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროზე და სამხრეთ ევროპაში.

ევროპაში ამ გვარტომობის ხალხები წინ უსწრებდნენ შემდეგ მოსულ ინდოევროპელებს, რომელთაც დამხვდური მოსახლეობისა და მისი განვითარებული კულტურის ძლიერი გავლენა განიცადეს.

ასე იყო პ ი რ ე ნ ე ს ანუ ი ბ ე რ ი ი ს ნახევარკუნძულზე, სადაც ძველი ი ბ ე რ უ ლ ი მოსახლეობის შ თ ა მ ო მ ა ვ ა ლ ნ ი, ბ ა ს-კ ე ბ ა დ წოდებულნი, დღემდე არიან შემორჩენილი; ასევე მოხდა ა პ ე ნ ი ნ ი ს ნახევარკუნძულზე, სადაც ე ტ რ უ ს კ ე ბ მ ა შექმნეს იტალიის უძველესი ცივილიზაცია, რომელმაც შემდგომ მძლავრი ზემოქმედება იქონია რომის კულტურაზე. დასასრულ, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გვიან მოსულ ინდოევროპულ ბერძნებსაც პ ე-ლ ა ზ გ ე ბ ი ს პირვანდელი დაწინაურებული მოსახლეობა დახვდა.

ამ ხალხთა მიერ შექმნილი მაღალი კულტურის კერათაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად წინააზიური კერები უნდა ჩაითვალოს. წინა აზიაში ადრე განვითარდა სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა და ხელოვნება; ადრე ჩაისახა სახელმწიფოებრიობა, ეფრატისა და ტიგროსის აუზთა ქვემო ნაწილში ს უ მ ე რ ე ბ მ ა ჯერ კიდევ ძვ. წ. IV ათასწლეულში განავითარეს საქალაქო ცხოვრება, საფუძველი ჩაუყარეს სახელმწიფოს და გამოიგონეს მსოფლიოში უძველესი დამწერლობა — ჯერ იეროგლიფური, ხოლო შემდეგ ლურსმული.

წინა აზიამ უდიდესი როლი ითამაშა კულტურის ისტორიაში. აკადემიკოსი ტურაევი, გამოჩენილი რუსი მეცნიერი და ერთი უდიდეს სპეციალისტთაგანი ძველი აღმოსავლეთის ისტორიისა — ამ, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, „კაცობრიობის ისტორიის პირველი თავისა"— ამბობს: „სრულიად უეჭველია ხმელთაშუაზღვის სამყაროს აღმოსავლეთ კუთხეში განვითარებულ ცივილიზაციათა უზარმაზარი გავლენა მთელს მეზობელ რაიონზე და ისტორიის მთელ მიმდინარეობაზე, ვიდრე დღევანდლამდე".

წინა აზიის მოსახლეობის სიმდიდრე ძველი დროიდანვე იზიდავდა უცხოელ ველურ ტომებს. ამ მეჯოგე ტომების შემოსევების წყალობით თანდათან შეიზღუდა მკვიდრი, ძველი მოსახლეობის სამფლობელო. მე-2 ათასწლეულის დამდეგს ძველი წელთაღრიცხვით წინა აზიის მკვიდრი ხალხებიდან ცნობილი იყვნენ *ხეთები* და *სუბარები*. ხეთები და სუბარები ქართველების წინაპრები არიან.

ხალხთა ამ გვარტომობას ჩვენ *ხეთურ-იბერულს* ვუწოდებთ, ვინაიდან მისი მთავარი წარმომადგენლები არიან: მცირე აზიაში *ხეთები*, ევროპაში *იბერები* და მესოპოტამიიდან კავკასიამდე *იბერ-სუბარები*.

მეცნიერებაში ჯერ კიდევ არაა მიღწეული სრული ერთსულოვნება ხალხთა ამ გვარტომობის სახელწოდების გარშემო. გამოჩენილი საბჭოთა ენათმეცნიერი, აკადემიკოსი ნიკო მარი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ გვარტომობის შესწავლის საქმეში, მას *იაფეტურს* უწოდებდა; მაგრამ შემდეგში იგი მცდარ გზას დაადგა და განაცხადა, რომ განვითარების გარკვეულს, ძველ საფეხურზე მსოფლიოს ყველა ენა იაფეტური იყო. თანამედროვე დასავლეთ ევროპის ორიენტალისტები ამ ხალხებს *აზიანიკურს* უწოდებენ. ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა, ძველი აღმოსავლეთის მკვლევარმა ფრ. ჰომელმა ამავე მიზნით ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს შემოიღო ტერმინი *ალაროდიული*; იგივე ზოგჯერ იყენებდა აგრეთვე ტერმინებს *ალაროდიულ-პელაზგური* და *ხეთურ-პელაზგური*. აკად. ტურაევი ხან *ხეთურს* ხმარობს და ხან, ჰომელის მიბაძვით, *ალაროდიულს*.

იმავე დროს მეცნიერულ ლიტერატურაში ხშირად შეგვხვდება გამოთქმა *იბერული*, როგორც, ერთი მხრით, ქართულისა და მისი მონათესავე ენების და, მეორე მხრით, ევროპის უძველესი მოსახლეობის აღსანიშნავი სახელწოდება. ფრ. ენგელსი წერს ამ „იბერიული რასის“ შესახებ და ამბობს, რომ მისი „უკანასკნელი წარმომადგენლები (ევროპაში) ამჟამად ბასკები არიან“.

**ხეთები და სუბარები.** ხეთები მოსახლეობდნენ მცირე აზიაში. მათი დედაქალაქი მე-3 ათასწლეულიდან იყო *ხატუსი*. დედაქალაქის მიხედვით თვით ხალხსაც ხატები ანუ ხეთები შეარქვეს. სუბარებს, რომელნიც ხეთების მეზობლები იყვნენ აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით, ეჭირათ ტერიტორია ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან მოყოლებული კავკასიონამდე. სუბარების ქვეყნის სამხრეთ რაიონებს *ჰარი*-ს ეძახდნენ.

ამ ხალხების სახელმწიფოებრიობასა და კულტურას ჯერ კიდევ მე-3 ათასწლეულში ჰქონდა მნიშვნელოვანი წარმატება მოპოვებული, მაგრამ უფრო კარგად ვიცნობთ ჩვენ მათ მე-2 ათასწლეულში, როცა ხეთები და სუბარები ერთმანეთს ეცილებიან პირველობისათვის აღმოსავლეთში. ამ მეტოქეობაში უპირატესობა ჯერ ხეთებს დარჩათ, XVIII საუკუნეში ხეთის სამეფომ დიდ ძლიერებას მიაღწია, ხოლო იმავე საუკუნის დამლევს პირველი ადგილი სუბარებმა დაიჭირეს. სუბარებმა ამ დროს მთელი გადატრიალება მოახდინეს სამხედრო საქმეში: მათ შემოიღეს მსუბუქი ორთვალა საბრძოლო ეტლი, რომელშიაც ცხენს უბამდნენ; მათი ლითონის საჭურველი საუკეთესო იყო იმ დროის კვალობაზე და ნაწილობრივ უკვე შეიცავდა რკინის იარაღს. რკინას იმ ხანაში მხოლოდ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მთიან რაიონებში ამუშავებდნენ. სუბართა რაზმები შორეულ ქვეყნებს აღწევდნენ. სუბარებმა დააარსეს მიტანის სახელმწიფო, თავის გავლენას დაუმორჩილეს მთელი აღმოსავლეთი და რამდენიმე საუკუნე მორჩილებაში ჰყავდათ თვით ასურეთიც. მიტანიმ დაიპყრო სირია და წარმატებით ებრძოდა შორეულ ეგვიპტესაც. ცნობილია, რომ მე-2 ათასწლეულის პირველ ნახევარში ეგვიპტე დაიპყრო აზიიდან შესულმა ხალხმა, რომელმაც შეიტანა ეგვიპტეში საომარი ეტლი. თვით ცხენიც ეგვიპტელებმა პირველად ამ დროს გაიცნეს. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ამ დიდი მოძრაობის სათავეც სუბარეთში უნდა ვეძიოთ.

XIV და XIII საუკუნეებში აღმოსავლეთის პოლიტიკურმა ცენტრმა კვლავ ხეთის სამეფოში გადაინაცვლა. ხეთებმაც დიდად გააფართოეს თავიანთი სამფლობელოს საზღვრები აღმოსავლეთისაკენ, მესოპოტამიაში და სამხრეთისაკენ სირიაში, სადაც ისინი იმავე ეგვიპტეს ეცილებიან ბატონობას. XIV საუკუნის მიწურულისათვის ხეთებმა სძლიეს ეგვიპტელებს და სირია დაინარჩუნეს. ხეთები იყვნენ არა მარტო კარგი მეომრები, არამედ იმ დროის საუკეთესო დიპლომატებიც. ხანგრძლივ ბრძოლას ეგვიპტე-ხეთას შორის მსოფლიო პირველობისათვის ბოლო მოუღო ხეთის მეფემ ხ ა ტ უ შ ი ლ მესამემ, რომელმაც 1278 წელს ფარაონთან ხელშეკრულება დადო სამუდამო მეგობრობის შესახებ. ეს შესანიშნავი დოკუმენტი მოღწეულია ჩვენამდე და საერთაშორისო სამართლის ფუძემდებელ ძეგლად ითვლება.

XIII საუკუნის დამლევს აღმოსავლეთში კვლავ დიდი ცვლილებები ხდება, რაც ხალხთა მოძრაობითა და მძაფრი შეხლა-შემოხლით არის გამოწვეული. ამ ამბებში ხეთის სამეფო დაემხო. ხეთა-სუბარეთის მოსახლეობა მრავალ წვრილ სამთავროდ დაიქსაქსა.

**კულტურა და იდეოლოგია. სახელმწიფოებრიობა.** ხეთა-სუბარეთის ქვეყნებს იმ დროის კვალობაზე მოწინავე მეურნეობა ჰქონდათ, კულ-

ტურული მცენარეების გაშენებაში ამ ხალხებს დიდი ღვაწლი მიუძღვით კაცობრიობის წინაშე. კერძოდ — ხორბლის ერთი მთავარი სამშობლო ხეთა-სუბარეთია. მევენახეობის ერთი ყველაზე უფრო ადრინდელი კერათაგანიც ეს ქვეყნებია. თავი ისახელეს ხეთურ-სუბარულმა ხალხებმა თავისი შინაური საქონლითაც.

ადრევე განვითარდა აქ ლითონის დამუშავების საქმე, ჯერ ბრინჯაოს და შემდეგ რკინის მეტალურგია. ხეთა-სუბარეთი მდიდარი იყო სპილენძის, რკინის, ვერცხლისა და სხვა ლითონების მადნებით. ლითონები სხვა ქვეყნებში გაჰქონდათ დაუმუშავებელი სახითაც. ვაჭრობდნენ შორეულ ქვეყნებთან ბევრი სხვა საგნითაც. ეგვიპტეში, მაგალითად, სუბარეთიდან გაუტანიათ საბრძოლო ეტლების წარმოებისათვის საჭირო არყისა და იფნის ხე. ეს ხეები სუბარეთზე სამხრეთით აღარ იზრდება. ზოგი მეცნიერი ფიქრობს, რომ სუბარეთიდან ეგვიპტეში მზა ეტლებიც გაჰქონდათ.

ხეთურ-სუბარული ლითონის მაღაროები უფრო მეტად ადგილობრივ ხელოსნებს აწვდიდა მასალას; ხელოსნური წარმოება მაღალ დონეზე იდგა. ხელოსნურ წარმოებასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხელოვნება.

ლითონის, თიხის, ხისა და სხვა ამგვარი მასალის ნახელავს სათანადო ჩუქურთმებითა და მოხატულობით ამკობდნენ. მოღწეულია ხეთურ-სუბარული ხელოვნების დამოუკიდებელი ძეგლებიც, მაგალითად, ქანდაკებები. ხეთურ-სუბარულ ხელოვნებაში უფრო ხშირად გამოსახულია ცხოველები (მაგ., ლომი) და ზღაპრული არსებები, რომელთა ტანი ადამიანისა და რომელიმე ცხოველისაგან, ან სხვადასხვა ცხოველისაგან (ლომი და ხარი, ფრინველი, თევზი და მორიელი) არის შედგენილი, ზოგჯერ კიდევ ერთ ტანს რამდენიმე თავი აქვს გამობმული; ხშირია აგრეთვე სიცოცხლის ხე, ფრთოსანი არსებები და განსაკუთრებით ფრთოსანი მზე. სუბარული მოხატული თიხის ჭურჭელი საუკეთესო იყო მთელს წინა აზიაში. ხეთურ-სუბარული სტილის შენობა, „ხილანი", გავრცელდა მეზობელ ხალხებში თვით ამ სიტყვასთან ერთად, რომელიც ქართულ „ხულა"-ს მოგვაგონებს. სუბარულმა ხელოვნებამ დიდი გავლენა მოახდინა სხვა ხალხების ხელოვნებაზე და თვით საბერძნეთში შეიჭრა.

ხშირად გამოსახავდნენ ხეთა-სუბარები თავიანთ ღმერთებსაც. უზენაეს ღვთაებად ითვლებოდა მ ზ ე, რომელიც ქალ-ღმერთი იყო. მზის მეუღლედ მიაჩნდათ ა ვ დ რ ი ს ღმერთი, ვაჟი-ღვთაება. მათ ჰყავდათ მრავალი შვილი, რომელთაგანაც ხეთაში განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა ნაყოფიერებისა და მცენარეების ღმერთი ტ ე ლ ე ფ ი ნ უ. თაყვანს სცემდნენ აგრეთვე სხვადასხვა ბუნებრივ

მოვლენას, მთას, წყაროს, ყვავილებს. ხეთურ ხელოვნებაში ღმერთები ჩვეულებრივ გამოსახული არიან, როგორც წმინდა ცხოველებზე — ვეფხვზე, ხარზე — და მაღლობებზე მდგომარენი.

ღმერთების თაყვანისცემასთან დაკავშირებული იყო სხვადასხვა სარწმუნოებრივი თქმულება. თქმულებაში ტელეფინუს შესახებ მოთხრობილი იყო, თუ როგორ გაუჩინარდა ეს ნაყოფიერებისა და მცენარეების ღვთაება, როგორ მოკვდა და დაიშრიტა ამის გამო სიცოცხლე მთელ ბუნებაში, შეწუხდნენ ადამიანები და ღმერთები უნაყოფობითა და უჭმელ-უსმელობით და, დასასრულ, როგორ ეძებდნენ ღმერთები და მორწმუნენი დაკარგულ ტელეფინუს.

მეორე თქმულება მოუთხრობდა ავდრის ღმერთის ბრძოლის შესახებ გველეშაპის წინააღმდეგ.

ხეთა-სუბარებს ჰქონდათ ორგვარი დამწერლობა: ერთი — ლურსმული, მეორე — ხატოვანი (იეროგლიფური). ლიტერატურული დარგებიდან განსაკუთრებით განვითარებული იყო ისტორიული და იურიდიული მწერლობა. მხატვრული მწერლობიდან გავრცელებული ყოფილა მსოფლიოს უძველესი ეპოსი გ ი ლ გ ა მ ე შ ი ა ნ ი, რომელიც წინა აზიის ორიგინალური კულტურის ნიადაგზე წარმოიშვა ძალიან ძველად. ეს არის დიდი პოემა ღმერთკაც გილგამეშზე, რომელიც აკეთებს მრავალ საგმირო საქმეს, რათა უძლეველი გახადოს თავისი ქვეყანა და მოიხვეჭოს სამარადისო სახელი და უკვდავება. გილგამეში დაუძმობილდა მხეცკაც ე ნ კ ი დ უ ს. განუყრელმა მეგობრებმა საერთო ძალითაც ახალი გმირობანი ჩაიდინეს, ებრძოდნენ უდაბნოს ლომებს და სძლიეს მათ და, დასასრულ, შეასრულეს უდიდესი ღვაწლი — დაამარცხეს უძლეველი ხ უ მ ბ ა ბ ა, რომელიც იცავდა სიყვარულის ქალღმერთს შეუვალ ტყეში.

ხეთა-სუბარების სამეფოები მონათმფლობელთა სახელმწიფოები იყო, მაგრამ აქ ძლიერი იყო აგრეთვე ძველი, განსაკუთრებით მატრიარქალური ტრადიციები: ხეთის მეფე ითვლებოდა ქალღმერთმზის, ხეთის სამეფოს „უზენაესი დედოფლის", მსახურად და ამავე დროს მის პირველ ქურუმად. თავის მხრივ, სხვა მფლობელების მიმართ ხეთის მეფეები უზენაესობას იჩემებდნენ და „დ ი დ ი მ ე ფ ი ს" ტიტულს ატარებდნენ. გარდა ამისა, ხეთის მეფე თავის თავს „ჩ ე მ მ ზ ე ს" უწოდებდა: „ჩ ე მ მ ა მ ზ ე მ ეს და ეს გავაკეთეო", — წერენ ხეთის მეფეები თავის დოკუმენტებში.

საყურადღებოა, რომ გამოთქმა „ჩემმა მზემ" დღემდე არის შემონახული სასაუბრო ქართულში.

მეფე არ იყო დესპოტი: მის ხელისუფლებას მეტნაკლებად ს ა მ ე ფ ო ს ა ბ ჭ ო განსაზღვრავდა. დიდი გავლენით სარგებლობდა და

მეფეს გვერდში ედგა მისი ცოლი, ხეთის დედოფალი. საერთოდ, ქალებს ხეთის საზოგადოებაში საპატიო ადგილი ეჭირათ.

მრავალრიცხოვან ქურუმებსა და ტაძრებს, რომელნიც ვრცელი მამულებისა და მდიდარი განძების მფლობელი იყვნენ, დიდი ძალა დაგავლენა ჰქონდათ.

საყურადღებოა, რომ ხეთური სამართალი უფრო ჰუმანური იყო, ვიდრე სხვა აღმოსავლელი ხალხებისა. სიკვდილით დასჯა დაწესებული იყო მხოლოდ უმძიმესი დანაშაულისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ხეთური სამართალი განასხვავებდა წინასწარ განზრახულ ბოროტმოქმედებას უნებლიესაგან.

ხეთური კანონები და სხვა ძეგლებიც ამტკიცებენ, რომ მონების რიცხვი ხეთაში დიდი იყო.

## თავი I

# საქართველო-კავკასია ბრინჯაოსა და ადრინდელ რკინის ხანაში

## § 5. ბრინჯაოს ხანა საქართველოში

ხეთა-მიტანის სამეფოების ხანაში კავკასიის მიწა-წყალი ხეთურ-სუბარული მოდგმის მოსახლეობას უჭირავს. ეს მოსახლეობა თავისი იარაღისათვის ძირითადად უკვე ბრინჯაოს ხმარობდა. ხეთურ-სუბარული მოდგმის ხალხების უმთავრესი კულტურული ცენტრები მაშინ, როგორც ვიცით, სამხრეთით მდებარეობდა. მაგრამ აქ, კავკასიაშიც, განსაკუთრებით დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე, კულტურა ვითარდებოდა საკმაოდ სწრაფად იმ დროის კვალობაზე. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება უკვე მეორე ათასწლეულის დამლევს ძველი წელთაღრიცხვით.

ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი კულტურის შესახებ ჩვენ არქეოლოგიური მასალის საშუალებით ვმსჯელობთ. საქართველოს ნიადაგში აუარებელი ძეგლი და ნივთია ჩამარხული. ჩვენი წინაპრების ნახელავი და ნაკვალევი. ზოგი მათგანი საფლავში ჩაუტანებიათ, ზოგი განძად შეუნახავთ, ზოგიც სხვა შემთხვევის გამო არის გადარჩენილი. ამ მიწაში ჩამარხული ისტორიული ძეგლების მეცნიერული შესწავლა ახლახან დაიწყო. მხოლოდ საბჭოთა მთავრობის დახმარებით მოახერხეს არქეოლოგებმა ფართო და წესიერი გათხრების მოწყობა საქართველოში. დიდმა გათხრებმა მცხეთაში, გათხრებმა კოლხეთის დაბლობზე, თრიალეთში ჩვენ უმდიდრესი მასალა შეგვძინა. ნივთიერი კულტურის ეს ნაშთები წარსულის უტყუარი მოწმეა.

თრიალეთში 1936—1939 წლების გათხრების დროს გახსნილ იქნა სხვადასხვა დროის მრავალი სამარხი. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ყორღანული (ამობორცვილი) სამარხები მეორე ათასწლეულის უკანასკნელი საუკუნეებისა, ძვ. წ. ამ უზარმაზარ საფლავებში (ზოგჯერ 100—175 კვადრატული მეტრის ფართობისა) იმდროინდელი წარჩინებული ხალხია დაკრძალული, შესაძლოა მთავრები და

მათი ოჯახის წევრები. ერთ სამარეში აღმოჩნდა ოთხთვლიანი ხის ეტლი, რომლითაც, ჩანს, მიცვალებულის ნეშტი იყო საფლავში ჩასვენებული. მიცვალებულთათვის თან ჩაუტანებიათ უძვირფასესი ნივთები. ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ჭურჭელი, იარაღი და სამკაული, თიხის მოხატული ჭურჭელი და სხვა. ლითონისაგან გაკეთებული ნივთები შემკულია ნაირი ორნამენტით, ფერადი თვლებით (ფირუზით, სარდიონით და სხვ.) და რელიეფურად შესრულებული სურათებით, რომლებშიაც ადამიანები, სხვადასხვა ცხოველი და მცენარეა გამოსახული. თრიალეთში ნაპოვნი როგორც ოქრომჭედლობის ნივთები, ისე თიხის ჭურჭელი ხელოსნობისა და ხელოვნების განსაცვიფრებელი ძეგლებია. ისინი თვალსაჩინოდ ამჟღავნებენ საქართველოს იმდროინდელი მოსახლეობის განვითარების მაღალ დონეს. კერძოდ, ხელოსანთა და ხელოვანთა დახვეწილ ოსტატობას.

პირველი ათასწლეულის დასაწყის საუკუნეებში ძვ. წ. საქართველოს ტერიტორიაზე კულტურის ორი წრე ჩამოყალიბდა: დასავლური და აღმოსავლური. ეს ბრინჯაოს კულტურა იყო — იარაღის მასალად აქ უპირატესად ბრინჯაო იხმარებოდა. ეს ორი კულტურული წრე ქართველი ტომების ორ გაერთიანებას შეესაბამება — დასავლურ-ქართულსა და აღმოსავლურ-ქართულს.

**დასავლური კულტურის წრე** შეიცავდა მთელს დასავლეთ საქართველოს. ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთს მდ. თერგის დასავლეთით, შდინარე ჭოროხის ხეობასა და შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროსაც. ეს ის ტერიტორიაა, რომელიც შემდეგში კ ო ლ ხ ე თ ა დ იწოდებოდა.

ეს ძველი კოლხური ბრინჯაოს კულტურა განვითარების მაღალ დონეზე იდგა. ნაპოვნი არის იმდროინდელი სასოფლო-სამეურნეო იარაღი — თოხი და წალდი (ისეთი ფორმისა, დღესაც რომ დასავლეთ საქართველოში ხმარობენ), ნამგალი, მეცხოველეობის იარაღი (ცხენის აკაზმულობის ნაწილები; ლაგამი და სხვა) და სახელოსნო ხელსაწყო (განსაკუთრებით ხის დამუშავებისათვის სახმარი: საჭრეთელები, სატეხები და სხვა).

ბევრია აღმოჩენილი იმდროინდელი საბრძოლო იარაღი: სატევარი, შუბისა და ისრის პირები, ლახტისთავები, განსაკუთრებით კი საომარი ცული. ეს ძველი კოლხური საომარი ცული ძალიან ნიშანდობლივია ამ კულტურისათვის.

კოლხური ბრინჯაო უმთავრესად იმ სპილენძისაგან კეთდებოდა, რომლის მადნები დღესაც არსებობს ჭოროხის ხეობაში.

**აღმოსავლური კულტურის წრე** შეიცავდა აღმოსავლეთ საქართველოს ალაზნის გაღმა მხარით, სევანის ტბის მხარესა და არაქსის ხეობაშიაც ჩადიოდა.

დღევანდელი ქართლი. ჩანს, მაშინაც ისეთი ცენტრალური თემი იყო, სადაც ერთმანეთს ხვდებოდა და თავის გამოცდილებას უზიარებდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა. აქ პოულობენ ხოლმე როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური კულტურის ძეგლებს.

ამ აღმოსავლური კულტურისათვის ნიშანდობლივია წვერკვეთილი მახვილები, ჩუგლუგები ნახევრად მრგვალი პირით, ბრტყელი ისრის პირები, გრძელი შუბის პირები. იმდრონდელი საომარი იარაღიდან გვხვდება აგრეთვე ფარი. მაშინდელი მშვილდი კაცზე უფრო მაღალი ყოფილა.

ნაპოვნია აქ, აგრეთვე, სასოფლო-სამეურნეო იარაღი და შინამოსაქმეობის ხელსაწყო: კევრი, სხვადასხვანაირი ცული, ნამგალი, დანა, ნემსი, სადგისი, კვირისტავი; სამოსელთან დაკავშირებული საგნები: სარტყლები, მათი ბალთები, აბზინდები, ღილები, შესაბნევები და სხვ.

დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი ჭურჭლეულობაც უძველესი ხანისა — მეტწილად თიხისა და ნაწილობრივ ბრინჯაოსი, ვერცხლისა, ოქროსი.

როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ამ ძველს, ბრინჯაოს ხანის სამარხებში დიდი რაოდენობით გვხვდება სხვადასხვა სამკაულები: ბეჭდები, რაც ჩვენს წინაპრებს განსაკუთრებით ჰყვარებიათ, საყურეები, სამაჯურები, ათასნაირი მძივები, სარტყლის შემკულმოჩუქურთმებული ბალთები.

მუსიკალური ინსტრუმენტებიდან სამთავროში ნაპოვნია ძვლის სალამური.

**განვითარების დონე.** იმ ხანაში, რომლის ნივთიერი ნაშთები ჩვენ ზემოთ გავიცანით, საქართველოს მოსახლეობა უკვე ძირითადად მიწათმოქმედებას მისდევდა, მოჰყავდათ სხვადასხვა პურეული: ხორბალი, ქერი, ფეტვი, იმდროინდელი ხორბლეულის ნაშთები ნაპოვნია ჩვენს ნიადაგში.

მისდევდნენ მევენახეობასაც — განათხარ მასალებში ყურძნის კურკაც არის აღმოჩენილი.

ფართოდ იყო განვითარებული მესაქონლეობაც. შინაური პირუტყვიდან ჰყავდათ ცხვარი, ძროხა, ღორი, ცხენი, ძაღლი.

მაღალ დონეზე იდგა ხელოსნობა. უკვე იყვნენ კარგად გაწაფული ოსტატები, რომელნიც აკეთებდნენ მშვენიერს, ზოგჯერ საუცხოოდ მოხატულს, თიხის ჭურჭელს, საუკეთესო ბრინჯაოს იარაღს, ლამაზი ორნამენტით შემკულს, მატყლისა და სელის ქსოვილებს, ხმარობდნენ ოთხთვალა და ორთვალა ურმებსა და ეტლებს. ორთვალა ეტლი, რომელშიაც ცხენს უბამდნენ, საომარი საშუალება იყო.

განვითარებული ყოფილა იმდროინდელ საქართველოში ხელოვნებაც. თითქმის ყველა ნივთს, განსაკუთრებით კი — სამკაულებს, ჭურჭლეულობას, იარაღს, საყოფაცხოვრებო საგნებს (მაგ., სარტყლის ბალთებს) ალამაზებდნენ, რთავდნენ ჩუქურთმით, ადამიანის, შინაური და გარეული ცხოველების, მცენარეების გამოსახულებით. ნივთების ეს მორთულობა და მოხატულობა მოწმობს იმდროინდელ ხელოვანთა დაოსტატებისა და გემოვნების დონეს. ამასვე ამჟღავნებს თვით ნივთების ნაკეთობაც.

ხუროთმოძღვრების ყველაზე ძველი ძეგლები ჩვენს ქვეყანაში მეგალითებია. „მეგალითი“ ბერძნული სიტყვაა და „დიდ ქვას“ ნიშნავს. ასეთი ძეგლები დიდი ლოდებისაგან არის აგებული, მაგრამ უკიროდ და უდუღაბოდ. საქართველოში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, ბლომად მოიპოვება მეგალითური ციხე-დარბაზები, ნაქალაქარები, დოლმენები (ჩვეულებრივად ხუთი ლოდისაგან გაკეთებული „ბინაა“, მეტწილად მიცვალებულისათვის; გვხვდება აფხაზეთშიც), მენჰირები (მიწაში ჩასმული მაღალი ქვის სვეტები) და „ვეშაპები“ (მიწაში ჩასმული უზარმაზარი სალოცავი თევზის გამოსახულებანი).

მეგალითურ ძეგლებს ციკლოპურსაც ეძახიან, როგორც ვითომც ზღაპრული არსებების, ციკლოპების, მიერ აშენებულს. ჩვენში ხალხი მათ გმირთ-ნაკვეთებს, დევთა-ნასახლარებს, ქვა-კაცებს უწოდებს.

ეს მეგალითები ადრინდელი ბრინჯაოს ხანის ძეგლები უნდა იყოს.

ბრინჯაოს ხანაში ჩვენს წინაპრებს აღებ-მიცემა უწარმოებიათ საკმაოდ შორეულ მხარეებთან: ხმელთაშუა ზღვის, მცირე აზიის, მესოპოტამიის ქვეყნებთან და ეგვიპტესთანაც. ფულად ბრინჯაოს რგოლებიც გამოუყენებიათ.

უკვე იმ დროს ბარის მოსახლეობაში მდიდარი ხალხი განირჩეოდა ღარიბებისაგან. საზოგადოებრივი უთანასწორობაც უკვე გაჩენილი იყო, ჰყავდათ მონები. არსებობდნენ მთავრებიც.

მაგრამ სიმდიდრე და სიღარიბე, დიდკაცობა და სიბეჩავე-უუფლებობა განსაკუთრებით გაძლიერდა და გავრცელდა მას შემდეგ, რაც რკინა გაჩნდა.

## §6. ხეთურ-სუბარული სახელმწიფოები პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში ძვ. წ.

მეორე ათასწლეულის დამლევისათვის წინა აზიაში ასურეთი გაბატონდა, ხოლო ხეთურ-სუბარული მოსახლეობა მრავალ წვრილ სამ-

თავროდ დაიქსაქსა. ეს სამთავროები შეუპოვრად ებრძოდნენ ასურეთის მეფეებს, რომელნიც ცდილობდნენ მათ დამორჩილებას. XI საუკუნის ასურული წარწერები იხსენიებენ „სუბართი"-ს, ესე იგი, სუბარების ქვეყანას და „მის ამაყსა და ურჩ ხალხს". ამ დროს ხეთურ-სუბარული ტომებიდან უფრო ძლიერი ყოფილან მ უ ს კ ე ბ ი, მერმინდელი მესხები, რომელნიც ზოგჯერ თვითონ ესხმოდნენ თავს ასურეთს და მის თემებს იპყრობდნენ. IX საუკუნეში კი ასურეთის მეფეები ყველაზე ხშირად თ უ ბ ა ლ ე ბ თ ა ნ ბრძოლის შესახებ მოგვითხრობენ.

თუბალები. თუბალი ეფრატის დასავლეთით მდებარე ვრცელი ქვეყანა იყო, რომელიც 24 სამეფოსა თუ სამთავროსაგან შედგებოდა. თუბალის მრავალრიცხოვან ქალაქთა შორის ერთი უმთავრესთაგანი იყო მ ე ლ ი თ ი, იმავე სახელწოდების ოლქის ცენტრი, შემდეგში მელიტენად წოდებული. ასურეთის მეფეები განუწყვეტელსა და მძიმე ბრძოლებს ეწეოდნენ თუბალების წინააღმდეგ, მაგრამ ამასთან ერთად არც მშვიდობიან კავშირებსა და თუბალების მეფეებთან მოყვრობას ერიდებოდნენ. თუბალისაკენ ასურელებს ამ ქვეყნის სიმდიდრე იზიდავდა — ოქრო, ვერცხლი და სხვა ლითონი, საუკეთესო ჯიშის ცხენები. თუბალები კარგად იყვნენ ცნობილნი უფრო შორსაც, მაგალითად, სირია-პალესტინაში. ებრაელების წიგნში, „ბიბლიაში" ანუ „დაბადებაში", რომელშიაც ძალიან ძველი ისტორიული გადმოცემებია დაცული, თუბალი თ უ ბ ა ლ-კ ა ი ნ ა დ იწოდება და მის შესახებ ნათქვამია: „ესე იყო კვერით ხუროი, მჭედელი რვალისა და რკინისა".

„კაინი" მჭედელს ნიშნავს. ამრიგად, ეს სუბარული ტომი მჭედელ-მეტალურგ ხალხად იყო მიჩნეული და სახელდებული. იგი განთქმული ყოფილა თავისი ლითონის, კერძოდ რ კ ი ნ ი ს, ნახელავით.

ჩვენ ვიცით, რომ რკინა სუბარულმა ტომებმა ხმარებაში შემოიღეს უკვე მეორე ათასწლეულის შუა ხანებში. მაგრამ იმ დროს რკინა ჯერ იშვიათი ლითონი იყო, იარაღს კიდევ დიდხანს ჩვეულებრივად ბრინჯაოსაგან აკეთებდნენ. მხოლოდ პირველი ათასწლეულის პირველ საუკუნეებში გავრცელდა უფრო მეტად რკინის იარაღი, თუმცა ამასთან ერთად ბრინჯაოც არ გამოსულა ხმარებიდან. რკინის მეტალურგიის ერთი უმთავრესი კერათაგანი ისევ სუბარეთი იყო.

ამ სამეურნეო და ტექნიკურმა წარმატებამ IX—VIII საუკუნეებში ხელი შეუწყო იმას, რომ ხეთურ-სუბარულმა ტომებმა ახალი ძლიერი სახელმწიფო შექმნეს. ეს იყო უ რ ა რ ტ უ.

ურარტუ. IX საუკუნეში იმ ხეთურ-სუბარული სამთავროებიდან, რომელთაც ეჭირათ მდინარე ტიგროსისა და ევფრატის სათავეები, ვა-

ნის ტბის ოლქი და მისი მეზობელი თემები, თავისი ძლიერებით ბ ი ა-ი ნ ა და მ ა ნ ა გამოირჩეოდნენ.

ბიაინას ვანის ტბის მიდამოები ეჭირა. მანა მის მეზობლად მდებარეობდა. IX საუკუნის დამლევს პირველობა დარჩა ბიაინას, რომელმაც გააერთიანა ეს სამთავროები. ამ გაერთიანებულ სამეფოს ურარტუს ეძახდნენ, მის ხალხს კი ხ ა ლ დ ე ბ ს უწოდებდნენ. განსაკუთრებით გაძლიერდა ურარტუ მ ე ნ უ ა ს ა და მისი შვილის ა რ-გ ი შ ტ ი ს მეფობაში (VIII საუკუნის პირველი ნახევარი).

არგიშტიმ შორს გადასწია თავისი სამფლობელოს საზღვრები მცირე აზიასა და კავკასიაში. მან მრავალრიცხოვანი ძლევამოსილი ლაშქრობა ჩაატარა ასურეთის წინააღმდეგ და დაიპყრო ასურეთის თემები ტიგროსისა და ეფრატის ზემო წელზე. ურარტუ წინა აზიის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა.

ასეთი მდგომარეობა ხალდებმა შეინარჩუნეს ცვალებადი წარმატებით არგიშტის უახლოესი მემკვიდრეების მეფობაშიაც. მაგრამ VIII საუკუნის დამლევიდან იწყება ურარტუს დაქვეითება, ერთი მხრით, ასურელების მუდმივი თავდასხმების გამო, მეორე მხრით, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ახალი უცხო ტომების, უმთავრესად კ ი მ ე რ ი ე-ლ ე ბ ი ს ანუ გ ი მ ი რ ე ბ ი ს და ს კ ვ ი თ ე ბ ი ს შემოსევების წყალობით.

**ურარტუს კულტურა.** ურარტუს სამეფო თავისი კულტურით ხეთურ-სუბარული სამყაროს ნაწილს შეადგენდა. ხალდებიც ლურსმულ დამწერლობას ხმარობდნენ და საკმაოდ ბევრი წარწერა დაგვიტოვეს. განსაკუთრებით თავი ისახელეს ხალდებმა რკინის დამუშავებით. რკინის იარაღით ხალდები კლდეში შესანიშნავ ციხე-დარბაზებს კვეთდნენ. ამ რიგის ხუროთმოძღვრების ნიმუშია საქართველოში კლდეში ნაკვეთი ქალაქი უ ფ ლ ი ს-ც ი ხ ე (გორის მახლობლად, მტკვრის ნაპირას).

714 წელს ასურელებმა ურარტუ დალაშქრეს და მისი ერთი სამთავროთაგანი, მ ა ნ ა ც, დაარბიეს. ასურეთის მეფე ს ა რ გ ო ნ ი, რომელიც თვითონ ხელმძღვანელობდა ამ ლაშქრობას და დაწვრილებით მოგვითხრობს მის ამბავს, დიდად გაკვირვებული დარჩა აქაური ხალხის კულტუროსნობითა და დოვლათიანობით.

მანას ქვეყანა დაფარული ყოფილა დიდი და პატარა არხებით, რომელნიც რწყავდნენ ნოყიერ მინდვრებს. აღმართებში არხებიდან წყალი აჰყავდათ ბორბლებით, რომლებსაც აქლემები ატრიალებდნენ. ხორბალი, ქერი და სხვა პურეული იმდენი მოჰყავდათ, რომ ძველი მოსავლის მარცვლითა და ფქვილით ბეღლები გატენილი ჰქონდათ. თესდნენ ცხენის საკვებ ბალახსაც კი, აშენებდნენ ტყეებს, მაგალი-

თად ჭადრის ხეებისას, და დეკორატიულ მცენარეებსაც, მაგალითად კვიპაროსებს; მთელი ქვეყანა მოფენილი იყო ხეხილის ბაღებითა და ვენახებით, რომელნიც, სარგონის თქმით, „წვიმასავით უხვ ხილსა და ყურძენს" ისხამდნენ. სარგონის ჯარისკაცებს გული უჯერებიათ კეთილი ღვინით აქაურ მარნებში, რომლებიც სავსე ყოფილა ღვინიანი გუდებით.

მრავლად ჰყოლიათ მანაელებს შინაური საქონელი — მსხვილი რქოსანი პირუტყვი, ცხვარი, ცხენი, განსაკუთრებით განთქმული ყოფილან ისინი თავისი მეცხენეობით; აქაურ მცხოვრებთ მეცხენეობა-ცხენოსნობაში მეტოქე არა ჰყავთ მთელ ურარტუშიო, ამბობს სარგონი. ცხენებს უშვებდნენ ველზე ჯოგებად და თავლაშიაც დაბმული ჰყავდათ. ცხენებს ხედნიდნენ უმთავრესად ეტლებში შესაბმელად (აქ უფრო საომარი ეტლები იგულისხმება). ამ მხრივ მანაელების ოსტატობა აოცებდა ასურელებს: ისე ჰყავთ ცხენები გაწვრთნილი, რომ არასოდეს არ გატეხენ ეტლის ხელნასო. ურარტუს სამეფო ჯარს აქედან მისდიოდა ცხენები.

მოსახლეობა მჭიდრო ყოფილა: აქაური ციხე-ქალაქები ურიცხვია, როგორც ვარსკვლავნი ცისანიო, ამბობს სარგონი. თვითონ შენობებიც ხელოვნურად და მტკიცედ ყოფილა ნაგები ქვითა და აგურის კედლებით და დიდი კვიპაროსის თავხეებით (კოჭებით). ქალაქები გარშემორტყმული ყოფილა მეტად განიერი, მაგარი კედლებით, ბურჯებითა და ღრმა თხრილებით.

თავის შრომას ხალხი თურმე „მხიარული სიმღერებით" ახალისებდა, როგორც ამბობს სარგონი, მაგრამ ასურელებმა მათ ცეცხლი და მახვილი მოუტანეს. ხალხი მტერს არც ერთ მტკაველს არ უთმობდა უბრძოლველად. მანაელებს მთის მწვერვალებზე სვეტები ჰქონდათ აღმართული, რომლებზედაც ასურელების მიახლოებისას ცეცხლს ანთებდნენ და შორეულ თემებს ატყობინებდნენ: გაფრთხილდით და მოემზადეთ, მტერი შემოგვესიაო. გააფთრებული ბრძოლა გაუმართეს ასურელებს მანაელებმა, მაგრამ მტერი ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი იყო და გამარჯვებაც მას დარჩა. ქვეყანა აოხრდა, ხალხი კი ზოგიერთი თემიდან მთლიანად აიყარა და ჩრდილოეთისაკენ გადაიხვეწა. ასე ხდებოდა ხოლმე ხშირად მოსახლეობის გადასვლა ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში.

აი, როგორ აღწერს სარგონი თავის მოქმედებას მანას ერთ-ერთ თემში: „ასურის ჯარებით მე კალიასავით დავფარე მათი ქალაქები... მე დავწვი მათი მშვენიერი სადგომები... ქერისა და ხორბლის უშველებელი ხვავები, რომელსაც ისინი მრავალი დღის განმავლობაში აწყობდნენ თავის ბეღლებში ქვეყნისა და ხალხის შესანახავად, მე და-

ვატვირთვინე ჩემ ჯარებს ცხენებსა, ჯორებსა, აქლემებსა და ვირებზე და დავაწყობინე ჩემ ბანაკში, როგორც მთები. ჩემ კაცებს ვაჭამე უხვი საჭმელი, რამდენიც შეეძლოთ. მათ შეაგროვეს სანოვაგის უხვი მარაგი უკან, ასურეთში, წასაღებადაც. მე ავჩეხე მათი დიდებული ხეხილის ბაღები და მათი ურიცხვი ვენახები, მე ბოლო მოვუღე მთელს მათ სასმელს. მე ავჩეხე მათი დიდი ტყეები, რომლებიც ლელიანივით ხშირი იყო. უდაბნოდ ვაქციე ეს ქვეყანა და დავწვი მოჭრილი ხეები... 146 ქალაქი მათ მიდამოში მე დავწვი როგორც ბუჩქნარი და როგორც გრიგალმა კვამლით დავფარე პირი ზეცისა"-ო — ასე იკვეხნის ეს ბარბაროსი.

სარგონის სიტყვით, თვითონ მანაელები თავის ქვეყანას ს უ ბ ი ს ეძახდნენ. ეს იგივე ძველი სახელი ს უ ბ ა რ ი უნდა იყოს.

ხალდების ენისა და კულტურის შესწავლამ სათანადო წყაროთა უსრულობა-სიმწირის მიუხედავად ბოლო ხანებში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. დადგენილია, რომ ხალდური ენის აგებულებას არაფერი აქვს საერთო არც ინდოევროპულ, არც სემიტურ და არც ურალურ-ალტაურ (კერძოდ თურქულ) ენებთან და რომ იგი ხეთურ-იბერული ენებისა და, უპირველეს ყოვლისა, ქართული ენის აგებულებას ემთხვევა. აღმოჩნდა, რომ ხალდების ნივთიერი და სულიერი კულტურა სუმერულ-ხეთურ-სუბარული ცივილიზაციის ორგანული ნაწილი ყოფილა.

ახალ სამყაროსთან ურარტუს კავშირების შესახებ მნიშვნელოვან მითითებებს გვაძლევს გეოგრაფიული და სატომო სახელები. თუ გამოვყვებით ერთერთს მთავარ გზას, რომელიც ხალდების სახელმწიფოს ისტორიულ საქართველოსთან აერთებდა, შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ისეთი გეოგრაფიული სახელწოდებანი, როგორიცაა: ბ ი ა ი ნ ა ანუ ვ ა ნ ი (ურარტუს ცენტრი, ტბა) და მ ა ნ ა ს კ ე რ ტ ი (ამჟამად მელიაზგერდი; ხალდური ეპოქის ქალაქი, რომელმაც საშუალო საუკუნეთა მანძილზე და თვით ახალ ხანამდეც შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა), ბ ა ნ ა და ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ი (სამხრეთ საქართველოს დიდრონი ცენტრები ფეოდალურ ხანაში), ვ ა ნ ი (ანტიკური საქართველოს თვალსაჩინო ცენტრი, ამჟამად დაბა ქუთაისის სამხრეთ-დასავლეთით). „მანასკერტი"-ს და „ფანასკერტი"-ს სახელწოდებაში ირანული, კავკასიურ ენათა მიერ შეთვისებული, სიტყვა „კერტი" (რაც „ქმნილს", „გაკეთებულს" ნიშნავს) ქართული დაბოლოების „ს"-ს (=„ის") მეშვეობით არის ფუძესთან დაკავშირებული.

ამგვარივე მნიშვნელობა აქვს „ხ ა ლ დ ი" ტერმინს, რომელიც მეცნიერებაში მიღებულია ურარტუს ერთ-ერთი ძირითადი ტომის სახელის აღსანიშნავად. ზოგი მკვლევარი საამისოდ ამჯობინებს ტერმინს,

„ურარტი“ და ამას იმით ასაბუთებს, რომ თვით ურარტები თავის თავს არსად და არასოდეს ხალდებს არ ეძახდნენო. ეს საბუთი უნდა უკუვაგდოთ, როგორც სრულიად უსაფუძვლო: ჩვენ ვიცით, რომ ამ ხალხს არც ურარტები უწოდებდა ოდესმე თავისი თავისათვის. სახელწოდება „ურარტუ“ მხოლოდ ასურულს ლურსმულ წარწერებში გვხვდება.

მეორე სახელწოდება კი ცნობილია ბერძნული წყაროებიდან რამდენიმე დიალექტური ფორმის სახით: „ხალიბი“, „ხალდი“, „გორდი“ და სხვ... უძველესი იმ ბერძენ ავტორთა შორის, რომელნიც ძველი აღმოსავლეთის ამ ქვეყნის შესახებ მოგვითხრობენ, ჰეკატე მილეთელი (ძვ. წ. VI ს.), წერს, რომ არმენების ჩრდილო მეზობლები (იმ ხანაში, როდესაც არმენები ჯერ კიდევ შეჭრილი არ იყვნენ ურარტუს ტერიტორიაზე) ხალიბები არიან, მომდევნო საუკუნის მიწურულში ამ ადგილების პირადად დამვლელის, მწერლისა და მხედართმთავრის, ქსენოფონტეს ცნობით, არმენებს ხალიბები უკვე შევიწროვებული ჰყოლიათ და სამხრეთ ურარტუს ვაკეები თვითონ სჭერიათ. მაგრამ ამასთანავე ქსენოფონტე აღწერს მთებში მცხოვრებ ხალდებს, როგორც დამოუკიდებელს, ძლიერსა და მეომარ ხალხს, რომელიც არ ურიგდება თავისი მიწა-წყლის დაკარგვას და მედგრად განაგრძობს ბრძოლას მის დასაბრუნებლად. რომ ხალდები იგივე ხალიბები არიან, ეს იცის უკვე სტრაბონმა, რომელიც გვეუბნება, რომ ხალიბი ძველი სახელწოდებაა, ხოლო „ხალდი“ — უფრო ახალი. მართლაც, ორსავე სახელწოდებას ერთიდაიგივე ფუძე აქვს; ისინი მხოლოდ დაბოლოებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თუმცა ორივე დაბოლოება წმინდა ქართულია. შემდგომ ხანაში ხალიბ-ხალდების ერთმა ნაწილმა დიდხანს და მტკიცედ გასძლო (მანამდე, ვიდრე ოსმალო-თურქები აოხრებდნენ იქაურობას) საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე — შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე და მდინარე ევფრატისა და ჭოროხის სათავეებში, ბიზანტიის იმპერიის ხანაში ხალდების რაიონებისაგან იქმნება (ახ. წ. VIII საუკუნიდან) თემი ხალდია, რომლის ცენტრად ქ. ტრაპეზუნტი იქცა და რომელშიაც შედიოდნენ აგრეთვე ქალაქები: ერზინჯანი, ბაიბურთი და სხვა. 1404 წელს ეს თემი გზად გაუვლია ესპანეთის ელჩს კლავიხოს, რომელიც აგვიწერს ტრაპეზუნტის სამეფოს ხალდიის პროვინციას გიუმუშხანეს, კელკითისა და ბაიბურთის ფარგლებში.

ხალიბ-ხალდებს ანტიკური ხანაში ჯერ კიდევ მოსდგამთ ისეთი ეროვნულ-კულტურული თვისებანი, რომელნიც უაღრესად მჭიდროდ ანათესავებენ მათ ურარტუსთან.

ასე: მაგალითად, ანტიკურ სამყაროში ხალიბებს რკინის დნობა-ჩამოსხმის საუკეთესო ოსტატებისა და ფოლადის გამომგონებლების სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი, ხოლო, სტრაბონის ცნობით, გორდიები „ითვლებოდნენ საუცხოო ხუროთმოძღვრებად და ციხის საალყო იარაღების დახელოვნებულ ოსტატებად, რის გამოც მათ ამგვარ სამუშაოებზე იწვევდა ხოლმე ტიგრანი“ (იგულისხმება სომხების ცნობილი მეფე, ძვ. წ. I საუკუნეში რომ ცხოვრობდა).

ხალდების ეთნიკური ვინაობა სრულიად უეჭველია: ისინი ქართველი ხალხის ერთ ნაწილს შეადგენდნენ. რიგი ძველსომხური წყაროები მოწმობენ, რომ ხალდები იგივე ჭანები არიან, ე. ი. ის ცნობილი ქართული მოდგმის ტომი, რომელმაც დღემდე შემოინახა თავი თურქეთში სასტიკი დევნისა და შევიწროების მიუხედავად.

## თავი II

# ანტიკური ხანის მონათმფლობელური სახელმწიფოები საქართველოში

### § 7. საქართველოს მეზობელი ქვეყნები VII და VI საუკუნეებში ძველი წელთაღრიცხვით

**მიდია და სპარსეთი.** VII—VI საუკუნეებში საქართველოს მეზობელ ქვეყნებში დიდი ცვლილებები მოხდა. მოიშალა და დაემხო ძველი სახელმწიფოები, მათ ადგილას კი ახალი აღმოცენდა. ბევრმა ტომმა გამოიცვალა თავისი ადგილსამყოფელი, ახალი მიწა-წყალი დაიპყრო და დაპყრობილი ტერიტორიის მოსახლეობა ან გააძევა, ან შეიერთა, ან მოსპო. მოსულებისა და ძამხდურების შეერთებით საფუძველი ჩაეყარა ახალ ხალხებსაც.

ურარტუს სამეფოს მიდიელებმა მოუღეს ბოლო VII საუკუნის დამლევს. მათვე შემუსრეს აგრეთვე ასურეთი, რომელიც ამავე საუკუნეში წინა აზიის ყველაზე ძლიერი სახელმწიფო იყო.

მაგრამ არც მიდიელების ბატონობა გამოდგა ხანგრძლივი. მალე პირველობა სპარსელების ხელში გადავიდა. სპარსელების მეფემ კიროსმა ჯერ (550 წელს) მიდიის სამეფო დაიპყრო, შემდეგ ხმელთაშუა ზღვისაკენ გაიკაფა გზა, ბოლოს ბაბილონიც დაიმორჩილა. ასე წარმოიშვა სპარსეთის უზარმაზარი სახელმწიფო, რომელსაც აქემენიდების სამეფოსაც ეძახიან, იმიტომ რომ კიროსი და მისი მემკვიდრეები აქემენიდების საგვარეულოს ეკუთვნოდნენ.

**იონიელი ბერძნები.** VII—VI საუკუნეებში მცირე აზიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ ზღვისპირა ბერძნულ ქალაქებს. ბერძენი ტომები აქ საბერძნეთიდან მოვიდნენ დიდი ხნის წინათ და ეგეოსის ზღვისპირას დამკვიდრდნენ. ბერძენ ტომთაგან აქ განსაკუთრებით ძლიერი იყვნენ იონიელები, რომლებმაც მთელი რიგი ქალაქები დააარსეს, მათ შორის — მილეთი. მილეთი მცირეაზიელი ბერძნებისა და საერთოდ წინა აზიის უმნიშვნელოვანესი ქალაქთაგანი იყო. მილეთის ნავსადგურში თავდებოდა ძველი ქვეყნის ყველაზე დიდი სავაჭრო გზა, რომელიც შორეულ ინდოეთში იწყებოდა. როცა ბერძნები პირველად მოვიდნენ მცირე აზიაში, აქ ჯერ კიდევ ძლიერი იყო ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლეობის — ხეთა-სუბარების — კულტურა. ბერძნებმა შეითვისეს იგი. აქაურ ქალაქებში. განსაკუთრებით მილეთში, ჩაისახა და განვითარდა ბერძნული სამეცნიერო და პოეტური მწერლობა, ბერძნული ხელოვნება.

VI საუკუნის დამლევს მცირეაზიელმა ბერძნებმაც სპარსელების ბატონობა აღიარეს.

**სკვითები და სარმატები.** კავკასიონისა და შავი ზღვის ჩრდილოეთით VII—VI საუკუნეებში სკვითები და სავრომატები, ანუ სარმატები, პირველობდნენ. სკვითებს ეჭირათ ტერიტორია მდ. დუნაიდან მდ. დონამდე, დონიდან აღმოსავლეთით კი უკვე სარმატების მიწა-წყალი იწყებოდა. სკვითიცა და სარმატიც კრებითი სახელები იყო და მრავალს სხვადასხვა მოდგმის ტომს აღნიშნავდა. სარმატებად თვლიდნენ, მაგალითად, ქართველების მონათესავე ზოგიერთ ჩრდილო-კავკასიელ ტომსაც — ჩერქეზებს, ქისტებსა და სხვებს.

VII—VI საუკუნეებში განსაკუთრებით ძლიერი იყვნენ სკვითები. სპარსელების მეფემ დარიოსმა, რომელიც დარწმუნებული იყო, დედამიწის ზურგზე ჩემი სწორი არავინ არისო, სკვითების დამორჩილება სცადა, იგი უზარმაზარი ლაშქრით შეესია სკვითეთს, მაგრამ მწარე დამარცხება იწვნია.

## § 8. ბერძნული ახალშენები შავი ზღვის სანაპიროზე

ძველთაძველი დროიდანვე კავკასია-საქართველოს ხალხებს აღებმიცემა ჰქონდათ ეგეოსის ზღვის ხალხებთან. ამ გაკვალულ გზებს შემდეგში ბერძნებიც მიჰყვნენ. VII საუკუნეში ეს ვაჭრობა ისე გაფართოვდა და გაცხოველდა, რომ ბერძნებმა საჭიროდ დაინახეს, შავი ზღვის სანაპიროზე მუდმივი ბინა გაეჩინათ. ისინი შეუდგნენ აქ ახალშენების დაარსებას.

ყველაზე მეტი ახალშენი შავი ზღვის სანაპიროზე მილეთმა გაიჩინა.

საქართველოში ბერძნული ახალშენები იყო ფასიდი (ანუ ფაზისი), დიოსკურია, პიტიუნტი. ეს იყო სანავსადგურო ქალაქები. ფასიდი, დღევანდელი ფოთის ადგილას მდებარეობდა, დიოსკურია — სოხუმის ადგილას ან მის მახლობლად, პიტიუნტი, რომელსაც ძველი ქართველები ბიჭვინტას ეძახდნენ, მდინარე ბზიფის შესართავის ახლოს იყო აშენებული.

ბერძნებს ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მეტად ვაჭრობა აინტერესებდათ. აქ და, საერთოდ კავკასიაში ბერძნებს ბევრი თავისთვის საჭირო საქონელი ეგულებოდათ. ბერძნებს აქედან გაჰქონდათ სელი და სელის ქსოვილები; ბეწვეული, ტყავი, ძვირფასი ხის, მაგალითად ბზის, მასალა, საშენებელი ხე-ტყე, ოქრო და სხვა ლითონები. შემოჰქონდათ კიდევ თავისი ხელოსნების ნაწარმოები: ქსოვილები, სამკაულები, ჭურჭლეულობა და კვების ზოგი პროდუქტებიც (მაგ., ზეთი).

მაგრამ კავკასიაში დამკვიდრებულ ბერძნებს პრაქტიკულმა ინტერესებმა თანდათან ცნობისმოყვარეობა გაუცხოველა — რა ხალხები ცხოვრობენ შავი ზღვის სანაპიროზე, როგორია მათი ზნე-ჩვეულება, მეურნეობა, გზები, საზოგადოებრივი წყობილება და ისტორია, როგორია აქაური ბუნებაო? ამგვარ ცნობებს ჯერ ვაჭრები, მეზღვაურები და სამხედრო პირები კრებდნენ, შემდეგ იმდროინდელი მეცნიერები ამუშავებდნენ.

## § 9. ძველი ბერძნული ცნობები საქართველოს შესახებ

ამრიგად, თუ ჩვენი ქვეყნის ისტორიას VII—VI საუკუნეებამდე ძველი წ. უმთავრესად არქეოლოგიური მასალის საშუალებით ვსწავლობთ, ამ დროიდან მოყოლებული უკვე წერილობით ცნობებსაც ვიყენებთ. ძველ ბერძნულ მწერლობაში დაცულია ჩვენი ქვეყნის ბუნების, მოსახლეობისა და მისი კულტურის, სახელმწიფო საზღვრებისა და ისტორიის აღწერილობა. თავდაპირველად ეს ცნობები მცირე იყო, მაგრამ ისინი თანდათან გამრავლდა და გამდიდრდა.

ქართველ ტომთა დასავლურ გაერთიანებას ბერძნები თავიდანვე კოლხებს ეძახდნენ, აღმოსავლურს — ჯერ სასპერებს (რაც „სასუბარო"-დან უნდა იყოს წარმომდგარი), ხოლო შემდეგში, IV საუკუნიდან მოყოლებული ძველი წელთაღრიცხვით, იბერებს.

**აღწერილობითი ცნობები.** უკვე უძველესი ბერძნული ცნობები (VI—IV სს. ძვ. წ.) საქართველოს მცენარეულობით, ცხოველებითა და მინერალური ნედლეულით მდიდარ ქვეყნად გვიხატავენ. კულტურული მცენარეებიდან დასახელებულია ვაზი და აღნიშნულია, რომ აყე-

ნებდნენ ღვინოს, მოხსენებულია კაკალი და წაბლი. აღნიშნულია, რომ წაბლის ნაყოფს დიდი რაოდენობით ხმარობდნენ მოხარშულს, ან პურის სახით გამომცხვარს. შავი ზღვისპირა ქვეყნების და, მაშასადამე, საქართველოს შესახებაც ნათქვამია, რომ აქ აშენებენ ყოველნაირი ჯიშისა და კარგი ხარისხის მსხალსა და ვაშლს დიდი რაოდენობით, ბლომად ხარობს აქ აგრეთვე ლეღვი და ბროწეული. ზოგი ხეხილი აქედან შემდეგში სხვა ქვეყნებშიაც გავრცელდა. მაგალითად, კოლხეთის ქალაქ კერასუნტიდან რომაელებმა პირველად შეიტანეს ევროპაში ბალი, რომლის სახელი ევროპულ ენებში კერასუნტის სახელთანაა დაკავშირებული. პურეულიდან დასახელებულია ხორბალი, ასლი და ქერი. პური ზოგიერთ რაიონში ისეთი რაოდენობით მოჰყავდათ თურმე, რომ ახალი მოსავლის აღების შემდეგაც წინა წლის მოსავლიდან დიდი მარაგი რჩებოდათ. ტექნიკური (სართავი) მცენარეებიდან უკვე V საუკუნეში ძვ. წ. განთქმული იყო კოლხური სელი და მისი ქსოვილი, რომელიც საზღვარგარეთ გაჰქონდათ, ჩანს, მნიშვნელოვანი რაოდენობით. ფასიანური (ე. ი. მდ. ფასიდის ანუ რიონის რაიონის) თხელი სელი საუკეთესო მასალად იყო მიჩნეული, აგრეთვე, ბადეებისათვის. იხსენიება სხვადასხვა ბოსტნეულიც.

ცნობილი იყო, აგრეთვე, შავი ზღვისპირის ფუტკარი, ხშირი და მდიდარი ღალა იცისო, და აქაური „თეთრი და სქელი თაფლი". დასავლეთ საქართველოს ამგვარ თაფლს, რომელსაც ქართულად „კრიპუჯი" ჰქვია, შემდეგშიაც ყოველთვის ძალიან აქებდნენ უცხოელები. მისდევდნენ შინაურ მეფუტკრეობას (ფუტკარი სკებში ჰყავდათ) და, აგრეთვე, ტყის ფუტკრის თაფლსაც აგროვებდნენ. შინაური ოთხფეხიდან დასახელებულია ძროხა, ცხვარი, ღორი, თხა, ცხენი, ვირი. დიდი ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე წერს: „ფასიდზე არის პატარა ძროხები, რომელთაგანაც თითოეული ბევრ რძეს იძლევა". ეს ქართული ჯიშის ძროხა — პატარა ტანისა, მაგრამ კარგი მეწველი, დღემდე არის ჩვენში შემონახული (მაგალითად, ხევსურეთში).

ძველი ბერძნები საქართველოს ლითონებით მდიდარ ქვეყნად თვლიდნენ, ამ ქვეყანაში ბევრია ოქრო, ვერცხლი და რკინაო. მოუთხრობდნენ, რომ კოლხეთის ერთმა უძველესმა მეფემ თავის სახელმწიფოში, განსაკუთრებით სვანეთში, აუარებელი ოქრო და ვერცხლი მოიპოვაო. იუწყებიან, აგრეთვე, სხვა მინერალების შესახებაც. მაგალითად, როგორც კოლხეთში, ისე იბერიაში ძველთაგანვე წარმოებდა სინგურის მოპოვება (ამ მინერალიდან, რომელიც ვერცხლისწყლისა და გოგირდის შენაერთია, წითელ საღებავს ამზადებენ).

კიდევ უფრო დიდი აზრისა იყვნენ ბერძნები აქაური მეტალურგების შესახებ. ამ მხრივ განსაკუთრებით ბევრი ცნობა დაგვიტოვეს

მათ სამხრეთის ტომების — ხალიბებისა და მოსინიკების — შესახებ. ხალიბების ქვეყანაში მდინარეებს რკინის ქვიშა ჩამოაქვს. ხალიბები ამ ქვიშას რამდენიმეჯერ რეცხავენ და ადნობენ ეგრეთწოდებულ „ცეცხლგამძლე ქვასთან“ ერთად, რომელიც ბევრია მათ ქვეყანაში. ასე ამზადებენ ხალიბები რკინას, რომელიც ბევრად სჯობია სხვა რკინას და ვერცხლში ძნელი გამოსარჩევია. მხოლოდ ამგვარ რკინას არ ეკიდება ჟანგიო. აქ აღწერილია მაღალი ხარისხის ფოლადის დამზადებაც. ამიტომაა, რომ ფოლადის ბერძნული სახელი — „ხალიფს“, ხალიბების სახელწოდებისაგანაა ნაწარმოები და ხალიბურ ლითონს აღნიშნავს. ასეთივე ნახელავით ცნობილი იყვნენ ტიბარენებიც, ხალიბების მეზობლები. ხალიბების სხვა მეზობლები, მოსინიკები, განთქმული იყვნენ თავისი მაღალხარისხოვანი თითბერით. მოსინიკების სპილენძი კაშკაშა ელვარეა და მეტისმეტად თეთრი; სპილენძს მოსინიკები კალას კი არ ურევენ, არამედ ერთგვარ იქაურ მიწას, რომელსაც სპილენძთან ერთად აღნობენო. თითბერის სახელიც ზოგიერთ ევროპულ ენაში (მაგ., გერმანული „მესინგ“) მოსინიკების სახელისგან არის წარმომდგარი. ხალიბების, მოსინიკებისა და ტიბარენების ტერიტორია, რომელიც ჭოროხის აუზსა და ტრაპიზონ-გირესუნ-ორდუს საზღვრებზე მოდის, განსაკუთრებით ამ ტერიტორიის მთიანეთი, მართლაც, მეტად მდიდარია ლითონის მადნებით.

ეს სიმდიდრე იზიდავდა ბერძნებს კავკასია-საქართველოსაკენ. აი, როგორ აგვიწერს ერთი ძველი ბერძენი მწერალი საზოგადოდ შავი ზღვისპირა ქვეყნებს: „პონტოში ბევრი რამ არის სხვა ხალხების ცხოვრებისათვის სასარგებლო... პონტოს გარშემო მდებარე ქვეყნები გვაწვდიან აუცილებელი სასიცოცხლო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად პირუტყვს და უეჭველად საუკეთესო მონებს უდიდესი რაოდენობით. ხოლო ფუფუნების საგნებიდან უხვად გვაძლევენ თაფლს, ცვილს (თაფლის სანთელს) და დამარილებულ თევზს. ხოლო იმ ნაწარმოებიდან, რითაც მდიდარია ჩვენი ქვეყნები, იღებენ ზეთსა და ყოველგვარ ღვინოს. პურითაც აღებ-მიცემობენ ჩვენთან; ხან გვაწვდიან საჭიროების დროს, ხან იღებენ“.

ასეთი აღწერილობითი ცნობების გარდა, ძველმა ბერძნულმა მწერლობამ შეინახა ბევრი თქმულებაც საქართველოს შესახებ.

**თქმულება პრომეთეზე.** განსაკუთრებით ცნობილია თქმულებები პრომეთესა და არგონავტების შესახებ. პრომეთე იგივე ქართული ამირანია. პრომეთეს თქმულება ხიბლავდა როგორც ძველი, ისე ახალი დროის მწერლობასაც, იმიტომ რომ ამ თქმულებაში გამოხატული იყო თავისუფლებისმოყვარე ადამიანების ბრძოლა ბუნებისა და საზოგადოების ბნელ ძალებთან და კაცობრიობის პირველი, მნიშვნე-

ლოვანი ნაბიჯი კულტურის გზაზე. ბევრმა პოეტმა გამოიყენა ამიტომ პრომეთეს თქმულება თავისი ნაწარმოების თემად.

თქმულების შინაარსი ასეთია: ტიტანების შთამომავალმა, პრომეთემ — იაფეტის ძემ, მოსტაცა ზეციდან ღმერთების მეუფე ზევსს ცეცხლი და მოუტანა იგი ადამიანებს; ცეცხლის საშუალებით ადამიანებმა თავი დააღწიეს ცხოველურ მდგომარეობას, აზროვნების უნარი შეითვისეს და ყოველგვარი ხელოვნება გამოიგონეს. ცეცხლის საშუალებით შეძლეს მათ ლითონის დამუშავებაც. განრისხებულმა ზევსმა მძიმე ჯაჭვით შებორკა გმირი პრომეთე და დააბა იგი კავკასიონის ქედზე. ზევსისავე ბრძანებით, ფრთაგრძელი ორბი უკორტნიდა პრომეთეს უკვდავ ღვიძლს, რომელიც ღამღამობით კვლავ მთელდებოდა. ადამიანები პრომეთეს მხარეზე არიან: კოლხეთის ასულნიც, რომელნიც ომში უშიშარი არიან, კავკასიონის მახლობლად აღმართული მაღალი ციხის მრისხანე ლაშქარიც და სკვითების მრავალრიცხოვანი ტომებიც, ყველანი თანაუგრძნობენ პრომეთეს ტანჯვას. თვით პრომეთე უდრეკია და ამაყი. იგი მზადაა, აიტანოს ყოველგვარი ტანჯვა, ოღონდ ზევსს არაფერი დაუთმოს. პრომეთე თავის თავს ზევსზე უფრო ძლიერ არსებადაც კი გრძნობს, იმიტომ რომ პრომეთემ იცის საიდუმლოება, რომელიც დაფარულია ყველა სხვისაგან, თვით ზევსისაგან, ეს არის საიდუმლოება იმ მიზეზის შესახებ, რომელიც ოდესმე დაამხობს ზევსსა და მის ძალაუფლებას. ბოლოს გმირი ჰერაკლე, მართლაც, მოკლავს მტარვალ ორბს და გაათავისუფლებს პრომეთეს.

**თქმულება არგონავტებზე.** არანაკლებ ცნობილია მეორე ბერძნული თქმულება არგონავტების შესახებ. კოლხეთში მეფობს აიეტი, ჰელიოს-მზის შვილი. აიეტს ჰყავს ასული, მშვენიერი მედეა. ყოველგვარ სხვა სიმდიდრის გარდა აიეტი მფლობელია „ო ქ რ ო ს ს ა წ მ ი ს ი ს ა ც“, ანუ ვერძის ოქროს ტყავისა. თქმულებამ, რომ კოლხეთში „ოქროს საწმისია“ დაცული, სურვილი აღუძრა საბერძნეთის გმირებს, იასონის მეთაურობით წასულიყვნენ კოლხეთში ამ ძვირფასი განძის მოსაპოვებლად. იასონმა და მისმა რაზმმა პირველად შეასრულეს ისტორიაში ასეთი შორეული საზღვაო მგზავრობა; მათს ხომალდს სახელად ერქვა „არგო“ და ამიტომ იასონსა და მის მხლებლებსაც „არგონავტები“ ეწოდა.

არგონავტები მოვიდნენ კოლხეთში და მდინარე ფასიდით ავიდნენ კოლხეთის დედაქალაქ აიაში. სიმდიდრითა და სილამაზით ბრწყინავდა აია: მაღალი სასახლეები, ფართო კარები და სვეტების მწყობრი რიგი კედლების გარშემო, სპილენძით გამაგრებული ბურჯები, ფოთოლმწვანე, მდიდრულად დაბურული ვაზები, დაუშრობელი წყაროები, რომელთაც რძე, ღვინო, სურნელოვანი ზეთი და წყალი სდიო-

დათ. აქ ცხოვრობდა კოლხეთის მეფე, საშინელი ხმისა და უზარმაზარი ღონის მქონე აიეტი. იასონი წარუდგა აიეტს და სთხოვა მას ოქროს საწმისი, სამაგიეროდ შენი მტრების, სარმატების, წინააღმდეგ დაგეხმარებიო. აიეტი პირობას უდებს იასონს — მოგცემ საწმისს, თუ ისეთ საგმირო საქმეს შეასრულებ, მე რომ გიჩვენებო.

კოლხეთის მეფემ მოიყვანა სპილენძისჩლიქებიანი ხარები, რომელთაც სპილენძისავე პირიდან ცეცხლი ამოსდიოდათ. აიეტმა მარტომ დაადგა ხარებს უღელი და შეაბა ისინი ფოლადისგან გაჭედილ სახვნელში. თავისი სახვნელით სწორი კვლები გაავლო აიეტმა და ერთი მხარის სიღრმეზე მოხნა მიწა, ხარები კი სპილენძის ჩლიქებით აფშვნევდნენ ბელტებს.

იასონი ვერასოდეს ვერ შეასრულებდა ამ საქმეს, მაგრამ მას დაეხმარა კოლხეთის მეფის ასული, რომელსაც შეუყვარდა ბერძენი ვაჟკაცი. მედეა გრძნეული იყო და პრომეთეს წამლის კეთება იცოდა, როცა ორბმა პრომეთეს სქელი სისხლი დაღვარა მიწაზე, იმ ადგილას ამოვიდა უცხო ყვავილი, რომლის წვენისაგანაც დააყენა მედეამ თავისი წამალი. ვინც ამ წამალს ტანზე დაიცხებდა, მას ვერაფერს აკლებდა ხმალი და ცეცხლი და ძალ-ღონეც ემატებოდა. ეს წამალი გადასცა იასონს მედეამ. იასონმა შეასრულა ამ გზით აიეტის პირობა.

შემდეგ იასონმა ისევ მედეას დახმარებით მოკლა უშველებელი გველეშაპი, რომელიც კავკასიის მიწისგან იყო ნაშობი და რომელიც სდარაჯობდა არეოსის ტყეში მუხის წვერზე დაკიდულს ოქროს საწმისს. არგონავტებმა დაისაკუთრეს ეს ძვირფასი განძი, მოიტაცეს თვით მედეაც და მალულად გაეშურნენ შინისაკენ. გაძარცულმა აიეტმა მდევარი გამოუყენა არგონავტებს, მაგრამ კოლხების ცდამ ფუჭად ჩაიარა, ხოლო აიეტის ვაჟი, აფსირტი, დაიღუპა ამ დევნაში.

არგონავტების თქმულებაც ბევრმა პოეტმა გალექსა.

**თქმულებები კავკასიის ხალხთა და სახელმწიფოთა წარმოშობის შესახებ.** ძველ ბერძნულ მწერლობაში ვპოულობთ, აგრეთვე, თქმულებებსა და გადმოცემებს იმის შესახებ, თუ როდის ან საიდან წარმოიშვნენ კავკასიის ხალხები და მათი სახელმწიფოები. ყველაზე გავრცელებული ამ თქმულებათა შორის იმავე იასონთანაა დაკავშირებული.

ოქროს ვერძის მოტაცების შემდეგ იასონი და მედეა ისევ დაბრუნდნენ კოლხეთში. აქ იასონმა დიდი დახმარება აღმოუჩინა თავის სიმამრს, მეფე აიეტს, რომელიც მტრებისგან შევიწროებული იყო. იასონმა დალაშქრა მეზობელი ქვეყნები და დიდი მიწა-წყალი დაიპყრო. განსაკუთრებით დიდი ღვაწლი გადაიხადა იასონმა სასპერ-იბერების ქვეყანაში, მაგალითად, კალაპოტი გაუჭრა და ზღვისაკენ გზა

მისცა მდინარე არაქსს, რომელიც ბარში ტბად დამდგარიყო. იბერები თვლიდნენ იასონს თავის მამამთავრად, სალოცავებს აგებდნენ მის სახელზე და თაყვანს სცემდნენ მას, როგორც ღმერთს. იასონის ერთმა თანამგზავრმა, არმენმა, დააარსა არმენიის სახელმწიფო და თავისი სახელი მისცა მას. ასევე მედეამ და მისმა შვილმა მედმა დააარსეს მედიის ანუ მიდიის სახელმწიფო და თავისი სახელი მისცეს მას. იასონის სხვა ამხანაგებმა დააარსეს რიგი ქალაქები და სახელმწიფოებიო.

კიდევ ბევრი სხვა თქმულება და ამბავი დადიოდა ბერძნებში საქართველოს შესახებ. ეს თქმულებები ჩვენი ქვეყნის ნამდვილი ცხოვრებისა და ბუნების ანარეკლზეა აშენებული, მხოლოდ აქ ჭეშმარიტება შეფერადებულ-გაზღაპრებულია.

**ბერძნული ცნობებისა და თქმულებების მნიშვნელობა.** ბერძნული ცნობები და ამბები საქართველოს შესახებ დამატებით შუქს ჰფენენ ჩვენი ქვეყნის ნიადაგიდან ამოღებულ არქეოლოგიურ მასალას. თუ ამას ზედ დავურთავთ იმ დასკვნებსაც, რომელსაც გვაწვდის მეცნიერება კულტურული მცენარეების, შინაური ცხოველების, სამთამადნო საქმისა და მეტალურგიის, ტექნიკის ისტორიისათვის საქართველოში, მივიღებთ უფრო სრულ სურათს განვითარების იმ დონის შესახებ, რომელზედაც იდგა საქართველოს მოსახლეობა VI—V საუკუნეებში ძვ. წ.

უკვე ძველადვე ფიქრობდნენ, არგონავტების თქმულება დაკავშირებულია კოლხეთში ოქროს მოპოვებასთანაო. განთქმული ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი მოგვითხრობს, რომ კოლხებისა და სვანების ქვეყანაში „წყლის ნაკადებს ჩამოაქვთ ოქრო და ბარბაროსები აგროვებენ მას დაჩვრეტილი როფებისა და ბანჯგვლიანი ტყავების საშუალებით. ამბობენ, რომ აქედან წარმოიშვა ზღაპარი ოქროს საწმისის შესახებ"-ო. მეორე მწერალი, ხარაქს პერგამელი კი ამტკიცებს, რომ „ოქროს საწმისი არის მხოლოდ ოქროს მოპოვების წესი, რომელიც დაწერილი იყო ტყავებზე. ამ ღირსშესანიშნავი წესის გულისათვის იყო სწორედ ლაშქრობა მოწყობილი ხომალდ არგოთი".

ოქრო ნამდვილად არის საქართველოს მდინარეებში და მისი მოპოვებაც წარმოებს ახლა.

ოქროს გარდა, როგორც ვნახეთ, ისტორიული საქართველოს ნიადაგიდან იღებდნენ და ამუშავებდნენ რკინას, სპილენძს, ვერცხლსა და სხვა ლითონებს; ეს ძველი ხელობა ქართველმა სახალხო მჭედლებმა ჩვენ დრომდე შემოინახეს. რაჭაში, მაგალითად, იყო მთელი რაიონი, „სარკინეთად" წოდებული (ჯეჯორისა და ქვედრულას ხეობები), სადაც „რკინის კაცები" — მჭედლები, ამხანაგობებად გაერთიანებულნი, აწარმოებდნენ ადგილობრივ რკინის მადნეულის მოპო-

ვებას, მადნეულის რკინად დაწურვასა და დაყენებას, საჭედური რკინიდან „ხელადის“ (სხვადასხვა იარაღისა და ნივთის) დამზადებას. რაჭველი მჭედლები, მაღალი ხარისხის ლითონის მიღების მიზნით მადნეულს რთული, მრავალსაფეხურიანი წესით ამუშავებდნენ და მასში „სადუღებს“ ურევდნენ — „ფაშას“, „სადუღ მიწას“ და სხვას. „ფაშას“ რაჭველი მჭედლები შავ ქვას ანუ მარგანეცს უწოდებდნენ. ამრიგად „ტანმოქნილ“ რკინას შემდეგ სხვადასხვაგვარი წრთობის საშუალებით „ფხასა“ და „კბილს“ აძლევდნენ.

ოქროს ვერძის ლეგენდა შესაძლებელია მიუთითებდეს, აგრეთვე, ადგილობრივ ცხვარზე, რომელსაც კარგი მატყლი ჰქონდა. ძველი ქართული ჯიშის ცხვარი შენახულია დღემდის და „იმერულ ცხვრად“ იწოდება. იგი ცნობილია თავისი ნაზი ბეწვით. ეს არის უდუმო კუდიანი ცხვარი, როგორსაც ხეთაში აშენებდნენ.

ფოლადის სახვნელი, სპილენძისჩლიქებიანი ხარი, ღრმა და სწორი ხნული იმის გამოძახილია, რომ, ბერძნების ცნობით, ძველი კოლხები ხელოვანი მიწათმოქმედნი იყვნენ და ლითონის გაუმჯობესებული იარაღით სარგებლობდნენ.

მართლაც, მიწათმოქმედებას, კერძოდ, მემინდვრეობას, საქართველოში ძალიან ძველი ისტორია აქვს. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ ხორბალი, კაცობრიობის ძირითადი საკვები პროდუქტის მცენარე. მეცნიერები ფიქრობენ, რომ კულტურული ხორბლის მთავარი სამშობლო ამიერკავკასიასა და წინა აზიაში უნდა ვეძიოთ, ამასთანავე დადგენილია, რომ საქართველოში, მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით, დაცულია ხორბლის კულტურულ სახეობათა ყველაზე დიდი რაოდენობა (12 სახეობა და 130 სახესხვაობა). კულტურული ხორბლის ორი სახეობა — მახა და ზანდური საქართველოს გარეთ არსად არ გვხვდება. ზოგი მეცნიერის აზრით, მახა ის ხორბალია, რომელიც პირველად გააშინაურა (გარეული სახიდან კულტურულ სახედ აქცია) ადამიანმა. იგი ამჟამად მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში მოჰყავთ და მის ასაღებად ხმარობენ ნამგალს და ცელს კი არა, არამედ თავისებურ იარაღს, რომელსაც შნაკვი ეწოდება.

მეცნიერთა ამ მოსაზრებებსა და ძველი წყაროების ცნობებს არქეოლოგიური მასალაც ემოწმება. ზუგდიდის რაიონში ერთი ყორღანის გათხრის დროს აღმოჩენილ იქნა წაბლი, წიწიბო (წიფლის ნაყოფი), რკო და თხილი, რომელიც საკვებად უხმარიათ, და, რაც უფრო საყურადღებოა, მახა ხორბლის, ქერის, ფეტვისა და ქვრიმას ნაშთები. ამრიგად, დადასტურდა, რომ სამი ათასი წლის წინათ საქართველოს მოსახლეობა უკვე აშენებდა ამ პურეულ მცენარეებს.

დაწინაურებული მიწათმოქმედებისათვის შესაფერისი ტექნიკა იყო საჭირო. ამ მხრივაც დადასტურებულია, რომ საქართველოში შემონახულია ძველი სახვნელი იარაღის მეტად მნიშვნელოვანი სახეები, კერძოდ — რაჭული სახვნელი. რაჭული სახვნელი ერთი ყველაზე უფრო გაუმჯობესებული იარაღია თანამედროვე საქარხნო გუთნების წინამორბედთა შორის.

მედეას გრძნეული წამალი ხალხური სამკურნალო საქმის განვითარებაზე მიუთითებს. ქართველ ხალხში ახლაც ზოგი სასარგებლო წამლის დამზადება იციან.

ტყავზე დაწერილი წესი ოქროს მოპოვებისა დამწერლობის არსებობას გულისხმობს. III საუკუნის (ძველი წელთაღრიცხვით) ბერძენი მწერლები ამასაც ამტკიცებდნენ: კოლხებს ახლაც შენახული აქვთ ფიცრები, რომლებზედაც მათი მამა-პაპის მიერ წარწერებია გაკეთებული და მოგზაურობისათვის ნაჩვენებია ყველა გზა და წყლისა და ხმელეთის საზღვრებიო. ასეთი ფიცრები გეოგრაფიული რუკები უნდა ყოფილიყო.

## § 10. იბერიისა და კოლხეთის სამეფოების წარმოშობა

ზემოთ განხილული ცნობებიდან ჩანს, რომ VI საუკუნის დამდეგს ძვ. წ. სუბარეთის ჩრდილოეთ რაიონების, კერძოდ დღევანდელი საქართველოს, მოსახლეობა და მისი მეურნეობა იმდენად იყო დაწინაურებული, რომ სახელმწიფო ორგანიზაციისათვის აქ საჭირო ნიადაგი უკვე არსებობდა. ამიტომაა, რომ, როცა ურარტუს სამეფო დაემხო და მისი ცენტრი ვანის ტბის პირას მოისპო, ამით ამიერკავკასიაში სახელმწიფოებრივი ცხოვრება არ მოშლილა. სახელმწიფოებრივმა ცენტრებმა უფრო ჩრდილოეთისაკენ გადმოინაცვლა მხოლოდ.

ამიერკავკასიის პოლიტიკური მდგომარეობა VI საუკუნეში ძვ. წ. აღწერილია სახელგანთქმული ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტეს მიერ. მეოტიდის ტბიდან (ე. ი. აზოვის ზღვიდან) კოლხების ქვეყანამდე და მდინარე ფასიდამდე ოცდაათი დღის გზაა მარჯვე ქვეითისათვის. კოლხეთიდან მიდიამდე უკვე შორს აღარ არის; ამ ორ ქვეყანას შორის მხოლოდ ერთი ხალხი ცხოვრობს — სასპერები. კოლხები ცხოვრობენ ჩრდილოეთის ზღვასთან (ე. ი. შავ ზღვასთან), რომელსაც მდინარე ფასიდი ერთვის; მათ ქვემოთ ცხოვრობენ სასპერები, სასპერებს ქვემოთ — მიდიელები, მიდიელებს ქვემოთ კი სპარსები ცხოვრობენ ვიდრე სამხრეთის ზღვამდე, რომელსაც „წითელი“ ეწოდება (ე. ი. სპარსეთის ყურე). ეს ოთხი ხალხი ცხოვრობს ზღვიდან ზღვამდეო, გვიამბობს ჰეროდოტე.

სასპერებს ვრცელი ტერიტორია ეჭირათ: კავკასიონიდან მოყოლებული ტავრის ქედამდე, კოლხეთიდან იმ მთებამდე, რომელნიც დასავლეთით ზღუდავენ ძველ ადარბადაგანს (ჩრდილოეთ ირანს), ამრიგად, ეს ტერიტორია თითქმის მთლიანად შეიცავდა ურარტუს სამეფოს მიწა-წყალს.

თუ როგორი იყო კულტურული მდგომარეობა იმ დროს დღევანდელი ქართლის ტერიტორიაზე, ამას თვალსაჩინოდ გვიჩვენებს ცნობილი „ახალგორის განძი", ქსნის ხეობაში ნაპოვნი ძვირფასი, მაღალმხატვრული ნაკეთობის ნივთები, რაც უეჭველია, წარჩინებულსა და მდიდარ პირებს ეკუთვნოდა.

დასავლეთ საქართველოს ძველად, როგორც ნათქვამია, ბერძნები კოლხეთს უწოდებდნენ. ადგილობრივ მას ეგრისი ერქვა. ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცით, თუ როდის დაარსდა კოლხეთის სამეფო. ამ სამეფოს შესახებ VI საუკუნიდან ძველი წელთაღრიცხვით ბერძენი მწერლები გვიამბობენ.

ძველი კოლხეთის სამეფოც ვრცელ მიწა-წყალს შეიცავდა, აფხაზეთიდან მოყოლებული შორს — სამხრეთისაკენ, შავი ზღვის გასწვრივ. სახელგანთქმული ქალაქები ტრაპიზონი (ახლანდელი ტრაბზონი) და კერასუნტი (ახლანდელი გირესუნი) კოლხეთს ეკუთვნოდა. ჩრდილოეთ კოლხეთის ქალაქები იყო ფასიდი, დიოსკურია და პიტიუნტი. კოლხეთის დედაქალაქი იყო აია, რომელიც მდ. ფასიდზე მდებარეობდა; მდინარე ფასიდს ეძახდნენ მაშინ რიონს მდ. ყვირილას შესართავამდე და ამის ზემოთ თვით ყვირილასაც.

ბერძნული ახალშენები დიდ სარგებელს პოულობდნენ კოლხებთან ვაჭრობაში. გაიზარდა და გამდიდრდა ეს ქალაქები. მარმარილოსაგან ნაკეთები შენობებით, კარგი ნავთსადგურებით, არხებითა და წყალსადენებით, მტკიცე ქალაქის კედლებით შეიმკო და გამაგრდა პიტიუნტი და დიოსკურია, ფასიდი და ტრაპიზონი. უცხოელი ვაჭრებისაგან დარჩენილს სხვადასხვა ქვეყნის ფულს დღესაც პოულობენ დასავლეთ საქართველოს ნიადაგში.

ეს ვაჭრობა სასარგებლო იყო კოლხებისათვისაც. ერთმანეთშიაც კოლხებმა ისეთი აღებ-მიცემა გააჩაღეს, რომ მათ უკვე უცხოეთიდან შემოტანილი ფული აღარ ჰყოფნიდათ. V საუკუნიდან კოლხეთის მეფეებმა საკუთარი ფულის ჭრა დაიწყეს. ეს ვერცხლის ფული იყო, რომელზედაც, ჩვეულებრივ, ერთ მხარეს ხარის თავი იყო გამოსახული, მეორე მხარეს კი კოლხების ქალღმერთი. ფულს სხვადასხვა ზომისას ჭრიდნენ. კოლხურ ფულს ახლაც ბლომად პოულობენ დასავლეთ საქართველოში. სამკაულები იცოდნენ ოქროსი, ვერცხლისა, ბრინჯაოსი — საყურე, ბეჭედი, ქინძისთავები, სხვადასხვა ცხოველის

გამოსახულებანი. უყვარდათ ბრინჯაოს ფართო ქამრის თავები ანუ ბალთები, რომლებზედაც გამოსახული იყო სხვადასხვა ცხოველი. უყვარდათ სხვადასხვა მძივებისაგან გაკეთებული ყელსაბამებიც. მიცვალებულებს ხშირად ასაფლავებდნენ თიხის კუბოებში ან ქვევრებში.

მკვდრებს სამარეში ფულის გარდა ყოველგვარ იარაღს, ჭურჭლეულობასა და სამკაულებსაც აყოლებდნენ.

როცა ძველი კოლხების საფლავებს ვსინჯავთ, ვხედავთ, რომ ზოგ სამარეში მდიდარი კაცია დამარხული, ზოგში კი ღარიბი. ზოგისთვის ბევრი ოქრო-ვერცხლი, იარაღი და ფული ჩაუტანებიათ, სხვებისთვის — ცოტა. აშკარაა, კოლხებში იმ დროს ქონებრივი უთანასწორობა უკვე იყო ფეხგადგმული.

## § 11. იბერია-კოლხეთი და აქემენიდების სამეფო

აქემენიდების დიდმა სახელმწიფომ თავისი გავლენა კავკასიასაც გადმოუწვდინა. სპარსელებმა სხვებზე ადრე ის ქართული თემები დაიმორჩილეს, რომელნიც ახლანდელ ამიერკავკასიაზე სამხრეთით მდებარეობდნენ. V საუკუნის პირველ ნახევარში სპარსეთის სამეფოს ორი ჩრდილოეთით მდებარე ოლქი ამ დამორჩილებული თემებისაგან შედგებოდა. მე-18 ოლქში, რომელიც მდ. არაქსის ხეობის. მდ. ეფრატისა და ტიგროსის სათავეებსა და ვანის ტბის გარშემო იდო, შედიოდნენ მატიენები, სასპერები და ალაროდიები, როგორც ამას ჰეროდოტე მოგვითხრობს. მე-19 ოლქში კი, რომელიც შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს ემხრობოდა, შედიოდნენ მესხები, ტიბარენები, მოსინიკები და სხვები. ეს ოლქები სპარსეთის მეფეს მძიმე ხარკს უხდიდნენ.

შემდეგ სპარსელები ამიერკავკასიაშიც შემოჭრილან. კოლხებმა და მათმა მეზობლებმა სპარსეთის მეფის სასარგებლოდ ძღვენი იკისრეს, რომ სპარსელების შემოსევებისაგან თავი დაეხსნათ. დროგამოშვებით ისინი სპარსეთის მეფეს ტყვეებს უგზავნიდნენ.

ხარკზე არანაკლებ სამძიმო დამორჩილებულთათვის იყო მოვალეობა, რომ მათ მონაწილეობა უნდა მიეღოთ სპარსელების ყველა ლაშქრობაში, თუკი ამას მეფე მოითხოვდა. როცა, მაგალითად, სპარსელები საბერძნეთს შეესივნენ, მათს ჯარში ქართველი მებრძოლებიც ბლომად იყვნენ.

400 წელს ძველი წელთაღრიცხვით ბერძენმა სარდალმა და მწერალმა ქსენოფონტემ თავისი თვალით ნახა და დაწვრილებით აღწერა სამხრეთ-ქართული თემების: ხალიბების, მოსინიკების, ტაოხებისა და სხვების ყოფა-ცხოვრება.

მიუხედავად იმისა, რომ ავბედობის წყალობით ეს თემები იმხანად დასუსტებული იყვნენ, ქსენოფონტე მათს სოფლებში ყველგან დიდ სანოვაგესა და შინაურ საქონელსაც ბლომად პოულობდა.

ვაჭრობაც ამ თემებში გავრცელებული ყოფილა და მათ საკუთარი ქალაქებიც ჰქონიათ. ზღვისპირისგან დაშორებით, მაგალითად, იყო გუმნიადი, დიდი და მდიდარი ქალაქი. როცა ბერძნებთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ, ეს თემები მათ თავის ბაზრებს უხსნიდნენ.

აქაური ჩვეულებრივი საომარი იარაღი ყოფილა: ნაირ-ნაირი შუბები, დაწნული და ხარის ტყავგადაკრული ფარები, სარტყელზე დაკიდული ხანჯლები და რკინის ცულები. თავს იცავდნენ ხის ან ტყავის მუზარადით, ტანს კი სელის ჯავშანით. ატარებდნენ აგრეთვე ნაბდებს. ზღვისპირელები ლითონის დამუშავებას მისდევდნენ; მაგალითად, ტრაპიზონის დასავლეთით მცხოვრები ხალიბების უმრავლესობა თავს მხოლოდ ლითონის დამუშავებით ირჩენდა. მოსინიკები ზღვაოსნობაშიაც გაწაფული ყოფილან.

ქონებრივი უთანასწორობა აქ კაცს თვალში ეცემოდა, მდიდარი მშობლების ბავშვები ძალიან გამოირჩეოდნენ ღარიბებისაგან, რადგანაც ისინი თურმე განსაკუთრებულად იზრდებოდნენ და იკვებებოდნენ. ამ თემებს თავისი მთავრები ჰყავდათ. მთავრები განსაკუთრებულ კოშკებში ცხოვრობდნენ, მცველებით გარშემორტყმულნი, თავისი ქვეშევრდომების ხარჯზე.

ხალხი გულადი, ამაყი და დამოუკიდებლობის მოყვარული იყო. ქსენოფონტე გაკვირვებით გვიამბობს მათი გმირობისა და თავისუფლების სიყვარულის ამბებს. როცა ქსენოფონტე და მისი ბერძენი მეომრები ტაოხების სოფლებს მიადგნენ, ტაოხებმა მათ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს: მთელი ხალხი, ქალი და კაცი, ციხესიმაგრეებში ჩაიკეტა და ისე ებრძოდნენ ბერძნებს. როცა მტერმა დიდი გაჭირვებით ბოლოს მაინც მოახერხა ტაოხების ციხეების აღება, მას საშინელი სურათი წარმოუდგა თვალწინ: ქალები ჯერ თავის ბავშვებს ისროდნენ კლდეებიდან და შემდეგ თვითონაც ცვიოდნენ უფსკრულში. ასევე იქცეოდნენ მამაკაცებიც. ტაოხებს არ სურდათ, ბერძნებს ცოცხლად ხელში ჩავარდნოდნენ — მონობას ისევ სიკვდილი სჯობიაო. ერთი ბერძენი დახარბდა ერთი ტაოხის ლამაზ ტანისამოსს და სცადა ტაოხის დაჭერა, როცა იგი უფსკრულში გადავარდნას აპირებდა, მაგრამ ტაოხმა აჯობა, ბერძენიც თან გადაიყოლა და ორივენი დაიღუპნენ.

მოსინიკებშიაც ასე მოხდა. როცა ბერძნებმა მოსინიკები დაამარცხეს, ისინი დაემუქრნენ მოსინიკების მთავრებს — გამოდით თქვენი

კოშკებიდან, თორემ დაგწვავთო. მთავრებმა დამამცირებელ ტყვეობას ცეცხლში ცოცხლად სიკვდილი ირჩიეს, ბერძნებს მორჩილებაზე უარი უთხრეს და დაიღუპნენ.

ქსენოფონტეს მიერ აღწერილი თემები შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე — ტრაპიზონის, კერასუნტისა და კოტიორას (ახლანდელი ორდუ) რაიონში — და ეფრატის ზემო წელზე მდებარეობდა. ამ თემების უმეტესობა ამ დროს სპარსეთის მეფეს უკვე აღარ ემორჩილებოდა, მაგრამ მათ ერთმანეთშიაც მჭიდრო ერთობა არ ჰქონიათ.

## § 12. საქართველო და მისი მეზობლები ელინისტურ ხანაში

**ალექსანდრე მაკედონელი.** აქემენიდების სამეფომ მხოლოდ ორი საუკუნე გასძლო. IV საუკუნის დამლევს მას ბოლო მოუღეს ბერძნებმა ალექსანდრე მაკედონელის წინამძღოლობით.

მაგრამ თვითონ ალექსანდრე მაკედონელის ახალი უზარმაზარი სახელმწიფო კიდევ უფრო დღემოკლე აღმოჩნდა. 323 წელს ალექსანდრე გარდაიცვალა და მალე მისი სამფლობელოც დაიშალა. ალექსანდრეს სარდლებმა, რომელთაც როგორც მეფისნაცვლებს საგამგეოდ ჩაბარებული ჰქონდათ სხვადასხვა ქვეყნები, თავიანთი თავი ადგილობრივ მეფეებად გამოაცხადეს. აზია წილად ხვდა სელევკსა და მის შთამომავლობას (სელევკიდებს).

**ბაქტრიის, პართიისა და პონტოს სამეფოები.** მალე სულევკიდების სამფლობელოს ახალი სამეფოები გამოეყო. III საუკუნის შუა წლებში სელევკიდებს გადაუდგნენ და დამოუკიდებელ სამეფოებად ჩამოყალიბდნენ ბაქტრია და პართია. ბაქტრია კასპიის გაღმა მხარეში მდებარეობდა, პართიას კი ეჭირა კასპიის ზღვის სამხრეთითა და სამხრეთდასავლეთით მდებარე ქვეყნები. პართიის სამეფო საგვარეულოს არშაკიდებს უწოდებენ. პართიის ანუ არშაკიდების სამეფომ, რომელმაც თითქმის ხუთი საუკუნე გასძლო (250 წლიდან ძველი წელთაღრიცხვით 226 წლამდე ახალი წელთაღრიცხვით), შემდეგში დიდი როლი ითამაშა ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიაში.

ადრევე გამოეყო სელევკიდების სამეფოს პონტოს სამეფოც, რომელმაც ასეთი სახელწოდება მიიღო იმიტომ, რომ შავი ზღვის ანუ პონტოს სამხრეთ სანაპიროზე მდებარეობდა. პონტოს მთავარი ქალაქები იყო სინოპი და ამისი (ეხლანდელი სამსუნი).

პონტოს სამეფოს მოსახლეობა უმეტესწილად ქართული იყო, ოღონდ სამეფოს გაბატონებული საზოგადოებრივი ზედაფენა ელინიზმის ძლიერი კულტურული ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

ძველი ბერძენი გეოგრაფები და ისტორიკოსები უკვე ძვ. წ. VI საუკუნიდან მოყოლებული მოწმობენ, რომ პონტოს მოსახლეობა შედგებოდა ტიბარენების, ხალიბების, სანების (ჭანების) და კოლხებისაგან, ე. ი. ქართველი ტომებისაგან, რომელთაც ახალ ხანამდე შემოინახეს დედაენა და თავისი მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი. სტრაბონით, ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში ახ. წ. მთელი მხარე კოლხეთის დასავლეთით მდ. ღალისის შესართავამდე იწოდებოდა ტიბარანიად და დასახლებული იყო ტიბარანული ტომებით. ბიზანტიური, ძველქართული და ძველსომხური ცნობებით კი ვიცით, რომ ამ მიწა-წყალს შუა საუკუნეების მთელ მანძილზე ეწოდებოდა კოლხიდა, ლაზიკა (ლაზეთი), ხალდია და (დასავლეთ განაპირას) ჭანიკი ანუ ჯანიკი. ვ. ჯ. პალგრევი, რომელიც დიდხანს იყო აქ ინგლისის ელჩად და რომელმაც კარგად შეისწავლა ეს ადგილები, წერს, რომ XIX საუკუნის 60-იან წლებში ტრაპეზუნტის ვილაიეთი (გუბერნია), რომელიც რუსეთის საზღვრებიდან მდ. ყიზილ-ირმაყამდე (ძველ ღალისამდე) იყო გადაჭიმული, თურქებს დაყოფილი ჰქონდათ ოთხ სანჯაყად (ოლქად): ლაზისტანი, ტრაპეზუნტის სანჯაყი, გიუმუშხანეს სანჯაყი და ჯანიკი. ეს უკანასკნელი ქალ. ორდუდან ყიზილირმაყის (ღალისის) ნაპირებამდე აღწევდა. მისი ცენტრი იყო ქალ. სამსუნი. ამრიგად, თურქულმა ოფიციალურმა ნომენკლატურამ ჯერ კიდევ XX საუკუნემდე შემოინახა ქვეყნის ძველი სახელწოდებანი. პალგრევი ამასთანავე ამტკიცებს, რომ ტრაპეზუნტის ვილაიეთის მაჰმადიანი მოსახლეობა „წარმოსდგება უმთავრესად ლაზებისაგან — ამ მშვენიერი, კარგი მხნელ-მთესველებისა და მარჯვე მეზღვაურების რასისაგან“. ლაზები კი ცნობილი ქართველი ტომია, რომელიც XV—XVI საუკუნეებიდან თურქების ბატონობის უღელქვეშ არის მოქცეული.

საყურადღებოა, აგრეთვე, რომ მითრიდატ დიდის ერთ ვაჟს მახარე ერქვა — ეს წმინდა ქართული და საქართველოში ფართოდ გავრცელებული სახელი.

**ელინიზმი და საქართველო.** ალექსანდრესა და მისი სარდლების მიერ დაარსებულმა სამეფოებმა თვალსაჩინო კვალი დაამჩნიეს ადგილობრივი ხალხების ცხოვრებას. დიდად გავრცელდა ბერძნული ანუ ელინური კულტურა. ამ კულტურის ცენტრებად გადაიქცა ძველი და ახალი (თვით ალექსანდრესა და მისი მემკვიდრეების მიერ დაარსებული) მრავალრიცხოვანი ქალაქები, რომლებსაც ერთმანეთში ცხოველი ურთიერთობა ჰქონდათ.

ბერძნული ანუ ელინური კულტურის ასეთი გავრცელების გამო აღმოსავლეთში ალექსანდრესა და მისი მემკვიდრეების სამეფოების

ხანას (IV საუკუნის დამლევიდან პირველ საუკუნემდე, ძვ. წ.) *ელინისტურ* ხანას ანუ *ელინიზმის* ხანას ეძახიან.

ელინიზმმა თვალსაჩინო გავლენა მოახდინა საქართველოზედაც. საქართველოს ალებ-მიცემა გარეშე ქვეყნებთან ახლა უფრო ცხოველი გახდა, ვაჭრობას კიდევ თან სდევდა კულტურულ მონაპოვართა და გამოცდილების გაზიარება. უფრო, ვიდრე ეს მანამდე იყო, გავრცელდა ჩვენში ბერძნული ენა და ბერძნული მწერლობა. მცხეთაში ნაპოვნი ბერძნული წარწერები, რომელნიც ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგს ეკუთვნიან, ცხადად მოწმობენ, თუ როგორ კარგად იცოდნენ ჩვენში ეს ენა.

დიდი ცვლილებები მოხდა პოლიტიკურ სფეროშიაც.

**სომხებისა და სომხური სამეფოების წარმოშობა.** ქართველი ხალხის უახლოესი მეზობლები მრავალი საუკუნის მანძილზე იყვნენ და დღესაც არიან სომხები.

სომხები, რომლებსაც „სომეხს" მხოლოდ ქართველები უწოდებენ, თვითონ თავის თავს „ჰაი"-ს ეძახიან. ისინი ელინისტურ ხანაში თანდათანობით მოდიან სამხრეთიდან ურარტუს ტერიტორიაზე და ნელნელა მოიწევენ წინ. ურარტუს მკვიდრ მოსახლეობასთან შერევის გამო ჰაიების ენა ძალიან შეიცვალა და კავკასიის ენებს, განსაკუთრებით კი ქართველურ ენებს დაუახლოვდა.

VI საუკუნის დამლევიდან სომხებიც სპარსეთის მეფეს ემორჩილებოდნენ. სპარსეთის დამხობის შემდეგ სომხები ალექსანდრესა და სელევკიდების სამეფოს ქვეშევრდომები იყვნენ. მაგრამ როცა 190 წელს ძვ. წ. სელევკიდების სამეფომ სასტიკი დამარცხება განიცადა რომაელებისაგან, მას გადაუდგნენ მისი მმართველები სომხეთში, რომლებმაც ორი სამეფო დააარსეს.

ეს სამეფოები თავდაპირველად პატარა იყო, მაგრამ მალე ისინი გაფართოვდნენ მეზობელი ქვეყნების ხარჯზე. კოლხეთისა და იბერიისათვის ჩრდილოეთ სომხურ სამეფოს ხუთი ოლქი ჩამოუჭრია.

იბერიამ ამ დროს დაკარგა სამი დიდი ოლქი — პარიადრის მთიანეთი, ხორძენა და გოგარენა, რომელთაგანაც ყველაზე შორს სამხრეთ-დასავლეთისაკენ მდებარეობდა პარიადრის მთიანეთი. ამ მთიან ოლქს ეჭირა მდ. ღალისის (ყიზილ-ირმაკის) სათავეები, დღევანდელი სივასის ოლქის აღმოსავლეთი სექტორი, რომელიც ძველი ხეთის სამეფოს ტერიტორიის ნაწილს შეადგენდა. იბერიისა და კოლხეთის საზღვრებზე მდებარე ხალიბებისა და მოსინიკების თემებმა დაკარგეს კარინითი და დერქსენა. დერქსენა ეხლანდელი დერჯანია, კარინითი — კარნუ ქალაქის ანუ ერზერუმის ოლქი.

ამის შემდეგ იბერიისა და სომხეთის საზღვრად მდ. არაქსი დაწესდა.

**მცხეთა — იბერიის (ქართლის) სამეფოს დედაქალაქი.** ელინისტური ხანიდან მოკიდებული ბერძნები აღმოსავლურ ქართულ სახელმწიფოს უკვე იბერიას ეძახიან, მის მცხოვრებლებს — იბერებს. ხალხის სახელი, განსაკუთრებით უცხოელების პირში, ხშირად იცვლება ხოლმე სხვადასხვა მიზეზით. მაგალითად, რუსები ქართველებს ჯერ ივერებს (ე. ი. იბერებს) და ობეზებს ეძახდნენ, შემდეგ — გურზინებს, ახლა კი გრუზინებს უწოდებენ.

შესაძლებელია ამ სახელთა ცვლილების ერთი მიზეზი ის იყო, რომ სწორედ ელინისტურ ხანაში სასპერ-იბერების სამეფომ დიდი მიწა-წყალი დაკარგა სამხრეთისაკენ და ბოლოს ამიერკავკასიის საზღვრებში მოემწყვდა.

სამხრეთის რაიონების დაკარგვას ის მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა, რომ სახელმწიფოებრივმა და კულტურულმა ცენტრებმა ერთხელ კიდევ გადმოინაცვლეს თავიანთი ადგილი ჩრდილოეთისაკენ, მტკვრის აუზში. იბერიის ანუ ქართლის სამეფოს დედაქალაქად მ ც ხ ე თ ა გადაიქცა.

ძველი ქართული ისტორიული გადმოცემით, მცხეთა სატახტო ქალაქად აქცია აზომ, რომელიც არიან-ქართველთა მეფის შვილი იყო. აზო მოვიდა ამიერკავკასიის ქართლში თავისი მამის სამფლობელოდან, არიან-ქართლიდან, რომელიც ამიერკავკასიის სამხრეთით მდებარეობდა, და მცხეთაში დაჯდა. ქართლის შემდეგდროინდელი მეფეები აზოს შთამომავალნი არიანო.

არიან-ქართლი ჰარის ქვეყანას უნდა გულისხმობდეს. ასე ეწოდებოდა, როგორც ვიცით, ძველი სუბარეთის სამხრეთ რაიონებს. აზო იგივე იასონია, რომელსაც ბერძნები იბერების მამამთავრად თვლიდნენ. ამრიგად. გადმოცემაში დაცულია მოგონება იმის შესახებ, თუ როგორ გადმოვიდა აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს ცენტრი სამხრეთიდან ჩრდილოეთში.

ამის შემდეგ ვიდრე VI საუკუნემდე ახ. წ. აღმოსავლეთ საქართველოს დედაქალაქი მცხეთა იყო.

**არქეოლოგიური გათხრები მცხეთაში.** 1937 წლიდან მცხეთაში დიდი გათხრები წარმოებს. ამ გათხრებმა ჩვენი ძველი ისტორიის ძვირფასი ძეგლები შეგვძინა. მათი საშუალებით შეიძლება შევისწავლოთ ჩვენი წინაპრების ცხოვრება თითქმის ორი ათასი წლის სიგრძეზე, მეორე ათასწლეულის დამლევიდან ძვ. წ. ვიდრე ადრინდელ ფეოდალურ ხანამდე.

ჯერ კიდევ პირველი ათასწლეულის დამდეგს ძველი წელთაღრიცხვით, ბრინჯაოს ხანაში, მცხეთა მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა. მაშინდელი მცხეთელები მეომარი ხალხი იყო, რომელიც უმთავრესად სოფლის მეურნეობას მისდევდა. იმდროინდელი საფლავები ბლომად არის აღმოჩენილი მცხეთის გარეუბან სამთავროში. მაშინ მკვდარს ღრმა ორმოს ფსკერზე ასაფლავებდნენ.

ელინისტურ ხანაში მცხეთა ქალაქად გადაიქცა. ძველი მეომარი მიწათმოქმედი მცხეთელებიც უფრო მშვიდობიანი მოქალაქეები გახდნენ. გამოიცვალა რამდენიმეჯერ დამარხვის წესიც: პირველი ათასწლეულის დამლევს ძველი წელთაღრიცხვით მიცვალებულებს მეტწილად ქვევრებში დებდნენ, ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგს კი მკვდრები უკვე ჯერ კრამიტითა და აგურით ამოყვანილ ყუთებში უმარხავთ, შემდეგ — ქვაყუთებში. მცხეთის მოსახლეობა იმდენად მრავალრიცხოვანი ყოფილა ყოველთვის, ისტორიულ ხანაში, რომ სამთავროს სასაფლაოს დიდი ტერიტორიაც მისთვის საკმარისი არ აღმოჩენილა. სხვადასხვა დროს საფლავები ერთმანეთის თავზე უკეთებიათ. ამ სამარხებში დიდძალი სხვადასხვა ნივთია ჩატანებული — იარაღი, ჭურჭელი, სამკაული, ფული.

კიდევ უფრო მდიდარი და მნიშვნელოვანი საფლავები აღმოჩნდა მცხეთის მეორე გარეუბანში, არმაზისხევთან. აქ უკვე ქართლის მეფის დიდი მოხელეები, ერისთავები და მათი ოჯახის წევრები არიან დასაფლავებულნი.

**კოლხეთი და პონტო.** II საუკუნის დამლევს ძვ. წ. კოლხეთი კიდევ უფრო დასუსტებულა. ამ დროს სამეფო დანაწილებული ყოფილა ცალკე საგამგეო ოლქებად, რომელნიც, როგორც ჩანს, ნაკლებად ემორჩილებოდნენ კოლხეთის მეფეს.

ამავე დროს, სწრაფად ძლიერდებოდა მეზობელი პონტო, რომელმაც თავისი ძლიერების მწვერვალს მიაღწია მ ი თ რ ი დ ა ტ მეოთხის, ე ვ პ ა ტ ო რ ა დ და, აგრეთვე, დ ი დ ა დ წოდებულის, მეფობაში (120—63 წწ. ძვ. წ.). მითრიდატ IV ძველი აღმოსავლეთის ერთი ყველაზე უფრო შესანიშნავი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე იყო. ტიბარანიაზე დაყრდნობით მითრიდატ დიდმა დაიმორჩილა ყირიმი, ზოგი სარმატული ტომი, აზოვის ზღვის სანაპიროზე მცხოვრებნი, სინდიკა (ტამანის ნახევარკუნძული და ანაპის მხარე), კოლხეთი, მცირე არმენია და ზოგი მცირე-აზიური ოლქი, ხოლო იბერიას, საკუთრივ სომხეთსა და მიდიას სამეგობრო ხელშეკრულებები დაუდო.

კოლხეთის მმართველად მან ჯერ თავისი შვილი დანიშნა. მაგრამ ახალგაზრდა ბატონიშვილმა, რომელიც კოლხეთის ძველ დიდებაზე

ოცნებით იყო გატაცებული, მოიწადინა, კოლხეთის დამოუკიდებელი მეფე გამხდარიყო და ამიტომ მამამ იგი სიკვდილით დასაჯა. შემდეგ მითრიდატი მმართველად და მეფისნაცვლად კოლხეთში ერთ-ერთს თავის მეგობარ დიდებულთაგანს გზავნიდა ხოლმე. კოლხეთიდან იღებდა მითრიდატი უმნიშვნელოვანეს შემწეობას თავისი საზღვაო ძალებისათვის, ხომალდების საშენ ხე-ტყესა და თვით მეზღვაურებსაც.

## § 13. რომის დაპყრობითი ომები აღმოსავლეთში

III საუკუნის დამლევიდან ძვ. წ. რომი იწყებს ფართო დაპყრობითი პოლიტიკის წარმოებას, ხოლო II საუკუნის დასაწყისიდან იგი აზიაშიც იჭრება. ამ საუკუნის დამლევს რომაელებს უკვე თავისი სამფლობელო ჰქონდათ მცირე აზიაში. რომის მიერ აქ დამყარებული წესები, დიდძალი გადასახადები, მოხელეების ძალმომრეობა სულს ხდიდა რომის ქვეშევრდომებს და წინააღმდეგობის ცეცხლს აღვივებდა მათში. ამ განწყობილებით ისარგებლა მითრიდატ პონტოელმა, რომელსაც არაფრად ეპიტნავებოდა რომის ასეთი გაძლიერება თავის მახლობლად და რომელმაც რომს სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა. მან ბრძოლაში ჩააბა მრავალი ხალხი და ჩაგრული ადამიანების, მეტწილად მონების, დიდი მასები; ხმელთაშუა ზღვაში დიდად გაძლიერებული „მეკობრეები", რომელნიც იმავე საზოგადოებრივი წრეებიდან იყვნენ გამოსულნი, და მონობიდან თავდახსნილები მითრიდატში თავის ბელადს ხედავდნენ; რომიდან გამოქცეული დემოკრატები მითრიდატის კარზე და ჯარში პოულობდნენ თავშესაფარს და ერთგულად ემსახურებოდნენ პონტოს მეფეს. ეს იყო ერთი ყველაზე უფრო დიდი ეროვნული და სოციალური მოძრაობათაგანი, რომელიც ოდესმე ყოფილა რომაელ მონათმფლობელთა წინააღმდეგ მიმართული.

მთელი მეოთხედი საუკუნე (88—63 წწ.) გაგრძელდა ეს ომები ცვალებადი წარმატებითა და სიძლიერით. იყო დრო, როცა მითრიდატის სარდლები წარმატებით ეომებოდნენ რომაელებს საყოველთაო სახალხო აჯანყებით მოცულ საბერძნეთშიაც კი და რომი საძირკვლამდე შერყეული ჩანდა. მაგრამ შემდეგ უკვე ომის ბედი რომის მხარეს გადავიდა. რომაელებმა რიგრიგობით დაამარცხეს მითრიდატი და მისი მოკავშირეები.

პონტოს მეფის მოკავშირეები უკანასკნელ ომში რომაელების წინააღმდეგ იყვნენ არმენიის, ალბანიისა და იბერიის მეფეები.

არმენია ანუ სომხეთი პირველი საუკუნის პირველ ნახევარში ძვ. წ. ვრცელი და ძლიერი სახელმწიფო იყო. იქ მეფობდა ამ დროს ტიგრან მეორე.

**ალბანია.** ალბანია თანამედროვე საბჭოთა აზერბაიჯანის ძველი სახელწოდებაა. უძველეს ხანაში ალბანიის ტერიტორიაზე ბევრი სხვადასხვა ტომი ცხოვრობდა, რომელნიც კავკასიურ მოდგმას ეკუთვნოდნენ. იმ ხანაში, რომელზედაც ჩვენ ახლა ვსაუბრობთ, ეს ტომები გაერთიანდნენ და სამეფო დააარსეს.

ალბანიის სამეფო მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოსთან საუკუნეების მანძილზე როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურულად. შემდგომში უკვე, ფეოდალურ ხანაში, ძველ ალბანელებს შემოერივნენ სხვა, უმთავრესად თურქული, მოდგმის ტომები და ასე წარმოსდგნენ ქართველების თანამედროვე მეზობლები, აზერბაიჯანელები.

**პომპეუსის ლაშქრობა სომხეთსა და ალბანიაში.** 66 წელს ძვ. წ. რომაელების ახალმა სარდალმა, პომპეუსმა, სასტიკად დაამარცხა მითრიდატ პონტოელი. მითრიდატმა თავს გაქცევით უშველა, იგი ჯერ კოლხეთში გადაიხვეწა, სადაც ის ზამთარი ქალაქ დიოსკურიაში გაატარა, ხოლო აქედან ჩრდილოეთისაკენ წავიდა ახალი ჯარის შესაგროვებლად.

პომპეუსი ამის შემდეგ მითრიდატის მოკავშირეებს მისდგა. ჯერ სომხეთში შეიჭრა, დაიმორჩილა ტიგრანი და ზავის მძიმე პირობები მოახვია მას თავზე. შემდეგ რომაელებმა ალბანიისა და იბერიისაკენ გაილაშქრეს. ალბანელებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ დამარცხდნენ და იძულებული გახდნენ, ზავი ეთხოვათ რომაელებისათვის.

## § 14. რომაელები საქართველოში

ქართლში ამ დროს მეფედ არტაგი იყო. არტაგმა საჭირო წინდახედულება გამოიჩინა: ზავის შესახებ რომაელებთან მოლაპარაკება გამართა, ფარულად კი სამხედრო სამზადისს მიჰყო ხელი. რომაელებმა არტაგს ხერხი გაუგეს, დაასწრეს და ქართლი დალაშქრეს.

არმაზის ციხე რომაელებმა შედარებით ადვილად ჩაიგდეს ხელში მოულოდნელი თავდასხმის წყალობით. არტაგი მტკვრის გაღმა გავიდა და ხიდი დაწვა. შემდეგ არტაგმა კიდევ უფრო შორს გაიწია. რომაელები მას ფეხდაფეხ მისდევდნენ სასტიკი ბრძოლით.

ხალხი სამშობლოს ადვილად არ თმობდა. ქართველი ჯარი თავგამეტებით განაგრძობდა ომს, თუმცა მეფე მტერთან მოლაპარაკებას აწარმოებდა. ქართველი მეომრები, ვინც წინა ბრძოლებში გადარჩა, გარ-

შემო მდებარე ტყეებში დაიფანტნენ, მაღალ ხეებზე ავიდნენ და იქიდან უშენდნენ რამდენიმე დღე რომაელებს ისრებს. რომაელები იძულებული გახდნენ, ტყე გაეჩეხათ. ქართველი მებრძოლები დაიღუპნენ. მტერს კი არ დანებდნენ.

რომაელებთან ბრძოლებში ქართველებმა დიდი მსხვერპლი გაიღეს: ცხრა ათასი კაცი მარტო მოკლული იყო.

ბოლოს არტაგი შეურიგდა თავის მარცხს და პომპეუსთან ზავი დადო, არტაგმა რომაელებს მძევლად თავისი შვილები მისცა, პომპეუსს კი მდიდარი ძღვენი მიართვა: ოქროს ტახტი, ოქროს სარეცელი და ოქროსავე მაგიდა.

ეს ამბავი მოხდა 65 წელს ძვ. წ.

ქართლიდან პომპეუსი თავისი ჯარით კოლხეთში გადავიდა მითრიდატის ხელში ჩასაგდებად. კოლხეთში რომაელებს ისეთი ძლიერი წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ, როგორც ქართლში.

რომაელებმა კოლხეთი დაპყრობილ ქვეყნებს მიათვალეს და აქ თავისი მმართველი დააყენეს.

საბოლოოდ იმედდაკარგულმა მითრიდატმა თავი მოიკლა ყირიმში (63 წ. ძვ. წ.).

**ახალი ცნობების გაჩენა საქართველოს შესახებ დასავლეთის მწერლობაში.** პომპეუსის ჯარში იყვნენ ისეთი ბერძნებიც, რომელნიც მწერლობას მისდევდნენ. ისინი წერდნენ პომპეუსის ლაშქრობის ისტორიას და თან იმ ქვეყნებსაც აღწერდნენ ხოლმე, სადაც პომპეუსი გაივლიდა. ამ მწერლებმა საქართველოც აღწერეს.

მათი აღწერილობა, უფრო ძველი ბერძენი მწერლების ცნობებთან ერთად, შეკრიბა და გამოაქვეყნა განთქმულმა ბერძენმა გეოგრაფმა სტრაბონმა, რომელიც პირველ საუკუნეში ცხოვრობდა.

პომპეუსის თანამგზავრთა ცნობებიდან ჩვენ ვიტყობთ, თუ როგორი იყო საქართველოს ვითარება პირველ საუკუნის დამდეგს ძველი წელთაღრიცხვით.

## § 15. საქართველოს სამეურნეო მდგომარეობა პირველი საუკუნის დამდეგს ძვ. წ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხე ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა თავისი მეურნეობით. დიდი იყო განსხვავება მთასა და ბარს შორის; ხალხი და მისი კულტურა ბარში უფრო სწრაფად ვითარდებოდა, ვიდრე მთაში; ბარში მისვლა-მოსვლა უფრო ადვილი იყო კარგი გზების გამო და ბუნებაც უფრო ემორჩილებოდა ადამიანს. რაც უფრო მაღლა მდებარეობდა მთაში ადამიანთა საცხოვრისი, მით უფ-

რო მკაცრი იყო ბუნება და მით უფრო ძნელი იყო ცალკე სოფლების დაკავშირება ერთმანეთთანაც და ბარის დაწინაურებულ თემებთანაც.

**მისვლა-მოსვლის საშუალებანი.** ბარში ხმელეთის გზებს გარდა მისვლა-მოსვლისათვის მდინარეებსაც იყენებდნენ. ნავებით დადიოდნენ რიონზე, ყვირილაზე შორაპნამდე, მტკვარზე, ალაზანზე; ბლომად და კარგად უშენებიათ ჩვენს წინაპრებს ხიდებიც, რომ მიმოსვლა არ შეფერხებულიყო. მარტო მდ. ფასიდზე შორაპანს ზემოთ, სადაც ნავები ვეღარ დადიოდა, 120 ხიდი ყოფილა აგებული. ხიდები იყო მტკვარზე, მაგალითად, მცხეთასთან, სადაც მტკვარი საკმაოდ განიერია, და სხვა მდინარეებზედაც. მთიელები კი ასე ადვილად ვერ მოძრაობდნენ. ვინც ძალიან მაღლა ცხოვრობდა მთაში, როგორც სვანები, ისინი ზამთარში მთლად მოწყვეტილი იყვნენ გარე ქვეყანას; ზაფხულობითაც მათ უჭირდათ ხშირად ბარში ჩამოსვლა.

**სოფლის მეურნეობა.** ამიტომ, ვინც ყველაზე მაღლა ცხოვრობდა, ყველაზე ღარიბიც იყო. სვანები და მათი მეზობლები თავს თურმე უფრო მესაქონლეობითა და ნადირობით ირჩენდნენ, უფრო დაბლა, მთის კალთებზე, მოსახლენი უკვე მიწასაც ხნავდნენ და პურს თესდნენ, მაგრამ უმთავრესად მესაქონლეობას მისდევდნენ და ჯოგებს აშენებდნენ.

სულ სხვა იყო ბარში. აქ მთავარი მნიშვნელობა მიწათმოქმედებას ჰქონდა. კოლხეთი განთქმული იყო თავისი ხილით, სელით, კანაფით, ცვილით (თაფლის სანთლით), ფისით, ხომალდების საშენებელი ხე-ტყით; ასევე იყო ქართლშიაც. მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ფეტვი და სხვა პურეული, ძველთაგანვე აშენებდნენ ვაზსა და აყენებდნენ ღვინოს, ბლომად ჰყავდათ შინაური პირუტყვი; იცოდნენ სხვადასხვანაირი ხელოსნობა და საუცხოო ოსტატებიც იყვნენ.

**ვაჭრობა.** ვაჭრობაც განვითარებული ყოფილა. კავკასიონის ყველაზე მაღალი ადგილების მცხოვრებნიც იძულებულნი იყვნენ ბარში ჩამოსულიყვნენ. მაგალითად, მარილის საყიდლად; თვითონ ბარელები ხომ უფრო მეტს ვაჭრობდნენ. საშინაო ვაჭრობის გარდა, იმდროინდელ საქართველოს საგარეო ვაჭრობაც შორს ჰქონია გაბმული. ინდოეთიდან, კერძოდ, საქონელი მოჰქონდათ კასპიის ზღვამდე, შემდეგ კასპიის ზღვაზე გამოატარებდნენ და მტკვარზე ნავით ამოიტანდნენ ქართლში. აქედან, სადაც უკვე ნაოსნობა აღარ შეიძლებოდა, ხმელეთის გზით გადაჰქონდათ ყვირილას ხეობაში, შორაპნამდე, შორაპნიდან კი ისევ ნავებით ჩაჰქონდათ შავ ზღვამდე ქალაქ ფასიდში, საიდანაც საქონელი უკვე ზღვით იგზავნებოდა დასავლეთისაკენ.

**საქალაქო ცხოვრება.** სტრაბონი ამბობს იმდროინდელ საქართველოზე: „...ეს მდიდარი ქვეყანაა, რომელსაც შეუძლია ძალიან ხშირი

მოსახლეობა ჰყავდეს. და, მართლაც, იბერია მეტწილად მშვენივრადაა დასახლებული — მოფენილი ქალაქებითა და დაბებით ისე, რომ იქ გვხვდება კრამიტის სახურავებიც და არქიტექტურული ხელოვნების წესების თანახმად აშენებული ბინები და საბაზრო ადგილები და სხვა საზოგადოებრივი შენობები".

საქართველოს იმდროინდელს ყველაზე მნიშვნელოვან ქალაქთა რიცხვში ბერძნულ-რომაული წყაროები ასახელებენ ფასიდს, დიოსკურიას, პიტიუნტსა და შორაპანს — კოლხეთში, მცხეთა-არმაზს — იბერიაში. ეს იყო მსხვილი სავაჭრო სახელოსნო ცენტრები, რომელნიც აღმოცენებული იყვნენ ადგილობრივი და საერთაშორისო ვაჭრობის მთავარ გზებზე და საკვანძო პუნქტებში.

კულტურა. ნივთიერი ნაშთები სავსებით ადასტურებენ სტრაბონის ცნობებს ძველი საქართველოს საქალაქო კულტურის შესახებ. ასე, მცხეთაში, მტკვრის მარჯვენა ნაპირას, მდ. არაგვის შესართავთან, აღმოჩენილია საქართველოს უძველესი დედაქალაქის შიდაციხის ანუ აკროპოლისის გრანდიოზული ზღუდეებისა და სასახლის ტიპის შენობათა კედლები, აგრეთვე, ქალაქის წყალსადენი და სხვა ნაგებობანი. მცხეთის ეს შიდაციხე, რომელიც არმაზის ციხედ იწოდებოდა, ცნობილია ბერძენ-რომაელი მწერლებისათვის უკვე I საუკუნიდან. აქ ჰქონდათ რეზიდენცია (ადგილ-სამყოფელი) ძველი ქართლის მეფეებს.

წარმართული ტაძრისა (თუ სასახლის) და დიდი აბანოს ნანგრევები გათხრილ იქნა აგრეთვე არმაზისხევთან, პიტიახშების სასაფლაოს ველზე. ძველი მცხეთის ტერიტორიაზე მოპოვებულია დიდი რაოდენობით იმდროინდელი სამშენებლო მასალა — მშვენივრად გათლილი და მოჩუქურთმებული ქვის ლოდები, კარგად გამომწვარი და შეღებილი კრამიტი სწორი ფორმისა, სხვადასხვა ზომისა და ნაირნაირად დამუშავებული აგური.

სამთავროში კიდევ იპოვნეს საფლავის ქვა წარწერით, რომელშიაც მოხსენიებულია „მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი აქოლი". ეს მცხეთის მთავარი არქიტექტორი უნდა ყოფილიყო.

დიდებულ ნაგებობათა ნაშთების გარდა, მოღწეულია ცალკეული საგნებიც, რომელნიც ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყის ხანას ეკუთვნიან და აღმოჩენილი არიან ამავე მცხეთის ფარგლებში სამთავროს საერთო-საქალაქო სასაფლაოზე და პიტიახშების საგვარეულო აკლდამებში არმაზისხევთან, სოფლების: ბორის, კლდეეთისა და სარგვეშის ტერიტორიაზე (შორაპნისა და ხარაგოულის არემარეში) და ურეკში (მდ. სუფსის შესართავთან).

აქ ნაპოვნ საგნებს შორის ჩვენ ვხედებით ძვირფასი თვლებითა და

მინანქრით მორთულ ოქროს სამკაულებს (ბეჭდებს, სამაჯურებს, საყურეებს, ყელსაბამებს) და იარაღს, მოჩუქურთმებულსა და ნაჭედ ვერცხლის ჭურჭელს, საუცხოო სარტყლებს, ოქროსა და ვერცხლის ფულებს. ამ ძეგლების მნიშვნელოვანი წილი დიდი ხელოვნებით არის შესრულებული და ეროვნული მხატვრული სტილითაა აღბეჭდილი — ისინი ადგილობრივი ოსტატების ნახელავია.

აშკარა ხდება, რომ ხელოვნებანი, რომელთა არსებობა საქართველოში უკვე მეორე ათასწლეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე დადასტურებულია თრიალეთის ძეგლებით, მომდევნო ათასხუთასი წლის სიგრძეზე განვითარებულან და დაწინაურებულან მშობლიურ ნიადაგზე და ამასთანავე უცხოური კულტურული ელემენტებითაც გამდიდრებულან. ბორის, კლდეეთისა და ურეკის ძეგლები კიდევ ერთს, მეტად მნიშვნელოვან, მოვლენაზე მიუთითებენ: მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთსა და აღმოსავლეთს საქართველოს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ საერთო სახელმწიფოებრიობა, კულტურის სფეროში ისინი უკვე იმ დროს საკმაოდ მჭიდრო კავშირებით ყოფილან დაახლოებულნი.

## § 16. საზოგადოებრივი წყობილება საქართველოში პირველი საუკუნის დამდეგს ძვ. წ.

როგორიც იყო მეურნეობა და ცხოვრების, საარსებო სახსრის მოპოვების წესი იმდროინდელი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ისეთივე იყო ამ კუთხეში საზოგადოებრივი წყობილება.

**პირველყოფილი თემური წყობილება მთაში.** მთიელებს უფრო ჩამორჩენილი საზოგადოებრივი წყობა ჰქონდათ. მთაში ბუნება ძალიან მკაცრი იყო; მიწის დამუშავება იქ ძნელი ხდებოდა, რაკი შრომის იარაღებიც პრიმიტიული იყო. სიმდიდრის დაგროვებაც იქ ძნელდებოდა. საარსებო სახსრის მოსაპოვებლად ხალხს ერთად უნდა ებრძოლა გარემო ბუნების წინააღმდეგ, ამიტომ ერთი გვარისა და თემის შვილები მეტნაკლებად თანასწორი იყვნენ როგორც ქონებრივად, ისე უფლებრივად.

სვანებს თუმცა მთავარი ჰყავდათ, მაგრამ მას როდი ჰქონდა თავის ნებაზე მართვის უფლება. ხალხის სათავეში საბჭო იდგა, 300 კაცისაგან შემდგარი. ეს 300 კაცი ცალკე სვანური გვარებისა თუ თემების წარმომადგენლები იყვნენ. მათ, ყველას, თანასწორი ხმა ჰქონდათ საბჭოში. ცალკე გამოყოფილი ჯარი სვანებს არ ჰყავდათ — როცა სვანებს სამხედრო გასაჭირი დაადგებოდა, მთავარი და საბჭო ქუდზე კაცს დაუძახებდნენ. ყველა ხალისით გადიოდა ბრძოლის ველზე,

რადგანაც ყველა საერთო სახალხო საქმისათვის იბრძოდა. ხალხი და ჯარი ერთი იყო; იარაღიც თითქმის ყველას ერთნაირი ჰქონდა. ასეთივე წყობა ჰქონდათ იმ დროს სხვა ქართველ ტომებსაც, ვინც სვანებსავით მაღლა მთაში ცხოვრობდა.

**საზოგადოებრივი წყობილება ბარში.** ბარში საზოგადოებრივი თანასწორობა აღარ არსებობდა. აღარ არსებობდა საზოგადო საკუთრებაც. ან რა ტოლები იქნებოდნენ მდიდრები და ღარიბები, თავისუფალი და არათავისუფალი ადამიანები, მონათმფლობელები და მონები?! სტრაბონი მოგვითხრობს და სხვა ცნობებითაც ვიცით, რომ იმ დროს ქართლში ხალხი ოთხ წოდებად იყოფოდა.

პირველი წოდებიდან მეფეები გამოდიოდნენ. მეფის ამ საგვარეულოს „ს ე ფ ე“ ეწოდებოდა, მის წევრებს — „ს ე ფ ე წ უ ლ ე ბ ი“, ხოლო მეთაურს — „მ ე ფ ე“. მეფე იყო სახელმწიფოს მეთაური. ს ე ფ ე-ს ა ხ ლ ს, ე. ი. სამეფო საგვარეულოს, საკუთარი მამულები ჰქონდა. რომელსაც ს ე ფ ე-ქ ვ ე ყ ა ნ ა ეწოდებოდა.

მეორე წოდებას ქ უ რ უ მ ე ბ ი შეადგენდნენ. რომელნიც ტაძრებს ემსახურებოდნენ და ამავე დროს მეზობელ ხალხებთან სადავო საქმეებსაც განაგებდნენ. ტაძრებს იმ დროს ქართლში დიდი მამულები და განძები ჰქონდათ. მესხეთში, მაგალითად, იყო ლ ე ვ კ ო თ ე ა ს ტაძარი, ისეთი მდიდარი, რომ მეზობელი ქვეყნების მეფეები მას გასაძარცვად თავს ესხმოდნენ ხოლმე.

მესამე წოდებაში თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ხ ა ლ ხ ი შედიოდა. ისინი მიწასაც ამუშავებდნენ და ომშიაც გამოდიოდნენ, როცა მეფე დაუძახებდა. ამ წოდებას ძველებურად „ე რ ი“ ერქვა, მაგრამ ახლა უკვე ამ ერს ის ძალა აღარ ჰქონდა, რაც პირველყოფილ-თემური წყობილების დროს.

მეოთხე წოდებაში მ დ ა ბ ი ო ხ ა ლ ხ ი შედიოდა. ისინი სეფესახლს ანუ სამეფო საგვარეულოს ემსახურებოდნენ ყმურად. ამ მდაბიო ხალხს მაშინ „გ ლ ე ხ ე ბ ს“ ეძახდნენ. გლეხები მხოლოდ სეფესახლს ჰყავდა. ამიტომ ისინი „მ ე ს ე ფ ე გ ლ ე ხ ე ბ ა დ“ იწოდებოდნენ, იმ ბეგარასაც, რომელსაც გლეხები სეფე-სახლს უხდიდნენ, „ს ე ფ ე ო ბ ა“ ერქვა. მესეფე გლეხები მიწისმუშა სოფლელები იყვნენ, პირად თავისუფლებას მოკლებულნი, და სეფექვეყანას ამუშავებდნენ.

ბლომად იყვნენ მაშინ საქართველოში მონებიც, მაგრამ მათ საზოგადოების წევრებად არ თვლიდნენ. მონები ჰყავდათ მეფის საგვარეულოს, ქურუმებს, სხვა მდიდარ ხალხსაც. მონებს სხვადასხვა საქმეზე ამუშავებდნენ, საშენებელ ქვას ათლევინებდნენ. თიხას აზელინებდნენ, მადანს ათხრევინებდნენ. მონებს ხმარობდნენ აგრეთვე

როგორც მენიჩბეებს (მეხოფეებს) მდინარეებში ნაოსნობის დროს. ვისაც ყველაზე მეტი მონა ჰყავდა, ყველაზე მდიდარიც ის იყო. უდიდესი მონათმფლობელები მეფე და ქურუმები იყვნენ. ქვეყნის ბატონ-პატრონობაც მეფესა და ქურუმებს ეკუთვნოდათ. ამიტომ ვამბობთ, რომ იმდროინდელი ქართლი მონათმფლობელური სახელმწიფო იყო.

ასეთივე იყო საზოგადოებრივი წყობილება კოლხეთის ბარშიაც. ბარში რომ მონათმფლობელობა იყო გაბატონებული, მთაში, როგორც ვნახეთ, თემურ წყობილებას ჯერ კიდევ ფესვები მაგრად ჰქონდა გადგმული. მაგრამ თემური წყობილების ნაშთები ბარშიაც ხვდებოდა კაცს, მდაბიო ხალხში. ეს არც გასაკვირველია. ძველად განვითარება ნელა ხდებოდა ძალიან, ახალი წეს-წყობილება და ზნე-ჩვეულება გაჭირვებით იკვლევდა გზას, ძველი ადათი და ჩვეულება კი მაგრად ებღაუჭებოდა ცხოვრებას.

**სახელმწიფო წყობილება.** ძველი საქართველოს სახელმწიფო წყობილებას ჩვენ უფრო კარგად ვიცნობთ ქართლის სამეფოს მაგალითზე. ამ ორი ათასი წლის წინათ ქართლის სამეფო ძლიერი სახელმწიფო იყო. მთელი ქვეყნის ბატონ-პატრონად მეფე ითვლებოდა. მეფის წოდებულება ასეთი იყო — „ქართველთა მეფე, დიდი მეფე". მეფეს ბევრი მოხელე ჰყავდა. რომელთა საშუალებითაც იგი ქვეყანას მართავდა. „ქართველთა მეფის" უფროსი მოხელეები იყვნენ დიდი და მცირე ერისთავები, ეზოსმოძღვარი და სხვები. მეორე პირად სამეფოში ითვლებოდა და დიდი გავლენით სარგებლობდა ტახტის მემკვიდრე.

ასეთივე მონათმფლობელური სახელმწიფო იყო აგრეთვე კოლხეთიც.

## § 17. საქართველო-რომის ურთიერთობა

**ქართლის სამეფოს ვალდებულება რომის წინაშე.** კოლხეთში რომაელებმა, როგორც ვიცით, თავისი მმართველი დააყენეს, ქართლში კი რომაელებს მეფისათვის ხელი არ უხლიათ; ქართლს მათ რომის „მეგობრობა" დააკისრეს. შემდეგშიაც რომაელები იბერებს კეისრისა და რომის „მეგობრებად" აცხადებდნენ, მაგრამ ქართლისათვის ეს „მეგობრობა" არც სასურველი ყოფილა და არც სასიამოვნო. რომაელები იძულებული ყოფილან, დროდადრო ახალ-ახალი ჯარები გამოეგზავნათ ქართლში და შერყეული „მეგობრობა" აღედგინათ.

რას მოითხოვდნენ რომაელები ქართლისაგან? თითქმის მხოლოდ სამხედრო დახმარებას. რომაელებს ამ დროს ხშირი ომები ჰქონდათ აღმოსავლეთში და მამაცი კავკასიელი ხალხების ჯარი მათთვის ძა-

ლიან გამოსადეგი იყო. განსაკუთრებით კი რომაელებს სურდათ, ადგილობრივი ხალხების საშუალებით გაემაგრებინათ კავკასიონის გასასვლელები, სადაც ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გზები გადმოდიოდა. ასეთს გასასვლელებს ძველად ყველა ენაზე „კარებს" ეძახდნენ, ჩვენი წინაპრებიც მათ კარებს უწოდებდნენ.

**საქართველოს საუღელტეხილო გზები.** კავკასიონის ყველაზე მოხერხებული საუღელტეხილო გზები საქართველოს ტერიტორიაზე მოდიოდა. ასეთი იყო ქლუხორის გზა აფხაზეთში, მამისონისა — რაჭაში, დარიალისა — ქართლში და სხვები. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მათ შორის დარიალს. დარიალანი სპარსული სახელია და ალანების კარს ნიშნავს. ძველქართულად მას არაგვის კარი ან ოვსთა კარი ერქვა, ბერძენ-რომაელები კიდევ კასპიის ან კავკასიის კარებს ეძახდნენ. დარიალის გზა მდინარე არაგვს მიჰყვებოდა მისი სათავეებისაკენ და შემდეგ მდინარე თერგის ხეობაში გადადიოდა. მდ. თერგის ხეობა, საქართველოს რესპუბლიკის დღევანდელი საზღვრის მახლობლად, მის სამხრეთით, რომელიც კავკასიონის დიდი ქედის გადაღმა გადის, მეტად ვიწროა და ამიტომ ადვილად ჩასაკეტი. სწორედ ამ ვიწრო, ღრმა ხეობას ეწოდება დარიალა. როცა რომაელები პირველად მოვიდნენ საქართველოში, მათ უკვე დარიალა იბერიის სამეფოს ხელში დახვდათ. ქართველებს ეს ხეობა მიუდგომელი კედლით ჰქონდათ გამაგრებული. თუ რა მიზანი ჰქონდა ამ სიმაგრეს, გვიამბობს ერთი იმდროინდელი რომაელი მწერალი: „კავკასიის კარები უზარმაზარი ქმნილებაა ბუნებისა, მთების უეცარი გაპობის შედეგი. თვით გასასვლელი მოზღუდულია რკინით შემოჭედილი დირეებით... მდინარის გაღმა აგებულია კუმანიად წოდებული სიმაგრე, აშენებული იმ მიზნით, რათა დააბრკოლონ მრავალრიცხოვანი ტომების გადმოსვლა".

**ჩრდილოეთ კავკასიის მეჯოგე ტომები.** ჩრდილოეთ კავკასიის მინდვრებსა და მეზობელ მხარეებში, სადაც კარგი საზაფხულო და საზამთრო საძოვრები იყო, ძველთაგანვე, მართლაც, მრავალრიცხოვან ტომებს (სარმატებს, ალანებს, ჰუნებს და სხვებს) უცხოვრიათ. ესენი იყვნენ მეჯოგე ტომები, რომელნიც გადადიოდნენ ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში თავისი ჯოგებისათვის საკვების საძებრად.

მესაქონლეობის გარდა ეს ტომები მძარცველობასაც ხელს არ აკლებდნენ, როცა საამისო პირობა ჰქონდათ. თუ კავკასიონის კარები ღია ხვდებოდათ, ეს ტომები თავს ესხმოდნენ სამხრეთის კულტურულ ქვეყნებს საშოვრისათვის. ვისაც თავისი კარები მაგრად დაკეტილი ჰქონდა, ხოლო განძი და ფული საკმაოდ ებადა, იმას შეეძლო ჩრდილოეთის ეს მოხეტიალე ტომები დაექირავებინა და თავისი მტრე-

ბისათვის მიესია. ეს მეჯოგეები, რომელნიც კარგი ცხენოსნები და გულადი მეომრები იყვნენ, ქირის გულისათვის ხალისით მიდიოდნენ ომში ყველა მხარეს.

ამიტომ იყო საჭირო კავკასიონის კარების გამაგრება, საქართველოში კი განსაკუთრებით დარიალისა.

**რომაელების ინტერესები კავკასიაში.** ვისაც ეს გზები ხელში ეჭირა, იმას მათი სავაჭროდ გამოყენებაც შეეძლო. უძველესი დროიდანვე სამხრეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნებს შორის აღებ-მიცემა არსებობდა, რომელსაც კარგი სარგებელი მოჰქონდა.

რომაელებს ბევრი სხვადასხვა საქონელი ჰქონდათ სასყიდი და გასასყიდი, მაგრამ ყველაფერზე მეტად მათ მონები აინტერესებდათ, იმიტომ რომ რომი მონათმფლობელური ქვეყანა იყო. რომაელებისათვის საჭირო იყო მონების ან იაფად ყიდვა, ან მუქთად შეძენა ტყვეების სახით. კავკასიაში კი, განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიაში, ბევრი ტყვე და მონა იშოვებოდა. აქაური ტომები ერთმანეთს თავს ესხმოდნენ, დიდძალ ხალხს ატყვევებდნენ და შემდეგ ამ ტყვეებს ყიდდნენ ან ცვლიდნენ მათთვის საჭირო საგნებში. ტყვის მოსატაცებლად ჩრდილოეთ კავკასიაში სამხრეთიდან, კერძოდ საქართველოდანაც, გადადიოდნენ.

აი, რა აინტერესებდათ რომაელებს საქართველოსა და კავკასიაში. ქართლის მეფეს რომაელებმა ამიტომ დააკისრეს დარიალისა და სხვა საუღელტეხილო გზების გამაგრება და დაცვა. გარდა ამისა, რომაელებს აინტერესებდათ ის დიდი სავაჭრო გზაც, რომელიც ძველთაგანვე რიონისა და მტკვრის ხეობით საქართველოზე გადიოდა და დასავლეთის ქვეყნებს აკავშირებდა აღმოსავლეთთან.

საქართველოს შემომტკიცება რომაელებს იმისათვისაც სჭირდებოდათ, რათა სომხეთში თავი უშიშრად ეგრძნოთ. სომხეთის გამო ისინი განუწყვეტელ ბრძოლას აწარმოებდნენ პართელებთან.

## § 18. ბრძოლა რომაელების წინააღმდეგ კოლხეთში

**რომაელთა ძალადობა კოლხეთში.** იქ, სადაც რომაელებს ხელი კარგად მიუწვდებოდათ, ისინი არავის ინდობდნენ. მისაწვდომი იყო ზღვის პირად მდებარე კოლხეთიც, რომელსაც ისინი ხომალდებით ადვილად უკავშირდებოდნენ, ამიტომ ძალადობასა და შევიწროებას რომაელებისაგან ხალხი დასავლეთ საქართველოში უფრო განიცდიდა. რომაელი მოხელეები საშუალებას არ ზოგავდნენ, რომ დამორჩილებული ქვეყნების მოსახლეობისაგან რაც შეიძლება მეტი ქონება დაეცინცლათ. ცხოვრება გამწარებული ჰქონდა ხალხს ტყვის მტაცებელ-

თაგან, რომელთაც მონათმფლობელი რომაელები მფარველობდნენ. ასეთი მეკობრეები თავისი ნავებით დღე და ღამე დაძრწოდნენ სანაპიროზე, მოხერხებულ დროს ხალხს თავს ესხმოდნენ და ადამიანებს ტყვედ იტაცებდნენ. შემდეგ ნათესავებს შეუთვლიდნენ — თქვენი კაცი დაიხსენითო, მაგრამ ყველა ვერ ახერხებდა თავისი ტყვედ წაყვანილი ნათესავის გამოხსნას, რადგანაც ყაჩაღები დიდ საფასურს მოითხოვდნენ. ზოგი იმის გაგებასაც ვერ ახერხებდა, თუ სად იყო მათი ტყვე გადაკარგული. თავდაუხსნელი ტყვეები ამ მეკობრეებს მახლობელ რომაულ ქალაქებში მიჰყავდათ, სადაც მათ რომაელები ყიდულობდნენ.

**ანიკეტის აჯანყება.** ხალხი არასოდეს შერიგებია ამ მტარვალებს და მხნედ იცავდა თავს. მოძალადეებს იგი იარაღით უმასპინძლდებოდა. განსაკუთრებით დიდი აჯანყება რომაელების წინააღმდეგ მოხდა იმპერატორ ვესპასიანეს (69—79 წწ. ახ. წ.) მეფობაში. ერთმა ადგილობრივმა მკვიდრმა, სახელად ანიკეტმა, შეაკავშირა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ძველ კოლხეთში, მცხოვრები ტომები. ანიკეტი ყოფილი მონა იყო და მან მონაც ბევრი გადაიყვანა თავის მხარეზე. მონები პირად თავისუფლებას ეძებდნენ, ტომები კი სახალხო დამოუკიდებლობას. ანიკეტმა აიღო ქალაქი ტრაპიზონი და იქ მდგომი რომაული რაზმი ამოჟლიტა. ერთ ხანს მთელი ძველი კოლხეთის ტერიტორია აჯანყებულთა ხელში იყო, მაგრამ იმპერატორმა ახალი ჯარები გამოგზავნა და რომაელებმა ბოლოს და ბოლოს დაამარცხეს აჯანყებულები. ანიკეტმა და მისმა მიმდევრებმა თავი შეაფარეს დღევანდელ სამეგრელოში, სადაც მათ მოკავშირედ ჰყავდათ ადგილობრივი მეფე. ეს მეფე ჯერ ეხმარებოდა ანიკეტს, მაგრამ შემდეგ რომაელების შიშით და თავისი პირადი ინტერესის გულისათვის მან უღალატა ანიკეტს და გასცა იგი.

მიუხედავად ანიკეტის დაღუპვისა, კოლხეთის ხალხი შემდეგშიაც მედგრად განაგრძობდა ბრძოლას და თანდათან აფართოებდა თავის დამოუკიდებლობას.

## § 19. ქართლის (იბერიის) სამეფოს გაძლიერება I—II საუკუნეებში ახ. წ.

**ქართლის მეფეების პოლიტიკა.** აღმოსავლეთ საქართველოს მდგომარეობა ამ დროს სხვაგვარი იყო. ქართლი თავისთავადაც ძლიერი სამეფო იყო და რომიდანაც მეტად დაშორებული. ამიტომ აქ რომაელებს ისეთი დიდი გასაქანი არ ჰქონდათ და მათი მოთხოვნილებაც მცირე იყო — ოღონდ ქართლს სამხედრო კავშირზე უარი არ ეთქვა.

განსაკუთრებით სჭიროდათ ქართველების დახმარება რომაელებს პართელების წინააღმდეგ.

ამიტომ იყო, რომ რომაელები შემდეგშიაც სულ იბერიასთან „მეგობრობაზე" ლაპარაკობდნენ. ქართლის მეფეებს კარგად ჰქონდათ შეგნებული რომაელების მდგომარეობა აღმოსავლეთში. ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ქართლის მეფეები ისეთ მოხერხებულ პოლიტიკას აწარმოებდნენ, რომ ამ „მეგობრობიდან" თვითონ უფრო მეტ სარგებლობას ღებულობდნენ. ამ ხანებში ქართლის სამეფო კიდევ უფრო გაძლიერდა და გაიზარდა.

**მეფე ფარსმან პირველი.** 35 წელს სომხეთს პართელები შეესივნენ და დაეპატრონენ. რომაელებს ძალა არ ეყოთ, მარტო გამკლავებოდნენ პართელებს. ამიტომ იმპერატორმა გადაწყვიტა, სომხეთის საქმეებისათვის ქართველების საშუალებით მოევლო. მაშინ ქართლში ფარსმანი მეფობდა. იმპერატორმა ფარსმანს სომხეთი შესთავაზა — მეც დაგეხმარებით და პართელებს თუ გააძევებთ, სომხეთის მეფედ შენი ძმა მითრიდატი დასვიო. მართლაც, ქართველები შეესივნენ სომხეთს დიდი ჯარებით და სომხეთის დედაქალაქი დაიჭირეს. პართელების მეფემ მაშინ სომხეთში თავისი შვილი გამოგზავნა ახალი ლაშქრით და, გარდა ამისა, კაცები აფრინა დაქირავებული ჯარის შესაკრებად, მაგრამ ქართლის მეფემ ფარსმანმა დაასწრო: დარიალის კარი გააღო და ჩრდილოეთიდან სარმატების ჯარი გადმოიყვანა. თანაც ალბანელები მოიშველია. შემდეგ ფარსმანმა მტერს აღარ დააცალა და თვითონ დაესხა თავს პართელებს. პართელების ძალა იყო ცხენოსანი ჯარი, რომელიც მთელ მსოფლიოში იყო განთქმული. ქართველებს კი ცხენოსნებიც ჰყავდათ და ქვეითი ჯარითაც ძლიერნი იყვნენ. რომაელები ამბობდნენ, იბერები და ალბანელები მთის ხალხებია და უფრო შეჩვეული არიან მკაცრ ცხოვრებასა და ამტანობასო. ასეთს მთიელ ვაჟკაცს აქებს ხალხური ლექსი:

„მთაში გაზრდილო ვაჟკაცო,
ხმალს როდი მოგიშივდება,
ომში შეხვალ და გამოხვალ,
გული არ შეგიშინდება!"

ასე ამხნევებდა ფარსმან მეფეც თავის მეომრებს ამ დიდი ომის წინ (პართელები ხომ ძალიან საშიშარნი იყვნენ, მათი სახელმწიფო იმ დროს ერთი უძლიერესთაგანი იყო მთელს მსოფლიოში): რაც უფრო მეტს მოვინდომებთ, მით უფრო დიდ სახელს მოვიხვეჭთ და თუ მტერს ზურგს ვუჩვენებთ, თავსაც შევირცხვენთ და ხიფათსაც გავი-

მრავლებთო დახეთ ჩვენების მრისხანე წყობას და პართელების ოქრო-თი მოკაზმულ ურდოს: აქ ვაჟკაცები არიან და იქ კი საშოვარიო!

საშინელ ომში, როცა ქართველები და ალბანელები უკვე სჯობ-ნიდნენ პართელებს, ფარსმანმა პართელების მეფის შვილს მუზარადი გაუპო და დაჰკრა. ამ ამბავმა საბოლოოდ გატეხა მტერი. პართელები გაიქცნენ, ბრძოლის ველი ქართველებს დარჩა.

პართელების მეფემ ახლა მთელი თავისი ჯარით გამოილაშქრა, მაგრამ ქართველები აქაურ ადგილებს უფრო კარგად იცნობდნენ და მაინც სჯობნიდნენ. ბოლოს და ბოლოს პართელებმა სომხეთი ქართვე-ლებს დაანებეს. სომხეთის სამეფო ტახტზე ფარსმანმა თავისი ძმა მით-რიდატი დასვა.

მითრიდატმა თითქმის თხუთმეტი წელი იმეფა სომხეთში, მაგრამ 51 წელს დაიღუპა თავისივე ძმის ვერაგობის გამო. ფარსმანს შვილი ჰყავდა, სახელად რადამისტი — ტანადი, არაჩვეულებრივი ღონის მქონე და ძალიან სახელგანთქმული მეზობლებში. რადამისტი თურმე ხშირად ამბობდა: მამაჩემი დაბერდა და ქართლის განდიდებას ხელს ვერ უმართავსო. ფარსმანი შეშინდა, შვილმა ტახტი არ წამართვასო, და რადამისტს ჩააგონა: წადი სომხეთში, ბიძაშენი ტახტიდან ჩამო-აგდე და თვითონ გამეფდიო. მართლაც, რადამისტმა ფარულად სო-მეხი დიდებულები თავის მხარეს გადმოიბირა და შემდეგ მამა-შვილმა მითრიდატს ომი აუტეხეს; ბოლოს მითრიდატიც მოჰკლეს. სომხეთში რადამისტი გამეფდა.

ასეთი მდგომარეობა არც პართელებს მოსწონდათ და არც რო-მაელებს. თვითონ რადამისტიც სასტიკი მმართველი გამოდგა, სომ-ხებმა მოთმინება დაკარგეს და რადამისტი თავისი ქვეყნიდან გააძევეს.

ფარსმან, ქართლის მეფე, განაგრძობდა ბრძოლას. 58 წელს მან სომხეთს მესხები შეუსია.

შემდეგ ფარსმანმა რომაელებს დიდი დახმარება გაუწია აღმო-სავლეთში. სანაცვლოდ რომაელებმა სომხეთს რამდენიმე ოლქი ჩამო-აჭრეს და ფარსმანს მისცეს.

**ქართლი მითრიდატ ფარსმანის ძის მეფობაში.** I საუკუნის მეო-რე ნახევარშიაც, როცა ქართლში ფარსმან პირველის შვილი მითრი-დატი მეფობდა, რომაელები კვლავინდებურად ცდილობდნენ ქართ-ლის მეფისა და ხალხის გულის მონადირებას. 75 წელს იმპერატორ ვესპასიანეს არმაზის გალავანი გაუმაგრებია და წარწერაც ამოუჭრე-ვინებია. ეს წარწერა ჩვენ დრომდე არის შემონახული. მასში ნათქვა-მია, რომ იმპერატორმა და რომის მთავრობამ „ფარსმან მეფის ძეს, იბერთა მეფეს მითრიდატს,... კეისარისა და რომაელების მეგობარს, და ხალხს ეს ციხე გაუმაგრეს“-ო.

**ქართლი II საუკუნის პირველ ნახევარში. ფარსმან მეორე.** II საუკუნეში ქართლი კიდევ უფრო ძლიერი სამეფო იყო და ქართლის მეფეებს თავი უფრო დამოუკიდებლად ეჭირათ. რომაელები ახლაც მხოლოდ იმას ცდილობდნენ, რომ ეს სამეფო მათ მოკავშირედ ჰყოლოდათ. ტრაიანე კეისარს (98 წ. — 117 წ.) კანუახლებია ხელშეკრულებანი იბერებთან და კოლხებთან. განსაკუთრებით მეგობრული განწყობილება ჰქონია ტრაიანეს ქართლის მეფესთან, კეისარი უხვ საჩუქრებს უგზავნიდა თურმე მას. ადრიანე კეისარიც (117 წ. —138 წ.). ასევე იქცეოდა: რომაელი ისტორიკოსები გვიამბობენ, რომ ადრიანეს „უდიდესი მეგობრობა ჰქონდა იბერებსა და ალბანელებთან... იგი იძულებული იყო, სიუხვითა და საჩუქრებით მოელბო მათი მეფეების გული. როცა მათ ზიზღით უარი სთქვეს მასთან მისვლაზე".

მაინც არც ერთ მეფეს არ უგზავნიდა ადრიანე თურმე იმდენ საჩუქრებს, რამდენსაც ქართლის მეფეს ფარსმან მეორეს. როცა, კეისრის მიწვევით მეფე ფარსმანი რომში ჩასულა თავისი ცოლ-შვილითა და დიდი ამალით, ფარსმანს იმპერატორისათვის ძვირფასი ძღვენი ჩაუტანია. სხვათა შორის ოქროთი შემკული წამოსასხამებიც. სამაგიეროდ, მას კეისრისაგან კიდევ უფრო მდიდრული საჩუქრები მიუღია, მათ შორის სპილო და 500 მეომარი. გარდა ამისა, კეისარმა ახალი მიწა-წყალი აჩუქა ფარსმანს და ნება მისცა, მას რომის ტაძარ კაპიტოლიუმში მსხვერპლი შეეწირა, რაც უცხოელის დიდ პატივისცემად ითვლებოდა. ფარსმან მეფემ, მისმა შვილმა და სხვა წარჩინებულმა ქართველებმა უჩვენეს რომაელებს ეროვნული სამხედრო ვარჯიშობა ცხენზე, მძიმე აბჯარში, რითაც მასპინძლებს ძალიან მოაწონეს თავი. იმპერატორის ბრძანებით ცხენზე მჯდომარე ქართველი მეფის ქანდაკება გააკეთეს და მარსის მოედანზე დადგეს რომში.

ფარსმან მეფეს მეგობრობა ჰქონია, აგრეთვე, ადრიანეს მემკვიდრესთანაც და მასაც სწვევია სტუმრად რომში.

## § 20. კოლხეთი II საუკუნეში ახ. წ.

კოლხეთის ხალხის შეუნელებელმა ბრძოლამ რომაელების წინააღმდეგ ის ნაყოფი მოიტანა, რომ ძველი კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე I საუკუნის დამლევს უკვე რამდენიმე წვრილი სამთავრო არსებობდა. ძველი კოლხეთის სახელმწიფო სუსტდებოდა მონათმფლობელური წყობილების დაცემასთან ერთად. ბოლო მას პონტოელებმა და რომაელებმა მოუღეს. ახალი სახელმწიფოს მშენებლობა კოლხეთის ტომებმა უკვე ახალ წესზე დაიწყეს.

II საუკუნის დამდეგს კოლხეთში ასეთი მდგომარეობა ყოფილა: ტრაპიზონის ოლქის მცხოვრებლებს ჯერ კიდევ შერჩენილი ჰქონიათ ძველი სახელი — კოლხები. მათი უფრო შორეული მეზობლები კი უკვე სხვა სახელებს ატარებდნენ. კოლხების მომიჯნავე სანები ანუ ჭანები მეომარი ხალხი იყო. სანებს წინათ ხარკი ედოთ რომის სასარგებლოდ, მაგრამ ახლა ისინი ამ მოვალეობას აბუჩად იგდებდნენ. სანებს მთავრები არ ჰყავდათ, მათ თემური წყობილება ჰქონდათ.

სანების მეზობლად, აღმოსავლეთისაკენ, ერთ სამთავროს შეადგენდა ორი ტომი — მაკრონები და ჰენიოხები. ამათი მეზობლები იყვნენ აღმოსავლეთისაკენ ზიდრიტები, რომელთაც თავისი მთავარი ჰყავდათ. ეს ხუთი ტომი, საკუთრივ კოლხები, სანები ანუ ჭანები, მაკრონები, ჰენიოხები და ზიდრიტები სამხრეთ კოლხეთში ცხოვრობდნენ, მდ. ჭოროხის სამხრეთით.

ჩრდილოეთ კოლხეთში კი ამ დროს მოსახლეობდნენ ზანები ანუ ლაზები — რიონისა და ენგურის ხეობაში; აფშილები — ლაზების ჩრდილოეთით და შემდეგ, კიდევ უფრო ჩრდილოეთით, — აბასგები და სანიგები; ამათ ყველას თავ-თავისი მთავრები ჰყავდათ, რომელთაც კეისრისაგან ჰქონდათ ძალაუფლება დამტკიცებული. როცა რომაელები ამ მთავრების არსებობას ურიგდებოდნენ, ეს იყო დათმობა მათი მხრივ კოლხეთის ხალხის მიმართ. ზღვისპირა ქალაქებში, მაგ., ტრაპიზონში, ფასიდში და სევასტოპოლისში რომაელებს თავისი ციხის ჯარი ჰყავდათ ჩაყენებული. სევასტოპოლისი ამ დროს ძველ დიოსკურიას ეწოდებოდა. ეს გამაგრებული ქალაქები იყო რომაელების მთავარი იმედი, კოლხეთის შუაგულ ადგილებში კი რომაელებს აღარავინ ეპუებოდა.

## § 21. ახალი სპარსული სამეფოს წარმოშობა, ბრძოლა რომაელებსა და სპარსელებს შორის

224—226 წწ. პართიაში დიდი ცვლილებები მოხდა. ძველი არშაკიდების დინასტია დაემხო და მისი ადგილი ახალმა, სასანიდების სპარსულმა საგვარეულომ დაიჭირა. სასანიდებმა აღადგინეს ძველი სპარსული სარწმუნოება, მაზდეიანობა, და ყოველნაირად ცდილობდნენ ამ სარწმუნოების გავრცელებას. სასანიანთა სამეფო უფრო ძლიერი იყო, ვიდრე პართია, და ამიტომ უფრო საშიშარი მეტოქე გამოდგა რომისათვის.

ბრძოლა რომსა და სპარსეთს შორის ახლა უფრო სასტიკი გახდა. ეს ორი დიდი სახელმწიფო ერთმანეთს ამიერკავკასიისათვისაც ეომებოდა. ამიერკავკასიის ქვეყნებიდან ამ ბრძოლაში ყველაზე მეტად სომ-

ხეთი იჩაგრებოდა; სომხეთი უფრო მისაწვდომი იყო მტრებისათვის, უფრო დაცული იყო ქართლი. სანამ რომაელები და სპარსელები ერთმანეთს ასუსტებდნენ გაუთავებელი ომიანობით, ქართლი მშვიდობიანად ვითარდებოდა და იზრდებოდა. ამრიგად, თუმცა 298 წელს ქალაქ ნიზიბინში რომი და სპარსეთი შეთანხმდნენ — ქართლის მეფემ სამეფო ნიშნები რომაელებისაგან მიიღოსო, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ ამ დროს ქართლის მეფეები რომის იმპერატორების ვასალებად იყვნენ უკვე გადაქცეულნი. საამისო ძალა რომაელებს აღმოსავლეთში არ გააჩნდათ. ამიტომ ნიზიბინის შეთანხმება მხოლოდ იმას გულისხმობდა, რომ ქართლი ძველებურად „კავშირში" იმყოფებოდა რომთან.

## თავი III

# ადრინდელ-ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში

### § 22. ფეოდალური წყობილების წარმოშობა

საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებშიაც, მონათმფლობელობა ფეოდალიზმით შეიცვალა. ფეოდალური წყობილება ხელს უწყობდა ქვეყნის შემდგომ განვითარებას და ამიტომ სჯობნიდა იგი მონათმფლობელობას, მაგრამ ეს ცვლილება ერთბაშად კი არ მომხდარა, არამედ ნელინელ.

**ცვლილებები წარმოების წესში.** რკინის დამუშავება, რომელიც დიდი ხნით ადრე შემოვიდა ქართველ ტომებში, თანდათან გაუმჯობესდა. ახლა რკინისაგან აკეთებდნენ უფრო რთულ სასოფლო-სამეურნეო და საომარ იარაღს. გაუმჯობესდა და გავრცელდა რკინის სახნისი, რასაც თან მოჰყვა მიწათმოქმედების შემდგომი განვითარება. ახლა უფრო მეტი პურეული მოჰყავდათ; განვითარდა მებოსტნეობა და მებაღეობაც. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში მევენახეობის შემდგომ განვითარებას.

ვაზის გაშენება და ღვინის დაყენება უძველესი დროიდან იცოდნენ ქართველებმა. საქართველო მევენახეობის განვითარების ერთ-ერთ მთავარ კერად არის მიჩნეული. აქ ცნობილია ორასზე მეტი ადგილობრივი ვაზის ჯიში, რომელთაგანაც უმრავლესობა საღვინე ჯიშებია, ბევრი საჭმელი ყურძნისა, ზოგიც საჩამიჩე, სამურაბე და საწნილე. ჯიშები კარგად არის შერჩეული და საგანგებოდ შეგუებული ამა თუ იმ რაიონის ჰავასა და ნიადაგთან. ასეთებია: კახეთში რქაწი-

თელი და საფერავი, ქართლში ჩინური, იმერეთში ცოლიკაური და ციცქა, გურიასა და ქვემო იმერეთში ჩხავერი, სამეგრელოში „ზარდაგის“ ვაზი, ოჯალეში და სხვა. ზოგიერთი ქართული ვაზის ჯიში იმდენად სახელმოხვეჭილია, რომ საქართველოს გარეთაც გავრცელდა. ასეთია, მაგალითად, საფერავი, რომელსაც ევროპელი მეცნიერებიც საუკეთესო ჯიშად თვლიან წითელი ღვინის დასაყენებლად.

ჯერ ელინისტურ ხანაში, ხოლო შემდეგ მომდევნო საუკუნეებში, როცა ვაჭრობა ჩვენში სულ უფრო და უფრო ვითარდებოდა და ღვინოსაც უფრო მეტი მყიდველი გაუჩნდა, მევენახეობა-მეღვინეობის საქმეც დაწინაურდა და გაუმჯობესდა. ახლა ცდილობდნენ, ღვინო მეტი დაემზადებინათ გასაყიდად.

ასეთ პირობებში, ვისაც დამატებითი მუშახელი სჭიროდა თავის მეურნეობაში, ის ამჩნევდა, რომ მონა უკვე აღარ იყო გამოსადეგი. მონა ძალიან უგულოდ ეკიდებოდა თავის საქმეს, არ იყო დაინტერესებული მეტი გაეკეთებინა, რადგანაც მას, სულ ერთია, თავის ნაშრომ-ნაამაგარიდან არაფერი ხვდებოდა. მონა ამტვრევდა და აფუჭებდა შრომის იარაღს. საჭირო იყო ისეთი მუშა, რომელიც უფრო გულით მოეკიდებოდა შრომას, უფრო ნაყოფიერად იმუშავებდა და საკუთარ თაოსნობასაც გამოიჩენდა. მონასთან შედარებით ამგვარი მუშა იყო ყმა. ასეთი ყმები, „გლეხები“ ყველაზე ადრე, როგორც ვიცით, მეფის გვარმა გაიჩინა. ყმას საკუთარი კარ-მიდამო, საკუთარი სახვნელი, თოხი, ბარი და სხვა იარაღი ჰქონდა, ჰყავდა საკუთარი საქონელი. მართალია, ისიც დამოკიდებული იყო ბატონზე, მაგრამ მაინც უფრო თავისუფალი იყო, ვიდრე მონა. თუ ყმა ბატონის მიწაზევე მოსავალს მოიწევდა, ამ მოსავალს ბატონი მას მთლად კი არ ართმევდა, არამედ ნაწილს მასვე უტოვებდა.

**ცვლილებები საზოგადოებრივ ურთიერთობაში.** როცა მეურნეობა ამგვარად იცვლებოდა, თანდათან იცვლებოდა თვითონ საზოგადოებაც. ქართლში, როგორც ვიცით, ძველად მონათმფლობელები, ქურუმები და მეფის გვარი ბატონობდნენ. სხვა თავისუფალი ხალხი, „ერი“, მიწის დამუშავებას მისდევდა და ომში გამოდიოდა, როცა მეფე მოითხოვდა. ძველად ერისშვილები მეტნაკლებად თანასწორი იყვნენ ქონებრივადაც და უფლებრივადაც. მაგრამ თანდათანობით მდგომარეობა შეიცვალა. ერის ზოგი ოჯახი გამდიდრდა. ასეთ ოჯახებს უფრო მეტი და კარგი მიწები ეჭირათ და უფრო ვრცელი მეურნეობა ჰქონდათ. დიდ მეურნეობაში მეტი მუშახელი იყო საჭირო. ამიტომ ასეთ მეურნეობაში მისი პატრონი თავდაპირველად მონებს ამუშავებდა, შემდეგ კი თანდათანობით ყმების შრომის გამოყენებაზე გადავიდა. შეიძლებოდა მონაც გადაქცეულიყო ყმად მონათმფლობელის ნებით: აი,

თქვენ ეს მიწის ნაჭრები, შეიძლება აქ ქოხები აიშენოთ და ცოლ-შვილიც გაიჩინოთ; ეს მიწა მოხნათ და დათესოთ; რასაც მოიწევთ, ერთი წილი თქვენ და დანარჩენი მეო. მონისათვის ასეთი ყოფა უფრო სარფიანი იყო და ის ახლა უფრო ხალისით მუშაობდა. შეიძლებოდა ტყვეკაციც დაესვათ მიწაზე და ყმად ექციათ. ბოლოს ერისშვილებიც წინათ რომ თავისუფალი იყვნენ, შეიძლებოდა ყმა გამხდარიყვნენ გაღარიბების, ვალში ჩავარდნის, უსახსრობისა და მიმძლავრების წყალობით.

**იარაღის განვითარება.** მდიდარ ხალხს ის უპირატესობაცა ჰქონდა, რომ საუკეთესო იარაღის შეძენა შეეძლო. მას შემდეგ, რაც ლითონი შემოვიდა, იარაღი ძვირი გახდა. რაც უფრო გულდაგულ და კარგად იყო. მაგალითად, რკინის იარაღი გაკეთებული, ვთქვათ — სახნისი, ის მით უფრო ძვირი იყო. ცხადია, ღარიბებს ასეთ იარაღზე ხელი არ მიუწვდებოდათ, მდიდრები კი მათ იძენდნენ და თავის მეურნეობას ამით კიდევ უფრო აძლიერებდნენ.

თანდათან გაძვირდა საომარი იარაღიც. როცა კაცისწვერიან ისარსა და შუბს ხმარობდნენ, მაშინ ყველას ერთნაირი იარაღი ჰქონდა. ახლა — კი იარაღს უკვე მთლიანად ლითონისაგან აკეთებდნენ, განსაკუთრებით რკინისაგან. გარდა ამისა, შემოიღეს ლითონის საბურავი და ჩასაცმელი მუზარადი, ჯაჭვის ან ლითონის ფირფიტების პერანგი, სამხრეები და საბარკულები. ლითონის სამოსი კარგად იცავდა ადამიანს მტრის ხმლისა და ისრისაგან. მაგრამ ასეთი ლითონის აბჯარი, იარაღი და სამოსი ძალიან ძვირი იყო, მისი ყიდვა მხოლოდ მდიდრებს შეეძლოთ. ვინც განსაკუთრებით მდიდარი იყო, ის თავის ცხენსაც ჯავშანს აცმევდა. შეჯავშნული მხედარი შეჯავშნულ ცხენზე ბევრად სჯობნიდა ძველებური მშვილდისრით შეიარაღებულ მეომარს. რაკი მდიდრებმა ასეთი იარაღი ხელში ჩაიგდეს, ესენი კიდევ უფრო გაძლიერდნენ. საზოგადოებაში ისინი ახლა განსაკუთრებულ ადგილს იჩემებდნენ. მეტ უფლებას მოითხოვდნენ. მათი ღარიბი და სუსტი მეზობლები ამ ადგილს უნებლიედ უთმობდნენ კიდევაც მდიდრებს. ასე გაჩნდა თავისუფალ ერისშვილებს შორის წ ა რ ჩ ი ნ ე ბ უ ლ ი ხალხი.

**წარჩინებულთა დაწინაურება.** წარჩინებულნი მეფისთვისაც უფრო სანდო და ახლობელი იყვნენ. როცა მეფეს უნდოდა თემებში თავისი მოხელე დაენიშნა, ის ამ მოხელეს წარჩინებულთა წრეში ირჩევდა.

წარჩინებულთაგან ნიშნავდა მეფე თავის სარდლებსაც. ეს იმიტომ, რომ ამ მდიდარ ხალხს, რომელსაც საუკეთესო იარაღი ჰქონდა და რომელიც მიწას თვითონ კი არ ამუშავებდა, არამედ სხვას ამუშავებინებდა, შეეძლო თავისი დრო მთლად სამხედრო საქმისათვის

მოენდომებინა — ესწავლა კარგი იარაღის ხმარება, კარგი ცხენზე ჯდომა. ასე გაჩნდნენ თემში ე რ ი ს თ ა ვ ე ბ ი, ერის თავი-კაცები. ისინი თემსაც მართავდნენ ახლა მეფის სახელით და სათემო ჯარსაც სარდლობდნენ, როცა მეფე მოითხოვდა. ვინც არც წარჩინებული იყო და არც ერისთავი, იმათ ახლა მდიდარი და ძლიერი ხალხი ნამდვილ ერად უკვე აღარ თვლიდა, მათ ახლა უკვე წ ვ რ ი ლ ე რ ს ეძახდნენ, ესე იგი, წვრილფეხა ხალხს.

წარჩინებულები, რომელნიც მეფის სამსახურში დაწინაურდებოდნენ, ერისთავებად იქცეოდნენ, ამით კიდევ უფრო ძლიერდებოდნენ, მდიდრდებოდნენ. მეფე ამნაირ ხალხს სამსახურისათვის მამულსა და ქონებას უწყალობებდა.

ასეთ მეზობლობაში, როცა ერთი მხრით, მდიდარი, კარგად შეიარაღებული, სამხედრო საქმეში გართული, მეფესთან გამოსული კაცი ცხოვრობდა, ხოლო, მეორე მხრით, უცნობი, ღარიბი მიწის მუშა, რომელიც დღენიადაგ მიწას ჩაჰკირკიტებდა, ღარიბებს აბა რა ხეირი დაეყრებოდათ?!

წარჩინებულნი სულ უფრო და უფრო მეტ სიმდიდრესა და გავლენას იხვეჭდნენ. მას შემდეგ, რაც წარჩინებული კაცი სამეფო სამსახურში დაწინაურდებოდა, ის ამ ახალშეძენილ ძალასაც თავისი სუსტი მეზობლების წინააღმდეგ ხმარობდა.

რადგანაც ამ დროს კერძო საკუთრება უკვე გაჩენილი იყო, წარჩინებული ხალხი ცდილობდა, საშვილიშვილოდ შეენახა და სამემკვიდრეოდ გადაეცა შეძენილი სიმდიდრე და გავლენა. მართლაც, გაჩნდა ისეთი ოჯახები, რომლებშიაც სიმდიდრე და წარჩინებულება თაობიდან თაობაში გადადიოდა და იზრდებოდა კიდევაც.

თუ ამნაირ ერისშვილებს ჯერ წარჩინებულებს ეძახდნენ, შემდეგ მათ ა ზ ნ ა უ რ ე ბ ი შეერქვათ. „აზნაური" თავდაპირველად „თავისუფალს" ნიშნავდა. „უაზნო" — „არათავისუფალს". შემდეგში აზნაური ეწოდებოდა ისეთ თავისუფალ კაცს, რომელსაც ჰქონდა თავისთვის დაჩემებული ადგილი და რომელიც ამ მიწას ყმების საშუალებით ამუშავებდა, თვითონ კი მეტწილად ომობდა, თარეშობდა, ნადირობდა.

ახალი წესწყობილება თვალსაჩინო გახდა ქართლში უკვე IV საუკუნის დამდეგს. ამ დროს წარჩინებულნი, აზნაურები, საკმაოდ მომძლავრებული იყვნენ ქართლში. მაგრამ ფეოდალური წყობილების საბოლოო გამარჯვება ჩვენში მხოლოდ რამდენიმე საუკუნის შემდეგ მოხდა.

IV საუკუნის პირველ ნახევარში ქართლში მეფობდა მირიანი. მირიან მეფემ უარყო ქართველების ძველი სარწმუნოება და მიიღო ქრისტიანობა. მირიანი ფიქრობდა, რომ ქრისტიანობის საშუალებით ის უფრო კარგად შეინარჩუნებდა თავის მეფობასა და დამოუკიდებლობას.

**რომთან კავშირი სპარსელების წინააღმდეგ.** ჩვენ ვიცით, თუ როგორი იყო ქართლის კავშირი რომთან I, II და III საუკუნეებში. ქართლის მეფეები ამ კავშირს თავის სასარგებლოდ იყენებდნენ სულ უფრო და უფრო მეტად. სხვანაირი მდგომარეობა მოჰქონდათ სპარსელებს, რომელნიც III საუკუნიდან, როგორც ვიცით, ძალიან გაძლიერდნენ. სპარსელების ახალი ძლიერების სუსხი მალე მოსწვდა ამიერკავკასიის ქვეყნებსაც, პირველ რიგში — სომხეთს. სპარსელები სპობდნენ მეფობას დაპყრობილ ქვეყნებში და ხალხსაც უზომოდ აწუხებდნენ. ასე იქცეოდნენ ისინი, მაგალითად, სომხეთში.

სომხეთის მაგალითი თვალწინ ედგათ ქართველებს. ქართლის მეფემ მირიანმა გადაწყვიტა: ისევ რომაელებთან შეჩვეული კავშირი სჯობს სპარსელების ძალადობასო. ამ დროს რომის სახელმწიფოში ქრისტიანობა უკვე გაბატონებული სარწმუნოება იყო და მირიანმაც რომაელებთან კავშირის შესანარჩუნებლად ამ სარწმუნოების მიღება ირჩია.

**ბრძოლა მეფესა და ქურუმებს შორის.** ქრისტიანობა იმიტომაც გამოსადეგი იყო მეფისათვის, რომ მას უთანხმოება ჰქონდა ქურუმებთან. წარმართული ტაძრები დიდი მამულების მფლობელნი იყვნენ და ამ მიწებს თუ ემატებოდა, თორემ არ აკლდებოდა. სარგებელი ამ მამულებიდან ქურუმებს მისდიოდათ. მეფეს შურდა ტაძრებისა და ქურუმების ეს სიმდიდრე. მეფის საგვარეულოს, სეფე-სახლსაც, ჰქონდა დიდი მამულები. მაგრამ „სეფე-ქვეყანა" თანდათან ილეოდა იმიტომ, რომ მეფე ერისთავებსა და სხვა მოხელეებს სამსახურისათვის მიწას აძლევდა ხოლმე. ამიტომ მეფეს უნდოდა, წაერთმია ტაძრებისა და ქურუმებისათვის მათი მამულები და სხვა სიმდიდრეც და ამიტომვე იყო, რომ მეფე ქურუმების ძველი სარწმუნოების მაგიერ ახალ სარწმუნოებას უჭერდა მხარს. ახალი სარწმუნოება მეფის მორჩილებას ქადაგებდა.

**აზნაურები.** ქრისტიანობას მიემხრნენ აგრეთვე წარჩინებულნი, აზნაურები. აზნაურებიც მტრობდნენ ქურუმებს და მათთვისაც ახალი რელიგია ხელსაყრელი იყო. ქრისტიანობა აზნაურთა სასარგებლოდ

ასეთ აზრებსაც ქადაგებდა: გლახაკნი და დაჩაგრულნი ნუგეშს საიქიოში იპოვნით, აქ კი წესრიგი და მორჩილებაა საჭირო.

**ნინო კაბადოკიელი.** ქართველი და უცხოელი საეკლესიო (მათ შორის IV საუკუნის ბერძენი და რომაელი) მწერლები მოგვითხრობენ, რომ ქართლის მოქცევაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდა ქრისტიანმა ქალმა, რომელიც ჩვენი ეროვნული გადმოცემის თანახმად კ ა ბ ა დ ო კ ი ე ლ ი ყოფილა, სახელად ნ ი ნ ო. მან სახელი გაითქვა მკურნალობის ხელოვნებით. მეფის კარს მიაღწია, მოარჩინა სნეული ნანა დედოფალი და გააქრისტიანა იგი. ნინო ცდილობდა, მეფეც მოექცია ახალ რჯულზე, მაგრამ მირიანი ყოყმანობდა, ვიდრე ნადირობის დროს მომხდარმა შემთხვევამ ბოლო არ მოუღო მის გაუბედაობას: მზის დაბნელება იყო, წყვდიადით მოცულ მეფესა და მის მხლებლებს მთაში, ტყეში, გზა დაეკარგათ; შეძრწუნებული მირიანი ამაოდ ევედრებოდა თავის ღმერთებს, მხოლოდ ნინოს ღმერთმა იხსნა იგი თითქოს ამ გასაჭირისაგან. დედაქალაქში დაბრუნებულმა მირიანმა თვითონაც მიიღო ქრისტიანობა და შემდეგ მცხეთელებიც მონათლაო.

**ხალხის მონათვლა.** შემდეგ მეფემ თავის სამეფოში მქადაგებლები გაგზავნა და თან ერისთავებიც გააყოლა, რადგანაც ეშინოდა, აქაიქ ხალხმა შეიძლება ახალი სარწმუნოება არ მიიღოსო. მართლაც, წვრილი ერი, სოფლის მუშახალხი, ახალი რელიგიის ქადაგებას მტრულად შეხვდა. მთის ხალხს, რომელსაც ჯერ ფეოდალიზმი არც კი შეხებოდა, ხომ გასაგონადაც არ უნდოდა ქრისტიანობა. ძველი მემატიანე ამბობს, რომ როცა ნინომ ქსნისა და არაგვის ხეობის მთიულებს ქრისტიანობა უქადაგა, მათ კბილთა ღრჭენა დაიწყეს და ზურგი შეაქციესო. ერისთავმა მაშინ მახვილი დაატრიალა, რომ ურჩებისათვის ჭკუა ესწავლებინა. მემატიანე ამბობს, მთიულებმა ვეღარ გაუძლეს მეფის ჯარს და „შიშით მოსცნეს კერპნი მათნი დალეწად“.

ამის შემდეგ კახეთის მოსახლეობა მოაქციეს. მაგრამ შემდეგშიც დიდხანს იყო ისეთი კუთხეები ჩვენში, სადაც ქრისტიანობას არ ცნობდნენ.

მირიან მეფის მონათვლა და ქართლის მოქცევა, ესე იგი, გაქრისტიანება, მოხდა 337 წლის მახლობლად.

ნინო კაბადოკიელი ეკლესიამ წმინდანთა შორის შერაცხა და საქართველოს განმანათლებლად მიიჩნია. თბილისის სიონის ტაძარში დღესაც ინახება საქართველოს ეკლესიის უდიდესი ეროვნული სალოცავთაგანი — ვაზის ჯვარი, რომელიც, გადმოცემით, თვით ნინოს თმებით არის შეკრული.

**ქართლის გაქრისტიანების მნიშვნელობა.** ქრისტიანობა ემსახურებოდა ჩვენში მონობის გაუქმებასა და ფეოდალური ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებას, ფეოდალიზმი კი მონათმფლობელობასთან შედარებით პროგრესული წესწყობილება იყო. ქრისტიანობა, აგრეთვე, გარდა იმისა, რომ წარმართობასთან შედარებით უფრო პროგრესული იდეოლოგია იყო, ხელს უწყობდა საქართველოს კულტურული კავშირების დაცვასა და განვითარებას ევროპის ქვეყნებთან.

ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად მიღება ქართლში უკვე IV საუკუნეში ჩვენი ქვეყნის ადრინდელი დაწინაურების მაჩვენებელია საზოგადოებრივი და კულტურული მხრივ.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ქრისტიანობამ მოსპო ძველი ქართული წარმართული კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლები, კერძოდ— ძველი წარმართული მწერლობა.

**ქართლის ეკლესია.** ქრისტიანულ ორგანიზაციას, ქრისტიანების კრებულს, ბერძნული სიტყვით, „ეკლესიით" აღნიშნავდნენ. შემდეგში ქართულად „ეკლესია" დაერქვა იმ შენობასაც, სადაც ქრისტიანების კრებული თავს იყრიდა ლოცვისათვის. რაკი ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფოებრივ სარწმუნოებად გადაიქცა, ქართლის ეკლესიამაც ისეთივე წყობილება მიიღო, როგორიც ჰქონდა თვითონ ქართლის სამეფოს. ასე ხდებოდა სხვა ქვეყნებშიაც. ცალკე საერისთაოების საეკლესიო საქმეებს განაგებდნენ ეპისკოპოსები, რომელნიც ემორჩილებოდნენ ქართლის ანუ მცხეთის მთავარეპისკოპოსს. ეპისკოპოსებს ექვემდებარებოდნენ ხუცები ანუ მღვდლები. მალე ქრისტიანული სამღვდელოება ქართლში მრავალრიცხოვანი გახდა და ისევე გამდიდრდა, როგორც ძველი ქურუმები. ქრისტიანული ტაძრებიც დიდ მამულებს იძენდნენ, ზოგჯერ შემოწირულების მიღებით, ზოგჯერ ყიდვით თუ სხვა გზით. ამ მამულებს მთავარეპისკოპოსი და ეპისკოპოსები განაგებდნენ. ეპისკოპოსებს ემორჩილებოდა ის ხალხიც, რომელიც ტაძრების მამულებს ამუშავებდა. ქრისტიანულმა ეკლესიამ ქართლშიაც ადრევე მიიღო ფეოდალური ორგანიზაციის ხასიათი.

## § 24. ქართული მწიგნობრობა

**ქართული ანბანის წარმოშობა.** მწიგნობრობა ანბანს (ანუ დამწერლობას) და მწერლობას ჰქვიან. ქართული ანბანი ანუ დამწერლობა უფრო ძველია, ვიდრე ქართული მწერლობა. ეს იმიტომ, რომ ქართული მწერლობის ყველაზე ძველი, ჩვენ დრომდე მოღწეული, ძეგლები ქრისტიანულ ხანას ეკუთვნის და საეკლესიო ხასიათისაა, ქართული ანბანი კი ქრისტიანობაზე ადრეც არსებობდა. როცა ქრისტია-

ნობა ჩვენში გაბატონდა, მან ძველი ქართული წარმართული მწერლობა მოსპო, მაგრამ ძველი ქართული ანბანი მიიღო და თავისი საჭიროებისათვის გამოიყენა.

**ხუცური და მხედრული დამწერლობა.** ქართველებს ორი ანბანი აქვთ: ერთი — უფრო ძველი, ხ უ ც უ რ ი, მეორე — უფრო ახალი, მ ხ ე დ რ უ ლ ი.˙ ასე ამ ანბანებს იმიტომ ეძახიან, რომ როცა ახალი ანბანი გაჩნდა, მას ერისკაცები, „მხედრობა“, ხმარობდნენ საერო წიგნებისათვის, ძველი ანბანი კი ეკლესიამ შეინარჩუნა, მას სამღვდელოება, „ხუცები“, ხმარობდა თავისი საჭიროებისათვის. ხუცური და მხედრული იმდენად განსხვავდება ერთმანეთში, რომ ხუცურს ცალკე შესწავლა სჭირია.

მხედრული წარმოიშვა და განვითარდა ხუცურისაგან თანდათან დღევანდელ ქართულ დამწერლობამდე. თვითონ ხუცურსაც სხვადასხვა ხანაში სხვადასხვა სახე ჰქონდა. დამწერლობა ასე იცვლებოდა ცხოვრების განვითარების გამო. ცხოვრების პრაქტიკულმა საჭიროებამ დაბადა საერთოდ მწიგნობრობა, ეს საჭიროება კი თანდათან ფართოვდებოდა; მეტი ხალხი ხმარობდა დამწერლობას ყოველდღიურ საქმიანობაში თუ საერო მწერლობაში. ამიტომ ახალ დროს უფრო სწრაფი და მარჯვე წერა სჭიროდა. საწერი მასალაც (ჩვეულებრივად ტყავი) მაშინ ძალიან ძვირი იყო და რაკი მას ახლა მეტს ხმარობდნენ, ამიტომ ადგილის დაზოგვასა და მომჭირნეობას ცდილობდნენ. ასე იცვლებოდა ანბანიც.

**ასომთავრული და ნუსხა-ხუცური.** ხუცურ დამწერლობათა შორის ყველაზე ძველია ა ს ო მ თ ა ვ რ უ ლ ი. ასომთავრული ანბანი ქართველებს შეთვისებული აქვთ უძველეს ხანაში, ქრისტიანული წელთაღრიცხვის დამდეგამდე. ყველაზე ძველი თარიღიანი ქართული ასომთავრული წარწერა აღმოჩნდა 1937 წელს ბოლნისში. ეს წარწერა ამოჭრილია 492—493 წლებში. ასომთავრულიც დროთა მსვლელობაში იცვლებოდა. დაახლოებით VII—VIII საუკუნეებიდან ახ. წ. შემოვიდა ნ უ ს ხ ა-ხ უ ც უ რ ი. ნუსხური იგივე ასომთავრულია. მხოლოდ გარკვეული ხელით დაწერილი და ასოების წაგრძელებული კიდურებით, თავებითა და კუდებით.

**მდივან-მწიგნობრული ნუსხური. მხედრული.** ნუსხა-ხუცური უფრო სწრაფი დამწერლობა იყო და ნაკლებს საწერ მასალას მოითხოვდა, ვიდრე ასომთავრული. მაგრამ შემდეგ საჭირო გახდა კიდევ უფრო სწრაფი წერა. ნუსხურის კუთხოვანი ასოები მომრგვალდა და ერთმანეთს გადაება, რომ წერის დროს ხელი ხაზს ხშირად არ მოსცილებოდა. ასე გაჩნდა მდივან-მწიგნობრული ნუსხური, რომელიც იხმარებოდა ჩვენში XI—XII საუკუნეებში განსაკუთრებით მეფის კან-

ცელარიაში და კერძო პირების მიერ. რუსთაველის ხანიდან მოყოლებული მდივანმწიგნობრული ნუსხური უკვე თვალსაჩინოდ უახლოვდებოდა მხედრულს. მხედრული დამწერლობა XIV საუკუნისათვის უკვე ჩამოყალიბებულია. მას ჩვენ დღესაც ვხმარობთ, თუმცა ზოგი ასო რამდენადმე შეცვლილია. ასეთია ქართული ანბანისა და დამწერლობის ისტორია.

ძველი ქართველი ისტორიკოსი ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი ქართული ანბანის გამოგონებას მიაწერს ქართლის მეფეს ფ ა რ ნ ა ვ ა ზ ს, ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ ა კ ე დ ო ნ ე ლ ი ს უმცროს თანამედროვეს, მაგრამ მროველის მტკიცებას სხვა ისტორიული მოწმობანი მხარს არ უჭერენ და ამიტომ მისი მიღება შეუძლებელია.

ზოგი ძველი სომეხი მწერალი მროველის წინააღმდეგ სომხური, ქართული და ალბანური ანბანების გამოგონებას V საუკუნის ერთი სომეხი მოღვაწის დამსახურებად თვლის. ამ მოღვაწეს ზოგი მ ე ს რ ო პ ს უწოდებს, ზოგი კიდევ მ ა შ თ ო ც ს. მოგვითხრობენ, რომ ვინმე სირიელმა ეპისკოპოსმა დ ა ნ ი ე ლ მ ა მესროპზე ადრე შეუდგინა სომხებს ანბანი, მაგრამ ეს უკანასკნელი ნაკლული აღმოჩნდა: ერთი ცნობით, მას 7 ასო ჰკლებია, მეორე ცნობით, 12 თუ 14. მესროპის ცხოვრების აღწერაში ვკითხულობთ, რომ დანიელის ანბანს არ შეეძლო გამოეხატა სომხური ენის „სილაბები“ (მარცვლები) და „კავშირები“, ე. ი. როგორც ჩანს, მას აკლდა ასოები ხმოვანი ბგერებისათვის. მესროპმა მთელი რიგი ქვეყნები მოვლო ამ ხარვეზის შევსების მიზნით, მაგრამ საქმეს არა ეშველა რა, ვიდრე ერთხელ ქალაქ ს ა მ ო ს ა ტ შ ი მესროპს სიზმრად ღვთაებრივი ხელი არ ეჩვენა, რომელმაც მას საჭირო ნიშნები გამოუსახა. ამ მასალით აღჭურვილი მესროპი გამოცხადდა სწავლულ ბერძენთან, ვინმე რ ო ფ ა ნ ო ს თ ა ნ, რომელმაც ზეგარდმო ნაბოძებ ნიშნებს ასოების საბოლოო სახე მისცა. ამის შემდეგ მესროპი კვლავ სირიას გაემგზავრა, იქაური სწავლულებისაგან ახალი ასოების დასტური მიიღო და შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში.

ამრიგად ყოფილა შექმნილი, ერთი წყაროს განმარტებით, სომხური ანბანის ასოები ხმოვანი ბგერებისა (ა, ე, Ә, ი, გ, ო) და ერთი ნახევარხმოვნის გამოსახატავად.

თუ დავუშვებთ, რომ მესროპს შეეძლო კიდევ ორი ანბანის შედგენის მძიმე ამოცანა ეკისრა, ბუნებრივი იქნება ვიფიქროთ, რომ მას მეზობელი ხალხებისათვის უკვე მზა-მზარეული სომხური დამწერლობა შეეთავაზებინა, მაგრამ თურმე ასე კი არ მომხდარა, არამედ მესროპს თითქოს ორი სავსებით ახალი სრული ანბანი შეუქმნია და თანაც ისე, რომ მას აღარც რამე გასჭირვებია და აღარც ზებუნებრივი ძალები დახმარებია.

ამ მოთხრობის არარეალური, ხელოვნური ხასიათი აშკარაა. იგი ჩვენ გვიანი, სპარსული პერიოდის, ტენდენციის ნაყოფად უნდა მივიჩნიოთ. ლ ა ზ ა რ ე ფ ა რ პ ე ლ ი, რომელიც ყველაზე უფრო სანდოა უძველეს სომეხ ისტორიკოსთა შორის, ძალიან დაწვრილებით მოგვითხრობს მაშთოც-მესროპის ბიოგრაფიას, მაგრამ კრინტსაც კი არსადა ძრავს საქართველოში ან ალბანეთში მისი რაიმე მოღვაწეობის შესახებ. ამრიგად, თხრობის პირვანდელ რედაქციაში ქართული და ალბანური ანბანის გამოგონების შესახებ სრულიადაც არ ყოფილა საუბარი.

ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთ საიმედო საშუალებას ისტორიული მეცნიერების დამხმარე დისციპლინა — პალეოგრაფია, გვაძლევს. ეს არის ასოთა მოყვანილობის, მათი განვითარების, მათი საანბანო რიგისა და სხვა ერთა დამწერლობასთან მათი დამოკიდებულების შედარებით-კრიტიკული შესწავლის გზა. ამ გზით კიდევაც მოხერხდა იმის დადგენა, რომ ქართული ანბანის ასო-ნიშნები, ვისიმე ნასიბრძნი კი არაა, არამედ გენეტიკურ ნათესაობაში იმყოფება ახლო აღმოსავლეთის უძველეს ფონეტიკურ ანბანებთან. ქართული და სომხური დამწერლობა იმდენად განირჩევა ერთიმეორისაგან, რომ ისინი შეუძლებელია ერთსადაიმავე ხანაში იყვნენ შექმნილი. ქართულ ანბანს შემოუნახავს გარდა ასოთა ძველებური მოყვანილობისა აგრეთვე მათი ძალიან ძველი თანამიმდევრობა და ამ მხრივ იგი მკვეთრად განსხვავდება სომხურისაგან. ამ ფაქტების სპეციალურმა შესწავლამ მკვლევარები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ქართული ანბანი წარმოშობილი უნდა იყოს არა უგვიანეს VII საუკუნისა ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

საერთო ისტორიული პირობების მიხედვითაც თუ ვიმსჯელებთ, დაახლოებით სწორედ ამ დროს უნდა მიეტოვებინათ ქართველებს თავისი ძველი, იეროგლიფური და ლურსმული დამწერლობა და ფონეტიკურ დამწერლობაზე გადასულიყვნენ.

## § 25. ძველი ქართული წარმართული სარწმუნოება და თქმულებები

მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად იქცა, მან სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ძველს წარმართულ კულტურას. სადაც კი ახერხებდა, ქრისტიანობა პირწმინდად სპობდა წარმართული კულტურის ყოველგვარ ძეგლსა და კვალს. ასე, როგორც ვიცით, ქრისტიანობამ სრულიად გაანადგურა ჩვენში ძველი წარმართული მწერლობა და ამით წაგვართვა საშუალება, შეგვესწავლა ქართველთა უძველესი სარწმუნოებრივი შეხედულებანი მათი პირვანდელი და უცვლელი სახით. მაგრამ, მეორე მხრით, ხალხი ჯიუტად იცავდა მამა-

პაპურ რწმენებს და ქრისტიანობაც ხშირად იძულებული იყო, შეჰგუებოდა მათ, რის გამოც ძველი შინაარსი ახალი ფორმით იმოსებოდა. ასე მოხდა, რომ ძველი წარმართული ღმერთები ნაწილობრივ ქრისტიანულ ღმერთად და წმინდანებად იქცნენ, ნაწილობრივაც ხალხურ ყოფა-ცხოვრებასა და შეგნებაში ჩარჩნენ. ამგვარი გადმონაშთებით ვსწავლობთ ჩვენ ქართულს წარმართულ სჯულს.

რწმენები. ქართველების უძველესი რწმენით, მთელი ბუნება გასულიერებული და განპიროვნებული იყო. ბუნების მოვლენებს, მცენარეებს, ცხოველებს შეგნებული არსების, ადამიანის თვისებები მიეწერებოდა. სჯეროდათ, რომ ბუნების ძალებსა და მოვლენებს შეეძლოთ თავის ნებაზე კეთილიც ექნათ ადამიანებისათვის და ავიც, ამიტომ მიაჩნდათ საჭიროდ მათი თაყვანისცემა, მსხვერპლისა და ძღვენის მირთმევა და ლოცვის შეწირვა, იქნებ ღმერთებმა ჩვენსკენ კარგი თვალით მოიხედონო.

ერთი ღვთაება უფროსად იყო მიჩნეული, ის იყო უზენაესი „ღმერთი" (მეგრულად — ღორონთი, ლაზურად ანუ ჭანურად ღორმოთი, სვანურად ღერმეთ), „გამჩენი" და „მორიგე" ღმერთი, რომელმაც გააჩინა, დაბადა მთელი სამყარო და რომელიც წესრიგს აძლევდა თავის ქმნილებას. მის გარდა იყვნენ უფრო დაბალი რიგის ღვთაებები, ხატები, „ღვთისშვილები". „თავისი წილი" ღმერთი ჰყავდათ ცალკე თემებსა და საგვარეულოებს, მთას, ხევს, მინდორსა და მინდვრის ყვავილებს, ხეებს, სახლსა და ფუძეს. ტყის ნადირთა მფარველი ღვთაება, „ნადირთ მწყემსი" იყო ოჩოპინტრე ან დალი (დალის სახელი ეხლაც ისმის ხალხურ სიმღერებში — „ოვ, დილავ, დელი, დელა"). ამა თუ იმ ადგილის მფარველის სული „ადგილის დედად" იწოდებოდა. სწამდათ. აგრეთვე, „ცა-ღრუბლის წინამძღვარის" არსებობა და სხვაც ბევრი.

ყ ვ ე ლ ა ზ ე დ ი დ პ ა ტ ი ვ ს ა დ ა თ ა ყ ვ ა ნ ს ჩ ვ ე ნ ი წ ი ნ ა პ ი რ ე ბ ი მ ა ი ნ ც ც ი ს მ ნ ა თ ო ბ ე ბ ს ს ც ე მ დ ნ ე ნ — მ ზ ე ს, მ თ ვ ა რ ე ს ა დ ა ხ უ თ ც თ ო მ ი ლ ს.

მნათობთა კულტის (თაყვანისცემის) კვალი დღემდე არის შენახული კვირეულის დღის სახელებში. ასე. კვირას მეგრულად ჟაშხა ჰქვია, სვანურად — მიშლადელ, ძველქართულად მზისა. ეს მზის დღეს ნიშნავს, კვირა მზისათვის განკუთვნილი დღე იყო. ორშაბათს მეგრულად თუთაშხას ეძახიან. სვანურად დოშდიშ, ძველქართულად მას მთოვარისა ერქვა. ორშაბათი მთვარის დღე იყო. სამშაბათი მეგრულად იწოდება თახაშხა, ლაზურად — ტიკინაჩხა. სვანურად — თახაშ. სამშაბათი ომიანობის ღმერთის დღე იყო. მართლაც, ხითურ-სუბარულ სამყაროში ომიანობის ღმერთს ტარკუ-ს ანუ ტარხონ-ს ეძახდნენ.

მზე ქალად ჰყავდათ წარმოდგენილი, მთვარე — ვაჟად. ქართულ ხალხურ ლექსში მზე ასე ამბობს მთვარეზე.

„მე და ვარ და ის ძმა არის,
რად ესძულდებით ერთმანეთსა?“

მეგრულ ლექსში კი ნათქვამია:

„მზე დედაა ჩემი,
მთვარე — მამა ჩემი,
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი
და და ძმაა ჩემი“.

გალმერთებულ მნათობთა შორის პირველი ადგილი მზეს ეჭირა. ეს ბუნებრივია იმიტომ, რომ ქართველ ტომთა მეურნეობის მთავარს, წამყვან დარგს მიწათმოქმედება შეადგენდა მაშინ, როცა ქართველი ტომები ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდნენ, ფართო სამოქალაქო კავშირები შეკრეს და თავისი სარწმუნოებრივი შეხედულებები სისტემად ჩამოაყალიბეს. მიწათმოქმედი მეურნისათვის ცის მნათობთა შორის მთავარი მნიშვნელობა, ცხადია, მზესა აქვს. მზე ესახებოდა მიწათმოქმედ მეურნეს მცენარეების, ნაყოფიერების, სიცოცხლის უმთავრეს წყაროდ, მზეს შესთხოვდა იგი წყალობასა და შემწეობას.

იმ შორეულ ხანაში ქართველ ტომთა საზოგადოებრივი ცხოვრების სათავეში დედაკაცი, ქალი იდგა. ამიტომ დაისახა მზის ღვთაება როგორც ქალი ღმერთი, ხოლო როცა ღმერთების უფროს-უმცროსობაც ჩამოყალიბდა, მზის ქალღმერთი მიჩნეულ იქნა დიდ დედად, სხვა ღმერთების დედად, ღვთისმშობლად.

მზეს, როგორც ღმერთს, ქართველი მთიელები თაყვანს სცემდნენ სულ უკანასკნელ დრომდე, მეოცე საუკუნეშიაც. თითქმის ყველა თავის ლოცვა-სავედრებელს ხევსური და ფშაველი ხუცები დაახლოებით ასე იწყებდნენ: „დიდება ღმერთსა, დღესა დღესინდელსა, მზესა და მზისმყოლთ ანგელოზთა“. აქ მზე პირდაპირ ისახელება, როგორც ღმერთი და ისიც — მთავარი, რადგანაც მას ანგელოზები ჰყავს. მაგრამ, გარდა ამისა, „დღეც“ ამ სალოცავში მზეს ნიშნავს, იმიტომ რომ „დღე“ მზის უძველესი სახელია.

ზოგიერთი ცნობა ანტიკური საქართველოს ღმერთების შესახებ შემოგვინახეს ბერძენმა მწერლებმა, რომელნიც მათ თავის სახელებს არქმევდნენ. ასე, მესხების თემში (ე. ი. სამცხეში) უკვე ჩვენს წელთ-

აღრიცხვამდე აღნიშნულია ქალღმერთ ლევკოთეას ტაძარი, რომელიც დიდად სახელმოხვეჭილი იყო მეზობელ ქვეყნებში თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობითა და სიმდიდრით. ამ ტაძარში, რომელსაც ცნობილი სამისნოც ჰქონია, ვერძის შეწირვა მსხვერპლად აკრძალული ყოფილა. ეს სიყვარულისა და ნაყოფიერების ქალღმერთი იყო. როგორც ჩანს, ლევკოთეას ტაძრის ადგილას ააშენეს გაქრისტიანების შემდეგ განთქმული აწყურის ტაძარი ღვთისმშობლის სახელობაზე.

ქალაქ ფასიდში II საუკუნეში ახ. წ. ადგილობრივი ქალღმერთის ქანდაკება იდგა. ქალ ღმერთი ტახტზე იჯდა, ხელთ მას კიმბალი (ერთგვარი მუსიკალური საკრავია) ეჭირა, ფერხთით კი ლომები ეწვა. ბერძნები ამბობდნენ, ეს ქალღმერთი ყველაზე მეტად რეას ჰგავსო, რეა კი, ანუ სხვანაირად — კუბელე, მცირე აზიის მთავარი ქალღმერთი იყო, რომელიც „დიდი დედის“, „დედოფლისა“ და „ღვთისმშობლის“ წოდებულებას ატარებდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ორივე შემთხვევაში ბერძნული ცნობები მზის ქალღმერთის თაყვანისცემას გულისხმობს.

მზის კულტის არსებობას ანტიკურ საქართველოში არქეოლოგიური მასალაც ემოწმება. არმაზში და ბორში (შორაპანთან) ნაპოვნ ნივთებზე გამოსახულია სარწმუნოებრივი სცენა — სამსხვერპლოსთან მდგომი ცხენი. ცხენს კი მსხვერპლად მზეს სწირავდნენ ხოლმე. კლდეეთში არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნ ნაშთთა შორის, ჩანს, მსხვერპლად შეწირული ცხენების ნაშთებიცაა.

სხვა ხალხებთან ურთიერთობის წყალობით ანტიკურ საქართველოში უცხო რელიგიების ნაკადებიც იყო შემოსული. შესამჩნევი იყო ბერძენთა სარწმუნოების ერთგვარი გავლენა. მაგრამ განსაკუთრებით საგრძნობი იყო, აღმოსავლეთ საქართველოში, ირანული რწმენების ზეგავლენა. მას შემდეგ, რაც აქემენიდებმა ქართველი ტომებიც მეტნაკლებად დაუქვემდებარეს თავის ხელისუფლებას, აქ მითრას კულტი შემოდის. მითრაც მზის ღვთაება იყო, რომელიც წინა აზიის უძველესი, მკვიდრი მოსახლეობისაგან შეითვისეს სპარსელებმა და თავის ოფიციალურ ღმერთად აქციეს. მითრას კულტის გავრცელებას ქართველ ტომებში ნიადაგი მომზადებული ჰქონდა საკუთარი მზის კულტის წყალობით. შემდეგში საქართველოში მაზდეანობის გავლენაც შემოიჭრა.

ქრისტიანობამ მნათობთა თაყვანისცემას სახე შეუცვალა და თავის ღმერთსა და წმინდანებს შეუგუა: ქალღმერთი მზის კულტი ქრისტეს დედისა და ზოგი სხვა წმინდანი ქალის (მაგ., ბარბალეს) თაყვანისცემას დაუკავშირა, ვაჟი-ღმერთი მთვარის კულტი კი წმინდა გიორგის თაყვანისცემას. ისევე, როგორც წარმართობის დროს მზე აღიარებული იყო ხალხის უზენაეს დედოფლად, ღვთისმშობელიც

(ასე ეძახდნენ ქრისტეს დედას) მიჩნეული იქნა ქვეყნის მფარველად, დედოფლად. ამ ნიადაგზე გაჩნდა ალბათ თქმულება, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა არისო.

**რიტუალი (წეს-ჩვეულებანი) და სარწმუნოებრივი გადმოცემა-თქმულებები.** რელიგიურ რწმენებთან დაკავშირებული იყო სხვადასხვა წეს-ჩვეულება და თქმულებები ღმერთებისა და ღმერთკაცების შესახებ. ეს წესები და გადმოცემებიც ხალხმა ნაწილობრივ უკანასკნელ დრომდე შემოინახა, განსაკუთრებით მთიანსა და მივარდნილ რაიონებში ღღეობა-სალოცავების, საგალობლების, წარსათქმელებისა და თვით თქმულებების სახით. ზოგჯერ ხალხი ათასი წლის მანძილზე იცავდა ძველ რწმენებსა და ადათებს. მაგალითად, სვანეთში ჯერ კიდევ XX საუკუნეში ასრულებდნენ მურყვამობის წარმართულ ღღეობა-სალოცავს, რომელიც რვა ნაწილისაგან შედგებოდა. ჯერ ორპირად ჩაბმული ფერხული წმინდა საგალობელს ამბობდა, რომელიც ასე იწყებოდა: „ადრეკილა წაგვივიდა და მოგვივიდა". შემდეგ ცალკე გუნდი სხვა წესს ასრულებდა და ხალხისათვის გაუგებარ სიტყვებს იძახოდა: „მელია ტელეფია, იოჰ, იოჰ!". შემდეგ კვირია ღმერთის საგალობელი მოსდევდა, დასასრულ ფერხული და სხვადასხვა სიმღერა სრულდებოდა.

მურყვამობის ღღეობა-სალოცავი ძველი ხეთური ღმერთის — ტელეფინუს — თაყვანისცემის ნაშთია. ამგვარი ნაშთები სხვაც ბევრი იყო დარჩენილი ხალხში.

უძველესი თქმულებებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა თქმულება ამირანის შესახებ.

გადმოცემით, ამირანის დედა მონადირეობის ქალღმერთი დალი იყო. ამირანის მამა მონადირე სულა-კალმახი ყოფილა. ამრიგად, დაბადებით ამირანი ღმერთკაცი იყო. როცა გაიზარდა, ამირანი გოლიათი ტანის კაცი დადგა: მას საცრისოდენი თვალები ჰქონდა, მგლის მუხლი და დაქანებული ზვავის სიმარდე, თორმეტი უღელი ხარ-კამეჩის ღონე. მიწას უმძიმდა ამირანის ტარება. განრისხებული ამირანი საავდროდ გამზადებულს შავ ღრუბელსა ჰგავდა. იარაღიც ამირანს თავის შესაფერი ჰქონდა. მისი ხმალი, რომლის აწევა არავის შეეძლო, საგანგებოდ იყო გაჭედილი. თქმულებაში ამირანი ამბობს:

„როს ჩემი ხმალი წრთებოდა,
ცა ჰექდა, მიწა გრგვინავდა,
სამჭედლო ექანებოდა,
მჭედელი, მემჭედურები
ერთმანეთს ეფარებოდა".

ამირანს ერთგული ძაღლი ჰყავდა, სახელად ყურშა, პატრონსავით უჩვეულო არსება. ყურშა ორბის ლეკვი იყო, მას ბეჭებზე ორბის ფრთები ჰქონდა გამოსხმული, ორი ნახტომით ჯიხვს ეწეოდა.

ამირანი ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლი გმირია. მას უნდა ხალხს მოაშოროს მისი მჩაგვრელი მოძალადეები, ავი სულები, მდევები. გველეშაპები, რათა ადამიანმა უსისხლო პური ჭამოს.

ხალხის მტრებთან, ავ სულებთან. ბრძოლაში ამირანმა დიდი გმირობა ჩაიდინა. ბევრი ბოროტი არსება გაწყვიტა. ერთხელ ამირანი შავ გველეშაპს შეებრძოლა, რომელიც მზეს ჩაყლაპავს ხოლმე, რის გამოც მზის დაბნელება ხდება. გველეშაპმა ამირანიც ჩაყლაპა, მაგრამ ამირანმა მას ალმასის დანით მუცელი გაუჭრა და გარეთ გამოვიდა.

შემდეგ ამირანი ღრუბელთ ბატონს მიუხტა. ღრუბელთ ბატონს მზეთუნახავი ასული ჰყავდა, სახელად კამარი, რომელიც ცაზე ჯაჭვით ჩამოკიდებულ კოშკში ცხოვრობდა. ამირანმა ჯაჭვი გაწყვიტა, კოშკი მიწაზე ჩამოაგდო და მშვენიერი კამარი მოიტაცა.

ბოლოს ამირანმა ბრძოლა გამოუცხადა თვით ღმერთს. ამ ბრძოლაში ამირანი დამარცხდა. იგი კავკასიონზე რკინის პალოს ჯაჭვით მიაბეს და თავზე თოვლიან-ყინულიანი მთა დაახურეს. ამირანმა ორჯერ გაწყვიტა ჯაჭვი, მაგრამ მესამედ ღმერთმა ის კიდევ უფრო მაგრად შებორკა. ფრთოსანი ყურშა, რომელიც ამირანს თან ახლავს, და ამირანი წლის განმავლობაში ეწევიან პალოს და ის-ისაა, უნდა ამოაძრონ. რომ ამ დროს ამირანის მტრები დაჰკრავენ კვერს და პალო ისევ ძირამდე ჩაჯდება. ასე ხდება ყოველ წელს.

ხალხს ამირანი უკვდავად მიაჩნდა და ისე ღრმად იყო მის არსებობაში დარწმუნებული, რომ მთელ საქართველოში დიდ ხუთშაბათს (აღდგომის წინ) მჭედლები ამირანს იგონებდნენ, გრდემლზე კვერს ურტყამდნენ და სანთელს ანთებდნენ.

ამირანის თქმულება ძალიან ძველი თქმულებაა. უკვე II—III საუკუნეების ბერძენი მწერლები ადასტურებენ, რომ ეს თქმულება საქართველოში დიდად გავრცელებული იყო. ერთი მათგანი, ფილოსტრატე, მაგალითად, მოუთხრობს: ადგილობრივ „ბარბაროსებს“ (ასე ეძახდნენ ბერძნები ყველა არაბერძნული მოდგმის ხალხს) აქვთ გადმოცემა იმეთივე, როგორც ბერძენ პოეტებს, რომ კავკასიონის მთაზე თავისი კაცთმოყვარეობისათვის პრომეთეა მიჯაჭვული. ზოგი ამბობს, რომ ის გამოქვაბულშია მიჯაჭვული, ზოგი კი მთის ორთავიან მწვერვალზე (იგულისხმება იალბუზი) მიუთითებს. კავკასიონის მცხოვრებნი არწივს მტრობენ, იმდენად არიან დარწმუნებულნი გადმოცემის სინამდვილეში, და შურს იძიებენ პრომეთესათვის. ამბობენ, აგრეთვე,

რომ ჰერაკლემ ვერ აიტანა პრომეთეს ტანჯვა და ისრით მოკლა არწივიო.

ამირანის თქმულებაში ქართველმა ხალხმა გამოხატა თავისი მრავალსაუკუნოვანი ოცნება იმ კაცთმოყვარე გმირზე, რომელიც დაამარცხებს ხალხის მტრებს, და თავისუფლებასა და „უსისხლო პურს", ესე იგი ბედნიერ ცხოვრებას, მოუტანს ქვეყანას.

## § 26. ლაზიკის სამეფოს წარმოშობა

**ლაზების სამთავრო.** კოლხეთის ტომებმა I—III საუკუნეების განმავლობაში უფრო თავისუფალ ცხოვრებას მიაღწიეს. შეუნელებელი ბრძოლით მათ რომაული ჯარები თანდათან გააძევეს თავისი ტერიტორიიდან. ახლა კოლხეთის ტომებს სხვა არაფერი ევალებოდათ რომის მიმართ, გარდა სამხედრო დახმარებისა. კოლხეთის სატომო სამთავროებს შორის ყველაზე ძლიერი ზანების ანუ ლაზების, დღევანდელი მეგრელების წინაპრების, სამთავრო იყო. ამ სამთავროს ეკუთვნოდა რიონის დაბლობი, რომელიც უმდიდრესი რაიონი იყო კოლხეთში და რომელსაც მ უ ხ უ რ ი ს ს ეძახდნენ. მუხურისს ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ც ეწოდებოდა, იმიტომ რომ აქ ბევრი ქალაქი იყო გაშენებული, მათ შორის — განთქმული ვ ა რ დ ც ი ხ ე ანუ რ ო დ ო პ ო ლ ი ს ი. მუხურისს უკავშირდებოდა აგრეთვე ქალაქი ფოთი, ძველი ფასიდი, მნიშვნელოვანი ნავსადგური.

**ლაზების სამთავრო აერთიანებს დასავლეთ საქართველოს.** ლაზების ანუ ზანების მთავარმა IV საუკუნეში ძალიან გააფართოვა თავისი სამფლობელო. აფშილების, აბაზგებისა და სხვა წვრილი ტომების მთავრები ახლა ლაზების მთავრის ვასალებად გადაიქცნენ. IV საუკუნის დამლევს ლაზების მთავარმა სვანების მთავარიც დაიმორჩილა. ასე წარმოიშვა ახალი სამეფო, რომელსაც რომაელები ლ ა ზ ი კ ა ს ეძახდნენ, ლაზების სახელის მიხედვით, ქართულად — კი მას ძველებურად ისევ ე გ რ ი ს ი ეწოდებოდა.

ლაზიკის ანუ ეგრისის სამეფო იწყებოდა კავკასიონის ქედიდან და მდ. ბზიფის ხეობიდან (აფხაზეთში) და ვრცელდებოდა აჭარამდე სამხრეთით. აღმოსავლეთით ეგრისის სამეფოს საზღვარი გადიოდა შორაპანსა და სკანდაზე, რომლებიც ეგრისის ციხე-ქალაქები იყო. შორაპანსა და სკანდას აღმოსავლეთით უკვე ქართლი იწყებოდა.

ეგრისის დედაქალაქი იყო ც ი ხ ე-გ ო ჯ ი, რომელსაც ბერძენ-რომაელები ა რ ქ ე ო პ ო ლ ი ს ს ანუ „ძველ ქალაქს" ეძახდნენ. იგი მდ. ტეხურის პირას მდებარეობდა. მისი დიდებული ნანგრევები დღემდე არის შემონახული. ამ ადგილს ახლა „ნაქალაქევს" უწოდებენ.

ლაზიკა საკმაოდ დიდი და ძლიერი სამეფო იყო და რომაელებთან მას თავი ღირსეულად ეჭირა. ეგრისის მეფე მხოლოდ ისეთსავე სამსახურს უწევდა რომის იმპერატორს, როგორც ძველი ქართლის მეფე — იგი კავკასიონის საუღელტეხილო გზებს ამაგრებდა. სამაგიეროდ. ლაზები რომაელებთან თავისთვის საჭირო და სასარგებლო ვაჭრობას ეწეოდნენ. ერთი იმდროინდელი რომაელი ისტორიკოსი ამბობს, რომ ლაზები „არც ხარკს იხდიდნენ, არც სხვა რამეში ემორჩილებოდნენ რომაელებს გარდა იმისა, რომ როდესაც მათ მეფე მოუკვდებოდა, რომაელთა მეფე უგზავნიდა ძალაუფლების ნიშნებს სამეფო ტახტის მემკვიდრეს"-ო. მეორე რომაელი ისტორიკოსიც ამბობს ლაზების შესახებ: „იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არც ერთი სხვა, ასე სახელგანთქმული და მორჭმული, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მიწაწყლის სიჭარბითა და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიცქვიტით... ლაზები დაცურავენ ნავებით, რამდენადაც შესაძლებელია, და ვაჭრობაშიაც პოულობენ დიდ სარგებლობას. ისინი უკვე არც ბარბაროსები არიან, არც ბარბაროსულ ცხოვრებას ეწევიან, არამედ, რომაელებთან კავშირის წყალობით, ლაზებს თავისი ცხოვრებისათვის სახელმწიფოებრივი და კანონიერი სახე მიუციათ"-ო. უცხო ქვეყნებთან კავშირს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლაზების, ისევე როგორც სხვა ხალხების, დაწინაურებისათვის, მაგრამ რომაელი მწერალი, ცხადია, ტრაბახობს, როცა ამ დაწინაურების ერთადერთ მიზეზად რომაელებსა თვლის.

**ეგრისისა და რომის ურთიერთობა.** ამრიგად. ეგრისის სამეფოც IV—V საუკუნეებში რომთან კავშირში იმყოფებოდა მხოლოდ. როცა რომაელები თავის თავს ზედმეტ ნებას მისცემდნენ, ისინი ლაზების მხრივ სასტიკ წინააღმდეგობას ხვდებოდნენ. V საუკუნის შუა წლებში რომაელებსა და ლაზებს შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა, რომელიც მალე ომადაც გადაქცეულა. ეგრისელები ამ ომს დიდი მოხერხებით აწარმოებდნენ. ასე, მაგალითად. ისინი თხრიდნენ თურმე ღრმა ორმოებს და შიგ შუბებს არჭობდნენ. ზემოდან ამ ორმოებს ჩელტებს აფარებდნენ, მიწას აყრიდნენ და პურს თესდნენ. შემოტყუებული მტერი ორმოებში ცვიოდა და იღუპებოდა. ასე გაუქცევიათ ლაზებს რომაელები 456 წელს. რომაელების ჯარი კვლავ მოვიდა ეგრისში, მაგრამ ისევ დამარცხდა. მაშინ რომის მთავრობამ გადაწყვიტა, მოეკრიბა მთელი თავისი ძალები და თან დიდხანს იმაზე თათბირობდა, რა გზით სჯობს, რომ ლაზიკაში შევიჭრათო. რომაელებს ლაზები თურმე იმდენად საშიშ მტრად მიაჩნდათ, რომ სპარსეთის მეფეს მიმართეს დახმარებისათვის. ლაზებმაც ასეთივე წინადადებით მიმართეს სპარ-

სელებს, მაგრამ სპარსელები მაშინ სხვა ომში იყვნენ გართულნი და აქაური ამბებისათვის არ ეცალათ. ბოლოს მაინც რომაელები და ლაზები ერთმანეთში მორიგდნენ. ეგრისის მეფემ გუბაზმა სამეფო ტახტი თავის შვილს დაუთმო, თვითონ 465 წელს კონსტანტინოპოლში წავიდა და იქ კეისარი და მისი კარისკაცები თავის მჭევრმეტყველებით სრულიად მოხიბლა.

## § 27. ქართლი და სპარსეთი IV საუკუნის დამლევსა და V საუკუნის დამდეგს

**რომაელების დასუსტება და სპარსელების გაძლიერება აღმოსავლეთში.** IV საუკუნეში ირანის მბრძანებლები სულ უფრო და უფრო მეტი დაჟინებით მოიწევდნენ ამიერკავკასიისაკენ, რომაელები კი აღმოსავლეთში სულ უფრო და უფრო სუსტდებოდნენ და სპარსელებს წინააღმდეგობას ვეღარ უწევდნენ. აღმოსავლეთში რომაელები თავის იმედებს უმთავრესად ქართველებსა და სომხებზე ამყარებდნენ. რომაელი ისტორიკოსი გვიამბობს, რომ 361 წელს რომაელებმა, რაკი ძალიან გაუჭირდათ, სცადეს მრავალფეროვანი საჩუქრებით მოექრთამათ ქართლის მეფე მირიანი და სომხეთის მეფე არშაკი, რადგანაც მათ შეეძლოთ, დიდი ვნება მიეყენებინათ რომაელებისათვის, სპარსელების მხარეზე რომ გადასულიყვნენ.

**ქართლი სპარსეთსა და რომს შუა.** 368 წელს სპარსეთის მეფე შაბური შემოესია ქართლს, ქართლის მეფე საურმაგი, რომელსაც რომაელების მხარე ეჭირა, განდევნა და ქართლის მეფედ საურმაგის ნათესავი, ვარაზბაკური, დასვა. ბოლოს და ბოლოს საურმაგი და ვარაზბაკური შეთანხმდნენ და ქართლი გაიყვეს: მტკვრის მარცხნივ მდებარე ნაწილში საურმაგი მეფობდა, მტკვრის მარჯვნივ მდებარე ნაწილში — ვარაზ-ბაკური.

IV საუკუნის მიწურულში და V საუკუნის დასაწყისში რომაელები და სპარსელები ისევ ებრძოდნენ ერთმანეთს იმისათვის, თუ ვის მხარეს უნდა ყოფილიყო ქართლის სამეფო. თვითონ ქართლის მეფეები კი თავის საქმეზე ფიქრობდნენ და ხან რომაელებს ეომებოდნენ, ხან სპარსელებს. V საუკუნის პირველ წლებში ქართლის მეფემ ფარსმანმა რომის სახელმწიფოს თურმე ჰუნები შეუსია. სხვანაირად მოიქცა ფარსმანის მომდევნო მეფე ბუზმარი: როცა სპარსელებმა მას თავი მოაბეზრეს თხოვნით — შენი ვაჟი მძევლად მოგვეციო, ბუზმარმა შვილი ჯერ მთაში დამალა, შემდეგ კი იმპერატორს გაუგზავნა. ქართველი ბატონიშვილი კონსტანტინოპოლში იზრდებოდა მე-

ფურად და სახელგანთქმული მოღვაწე გახდა. იგი ისტორიაში პეტრე იბერის სახელით არის ცნობილი.

**ქართლის მეფე — სპარსეთის ვასალი.** ამის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა და სპარსეთმა მაინც მოახერხა ქართლი თავისი გავლენის ქვეშ მოექცია. ახლა ქართლის მეფე უკვე სპარსეთის მეფის ვასალად იყო გამოცხადებული, რომ გული უფრო მშვიდად ჰქონოდა, სპარსეთის მეფემ ქართლში თავისი მოხელე გამოგზავნა. ამ მოხელეს პ ი ტ ი ა ხ შ ი ს თანამდებობა ეჭირა. პიტიახში სპარსული სიტყვაა, „ქვეყნის უფროსს" ნიშნავს და ქართულ „ერისთავს" უდრის. ქართლის მეფეებსაც ჰყავდათ თავისი საკუთარი პიტიახშები ანუ ერისთავები. ეს ახალი პიტიახში ქართლში უკვე სპარსეთის მეფის წარმომადგენელი იყო. შაჰის პიტიახშებს ქართლის მეფეებისათვის თვალყური უნდა ედევნებინათ. თუ ქართლის მეფის საჯდომი ამ დროს მცხეთა იყო, პიტიახშის საჯდომად სპარსელებმა თ ბ ი ლ ი ს ი აირჩიეს.

**თბილისი.** თბილისზე გადიოდა დიდი გზა, რომელიც ქართლს სპარსეთთან აკავშირებდა. თბილისის გამაგრებაც ადვილი იყო, იმიტომ რომ თბილისის შემოსავალი კარები ვიწრო ხეობაში მდებარეობდა. თბილისიდან პიტიახშს კარგად შეეძლო მცხეთისათვის ყური ეგდო.

თბილისში ძველი დროიდანვე იყო მოსახლეობა. თბილისის ზრდას ხელი შეუწყო მისმა მდებარეობამაც. აქ სხვა მნიშვნელოვანი გზებიც გადიოდა. თბილისში ძველთაგანვე იყო ხიდი მტკვარზე იმ ადგილას, სადაც ახლა მეტეხის ანუ ავლაბრის ხიდია და სადაც მტკვრის კალაპოტი ძალიან ვიწროა და მთლიანად კლდოვანი, ამის გამო ხიდის აშენება აქ ადვილი იყო. IV—V საუკუნეებში თბილისი უკვე ქართლის მნიშვნელოვანი ცენტრი უნდა ყოფილიყო. VI საუკუნეში კი თბილისმა საბოლოოდ წაართვა პირველობა მცხეთას და ქართლის დედაქალაქად იქცა.

ძველი თბილისი იმ ადგილას მდებარეობდა, რომელსაც ახლა „აბანოს უბანს" ეძახიან და სადაც თბილი გოგირდის წყაროები ამოდის. სახელიც ქალაქმა სწორედ ამ თბილი წყაროებისაგან მიიღო. ძველად თბილისის მაგიერ „ტფილისს" ამბობდნენ იმიტომ, რომ „თბილის" ნაცვლად „ტფილი" ითქმოდა.

## § 28. ქართლი V საუკუნეში

**ქართლი — სპარსეთის მოხარკე.** V საუკუნეში სპარსელები სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდნენ ამიერკავკასიაში. ყველაზე ადრე სპარსელებმა ფეხი სომხეთში მოიკიდეს, ხოლო შემდეგ ალბანიასა და ქართლს მოუჭირეს ხელი. ახლა უკვე სპარსელებმა ამ ქვეყნების მო-

ზახლეობას ხარკიც დააკისრეს. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ქართლის სამეფო მტერს ხარკს აძლევდა. ქართლის მეფესაც სპარსელები ახლა უფრო ავიწროებდნენ, მაგრამ განსაკუთრებით იტანჯებოდა ხალხი — ხარკის გადამხდელი ის იყო. წარჩინებულებთან, აზნაურებთან კი სპარსელებმა საერთო ენა მონახეს.

**საზოგადოებრივი წყობილება.** V საუკუნის ქართლი სულ არ ჰგავდა პირველი საუკუნისას, როცა ქართლში პირველად მოვიდნენ რომაელები. ამ ხუთასი წლის განმავლობაში ბევრმა კოკა წყალმა ჩაიარა, ბევრი ახალი ამბავი დატრიალდა, ხალხის ცხოვრებაც გამოიცვალა და თვითონ საზოგადოებაც. ახლა ყველაზე ძლიერნი საზოგადოებაში აზნაურები იყვნენ. აზნაურები გამრავლდნენ და გამდიდრდნენ, მაგრამ აზნაური აზნაურს არა ჰგავდა, ზოგი უფრო მდიდარი და ძლიერი იყო, ზოგი — ნაკლებ. გაჩნდნენ დიდი აზნაურები და მცირენიც. დიდ-დიდ აზნაურთაგან ზოგი მთავარი გახდა — მთავარს აზნაურობის გარდა რამე დიდი თანამდებობაც ეჭირა, ხშირად მემკვიდრეობით. ძალიან გამრავლდნენ აგრეთვე სეფე-წულები, სეფე-სახლის ანუ სამეფო გვარის წევრები. უმეტესობა მთავრები სწორედ სეფეწულები იყვნენ შთამომავლობით. აზნაურის ოჯახის შვილებს კიდევ ზეპურებს ეძახდნენ. აზნაურებს ქვემოთ წვრილი ერი იდგა, წვრილ ერს ქვემოთ უაზნოები მოდიოდნენ. ყველაზე ბეჩავი და უუფლებო მონები და მხევლები (მონა ქალები) იყვნენ. ცალკე იყვნენ კიდევ მსახურნი — ის ხალხი, რომელიც მეფესა და დიდ აზნაურებს ემსახურებოდა. ძალიან გაღრმავდა ხალხში უთანასწორობა. აზნაურები უაზნოებს არაფრად აგდებდნენ; მთა და ბარს რა გაასწორებსო, იძახდნენ. დიდი აზნაურები კი, განსაკუთრებით მთავრები, მეფესაც აღარ ეპუებოდნენ.

**მეფისა და აზნაურების ურთიერთობა.** ქართლში მეფობა ხომ ძველ დროს გაჩნდა, როცა აქ შონათმფლობელობა იყო. თანდათან, როცა შეფობა განმტკიცდა, ძველი ქართლის მეფე თვითმპყრობელობას იჩემებდა, სრულ მორჩილებას მოითხოვდა — მე ღვთისაგან ვარ დანიშნულიო.

როცა ქართლში წარჩინებულები ანუ აზნაურები მომძლავრდნენ, მეფემ ისინი დაიახლოვა. როგორც ვიცით, ჯარში და ქვეყნის მართვა-გამგეობაში აზნაურები მეფეს ძალიან სჭიროდნენ. ყველაზე წარჩინებული აზნაურები და ერისთავები მეფემ კიდევ უფრო ახლოს შეითვისა — ისინი მეფის პალატ-ბანაკს შეადგენდნენ, ხშირად იყვნენ მეფის სასახლეში და თანაც მიჰყვებოდნენ, თუ მეფე სადმე გაემგზავრებოდა. შეთანხმებით მოქმედებდნენ, როგორც ვიცით, მეფე და აზნაურები ქურუმების წინააღმდეგ, როცა ქრისტიანობა შემოჰქონ-

დათ ქართლში. შემდეგ მეფესა და დიდ აზნაურებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა.

როცა ზოგი აზნაური გამდიდრდა და გაძლიერდა, მას უკვე მეფის მორჩილება აღარ სურდა. გარდა ამისა, აზნაურებს მეფისაგან მამულები ჰქონდათ მიღებული სამსახურის პირობით. მეფე ამ მამულებს თავის საკუთრებად თვლიდა, აზნაურებს კი მათი დათმობა ენანებოდათ და საბოლოოდ მიჩემება სურდათ. გაჩაღდა ბრძოლა მეფესა და დიდ აზნაურ-მთავრებს შორის. ამით ისარგებლეს სპარსელებმა, მეფის უკმაყოფილო აზნაურებთან კავშირი გააბეს და ისინი თავის მხარეზე გადაიბირეს.

## § 29. სპარსელების სარწმუნოებრივი პოლიტიკა ქართლში

**სპარსელები ცდილობენ მაზდეიანობის გავრცელებას.** სპარსეთის მბრძანებელნი, სასანიდები, დაპყრობილი ქვეყნების შემოსამტკიცებლად სარწმუნოების გამოყენებასაც ცდილობდნენ — ერთმორწმუნეობას მეტი ერთგულებაც მოსდევსო. შაჰების ნატვრა და წადილი ის იყო, დამორჩილებულ ხალხებში როგორმე თავისი ეროვნული სარწმუნოება, ცეცხლისმსახურება ანუ მაზდეიანობა, ჩაენერგათ, და ამის გულისათვის საშუალებას არ ზოგავდნენ. ამასთან ერთად, სპარსეთის მეფეებმა ქრისტიანობის დევნაც დაიწყეს, იმიტომ რომ IV საუკუნიდან, როგორც ვიცით, ქრისტიანობა რომის სახელმწიფო სარწმუნოებად იქცა და რომაელებიც ამ რელიგიას თავიანთი პოლიტიკური მიზნებისათვის იყენებდნენ. შაჰმა იეზდიგერდმა (438—457) ქართლიდან, სომხეთიდან და ალბანიიდან დაიბარა ყველაზე წარჩინებული საგვარეულოების თავიკაცები და გამოუცხადა მათ: ან ქრისტიანობას თავი დაანებეთ და მაზდეანობა მიიღეთ, ან არა და დედაბუდიანად მოგსპობთო. კავკასიელმა აზნაურებმა ცოტა იყოყმანეს, მაგრამ შემდეგ შაჰის ნებას დაჰყვნენ. სიმტკიცისათვის იეზდიგერდმა ზოგი მათგანი თავისთან დაიტოვა, მათ შორის ქართლის პიტიახში არშუშა, სხვებს კი შინ მოგვები (მაზდეანობის ქურუმები) გააყოლა ცეცხლისმსახურების გასავრცელებლად.

ქრისტიანობა ამ დროს ამიერკავკასიაში დიდი ხნის შეთვისებული იყო და მისი ასე ადვილად ამოგდება არ შეიძლებოდა. იმ აზნაურებშიაც კი, რომელნიც მზად იყვნენ თავისი ქვეყნისათვის ეღალატნათ და სპარსელების მხარეზე გადასულიყვნენ, ბევრი ჯიუტობდა და ქრისტიანობას თავს არ ანებებდა. მხოლოდ ზოგ კუთხეში, რომელიც უფრო დასამხრობი იყო სპარსელებისათვის და უფრო დამოკიდებულიც მათ-

ზე, ახერხებდნენ მოგვები თავისი მიმდევრების შოვნას. ასეთი იყო ქართლში, მაგალითად, ს ა პ ი ტ ი ა ხ შ ო.

**ქართლის საპიტიახშო.** თავდაპირველად ირანის შაჰები ქართლში პიტიახშებად სპარსელებს გზავნიდნენ. შემდეგ, როცა სპარსეთის მთავრობამ ქართლის დიდ აზნაურებში მომხრეები გაიჩინა, შაჰები ქართლის პიტიახშად უკვე ქართველს ნიშნავდნენ, ვინმეს დიდ აზნაურთაგანს. ბოლოს პიტიახშობა შთამომავლობით დაიმკვიდრეს ქვემო ქართლის მთავრებმა იმ არშუშას სახლიდან, რომელსაც იეზდიგერდმა მაზდეიანობა მიაღებინა. ასე ჩამოყალიბდა ქ ა რ თ ლ ი ს ს ა პ ი ტ ი ა ხ შ ო, რომელიც ვრცელი სამთავრო იყო, თრიალეთიდან სომხეთამდე გადაჭიმული. ქართლის საპიტიახშო ქართლის სამეფოში შედიოდა, მაგრამ პიტიახშები სპარსელების წაქეზებით ქართლის მეფეს ეურჩებოდნენ. V საუკუნეში საპიტიახშო სპარსელების ბუდე გახდა ქართლში.

**სპარსელები მხარს უჭერენ მონოფიზიტობას.** რაკი ქრისტიანობის მოსპობა და მაზდეიანობის საყოველთაოდ გავრცელება სპარსელებმა ვერ მოახერხეს, მათ პოლიტიკა გამოიცვალეს.

იმ დროს ქრისტიანები სხვადასხვა მიმართულებად იყვნენ დაყოფილნი, რომელნიც ერთმანეთს ებრძოდნენ. ეს ბრძოლა საზოგადოებრივსა და ეროვნულ ნიადაგზე იყო წარმომდგარი, მაგრამ გარეგნულად იგი სარწმუნოებრივი საკითხების გარშემო წარმოებდა. დიოფიზიტები ანუ „ორბუნებიანები“ ქრისტეს ღმერთადაც თვლიდნენ და კაცადაც, მონოფიზიტები კი („ერთბუნებიანები“) ქრისტეში მხოლოდ ღვთაებრივ ბუნებას აღიარებდნენ. იყო, აგრეთვე, სხვა მიმართულებებიც.

რადგანაც რომის მთავრობას ქრისტიანობა იმისათვის სჭიროდა, რომ თავისი უფლება განემტკიცებინა და უზარმაზარი სახელმწიფოს მთლიანობა დაეცვა, ამიტომ იგი, ცხადია, ებრძოდა ყველას, ვინც გაბატონებულ საეკლესიო შეხედულებას არ იზიარებდა. საბოლოოდ, რომის სახელმწიფოში დიოფიზიტობამ გაიმარჯვა. დიოფიზიტობას უჭერდა მხარს რომის მთავრობა.

ამ გარემოებას ჩაებღაუჭა ახლა სპარსეთის მთავრობა, რომელსაც უნდოდა ესარგებლა ქრისტიანების შინაური შფოთითა და ბრძოლით თავისი საკუთარი ინტერესებისათვის. ახლა სპარსეთის მთავრობა მხარს უჭერდა ისეთ ქრისტიანობას, რომელსაც ებრძოდა სპარსეთის მტერი — რომის მთავრობა. თუ ქრისტიანობის დათმობა არ გსურთ, მაშინ ისეთი ქრისტიანობა მაინც უნდა მიიღოთ, რომელიც რომის მეფის სარწმუნოებისაგან განსხვავდებაო, — ასე მოითხოვდა ახლა სპარსეთის შაჰი თავისი ქრისტიანი ქვეშევრდომებისაგან.

**უმაღლესი სამღვდელოება და დიდი აზნაურები სპარსელების მხარეზე.** ამ ხერხით სპარსელებმა თავის მხარეზე გადაიყვანეს უმაღლესი სამღვდელოება და დიდი აზნაურები სომხეთში, ქართლში და ალბანიაში. ეპისკოპოსებად ამ დროს უკვე წარჩინებულებს, აზნაურებს, ვხედავთ. ამ ეპისკოპოსებს ახლა თავისი მეფე ისევე მოძულებული ჰყავდათ, როგორც მთავრებსა და სხვა დიდ აზნაურებს. ეკლესიას V საუკუნეში უკვე დიდი მამულები ჰქონდა. ამ მამულების გამო ქართლის მეფესა და სამღვდელოებას შორის ისეთივე ბრძოლა გაჩაღდა, როგორიც მეფესა და სხვა დიდ აზნაურებს შორის იყო. ამიტომ დაუახლოვდნენ ერთმანეთს სპარსელები და ქართლის სამღვდელოება. თანდათან ქართლის მთავარეპისკოპოსი და ეპისკოპოსების უმრავლესობა სპარსელების მხარეს გადავიდა ისევე. როგორც მეზობელ სომხეთში. სამაგიეროდ სპარსელები თავის მომხრე ეპისკოპოსებს უხვად აჯილდოებდნენ. იყო ისეთი შემთხვევაც, როცა ქართლის მთავარეპისკოპოსი ერისთავადაც კი იყო დანიშნული სპარსელების მიერ.

ასე დაიწყო ქართლის მთავრებისა და ეპისკოპოსების ბრძოლა სპარსელებთან ხელიხელ ჩაკიდებით ქართლის მეფის წინააღმდეგ.

## § 30. ვახტანგ გორგასალი. ბრძოლა სპარსელების წინააღმდეგ

V საუკუნის მეორე ნახევარში ქართლში ვახტანგ გორგასალი მეფობდა, შესანიშნავი სახელმწიფო მოღვაწე და სარდალი. ვახტანგი გოლიათური ტანის პატრონი, ძლიერი და გულადი კაცი იყო. სპარსელებმა ვახტანგს „გორგასალი", ესე იგი „მგელ-თავა" დაარქვეს (სპარსულად „გორგ" მგელსა ნიშნავს, „სარ"-თავს), იმიტომ რომ ვახტანგი ომში თავზე მუზარადს იხურავდა, რომელზედაც მგელი იყო გამოსახული. ძველი ისტორიკოსი მოგვითხრობს: როცა ომში ვახტანგი გამოჩნდებოდა, სპარსელები ყიჟინას დასცემდნენ — „ერიდეთ გორგასალს"-ო. ვახტანგმა ამიერკავკასიის ქვეყნებიდან სპარსელების გაძევება მოიწადინა და ამ მიზანს შეალია მთელი თავისი ძალ-ღონე.

ქართველ ხალხს თავი მობეზრებული ჰქონდა სპარსელების ძალადობისა და მეხარკეობისაგან. გამწარებული ჰქონდათ ცხოვრება სპარსელებისაგან სომხებსაც. ამიტომ ვახტანგი სპარსელების წინააღმდეგ შებრძოლებს აგროვებდა საიდუმლოდ არა მარტო ქართლში, არამედ მეზობელ სომხეთშიაც. იმდროინდელი სომეხი ისტორიკოსი ლაზარე ფარპელი გვიამბობს, რომ გორგასალმა ალექსანდრე მაკედონელის სამხედრო ხერხები გამოიყენა გულგატეხილი და უიმედო ადამიანების გასამხნევებლად და ამ დიდ ბრძოლაში ჩასაბმელად. ძველი ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი აგრეთვე საყურადღებო ცნობებს გვაწვდის

ვახტანგის განვითარებული სამხედრო ტაქტიკის შესახებ. როცა მტრის ძლიერი გამაგრებული პოზიციები იყო ასაღები, ვახტანგი ასე აწყობდა თავის ჯარს: წინ მიდიოდნენ თოროსნები, მძიმე კავალერია (შეჯავშნული მხედრები შეჯავშნულ ცხენებზე). მათ კვალდაკვალ მისდევდა ქვეითი ჯარი, რომელიც იკავებდა თოროსნების მიერ გარკვეულ პოზიციებს. ქვეითობას მიჰყვებოდა მსუბუქი კავალერია, რომელიც უკანდახეულ მტერს სდევნიდა, რჩეული ცხენოსანი ჯარი კი შეადგენდა მთავარსარდლის რეზერვს. ამ რჩეული კავალერიით თვით ვახტანგი ელვისებურად ხან მარჯვენა ფრთაზე გაჩნდებოდა, ხან მარცხენაზე, სადაც გასაჭირს შეატყობდა.

ვახტანგს უმთავრესად ხალხის იმედი ჰქონდა. ხალხი, ერთი მხრით, სპარსელებისაგან იტანჯებოდა, მეორე მხრით, სპარსელების მოკავშირე ქართველი მთავრებისა და დიდი აზნაურებისაგან. ეს მთავრები და დიდი აზნაურები, რომელნიც სპარსელების დახმარებით ქართლის მეფეს ებრძოდნენ, იმავე დროს ხალხის, „წვრილი ერის“, გაძარცვასა და დამონებას ცდილობდნენ. ამიტომ იყო რომ ხალხს ვახტანგ მეფე თავის მხსნელად მიაჩნდა გარეშე და შინაური მტრისაგან. ამიტომაა, რომ ხალხში დღემდე დარჩა სიმღერა, რომელიც ვახტანგს აქებს და ადიდებს:

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა;
იალბუზზე ფეხი შესდგა.
დიდმა მთებმა შექნეს დრეკა“.

სამაგიეროდ, ეპისკოპოსები და მთავრები ვახტანგ მეფის ხელს უშლიდნენ. ან პირდაპირ ღალატობდნენ კიდევაც. ქართლის ეკლესიის მეთაურს, მიქაელ მთავარეპისკოპოსს, რომელსაც გაგებული ჰქონია, ვახტანგი სპარსელების წინააღმდეგ აჯანყებას ამზადებსო, დაუწყევლია მეფე და მისი ჯარი. ვახტანგს გულზვიადი მღვდელმთავრის შემორიგება უცდია და თვითონ მისულა მასთან. მაგრამ მიქაელი იმდენად გაბოროტებული ყოფილა ვახტანგის წინააღმდეგ, რომ დიდი შეურაცხყოფა მიუყენებია მეფისათვის — ფეხი ჩაუცია მისთვის. ვახტანგმა განდევნა მიქაელი და კათალიკოსობა დააწესა: ქართლის ეკლესიის სათავეში მთავარეპისკოპოსის მაგიერ კათალიკოსი დააყენა. პირველ კათალიკოსად ვახტანგმა დიოფიზიტობის მომხრე პირი დანიშნა და ამით „სპარსულ“ ქრისტიანობას, მონოფიზიტობას, აშკარა ბრძოლა გამოუცხადა.

სპარსეთის მომხრე აზნაურების მეთაური მაშინ ქართლში ვარსქენ პიტიახში იყო, იმ არშუშა პიტიახშის შვილი, რომელმაც სპარსეთის

მეფის მოთხოვნით მაზდეიანობა მიიღო. ვარსქენიც სპარსეთის მეფის გულის მოსაგებად ქრისტიანობას გადაუდგა. ქართლში დაბრუნებულმა პიტიახშმა გამაზდეიანება დაუპირა თავის ცოლს, შუშანიკსაც. რადგანაც შუშანიკი ქმრის ნებას არ დაჰყვა, იგი ვარსქენმა აწამა. ეს ამბავი აღწერილი აქვს იაკობს.

ვახტანგმა შუშანიკის წამება მოიმიზეზა და ვარსქენი მოაკვლევინა 484 წელს. ამით ვახტანგ მეფემ თავიდან მოიშორა სპარსელების მომხრე აზნაურთა მეთაური. იმავე წელს ვახტანგმა ომი დაიწყო სპარსელების წინააღმდეგ. ვახტანგმა დიდი ცდით თავის მხარეზე გადაიყვანა და სპარსელების წინააღმდეგ აამხედრა სომხებიც, რომელთაც მაშინ სარდილი ვაჰან მამიკონიანი მეთაურობდა. ვახტანგის საქმე ჯერ კარგად მიდიოდა, მაგრამ მალე მოღალატეები გამოჩნდნენ, უმთავრესად აზნაურების წრიდან. ეს მოღალატეები მტრის მხარეს გადავიდნენ და თავისიანები დაამარცხეს. ქართველებისა და სომხების დამარცხებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მოკავშირეებს არ მოუვიდათ ჰუნების მაშველი ჯარი, რომელსაც ისინი ჩრდილოეთ კავკასიიდან ელოდნენ. ვახტანგი დროებით ეგრისში გაიხიზნა.

შემდეგ ვახტანგი დაბრუნდა ქართლში და კვლავ მტერს ბრძოლა დაუწყო. ერთერთ ომში სპარსელების წინააღმდეგ ვახტანგი დაიღუპა, ისევ ღალატის წყალობით: ვახტანგის ყოფილმა მონამ მიპარვით ისარი ჩასცა მოხერხებულ ადგილას, მებრძოლ მეფეს. ვახტანგი გარდაიცვალა ციხექალაქ უჯარმაში, რომელიც იმ დროს კახეთის ცენტრი იყო. გმირი მეფე მცხეთაში დაკრძალეს, სვეტიცხოვლის ტაძარში, და მისი საფლავის ლოდზე ვახტანგის გოლიათური ფიგურა გამოსახეს. ვახტანგის აბჯარი და სამოსელიც საუკუნეების განმავლობაში იყო შენახული საქართველოს სამეფო საგანძურში, როგორც ძვირფასი ისტორიული ნაშთი.

ვახტანგ გორგასლის სიკვდილის შემდეგ ქართლის სამეფოს საქმე უკან წავიდა. 523 წელს ქართლში ისევ აჯანყება მოხდა სპარსელების წინააღმდეგ, რადგანაც სპარსელებს ახალი ბრძანება გამოეცათ — ყველამ მაზდეიანური წესები შეასრულეთ, მკვდრები მიწაში არ დამარხოთო. ქართლის მეფე გურგენი, რომელსაც კავშირი ჰქონდა ბიზანტიის კეისართან და კეისრისაგან ჯარსაც ელოდა, სპარსელებს გადაუდგა. მაგრამ რომაელების მაშველი ჯარი რიცხვმცირე გამოდგა, გურგენი სპარსელებს ველარ გაუმკლავდა და იძულებული შეიქნა, მთელი ოჯახითა და თავისი მომხრე დარბაისლებით ეგრისს შეჰფარებოდა. ქართლში მეფობა მოისპო და სპარსელების მმართველობა დამყარდა.

იმდროინდელი რომაელი ისტორიკოსი გვიამბობს, რომ გურგენ მეფის აჯანყების შემდეგ „არც სპარსელები აძლევდნენ ქართველებს ნებას თავისი მეფე ჰყოლოდათ, არც ქართველები ემორჩილებოდნენ სპარსელებს ნებაყოფლობით. სპარსელები და ქართველები დიდი ეჭვითა და უნდობლობით უყურებდნენ ერთმანეთს"-ო. ქართველი ხალხი იძულებული გახდა, დროებით დამორჩილებოდა უხეშ ძალას, მაგრამ ელოდა ხელსაყრელ დროს, რომ ქედიდან მონობის უღელი გადაეგდო

ქართლის მთავრები და დიდი აზნაურები კი თავს კარგად გრძნობდნენ. მეფობის მოსპობა ქართლში ხომ უმთავრესად მათი საქმე იყო. ძველი ქართველი მემატიანე ამტკიცებს, რომ მას შემდეგ, რაც ვახტანგის შთამომავლობას მეფის უფლება წაართვეს, ქართლში უკვე აზნაურები გაბატონდნენო. მართლაც, დიდი აზნაურები ადვილად შეუხმატკბილდნენ სპარსელებს და ეხმარებოდნენ მათ ქვეყნის მართვა-გამგეობაში. სამაგიეროდ, სპარსელებიც მათ თავის წყალობას არ აკლებდნენ, მსხვილ თანამდებობებსა და ჯილდოებს ურიგებდნენ და ზოგჯერ მემკვიდრეობითაც უმტკიცებდნენ მიცემულ მოხელეობას.

იმ თანამდებობათაგან, რომლებიც სპარსელებმა ადგილობრივ აზნაურებს დაუმტკიცეს, ყველაზე დიდი იყო „ქართლის მამასახლისის" და „ქართლის პიტიახშის" თანამდებობანი. ამ მთავრებს გარდა იყვნენ, აგრეთვე, ცალკე თემების ერისთავებიც.

ქვეყნის სათავეში სპარსელებს თავისი მოხელე ეყენათ, რომელიც მ ა რ ზ პ ა ნ ი ს წოდებას ატარებდა. მარზპანი სპარსული სიტყვაა და „ოლქის მმართველს" ნიშნავს. მარზპანს დიდი უფლება ჰქონდა. მას შეეძლო ქართლის ყოველი მცხოვრების გასამართლება და სიკვდილით დასჯაც კი. მარზპანივე კრეფდა ხარკს ქართველი მთავრებისა და ერისთავების საშუალებით.

დიდი ქალაქების, მაგალითად, თბილისისა და მცხეთის, ციხეებში სპარსელების ჯარი იდგა.

მოსახლეობას სპარსელებმა ხარკის გარდა სამხედრო სამსახურიც დააკისრეს. ეს სპარსული ხარკი, ბეგარა და უსამართლობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და აღვივებდა ხალხში სიძულვილს დამპყრობლებისადმი. ქართველი ხალხის წინააღმდეგობის გამო სპარსელებმა დიდხანს ვეღარ იბოგინეს ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ სანამ აქ იყვნენ, მათ დიდი ვნება მიაყენეს არა მარტო აღმოსავლეთს, არამედ დასავლეთ საქართველოსაც.

## § 32. ეგრისი VI საუკუნის დამდეგს.
## ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადება ეგრისში

**სპარსეთის ზრახვები ეგრისის მიმართ.** როცა სპარსელებმა ქართლი მთლიანად დაიმორჩილეს, აღმოსავლეთ რომის მთავრობა საგონებელში ჩავარდა — ვაი თუ სპარსელები ეგრისსაც გადმოსწვდნენო. სპარსელები არც მალავდნენ თავიანთ ასეთ განზრახვას, მით უმეტეს, რომ ეგრისის მეფე თვითონაც ცდილობდა, სპარსელები გამოეყენებინა რომაელების წინააღმდეგ. სპარსელებს უნდოდათ, ჯერ ერთი, ეგრისის ხელში ჩაგდებით გული საგულეს ჰქონოდათ ქართლშიაც. ქართლსა და ეგრისს შორის მჭიდრო კავშირი არსებობდა ძველთაგანვე, არა ერთხელ დახმარებიან ისინი ერთმანეთს გაჭირვებაში და თავშესაფარიც არა ერთხელ უშოვნიათ ეგრისში ქართლიდან გახიზნულ სახელმწიფო მოღვაწეებს. ის კი არა და, სპარსელების მტარვალობისაგან გამოქცეული სომხებიც სახიზარს ეგრისში პოულობდნენ. ამიტომ სურდათ სპარსელებს მოეშალათ ეს ბუდე, სადაც ირანის ურჩი ქვეშევრდომები ახალ ძალებს აგროვებდნენ და თავისი ქვეყნის განთავისუფლების გეგმებს ამუშავებდნენ, გარდა ამისა, ეგრისში დამკვიდრებით სპარსელებს უნდოდათ. შავი ზღვისაკენ გზა გაეკაფათ, რომ თავისი მოსისხლე მტრისათვის, რომაელებისათვის, ზღვიდანაც დაეკრათ.

518—523 წლებში ირანის ელჩი უმტკიცებდა რომაელების წარმომადგენლებს, რომ „კოლხიდა, რომელსაც ეხლა ლაზიკა ეწოდება, ძველთაგანვე სპარსელთა ქვეშევრდომი იყო და იგი რომაელებს ძალით უჭირავთ, უსამართლოდ“-ო. რომაელები აღშფოთებით უარყოფდნენ სპარსელების მოთხოვნას.

**უთანხმოება ეგრისელებსა და რომაელებს შორის.** ქართლის საზღვარზე ეგრისს ორი ძლიერი ციხესიმაგრე ჰქონდა — შორაპანი და სკანდა. ძველთაგანვე ამ ციხეებს თვითონ ეგრისელები იცავდნენ და კარგადაც. ახლა კი რომაელები ჩიოდნენ — ლაზებს არ სურთ თავისი ქვეყნის ჩვენთან ერთად დაცვაო. მართლაც, როცა ეგრისელებმა შეატყვეს, რომაელებს თვითონ უნდათ ჩვენი ქვეყანა ხელთ ჩაიგდონო, ციხეების მაგრებაზე გული აიყარეს — ხალხს სამშობლო თავისთვის უნდოდა და არა სხვებისათვის.

კეისარმა გადაწყვიტა, ჯარის გაგზავნა ეგრისში. დიდი ხანი იყო უკვე გასული, რაც რომაელების ჯარები ეგრისში არ მდგარა და მათი გამოჩენა ხალხმა ძალიან იუცხოვა. რომაელებმა გამოიყვანეს შორაპნისა და სკანდის ციხეებიდან ადგილობრივი მეციხოვნენი და მათ მაგიერ თვითონ ჩადგნენ შიგ, მაგრამ დიდხანს ვერ გაძლეს. სურსათის ამოტანა რომაელებს აქ თვითონ არ შეეძლოთ, ეს მათ ლაზებს დაავალეს.

ლაზებმა, ანუ ეგრისელებმა, ერთი პირობა კი უზიდეს რომაელებს სურსათ-სანოვაგე, მაგრამ შემდეგ ამ სამსახურზე უარი თქვეს. რომაელები იძულებული გახდნენ, ციხეები დაეცალათ და სკანდა-შორაპანი სპარსელებმა ჩაიგდეს ხელში სულ გაურჯელად.

**რომაელები ამაგრებენ ეგრისს. ეგრისის მეფის მონათვლა.** ახლა კეისარი კიდევ უფრო შეფიქრიანდა და ეგრისის გამაგრებისათვის მეტ ზრუნვას შეუდგა. რაკი ქვეყნის შიგნით მდებარე ციხეების დაცვა მათ არ შეეძლოთ, ამიტომ რომაელებმა ზღვისა და დიდი მდინარეების ნაპირების მაგრება დაიწყეს. უფრო მისაწვდომ ადგილებში რომაელთა ციხის ჯარი ჩადგა.

გარდა ამისა, კეისარმა საჭიროდ იცნო სხვამხრივაც შემოემტკიცებინა ეგრისი. ეგრისში ამ დროს ის-ის იყო მეფე გარდაცვლილიყო და მისი მემკვიდრე, წათე, ტახტზე ასვლას აპირებდა. კეისარმა წათე კონსტანტინოპოლში დაიბარა და პირობა დაუდო: თუ ეგრისის მეფობა გსურს, ქრისტიანობა უნდა მიიღოო. იმდროინდელ გარემოებაში წათეს სხვა რა ღონე ჰქონდა, თვითონაც მოინათლა და თავისი შვილიც მონათლა. ამის შემდეგ კეისარმა წათე ეგრისის მეფედ დაამტკიცა და დიდი დიდებით სამშობლოში გაისტუმრა. ეს ამბავი მოხდა 523 წელს.

ეგრისში ქრისტიანობა დიდი ხნიდანვე იყო შემოსული. ზღვისპირა ქალაქებში უკვე IV საუკუნის დამდეგს ეპისკოპოსები ისხდნენ. მაგრამ ეგრისის მეფეებს არ სურდათ რომაელების სარწმუნოების მიღება, რადგანაც რომაელები არაფრად ეპიტნავებოდათ და იმასაც კი ცდილობდნენ, რომ რომაელებისათვის სპარსელები დაეპირისპირებინათ, როცა რომაელებს თავს გაუდიოდათ ხოლმე. ახლა, როცა რომაელებმა სამხედრო მუხრუჭი მოუჭირეს დასავლეთ საქართველოს, ეგრისის მეფე იძულებული გახდა. სარწმუნოების საკითხში დაეთმო რომაელებისათვის. ასე გადაიქცა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად ეგრისში.

## § 33. „საუკუნო ზავი“ და მისი შედეგები

**სპარსელების შეჭრა ეგრისში.** წათეს ამბავი სპარსელებს ელდად ეცათ და შაჰმა კეისარი საყვედურით აავსო. კეისრის ცბიერი პასუხი საკმაო არ აღმოჩნდა სპარსელების დასამშვიდებლად და 528 წელს ისინი ეგრისს შეესივნენ. მეფე წათემ რომაელების დახმარებით სპარსელები თავისი სამეფოდან განდევნა. სპარსელები ისევ შორაპანსა და სკანდაში დარჩნენ მხოლოდ. 532 წელს რომაელებმა და სპარსელებმა ერთმანეთში ზავი დადეს, რომელსაც „საუკუნო“ უწოდეს.

ვითომც იგი არასოდეს არ უნდა დარღვეულიყო. „საუკუნო ზავის“ პირობით რომაელებმა და სპარსელებმა ერთმანეთს დაპყრობილი ადგილები გაუცვალეს. სპარსელებმა სკანდა და შორაპანი დასთმეს. ამ ზავს უნდობლობა და ეჭვი მაინც არ მოუსპია; ორივე მხარე მერმისზე ფიქრობდა და ყოველი შემთხვევისათვის ემზადებოდა.

**რომაელების ახალი ღონისძიებანი ეგრისის გასამაგრებლად.** აღმოსავლეთ რომის იმპერიაში ამ დროს იუსტინიანე იყო კეისრად (527 წ.—565 წ.), ირანში კი შაჰი ხოსრო ანუშირვანი ბრძანებლობდა (531 წ.—579 წ.). ორივემ მთელი თავისი ხანგრძლივი მეფობა მუდმივ ომიანობასა და ერთმანეთის მტრობაში გაატარეს. იუსტინიანემ გაამრავლა რომაული ჯარები ეგრისში. მეციხოვნე ჯარები ამ დროს ეგრისის ზღვისპირა ქალაქებში იდგა უმთავრესად ფოთში ანუ ძველ ფასიდში, ცხუმში ანუ სევასტოპოლისში (ძვ. დიოსკურია), ბიჭვინტაში ანუ პიტიუნტში. ამ სიმაგრეებისათვის ადვილი იყო ზღვით მიწოდება როგორც სურსათის, ისე დამხმარე სამხედრო ძალისაც. გამაგრებულ იქნა ეგრისის დედაქალაქი ციხე-გოჯი, ანუ არქეოპოლისიც. ეგრისის სამხრეთ საზღვარზე, სადაც ეგრისის სამხრეთი გზა ვიწრო ზღვისპირა კარებში გადიოდა, იუსტინიანეს ბრძანებით აშენებულ იქნა ახალი ციხექალაქი, სახელად პ ე ტ რ ა. პეტრას შიდა-ციხე, რომელიც აშენებული იყო თვალშეუწვდენ კლდეზე, ნაწილობრივ ეხლაც არის შენახული (ციხისძირში). ქალაქ პეტრაში დააყენა იუსტინიანემ რომაელების მთავარი გარნიზონი. აქვე იჯდა ს ტ რ ა ტ ე გ ი ც. სტრატეგი ეწოდებოდა იმ სარდალს, რომელსაც ემორჩილებოდნენ ეგრისში მდგარი რომაული რაზმები. ამავე დროს სტრატეგს კეისრისაგან ფარულად დავალებული ჰქონდა თვალ-ყური ედევნებინა ეგრისის მეფისათვის.

რომაელი მეციხოვნეების გაჩენა ეგრისელებს თავისთავადაც არაფრად ეპრიანათ. მაგრამ ამას რომაელი მოხელეების ბოროტმოქმედებაც დაემატა. იმდროინდელი რომაელი მოხელეები საერთოდ ცნობილი იყვნენ თავისი სიხარბით, თაღლითობითა და თვითნებობით. ქვეშევრდომების ყვლეფის საქმეში მათ ტოლი არ ჰყავდათ.

ასევე იქცეოდნენ რომაელები ეგრისშიაც. განსაკუთრებით შეაწუხა ხალხი სტრატეგმა ციბემ.

## § 34. ომის დაწყება ეგრისში. ომის მიზეზები

**რომაელების სავაჭრო მონოპოლია ეგრისში.** ციბემ ეგრისში თავისუფალი ვაჭრობა მოსპო. ვაჭრებს ნება არ ჰქონდათ, თვითონ შემოეტანათ ეგრისში საქონელი, არც ეგრისელებს ჰქონდათ უფლება, თავის ნებაზე გაეყიდათ საქონელი. როგორც შემოსატანს, ისე გასატანს

საქონელს ჯერ ციბეს ხელში უნდა გაევლო და ფასებსაც მათ თვითონ ციბე უწესებდა. ეგრისელებს აიძულებდნენ, ისეთი საგნებიც ეყიდნათ, რომლებიც მათ სრულებით არ სჭიროდათ. ხშირად კიდევ რომაელები ფულს არ აძლევდნენ იმ საქონელში, რასაც მათგან ყიდულობდნენ.

**ეგრისის საგარეო ვაჭრობა.** ეგრისი ამ დროს ფართო ვაჭრობის აწარმოებდა. ბლომად გაჰქონდათ ეგრისიდან ტყავეულობა, ბეწვეული და სხვა ნედლეული, ბევრი გაჰყავდათ მონებიც. სამაგიეროდ, ეგრისელებს დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ მარილი, რომელიც ადგილობრივ არ იპოვებოდა. ამას გარდა, მეფე და წარჩინებული ხალხი ადგილობრივ პურსა და ღვინოზე მეტად უცხოურს ეტანებოდა. შემოჰქონდათ ძვირფასი ქსოვილები და იარაღიც იმავე წარჩინებული ხალხისათვის.

ამ ვაჭრობას ეგრისელები უმთავრესად შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქვეყნებთან აწარმოებდნენ. პირველ რიგში პონტოსა და ყირიმთან. რომელნიც ამ დროს აგრეთვე რომაელებს ემორჩილებოდნენ. საქონელსაც ამიტომ ხომალდებით ზიდავდნენ და თვითონ ეგრისელებიც დახელოვნებული მეზღვაურები იყვნენ.

გარდა იმისა, რომ ზოგიერთი საგნის, მაგ., მარილის, შემოტანა აუცილებელი იყო, რადგანაც უმისოდ ხალხს გაძლება არ შეეძლო, ამ ვაჭრობას დიდი სარგებლობა მოჰქონდა მისი მიმდევრებისათვის ეგრისში. ვაჭრობას უმთავრესად თვითონ მეფე და წარჩინებულები აწარმოებდნენ; ისინი ყიდულობდნენ საზღვარგარეთულ ძვირფას საქონელს და ისინივე იძლეოდნენ სამაგიერო საგნებსაც. მონების გამყიდველნიც მეფე და წარჩინებულნი იყვნენ. აქ მონებად მეტწილად ტყვეები იგულისხმებიან: თავს დაესხმოდნენ მეზობელ ტომებს — ჩვეულებრივად ჩრდილოეთ კავკასიაში — მოიტაცებდნენ იქიდან ხალხს და შემდეგ რომაელებში ჰყიდდენ. ზოგიერთი უფრო სასტიკი მთავარი კი, როგორც, მაგალითად, აბაზგების მთავრები, საკუთარი ქვეშევრდომების გაყიდვასაც არ თაკილობდა. ტყვის ყიდვა წარჩინებული ხალხის ხელობად იყო გადაქცეული.

**ეგრისის მმართველი წრეების ამხედრება რომაელების წინააღმდეგ.** ამიტომ ციბეს მიერ შემოღებულმა სავაჭრო მონოპოლიამ ძალიან შეავიწროვა ეგრისის მეფე და დიდებულები. რაკი, ამასთან ერთად, რომაელები სხვა მხრივაც ძალზე აწუხებდნენ ეგრისელებს, ამიტომ ეგრისის მეფემ და დიდებულებმა გადაწყვიტეს რომაელების თავისი ქვეყნიდან განდევნა. დახმარების მისაღებად არჩიეს სპარსელებისათვის მიემართნათ.

ეგრისში ამ დროს მეფედ იყო გუბაზი, რომელიც ცდილობდა მოზღვავებულს უცხო, მტრულ ძალებს შორის როგორმე დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინა.

**ეგრისის ელჩები სპარსეთში.** გუბაზმა ირანის მბრძანებელს, ხოსრო ანუშირვანს, ელჩები გაუგზავნა ფარულად. ეგრისის წარმომადგენლებმა ხოსროს უთხრეს: „უნდა ვთქვათ ზოგიერთი ბოროტების შესახებ, რაც ჩვენს წინააღმდეგ წყეულმა რომაელებმა ჩაიდინეს. ჩვენს მეფეს მეფობის მხოლოდ გარეგნული ნიშნები დაუტოვეს, ძალა-უფლება საქმეებში კი თვითონ მიითვისეს. მეფე მოსამსახურეს დაემსგავსა, მას განმკარგულებელი სტრატეგის ეშინია. აუარებელი ჯარიც ჩაგვიყენეს, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ დაიცვან ჩვენი ქვეყანა შემწუხებლებისაგან, — მოსაზღვრე ხალხებიდან ჩვენ ხომ სხვა არავინ გვაწუხებდა, რომაელების გარდა; — არამედ იმისთვის, რათა დავემწყვდიეთ ჩვენ, როგორც ციხეში, და რათა ჩვენს ქონებას დაპატრონებოდნენ"-ო. ელჩებმა სთხოვეს ხოსროს, დახმარებოდა ეგრისს ჯარით რომაელების განდევნაში. ელჩები უხატავდნენ ხოსროს იმ სარგებლობას, რომელიც სპარსეთისათვის ეგრისში დამკვიდრებას უნდა მოეტანა: „სპარსელების ძალას თქვენ გაზრდით უძველესი სამეფოთი (ე. ი. ეგრისით) და მისი საშუალებით განდიდდება თქვენი ხელმწიფების ღირსებაც. ჩვენი ქვეყნის ზღვით კი რომაელების ზღვას დაუკავშირდებით... თქვენზე იქნება დამოკიდებული, რომ მოსაზღვრე ბარბაროსებმა ყოველ წელიწადს არბიონ რომაელების მიწა-წყალი... თქვენ ალბათ იცით, რომ ლაზების ქვეყანა დღემდე კავკასიის მთების წინააღმდეგ საფარს წარმოადგენდა"-ო.

**სპარსელების ზრახვები.** ხოსრო ძალიან გაახარა ამ ამბავმა. იმდროინდელი ისტორიკოსები ასე აღწერენ ხოსროს გულისნადებს: „ხოსროს ღირსშესანიშნავ მონაპოვრად მიაჩნდა კოლხეთის მტკიცედ დასაკუთრება, რადგანაც, მისი აზრით, ირანის ძალაუფლებას ეს დიდ სარგებლობას მოუტანდა. იბერიაც ხომ მომავალში სავსებით მორჩილი იქნებოდა, რადგან იბერებს აღარ ეყოლებოდათ ის ხალხი, ვისთანაც ისინი, განდგომის შემთხვევაში, თავს გადაირჩენდნენ... აგრეთვე, ლაზიკის მეზობლად მოსახლე ჰუნებიც სპარსელების სახელმწიფოს ვერასოდეს ვეღარ დაარბევდნენ. თვითონ ხოსრო კი ამ ჰუნებს გაცილებით უფრო ადვილად მიუსევდა რომაელების სახელმწიფოს, როცა ეს მისთვის სასურველი იქნებოდა; კავკასიაში მოსახლე ბარბაროსების წინააღმდეგ მხოლოდ ლაზიკა არის ზღუდე... ლაზიკიდან შეტევით სპარსელები ადვილად შესძლებდნენ თავდასხმას ხმელეთითაც და ზღვითაც, ეგრეთწოდებულ ევქსინის პონტოს ნაპირებზე, და მოულოდნელად დაიპყრობდნენ ბიზანტიელებს... ამიტომ უნდოდა

ხოსროს ლაზიკის შემოერთება“-ო. ეგრისის ელჩებს ხოსრომ ცბიერი თანხმობა მისცა, ვითომც მხოლოდ დახმარებას უპირებდა.

**ხოსრო დიდი ჯარით შემოდის ეგრისში.** 542 წელს ხოსრო უზარმაზარი ჯარით მოვიდა ქართლში და აქედან უეცრად გადავიდა ეგრისში, რითაც დაარღვია „საუკუნო ზავი“. სპარსელების მეგზურები თვითონ ლაზები იყვნენ. ეგრისის საზღვრები ულრანი ტყეებით იყო დაფარული და სპარსელები იძულებული იყვნენ, გზა სახელდახელოდ გაეკაფათ. გუბაზ მეფე შეხვდა ხოსროს შუა კოლხეთში და ეგრისის ჯარებით სპარსელებს შეუერთდა. რადგანაც რომაელების მთავარი ძალა პეტრაში იყო დაბანაკებული, ამიტომ მოკავშირეები პირველად პეტრას ეცნენ. სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ პეტრა აღებულ იქნა და შიგ სპარსელების გარნიზონი ჩადგა.

სამაგიეროს გადასახდელად რომაელები ირანს შეესივნენ. ამიტომ თვითონ ხოსრო იძულებული შეიქნა, შინ დაბრუნებულიყო. 545—6 წელს სპარსელებმა და რომაელებმა დროებითი ზავი შეკრეს ხუთი წლის ვადით. ამ ზავის დროს ეგრისში ახალი ამბები დატრიალდა.

## § 35. სპარსელების ნამდვილი განზრახვის გამოაშკარავება. ომის განახლება

ხოსროს ფარული განზრახვა ის იყო, რომ მთლიანად აეყარა ეგრისის ხალხი და მის მიწა-წყალზე სპარსელები და სხვა სანდო ტომები დაესახლებინა. ახლა ხოსრო იმასაც ატყობდა, რომ ეგრისელები სპარსელების მადლიერი სრულებით არ დარჩენილან. სპარსელების ლაზიკაში დამკვიდრებამ შეწყვიტა ლაზების ვაჭრობა რომაელებთან, რის გამოც ეგრისის მეფე და წარჩინებული ხალხი ძალიან ზარალობდნენ. გარდა ამისა, სპარსელები არც ქცევით სჯობდნენ რომაელებს. ეგრისის მეფე და დიდებულები უკმაყოფილო იყვნენ.

ხოსრომ გადაწყვიტა, დროებითი ზავი შესაფერისი დროა, რომ ჩემი გეგმა შევასრულოო. მან ერთს თავის სარდალს დაავალა, მოეკლა გუბაზ მეფე. სარდალმა თავისი მხრით ეს საქმე ერთს წარჩინებულ ლაზს, ფარსანსს, დააკისრა, რომელსაც გუბაზ მეფესთან მტრობა ჰქონდა. ამ დროს ეგრისშიაც აზნაურობა ისევე ფეხმოკიდებული იყო, როგორც ქართლში. დიდ-დიდი აზნაურები თავკერძობით სხვადასხვა მხარეს იწევდნენ, როგორც ეს საერთოდ ფეოდალებს სჩვევიათ ხოლმე. თუმცა ეგრისში მეფესა და აზნაურებს ისეთი მტრობა არ ჰქონიათ, როგორც ქართლში, მაგრამ მეფის უკმაყოფილო ხალხი აქ მაინც იყო წარჩინებულთა შორის. მათ რიცხვს ეკუთვნოდა ფარსანსიც.

მაგრამ ფარსანსმა ასეთს მუხანათურ საქმეში ხელი არ გაისვარა. მან, პირიქით, ყველაფერი გუბაზ მეფეს შეატყობინა. სპარსელების ვერაგობით აღშფოთებულმა გუბაზმა კვლავ იუსტინიანე კეისარს მიმართა, თავისი წინანდელი საქციელი მოინანია და შესთავაზა — ისევ რომაელების მხარეზე გადმოვალთ, ოღონდ სპარსელები გადაგვარეკინეთო. იუსტინიანეს ეს ამბავი დიდად ეამა და ეგრისში ახალი ჯარები გამოგზავნა.

ახლა ომი ახალი სიძლიერით ატყდა. ასეთი დიდი და გამანადგურებელი ომიანობა იშვიათად ყოფილა დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე. ეგრისში მოთარეშე სპარსელებისა და რომაელების ერთადერთი მიზანი ამ ქვეყნის დაპყრობა იყო და ამ მიზნისათვის ისინი არავითარ საშუალებას არ თაკილობდნენ — არც მოსყიდვას, არც შერჩენილ კაცისმკვლელებს, არც ორპირობასა და ღალატს. ქვეყანასაც ისინი დაუნდობლად აოხრებდნენ.

გამარჯვების სასწორი რომაელებისა და ეგრისელებისაკენ იხრებოდა. ეს უფრო ეგრისელების დამსახურება იყო. ისინი ჩინებული მეომრები იყვნენ, ადგილობრივ პირობებს ყველაზე უკეთ იცნობდნენ და სამშობლოსათვის გაალმასებით იბრძოდნენ. სპარსელებს ადრე გააძევებდნენ ეგრისიდან, რომ იმთავითვე ლაზებსა და რომაელებს შორის უთანხმოება არ ყოფილიყო. ეგრისელები თავისი ქვეყნის დასაცავად თავს არ ზოგავდნენ, რომაელი სარდლები კი, რომელთაც პირადი ინტერესის გარდა სხვა არაფერი ამოძრავებდათ, გულგრილობასა და უთაობას იჩენდნენ. ეს. ახელებდა ეგრისელებს რომაელების წინააღმდეგ.

როცა ხოსრომ ეგრისის ამბები შეიტყო, ძალიან შეწუხდა და ახალი დიდი ლაშქარი გამოგზავნა ეგრისში. სპარსელებმა სასტიკი დამარცხება იწვნიეს რიონის პირებში, მაგრამ პეტრა მაინც შეინარჩუნეს (549 წ.).

550 წელს ხოსრომ ეგრისში ახალი სარდალი გამოგზავნა უზარმაზარი ჯარით. ეს ლაშქარი მუხურისის თემში დაბანაკდა, მდინარე ცხენისწყლის ნაპირას. მტრის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ ამხედრდნენ მეფე გუბაზი თავისი ჯარით და რომაელები. სამხედრო თათბირის შემდეგ გადაწყვიტეს, უეცარი იერიში მიეტანათ სპარსელებზე, მაგრამ აქ თავი იჩინა უთანხმოებამ მოკავშირეთა შორის. იმდროინდელი რომაელი ისტორიკოსი გვიამბობს: „ლაზები შეუძლებლად თვლიდნენ, რომაელებთან ერთად დარაზმულიყვნენ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ რომაელები ბრძოლაში გასვლით არც სამშობლოსთვის იგდებენ თავს საფრთხეში, არც ნათესავებისათვის, მათ კი, ლაზებს, საფრთხე მოელით შვილებისთვის, ცოლებისთვის და სამშობლო ქვეყნისთვის. ასე

რომ ლაზებს თავისი ცოლებისა უნდა შერცხვეთ, თუ მტრისაგან დამარცხებული იქნებიან... ლაზებს ძალიან უნდოდათ, რომ პირველნი და მარტო დასძგერებოდნენ მტერს, რათა მათთვის საქმეში ხელი არ შეეშალათ რომაელებს, რომელნიც ლაზებსავით არ იყვნენ გატაცებულნი სახიფათო ბრძოლაში. ლაზები რომ ასე აღფრთოვანებით ლაპარაკობდნენ, გუბაზს ძალიან გაეხარდა, მოუხმო მათ რომაელებისაგან ცოტა მოშორებით და ასე მიმართა: „მე არ ვიცი, ვაჟკაცებო, საჭიროა თუ არა კიდევ დარიგებით მოგმართოთ თქვენ გასამხნევებლად... არავითარი მოწოდება აღარ ესაჭიროება იმას, ვინც ჩვენსავით თვით გარემოებით არის უკვე აღფრთოვანებული. საფრთხე მოელის ხომ ჩვენს ცოლ-შვილს, სამშობლო ქვეყანას და, ერთი სიტყვით, ყველაფერს... ნუ გაქრება ლაზების სახელი! ძნელი არ არის, ვაჟკაცებო, სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენთვის, რომელთაც ხშირად გაგვიმარჯვია მათზე ხელჩართულ ომში“...

მართლაც, ეგრისის ცხენოსანი ჯარი პირველი ეძგერა მტერს. ატყდა ფიცხელი ომი. ომი სპარსელების სასტიკი დამარცხებით დამთავრდა. სპარსელების სარდალმა და მეომრების უმრავლესობამ ბრძოლის ველზე დალიეს სული, სხვებმა გაქცევით თავს უშველეს, მოკავშირეებმა კი სპარსელების მთელი ბანაკი ხელში ჩაიგდეს. ამის შემდეგ სპარსელების ჯარი მხოლოდ პეტრაში იყო დარჩენილი. ლაზები მოითხოვდნენ, პეტრასაც ეხლავე თავს დავესხათო, მაგრამ რომაელების სარდალი ამას ეწინააღმდეგებოდა. მაშინ ლაზებმა კეისართან იჩივლეს, შეიძლება თქვენი სტრატეგი სპარსელების მოსყიდული იყოს, ისე იქცევაო. იუსტინიანემ ეგრისში სხვა სტრატეგი გამოგზავნა. სპარსელებიც ეგრისში ახალი ჯარით შემოიჭრნენ. სპარსელებმა ახლა ახალი ტაქტიკით დაიწყეს მოქმედება: მათ უმჯობესად დაინახეს, ეგრისის ჩრდილოეთ ნაწილში, ეხლანდელ აფხაზეთში, გამაგრებულიყვნენ.

## § 36. მდგომარეობა აბაზგიაში

დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, როგორც ვიცით, მაშინ სხვადასხვა ტომები ცხოვრობდნენ. IV საუკუნისათვის ახ. წ. ეს ტომები ეგრისის სამეფოში იყვნენ უკვე გაერთიანებულნი. მაგრამ შემდეგ აქ ცვლილება მოხდა. აფშილები ისევ ეგრისის მეფის ქვეშევრდომები დარჩნენ, აბაზგები კი, რომელნიც აფშილებზე ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ, გადაუდგნენ ეგრისის მეფეს და IV საუკუნის დამდეგიდან უშუალოდ კეისრის ვასალებად ითვლებოდნენ.

აბაზგებს ძველთაგანვე ორი მთავარი ჰყავდათ, ერთი აბაზგიის დასავლეთ ნაწილში, მეორე — აღმოსავლეთისაში. აბაზგები ძალიან შე-

წუხებული იყვნენ თავისი მთავრების მტარვალობისა და სიხარბის მიზეზით, როცა ეს მთავრები თავის ქვეშევრდომებში ლამაზ ბავშვებს დაინახავდნენ, წაართმევდნენ მათ მშობლებს და ჰყიდდნენ რომაელებზე, ბავშვების მამებს კი ხოცავდნენ, შური არ იძიონო. აბაზგებმა ვეღარ აიტანეს ეს უსამართლობა და ორივე მთავარი მოსპეს.

ამასთან ერთად, იუსტინიანეს მოთხოვნით, აბაზგებმა ქრისტიანობა მიიღეს. ქრისტიანობის საშუალებით იუსტინიანეს აბაზგების შემომტკიცება სურდა. კეისრის ძალა-უფლებას ამაგრებდნენ რომაელი მეციხოვნენიც, რომელნიც ბიჭვინტაში და ცხუმში (სევასტოპოლისში) იდგნენ. როდესაც ხოსრო პირველად შეიჭრა ეგრისში, ამ პუნქტების რომაულმა გარნიზონებმა ძირამდე დაანგრიეს დასახელებული ციხეები, რადგანაც ეშინოდათ, რომ სპარსელებს ვერ გაუმკლავდებოდნენ. სპარსელებმა მაშინ აბაზგიაში მაინც ფეხი ვერ მოიკიდეს.

მაგრამ შემდეგ სხვა ამბები მოხდა. რომაელმა მოხელეებმა და ჯარისკაცებმა, რომელნიც კვლავ გაჩნდნენ აქ, მოინდომეს აბაზგების სრული დაპყრობა და ისე შეაწუხეს ისინი თავიანთი ძალადობით, რომ აბაზგები გადაუდგნენ რომაელებს, რომაელივე ისტორიკოსი გამოტეხით ამბობს, აბაზგებს „ეშინოდათ, რომ ამიერიდან რომაელების მონები არ გამხდარიყვნენ“-ო. როგორც სხვაგან საქართველოში, ხალხი აქაც გააფთრებით იცავდა თავის თავისუფლებას.

აბაზგებმა ახალი მთავრები დაიყენეს და ფარულად სპარსელებს მიმართეს დახმარებისათვის, მაგრამ რომაელებმა დაასწრეს და დიდი ჯარით მიადგნენ მათ როგორც ხმელეთიდან, ისე ზღვიდან. აბაზგები გამაგრდნენ ერთს მიუვალ ციხეში, რომელსაც მაშინ ტ რ ა ქ ე ა ს ეძახდნენ, ახლა-კი გ ა გ რ ა ჰქვიან. რომაელებმა ციხეს ალყა შემოარტყეს. ატყდა დაუნდობელი ომი. რომაელები რიცხვით ბევრად მეტნი იყვნენ და ბოლოს ციხეში შეიჭრნენ. აბაზგები ახლა თავისი ცოლ-შვილით სახლებში ჩასაფრებულიყვნენ. მტერმა მათ სხვა ვერაფერი მოუხერხა და ხის სახლებს ცეცხლი წაუკიდა. მხოლოდ აბაზგების მთავარმა მოახერხა რამდენიმე კაცით ციხიდან გასვლა, „დანარჩენები-კი ან ფერფლად იქცნენ გადამწვარ სახლებთან ერთად, ან მტრის ხელში ჩაცვივდნენ. რომაელებმა დაატყვევეს მთავართა ცოლები მთელი მათი შთამომავლობით, ციხის გალავანი კი მიწასთან გაასწორეს და მთელი მიწა-წყალი უდაბნოდ აქციეს“ — მოგვითხრობს რომაელი ისტორიკოსი. ცხადია, აბაზგებს რომაელები ახლა თვალით არ დაენახვებოდათ და, როცა სპარსელების ახალმა სარდალმა მათ ქვეყანას მიაშურა, ისინი სპარსელების მხარეს გადავიდნენ. სპარსელებმა იცოდნენ, რომ აბაზგებს არც სპარსელები ეხატათ გულზე და სიმტკიცისათვის მათ სამოცი ბავშვი გამოართვეს მძევლად წარჩინებულთა გვარებიდან.

ამავე დროს არეულობა მოხდა აფშილეთშიაც. ეგრისის მეფის ერთმა დიდმა მოხელემ, რომელიც აგრეთვე, გუბაზის უკმაყოფილო აზნაურების რიცხვს ეკუთვნოდა, ღალატით გადასცა სპარსელებს აფშილების მეტად მაგარი ციხე წ ი ბ ი ლ ი (წ ე ბ ე ლ დ ა). მაგრამ სპარსელების სარდალმა შეურაცხყოფა მიაყენა ციხისთავის ცოლს, ტომით აფშილს. ქალის ღირსებას ხალხი ძვირად აფასებდა და აფშილებმა ამოჟლიტეს წიბილის ციხეში შესული სპარსელები.

ამრიგად, აფშილეთში სპარსელები ვერ გამაგრდნენ. მათი მთავარი სიმაგრე მაინც პეტრა იყო. ამიტომ ლაზებსა და რომაელებს გულისყური პეტრასკენ ჰქონდათ მიპყრობილი.

## § 37. პეტრას აღება მოკავშირეების მიერ. გუბაზ მეფის მოკვლა

550 წელს რომაელებმა კვლავ ალყა შემოარტყეს პეტრას. ხოსროს პეტრა ძალიან გამაგრებული ჰქონდა, მაგრამ რომაელები ორჯერ მეტი იყვნენ და სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ მათ მოახერხეს ციხის აღება.

ახლა ქართლიდან ეგრისში სპარსელების ახალი ჯარი გადმოვიდა. სპარსელებმა შეაკეთეს ქ უ თ ა თ ი ს ი ს (ეხლანდელი ქუთაისის) ძველი ციხე და აქ გამაგრდნენ. ამით სპარსელებმა გზა მოუჭრეს ეგრისს მის თემებთან — ლეჩხუმთან და სვანეთთან და აგრეთვე მნიშვნელოვან ციხესთან — უ ქ ი მ ე რ ი ო ნ თ ა ნ.

552 წელს რომაელებმა და სპარსელებმა ისევ შეკრეს ხუთწლიანი ზავი, რომლითაც სპარსელებმა კარგად ისარგებლეს თავისი მდგომარეობის განსამტკიცებლად ეგრისში. ამავე დროს, ეგრისის აზნაურებში ისევ გაიზარდა მიდრეკილება სპარსელებისადმი. რომაელი ისტორიკოსი გვიამბობს, რომ თუმცა გუბაზ მეფეს რომაელების მხარე ეჭირა, „დანარჩენი ლაზები, რომელნიც რომაელი ჯარისკაცებისაგან საშინლად იყვნენ შეწუხებულნი, განსაკუთრებით-კი ჯარის სარდლებისაგან იყვნენ შევიწროებულნი, მეტწილად სპარსელების მომხრეობას იჩენდნენ არა იმიტომ, რომ სპარსელობა მოსწონდათ, არამედ რომაელების ბატონობისაგან თავის დაღწევა სურდათ“-ო. ეგრისის ხალხი მხოლოდ საკუთარი ინტერესებისათვის იბრძოდა.

ერთმა ეგრისელმა აზნაურმა, სპარსელების მომხრემ, უქიმერიონის ციხე სპარსელებს გადასცა. ეს ციხე სვანეთის გზაზე ბატონობდა და ამრიგად სპარსელებმა ახლა სვანეთ-ლეჩხუმის თემები უფრო კარგად დაიმორჩილეს. შორაპნის ციხეც სპარსელებს ეჭირათ მტკიცედ ხელში. გუბაზ მეფე და რომაელები ძალიან შევიწროებულ მდგომარეო-

ბაში ჩაცვივდნენ, მაგრამ გუბაზს სპარსელებთან შერიგება მაინც არ სურდა და წვრილ-წვრილი თავდასხმებით, პარტიზანული ომით მათ მოსვენებას არ აძლევდა. 553 წელს გუბაზს რამდენიმე ბრძოლა ჰქონდა სპარსელებთან. ამ ბრძოლებში რომაელები სრულ უდარდელობასა და სილაჩრეს იჩენდნენ. გუბაზ მეფე მათზე ძალიან გაგულისებული იყო და საჯაროდ ილანძღებოდა: რომაელი სარდლები უჭკუო, უქნარა და მშიშარა ხალხიაო. ამიტომ 554 წელს რომაელმა სარდლებმა შეტყუებით მოკლეს გუბაზი, ვითომც სპარსელებთან კავშირის გამო.

## § 38. სახალხო კრება ეგრისში და გჰოგა ორიენტაციის საკითხის შესახებ

**ლაზების განწყობილება.** იმდროინდელი რომაელი ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ გუბაზის ვერაგულად მოკვლამ „აალელვა ლაზების მთელი ჯარი. ლაზები ისე იყვნენ აღშფოთებულნი, რომ გადაწყვიტეს, აღარ შეერთებოდნენ რომაელებს და აღარ ეომათ მათთან ერთად. როცა ლაზებმა გუბაზი დაასაფლავეს თავისი ჩვეულების თანახმად, მათ აღარ მიიღეს მონაწილეობა ბრძოლებში, რადგანაც თავს უკიდურესად შეურაცხყოფილად გრძნობდნენ და ფიქრობდნენ, ჩვენმა სამშობლომ დაკარგა თავისი სახელი და დიდებაო".

თუ რას ნიშნავდა ლაზების ჯარის დახმარება, ეს რომაელებმა მალე დაინახეს ო ნ ო გ უ რ ი ს ბრძოლაში. აქ სამი ათასმა სპარსელმა სამარცხვინოდ დაამარცხა 50 000 რომაელი, რომელთაც ეგრისელები არ ეხმარებოდნენ.

**სახალხო კრება. აიეტის აზრი.** თვითონ ლაზები ამ დროს თავისი ქვეყნის შემდგომ ბედზე ფიქრობდნენ. ხალხის თავკაცებმა ერთ ხეობაში დიდი საერთო კრება მოიწვიეს. აქ ბევრი სხვადასხვანაირი აზრი გამოითქვა იმის შესახებ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ შემდეგში. კრების მეთაური აზნაურები ორ ჯგუფად გაიყვნენ. ერთი ჯგუფის სათავეში აიეტი იდგა, რომაელების ძველი მტერი და სპარსელების მომხრე.

აიეტი ამტკიცებდა — გუბაზის მოკვლა მხოლოდ დასაწყისია და რომაელებს ჩვენი მოსპობა აქვთ განზრახულიო, სპარსელები კი უფრო სანდონი არიანო. „გაქრა კოლხების ძველი ღირსება, — ამბობდა აიეტი, —და დღეიდან უკვე ჩვენ სხვებზე ველარ ვიბატონებთ... ჩვენ რომ ეს ბოროტმოქმედება უყურადღებოდ დავტოვოთ, რომაელები აღარ დაგვეხსნებიან და კიდევ უფრო მეტად გაგვაბახებენ ჩვენი უმოქმედობის წყალობით. რა თქმა უნდა, რომაელები იმათ კიდევ უფრო თავხედურად ექცევიან, ვინც მათ ემორჩილება, და, ჩვეულებრივად ზევიდან ქვევით უყურებენ იმათ, ვინც მათ ემსახურება... მე მინდა, რომ

კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონდეს თავისი წინანდელი ძლიერება, რომ მას არ სჭიროდეს უცხოელების დახმარება გარედან, რომ როგორც ომის ისე მშვიდობის დროს იგი მხოლოდ თავის თავს ეყრდნობოდეს. მაგრამ როცა ჩვენ ჟამთა ვითარების გამო ან ბედის უკუღმართობის წყალობით, ანდა ორივე მიზეზით ისე დავუძლურდით, რომ სხვისი ხელქვეითი გავხდით, ისევ სჯობია იმის ხელში ვიყოთ, ვინც უფრო კეთილისმსურველია, ვინც დაურღვევლად იცავს კეთილ განწყობილებას თავისიანებთან და მოკავშირეებთან"-ო.

აიეტის სიტყვამ ისე აანთო ხალხი, რომ ერთხმად იგრიალეს — სპარსელებს მივემხროთო.

**ფარტაძის აზრი.** მაგრამ მოწინააღმდეგე პარტიის მეთაურმა, ფარტაძმა, რომელსაც დიდი პატივისცემა და გავლენა ჰქონდა კოლხებში მოხვეჭილი, შეაჩერა ხალხი. ფარტაძი ურჩევდა — საქვეყნო საქმის გულისათვის დავივიწყოთ ეს მწუხარება და წყენა და გონების ძალით საუკეთესო გზა ავირჩიოთო. გუბაზის მოკვლა სტრატეგების საქმეა და კეისარი აქ არაფერ შუაშიაო. რომაელები მაინც უფრო მისაღები არიან, რადგანაც სპარსელები ვერასოდეს ვერ შეურიგდებიან, ჩვენ რომ სხვადასხვა სარწმუნოება გვაქვსო. „სასოწარკვეთილებასა და გრძნობათა ღელვას კი არ უნდა ავყვეთ და მონებივით კი არ უნდა გავიქცეთ, არამედ უნდა გავიმსჭვალოთ კოლხის თავისუფლების შეგნებით, ვაჟკაცურად უნდა გადავიტანოთ უბედურება და არ ჩავიდინოთ არაფერი ულირსი და მამაპაპური წესების შემბღალველი". შევატყობინოთ კეისარს, რაც მოხდა და ვნახოთ, რა პასუხს მოგვცემს, თუ ჩვენი სამართლიანი მოთხოვნა უარყოფილი იქნება, მაშინ ვიფიქროთ სპარსელებთან კავშირზე.

ასე მსჯელობდა ფარტაძი.

იმდროინდელი რომაელი მოხელეების მიერ ჩაწერილი სახალხო წინამძღოლთა ეს სიტყვები მოწმობს ეგრისის ხელმძღვანელი წრეების დიდს სახელმწიფოებრივ გამოცდილებასა და მაღალ შეგნებას.

**წათე მეორის გამეფება.** ფარტაძის აზრმა გაიმარჯვა. შეატყობინეს იუსტინიანე კეისარს მომხდარი ამბავი, მოითხოვეს მკვლელების დასჯა და სთხოვეს ეგრისის მეფედ გუბაზის ძმის, წათეს, დამტკიცება, რომელიც ამ დროს კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა. იუსტინიანეს კარგად ჰქონდა აწონილ-დაწონილი ლაზების მნიშვნელობა იმდროინდელ გარემოებაში და რომ ეგრისის ხალხი მას არ გადასდგომოდა, სასწრაფოდ შეასრულა ლაზების ყველა მოთხოვნა. მკვლელები დაისაჯნენ, ხოლო მეფედ ნაკურთხი წ ა თ ე მ ე ო რ ე დიდი ზეიმითა და დიდებით ჩამოიყვანეს სამშობლოში. წათე შეუდგა ეგრისის მართვას მამაპაპური წესების თანახმად.

## § 39. მისიმიელების აჯანყება. სპარსელების საბოლოო დამარცხება ეგრისში

მისიმიელები აფშილებს ზემოთ ცხოვრობდნენ, მდ. კოდორის სათავეებში და ქლუხორის ზეკართან. ისინი ეგრისის მეფის ქვეშევრდომები იყვნენ, თუმცა თავისი საკუთარი ენა და ადათები ჰქონდათ. 555 წელს მათს ქვეყანაში მოვიდა ერთი რომაელი სტრატეგი, რათა ყოველწლიური ხარკი გადაეცა ალანებისათვის, რომელნიც კავკასიონის ქედს გაღმა ცხოვრობდნენ და რომაელების მოკავშირეები იყვნენ.

სტრატეგის ქცევა მისიმიელებს არ მოეწონათ და ეჭვიც გაუჩნდათ — ჩვენი ციხის გადაცემა ხომ არ უნდა ალანებისათვისო. ამიტომ მისიმიელებმა მას მოციქულები მიუგზავნეს და ასე შეუთვალეს: „უსამართლობას გვიპირებ, როგორც ჩანს, სტრატეგო, შენ არც სხვას უნდა მისცე ნება, რომ ჩვენი საკუთრება წაიღოს, არც თვითონ უნდა მოისურვო ასეთი რამ, თუ რომ, მართლაც, ამგვარი რამე გულში არ გიძევს, წაბარგდი ახლავე აქედან, სხვაგან დადექ და სამყოფ სასმელ-საჭმელს ჩვენ მოგიტანთ"-ო.

სტრატეგმა ისეთი სიბრიყვე ჩაიდინა, რომ ელჩები ჯოხით აცემინა. მთელი ხალხის აზრით, ცემა ისეთი შეურაცხყოფაა, რომელიც სისხლით უნდა მოირეცხოს. აქ კიდევ ხალხის ღირსება იყო გაქელილი, რაკი მის წარმომადგენლებს მოექცნენ ეგრე უდიერად. ამიტომ იმავე ღამეს მისიმიელებმა იერიში მიიტანეს რომაელებზე და მუსრი გაავლეს მათ, თვითონ კი სპარსელების მხარეს გადავიდნენ. როცა რომაელები კვლავ მოვიდნენ აქ, ისე გამხეცებული იყვნენ, რომ ბავშვებსაც არ ინდობდნენ — ზოგს კლდიდან ძირს ისროდნენ, ზოგს შუბის წვერზე აცმევდნენ. მაგრამ თავისუფლების სიყვარულმა იმდენი გააკეთა, რომ ამ პატარა ტომმა სამარცხვინოდ გააქცია უფრო მრავალრიცხოვანი და ძლიერი რომაელები. ბოლოს საქმე შერიგებით გათავდა: მისიმიელებმა რომაელებს ზარალი აუნაზღაურეს, სამაგიეროდ თანხმობა მიიღეს, ეცხოვრათ თავის ნებაზე ძველებურად, მამაპაპური ადათების მიხედვით.

ამავე 555 წელს სპარსელების სამოცათასიანმა ჯარმა იერიში მიიტანა რომაელებზე ციხე-გოჯის მიდამოებში. რომაელების საქმე შეიძლებოდა ცუდად წასულიყო, მაგრამ ისინი ერთი ლაზის გმირობამ გადაარჩინა. ეს კაცი სპარსელებს დაეჭირათ, გზა გვიჩვენეო. მეგზურმა იმდენი მოახერხა, რომ რომაელებს შეატყობინა მტრის მოძრაობა და სპარსელები ხაფანგში შეიტყუეს. რომაელებისა და მათი მოკავშირეების უეცარი თავდასხმის გამო სპარსელები შედრკნენ და

გაიქცნენ დიდად დაზარალებულნი. ამის შემდეგ სპარსელებმა ქალაქ ფასიდზე გაილაშქრეს, მაგრამ აქ კიდევ უფრო საშინელი დამარცხება განიცადეს, 12000 კაცამდე დაკარგეს და სასწრაფოდ უკან დაიხიეს.

ახლა შაჰმა ეგრისში თავისი საქმე წაგებულად ჩათვალა და ჯერ დროებითი ზავი შესთავაზა რომაელებს, შემდეგ კი 562 წელს, ქალაქ დ ა რ ა შ ი უფრო ხანგრძლივი ხელშეკრულებაც დაუდო.

**ზავის პირობები. სვანეთის საკითხი.** ქალაქ დარაში დადებული ზავის პირობით სპარსელები უარს ამბობდნენ ეგრისზე, მაგრამ სადაოდ მიაჩნდათ სვანეთი — ეგ კუთხე ჩვენი იყო და ჩვენ უნდა დაგვრჩესო.

სვანებიც ძველთაგანვე ეგრისის მეფის ვასალები იყვნენ. ეგრისის მეფე ამტკიცებდა სვანეთის მთავარს თვით სვანების წრიდანვე. გარდა ამისა, ეგრისის მეფე სვანებისაგან ძღვნად იღებდა თაფლს, ცვილს, ტყავებსა და სხვა ამგვარ საგნებს, თვითონ სამაგიეროდ პურს უგზავნიდა, რომელიც სვანებს აკლდათ.

სპარსელებთან ომის დროს კი მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდა. სვანები იმასაც აბრალებდნენ ეგრისელებს, რომ პური აღარ მოგვაწოდესო. ამიტომ სვანებიც ერთი პირობა სპარსელების მხარეს გადასულან. უეჭველია, რომ სვანებიც ამ შემთხვევაში თავის სახალხო თავისუფლებაზე ფიქრობდნენ და იმას არჩევდნენ, ვინც იმ არეულსა და შფოთიან დროში ნაკლებად სახიფათო მოკავშირე ჩანდა. ახლა კი სპარსელები სვანეთიდან დაძვრას აღარ აპირებდნენ. მართლაც, სვანეთის საუღელტეხილო გზებს მათთვის მნიშვნელობა ჰქონდა. შემდეგ, თუ ისინი სვანეთში გამაგრებას მოახერხებდნენ, ეგრისი მუდამ საფრთხის ქვეშ იქნებოდა, ამიტომ არც რომაელები თმობდნენ სვანეთს.

ეს დავა დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე 575 წლის მახლობლად რომაელები სვანეთში არ შეიჭრნენ და სვანეთის მთავარი ტყვედ არ წაიყვანეს. ამის შემდეგ სპარსელების გავლენა დასავლეთ საქართველოში ძირიანად ამოვარდა.

## თავი IV

# ფეოდალიზმის გამარჯვება საქართველოში

### § 40. ქართლის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის

**სახალხო მოძრაობის ზრდა სპარსელების წინააღმდეგ.** როგორც ვიცით, ქართლის ხალხი და სპარსელები თავიდანვე ეჭვითა და უნდობლობით უყურებდნენ ერთმანეთს. ჯერ კიდევ VI საუკუნის შუა წლებ-

ში რომაელები ირწმუნებოდნენ, რომ „იბერები ნებაყოფლობით არ ემორჩილებიან სპარსელებს... ცხადია, რომ იბერებს ილაჯი გაწყვეტილი აქვთ და ისინი აპირებენ აჯანყებას უახლოეს მომავალში, თუ მოხერხებულ დროს შეურჩევენ"-ო. ეს ნათქვამი ხალხს ეხება. ხალხი იყო, რომ ყველაზე მეტად იტანჯებოდა სპარსელების ხარკისა და თავგასულობა-უსამართლობისაგან. დიდი აზნაურები თუმცა პირველად კავშირში იმყოფებოდნენ სპარსელებთან, მაგრამ თანდათან სპარსელებს აზნაურებიც გადაუდგნენ. ჯერ ერთი, სპარსული უღლის სიმძიმე ნელ-ნელა აზნაურობასაც სწვდებოდა. შემდეგ კიდევ, როცა დიდი სახალხო მოძრაობა დაიწყო სპარსელების წინააღმდეგ, აზნაურებიც ამ ბრძოლაში გაერივნენ და მის მეთაურობასაც იჩემებდნენ.

სპარსელების განდევნა ქართლიდან VI საუკუნის სამოციანი წლების დამლევიდან იწყება. ამ დროს სპარსელების საქმე უკან იყო წასული მარტო ეგრისში კი არა, სხვაგანაც. ქართლში კიდევ ძალა და შეძლება სპარსელებთან საბრძოლველად ბლომად მოიპოვებოდა.

**ქართლის სამეურნეო დაწინაურება.** მიუხედავად იმისა, რომ სპარსელების ბატონობა აფერხებდა ქვეყნის განვითარებას, ქართლი მაინც სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და ძლიერდებოდა. ამ დროს ქართლი მდიდარ ქვეყნად ითვლებოდა. იმდროინდელი რომაელი ისტორიკოსი ამბობს ქართლსა და სომხეთზე, რომ „ეს ქვეყნები ძალიან ნაყოფიერი იყო და დიდ შემოსავალსაც იძლეოდა"-ო.

მართლაც, ქართლში ამ დროს კარგად განვითარებული იყო მიწათმოქმედება და, კერძოდ, მევენახეობაც. პური იმდენი მოჰყავდათ, რომ საზღვარგარეთაც კი გაჰქონდათ. მეორე რომაელი მწერალი მოგვითხრობს მესხების შესახებ, რომ „ისინი ძველთაგანვე იბერების ქვეშევრდომები არიან და მთებში ცხოვრობენ. მესხეთის მთები მწირი და უნაყოფო კი არ არის, არამედ სავსეა ყოველგვარი სიკეთით, იმიტომ რომ მესხები დახელოვნებული მიწათმოქმედნი არიან და მათ ვენახებიც აქვთ"-ო.

მიწათმოქმედებაში დახელოვნებას, ესე იგი ხანგრძლივს სახალხო-სამეურნეო გამოცდილებას, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეურნეობის განვითარებისათვის. ქართლის ბარის თემები ხომ უფრო დაწინაურებული იყო ამ დროს, ვიდრე მესხეთის მთები. მიწის დამუშავების საჭიროებისათვის ბარში დიდსა და გრძელ არხებსაც აკეთებდნენ უწყლო საყანეების მოსარწყავად. ამ დროისათვის უკვე გაკეთებული იყო, მაგალითად, რუსთავის არხი თბილისს ქვემოთ.

განვითარებული იყო ქართლში ამ დროს ხელოსნობა, ვაჭრობა და ქალაქები. ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქები ქართლში VI საუკუ-

ნეში იყო ტფილისი, უჯარმა, ბოლნისი, მანგლისი, რუსთავი. ვაჭრობას ქართლი აწარმოებდა სომხეთთან, სპარსეთთან, სირიასთან, დასავლეთის ქვეყნებთან, ეგვიპტესთან და სხვებთან.

## § 41. ქართლის საერისმთავროს დაარსება

**ბრძოლა სპარსელების წინააღმდეგ.** ქვეყნის შემდგომ ზრდას ბოჭავდა სპარსელების ბატონობა, რომლის მოცილება ახლა ხალხის მთავარი ნატვრა და სურვილი იყო. 572 წელს სპარსელების წინააღმდეგ აჯანყებამ ერთდროულად იფეთქა ქართლსა და სომხეთში. ქართველების წინამძღოლი ამ დროს გ უ რ გ ე ნ ი ყოფილა. შემდეგშიაც საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში კავკასიის ხალხები ხშირად ერთად იყვნენ და ერთმანეთს ეხმარებოდნენ. 573 წელს, მაგალითად, სომხებს ეხმარებოდნენ ლაზები, აბაზგები და ალანები.

576—7 წელს დაიწყო საზავო მოლაპარაკება რომაელებსა და სპარსელებს შორის. სპარსელები დაჟინებით მოითხოვდნენ, რათა რომაელებს დაეცალათ ქართლისა და სომხეთის ტერიტორია და აქაური ლტოლვილები, რომელნიც რომაელთა სამფლობელოში იყვნენ შეხიზნულნი, გაეცათ. კეისარი მზად იყო, შეესრულებინა პირველი მოთხოვნა, რადგანაც კარგად იცოდა, რომ სპარსელები არავითარ შემთხვევაში ხელს არ აიღებდნენ ქართლსა და სომხეთზე ამ ქვეყნების სიმდიდრის გამო, მეორე მოთხოვნის შესრულებაზე-კი უარს ამბობდა. მაშინ შაჰმა მისცა თანხმობა კეისარს, რომ ის ქართველები და სომხები, რომელნიც არ მოისურვებდნენ სამშობლოში დაბრუნებას, დარჩენილიყვნენ რომის საზღვრებში. იმდროინდელი რომაელი ისტორიკოსი ამტკიცებს: შაჰი ასე მოიქცა, რადგანაც იცოდა, „რომ მცირეოდენი მმართველი პირების გარდა, რომელნიც ხელმძღვანელობდნენ აჯანყებას, არც ერთი პერს-არმენიელი და იბერი არ წავიდოდა უცხო ქვეყანაში სამშობლოსადმი სიყვარულის გამო, რომელიც ჩანერგილია ადამიანებში“. ესე იგი, ხალხს იმდენად უყვარდა თავისი მშობლიური მიწა-წყალი, რომ მისი სამუდამოდ მიტოვება არ შეეძლოო.

**სპარსელების საბოლოო დასუსტება ქართლში.** საბოლოოდ მაინც შაჰი და კეისარი ვერ შეთანხმდნენ. ამავე დროს სპარსელების გავლენა ამიერკავკასიაში სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა. რასაც ხელს უწყობდა შინაური შფოთი ირანის სამეფოში. ამ მდგომარეობით მოხერხებულად ისარგებლეს რომაელებმა და სპარსელებისაგან მიიღეს სომხეთის უმეტესი ნაწილი და ქართლი თბილისამდე. ეს მოხდა 591 წელს. ნამდვილად ქართლის დიდმა ნაწილმა VI საუკუნის დამლევისათვის უკვე გადაიგდო სპარსელების ბატონობის უღელი და იგი

არც რომაელებს ემორჩილებოდა. სპარსელები ჯერ კიდევ მხოლოდ თბილისის ციხეში იდგნენ.

**ერისმთავრობის დაწესება ქართლში.** განთავისუფლებული ქართლი ახლა თავისი საკუთარი მართვა-გამგეობის წესზე ეწყობოდა. უძველესი ქართული მატიანე, „მოქცევაი ქართლისაი", ამბობს ამ დროის შესახებ: „ნელად-რე შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გუარამ"-იო. ქართლის მმართველობის სათავეში ერისმთავარი დააყენეს. ეს ერისმთავარი თვითონაც დიდი აზნაური იყო და დიდი აზნაურების, სეფე-წულებისა და მთავრების, წარმომადგენელიც, რომელთაც იგი აირჩიეს ქვეყნის მმართველად. მალე ქართლის ერისმთავრის ძალაუფლება გაიზარდა და გაძლიერდა. ასე წარმოიშვა ქართლში ფეოდალური მართვა-გამგეობის ორგანიზაცია, ფეოდალური სახელმწიფო, რომელმაც ძველი მონათმფლობელური სახელმწიფოს ადგილი დაიჭირა. ქართლის ერისმთავრებმა მალე საკუთარი ფულის მოჭრაც დაიწყეს ქართული წარწერით. ასე მონეტა-ფული სახელმწიფოს დამახასიათებელი თვისებაა.

## § 42. კულტურა და იდეოლოგია IV—VI საუკუნეებში

როგორც სხვაგან, საქართველოშიაც თავდაპირველად კულტურა და იდეოლოგია უპირატესად სარწმუნოების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ეს გასაგებია, რადგანაც, რაც უფრო უძლური იყო ადამიანი გარემო ბუნებასთან ბრძოლაში ტექნიკისა და მეცნიერების სუსტი განვითარების გამო, მით უფრო ცრუმორწმუნე იყო იგი.

მას შემდეგ, რაც ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად იქცა, კულტურასა და იდეოლოგიასაც საეკლესიო-ქრისტიანული ელფერი ედო მეტ-ნაკლებად. ასეთი იყო, მაგალითად, მწერლობა. ქრისტიანობამ ძველი ქართული წარმართული მწერლობა მოსპო, თვითონ კი უმთავრესად თარგმანებით დაიწყო. როგორც სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში, საქართველოშიაც უძველესი ნათარგმნი საქრისტიანო წიგნები „სახარება" და „დაბადება" იყო. თარგმნიდნენ ბერძნული, სირიული და სომხური ენებიდან.

მალე ორიგინალური მწერლობაც გაჩნდა ჰაგიოგრაფიული ხასიათისა. ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებში მოთხრობილი იყო ისეთი პირების ცხოვრება, რომლებმაც ღვაწლი დასდეს ქრისტიანობას, ან თავიც-კი შესწირეს მას. უძველესი ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებაა „შუშანიკის მარტვილობა" ანუ წამება, დაწერილი ი ა კ ო ბ ი ს მიერ V საუკუნის სამოცდაათიან წლებში. აქ აღწერილია, თუ როგორ აწამა ვარსქენ ქართლის პიტიახშმა თავისი ცოლი შუშანიკი იმის გა-

მო, რომ შუშანიკმა არ შეასრულა ვარსქენის მოთხოვნა და ცეცხლისმსახურება არ მიიღო. დაწერილია ეს ძეგლი მოქნილი, მომჭირნე და მდიდარი მხატვრული ენით; იგი ამავე დროს ძვირფასია, როგორც ისტორიული წყარო, იმიტომ რომ მასში კარგად არის ასახული ქართლის საზოგადოება და მისი ყოფა-ცხოვრება V საუკუნის მეორე ნახევარში. ასეთივე კარგი ისტორიული წყაროა „ესტატე მცხეთელის წამება“, რომელიც უცნობ ავტორს დაუწერია VI საუკუნის შუა წლებში და რომელშიაც აღწერილია ქართლის ვითარება მარზპანობის დროს.

მწერლობა მაშინ სხვა მიზნებსაც ემსახურებოდა, როგორც, მაგალითად, სახელმწიფოებრივსა და კერძო სამოქალაქო საქმის წარმოებას. წარწერებს აკეთებდნენ ფურცლებზედაც. შენახულია ერთი წარწერა, ახალციხის მხარის სოფ. წყისეში ნაპოვნი. ეს წარწერა VI საუკუნის დამლევს თუ VII საუკუნის დამდეგს ამოუჭრევინებია ქვის ჯვარზე ვინმე კონსტანტის იმის ნიშნად, რომ მიწა, სადაც აღმართული იყო ეს ქვაჯვარი, ნაყიდი მამული იყო.

მწერლობას ხმარობდნენ აგრეთვე უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობის დროს. ეგრისის სამეფო არქივში ძალიან ძველი დოკუმენტებიც ჰქონდათ დაცული. ასევე იყო, რა თქმა უნდა, ქართლშიაც.

იმდროინდელი ქართული პოეტური და ფილოსოფიური მწერლობიდან თითქმის არაფერია ჩვენ დრომდე შემონახული, თუმცა ამ დარგის უცხო ლიტერატურას ჩვენში კარგად იცნობდნენ. IV საუკუნეში ეგრისელებს თურმე არა ერთგზის უსახელებიათ თავი მჭერმეტყველებით ბერძნების სადღესასწაულო კრებებზე, ბერძნები კი ამ საქმის უდიდესი ოსტატები იყვნენ. ამავე საუკუნის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ რომის იმპერიაში კარგად ყოფილა ცნობილი თავისი ჭკუით, განათლებითა და ფილოსოფიის სიყვარულით ქართველი სეფეწული ბაკური.

ცხადია, რომ ძველ იბერიასა და კოლხეთში გავრცელებული იყო ძველი ბერძნული განათლება, ძველი ბერძნული ფილოსოფიისა და პოეზიის ცოდნა. მართლაც, IV საუკუნეში კოლხეთში, ფასიდის მახლობლად. არსებობდა ფილოსოფიური სკოლა, სადაც ფილოსოფიური განათლების მისაღებად ახალგაზრდებს გზავნიდნენ აღმოსავლეთ რომის იმპერიის სხვა, შორეული ადგილებიდან. კოლხეთის ფილოსოფიურ სკოლაში მიუღიათ თავისი განათლება იმდროინდელს გამოჩენილს კონსტანტინოპოლელ რიტორს ევგენისა და მის შვილს თემისტის. როგორც ქართლში, ისე ეგრისში, ჩანს, იცნობდნენ სპარსულ მწერლობასაც.

მწერლობა გამოყენებული იყო საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ ბრძოლაშიაც. როცა სპარსელები იძულებული გახდნენ, უარი ეთქვათ მაზდეიანობის გავრცელებაზე ამიერკავკასიაში და სამაგიეროდ, მონოფიზიტური ქრისტიანობის მფარველებად იქცნენ, მათ საეკლესიო მწერლობას დაავალეს, მონოფიზიტური იდეები და სპარსეთთან განუყრელი კავშირის აუცილებლობა ექადაგა. ამ მიზნით სპარსეთის მეფის აგენტებმა შეთხზეს ლეგენდები, ვითომც ქრისტიანობა სომხეთსა, ქართლსა და ალბანიაში ერთი პირის მიერ არის დანერგილი, ვითომც ქართული, სომხური და ალბანური ანბანები აგრეთვე ერთი პირის მიერ არის გამოგონებული და რომ ეს „განმანათლებელნი" იმავე დროს ვითომც სპარსეთთან იყვნენ დაკავშირებულნი.

მონოფიზიტები შეუბრალებლად სპობდნენ დიოფიზიტების ანუ ქალკედონიტების მწერლობას, დროგამოშვებით გავლენას იხვეჭდა სხვა მიმართულებებიც, მაგალითად, მანიქეველობა, რომელიც განსაკუთრებული სარწმუნოებრივ-ფილოსოფიური მოძღვრება იყო და III—IV საუკუნეებში საკმაოდ დიდი გავლენით სარგებლობდა აღმოსავლეთში. სპარსეთის მთავრობა აგრეთვე სხვა საშუალებებსაც მიმართავდა ამ იდეოლოგიური კავშირის განსამტკიცებლად. მას სურდა, მაგალითად, სომხეთის, ქართლისა და ალბანიის ეკლესიების გაერთიანება, რომ უფრო ადვილი ყოფილიყო მათი მართვა სპარსელი მოხელეებისათვის.

ამიტომ, მოკლეს თუ არა ვახტანგ გორგასალი, სპარსელების მთავარი მტერი და მოწინააღმდეგე ამიერკავკასიაში, მაშინვე, 506 წელს, სპარსელებმა სომხეთის დედაქალაქ დ ვ ი ნ შ ი მოიწვიეს სომხეთის, ქართლისა და ალბანიის ეკლესიების საერთო კრება. ამ კრებამ, სპარსელებისავე კარნახით, ერთადერთ ჭეშმარიტ ქრისტიანობად მონოფიზიტური სარწმუნოება აღიარა. ამის შემდეგ ეკლესია სპარსელების მთავარი დასაყრდენი გახდა.

მაგრამ, როგორც კი სპარსელების გავლენამ შესუსტება იწყო, მაშინვე თავი წამოყვეს ქალკედონიტებმა. მათ უკვე 574 წელს, გურგენის აჯანყებისთანავე, ძალა ჰქონიათ მოპოვებული ქართლში. VI საუკუნის დამლევს კი მონოფიზიტები აქ საბოლოოდ დამარცხებული იყვნენ. რადგანაც სომხეთში, რომელიც სპარსეთთან უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული, მონოფიზიტებმა მეტ ხანს გასძლეს, ამიტომ სომხეთისა და ქართლის ეკლესიებს შორის განხეთქილება მოხდა (607 წ.). ახლა ქალკედონიტებმა დაუწყეს მონოფიზიტებსა და მათ მწერლობას უწყალო დევნა. ამიტომ არის ძველი ქართული მწერლობა ასეთი დაზიანებული სახით ჩვენ დრომდე მოღწეული.

სულიერი კულტურის სფეროში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ამ დროს ქართლისა და ეგრისის თანდათანი დაახლოება. არც მეგრულს, არც სვანურს, არც აფხაზურ ენაზე მწერლობა ძველად არ ყოფილა. როცა ქრისტიანობა შემოვიდა ეგრისში, იგი აქ ბერძნულ მწერლობას ხმარობდა, მაგრამ ბერძნული ენა გაუგებარი იყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

ამავე დროს არგვეთიდან (დღევანდელი ზემო იმერეთი), რომელიც ყოველთვის ქართლის სამეფოს საზღვრებში შედიოდა, ეგრისში მარჯვედ ვრცელდებოდა ქართული ენა, რომელიც უფრო ადვილად შესათვისებელი იყო მოძმე ქართველი ტომებისათვის. ქართულ ენასთან ერთად ვრცელდებოდა ქართული მწერლობაც. ქართულმა მწიგნობრობამ ადრე დაიჭირა ეგრისში ბერძნულის ადგილი. ქართული კულტურის ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ცენტრთაგანი დასავლეთ საქართველოში იყო ქალაქი ქუთათისი (ქუთაისი). კულტურულ დაახლოებას თან მოსდევდა მოძმე ტომთა ერთობის შეგნების ზრდაც.

ნივთიერი კულტურის სფეროშიაც ამ ხანიდან მრავალი ძვირფასი ძეგლია შემონახული. უმეტეს წილად გადარჩენილია საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლები. უფრო მცირე რაოდენობით მოღწეულია საერო არქიტექტურის ნაშთებიც. საერო ხუროთმოძღვრების ძეგლია, მაგალითად, უჯარმის ციხე.

იმდროინდელი საეკლესიო არქიტექტურა ორი მთავარი რიგისაა. უფრო ადრინდელი შენობები ანტიკური ხანის არქიტექტურას უახლოვდება და ეგრეთწოდებულ „ბ ა ზ ი ლ ი კ ა“-ს ანუ უგუმბათო ნაგებობას წარმოადგენს, ასეთია V საუკუნის დიდებული ძეგლები — ბ ო ლ ნ ი ს ი ს და უ რ ბ ნ ი ს ი ს ტაძრები და სხვები.

VI საუკუნიდან გაბატონდა სხვა რიგის საეკლესიო ხუროთმოძღვრება, რომელიც თავისი წარმოშობით იმ ხანაზე უფრო ძველი იყო. ეს იყო ჯვრის ტიპის გუმბათიანი ნაგებობა, რომელიც უფრო შეეფერებოდა ფეოდალური ხანის მოთხოვნილებასა და გემოვნებას. ჯვრის ტიპის ტაძარია მ ც ხ ე თ ი ს ჯ ვ ა რ ი ს საყდარი, რომელიც არაგვის შესართავთან მაღალ კლდეზეა აგებული VI საუკუნის მიწურულში.

მცხეთის „ჯვარი“ გენიალური არქიტექტორის უკვდავი ქმნილებაა და ქართული კულტურის საამაყო ძეგლი.

საერთოდ, „ჯვარის“ არქიტექტურული ტიპი დაიბადა და განვითარდა საქართველოში და აქვე მიაღწია მან თავის სრულყოფას. ეს ტიპი ძველი ეროვნული, ხალხური ხელოვნების ტრადიციების ნიადაგზე წარმოიშვა. მისი ხალხური წინამორბედია ქართული გლეხური სახლი, „დარბაზი“ ანუ „ერთობის სახლი“, რომელიც დღემდე არის შემონახული აღმოსავლეთ საქართველოში.

V—VI საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების შესწავლა ამტკიცებს, რომ სამშენებლო ხელოვნება იმდროინდელ საქართველოში მაღალ საფეხურზე იდგა.

ხელოვნების ისტორიისადმი მიძღვნილს ზოგ გამოცემაში მკითხველი შეიძლება შეხვდეს სავსებით მცდარს, ფაქტიურ საფუძველს მოკლებულ დებულებას, თითქოს კავკასიის ხალხთა ქრისტიანული ხელოვნება წარმოადგენს ბიზანტიური ხელოვნების ადგილობრივს (ქართულს, სომხურ) შტოებს, ან არა და იმავე ხელოვნების მხოლოდ ერთს ადგილობრივს („ქართულ-სომხურს", „სომხურს") ნაკადს. ნამდვილად კი საშუალო საუკუნეების საქართველოს და სომხეთის ხელოვნება (ალბანურის შესახებ ძნელია მსჯელობა, ვინაიდან მისი ძეგლების უმეტესობა დაღუპულია) წარმოადგენს ორ თავისთავადსა და დამოუკიდებელ ეროვნულ ხელოვნებას, რომელიც აქაც და იქაც ვითარდებოდა როგორც ერთმანეთთან, ისე სხვა ქვეყნების — მათ შორის აგრეთვე ბიზანტიის — ხელოვნებასთან ურთიერთობაში.

## § 43. ამიერკავკასიის მეზობელი ქვეყნები VII საუკუნეში

საქართველოსა და ამიერკავკასიის გარშემო მდებარე ქვეყნებში განვლილ პერიოდში დიდი ცვლილებები მოხდა. გამოიცვალა საზოადოებრივი ყოფა, სახელმწიფო წყობილება, ისტორიის სარბიელიდან ჩამოვიდა ზოგი ძველი ტომი, მათ ადგილას კი ახალი ხალხები გამოვიდნენ.

**ბიზანტია.** დიდი ცვლილება გამოიარა რომის სახელმწიფომ. IV საუკუნის დამლევს იგი ორ ნაწილად გაიყო. აღმოსავლეთ ნაწილის დედაქალაქად კონსტანტინოპოლი (ძველი ბიზანტიონი) იქცა. V საუკუნის დამლევს მოსპობილ იქნა დასავლეთ რომის იმპერია.

აღმოსავლეთ რომის იმპერია ამის შემდეგ მარტო განაგრძობს არსებობას. VII საუკუნიდან ჩვენ მას ბიზანტიას ვუწოდებთ. თუ ძველი რომი მონათმფლობელური სახელმწიფო იყო, ბიზანტია უკვე ფეოდალური ქვეყანაა. გარდა ამისა, ბიზანტიაში ბერძნულმა ენამ საბოლოოდ განდევნა ლათინური.

**ჰუნები და ხაზარები.** ჩრდილოეთ კავკასიაშიაც ბევრი ახალი ამბავი მოხდა. IV საუკუნიდან აქ ჰუნები ბატონობდნენ, რომელნიც განსაკუთრებით V—VI საუკუნეებში მძლავრობდნენ. ჰუნები შეცვალეს ხაზარებმა, რომელთაც VI საუკუნის დამლევიდან მოიპოვეს გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაში. მალე აქ მათ ძლიერი სამეფო შექმნეს, რო-

მელიც მდ. ვოლგიდან აზოვის ზღვამდე იყო გადაჭიმული; ხაზართა სამეფოს მეთაური ხ ა კ ა ნ ი ს ტიტულს ატარებდა.

არაბები. მაგრამ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნისათვის ა რ ა ბ ე ბ ი ს გამოჩენას მსოფლიო ისტორიაში.

არაბების სამშობლო არაბეთის ნახევარკუნძულია. არაბეთის ნახევარკუნძულის მთავარი რაიონებია: 1) ნ ე ჯ დ ი, შუა რაიონი; 2) ჰ ი ჯ ა ზ ი, მეწამული ზღვის ნაპირზე მდებარე ზოლი და 3) ი ა მ ა ნ ი, რომელსაც ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთი სანაპირო უჭირავს. ჰიჯაზში იყო მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქები — მ ა ქ ა და ი ა ს რ ი ბ ი. ჰიჯაზისა და იამანის არაბები ბინადარ ცხოვრებას ეწეოდნენ და მიწათმოქმედებასა და ვაჭრობას მისდევდნენ. შინაგანი რაიონები კი ბ ე დ უ ი ნ ე ბ ი ს სახელით ცნობილ მომთაბარე არაბებს ეჭირათ. VII საუკუნის დამდეგს მოხდა არაბი ტომების გაერთიანება. ახალი სახელმწიფოს მეთაური იყო მ უ ჰ ა მ ა დ ი, რომელმაც იმავე დროს არაბებში ახალი სარწმუნოებაც გაავრცელა. ახალ სარწმუნოებას „ი ს ლ ა მ ი“ ეწოდა, რაც „მინდობას“ ნიშნავს. ისლამის მიმდევარს „მ უ ს ლ ი მ ს“ („მინდობილს“) ეძახიან. მუსლიმებს მაჰმადიანებსაც უწოდებენ მუჰამადის ანუ მაჰმადის სახელის მიხედვით. მუჰამადის ქადაგებანი ჩაწერილია ცალკე წიგნში, რომელიც „ყ უ რ ა ნ ი ს“ (არაბულად ნიშნავს „ს ა კ ი თ ხ ა ვ ს“) სახელით არის ცნობილი.

ამრიგად, საფუძველი ჩაეყარა ახალ არაბულ სახელმწიფოს. ამ სახელმწიფოს მეთაური შემდეგში იწოდება ხ ა ლ ი ფ ა დ, რაც ნიშნავს „მ ო ა დ გ ი ლ ე ს“ (იგულისხმება მუჰამადის „მოადგილე“). ამიტომ თვით სახელმწიფოს ხ ა ლ ი ფ ა ტ ს ანუ ს ა ხ ა ლ ი ფ ო ს ეძახიან. ხალიფები სარწმუნოების მეთაურებადაც ითვლებოდნენ.

## § 44. საქართველო VII საუკუნის პირველ ნახევარში

**ჰერაკლეს ლაშქრობანი სპარსეთის წინააღმდეგ.** VII საუკუნის დამდეგს სპარსეთის ძველი სახელმწიფო განადგურების პირამდე მიიყვანა ბიზანტიის იმპერატორმა ჰერაკლემ. ამ ომში ჰერაკლე კეისრის ყველაზე მძლავრი მოკავშირეები და თანამოლაშქრეები იყვნენ ქართლელები, ეგრისელები და აბაზგები. ქართველ მოკავშირეებს მაინც თავი დამოუკიდებლად ეჭირათ. ისინი თვითონ უკარნახებდნენ კეისარს ბრძოლის გეგმას და როცა ჰერაკლე ამ გეგმას არ ეთანხმებოდა, საერთოდ უარს ამბობდნენ ლაშქრობაზე.

ჰერაკლემ კავშირი გააბა ხაზარებთანაც, რომლებმაც დიდი ჯარი მისცეს ბიზანტიის მფლობელს.

**თბილისის აღება ბიზანტიელების მიერ.** ამ დროს ქართლის ერთი ნაწილი, უმთავრესად საპიტიახშო, ჯერ კიდევ სპარსელების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. თბილისშიც სპარსელების ჯარი იდგა. ბიზანტიელებმა და ხაზარებმა თბილისს ალყა შემოარტყეს, ბევრი ძალაც შეალიეს, მაგრამ ვერას გახდნენ. მეციხოვნე ქართველებმა და სპარსელებმა ჰერაკლე კეისარი და ხაზარების ხაკანი მასხრად აიგდეს: ციხის გალავანზე გადმოდგებოდნენ ხოლმე და ბიზანტიელებს გასძახოდნენ; თქვენს მეფეს თხის წვერი ასხია და ვაცის კისერი აქვსო, ხაზარებს კი დიდ კვახს უჩვენებდნენ, რომელზედაც ადამიანის სახე იყო დაცინვით გამოსახული, და უყვიროდნენ: აი, თქვენი ჯიბღუ ხაკანიო. კეისარი და ხაზარები მძვინვარებდნენ ამ შეურაცხყოფის გამო, მაგრამ თბილისელებს მაინც ვერაფერი უყვეს და იძულებული შეიქნენ, გასცლოდნენ ქართლის დედაქალაქს. მხოლოდ მეორე წელს, როცა კეისარმა სპარსელებს ირანში ახალი დამარცხება მიაყენა, ხაზარებმა კვლავ ალყა შემოარტყეს თბილისს და ორი თვის სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ ძლივს აიღეს იგი (627 წ.).

ხაზარებმა ქალაქი ააოხრეს, მცხოვრებნი შეუბრალებლად გაჟლიტეს და თვითონ კი უთვალავი სიმდიდრე ჩაიგდეს ხელში. ძველი ალბანელი ისტორიკოსი გვიამბობს, რომ როცა ხაზარებმა აიღეს „ნებიერი, მოვაჭრე, სახელოვანი დიდი ქალაქი თბილისი", მათ ხელი მიჰყვეს ქალაქის საგანძურების ძარცვასო. ოქრო-ვერცხლისა და თვალმარგალიტით შემკული ნივთების ისეთი ზვინები დაუდგეს თავის ბატონს ხაზარმა მეომრებმა, რომ თვალს წყალი ელეოდა მათს ცქერაშიო.

როგორც ვხედავთ, VII საუკუნის დამდეგს თბილისი მდიდარი და სავაჭრო ქალაქი იყო.

**საქართველო ბიზანტიის გავლენის ქვეშ.** ამ დროიდან მოყოლებული საკმაო ხნით (თითქმის ნახევარი საუკუნით) ამიერკავკასიაში ბიზანტიის გავლენა დამყარდა. ეს გავლენა სხვადასხვანაირი იყო აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოში. ეგრისში ბიზანტიის მთავრობა თავს უფრო ლაღად გრძნობდა და სულ უფრო და უფრო ავიწროებდა ეგრისის მეფეს. VII საუკუნის დამლევს უკვე „ლაზიკის მეფის" მაგიერ „ლაზიკის პატრიკიოზი" იხსენიება. „პატრიკიოზი" დიდი წოდებულება და პატივი იყო კეისრის კარზე, მაგრამ მეფის გადაქცევა პატრიკიოზად, რა თქმა უნდა, მეფის ჩამომცრობას ნიშნავდა.

ქართლში ამ დროს ერისმთავარი იჯდა, რომელიც აზნაურების მიერ არჩეული მთავარი იყო და არა დამოუკიდებელი მფლობელი. კეისარმა ძალა მისცა ამ ერისმთავრებს, რომ აზნაურებისაგან უფრო დამოუკიდებელი გამხდარიყვნენ. ამით კეისარს ერისმთავრების გულის

მოგება უნდოდა. კეისარი ერისმთავრებისაგან მხოლოდ ერთგულებასა და სამხედრო სამსახურს მოითხოვდა, მათს შინაურ საქმეებში კი არ ერეოდა. ერისმთავრებსაც კეისარი იმავე ბიზანტიურ ტიტულებს აძლევდა, როგორიც იყო „პატრიკიოზი", „კუროპალატი" და სხვა, მაგრამ ერისმთავრისათვის ასეთი მდგომარეობა უკვე გაძლიერებას მოასწავებდა.

**კულტურული ვითარება.** ცვლილება მოხდა საეკლესიო-სარწმუნოებრივ სფეროშიაც. უკვე VII საუკუნის პირველ წლებში, როგორც ვიცით, ქართლში დიოფიზიტები ბატონობდნენ. ჰერაკლე კეისარმა თბილისის აღების შემდეგ დიოფიზიტები კიდევ უფრო გააძლიერა და ყველა „მწვალებელსა" და ცეცხლისმსახურს მუსრი გაავლო. ქართლის უდიდესი ქალაქების: თბილისის, მცხეთისა და უჯარმის ეკლესიებში ჰერაკლეს დიდი სისხლი დაუღვრია; ცხადია, ეკლესიებში იმდენად ცეცხლისმსახურნი არ იყვნენ შეფარებულნი, რამდენადაც ქრისტიანები, მხოლოდ სხვა (მონოფიზიტური) აღსარებისა. იმდროინდელი ქართველი ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ ჰერაკლემ „განწმიდა შჯული ქრისტესი და წარვიდა"-ო. ადამიანების მოსპობის გარდა შეუდგნენ მათი კულტურული ნამოღვაწარის, კერძოდ მწერლობის, განადგურებასაც და აქაც ბევრი რამ „განწმიდეს".

VII საუკუნეში გაძლიერდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ერთმანეთთან დაახლოება. მჭიდრო ურთიერთობას ახლა ხელს არ უშლიდა არც პოლიტიკური და არც საეკლესიო-სარწმუნოებრივი ზღუდეები. ამ დროს ქართულმა ენამ და მწერლობამ შემდგომი გავრცელება მოიპოვა დასავლეთ საქართველოში.

## თავი V

# არაბობა საქართველოში

### § 45. არაბების შემოსვლა საქართველოში

ხალიფებმა თავიდანვე დიდი დაპყრობითი ომები გააჩაღეს, უკვე მეორე ხალიფა ო მ ა რ ი ს დროს (634—644 წწ.) არაბებმა დაიმორჩილეს სირია, პალესტინა, ირანის მეტი ნაწილი. ამის შემდეგ მათ გზა გახსნილი ჰქონდათ ამიერკავკასიისკენაც. მართლაც, პირველი არაბული რაზმი სომხეთში უკვე 640 წელს გაჩნდა, მაგრამ ეს უფრო მარბიელი ჯარის თარეში იყო, ვიდრე ქვეყნის დაპყრობა.

**ქართლისა და არაბების შეთანხმება.** ქართლსაც არაბები პირველად 642—3 წელს მოსდგომიან, მაგრამ ქართლელებს ისინი დაუმარ-

ცხებიათ და თავისი საზღვრებიდან გაუდევნიათ. თანდათანობით არაბები მომაგრდნენ. 654 წლის დამდეგს არაბებს უკვე მთელი სომხეთი ჰქონდათ დაპყრობილი. იმავე წელს არაბებმა აიღეს ქალ. თ ე ო დ ო ს ი ო პ ო ლ ი, დღევანდელი ე რ ზ ე რ უ მ ი, ბიზანტიელების მთავარი სიმაგრე ამიერკავკასიაში და ქართლისკენ გამოემართნენ.

ქართლის პატრიკიოზს, ესე იგი, ერისმთავარს, გადაუწყვეტია — არაბებთან ბრძოლა აღარ ღირსო, მათთვის თავისი ელჩი შეუგებებია საჩუქრებით და ზავი და მშვიდობა უთხოვნია. არაბთა სარდალს მოეწონა ქართლის ერისმთავრის საქციელი და მისცა მას ეგრეთწოდებული „დაცვის სიგელი". რომელშიაც არაბ-ქართველთა ურთიერთობა იყო განსაზღვრული.

ამ პირობის მთავარი მუხლები ასეთი იყო: 1) არაბები ქართლის მოსახლეობის სარწმუნოებას ხელს არ ახლებდნენ, ხოლო თუ ვინმე ნებაყოფლობით ისლამს მიიღებდა, ის არაბების ძმად ჩაითვლებოდა, ესე იგი, ხარკს აღარ გადაიხდიდა; 2) ქართველები იხდიდნენ არაბების სასარგებლოდ ჯ ი ზ ი ა თ ს, პირად გადასახადს, კომლზე თითო დ ი ნ ა რ ს ანუ დ რ ა ჰ კ ა ნ ს (ოქროს ფული იყო, წონით ერთ მისხლამდე, რაც დაახლოებით ხუთ მანეთს უდრის ოქროთი); 3) ქართველებს არ უნდა შეეერთებინათ კომლები. გადასახადის შესამცირებლად, არაბებს კიდევ არ უნდა დაეყოთ კომლები გადასახადის გასადიდებლად; 4) ქართველებს ევალებოდათ არაბთა ჯარისა და, საერთოდ, მუსლიმებისათვის დახმარება; 5) სამაგიეროდ, არაბები უშიშროებას ჰპირდებოდნენ ქართლის მოსახლეობას.

**ქართლის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.** მაგრამ იმ ხანად ქართლში არაბებმა სულ ორიოდე წელიწადი თუ გაძლეს. ხალიფატში დიდი შინაური შფოთი იყო (657—661 წწ.) და არაბებს ამიერკავკასიისათვის არ ეცალათ.

შემდეგშიაც ქართლში მდგომარეობა ცვალებადი იყო. თუ არაბები გამოჩნდებოდნენ ხოლმე, მხოლოდ მოკლე ხნით. ხანდახან ბიზანტიაც თავს წამოყოფდა და თავის წილს მოითხოვდა. 686 წელს კეისარსა და ხალიფას ზავი შეუკრავთ, კვიპროსის კუნძულის, სომხეთისა და ქართლის ქვეყნებიდან შემოსული ხარკი შუაში გავიყოთო. მაგრამ ეს ცოცხალი დათვის გატყავებას ჰგავდა. ამიერკავკასიის ხალხები ერთნაირი შეუპოვრობით იბრძოდნენ თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად როგორც არაბების, ისე ბიზანტიელების წინააღმდეგ.

ამავე ხანებში ქართლის ერისმთავარს ნ ე რ ს ე ს სასტიკად დაუმარცხებია სომხეთში მდგარი არაბთა სარდალი, მისი ჯარი გაუფანტავს და გაუქცევია. მეორე მხრით, ჩვენი ხალხები არც ბიზანტიელებს უხრიდნენ ქედს; იმავე 686 წელს კეისარს ლაშქარი გამოუგზავ-

ნია სომხეთ-ქართლ-ალბანიის დასამორჩილებლად, მაგრამ, ჩანს, ბევრს ვერაფერს გამხდარა.

მესამე მტერი. ხაზარების სახით, ჩრდილოეთიდან იყო მომდგარი. შფოთსა, თარეშებსა და ძარცვა-გლეჯაში ხაზარებსაც თავისი წილი ედოთ. 689 წელს ხაზარებს დაურბევიათ სომხეთი და ქართლისა და ალბანიის მთავრები დაუხოცავთ.

**არაბთა გაძლიერება. არაბები გადადიან ეგრისში.** სამი მხრით ხმლის ქნევამ ხალხი, ცხადია, დაასუსტა, რითაც ყველაზე მეტად არაბებმა ისარგებლეს. VII საუკუნის მიწურულში არაბებს ქართლში ფეხი შედარებით უფრო მკვიდრად ედგათ.

იმავე დროს დასავლეთ საქართველოშიაც ძველი ამბავი დატრიალდა: ერთი, უფრო საშიში და თავს წამომდგარი, მტრის წინააღმდეგ მეორე, ნაკლებ საშიში და უფრო შორეული მტრის გამოყენება სცადეს. 697 წელს ეგრისის პატრიკიოზი სერგი ბიზანტიელების წინააღმდეგ აჯანყებულა და თავისი ქვეყანა არაბებისათვის გადაუცია. VIII საუკუნის დამდეგსაც არაბების მეციხოვნე ჯარი მდგარა ეგრისის დედაქალაქ ციხე-გოჯში და მდინარე კოდორის ხეობის ზოგიერთ ციხე-სიმაგრეშიაც. გაგულისებული კეისარი კი ცდილობდა, მოექრთამა ალბანები, რათა ისინი შესეოდნენ აფხაზეთს, ეგრისსა და ქართლს და ბიზანტიის მიმართ ურჩობის გამო ეს ქვეყნები აეოხრებინათ.

ქართველებს არც ბიზანტიელები ეხატნენ გულზე და არც არაბები. საჭიროების-და მიხედვით და ხელსაყრელ პირობებში ხალხი პირველთაც ებრძოდა და მეორეთაც.

## § 46. ბრძოლა არაბების წინააღმდეგ ქართლში

VIII საუკუნის დამდეგიდან გაძლიერდა ბრძოლა არაბების წინააღმდეგ, რადგანაც არაბები სულ უფრო და უფრო ავიწროებდნენ დაპყრობილ ქვეყნებს, ამიტომ იყო, რომ ქართლში აჯანყება აჯანყებას მოსდევდა და არაბები იძულებული იყვნენ, ქართველების ურჩობის გასატეხად სულ ახალ-ახალი ჯარები ეგზავნათ აქეთკენ.

VIII საუკუნის ოციან წლებში არაბებმა რამდენიმეჯერ დალაშქრეს ქართლი, ქვეყანა ააოხრეს და ხალხი ააწიოკეს, მაგრამ გულისწადილს მაინც ვერ ეწივნენ. ქართლი განაგრძობდა დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლას და არაბები აქ ფეხს ვერ იკიდებდნენ. არაბების რისხვას საზღვარი აღარ ჰქონდა და ქართველ ხალხს მათ სასტიკი სასჯელი გადაუწყვიტეს.

მართლაც, იშვიათად დასტყდომია საქართველოს თავზე ისეთი უბედურება, როგორიც 736—8 წლებში აქ არაბთა სარდალმა მ უ რ-

ჯანმა დაატრიალა. მურვანი ისედაც სასტიკი და გულქვა ადამიანი იყო, რის გამოც მას ქართველებმა „ყრუ“ შეარქვეს; ახლა კიდევ მას ქართველების სამაგალითოდ დასჯა სურდა. იმდროინდელი ქართველი ისტორიკოსი ასე აგვიწერს ამ შემოსევას: მურვანმა მთელი კავკასია დაიპყრო, დარუბანდიდან აფხაზეთამდე, მაგრამ ეს არ იკმარა, არამედ უმრავლესობა ქალაქები და ციხეები დაანგრია, მათ შორის ეგრისის სამგალავნიანი დედაქალაქი ციხე-გოჯი, აფშილეთის ქალაქი ცხუმი (სოხუმი) და სხვებიო. განსაკუთრებით მაინც აღმოსავლეთი ამიერკავკასია აოხრებულა — ქართლი, სომხეთი და ალბანია; აქ არც ნაშენები რამე დარჩა და არც კაცისა და პირუტყვის საჭმელიო. ქართლში მურვანმა დაანგრია ძველი დედაქალაქის ერთი უმნიშვნელოვანესი უბანთაგანი — არმაზი.

დასავლეთ საქართველოში არაბები მაინც ვერ გამაგრდნენ, ქართლი კი მურვანის შემოსევამ კარგა ხნით წელში გატეხა. ამდროიდან იწყება არაბების ნამდვილი ბატონობა ქართლში.

## § 47. არაბთა ბატონობა ქართლში

**მმართველობა და ხარკი.** არაბებმა ქვეყნის სათავეში თავისი მოხელე დააყენეს, რომელიც ამირას წოდებულებას ატარებდა. ქართლის ამირა თბილისში იჯდა. ის სარდალიც იყო, ქვეყნის მმართველიცა და უზენაესი მსაჯულიც. არაბთა მთავარი რაზმი თბილისში იდგა, დანარჩენები — სხვა მნიშვნელოვან ციხესიმაგრეებში.

ერისმთავრობა ქართლში არაბებს არ მოუსპიათ, მხოლოდ ერისმთავარი ამირას დაუმორჩილეს. ერისმთავარი ვალდებული იყო, მოეკრიფა საარაბო ხარკი და ჯარი გამოეყვანა, როცა არაბები ამას მოითხოვდნენ.

არაბებს ხარკი და სამხედრო სამსახური აინტერესებდათ მხოლოდ.

VIII საუკუნეში ქართლის მოსახლეობა არაბებს უხდიდა არა მარტო ჯიზიათს, პირად გადასახადს, არამედ ხარაჯასაც. ხარაჯა საადგილმამულო გადასახადი იყო, რომელიც შეეფარდებოდა მხოლოდ სივრცეს მამულისას და არა მის ავკარგიანობას, ნაყოფიერებას. ორივე გადასახადს ფულად ახდევინებდნენ.

**არაბთა ბატონობის დამძიმება.** თანდათან არაბული ხარკი სულ უფრო და უფრო მძიმე ხდებოდა. ეს იმიტომ, რომ ხალიფების სამფლობელო მეტისმეტად გაიზარდა და მის მართვა-გამგეობას დიდი შემოსავალი სჭიროდა. ახლა დაპყრობითს ომებს ეს შემოსავალი უკვე აღარ მოჰქონდა, რადგანაც რისი დაპყრობაც შეეძლოთ, არაბებს უკვე

დაპყრობილი ჰქონდათ. ხალიფების დაცარიელებული ხაზინა მათსავე ქვეშევრდომებს უნდა შეევსოთ.

ხარკისა და გადასახადის გადიდებას ქვეშევრდომების ურჩობა და ბრძოლა მოსდევდა. ამ ურჩობის დასათრგუნავად კიდევ დამატებით ჯარები და ახალი მოხელეები იყო საჭირო, რაც, აგრეთვე, ახალ სახსრებს მოითხოვდა. განსაკუთრებით მძიმე შეიქნა არაბთა ბატონობა დაპყრობილ ქვეყნებში ხალიფების ახალი დინასტიის, ა ბ ა ს ი დ ე ბ ი ს, დროს, რომელმაც ხელისუფლება მიიღო 749 წელს.

ქართლშიაც არაბების მტარვალობა და მყვლეფელობა VIII საუკუნის მეორე ნახევარში იყო განსაკუთრებით საგრძნობი. ამ საუკუნის დამლევის ქართველი მწერალი, ი ო ა ნ ე ს ა ბ ა ნ ი ს ძე, წერს არაბთა წესწყობილების შესახებ ქართლში: „ვართ მორწმუნენი მძლავრებასა ქვეშე დამონებულ და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქვეშე. მათსა გვემულნი და ქენჯნილნი, ძვირძვირად ზღვეულნი"-ო; ესე იგი, ჩვენ, ქართველები, არაბთა მძლავრობის ქვეშ მოქცეულნი, სიღარიბითა და შეუძლეობით ისე ვართ შეკრულნი, როგორც რკინით, რადგანაც საარაბო ხარკისაგან დატანჯული და დარბეული ვართო.

**ბრძოლის განახლება არაბების წინააღმდეგ.** გასაგებია ამიტომ, რომ სულ უფრო და უფრო იზრდებოდა ხალხის გულისწყრომა და სიძულვილი უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ბრძოლა ხანგრძლივი და მსხვერპლით სავსე იყო, თუმცა ქართველებს ზოგი გარემოება ხელს უწყობდა.

ჯერ ერთი, არაბების ძალაუფლება უფრო ცენტრალურ თემებზე ვრცელდებოდა და მთიან რაიონებს ეგრე რიგად ვერა სწვდებოდა. ამით სარგებლობდა ხალხი, ხეობებსა და მთიანეთს თავს აფარებდა და იქიდან თავს ესხმოდა მტერსა.

სიცოცხლეს უმწარებდნენ არაბებს ხაზარებიც. ხაზარები ხშირად კავკასიონის სამხრეთითაც შემოჭრას ახერხებდნენ და აოხრებდნენ არაბთა სამფლობელოს. 764 წელს ხაზარებს მოკლე ხნით თბილისიც დაუპერიათ. ძველი ქართველი ისტორიკოსი გვიამბობს: ქართლის ერისმთავარს ჯ უ ა ნ შ ე რ ს ჰყავდა და, შ უ შ ა ნ ი, სილამაზით განთქმული. ხაზართა ხაკანმა სთხოვა ჯუანშერს — შენი და ცოლად მომეც და არაბების წინააღმდეგ გიშველიო. შუშანი და მისი დედა ცივ უარზე იდგნენ — წარმართის ცოლობა როგორ იქნებაო. გაგულისებულმა ხაკანმა დაალაშქვრინა ქართლი და შუშანი და ჯუანშერი ტყვედ წააყვანინა, მაგრამ გულის წადილს მაინც ვერ ეწია: შუშანს ბეჭდის თვლის ქვეშ საწამლავი ჰქონდა, მოწოვა ის და თავი მოიკლაო. დიდი მეფის არასასურველ ცოლობას ქართველმა ქალმა სიკვდილი არჩია.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე პროვინციელი არაბი ამირების ურჩობას ხალიფების მიმართ, რაც IX საუკუნის დამდეგიდან იწყება. ბრძოლა ხალიფასა და ამირებს შორის ძალიან ხელს უწყობდა არაბების შინაგან დასუსტებას, რითაც დაპყრობილი ხალხები კარგად სარგებლობდნენ.

დიდი აჯანყების ცეცხლი არაბების წინააღმდეგ უფრო ადრე სომხეთში დაინთო, იმიტომ რომ სომხეთში ხალხი კიდევ უფრო გაწამებული იყო. ქართველები ეხმარებოდნენ სომხებს. დამარცხებული სომეხი მთავრები ქართლსა და ეგრისში პოულობდნენ თავშესაფარს. ეს გარემოებაც აღიზიანებდა არაბებს, რომელნიც ლტოლვილების გაცემას მოითხოვდნენ და მათს მასპინძლებს სასტიკად სჯიდნენ ხოლმე.

იქნებ ასეთი მიზეზით დაისაჯა ქართლის ერისმთავარი ნ ე რ ს ე, რომელიც 772—3 წელს ხალიფას თავის სატახტო ქალაქში, ბ ა ღ დ ა დ შ ი, დაუბარებია და „ბოროტ კაცთა შესმენით“ საპყრობილეში ჩაუსვამს. ნერსე სამი წელიწადი მჯდარა ბაღდადის საპატიმროში. შემდეგ ნერსე ისევ ერისმთავრად დაბრუნებულა ქართლში, მაგრამ, ჩანს, არაბებთან შეგუება მისთვის ძნელი იყო. ნერსე იძულებული გამხდარა, თავისი ოჯახი და ქონება აფხაზეთში გაეგზავნა, თვითონკი დიდი ამალით გადავიდა ჯერ ხაზარეთში და შემდეგ აგრეთვე აფხაზეთში. ეს ამბავი VIII საუკუნის ოთხმოციანი წლების დამდეგს მოხდა.

ამ დროიდან მოყოლებული ქართლი, სომხეთი და ალბანია უკვე გამუდმებით აჯანყების ალსა და კვამლში იყო გახვეული. ამბოხებული იყო მთელი ხალხი. მეტი წილი მთავრები, სეფეწულები და დიდი აზნაურებიც, რომელთაც ერთი ხანობა, დასაწყისში, არაბებთან თითქოს საერთო ენა ჰქონდათ გამონახული, ახლა ცდილობდნენ ხალხს არ ჩამორჩენოდნენ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ხალიფები ჯარს ჯარზე გზავნიდნენ ერთიმეორეზე უფრო სასტიკი ამირების მეთაურობით და შეუბრალებლად უსწორდებოდნენ აჯანყებულებს, მაგრამ მოძრაობა სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

ამ დიდ სახალხო მოძრაობას ქართლში თავისი მქადაგებლები და იდეოლოგები ჰყავდა. მათ შორის პირველი იყო იოანე საბანისძე. საბანისძემ აღწერა ერთი ჭაბუკი არაბის, ა ბ ო ს, ცხოვრება. აბო ქართლის ერისმთავრის ნერსეს მსახური იყო. მან ისლამს თავი დაანება და ქრისტიანობა მიიღო. ქართლის ამირამ აბო სიკვდილით დასაჯა (786 წ.), რადგანაც აბომ უარი თქვა, ისევ ისლამს დაბრუნებოდა, რასაც მისგან არაბები მოითხოვდნენ.

**საბანისძის ქადაგება.** საბანისძემ გამოიყენა აბოს წამების ამბავი, რათა თავის თანამემამულეებში ეროვნული სიამაყის შეგნება გაეღვივებინა: აი, როგორია ჩვენი რჯული, ჩვენი წესი და ქვეყანა, რომ

გაბატონებული ხალხის შვილი ჩვეჰკენ გადმოდის და თავსაც კი სდებს ახალი სამშობლოსათვისო.

საბანისძე მიზნად ისახავდა, გაემხნევებინა მერყევნი და სუსტნი, რომელნიც „შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა", არაბების ძალმომრეობის გამო. საბანისძეს სურდა, კვლავ მშობლიურ კერას დაბრუნებოდნენ ისინი, ვინც არაბებმა უკვე „შეაცთუნეს და გარდადრიკნეს გზისაგან სიმართლისა" დაშინებით, ვერაგობით, მოსყიდვით, „რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკვარებით"-ო. ლამის ჩვენი საკუთარი სახე დავეკარგოს და უცხო ხალხში გავითქვიფოთო, მრისხანე გულისწუხილით მოსთქვამდა საბანისძე: „აღვერიენით ერსა უცხოსა"-ო.

იოანე საბანისძისა და მისი მსგავსი მქადაგებლების მოწოდება ამტკიცებდა სახალხო თვითშეგნებას, აკაჟებდა მებრძოლთა სულისკვეთებას ეროვნული განთავისუფლებისათვის.

**ერისმთავრობის მოსპობა ქართლში.** განსაკუთრებით გამწვავდა ბრძოლა დამპყრობლებსა და დაპყრობილებს შორის VIII საუკუნის მიწურულსა და IX საუკუნის დამდეგს. ყველაზე დაუნდობელი იყო ეს ბრძოლა ქართლის შუაგულ თემებში და, საერთოდ, ბარის ცენტრალურ რაიონებში. IX საუკუნის დამდეგს არაბებმა მოსპეს ქართლის ერისმთავრობა და ძველი ქართველი არისტოკრატია, სეფეწულები და დიდ-დიდი აზნაურები თითქმის მთლიანად გაჟლიტეს. ამ რაიონებში, განსაკუთრებით მტკვრის გაყოლება, საერთოდ მოსახლეობა ძალიან დაზარალდა. მაგრამ ბრძოლა მაინც გრძელდებოდა განაპირა თემებში, სადაც ქართველები — როგორც ადგილობრივი მკვიდრნი, ისე სხვა კუთხეებიდან შემოხიზნულნი — ჩვეულებრივად მწარედ ამარცხებდნენ უცხოელ მოძალადეებს.

## თავი VI

# ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის

### § 48. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოშობა საქართველოში

კახეთი. თუმცა არაბებმა საბოლოოდ მოსპეს ქართლის ერისმთავრობა, რომელმაც ორი საუკუნე იარსება. მაგრამ ხალხმა მაინც მოახერხა თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნება ქართლის განაპირა თემებში. მათ შორის ყველაზე ადრე გაძლიერდა კახეთი, რომელიც არაგვიდან იწყებოდა.

აქ ივრისა და ალაზნის ნოყიერ ხეობებში, განსაკუთრებით ამ ხეობების ზემოთა ნაწილში, ხალხი თავს უფრო გულმშვიდად გრძნობდა, თავისუფლად ცხოვრობდა და შრომობდა. VIII საუკუნის მეორე ნახევარში კახეთში ხალხი ძალიან მომრავლებული და შეძლებულიც იყო. მისდევდნენ კახელები მიწათმოქმედებას, კერძოდ — მევენახეობას, და მესაქონლეობას ფართოდ. კახელები საუცხოო ცხენსა და ცხვარს აშენებდნენ და მრავალრიცხოვანი ჯოგ-ფარების პატრონები იყვნენ. ხარბ დამპყრობლებს კახელების სიმდიდრე ძალიან იზიდავდა ხოლმე, მაგრამ საკმარისი იყო კახეთის ხეობებში არაბები გამოჩენილიყვნენ, რომ უშიშარი და ამაყი მთიელები მათ თავს ესხმოდნენ და მუსრს ავლებდნენ.

VIII საუკუნის შუა წლებიდან კახეთი აინუნშიაც არ აგდებდა არაბებს. არაბული ცნობით, კახელები ამ დროს ყველაზე საშიში მტერი იყვნენ არაბებისათვის ამიერკავკასიაში. მართლაც, სისხლისმღვრელ ბრძოლებში, არაბებსა და კახელებს შორის რომ ხშირად ხდებოდა, გამარჯვება ჩვეულებრივად კახელებს რჩებოდათ. VIII საუკუნის მეორე ნახევარშივე კახელებმა უკვე თავისი მ თ ა ვ ა რ ი ც გაიჩინეს და საკუთარი მართვა-გამგეობა მოაწყვეს.

**აფხაზეთი.** მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ამ დროისათვის დასავლეთ საქართველოშიაც. როგორც ვიცით, VI საუკუნის დამდეგიდან აბაზგების სამთავრო ეგრისის სამეფოსთან გამოყოფილი იყო და ბიზანტიის კეისარს ემორჩილებოდა უშუალოდ. ეს მთავრები შემდეგში კეისრებმა თავის ერისთავებად აქციეს აფხაზეთში. VIII საუკუნეში აფხაზეთი უკვე მჭიდროდ დასახლებული, ღონიერი და მშვიდობიანობით მოსარგებლე ქვეყანა იყო.

VIII საუკუნის დამლევს ბიზანტიაში დიდი შინაური შფოთი და არევ-დარევა ატყდა. ამით ისარგებლა აფხაზთა ერისთავმა ლეონ მეორემ, მოირთო ძალა ხაზართა მეფისაგან, რომლის ასულის შვილიც იგი იყო, და თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა. ამ დროს ძველი ეგრისის სამეფო დაუძლურებული იყო. აფხაზთა ერისთავმაც ადვილად დაიპყრო ეგრისი და არგვეთი.

ლეონმა და მისმა მემკვიდრეებმა თავის სატახტო ქალაქად ქ უ თ ა თ ი ს ი, დღევანდელი ქუთაისი, აირჩიეს: ახალი სამთავროს ვრცელ ტერიტორიას ცენტრად ქუთაისი უფრო შეეფერებოდა, ვიდრე ძველი ციხე-გოჯი. გარდა ამისა, ქუთაისი მნიშვნელოვან გზებზე მდებარეობდა. ამის შემდეგ აფხაზთა ერისთავმა „მეფის“ წოდებულებაც მიიღო.

დინასტიის მიხედვით დასავლეთ საქართველოს ამ ახალ სამთავროსაც „აფხაზთა სამეფო“ ეწოდა. თვით მოსახლეობის შემადგენლო-

ბაში დიდი ცვლილებები არ მომხდარა. IX—X საუკუნეებშიაც დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ისევ საკუთრივ ქართველი ტომები — ქართები, მეგრელები და სვანები შეადგენდნენ.

**ტაო-კლარჯეთი.** ყველაზე გვიან ახალი ქართული ფეოდალური სამთავრო სამხრეთ საქართველოში ჩამოყალიბდა. მისი დამაარსებელი აშოტ ბაგრატიონი იყო.

ბაგრატიონების განთქმული საგვარეულო წარმოშობით სპერის (ეხლანდელი ისპირის; ამჟამად თურქეთშია, ქალ. ბაიბურდის მისადგომებში) პროვინციიდან იყო, ამ ძველისძველი ქართული თემიდან. თავისი წინდახედული, მოქნილი მოქმედებით ბაგრატიონებმა დიდი გავლენა მოიპოვეს VI—VIII საუკუნეებში. ერთი მათი შტო სომხეთში დაწინაურდა, მეორე — ქართლში. ორივეგან ბაგრატიონებმა მთავრობასა და მეფობას მიაღწიეს. ხოლო საქართველოში სამეფო ხელისუფლება შეინარჩუნეს XIX საუკუნის დამდეგამდე.

ქართლის ბაგრატიონთა წარმომადგენელი, აშოტი, არაბთა სამსახურში ყოფილა თბილისში IX საუკუნის დამდეგს. მაგრამ აშოტი ვერ შესწყობია არაბებს და თავისი ოჯახითა და ამალით ჭოროხის ხეობაში, შავშეთისა და კლარჯეთის თემებში, გადასულა. რადგანაც ეს ხეობა მაშინ ბიზანტიის საზღვრებში ითვლებოდა, ამიტომ აშოტმა თავისი თავი კეისრის ვასალად აღიარა, კურაპალატის ტიტული მიიღო და სამთავროს ორგანიზაციას შეუდგა.

თავის მთავარ საჯდომად აშოტმა ძველი ციხექალაქი არტანუჯი აირჩია, რომელიც თვითონვე განაახლა. აშოტის მიერ დაარსებულ სამთავროს ჩვეულებრივად ტაო-კლარჯეთის სამთავროს ეძახიან, იმიტომ რომ მის ძირითად ოლქებს ტაო და კლარჯეთი შეადგენდნენ.

აშოტ კურაპალატი მოკლეს 826 წელს.

## § 49. თბილისის ამირას განდგომა ხალიფასაგან და თბილისის საამიროს დაკნინება

IX საუკუნის დამდეგიდან თბილისის ამირებმა, ისევე როგორც სახალიფოს სხვა ადგილობრივმა მმართველებმა განაპირა ქვეყნებში, ხალიფების ურჩობა და განზე წევა დაიწყეს. ეს ამირები ყურს აღარ ათხოვებდნენ ცენტრალური მთავრობის განკარგულებას და ქვეყნიდან მოკრეფილ ხარკს ცენტრში კი არ გზავნიდნენ, არამედ თვითონ ითვისებდნენ.

ასეთივე მიდრეკილება გაუჩნდათ თბილისის ამირებსაც. უკვე IX საუკუნის ოციან წლებში გადასდგომია ხალიფას თბილისის ამირა.

მაგრამ განსაკუთრებით ძლიერი აღმოჩნდა მომდევნო ამირა, ს ა ჰ ა კ ი, რომელსაც კახელები უმაგრებდნენ ზურგს. საჰაკის ურჩობა თითქმის თხუთმეტი წელი გაგრძელდა. გაგულისებულმა ხალიფამ საქართველოში 853 წელს დიდი ჯარი გამოგზავნა ბ უ ღ ა თ უ რ ქ ი ს მეთაურობით. ბუღამ ზოგი ადგილობრივი მთავრის დახმარებით დაამარცხა საჰაკი და მისი მოკავშირეები. აგვისტოს თვეში აიღო თბილისი, დაწვა იგი და მცხოვრებნი გაჟლიტა. სიკვდილით დასჯილ იქნა საჰაკიც. არაბული ცნობებით, ამ ამბების დროს თბილისში 50 000 კაცი დაიღუპა. აქედან ჩანს, თუ რამდენად დიდი ქალაქი ყოფილა მაშინ თბილისი.

ამის მიუხედავად, თბილისის ამირები IX საუკუნის დამლევიდან უკვე ფაქტიურად აღარ ემორჩილებიან ხალიფას. მორჩილება გარეგნულად მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ ერთი ხანობა კიდევ თბილისის ამირები ფულს ხალიფას სახელით სჭრიან.

უკანასკნელად ამიერკავკასიის დამორჩილება ხალიფამ X საუკუნის დამდეგს სცადა. 914 წელს აქ მოვიდა დიდი ჯარით ხალიფას სარდალი ა ბ უ ლ-კ ა ს ი მ ი. მან აიღო კახეთის ციხეები უ ჯ ა რ მ ა და ბ ო ჩ ო რ მ ა და მოაოხრა ს ა მ ც ხ ე და ჯ ა ვ ა ხ ე თ ი. მიზანი ამ შემოსევისა იგივე იყო: ურჩების დამორჩილება, ძველი და ახალი ხარკის მოკრეფა. მაგრამ ვერც ამ ლაშქრობამ უშველა ხალიფებს და მათი გავლენა ამიერკავკასიაში X საუკუნის შუა წლებიდან სრულიად მოისპო. დარჩნენ მხოლოდ ადგილობრივი ამირები, როგორც, მაგალითად, თბილისის ამირა, რომელნიც ახლა სხვა, ადგილობრივ დიდ ფეოდალებში აღარ გამოირჩეოდნენ.

თბილისის საამირო ამ დროს მეტად შემცირებული იყო. საამიროს საზღვრები ვიწროვდებოდა ქართული სამთავროების — კახეთის, ტაო-კლარჯეთისა და აფხაზეთის — შემოტევის წყალობით.

## § 50. საზოგადოებრივი კლასები და მათი ბრძოლა VII—IX საუკუნეებში

**საზოგადოებრივი წყობილება.** VII, VIII და IX საუკუნეების სიგრძეზე საქართველოში ფეოდალური წყობილება კიდევ უფრო გაძლიერდა.

ამ დროისათვის აზნაურები, რომელნიც ახლა სავსებით გაბატონებულ წოდებას შეადგენდნენ, სხვადასხვანაირი იყვნენ. ვისაც აზნაურობა შთამომავლობით, მამა-პაპით ჰქონდა მიღებული, იმას „ნ ა თ ე ს ა ვ ი თ ა ზ ნ ა უ რ ს“ ეძახდნენ. მაგრამ აზნაურობა შეიძლებოდა ზოგჯერ მეფის სამსახურითაც მოეპოვებინათ. ასეთი მ ს ა ხ უ-

რეული აზნაურები იწოდებოდნენ „მეფის აზნაურებად“. ყველაზე მდიდარსა და ძლიერ აზნაურებს დიდებული აზნაურები ერქვათ.

აზნაურებზე დაბლა მსახურნი იდგნენ. ეს ისეთი თავისუფალი ადამიანები იყვნენ, რომელნიც მეფეების ან დიდი აზნაურების სამსახურში იმყოფებოდნენ. მეფის მსახურებს ტაძრეულებსაც ეძახდნენ.

ზოგი აზნაური სხვა, უფრო ძლიერ, აზნაურზე იყო დამოკიდებული და „წინაშემდგომელად“ ან „საკუთარად“ იწოდებოდა.

მოსახლეობის უმრავლესობას სოფლის მიწის მუშები შეადგენდნენ, რომელთაც ჩვეულებრივად მდაბიურებს ეძახდნენ. ისინი ამა თუ იმ მთავარსა და დიდ აზნაურს ემორჩილებოდნენ. ასეთი მთავარი და დიდი აზნაური მდაბიურების „უფალი“ იყო. ამ უფალს ეკუთვნოდა დაბა, ესე იგი, სოფელი, მთელი თავისი მიწა-წყლით. მდაბიურებზე უფრო დაბლა გლეხები იდგნენ, რომელნიც უფალთა სრულ საკუთრებას შეადგენდნენ.

X საუკუნის დამდეგს საქართველოს მოწინავე თემებში მიწების უდიდესი ნაწილი უკვე მთავრებსა და აზნაურებს ჰქონდათ დაჩემებული, მაგრამ ხალხის მიწა-წყლის მითვისება და ფეოდალური მამულებად გადაქცევა უბრძოლველად არ მომხდარა.

**ბრძოლა მიწისათვის.** როცა VI საუკუნეში საქართველოში ფეოდალური სახელმწიფო ჩამოყალიბდა, ესე იგი, როცა მთავრებმა და აზნაურებმა მთელი მართვა-გამგეობა ხელში ჩაიგდეს, მათ ეს ძალა ხალხისათვის ადგილ-მამულის წასართმევად გამოიყენეს. თუმცა ხალხი გააფთრებით იცავდა თავის უფლებებს და მამაპაპეულ მიწა-წყალს უსისხლოდ არავის უთმობდა, მაგრამ უპირატესობა აზნაურების მხარეზე იყო, ისინი უკეთ იყვნენ შეიარაღებულნი და დარაზმულნი. ამიტომ ხალხმა თანდათანობით დაკარგა თავისი სათემო თუ კერძო სამფლობელო ადგილ-მამული. აზნაურებმა ხალხს ჯერ სახნავ-სათესი მიწები წაართვეს, რომლებსაც ყველაზე მეტი შემოსავალი მოჰქონდა, შემდეგ — სათიბ-საძოვრები და ბოლოს ტყის მიჩემებაც მოინდომეს.

ფეოდალურ ხანაში სიმდიდრის მთავარი წყარო სწორედ მიწა იყო, ვისაც ყველაზე დიდი მამული ჰქონდა, ყველაზე მდიდარი და ძლიერიც ის იყო. ამიტომ მიწის გულისათვის თვითონ აზნაურებიც ებრძოდნენ ერთმანეთს.

ბრძოლა წარმოებდა მთავრებსა და ეკლესიას შორისაც მამულების გულისათვის. ამ დროისათვის ქრისტიანულმა ეკლესიამაც დიდძალი ადგილმამული შეაგროვა. VII საუკუნის დამდეგს ქართლის

ერისმთავრებმა სცადეს წაერთმიათ ეკლესია-მონასტრებისათვის მათი მამულების ნაწილი, რასაც მწვავე ბრძოლა მოჰყვა.

დასასრულ, მას შემდეგ, რაც VIII საუკუნის დამლევსა და IX საუკუნის დამდეგს საქართველოში ახალი ფეოდალური სამთავროები აღმოცენდა, ბრძოლა დაუწყეს ერთმანეთს ქართველმა მთავრებმაც. თითოეული მთავარი ცდილობდა საკუთარი ტერიტორიის, სამფლობელოს გაფართოებას მეზობელი მთავრის ხარჯზე. ეს ბრძოლა გაგრძელდა მთელი IX საუკუნე და X საუკუნის მეტი ხანი და საქართველოს გაერთიანებით დამთავრდა. საქართველოს გაერთიანება უკვე მთელი ქვეყნის განვითარების საჭიროებას უპასუხებდა და არა მარტო ცალკე მთავრების ინტერესებს.

## § 51. სამთავროების გაერთიანების ეკონომიკური პირობები

IX—X საუკუნეებში ჩვენი ქვეყანა გაიზარდა და გაძლიერდა ეკონომიურად. მართალია, არაბთა შემოსევებმა VIII საუკუნის პირველ ნახევარში, განსაკუთრებით მურვან ყრუს ლაშქრობამ, შეამცირა მოსახლეობა და გაანადგურა მისი მეურნეობა ბარის ზოგიერთ რაიონში, მაგრამ ორასი წლის განმავლობაში ხალხმა აქაც შეძლო ხელახალი დამკვიდრება და მეურნეობის გაჩენა.

არაბებისაგან დაცული განაპირა რაიონები-კი წინ მიდიოდა უფრო სწრაფი ნაბიჯით. სიცოცხლისა და თავისუფლების სიყვარული, შრომისმოყვარეობა და ძველისძველი კულტურული გამოცდილება იყო იმის მიზეზი, რომ ხალხი ამ განაპირა თემებში ახერხებდა თავისი მეურნეობის ფართოდ გაშლას, სამოქალაქო ცხოვრების გაჩაღებასა და მარჯვედ თავის დაცვასაც ხანდახან კარზე მომდგარი მტრისაგან.

ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ IX—X საუკუნეებში, განსაკუთრებით IX საუკუნის მეორე ნახევრიდან, დიდი ომები, როგორიც იყო, მაგალითად, ბუღა თურქის შემოსევა, იშვიათი გახდა. ჩვეულებრივად იმდროინდელი ომები პატარა ცხენოსანი რაზმების ერთი შეტაკებით თავდებოდა ხოლმე. ამგვარი შეტაკება იშვიათად თუ გაგრძელდებოდა ერთ დღეზე დიდხანს. უეცრად შემოსული მტერი ასევე ქრებოდა, რადგანაც ყოველთვის მამაცი ხალხის შეუდრეკელ წინააღმდეგობას აწყდებოდა. ამიტომ იყო რომ IX საუკუნის მეორე ნახევარში და X საუკუნეში ეს ომები ეგრერიგად ვეღარ აბრკოლებდნენ მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასა და მშენებლობას.

ამრიგად. კახეთი. ტაო-კლარჯეთი, აფხაზეთი გაიზარდნენ და გაშენდნენ IX საუკუნისათვის. როცა IX საუკუნის დამდეგს არაბებმა

ზავი დადეს კახელებთან, კახელებმა არაბების მოთხოვნით იკისრეს მიეცათ მათთვის სამი ათასი ფაშატი ცხენი და ოცი ათასი ცხვარი. ეს მოწმობს, თუ როგორი დიდი რაოდენობით აშენებდნენ კახელები იმ დროს საქონელს. შემდეგშიაც კახეთი განთქმული იყო თავისი ცხენითა და თავისი ცხვრით. კახური ჯიშის ჩამომავალია ახლანდელი საყოველთაოდ ცნობილი თუშური ცხვარი. კახეთის იმდროინდელი სიმდიდრის უტყუარი ნაშთია ხუროთმოძღვრების ძვირფასი ძეგლები, რომლებითაც მოფენილია კახეთის მიწა-წყალი.

IX—X საუკუნეებში აფხაზეთი ყველაზე მყუდროდ დაცული სამთავრო იყო. ხალხის გამრავლებასა და მის ცხოვრებას გარეშე მტერი ხელს არ უშლიდა. იმდროინდელი მატერიალური კულტურის ნაშთია მარტვილის შესანიშნავი ტაძარი ჭყონდიდში, განახლებულ-გადაკეთებული აფხაზთა მეფის გიორგის მიერ X საუკუნის პირველ ნახევარში, მოქვის დიდებული ტაძარი, აშენებული აფხაზთა მეფის ლეონის მიერ ამავე საუკუნის შუა წლებში, და სხვა ძეგლები.

აფხაზეთს წაალილებდა თავისი სიმდიდრით ტაო-კლარჯეთი. ერთი აქაურ ქართველ ტომთაგანი, მესხების სახელით ცნობილი, როგორც ვიცით, უძველეს დროშიაც განთქმული იყო თავისი მიწათმოქმედებით. პური, მაგალითად. მესხებს და ტაო-კლარჯეთის სხვა ქართველ ტომებს (კლარჯებს, შავშებს...) იმდენი მოჰყავდათ, რომ საზღვარგარეთაც გაჰქონდათ. მისდევდნენ ისინი მევენახეობა-მეღვინეობასაც და ბლომად აშენებდნენ აგრეთვე შინაურ საქონელს.

იმდროინდელი ტაო-კლარჯეთის ქონებრივი შეძლებისა და კულტურული განვითარების ცოცხალი მოწმეა ისეთი შესანიშნავი ძეგლები არქიტექტურისა, როგორიცაა ოშკის, იშხანის, ბანას, ხახულის ტაძრები. რა სახსარი სჭიროდა ასეთი ტაძრების აშენებას, ეს კარგად ჩანს ოშკის ტაძრის წარწერიდან. ამ წარწერაში ნათქვამია, რომ კალატოზების, მუშებისა და მუშა-საქონლის ქირა ყოველწლიურად შეადგენდა ოცი ათას დრამას. დრამა ვერცხლის ფული იყო და უდრის დაახლოებით 20—25 კაპიკს ოქროთი. 20 000 დრამა 4 000 მანეთზე მეტია ოქროთი. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ იმ დროს ფული ბევრად უფრო ძვირი იყო, ვიდრე ახალ ხანაში. გარდა ამ ფულისა, ღვინო დაუხარჯავთ ყოველწლიურად ხუთი ათასი საწყაო, ხორბალი 250 გრივი (დაახლოებით 10 000 კილოგრამი) და რკინა 50 ლიტრი (დაახლოებით 20 კილოგრამი). შემდეგ წარწერა გვაუწყებს, რომ ტაძრის მშენებლობაზე მუდმივად მუშაობდაო 70 კალატოზი, ხურო და მჭედელი, ქვისმზიდავი ხარი 30, ჯორი და სხვა საკიდარი საქონელი 30 და სხვა.

მოსახლეობის გამრავლება და მისი მეურნეობის გაფართოება იწვევდა სხვადასხვა კუთხეების დაახლოების საჭიროებას. ერთი კუთხე ერთი საქონლით იყო მდიდარი, მეორე — სხვა რამით. ზოგან საუკეთესო ჭურჭელს აკეთებდნენ, მეორე ადგილას კარგ შალის ქსოვილებს ქსოვდნენ. მესამეგან — მადანს თხრიდნენ და იარაღს ჭედნენ, სხვები კიდევ საშენ მასალას ამზადებდნენ, წისქვილის ქვებს თლიდნენ და მრავალ სხვა ხელობას მისდევდნენ. განვითარდა ხელოსნური წარმოება. მთიელები ბარში ჩადიოდნენ პურისა და ღვინისათვის და თან მათ თავისი მეურნეობის ნაყოფი ჩაჰქონდათ. მესაქონლეობაც ხელს უწყობდა მოძრაობას: ჯოგებს საზაფხულო საძოვრები ერთ ადგილას ჰქონდათ, საზამთრო კი მეორეგან. „ნინოს ცხოვრებაში", რომელიც ამ დროს არის დაწერილი, აღწერილია, თუ როგორ აძოვებენ ჯავახეთში თავის ჯოგებს არაგველი მწყემსები, ყოველივე ეს იწვევდა საქართველოს სხვადასხვა თემების ურთიერთობას, შინაგან გაცვლა-გამოცვლასა და აღებ-მიცემას.

ფართოდ იყო იმ დროს განვითარებული საგარეო ვაჭრობაც. ქართულ სამთავროებს მაშინ სავაჭრო კავშირი ჰქონდათ მრავალ უცხო ქვეყანასთან. ბიზანტიური ცნობით, X საუკუნის პირველ ნახევარში კლარჯეთის დედაქალაქი ა რ ტ ა ნ უ ჯ ი ძალიან ძლიერი სიმაგრე და დიდი ქალაქი იყო. აქ მოაქვთ საქონელი ტრაპიზონიდან, იბერიიდან, აბაზგიიდან, მთელი სომხეთიდან და სირიიდანო. არტანუჯი მეტად ფართო ვაჭრობას აწარმოებს ამ საქონლით; თვითონ კლარჯეთიც დიდი და უხვი ქვეყანაა და გასაღებია იბერიისა, აბაზგიისა და მესხეთისათვისო.

თუ როგორ შორსმდებარე ქვეყნებთან ჰქონდათ ქართველებს კავშირი იმ დროს, გვიჩვენებს ის ფაქტი, რომ ქართული ფული, ტაოკლარჯეთში მოჭრილი X საუკუნეში, ნაპოვნია რუსეთის ჩრდილოეთ რაიონებში და ბალტიის ზღვის ნაპირებზე.

ასეთი გაცხოველებული საშინაო და საგარეო ურთიერთობისათვის დიდი დაბრკოლება იყო მრავალი სამთავროს არსებობა საქართველოში. ყოველ სამთავროს საკუთარი საზღვრები ჰქონდა, ყოველ მთავარს — თავისი საკუთარი საბაჟო. ამიტომ ვაჭრებს ბაჟი რამდენიმე ადგილას უნდა გადაეხადათ, ისევე როგორც ხელოსნებსა და სოფლის მეურნეებს, რომლებსაც საქონელი, სხვისი თუ საკუთარი ნაწარმოები, ერთი კუთხიდან მეორეში გადაჰქონდათ. მეჯოგეებიც კი, რომელნიც საქართველოს ერთი თემიდან მეორეში გადადიოდნენ საზაფხულო თუ საზამთრო საძოვრების გულისათვის, ასეთსავე მდგომარეობაში იყვნენ.

ამიტომ იყო, რომ მრავალი სამთავროს არსებობა ხელს უშლიდა ჩვენი ქვეყნის განვითარებას და უკმაყოფილებას იწვევდა მოსახლეობაში. აუცილებელი იყო ერთიანი სახელმწიფოს შექმნა, რომელიც უფრო კარგად დაიცავდა ქვეყანას გარეშე მტრისაგან, მოსპობდა დაქსაქსულობას და შინაგანს მტკიცე წესრიგს დაამყარებდა.

## § 52. სამთავროების ბრძოლა პირველობისათვის

სამთავროების ბრძოლა უკვე IX საუკუნის დამდეგიდანვე დაიწყო. ამ ბრძოლაში საკუთრივ ქართველ მთავრებს გარდა მონაწილეობდა თბილისის ამირაც და ხშირად ერეოდნენ შიგ აგრეთვე სომეხი მთავრებიც. ჩვეულებრივად, მთავრები ჯგუფ-ჯგუფად ირაზმებოდნენ ხოლმე, მაგრამ გუშინდელი მოკავშირე შესაძლებელია ხვალ მტრად გადაქცეულიყო და პირუკუ.

დაიწყო ბრძოლა კახეთის მთავარმა, რომელმაც IX საუკუნის დამდეგს ქართლის ერთი ნაწილი დაიპყრო. მაგრამ კლარჯეთის მფლობელმა აშოტ კურაპალატმა სძლია კახელებს და ქართლიც თვითონ დაიჩემა.

აშოტის სიკვდილის შემდეგ მისი მცირეწლოვანი შვილები არაბებმა დაჩაგრეს, ქართლიც წაართვეს მათ და კლარჯეთიც დახარკეს. მდგომარეობა გამოასწორა აშოტის მემკვიდრემ, ბაგრატ კურაპალატმა (826—876 წწ.), რომელიც ეხმარებოდა ხალიფას სარდლებს გამდგარი თბილისის ამირას წინააღმდეგ. ამ დახმარებისათვის არაბებმა ბაგრატს კვლავ მისცეს ქართლი. მარჯვედ იქცეოდა ბაგრატ კურაპალატის უმცროსი ძმა გვარამიც, რომელიც მამფალის ტიტულს ატარებდა და რომელსაც დაუპყრია ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი და არტაანი.

აშოტ კურაპალატის სიკვდილის შემდეგ აშოტის სამფლობელო ერთმანეთში გაიყვეს მისმა შვილებმა. მართალია, კლარჯეთის ბაგრატიონთა საგვარეულოს ერთი წარმომადგენელი გვარის უფროსად ითვლებოდა და ჩვეულებრივად კურაპალატის წოდებულებას ატარებდა, მაგრამ საგვარეულოს სხვა შტოებიც სამთავრო უფლებებით იყვნენ აღჭურვილნი და სათანადო ტიტულებითაც შემკობილნი, —ზოგი მამფლად იწოდებოდა და ზოგი ერისთავთ-ერისთავად, ზოგი მაგისტროსად.

IX საუკუნის დამლევს აშოტის შთამომავლობაშიაც შინაური ბრძოლა გაიშალა ადგილ-მამულისა და ძალაუფლებისათვის. თავდაპირველად ბრძოლა ატყდა თრიალეთის გამო. IX საუკუნის მეორე

ნახევარში თრიალეთში ჩამოსახლდა ერთი დიდი აზნაური, ლ ი პ ა-რ ი ტ ი, ბ ა ღ ვ ა შ თ ა საგვარეულოს წარმომადგენელი, რომელსაც მამული ჰქონდა არგვეთში, კაცხში. ლიპარიტმა თრიალეთის ქედის უღელტეხილზე, სადაც ქართლიდან ჯავახეთისაკენ მნიშვნელოვანი გზა გადადიოდა კლდეში გაჭრილ კარებში, ეგრეთწოდებულ კ ლ დ ე კ ა რ შ ი, ააშენა მაგარი ციხე და დააარსა შემდეგში კარგად ცნობილი კ ლ დ ე კ ა რ ი ს ს ა ე რ ი ს თ ა ვ ო. ლიპარიტმა თავის პატრონად გამოაცხადა ბაგრატ კურაპალატის შვილი, დ ა ვ ი თ კ უ-რ ა პ ა ლ ა ტ ი. ეს იწყინეს გვარამ მამფალის შვილებმა, რომელნიც თრიალეთს თავის მამულად თვლიდნენ, და დავით კურაპალატი 881 წელს მოკლეს. ამ შფოთსა და არეულობაში, რომელმაც დაასუსტა კლარჯეთის სამთავრო სახლი, ამოწყდა გვარამ მამფალის შთამომავლობა.

IX საუკუნის დამლევს საქართველოში ერთგვარი წონასწორობა დამყარდა. მოკლული დავით კურაპალატის შვილმა, ა დ ა რ ნ ა ს ე მ, 888 წელს ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა მ ე ფ ი ს წოდებულება მიიღო. ამრიგად, კვლავ აღდგენილ იქნა, თუმცა ახალი შინაარსით, ქართლის მეფეების უძველესი ტიტული.

ქართლისათვის ბრძოლა განახლდა X საუკუნის დამდეგს. ქართლი საქართველოს გული იყო და საქართველოში გაბატონების მოსურნენი ყველაზე ადრე სწორედ ქართლს უმიზნებდნენ. X საუკუნის პირველ წლებში ქართლი ჯერ აფხაზთა მეფემ კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე მ დაიჭირა.

თუმცა არაბების 914 წლის შემოსევამ აბულ-კასიმის მეთაურობით კონსტანტინე აფხაზთა მეფეს უკან დაახევინა მცირე ხნით, მაგრამ მალე იგი კვლავ შეუდგა ახალი ადგილების დაპყრობას. ახლა კონსტანტინე კახეთის მთავრებს დაუკავშირდა, რომელნიც ამ დროს უკვე ქ ო რ ე პ ი ს კ ო პ ო ს ი ს ტიტულს ატარებდნენ. მოკავშირეებმა ჰ ე რ ე თ ი* დაიპყრეს და გაინაწილეს.

განსაკუთრებით გაძლიერდა აფხაზთა სამეფო კონსტანტინეს შვილის გ ი ო რ გ ი ს დროს. გიორგიმ კახეთის ნაწილი თავის გავლენას დაუმორჩილა. ჩრდილო-დასავლეთით კიდევ აფხაზთა მეფეს ჯიქეთი ეკუთვნოდა, რომელიც შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა. გიორგის თაოსნობით მიიღეს ქრისტიანობა ალანებმა. ამით გიორგი მეფეს თავისი გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაშიც გადაჰქონდა. ასევე ძლიერი იყო აფხაზთა სამეფო გიორგის შვილის ლ ე ო ნ ი ს დროსაც. ლეონ მეფის გავლენა უკვე ჯავახეთსაც სწვდებოდა, მაგრამ ლეო-

* ჰერეთს ქართველები ძველი ალბანიის დასავლეთ ნაწილს ეძახდნენ.

ნის სიკვდილის შემდეგ მის შვილებს შორის დიდი უთანხმოება და შფოთი ჩამოვარდა. აფხაზთა სამეფო ახლა ადგილს ტაო-კლარჯეთს უთმობდა.

## § 53. მეფეთა-მეფე დავით მესამე, კურაპალატი

**ტაო-კლარჯეთი X საუკუნის პირველ ნახევარში.** როგორც ვნახეთ, ტაო-კლარჯეთის მფლობელები უკვე IX საუკუნის შუა წლებიდან იყვნენ აფხაზთა მეფეების მთავარი მეტოქეები. მაგრამ განსაკუთრებით გაძლიერდა ტაო-კლარჯეთი X ს-ში. ამ საუკუნის პირველ ნახევარში ტაო-კლარჯეთის სამხრეთი საზღვარი ვრცელდებოდა მდ. არაქსის ზემო წელამდე, სადაც ტაო ბიზანტიას ემიჯნებოდა. თუმცა ამ დროსაც ტაო-კლარჯეთის მფლობელები ღებულობდნენ კურაპალატისა და მაგისტროსის ტიტულებს ბიზანტიის იმპერატორებისაგან, მაგრამ ფაქტიურად ისინი სრულიად დამოუკიდებელნი იყვნენ.

როცა კლარჯეთის ერთ-ერთმა ბაგრატიონმა თავისი ნათესავების მტრობით X საუკუნის ოციან წლებში ფარულად გადასცა ციხე არტანუჯი კეისარს და კეისრის მოხელემ არტანუჯის კედელზე ბიზანტიის დროშა აღმართა, ამან დიდი აღშფოთება გამოიწვია დანარჩენ ბაგრატიონებში, რომელნიც ციხეს თავის საგვარეულო საკუთრებად თვლიდნენ. კეისარმა მაშინვე გადათქვა თავისი მონაწილეობა ამ საქმეში, ყველაფერი ჩემი ბრიყვი მოხელის ბრალიაო, და საჩქაროდ გაიყვანა თავისი რაზმი ციხიდან.

ტაო-კლარჯეთის ქართველები ამ დროს დიდ როლს თამაშობდნენ თვითონ ბიზანტიის იმპერიაშიაც. ცნობილი გერმანელი ისტორიკოსი გელცერი ამბობს, რომ უკვე X საუკუნის პირველ ნახევარში ქართველები და სომხები „მსოფლიო-ისტორიული ვითარების ბატონ-პატრონები იყვნენ. ამ ერების მამაცმა და ჭკვიანმა შვილებმა მიაღწიეს ხელმძღვანელ მდგომარეობას აღმოსავლეთ-რომის იმპერიის როგორც სარდლობაში, ისე მთავრობაში და ღირსეულადაც ეჭირათ იგი"-ო. X საუკუნის მეორე ნახევარში, იმავე გელცერის მტკიცებით, ბიზანტიის იმპერიაში „ყველა უმნიშვნელოვანესი სამხედრო თანამდებობა გამოუკლებლივ სომხებსა და ქართველებს ეჭირათ". მართლაც, ამ დროს, დ ა ვ ი თ  კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ი ს მეფობაში, ტაო-კლარჯეთი დიდი და ძლიერი სამეფო გახდა.

**დავით მეფე.** დავითი ჭკვიანი და მხნე კაცი იყო. მას დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი მთელ აღმოსავლეთში. დავითის თანამედროვე სომეხი მემატიანე სტეფანოს ტარონელი წერს: „დიდი კურაპალატი დავით ჩვენი დროის ყველა ხელმწიფეს აღემატებოდა თავისი

ლმობიერებითა და მშვიდობისმოყვარე გულით. დავითმა დაამყარა მშვიდობა და კეთილწესიერება ყველა აღმოსავლეთის ქვეყანაში, განსაკუთრებით კი სომხეთსა და საქართველოში. მან შეწყვიტა ომები, რომლებიც გამუდმებით ჩნდებოდა ყოველი მხრიდან, და გაიმარჯვა ყველა გარშემო მცხოვრებ ხალხზე, ასე რომ ყველა ხელმწიფე ნებაყოფლობით დაემორჩილა დავითსა"-ო.

დავითის პირველობასა და უპირატესობას სხვა მეფე-მთავართა შორის გამოხატავდა მისი ტიტული „მეფეთა-მეფე", რომელიც მან პირველმა მიიღო ქართველ ბაგრატიონებში.

979 წელს დავითმა დიდი დახმარება გაუწია ბიზანტიის იმპერატორს ბასილს, რომელსაც სარდალი ბარდა სკლიაროსი აუჯანყდა. სკლიაროსმა რამდენიმეჯერ დაამარცხა კეისარი და ტახტიდან ჩამოგდებასაც უპირებდა მას. დავითმა სასომიხდილ ბასილს მისი თხოვნით ჯარი მიაშველა. თორმეტმა ათასმა რჩეულმა ქართველმა ცხენოსანმა თორნიკე ერისთავის, რომელიც იმ დროს უკვე ბერად იყო შემდგარი, და ჯოჯიკის მეთაურობით გაანადგურეს სკლიაროსი და მისი ლაშქარი და იმპერატორს მისი სამფლობელო დაუბრუნეს. მადლიერმა ბასილმა ამ დახმარების სანაცვლოდ დავითს დიდი მიწა-წყალი აჩუქა: კარინის ანუ ერზერუმის ოლქი, მეზობელი ბასიანის ოლქი (ამჟამად პასენი), ჰარქისა და აპაჰუნიქის ოლქები, მეტად მნიშვნელოვანი ციხე ხალდო-არიჭი და კლისურა (ზღკარი) მთავარ გზაზე ერზერუმიდან ტრაპიზონისაკენ და სხვა. ოთხმოციან წლებში დავითმა დაიპყრო ქალაქი მანასკერტი (ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთი). 997 წელს დავითმა ალყა შემოარტყა ცნობილ სავაჭრო ქალაქს ხლათს (ვანის ტბის ნაპირზე). დავითის ასეთი გაძლიერებით დაშინებულმა ადარბადაგანის* ამირამ ომი აუტეხა მას. იმავე სომეხი მემატიანის ცნობით, მაჰმადიანების ლაშქარი ასიათასი მეომრისაგან შედგებოდა, მაგრამ დავითმა მწარედ დაამარცხა მტერი და შორს განდევნა იგიო. დაპყრობილ ქვეყნებში დავითი ასახლებდა თავის ყმებს — ქართველებსა და სომხებს.

დავითის ომები სამხრეთში ათავისუფლებდა ქართველსა და სომეხ მოსახლეობას არაბი მოძალადეებისაგან და მშვიდობიანობას ამყარებდა ამ ქვეყნებში. ამიტომაა, რომ დავითს დიდი ქებით იხსენიებს ყველა ძველი სომეხი ისტორიკოსიც.

---

* ადარბადაგანი ეწოდებოდა ირანის ჩრდილოეთ ნაწილს, რომელიც სომხეთსა და კასპიის ზღვას შორის მდებარეობდა. უდრის ეხლანდელს ირანის აზერბაიჯანს.

ამრიგად, X საუკუნის მეორე ნახევარში ტაო-კლარჯეთის სამეფო შეიცავდა მეტად ვრცელ ტერიტორიას, რომლის სამხრეთი საზღვარი ვანის ტბასა და ქალაქ ერზინკამდე (ერზინჯანი) აღწევდა.

იმავე დროს დავითი თავის გავლენას ავრცელებდა ჩრდილოეთითაც საქართველოში. სამოცდაათიან წლებში, როცა აფხაზთა მეფეების ტახტზე უძლური თ ე ო დ ო ს ი იჯდა, ძმის ვერაგობით თვალდამწვარი, დავითმა ისარგებლა აფხაზეთის შინაგანი აშლილობით და თავისი შვილობილი ბ ა გ რ ა ტ ბაგრატიონი, თეოდოსის დისწული, მეფედ გამოაცხადა ქართლში (975 წ.); ხოლო შემდეგ აფხაზეთშიაც გადაიყვანა (978 წ.). ამ საქმეში დავითის თანამშრომელი იყო ქართლის ერისთავი ი ო ა ნ ე მ ა რ უ შ ი ს ძ ე.

ამით საძირკველი ჩაეყარა საქართველოს გაერთიანებას.

## § 54. კულტურული ვითარება VIII—X საუკუნეებში

VIII—X საუკუნეებში ქართული სალიტერატურო ენის მნიშვნელობა ძალიან გაიზარდა. უკვე IX საუკუნეში როგორც ქართლში, ისე ტაო-კლარჯეთში, კახეთში და აფხაზეთში ქართული ენა იყო მწერლობის, სახელმწიფო მართვა-გამგეობის, სამოქალაქო ურთიერთობისა და ეკლესიის ერთადერთი ენა. ქრისტიანობის საშუალებით ქართული ენა გადავიდა ჩრდილოეთ კავკასიაშიც, პირველ რიგში — ჩერქეზებსა და ალანებში, ქართულის ასეთმა გავრცელებამ და ქართული მწერლობის აყვავებამ იმდროინდელს ქართველ მოღვაწეებს ჩაუნერგა დედაენის დიდი ღირებულებისა და ღირსების შეგნება.

X საუკუნის მწერალმა ი ო ა ნ ე ზ ო ს ი მ ე მ სპეციალური შესხმა, ოდა უძღვნა ქართულ ენას — „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი". ამ ჰიმნში ავტორი ქართულ ენას განსაკუთრებულ როლს აკისრებს მსოფლიოს ენათა შორის.

IX—X საუკუნეებშია დაწერილი ისეთი შესანიშნავი თხზულებები, როგორიცაა „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება" ბასილ ზარზმელისა და გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება". ეს და სხვა მათი მსგავსი ბიოგრაფიული თხზულებები დიდმნიშვნელოვანი ისტორიული წყაროებია. მათი საშუალებით ჩვენ ვსწავლობთ იმდროინდელ საქართველოს ყოფაცხოვრებას, მეურნეობას, საზოგადოებრივ წყობასა და კულტურის დონეს. ამავე დროს ამ ძეგლებში მაღალ განვითარებას მიაღწია ქართულმა სალიტერატურო ენამ. ამ მხრივ პირველ ადგილას დგას მერჩულეს ბრწყინვალე ლიტერატურული ნაწარმოები, დაწერილი 951 წ.

იმდროინდელი ქართული ორიგინალური მწერლობიდან ცალკე აღსანიშნავია სასულიერო პოეზია ანუ ჰიმნოგრაფია, რომლის მთავარი წარმომადგენლები არიან მ ი ქ ა ე ლ მ ო დ რ ე კ ი ლ ი, ი ო ა ნ ე მ ი ნ ჩ ხ ი, ი ო ა ნ ე მ ტ ბ ე ვ ა რ ი და ი ო ა ნ ე ზ ო ს ი მ ე. ეს მწერლები თავის ლექსებს წერდნენ ი ა მ ბ ი კ ო ს ა და შ ა ი რ ი ს საზომებით. შაირის საზომი, როგორც ცნობილია, შემდეგში მწვერვალამდე აიყვანა რუსთაველმა. საყურადღებოა ისიც, რომ ამ ლექსებს ზოგჯერ თან ახლავს მუსიკალური ნიშნები ანუ ნოტები; ეს იმდროინდელი მუსიკაა, სასულიერო პოეზიისათვის დაწერილი.

ორიგინალური მწერლობის გვერდით ვითარდებოდა თარგმნილი მწერლობაც. ამ ხანაში თარგმნიან უკვე არაბული ენიდანაც.

თარგმნილი მწერლობა მეტად მრავალფეროვანი იყო თავისი შინაარსით. მთარგმნელობის განვითარებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ქართველებს ამ დროს თავისი საკუთარი საზღვარგარეთული კულტურული ცენტრები ჰქონდათ. უკვე VI საუკუნეში ქართული ეკლესიები არსებობდა პალესტინაში, საბაწმინდის განთქმულ ლავრაში. ბევრი იყო ქართველი იმავე საუკუნეში შავ მთაზედაც, ანტიოქიის მახლობლად. X საუკუნეში დაარსდა განთქმული ქართული მონასტერი ათონის მთაზე, საბერძნეთში. თვითონ საქართველოშიაც სამონასტრო მოძრაობა დაიწყო VI საუკუნეში, მაგრამ განსაკუთრებით გაიშალა იგი VIII საუკუნის დამლევიდან. კერძოდ, ტაო-კლარჯეთში ამ ხანაში ჩნდება ისეთი მნიშვნელოვანი საეკლესიო-კულტურული ცენტრები, როგორიც იყო ხ ა ნ ძ თ ა, შ ა ტ ბ ე რ დ ი, ო პ ი ზ ა, ი შ ხ ა ნ ი, ო შ კ ი, წ ყ ა რ ო ს თ ა ვ ი, ბ ა ნ ა (ამჟამად ყველა თურქეთის საზღვრებშია, არტაანის, ართვინის, ოლთისისა და თორთუმ-ისპირის რაიონებში). შინაურ ცენტრებს ცხოველი ურთიერთობა ჰქონდათ საზღვარგარეთულ ცენტრებთან.

თარგმნილ მწერლობაში აღსანიშნავია მეცნიერულ-ფილოსოფიური თხზულებები, როგორც, მაგალითად, გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმისათვის“, რომელიც მოთავსებულია განთქმულს შატბერდის კრებულში X საუკუნისა. ფილოსოფიის ცოდნა იმ დროს უკვე სავალდებულოდ ითვლებოდა განათლებული კაცისათვის. მაგალითად, გრიგოლ ხანძთელს, რომელიც ცნობილი ნერსე ქართლის ერისთავის კარზე იზრდებოდა VIII საუკუნის სამოცდაათიან წლებში, ჯერ ზეპირი გზით შეუთვისებია ცოდნა („ხმითა სასწავლელი“ „ზეპირით ეოიწვართნა“, ამბობს მისი ბიოგრაფი), შემდეგ ქართულის გარდა მრავალ სხვა ენაზედაც უსწავლია მწიგნობრობა და ამრიგად შეუძენია როგორც საეკლესიო, ისე საერო, კერძოდ ფილოსოფიური, განათლება.

მაშინდელი მწერლები დროის შესაფერისად დიდად განათლებული ადამიანები იყვნენ. მოცემულ ხანაში წარმოიშვა ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისეთი შესანიშნავი ნაწარმოები, როგორიცაა „სიბრძნე ბალავარისა“. „სიბრძნე ბალავარისა“ არის ქართველი მწერლის მიერ დამუშავებული აღმოსავლური თქმულებები ბუდას შესახებ. ქართული „სიბრძნე ბალავარისა“ თავისი ღრმა აზრებისა და წარმტაცი მხატვრული თხრობის წყალობით ცნობილი გახდა მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის. განთქმულმა ქართველმა მოღვაწემ ექვთიმე ათონელმა XI საუკუნეში ეს ნაწარმოები ბერძნულად გადაიღო, ხოლო ბერძნული ენიდან იგი იმავე XI საუკუნის პირველსავე ნახევარში გადათარგმნილ იქნა ლათინურადაც და მთელ ევროპას მოედო.

ამავე დროს საქართველოში, ჩანს, არსებობდა საერო მხატვრული მწერლობაც, კერძოდ თარგმნილი პოეტური ძეგლები, მაგრამ მათგან მხოლოდ პატარა ნაწყვეტებია დარჩენილი. თვალსაჩინო გავლენა მოუხდენია ამ საერო ლიტერატურას საისტორიო და საეკლესიო მწერლობაზე.

შესანიშნავ განვითარებას მიაღწია ამ ხანაში ქართულმა ხელოვნებამაც, კერძოდ, არქიტექტურამ. იმდროინდელი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები, როგორიცაა ოშკი, ხახული და მრავალი სხვა, ახლაც აკვირვებს მნახველს თავისი სიდიადითა და სილამაზით.

## § 61. დავით აღმაშენებელი

დავით მეოთხის გამეფებისას საქართველო მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. თურქების გამუდმებული თავდასხმებისაგან აღმოსავლეთ საქართველო აოხრებული იყო. ქართლისა და კახეთის ბარის ზოგი თემი გაუკაცრიელებულ, ტყით დაბურულ მხარედ გადაქცეულიყო. ამასთანავე საქართველო განაგრძობდა სელჩუკიან სულტნებისათვის დამამცირებელი ხარკის ძლევას.

ამგვარ ვითარებაში ქვეყნის წინაშე მდგარი, სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ამოცანებისათვის წარმატებით ბრძოლას სათავეში უნდა ჩასდგომოდა განსაკუთრებული პირადი ღირსებებით დაჯილდოებული სახელმწიფო მოღვაწე.

სწორედ ასეთი იყო გიორგი მეორის ძე, დავით IV, რომელიც 1089 წელს 16 წლის ჭაბუკი ავიდა სამეფო ტახტზე.

**დავით IV-ის პიროვნება.** ბუნების მიერ მძლავრი გონებითა და რკინისებური ნებისყოფით დაჯილდოებული, თავისი დროისათვის ღრმად განსწავლული დავით IV ადრევე ჩამოყალიბდა ძველი საქარ-

თველოს ერთერთ ყველაზე უფრო გამოჩენილ სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწედ. მას შეთვისებული ჰქონდა აღმოსავლურ-ქრისტიანული სამყაროს განათლება და თანაც საფუძვლიანად შესწავლილი არაბული და სპარსული ენები. არაბი ისტორიკოსები გადმოგვცემენ, რომ დავით მეფე კარგად იცნობდა ისლამსაც და ერთ დროს ვინმე განჯელ ყადისაც კი გამოჰკამათებია ყურანის წარმოშობის საკითხების გარშემო. დავითის გონებრივ ინტერესთა წრე მეტად ფართო იყო, მის ცნობისმოყვარეობას ვარსკვლავთმრიცხველობაც კი იზიდავდა.

მისი თანამედროვე მოღვაწე, შესანიშნავი ისტორიული თხზულების — „ცხორება მეფეთ მეფისა დავითისი" ავტორი, მრავალ ამბავს მოგვითხრობს დავითის მუდმივი გატაცების შესახებ მწიგნობრობით.

დავითის საყვარელი დარგი ისტორიული მწერლობა ყოფილა, მას გზაში და ლაშქრობაში სატარებელი წიგნსაცავიც ჰქონია, რომელსაც იგი არასდროს არ იშორებდა. როცა მას კითხვისაგან თვალი დაეღლებოდა, დავითი სხვას აკითხებდა, დიდი ყურადღებით უსმენდა, განმეორებით გამოჰკითხავდა ხოლმე და ჩვეულებრივ „თვით განუმარტავდა წანაკითხის ძალასა და სიღრმეს".

დავით მეფე დიდბუნებოვანი, თავისი დროის მოწინავე აზროვნების კაცი იყო. იგი უნდობლად ეკიდებოდა მრავალს რასმე, რაც სამღვდელოებას ურყევ ჭეშმარიტებად მიაჩნდა. იმავე დროს მან სახელი მოიხვეჭა თავისი საოცრად ლმობიერი მოპყრობით უცხო ტომებისა, ისევე როგორც უცხო სარწმუნოებათა მიმდევრების მიმართ.

დაუღალავმა დასახული მიზნის განხორციელებისათვის შრომაში უდრეკელმა დავით მეოთხემ უკვდავჰყო თავისი სახელი შემოქმედებითი სახელმწიფოებრივი საქმეებით, რის გამოც მას „აღმაშენებელი" ეწოდა.

**დავით აღმაშენებლის ბრძოლა ფეოდალთა წინააღმდეგ.** დავითმა, უწინარეს ყოვლისა, თავი მოუყარა აღმოსავლეთ საქართველოს ბარიდან გაქცეულ-დაფანტულ მოსახლეობას და ლტოლვილები თავ-თავის ადგილას დააბრუნა. შემდეგ იგი მისდგა ქვეყნის სისუსტისა და დამარცხების მთავარ დამნაშავეებს — პირველ რიგში დიდგვარიან აზნაურებს — და მალე აგრძნობინა მათ, რომ სამეფო ტახტზე ახლა უკვე ძლიერი პიროვნება ზის, რომელიც თვითნებობასა და ურჩობას არავის აპატიებს.

ურჩ დიდგვარიან აზნაურებს ამ დროსაც კლდეკარის ერისთავები, ბაღვაშები მეთაურობდნენ. ბაღვაშების თავკაცი, ლიპარიტი, იმ ლიპარიტის შვილიშვილი, ბაგრატ მეოთხეს რომ მტრობდა, არა ერთგზის იქნა მხილებული მეფის ორგულობაში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ხატოვანი თქმა რომ გავიმეოროთ, მეფე დარ-

წმუნდა, რომ ლიპარიტის გასწორება ისევე არ შეიძლება, როგორც ძაღლის კუდის გამართვა ან კიბოს სწორი სიარულიო. დავითმა საქართველოდან გააძევა ლიპარიტი და კლდეკარის საერისთავოც თვითონ დაიჭირა.

**ბრძოლა თურქების წინააღმდეგ.** XI საუკუნის დამლევს დასავლეთ ევროპელმა ჯვაროსნებმა თურქებს სირიისა და პალესტინის რიგი მნიშვნელოვანი ქალაქები და მხარეები წაართვეს. დავითმა ისარგებლა სელჩუკიანთა სამხედრო მარცხითა და შინაგანი განხეთქილებით და სულტანს ხარკის ხდაზე უარი უთხრა.

მაგრამ თვით საქართველოში ზოგიერთი ადგილი ჯერ კიდევ მტერს ეჭირა.

დავით მეფე შეუდგა საქართველოს ტერიტორიის გაწმენდას მოხეტიალე თურქული ურდოებისა და სელჩუკიანთა მეციხოვნეებისაგან. დავითის სამხედრო ტაქტიკა იყო მტერზე მოულოდნელი და სწრაფი თავდასხმა პატარ-პატარა რაზმებით. რაკი საქართველოს სამხედრო ძალა ჯერ კიდევ მცირე იყო, მხოლოდ ამგვარი ბრძოლით შეიძლებოდა მრავალრიცხოვანი მტრის გამკლავება. მაგრამ ამ ბრძოლაში სრული გამარჯვებისათვის კიდევ უფრო მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენდა ქართველი ერის ყველა ძალთა გაერთიანება ერთს ცენტრალიზებულ სახელმწიფოში.

**ბრძოლა კახეთისათვის.** დავითი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ჯერ საქართველოს მიწა-წყლის შემოკრების ამოცანას. მისი სამეფოს გარეთ იყო ამ დროს ხომ ისეთი უმნიშვნელოვანესი თემები, როგორიც იყო კახეთი და თბილისის საამირო. დავითმა კახეთიდან დაიწყო. კახეთის მნიშვნელოვანი სიმაგრე დასავლეთ ზედაზნის ციხე იყო. 1101 წელს დავითმა წაართვა ეს ციხე კახთა მეფეს. სამი წლის შემდეგ ჰერეთის დიდებულებმა თვით კახთა მეფე აღსართანიც შეიპყრეს და დავითს გადასცეს. დავითმა ახლა უკვე საბოლოოდ შემოუერთა კახეთ-ჰერეთი საქართველოს სამეფოს.

**საეკლესიო რეფორმები.** დიდებულებთან ბრძოლამ დავით მეფე დაარწმუნა, რომ მეფის მოწინააღმდეგე ძალების, დიდგვარიანი აზნაურების ერთი მთავარი საბუდარი ეკლესია იყო.

ეკლესიის თავკაცები დიდგვარიან აზნაურთა წრის შვილები და წარმომადგენლები იყვნენ და საიდუმლოდ თუ დაუფარავად სხვა დიდგვარიან აზნაურებთან ერთად მეფეს ებრძოდნენ.

აუცილებელი იყო გადაჭრით გალაშქრება საეკლესიო ფეოდალების წინააღმდეგ. ნიადაგი ამისათვის ნაწილობრივ გიორგი მთაწმიდელის საქმიანობით იყო მომზადებული. მაგრამ ის, რაც გიორგი

მთაწმიდელმა გააკეთა, მხოლოდ პირველი ცდა იყო. დავითმა მტკიცედ მოჰკიდა ხელი ძკლესიას.

1103 წელს მეფემ მოიწვია საეკლესიო კრება, რომელსაც რ უ ი ს-უ რ ბ ნ ი ს ი ს კრებას ეძახიან, რადგან იგი ქართლის ორ სოფელში, რუისსა და ურბნისში (საეპისკოპოსო ცენტრებში), აწარმოებდა თავის სხდომებს. კრებამ დაადგინა, რომ ის ეპისკოპოსები, რომელნიც „მამულობით", ე. ი. მემკვიდრეობით, ფლობდნენ საეკლესიო თანამდებობას და არა პირადი ღირსებისა და დამსახურების გამო, გადაყენებული ყოფილიყვნენ და მათ მაგიერ, შთამომავლობისდა მიუხედავად, ღირსნი და განსწავლულნი აერჩიათ. ესეცა და სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანიც რუის-ურბნისის კრებისა მეფემ სწრაფად და გაბედულად განახორციელა. საეკლესიო არისტოკრატია განადგურებულ იქნა.

საეკლესიო რეფორმებს მოჰყვა უმნიშვნელოვანესი ცვლილებანი სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, რომელთაც ჩაუყარეს საძირკველი ქართული სახელმწიფოს ძლიერებასა და მეფის შეუზღუდველ ხელისუფლებას, თვითმპყრობელობას.

**ბრძოლა თბილისისათვის.** როცა შინაურობაში დავითმა ზურგი გაიმაგრა, ის კვლავ სამხედრო საქმეებზე გადავიდა, რათა აღმოსავლეთ საქართველოში მდგარი სელჩუკიანთა მეციხოვნე რაზმებიც გაენადგურებინა და ამრიგად ბოლომდე მიეყვანა საქართველოს გაერთიანების საქმე.

თურქებს ჯერ კიდევ ეჭირათ საქართველოს დედაქალაქი თბილისი და მისი თემი, ისევე როგორც ქვემო ქართლის სხვა უმნიშვნელოვანესი ქალაქები და ციხეები; მათ შორის ციხექალაქები: დ მ ა ნ ი ს ი, ს ა მ შ ვ ი ლ დ ე, რ უ ს თ ა ვ ი და სხვანი, რომელნიც ერთიანს მძლავრს თავდაცვის სისტემას ქმნიდნენ.

1110 წელს დავით მეფემ იერიში მიიტანა ამ სისტემაზე და კიდევაც გამოსტაცა თურქებს ს ა მ შ ვ ი ლ დ ე, ფრიად მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქი და ძლიერი ციხე, რომელიც სამხრეთ-დასავლეთიდან იცავდა თბილისს. სამშვილდის აღება იმდენად დიდი გამარჯვება იყო ქართველებისა, რომ ამით შეშინებულმა თურქებმა ქვემოქართლის ციხეების უმეტესობა თვითონვე მიატოვეს და გაიქცნენ. მაგრამ არ გასულა დიდი ხანი, რომ სულტანმა სცადა დანაკარგის დაბრუნება — საქართველოს სელჩუკიანთა მრავალრიცხოვანი ჯარი შემოესია. დავითმა სწრაფად შეუტია მტერს და სასტიკადაც დაამარცხა იგი თ რ ი ა ლ ე თ შ ი.

1115 წელს დავითმა თურქებს წაართვა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ციხექალაქი — რ უ ს თ ა ვ ი, რომელიც თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთის მისადგომებზე მდებარეობდა, მტკვრის ნაპირას.

1117 წელს დავით მეფემ ხელთ იგდო ჰერეთის ციხექალაქი გ ი შ ი (დღევანდელი აზერბაიჯანის სსრ ქ. ნუხის მახლობლად). იმავე დროს იგი დაუღალავად სდევნიდა და სპობდა სელჩუკიანთა ოაზმებს, რომელნიც აქა-იქ კიდევ ბოგინობდნენ საქართველოს სამხრეთ განაპირა თემებში.

1118 წელს ქართველთა ჯარმა აიღო ლ ო რ ი ს ძლიერი ციხე, რომელიც სამხრეთიდან მომავალ მტერს გზას უკრავდა და მეტად მნიშვნელოვანი მეწინავე სიმაგრე იყო იმ მთავარ გზაზე, საქართველოს რომ სომხეთთან და სამხრეთის სხვა ქალაქებთან აერთიანებდა.

**სამხედრო რეფორმები.** ამ ძლევამოსილი ბრძოლებით დავითი თანდათან თბილისს უახლოვდებოდა. მაგრამ საქართველოს დედაქალაქის აღებისათვის საჭირო იყო ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაციის არსებითი გაუმჯობესება. მეფეს ხელთ ჰყავდა მხოლოდ პატრონყმობაზე დამყარებული ჯარი. მართალია, მეფეს თავისი საკუთარი მამული ჰქონდა და ამ მამულიდან გამომავალი საკუთარი ლაშქარი ჰყავდა, მაგრამ თითოეულ დიდგვარიან აზნაურსაც მოეპოვებოდა თავისი ფეოდალური სამფლობელო, სადაც იგი თავს ბატონ-პატრონად გრძნობდა და რომლის მოლაშქრე ყმები ამ აზნაურის მეთაურობით გამოდიოდნენ ბრძოლის ველზე. ამგვარ პირობებში არ შეიძლებოდა, მეფე დამოკიდებული არ ყოფილიყო თავის ძლიერ ყმებზე. სანამ ეს უკანასკნელნი მეფის ერთგულნი იყვნენ, მათი მონაწილეობა ლაშქრობაში მეფეს უზრუნველყოფილი ჰქონდა, მაგრამ საკმარისი იყო მეფესა და დიდგვარიან აზნაურს შორის უთანხმოება ჩამოვარდნილიყო, რომ ამ აზნაურისა და მისი ჯარის მეფისადმი ერთგულება საეჭვო ან უიმედოც გამხდარიყო. უთანხმოების გამწვავება კი შეიძლებოდა შეტაკებითაც დამთავრებულიყო.

ამ გარემოებამ გადააწყვეტინა დავით აღმაშენებელს შეექმნა ისეთი შეიარაღებული ძალა, რომელიც მტკიცე შინაგანი ერთობით იქნებოდა შეკავშირებული, მუდამ მზად იქნებოდა ბრძოლისათვის და სავსებით დაემორჩილებოდა მეფის ნება-სურვილს. საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში ამ ახალი ტიპის ჯარის გაჩენას უნდა შეეცვალა აგრეთვე ჩვეულებრივი საპატრონყმო, საჭიროების კვალობაზე მოწვეული რაზმების ბუნება და მნიშვნელობა.

ამ მიზნით მეფემ გადაწყვიტა გადმოეყვანა საქართველოში ყ ი ვ ჩ ა ყ ე ბ ი. ყივჩაყები ძლიერი და მეომარი ტომი იყო. ჩრდილო კავკასიისა და სამხრეთ რუსეთის ველებზე მომთაბარე. მათ წინათაც არა

ერთგზის უმსახურნიათ ქირით საქართველოს ლაშქარში. ამასთანავე დავით აღმაშენებელს ყივჩაყთა მეთაურის ასული ჰყავდა მეუღლედ.

1118 წელს დავითი თავისი უახლოესი მრჩევლებისა და თანაშემწეების თანხლებით ჩრდილო კავკასიაში გადავიდა. იქ, საქართველოსა და ყივჩაყებს შორის, ოსები ესახლნენ, რომელნიც ყივჩაყებს ემტერებოდნენ და ცდილობდნენ, ხელი შეეშალათ საქართველოში მათი გადმოსვლისათვის.

დავითმა დაიმორჩილა ოსები, დაიჭირა ოსეთის ციხეები და გზებიც გახსნა.

მეფემ 45000 ყივჩაყის ოჯახი გადმოასახლა საქართველოში, მიუჩინა მათ მიწა და ყველაფრით, რაც სამხედრო სამსახურისათვის სჭირდებოდათ, უზრუნველყო.

დავითმა ახალი ორგანიზაცია მისცა ყივჩაყებს და ორი წლის გაძლიერებული წვრთნის შემდეგ საქართველოს უკვე ჰყავდა 40 000 საუკეთესო ცხენოსნისაგან შემდგარი ლაშქარი.

გარდა ამისა, დავითმა შეადგინა კიდევ ერთი ცალკე რაზმი 5 000 კაცისაგან, რომელსაც „მ ო ნ ა-ს პ ა ს" ეძახდნენ და რომელსაც თვით მეფის დაცვა ევალებოდა.

**თურქებთან ბრძოლის განახლება. დიდგორის ომი.** რაკი დავითმა შინაურობაში მშვიდობიანობა დაამყარა და თავისი ძალაუფლება განამტკიცა, მას საშუალება მიეცა, კვლავ შესდგომოდა თურქებთან ბრძოლას. ცხადი იყო, რომ საქართველოს უშიშროების უზრუნველყოფა ვერ მოხერხდებოდა, თუ საქართველოსაკენ მომავალი ყველა მნიშვნელოვანი გზა შეკრული არ იქნებოდა. ეს გზები იმავე დროს უმთავრესი სავაჭრო გზებიც იყო.

უკვე 1120 წელს დავითმა შარვანში გაილაშქრა და ციხექალაქი კ ა ბ ა ლ ა აიღო. იგი თურქებს სულისთქმას არ აცლიდა: ხან ერთ ადგილას დაეცემოდა მათ, ხან მეორე ადგილას და მუსრს ავლებდა ყველგან — საქართველოს სახელმწიფო საზღვრიდან ქალაქ ბ ა რ დ ა ვ ა მ დ ე და კასპიის ზღვამდე. ძალზე შევიწროებულმა კავკასიელმა თურქებმა საჩივრით მიმართეს სულტანს, რათა მათ დავითის წინააღმდეგ დახმარებოდა.

თურქების სულტანმა შემოიერთა ყველა მაჰმადიანი მთავარი და ამირა დ ა მ ა ს კ ო დ ა ნ და ე რ ა ყ ი დ ა ნ სამხრეთში, ვიდრე ს ო მ ხ ე თ ა მ დ ე ჩრდილოეთში და საქართველოსაკენ უზარმაზარი ჯარი გამოგზავნა. იმდროინდელი უცხო მწერლების სიტყვით, მაჰმადიანთა გაერთიანებული ლაშქარი ვითომც 400—600 ათასი კაცისაგან შედგე-

ბოდა. ამასთანავე ეს მწერლები ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ ქართველთა ჯარი რიცხვით რამდენჯერმე ნაკლები იყო თურქებისაზე.

მტრის ჯარმა სწრაფად იარა, მოულოდნელად შემოიჭრა საქართველოში, მხარმარჯვნივ დატოვა თბილისი და 1121 წლის 12 აგვისტოს მოადგა ქალაქ მ ა ნ გ ლ ი ს ს. თურქებს განზრახული ჰქონდათ, ამ რაიონში გადაელახათ თ რ ი ა ლ ე თ ი ს ქედი და მოეწყვიტათ დავით მეფე დასავლეთ საქართველოში მდებარე მისი ძირითადი ბაზებისაგან.

შემოსევის მოულოდნელობამ ხელი შეუშალა დავითს, სრულად გამოეყენებინა თავისი ძალები. მაგრამ დაყოვნება აღარ ივარგებდა და მეფემაც გადაწყვიტა, დაესწრო მტრისათვის, შეეტია მისთვის მთიანტყიან ადგილებში, სადაც, მისი ანგარიშით, თურქ-არაბთა ცხენოსანი ლაშქრის სიმრავლეს უნდა დაებრკოლებინა მისი მოძრაობა და შეემცირებინა ბრძოლის უნარიანობა.

დავითმა დიდი სისწრაფით ატარა თავისი სამოცათასიანი ლაშქარი და მანგლისის ჩრდილოეთით, დ ი დ გ ო რ ი ს მ თ ა ზ ე, შეაგება იგი თურქებს.

დიდგორის ბრძოლა მოხდა 1121 წლის 15 აგვისტოს. იგი დიდხანს არ გაგრძელებულა. ქართველთა ჯარს გამოეყო და მტრის ბანაკისაკენ გაემართა 200 მხედარი. თურქებს ისინი მათ მხარეზე გადასული მოღალატენი ეგონათ და დაუბრკოლებლივ მიუშვეს რაზმი შუაგულ ბანაკამდე. მაგრამ გულადმა მეომრებმა უეცრად ხმლები იშიშვლეს და დაერივნენ გაოცებულსა და დაბნეულ თურქებს. დავითმა ისარგებლა მტრის არევ-დარევით და ელვისებურად ეკვეთა მისი ლაშქრის ფრთებს. მაჰმადიანთა უზარმაზარი ჯარი სასტიკად დამარცხდა. თურქებმა ბრძოლის ველზე დატოვეს დიდძალი მოკლული და დაჭრილი და გაქცევით უშველეს თავს. ქართველებმა დიდხანს სდიეს ლტოლვილ მტერს და აურაცხელი სიმდიდრე და მრავალი ტყვე ჩაიგდეს ხელში. დავითის ბრწყინვალე სამხედრო ნიჭმა და სამშობლოს დამცველთა მხნეობამ სრული გამარჯვება მოუპოვა საქართველოს.

დიდგორის ბრძოლამ დაამტკიცა, რომ საქართველო ახლო აღმოსავლეთის ერთი უძლიერესი სახელმწიფოთაგანი იყო უკვე.

**თბილისის განთავისუფლება.** დიდგორის ომიდან დიდი ხანი არ გასულიყო, რომ 1122 წელს დავით მეფემ თბილისს ალყა შემოარტყა. თბილისში მყოფმა სელჩუკ-მაჰმადიანთა მეციხოვნე ჯარმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია მას, მაგრამ ვერას გახდა: ქართველებმა თბილისი აიღეს.

მაჰმადიანი ისტორიკოსები მოგვითხრობენ, რომ გაჯავრებულ გულზე პირველ დღეს მეფემ მოწინააღმდეგენი სასტიკად დასაჯა, მაგრამ

ძალიან მალე მოლბა და ბრძანება გასცა, რომ თბილისის მცხოვრებნი, ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად თანასწორ მდგომარეობაში ყოფილიყვნენ. მაჰმადიანებს ზოგიერთი უპირატესობაც კი მიენიჭა.

400 წლის განმავლობაში უცხოელთა ხელში ნამყოფი დედაქალაქის განთავისუფლების შემდეგ დავითმა სამეფო ტახტი ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა. ამ გამარჯვებას, ცხადია, თვით საქართველოსათვის უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა. ახლო აღმოსავლეთში მან დავითსა და ქართულ მხედრობას დიდი სახელი მოუპოვა.

**თურქების გაძევება შარვანიდან და სომხეთიდან.** ახლო აღმოსავლეთის სელჩუკიან-მაჰმადიანი მბრძანებლებისათვის ძნელი ასატანი იყო ისეთი მარცხი, როგორიც იყო თბილისის დაკარგვა, და მათ ახალი, საპასუხო ლაშქრობის მოწყობა სცადეს. 1123 წელს სულტანი შარვანში შეიჭრა, შეიპყრო შარვანის მფლობელი, შარვან-შაჰად წოდებული, შარვანის დედაქალაქი შ ა მ ა ხ ი ა აიღო და დავითს გამოუგზავნა მუქარითა და დაცინვით სავსე წერილი, რომელშიც „ტყის მეფეს“ უწოდებდა მას: თუ გული გერჩის, მაგ შენ ტყიან ქვეყანაში ნუ კი იმალები, ველზე გამოდი და შემებრძოლეო.

დავითი თავისი ჯარით დაუყოვნებლივ შარვანისაკენ დაიძრა. სულტანმა, დაზვერა თუ არა ქართველთა ძალა, ომს თავი მოარიდა და ბოლოს გაიქცა კიდევაც. დავითმა შამახიაც აიღო, შარვანიც თავის გავლენას დაუმორჩილა, ხოლო შემდეგ უფრო შორსაც გაიწია და დარუბანდის მმართველს ქალაქი შ ა ბ უ რ ა ნ ი წაართვა.

იმავე 1123 წელს დავითმა ხელთ იგდო სომხეთის მრავალი ქალაქი და ციხე. შემდეგ კ ო ლ ა ს ა და ბ ა ს ი ა ნ შ ი გაილაშქრა და გაანადგურა თურქები, რომელნიც საქართველოს ამ სამხრეთ თემებში ჯერ კიდევ მაგრობდნენ.

ბოლოს ჯერი მიდგა სომხეთის დედაქალაქ ა ნ ი ს ზ ე დ ა ც, რომელიც ამ დროს მაჰმადიან მფლობელს ეჭირა. საქართველოს წარმატებით გამხნევებულმა ანისელი სომხების თავკაცებმა დავით მეფეს თავისი თავი და თავისი ქალაქი შემოავედრეს.

დავითმა სწრაფად შეკრიბა 60 000 ცხენოსნისაგან შემდგარი ჯარი, შემოეწყო ანისს და სომეხი მოსახლეობის დახმარებით სამ დღეში აიღო ქალაქი. ანისი დავითმა სამეფოდ დაიჭირა, ქალაქის გამგედ თავისი კაცი დანიშნა, ხოლო მეციხოვნეებად კი მესხი აზნაურები ჩააყენა.

ანისის, სომეხთა ეროვნულ-კულტურული ცხოვრების ცენტრის, ახლო აღმოსავლეთის ერთერთი უმდიდრესი სავაჭრო ქალაქისა და სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისითაც ფრიად მნიშვნელოვანი

გამაგრებული პუნქტის აღებას ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ამ ამბავს მთელი სომეხი ხალხი ზეიმით შეხვდა. სომეხი ისტორიკოსი მათე ედესელი თავის თანამემამულეთა განწყობილებას გადმოგვცემს, როცა მოგვითხრობს, თუ როგორ „გაათავისუფლა დავით ქართველთა მეფემ, სომეხი ერის მფარველმა და მეგობარმა, 60 წლის მონობისაგან სატახტო ქალაქი სომხეთისა, ანისი, და მისი დიდებული, მეჩეთად ქცეული ტაძარი. დავითმა დიდი ზეიმით კვლავ აკურთხებინა ტაძარი და სიხარული გამეფდა სომეხთა მთელ სახლში".

ერთი ძველი ქართული ქრონიკა მათეს ამ ცნობას დასძენს, რომ დავითი მივიდა ანისის ტაძრის ამშენებლის, კატრონიტე დედოფლის საფლავზე და სამგზის ჩასძახა მას: „გიხაროდეს, დედოფალო, რადგანაც იხსნა უფალმა ტაძარი შენი ურწმუნოთაგან".

ანისის აღების შემდეგ დავითს დიდხანს აღარ უცოცხლია: 1125 წლის 24 იანვარს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ იგი გარდაიცვალა ქ. თბილისში. მისი ცხოვრების აღმწერელი გვამცნობს, რომ „მეფეს განზრახული ჰქონდა კიდევ უფრო დიდი საქმეები და ლაშქრობანი" და რომ იგი ენერგიულად ემზადებოდა კიდევაც მათთვის, მაგრამ სიკვდილმა აღარ დააცალა მას ამ გეგმების შესრულება.

**ღონისძიებანი სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში.** დავით აღმაშენებლის ხანა აღნიშნულია გაცხოველებული საქმიანობით სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში. ქართველი, სომეხი და მაჰმადიანი ისტორიკოსების ერთსულოვანი მოწმობით, თვით სახელმწიფოს მეთაური ახერხებდა, მიუხედავად გამუდმებული ომიანობა-ლაშქრობისა, მოენახა დრო იმისათვის, რომ პირადად მოეკიდა ხელი მშვიდობიანი მშენებლობის საკითხებისათვის და ყოფილიყო ყოველი სასარგებლო წამოწყების მოთავე და მფარველი.

დიდი ყურადღება ექცეოდა ვაჭრობის განვითარებასა და ქალაქების კეთილმოწყობას. შეკეთდა ძველი გზები, გაყვანილ იქნა და მოიკირწყლა ახალი გზები, გაიდო ხიდები მთის ჩქარ მდინარეებზე, აშენდა სამგზავრო სასტუმროები.

დავით აღმაშენებელმა ხელახლა გააშენა და ვაჭარ-ხელოსნებით დაასახლა ქალაქი გორი, რომელიც მას შემდეგ მუდამ იყო საქართველოს ძირითადი თემის, შიდა ქართლის, ცენტრი.

დავითის თანამედროვენი ქება-დიდებით იხსენიებენ მის გულმოწყალებასა და ქველმოქმედებას. მან ააგო და ყველაფრით უზრუნველყო საავადმყოფოები, სადაც თავშესაფარს აძლევდნენ და მკურნალობდნენ ღარიბ-ღატაკებს.

განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდებოდა დავით აღმაშენებელი სწავლა-განათლების საქმეს. სომეხი მემატიანენი მოგვითხრობენ,

რომ დავითმა ენების შესასწავლად და მთარგმნელობისათვის მოსამზადებლად საბერძნეთს გაგზავნა 40 ყმაწვილი, რომელთაგანაც სამი შემდეგში თავისი ერის ნამდვილი მშვენება გახდაო. არაბი და სპარსელი მწერლები კი გვამცნობენ, რომ დავითს აუშენებია ცალკე სახლი მაჰმადიან მეცნიერთა, ფილოსოფოსთა და პოეტებისათვის, რომ იგი ნივთიერად ეხმარებოდა მათ და დროდადრო საზეიმო დარბაზობასაც უმართავდა.

თავისთავად ცხადია, რომ მეფის მზრუნველობა ფართოდ სწვდებოდა ქართულს ეროვნულ-კულტურულ კერებს საქართველოშიცა და მის ფარგლებს გარეშეც. გარდა იმისა, რომ არაფერს ზოგავდნენ უკვე არსებული მონასტრების მოვლა-პატრონობისათვის, დიდძალი სახსარი დაიხარჯა ცოდნისა და განათლების ახალი კერების მოსაწყობადაც. მათ შორის პირველი ადგილი უჭირავთ გელათის (ქუთაისის ახლოს) და შიომღვიმის (მცხეთის ახლოს) მონასტრებს, სადაც დღემდეა შემონახული დავითის მიერ აგებული ტაძრები.

დავითს განსაკუთრებით ჰყვარებია გელათი, რომელიც მან, მისი ბიოგრაფის სიტყვით, „სხვად ათენად" აქცია. აქ მან დააარსა აკადემია, რომლის გარშემოც შემოიკრიბნენ ქართული კულტურის საუკეთესო მოღვაწენი, საშუალო საუკუნეთა საქართველოს უდიდესი მოაზროვნის, ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის მეთაურობით. გელათის აკადემიამ თვალსაჩინო როლი ითამაშა ქართული კულტურის განვითარებაში. შიომღვიმის მონასტერში მუშაობდა ცნობილი მწერალი არსენ იყალთოელი.

მაგრამ დავით აღმაშენებლის მოღვაწეობაში პირველი ადგილი მაინც იმ რეფორმებს, იმ ცვლილებებს უჭირავთ, რომელნიც მან სახელმწიფოებრივ წყობილებასა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში განახორციელა.

## § 62. ქართული ფეოდალური მონარქიის განვითარება დავით III-ის დროიდან დავით IV-მდე

დავით IV-ის, აღმაშენებლის, სახელმწიფოებრივმა რეფორმებმა დააგვირგვინა ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი განვითარება დაქსაქსული სამთავროებიდან, ამ „ნახევარ-სახელმწიფოებიდან", მოყოლებული ვიდრე ცენტრალიზებულ მონარქიამდე თვითმპყრობელი მეფის მეთაურობით.

მთავრის ხელისუფლება, რომლისგანაც წარმოიშვა მეფის ხელისუფლება, თავდაპირველად არჩევითი ხასიათისა იყო. ასე იყო, როგორც ვიცით, ქართლში VI საუკუნის დამლევს, სადაც ერისმთავარი ქართველი ფეოდალების ამორჩეული მეთაური, ნდობით აღჭურვილი

წარმომადგენელი იყო. ამის შესახებ ხსოვნა ფეოდალებს საუკუნეების მანძილზე შერჩათ და ქართველი ხელმწიფეები, რომელნიც მემკვიდრეობითი ხელისუფლებისა და თვითმპყრობელობისაკენ მიისწრაფოდნენ, ყოველთვის იძულებული იყვნენ, ანგარიში გაეწიათ ფეოდალური არისტოკრატიის მოთხოვნილებისათვის, რომლის მიხედვითაც არისტოკრატიას უფლება უნდა ჰქონოდა, ამა თუ იმ სახით დასტური მიეცა სამეფო ტახტის დაკავებაზე მისი კანონიერი მემკვიდრის მიერ.

დიდგვარიანი აზნაურობისაგან დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ქართველი მეფეები იყენებდნენ არა მარტო პოლიტიკურს, არამედ იდეოლოგიურ საშუალებებსაც. ამათ რიცხვს ეკუთვნის ძველი და გავრცელებული თეორია, რომლის თანახმადაც მეფეებს თავისი ხელისუფლება მიღებული აქვთ არა ხალხისაგან, ან ხალხის რომელიმე ერთი ნაწილისაგან, არამედ ზეგარდმო, ღვთისაგან. უზენაესი ხელისუფლების წყარო, ამრიგად, საზოგადოების წიაღიდან მის გარეთ გადაჰქონდათ.

სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის თეორია საეკლესიო დალოცვა-კურთხევის წესით შარავანდედმოსილი, გამოყენებული იყო ფეოდალურ საქართველოში ჯერ კიდევ მის გაერთიანებამდე.

სამეფო ხელისუფლების ისტორიისათვის საქართველოში განსაკუთრებულ ინტერესს შეიცავს ტაო-კლარჯეთის მფლობელთა, ბაგრატიონთა, სახლის ხელისუფლების ისტორია.

**სახელმწიფოებრიობა და სამეფო ხელისუფლების ხასიათი ტაო-კლარჯეთში.** ტაო-კლარჯეთის სამთავრო სახლის, რომელმაც შემდეგში საფუძველი დაუდვა სრულიად საქართველოს ეროვნულ დინასტიას, დამაარსებელს აშოტ ბაგრატიონს თავისი ხელისუფლება არ მიუღია ადგილობრივი ფეოდალებისაგან. მან იგი იშოვა ხმლითა და ოქროთი და შემდეგ გარეშე ძალაზე — ბიზანტიის იმპერატორზე — დაყრდნობით განამტკიცა. ეს უპირატესი, სხვა ფეოდალებთან შედარებით, მდგომარეობა, რომელიც ბაგრატიონებმა იმთავითვე მოიპოვეს, შემდეგში კიდევ უფრო გაძლიერებულ იქნა იმ ლეგენდის წყალობით, რომელიც ამტკიცებდა — ბაგრატიონები ისრაილის განთქმული მეფე-წინასწარმეტყველის დავითის შთამომავალნი არიანო, და რომელიც მათ, ამრიგად, — სახარების გენეალოგიის საფუძველზე, — ღვთისმშობელსა და ქრისტესთან ანათესავებდა. ეს თქმულება, რომელიც საქართველოში გავრცელდა ჯერ კიდევ IX საუკუნეში, ხოლო მალე ცნობილი გახდა მეზობელ ქვეყნებშიაც (952 წელს მას იმეორებს ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი), ავსებდა და ართულებდა სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის თეორიას თვით დინასტიის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წარმოშობის

იდეით. ცრუმორწმუნე საშუალო საუკუნეების საზოგადოების შეგნება-
ში ასეთი შთამომავლობა ბაგრატიონებს განსაკუთრებული შარავან-
დედით მოსავდა, მათი პრესტიჟისა და პოპულარობის ზრდას დიდად
ხელს უწყობდა.

გასაგებია ამიტომ, რომ, ტაო-კლარჯეთის მფლობელების აზრით, მათ სხვა ქვეყნების ხელმწიფეებზე ნაკლები უფლება არ ჰქონდათ თავისი თავისათვის „ღვთივ გვირგვინოსანი", „ღვთივ დიდებული", „ღვთივ დამყარებული" მეფეები ეწოდებინათ.

მეორე მხრით, სამთავროს წარმოშობის იგივე პირობები, ეპოქის საერთო ხასიათთან დაკავშირებით, ხელს უშლიდა ხელისუფლების ჯეროვან ცენტრალიზაციას ტაო-კლარჯეთში. აქ იმთავითვე შეთვისებულ იქნა შეხედულება, რომ სამთავრო შეადგენს დინასტიის საერთო-საგვარეულო კერძო საკუთრებას. როგორც ხელისუფლება, ისე თვით სამფლობელო თაობიდან თაობაში განუწყვეტლივ ქუცმაცდებოდა აშოტ ბაგრატიონის მრავალრიცხოვან შთამომავალთა შორის. ასე ჩამოყალიბდა წყობილება ტაო-კლარჯეთის სახელმწიფოსი, რომელიც ცალკეული, შინაგანი დამოუკიდებელი და ურთიერთ შორის სუსტად დაკავშირებული სამფლობელოებისაგან შედგებოდა. ჩვენ ვიცით, რომ ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენელნი, ამ სამფლობელოთა მეთაურები, სხვადასხვა ტიტულს ატარებდნენ, როგორიც იყო მამფალი, მაგისტროსი, ერისთავთ-ერისთავი, ერისთავი და ა. შ., მაგრამ ამასთან ერთად, ისინი ყველანი როგორც ოფიციალურს, ისე კერძო მეტყველებაში ერთნაირად იწოდებიან „მეფეებად" და „ხელმწიფეებად". საგვარეულოსა და სახელმწიფოს მეთაური, რომელიც ჩვეულებრივად ბიზანტიური კარის წოდებით—„კურაპალატობით"—იყო შემკობილი, მხოლოდ პირველი იყო თანასწორთა შორის. ტაო-კლარჯეთის სამეფოს დიდი გაძლიერება დავით III-ის დროს არ შეხებია სახელმწიფოს შინაგან აღნაგობას, რომელიც ძველი დარჩა. დავით მესამის ტიტული „მეფეთა მეფე" ადასტურებდა მრავალი მეფის არსებობას, რომელთა შორის ერთი იყო უფროსი მეფე, მეფეების მეფე. საქართველოს გაერთიანების მოსურნესა და მოამაგეს, დავით მესამეს, ჩანს, ეს გაერთიანება ტაო-კლარჯეთის ყაიდაზე ჰქონდა წარმოდგენილი, ე. ი. ცალკეული, შინაგან დამოუკიდებელი, სამფლობელოების ფედერაციის სახით, რომელსაც სათავეში სრულიად საქართველოს მეფეთა მეფე უდგას.

მაგრამ ქვეყნის სამეურნეო და საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური მსვლელობა უკვე ველარ ეტეოდა არსებული სახელმწიფოებრივი სისტემის ჩარჩოებში და მმართველობის მეტ ცენტრალიზაციას მოითხოვდა.

გაერთიანებული საქართველოს პირველივე მეფე, დავით III-ის შვილობილი და აღზრდილი, ბაგრატ III, დაჯერებული მომხრეა ახალი შეხედულებისა სამეფო ხელისუფლებასა და სახელმწიფო წყობილებაზე.

**მონარქია ბაგრატ III-ისა და მისი მემკვიდრეების დროს.** ბაგრატ მესამე მიისწრაფოდა შეუზღუდველი ერთმმართველობისაკენ, მრავალმთავრობას იგი შეუწყნარებლად თვლიდა. ბაგრატიონთა საგვარეულო ისტორიკოსი, სუმბატ დავითის ძე, ამ მეფობის რეალურ ტენდენციებს ასახავს, თუმცა გაზვიადებით, როცა წერს, რომ ბაგრატ მესამემ „დაიპყრა ყოველი კავკასია თვითმპყრობლობითა ჯიქეთითგან ვიდრე გორგანადმდე, ხოლო ადარბადაგანი და შარვანი მოხარკე ყო, სომხითისა ხელმწიფეთა ნებიერად განაგებდა"-ო. სინამდვილეში ბაგრატ მესამემ, რომლისაგან დამოკიდებულებაში, მართლაც, იმყოფებოდა ზოგიერთი მეზობელი მხარე, თავისი თვითმპყრობელობა განავრცო მხოლოდ საქართველოს უდიდეს ნაწილზე. ამ მიზნისათვის კი იგი არ ერიდებოდა ყველაზე მკაცრ ღონისძიებებს, მათ შორის თავისი უახლოესი ნათესავების მოსპობასაც კი. ამ საშუალებით მან თავის სამეფოში მემკვიდრეობითი მფლობელები ყველგან ერისთავებით, ე. ი. მეფისმოხელეებით შეცვალა. დამახასიათებელია, რომ ბაგრატ მესამეს არ უყვარდა და არც უტარებია „მეფეთა მეფის" წოდებულება, რომელიც ახლო წარსულის ნაშთი და მოგონება იყო. იგი მარტივად „მეფედ" იწოდებოდა; ამით უნდა განმტკიცებულიყო ხალხში აზრი, რომ ქვეყანას შეიძლება მხოლოდ ერთი მეფე ჰყავდეს.

ბაგრატ III-ის მემკვიდრეებმა ფორმალურად შეინარჩუნეს მის მიერ შექმნილი სახელმწიფო წყობილება, ოღონდ ისინი მეტად სუსტი იყვნენ იმისათვის, რათა ფაქტიურად განეხორციელებინათ თავისი თვითმპყრობელობითი უფლებები. ერთ შემთხვევაში ისინი იძულებულიც კი გახდნენ, დიდ დათმობაზე წასულიყვნენ და ძველი წესები აღედგინათ: კახეთ-ჰერეთი არა მარტო განდგა და დამოუკიდებელ ფეოდალურ სამფლობელოდ ჩამოყალიბდა, არამედ ამ სამთავროს მეთაურმა „ჰერთა და კახთა მეფის" (ანუ „რანთა და კახთა მეფის") ტიტულიც კი დაიჩემა. ამ პერიოდში სრულიად საქართველოს მეფე იმას სჯერდება, თუ ჰერთა და კახთა მეფე თავის თავს მის ყმად აღიარებს.

ამასთანავე, საყურადღებოა, რომ სრულიად საქართველოს მეფეები ბაგრატიონთა დინასტიიდან ჩვეულებად იდებენ თავისსავე სიცოცხლეში თავიანთი მემკვიდრეების მეფეებად და თანამოსაყდრეებად (თანამმართველებად) გამოცხადებას. ამ გზით ისინი ცდილობდნენ, ხელისუფლების უწყვეტი, პირდაპირი ხაზით გადაცემა უზრუნველ-

უყოთ და თავიანთი მემკვიდრეების მდგომარეობა განემტკიცებინათ. ცხადია, რომ ტახტის მემკვიდრეობის დაუწერელი კანონი, რომლის თანახმადაც გვირგვინი გვარში უფროსს ეკუთვნოდა, ჯერ კიდევ არ გამხდარიყო უზენაესი ხელისუფლების ისეთი მემკვიდრეობის ერთად-ერთი და სავსებით საიმედო საწინდარი, როგორიც მეფეებისათვის იყო სასურველი.

**დავით მეოთხის რეფორმების სოციალურ-ეკონომიკური პირობები. ქალაქების განვითარება.** XII საუკუნის დამდეგს განხორციელებული რეფორმები მომზადებული იყო საქართველოს ისტორიის მთელი წინამორბედი მსვლელობით. ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარება გავლენას ახდენდა საზოგადოების შინაგან ურთიერთობაზე და წინ აყენებდა ახალ სოციალურ ჯგუფებს — საშუალო და წვრილ აზნაურობას ვაჭრებსა და ხელოსნებთან ერთად. ქვეყნის წინსვლა სამეურნეო და საზოგადოებრივ სფეროში ყველაზე უკეთ გამოიხატა ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების განვითარებაში, რომელთაც ამ დროისათვის მაღალ დონეს მიაღწიეს, ფეოდალური ხანის კვალობაზე, ხოლო ქალაქები, წვრილ მემამულე აზნაურობასთან ერთად, ზეაღმავალი მეფის თვითმპყრობელობის მთავარ საყრდენს შეადგენდნენ. ნიშანდობლივია ამ მხრივ, რომ მაშინ, როცა ისნის ციხეში გამაგრებული თბილისის სამხედრო-ფეოდალური ზედაფენა მედგრად ეწინააღმდეგებოდა საქართველოსთან თბილისისა და მისი მხარის შეერთების ცდებს, თბილისის „ბერებმა“, ე. ი. მოქალაქეების წარმომადგენლებმა, ორჯერ გადასცეს ქალაქი ბაგრატ მეოთხეს.

თუ როგორ წინ იყო წასული საქალაქო ცხოვრება იმდროინდელ საქართველოში და თუ ვინ იყვნენ თბილისის ბერები, ამას არაბი ისტორიკოსის ალ-ფარიკის ცნობა გვიჩვენებს. ალ-ფარიკის, ერთი პირობა, თვითონ უცხოვრია საქართველოში და დავით აღმაშენებლის შვილის, დემეტრე მეფის, სამსახურში ყოფილა. იგი წერს: „თბილისს დაახლოებით ორასი წლის განმავლობაში ფლობდა ბანუ-ჯაფარის მკვიდრი საგვარეულო. მაგრამ შემდეგ მისი უფროსი წარმომადგენლები ამოწყდნენ და ქალაქის მმართველობა გადავიდა მისი მცხოვრებლების ხელში, ისე რომ, თითოეული მათგანი მართავდა ქალაქს თითო თვე. ასე გაგრძელდა ორმოცი წელი“.

ამრიგად, საქართველოს ძველი დედაქალაქის მოქალაქეთა და მისი არაბ-მაჰმადიანი მეპატრონის შინაგანი წინააღმდეგობა მოქალაქეთა სრული გამარჯვებით დამთავრებულა. მოქალაქეებს თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოუპოვებიათ და თბილისი საქალაქო რესპუბ-

ლიკად, კომუნად, გადაუქცევიათ. როცა დავით აღმაშენებელმა თბილისი დაიკავა, მას არ შეეძლო იგი თავისი მმართველობისათვის არ დაექვემდებარებინა და მოქალაქეთა თვითმმართველობა მეტნაკლებად არ შეეკვეცა. მაგრამ დიდი სახელმწიფოს თვითმპყრობელი მეფისაგან დამოკიდებულება სულ სხვა იყო, ვიდრე ადგილობრივი ფეოდალი მთავრისაგან. დავითმა თბილისში ისეთი წესები შემოიღო, რომლებიც სავსებით შეეფერებოდა ვაჭარ-ხელოსანთა ინტერესებს და მათი საქმიანობის განვითარებას ხელს უწყობდა.

**მონარქიის თეორია დავით აღმაშენებლის ხანაში.** XI საუკუნის დამლევისათვის ქართველი საზოგადოების მოწინავე წრეებში უკვე სრულიად გარკვეული შეხედულება იყო შემუშავებული მონარქიის დანიშნულების შესახებ. ეს შეხედულება გამოთქმული აქვს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს, მისს თანამედროვესა და თანამშრომელს. „ვინ და როგორ აღრიცხოს, — ამბობს იგი, — რამდენი საქმე მოეთხოვება მეფობას, რამდენი მოვალეობა და განსაგებელი: საზღვრების გაფართოება და მათი დაცვა, განხეთქილებათა არიდება, სამეფოში წესრიგის დამყარება, ლაშქრობათა მეცადინეობა, მთავართა მზაკვრობის გამოცნობა, მხედართმთავრების განწესება, ხალხის შეგონება, ადმინისტრაციული და სამოსამართლო გადაწყვეტილებანი, ხაზინის შემოსავალი, დესპანთა მიღება და მათთვის პასუხის გაცემა, ძღვნის მომტანთა ღირსეულად დასაჩუქრება, შეცოდებულთა ლმობიერი წვრთნა, დამსახურებულთა უხვად დაჯილდოება, საჩივართა სამართლიანი გამოძიება, მოსაკითხავთა შესაფერი მოკითხვა, ჯარის დაწყობა და მისი მარჯვედ გაძღოლა — ვინ ამოწურავს იმ სახელმწიფოებრივი საქმეების ზღვას, რომელშიაც არავინ არ ჰგავს დავითს, არც ძველი და არც ახალი მეფე".

აქ ჩამოთვლილია სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა მხარე, რომელნიც მმართველობის ძაფებით ერთიან ცენტრს — მონარქის ხელისუფლებას უკავშირდებიან.

ასე უთმობდა, თეორიაში თავდაპირველი ფეოდალი-მთავარი თავისი კერძო მეურნეობით ადგილს ფეოდალურ მონარქს, ცენტრალიზებული სახელმწიფოს მეთაურს.

პრაქტიკა შეესაბამებოდა თეორიას.

**დავით აღმაშენებლის რეფორმები.** დავით აღმაშენებლის ყველა ღონისძიება, მიმართული ფეოდალური სახელმწიფოს არსებული წყობისა და დაწესებულებათა გარდაქმნისაკენ, ემსახურებოდა 2 ძირითად ამოცანას: 1) სახელმწიფოს შინაგანი ერთიანობის განმტკიცებასა და 2) მართვა-გამგეობის ცენტრალიზაციას.

როგორც ერთის, ისე მეორე მიზნის მიღწევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა „მ წ ი გ ნ ო ბ ა რ თ უ ხ უ ც ე ს-ჭ ყ ო ნ დ ი დ ე ლ ი ს“, როგორც მთელი სახელმწიფო მმართველობის ხელმძღვანელის, თანამდებობის დაწესებას (1103—1110 წწ.). მწიგნობართუხუცესის, სამეფო კანცელარიის უფროსის, თანამდებობა ძველადვე არსებობდა საქართველოში, მაგრამ ახლა მწიგნობართუხუცესი პირველად ჩაუდგა სათავეში ადმინისტრაციულ აპარატს. ასევე სრულიად ახალი იყო ის წესიც, რომელიც შემდეგ საუკუნეთა მანძილზე ურყევად შემოინახა და რომლის მიხედვითაც მწიგნობართუხუცესად უნდა ყოფილიყო ბერი, ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსი, დასავლეთ საქართველოს უძლიერესი მღვდელმთავარი. ამით დასავლეთ საქართველოს კავშირი საერთო ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ორგანიზმთან შესამჩნევად უნდა განმტკიცებულიყო. გარდა ამისა, რაკი მეფეს თავის უახლოეს თანაშემწედ და უმაღლეს მოხელედ საქართველოს ერთი უძლიერესი ეპისკოპოსთაგანი ეყოლებოდა, მას ხელთ ეძლეოდა საეკლესიო საქმეებისათვის თვალყურის დევნებისა და სასულიერო პირთა მოქმედების კონტროლის მარჯვე საშუალება: მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის მეშვეობით ეკლესია მეფეს ექვემდებარებოდა. მაგრამ საქართველოს სამეფოს დიდი კანცლერის (ასეთი იყო ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სახელო) თანამდებობის შემოღება ნამდვილ გადატრიალებას მოასწავებდა მართვა-გამგეობის ცენტრალიზაციის თვალსაზრისით. ფეოდალურ საქართველოში, ისევე როგორც განვითარების იმავე საფეხურზე მდგომს ყველა სხვა ფეოდალურ ქვეყანაში, სახელმწიფოებრივი თანამდებობა ყოველთვის დაკავშირებული იყო მიწათმფლობელობასთან: ყველა თანამდებობა ეკავათ მემამულე ფეოდალებს, რომელთაც მეფე სამსახურისათვის კიდევ ახალ-ახალ მიწებს უწყალობებდა ხოლმე. ამრიგად, მსხვილი კერძო მიწათმფლობელობა შეუჩერებლად იზრდებოდა, ეს კი მეფის ცენტრალური ხელისუფლების შესუსტებას იწვევდა. შემდეგ: იმისთვის, რათა სამუდამო, საშვილიშვილო საკუთრებად შეენარჩუნებინათ მეფისაგან მხოლოდ პირობით სამფლობელოდ, სამსახურებრივ მოვალეობათა ასრულების განმავლობაში სასარგებლოდ ნაბოძები მიწები, დიდგვარიანი აზნაურები დაჟინებით ცდილობდნენ, რომ თვით ეს თანამდებობანი ექციათ თავიანთი სახლების მემკვიდრეობით თანამდებობებად. მემკვიდრეობითი მოხელეები — მსხვილი მიწათმფლობელები კიდევ უფრო სუსტად იყვნენ დამოკიდებული ცენტრალურ ხელისუფლებაზე.

ჭყონდიდელს კი, როგორც ბერად აღკვეცილს, არც მემკვიდრეები ჰყავდა და არც პირადი საადგილმამულო ქონება გააჩნდა. უმაღლესი

მოხელის როლში იგი ყველა დიდებულზე უფრო სანდო პირი იყო მეფისათვის.

როგორც ვხედავთ, უმაღლესი სამოქალაქო თანამდებობისა და ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსის მაღალი საეკლესიო თანამდებობის გაერთიანება იყო არა შემთხვევითი, არამედ ღრმად მოფიქრებული სახელმწიფოებრივი ღონისძიება. მეორე მხრით, არც ის ყოფილა შემთხვევითი, რომ საერო დიდი მოხელეებიდან დავით აღმაშენებელმა სწორედ მწიგნობართუხუცესი დააწინაურა; ეს თანამდებობა ყველაზე ნაკლებ იყო დაკავშირებული მეფის კერძო, პირად მეურნეობასთან და ყველაზე მეტად შეესაბამებოდა ცენტრალური ადმინისტრაციული ორგანიზაციის საერთო სახელმწიფოებრივ ამოცანებს.

დავითმა, გარდა იმისა, რომ ყველა საადმინისტრაციო თანამდებობა მწიგნობართუხუცესს დაუქვემდებარა, იგივე დანიშნა ახლად დაარსებულის სამი კაცისაგან შედგენილი, უზენაესი სასამართლოს— „სააჯო კარის“ მეთაურად. ამ სასამართლოს ევალებოდა, მოესმინა და გაერჩია ყველა დაჩაგრულისა და მიმძლავრებულის საჩივარი, რომელთაც სამართალი ვერ ეპოვნათ დაბალ სამსჯავრო დაწესებულებებში. თქმა არ უნდა, რომ სააჯო კარი მეფის პოლიტიკის ახალს მძლავრ იარაღს წარმოადგენდა.

მორჩილი და მოქნილი, სავსებით მეფის ნება-სურვილის დამყოლი დაწესებულების შექმნა ძირს უთხრიდა არისტოკრატიის გავლენას სახელმწიფო აპარატში. მეფის ხელისუფლება, რომელიც წვრილ აზნაურობასა და ქალაქებს ემყარებოდა, არაჩვეულებრივ გაიზარდა და ნამდვილად თვითმპყრობელური გახდა. ხოლო თუ რამდენად შეესაბამებოდა ეს რეფორმები საქართველოს საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებს, ჩანს იქიდან, რომ სანამ საქართველოს გაერთიანებული სამეფო არსებობდა, მისი სამმართველო ორგანიზაცია არსებითად იგივე დარჩა, როგორიც თავის დროზე დავით აღმაშენებელმა ჩამოაყალიბა.

**მონარქიის საერთაშორისო მდგომარეობა XII საუკუნის დამდეგისათვის.** ქართული სახელმწიფოს ძლიერებისა და მისი მეთაურის ძალაუფლების ზრდას თანსდევდა ქართული მონარქიის განსაკუთრებული საერთაშორისო დანიშნულებისა და მნიშვნელობის შეგნების ზრდა. ეს გარემოება, სხვათაშორის, საქართველოს მეფეთა წოდებულებაშიც აღიბეჭდა.

ბიზანტიის სამეფო კარის წოდება „კუროპალატი“, რაც ბაგრატიონებმა ჯერ კიდევ IX საუკუნის დასაწყისში მოიპოვეს და რაც მაშინ იმაზე მიუთითებდა, რომ კლარჯეთის მთავარი იმპერატორის ვასალი იყო, უკვე მომდევნო საუკუნეში იქცა საპატიო სამკაულად, რომელ-

საც თავისი პირვანდელი ფაქტიური მნიშვნელობა უკვე დაკარგული ჰქონდა.

X—XI საუკუნეში ტაო-კლარჯეთის სახელმწიფოს მეთაური და სრულიად საქართველოს მეფე აღარაფრით აღარ იყო დამოკიდებული იმპერატორზე. მაგრამ ის ფაქტი, რომ ქართველი მეფეები, ისევე როგორც ბევრი სხვა ქვეყნის დამოუკიდებელი მფლობელი, კვლავ ხალისით იღებდნენ „კუროპალატის" პატივს, მოწმობდა, რომ ისინი იზიარებდნენ შუა საუკუნეთა ქრისტიანულ სამყაროში გავრცელებულ შეხედულებას რომის იმპერატორის, როგორც მსოფლიო სახელმწიფოს მეთაურის, განსაკუთრებული მდგომარეობის შესახებ.

ქართველი მეფეები თანდათან თავისუფლდებიან ამგვარი შეხედულებისაგან. ეს იმით იწყება, რომ ისინი აღარ სჯერდებიან ჯერ წოდების ძველ შინაარსს, შემდეგ უკვე თვით წოდებასაც. ასე, მაგალითად: დავით III იწოდებოდა „ყოვლისა აღმოსავლეთისა კუროპალატად", რაც შეეფერებოდა იმ ადგილსა და მდგომარეობას, რომელიც მას აღმოსავლეთში ეჭირა. ბაგრატ მეოთხე კი უკვე „ყოვლისა აღმოსავლეთისა დიდი კუროპალატის" წოდებას ატარებს. მანვე შემდეგ მიიღო უფრო საპატიო ტიტული „ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოველისიმოსი", ხოლო მალე კიდევ უფრო მაღალი პატივი „სევასტოსისა". ბაგრატის ძეს, გიორგი მეორეს, ბიზანტიის სამეფო კარმა უკვე „კეისრის" ანუ „კესაროსის" პატივი მიანიჭა, ხოლო ზოგჯერ მას „აღმოსავლეთის მეფესა და კეისარს" ან „მაღალ კეისარს" უწოდებდნენ. „სევასტოსი" და „კესაროსი" იყო ბიზანტიის საიმპერატორო კარის უმაღლესი წოდებანი, რომელთაც ატარებდნენ იმპერატორის უახლოესი ნათესავები და თანამშრომლები, მისი თანამოსაყდრეები და მემკვიდრეები. კერძოდ, კეისრის წოდება უშუალოდ მოსდევდა თვით იმპერატორის წოდებას.

ამ მხრივაც გადამწყვეტი ნაბიჯი ისევ დავით აღმაშენებელმა გადადგა. ჯერ კიდევ ყრმამ, ტახტის მემკვიდრემ მან მიიღო „სევასტოსის", ხოლო შემდეგ „პანიპერსევასტოსის", ე. ი. „უმაღლესი სევასტოსის" წოდება. მაგრამ გახდა თუ არა თვითმპყრობელი ხელმწიფე, მან უკუაგდო ყველა ეს საპატიო, კონსტანტინოპოლის სასახლიდან მომდინარე წოდებანი. ცხადია, რომ დავითისათვის ბიზანტიის სამეფო კართან ურთიერთობა მხოლოდ და მხოლოდ თანასწორობის საფუძველზე იყო შესაწყნარებელი, იგი არ სცნობდა ბიზანტიის იმპერატორის არავითარ უპირატესობას. მას შეუძლებლად მიაჩნდა, საქართველოს მეფეს ბიზანტიის იმპერატორისაგან მიეღო ისეთი პატივი და წოდებაც კი, რომელნიც თავის დროზე თვით იმპერატორს განეკუთვნებოდა, და რომელთაგან „კეისარმა" საქართველოში ბოლომდე შეინარ-

ჩუნა თავისი ძველი მნიშვნელობა. ესოდენ მაღალი წარმოდგენა საქართველოს მეფის ღირსების შესახებ ემყარებოდა იმ უეჭველ ფაქტს, რომ მას შემდეგ, რაც ბიზანტიამ ახლო აღმოსავლეთში, სელჩუკიანებთან ბრძოლაში საშინელი დამარცხება და უზარმაზარი დანაკლისი განიცადა და რაც სომხეთის სამეფო-სამთავროები დაეცა, საქართველო წინა აზიის არა მარტო ერთადერთი ქრისტიანული სახელმწიფო იყო, არამედ მის გადამწყვეტ პოლიტიკურ ძალადაც იქცა.

## § 71. ქართული ფეოდალური მონარქია XII საუკუნეში

**სამმართველო აპარატი.** ისეთი ვრცელი სახელმწიფოს მართვას, როგორიც იყო საქართველოს სამეფო XII საუკუნეში, დიდი და რთული ადმინისტრაციული მექანიზმი სჭიროდა. სწორედ ამგვარი სახით წარმოგვიდგება იგი ჩვენ.

სამეფოს უმაღლესი მოხელეები იყვნენ მინისტრები, რომელთაც XII საუკუნის მეორე ნახევრიდან, არაბულ-სპარსული ტერმინოლოგიით, „ვაზირებს" უწოდებდნენ. თავდაპირველად 4 ვაზირი იყო; თამარ მეფემ შემოიღო მეხუთე ვაზირის — *საქართველოს ათაბაგის* — ხელი, ხოლო თამარის ასულმა, რუსუდან დედოფალმა, გაავაზირა ძველი კარის მოხელე — *მსახურთუხუცესი*, თავისი საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახით ქართული სავაზირო შედგებოდა შემდეგი 6 ვაზირის ანუ მინისტრისაგან: *მწიგნობართუხუცესი, ათაბაგი, მანდატურთუხუცესი, ამირსპასალარი, მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი.*

მინისტრები მთავრობის მეთაურის გარეშე ორ ჯგუფად იყოფოდნენ იმ პატივის მიხედვით, რომელიც მათ მეფის კარზე ჰქონდათ მინიჭებული. ათაბაგი, მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი შეადგენდნენ „*სამთა ვაზირთა ჯგუფს*", ხოლო მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი — „*ორთა ვაზირთა ჯგუფს*".

ათაბაგს გარდა, ყოველ ვაზირს ჰქონდა თავისი გარკვეული ფუნქცია და ყოველი მათგანი სათავეში უდგა უწყებას, რომლის სხვადასხვა დაწესებულებაში მრავალი, სხვადასხვა ხარისხის მოხელე მუშაობდა.

პირველი მინისტრი „ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესად და ვაზირთა ყოველთა უპირველესად" იწოდებოდა. ამასთანავე, მას ჩვეულებრივ „მეფის მამას" ეძახდნენ და ნამდვილადაც იგი მეფის უახლოესი მრჩეველი, თანაშემწე და ნაცვალი იყო; საქართველოს პირველი ვაზირი (დიდი კანცლერი), ასე ვთქვათ, უდიდესი უფლებებით აღ-

ჰურვილი მთავარი სახელმწიფო კონტროლიორი იყო და იმავე დროს უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე. მას ექვემდებარებოდა 26 მწიგნობარი (კანცლერი ანუ მდივანი), რომელთაგანაც საწოლის მწიგნობარი და ზარდახნის მწიგნობარი დიდი კარისკაცები იყვნენ და თავიანთ უფროსთან ერთად უზენაესი სასამართლოს „სამეულს“ შეადგენდნენ; მწიგნობართუხუცესს ყველა სახელმწიფო დაწესებულებაზე მიუწვდებოდა ხელი.

მანდატურთუხუცესი, რომელსაც ხელისუფლების ნივთიერ ნიშნად ოქროს კვერთხი ჰქონდა მინიჭებული, იყო სამეფო კარის, შინაგან საქმეთა და ფოსტის მინისტრი. მის ხელქვეითთაგან პირველი ადგილი ეჭირა ამირეჯიბს, რომელიც მეფის დარბაზობის ცერემონიალს ხელმძღვანელობდა ხოლმე და საერთოდ დიდი კაცი იყო სამეფოში.

ამირსპასალარი სამხედრო მინისტრი იყო. მისი უწყების უდიდეს მოხელეებად ითვლებოდნენ: ამირახორი — მთელი სახელმწიფო მეცხენეობის მეურნეობის უფროსი და ვაზირის მოადგილე, მეაბჯრეთუხუცესი — ჯარის მატერიალური მომარაგების გამგე, და მეჯინიბეთუხუცესი.

მეჭურჭლეთუხუცესი ფინანსთა მინისტრი იყო. მასაც თავისი ნაცვალი, ე. ი. მოადგილე ჰყავდა.

მსახურთუხუცესი იყო მეფისა და მისი ოჯახის საკუთარი ქონებისა და მეურნეობის მინისტრი. მანდატურთუხუცესისა და მსახურთუხუცესის ფუნქციათა გამიჯვნა იმას მოასწავებს, რომ მაშინ მეფის პირადს, კერძო ქონებას უკვე ასხვავებდნენ სახელმწიფო საკუთრებისაგან.

ვაზირთა საბჭოს სხდომებს მეფე თავმჯდომარეობდა. მათზე დასწრება, ვაზირთა გარდა, შეეძლოთ — და ისიც შეზღუდული, სათათბირო ხმის უფლებით — მხოლოდ ამირახორს, ამირეჯიბსა და საწოლის მწიგნობარს.

ვაზირთა საბჭოს სხდომებზე სამეფოს დარბაზობისას სასტიკად იცავდნენ „ჯდომისა და დგომის წესს“: თითოეული იკავებდა მისთვის წინასწარ განკუთვნილ ადგილს, მეფისაგან მეტ-ნაკლებ მანძილზე, მის ხელმარჯვნივ თუ ხელ-მარცხნივ. ამასთანავე ზოგი იდგა, ზოგი იჯდა და თვით სკამ-სავარძლებიც განსხვავდებოდა ერთიმეორისაგან.

„ჯდომისა და დგომის წესში“ ერთ-ერთი გამოსახულება ჰპოვა ფეოდალური საზოგადოების იერარქიამ.

თემებს უწინდებურად ერისთავები განაგებდნენ. მათგან უდიდესთ — თამარის დროს კი 9 იყო ასეთი — ერისთავთ-ერის-

თ ა ვ ე ბ ი ეწოდებოდათ. ერისთავებს მოჰყვებოდნენ პროვინციის მრავალრიცხოვანი მოხელენი: ხ ე ვ ი ს ბ ე რ ი, ხ ე ვ ი ს უ ფ ა ლ ი, მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი და სხვ. ციხეებისა და გამაგრებული პროვინციული ქალაქების უფროსობა ც ი ხ ი ს თ ა ვ ე ბ ს ჰქონდათ ჩაბარებული.

დიდი ქალაქების მართვაში მეფის ნდობით აღჭურვილი პირი იყო ა მ ი რ თ ა მ ი რ ა.

**მეფის ღვთისსწორობის იდეა.** არსებული წყობილების დაცვასა და განმტკიცებას ემსახურებოდა არა მარტო იძულების მძლავრი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, არამედ აგრეთვე საზოგადოების ფართო ფენებზე იდეოლოგიური ზემოქმედების საშუალებებიც. ამ უკანასკნელთ ხალხისათვის უნდა ჩაენერგათ რწმენა, რომ არსებული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება იმთავითვე ზეგარდმო არის ნაბოძები და ამიტომ ერთადერთი ბუნებრივი წყობილებაა.

ერთ-ერთი ამგვარი საშუალება იყო მეფის პიროვნების გაღმერთება, რის ტენდენცია XII საუკუნეში იჩენს თავს საქართველოში. მეფეზე, როგორც „ნებითა ღვთისათა", „ღვთივ ცხებულსა" და „ღვთივ დამყარებულ" მეფეზე წარმოდგენის შეცვლა მეფეზე, როგორც ღვთის ძესა და ღმერთკაცზე წარმოდგენით გააადვილა ჩვენთვის უკვე ცნობილმა ლეგენდამ ბაგრატიონთა ჩამომავლობის შესახებ. გიორგი მესამის თანამედროვე და მისი მეხოტბე ისტორიკოსი არ სჯერდება იმის მტკიცებას, რომ გიორგი III თვით ღმერთმა მოუვლინა მის ქვეშევრდომებს თავის მსგავსება ხელმწიფედ („ღმრთისაგან მის სახედ ჩენილი პატრონი"); იგი გიორგის ასულს, თამარ მეფეს, უწოდებს წმინდა სამების მეოთხე წევრს, ღვთაებრივად სრულყოფილს, უკვდავს. თამარის ძის — ლაშას შესახებ ისტორიკოსი გვეუბნება, რომ იგი წინასწარ იყო მეფის ძედ და მეფედ განჩინებული. ოფიციალური დოკუმენტებიც კი თამარს, ისევე როგორც ბიზანტიის იმპერატორებს, „ღვთის სწორს" უწოდებენ ხოლმე.

**ქართველი მონარქების საგარეო პოლიტიკური მისწრაფებანი.** დავით აღმაშენებლის შემდგომ ქართველ მეფეთა გარეპოლიტიკური მისწრაფებები შეუნელებლივ იზრდება. ეს მისწრაფებები ბოლოს ყალიბდება როგორც ისტორიული სარბიელიდან ჩამომავალი ბიზანტიის იმპერატორის ადგილის დაკავების პრეტენზია. თუ გიორგი მესამეს ჯერ კიდევ „აღმოსავლეთისა და ჩრდილოისა მპყრობელი" ეწოდება და ამით იგი უპირისპირდება ბიზანტიის იმპერატორს, რომელსაც „ყოვლისა დასავლეთისა და საბერძნეთის მეფის" სახელით იხსენიებენ, შემდეგში ქართველი ისტორიკოსები თავიანთ მბრძანებლებს უკვე რომის იმპერა-

ტორთა ტიტულს, „ავგუსტუს“-ს აკუთვნებენ („ავღუსტიანი“) და აგრეთვე „მეფობისა და სულტნობისა ერთად მქონებლობას“ მიაწერენ.

ოფიციალური თვალსაზრისი საქართველოს მეფის ხელისუფლების ფარგლების შესახებ ასახულია ჩვეულებრივსა და XII საუკუნისათვის უკვე დაკანონებულ სამეფო ტიტულატურაში: „ნებითა ღმრთისაითა მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვან-შაჰ და შაჰან-შაჰ და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითფლობით მპყრობელი“. ამ ფორმულაში საკუთრივ ქართულ თემთა გარდა ჩამოთვლილია არაქართული ქვეყნებიც, რომლებზედაც ამა თუ იმ ზომით ვრცელდებოდა საქართველოს მეფის ძალაუფლება. აქ თემებისა და ქვეყნების დასახელების რიგი იმეორებს მათი ერთ სახელმწიფოში გაერთიანების ისტორიულ თანამიმდევრობას. ფორმულის „რანთა“ მიუთითებს რანზე ანუ არანზე, შარვან-შაჰ — შარვანზე, შაჰან-შაჰ — საკუთრივ სომხეთზე, „აღმოსავლეთი და დასავლეთი“ გულისხმობს აღმოსავლეთის მართლმადიდებელთა სამყაროს, მთლიანად.

**მონარქიის საერთაშორისო მდგომარეობა.** მართლაც. განვლილ ხანაში საქართველოს სახელმწიფოს გარეპოლიტიკური მნიშვნელობა და ავტორიტეტი საგრძნობლად გაიზარდა. XII საუკუნეში და XIII საუკუნის დასაწყისს საქართველო წარმოადგენს დიდ სახელმწიფოს, რომელიც აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო ცხოვრებაში და თავის საკუთარს დიდ პოლიტიკას აწარმოებს. ამ გარემოებამ თავი იჩინა, მაგალითად, ქართულ-ბიზანტიურსა და ქართულ-თურქულ ურთიერთობაში.

XII საუკუნეში თურქ-სელჩუკიანთა იმპერია, რომელმაც ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური სარბიელიდან ბიზანტია განდევნა, თვითონაც დაირღვა და ცალკე მაჰმადიანურ სამიროებად დაიშალა. მაგრამ ბიზანტიას აღარ შეეძლო აღმოსავლეთში შექმნილი ახალი ხელსაყრელი ვითარების გამოყენება და სელჩუკიანებზე იერიშის მიტანა. ის კი არა და, მან გულმშვიდად ნება მისცა სელჩუკიანთა სახელმწიფოდან, XI საუკუნის ბოლოს მცირე აზიაში გამოყოფილს რუმის სასულტნოს, ქცეულიყო ისეთ ძალად, რომელმაც შემდეგში დიდად შეუწყო ხელი იმავე ბიზანტიის დაცემას. ამასთანავე ბიზანტიას გაუჩნდნენ ახალი, მეტად საშიში მტრები, რომელნიც უკვე დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან უტევდნენ მას. ეს მტრები იყვნენ რომის პაპი, იტალიელი ვაჭრები და ნორმანი, გერმანელი და ფრანგი ბარონები, რომელნიც აღმოსავლეთის იმპერიის მიწა-წყლისა და გზების ხელში ჩაგდებაზე და ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის დამორჩილებაზე ოცნებობდნენ; ჩრდილოეთით ბიზანტიას ემუქრებოდ-

ნენ მომთაბარე, თურქული მოდგმის ტომები — პაჭანიკები და ყივჩაყები (ბიზანტიაში კომანებად წოდებულნი). იმპერიის თავზე ჩამოწოლილი საფრთხე მით უფრო დიდი იყო, რომ შიგ იმპერიაში მოქმედებდნენ მსხვილ მიწათმფლობელთა და ძირგამომპალი ბიუროკრატიის რეაქციული ძალები, რომელთაც უკიდურესად დააკნინეს და დაასუსტეს ქვეყანა და სახელმწიფო. შინაგან წინააღმდეგობათგან შერყეულს ქვეყანაში ფეოდალური რეაქცია გარეშე მტრების მთავარ დასაყრდენად იქცა. ბიზანტიის მოხელეთა და წარჩინებულ მემამულეთა ჯგუფების მეტოქეობა და შუღლი ისე შორს მიდიოდა, რომ ისინი უცხოელების, სახელმწიფოს დაუძინებელი მტრების თავის დამხმარედ მოწვევასაც კი აღარ თაკილობდნენ ხოლმე.

ამ უცხოელთა შორის ერთერთი პირველი ადგილი უნდა მივაკუთვნოთ ნორმანებს, რომელთაც XI საუკუნის შუაწლებში უკვე კეისრის კუთვნილ იტალიის მიწა-წყალზე დაიწყეს თანდათან შეჭრა. 1071 წელს, სწორედ მაშინ, როცა რომანოზ დიოგენმა იმპერიისათვის საბედისწერო დამარცხება განიცადა მანასკერტთან, ნორმანებმა დაასრულეს სამხრეთ იტალიის დაპყრობა. ამის შემდეგ ნორმანების მთავარ ოცნებად უკვე თვით კონსტანტინოპოლის ხელში ჩაგდება გადაიქცა.

ნორმანებზე ნაკლებ არც ჯვაროსნები და მათი აღმოსავლეთს ლაშქრობანი აწუხებდნენ კონსტანტინოპოლის იმპერატორებს. ჯვაროსნული ომების დიდი მოძრაობა წამოწყებულ იქნა აღმოსავლეთის და, უწინარეს ყოვლისა, ბიზანტიის ქრისტიანთა დახმარების ლოზუნგით, ანუ, როგორც დასავლეთის ქრისტიანებს ამცნობდა რომის პაპი, ქრისტიანთა მჩაგვრელი „წარმართების“ წინააღმდეგ საბრძოლველად, „რომელთაც საშინელი სისასტიკით გაანადგურეს ყველაფერი ვიდრე თითქმის თვით კონსტანტინოპოლის ზღუდეებამდე“. ამასთანავე, ჯვაროსანთა ლაშქრობის ოფიციალურ მიზანს წარმოადგენდა ქრისტიანთა წმიდა ადგილების გათავისუფლება „ურწმუნოთაგან“ — მაჰმადიანი თურქებისაგან. თუ კი ჯვაროსნებმა ოდესმე და რამდენადმე მაინც შესძლეს მიახლოებოდნენ ამ საჯაროდ გამოცხადებულ მიზნებს, ეს, რა თქმა უნდა, ისევ პირველი ლაშქრობის დროს იყო (XI საუკუნის ბოლოს), მაგრამ მაშინაც კი ჯვაროსნებს რამდენიმე დიდი შეტაკება მოუხდათ ბიზანტიელებთან. პირველმა ჯვაროსნულმა ლაშქრობამ ბიზანტიისა და დასავლეთ ევროპის გათიშვას შეუწყო უფრო ხელი, ვიდრე მათ დაახლოებას. ნამდვილი განხეთქილება კი მოხდა ჯვაროსანთა მეორე ლაშქრობის დროს (1147 წ.), როცა ცხადი გახდა, რომ დასავლეთის „მოძმე ქრისტიანებს“ შორეულ აღმოსავლეთში მიწების მძიმე ბრძოლით მოპოვებას ერჩიათ ახლოს მდებარე და ადვი-

ლად დასაპყრობ ბიზანტიურ სამფლობელოთა — მათ შორის თვით კონსტანტინოპოლის — ხელში ჩაგდება. XII საუკუნის დამლევს ყოველმხრივ ალყაშემორტყმული აღმოსავლური იმპერიის მდგომარეობა ძალზე გაუარესდა.

სახელმწიფოს გადარჩენის უკანასკნელი, გაბედული ცდა კომნიანოსთა მმართველი დინასტიის წარმომადგენელს — ანდრონიკე პირველს, იმპერატორ მანოელ პირველის ბიძაშვილს ეკუთვნის. მანოელის სიკვდილის შემდეგ აღძრულმა მძლავრმა პატრიოტულმა გამოსვლამ საძულველი, კონსტანტინოპოლში უკვე ყველაფერს დაპატრონებული „ლათინების“ წინააღმდეგ ჯერ სახელმწიფოს რეგენტად აქცია ანდრონიკე (1182 წ.), ხოლო შემდეგ იმპერატორად (1184 წ.).

ანდრონიკე I მჭიდროდ იყო საქართველოსთან დაკავშირებული. დედა მისი დავით აღმაშენებლის ასული იყო. XII საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებში იგი მთელი თავისი ოჯახით მოვიდა საქართველოში და დიდხანს ცხოვრობდა აქ. გიორგი მესამემ ძალიან კარგად მიიღო თავისი მამიდაშვილი. შესაძლოა, რომ 1182—1184 წწ. მომხდარი ამბების დროს ანდრონიკეს უკვე ეხმარებოდნენ საქართველოდან.

თავისი ხანმოკლე მეფობის დროს ანდრონიკე I ცდილობდა, მტკიცე ხელით მოეწესრიგებინა სახელმწიფო საქმეები, ბოლო მოეღო სასახლეში გაბატონებული მფლანგველობისა და დიდებულთა ბოროტმოქმედებისათვის, გაეწმინდა და გაეჯანსაღებინა ადმინისტრაციული აპარატი, შეემსუბუქებინა მოსახლეობისათვის გადასახადების ტვირთი. მისი მოქმედებით სასტიკად შევიწროებულმა და შეურაცხყოფილმა მსხვილმა მიწათმფლობელმა არისტოკრატიამ ანგელოსთა საგვარეულოს მეთაურობით მოაწყო აჯანყება, რომელმაც იმსხვერპლა ანდრონიკეცა და მისი ძე მანოელიც (1185 წ.). მაგრამ მანოელის მცირეწლოვანი შვილები, ალექსი და დავითი, გადაარჩინეს ერთგულმა ადამიანებმა, რომელთაც ისინი საქართველოში დახიზნეს. აქ ბავშვებს მათი მამიდა, თამარ მეფე, ზრდიდა.

იმპერატორთა გვირგვინს ანგელოსები დაეპატრონენ. მათი მეფობის დროს სახელმწიფოს ხრწნა და რღვევა სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა და ბოლოს კატასტროფით გათავდა. მეოთხე ლაშქრობისათვის დაძრულმა ჯვაროსნებმა მაშინვე ბიზანტიას მიაშურეს, რომლის კარები მათ თვით ანგელოსებმა გაუღეს, ერთმანეთს ტახტის გამო რომ ექიშპებოდნენ. 1203 წელს ჯვაროსნები უკვე ფაქტიურად ბატონობდნენ ბიზანტიაში. მომდევნო წლის დამდეგს უცხოელთა საქციელით აღშფოთებული ბერძნული მოსახლეობა აუმხედრდა ჯვაროსნებს, რასაც მათ გაუგონარი ძალადობით უპასუხეს: კონსტანტინოპოლი აიღეს,

ზოგიერთი მისი უბანი მთლიანად გადაწვეს, ანტიკური და საშუალო საუკუნეების ხელოვნების უძვირფასესი ძეგლები გაანადგურეს, დიდძალი ხალხი — და მათ შორის ყოფილი იმპერატორებიც — გაჟლიტეს. ბიზანტიის სამფლობელოები ჯვაროსანთა სხვადასხვა ჯგუფებმა დაინაწილეს, ხოლო კონსტანტინოპოლში ე. წ. ლ ა თ ი ნ უ რ ი ი მ პ ე რ ი ა დააარსეს.

სწორედ ასეთ პირობებში მოხდა ბიზანტიის საქმეებში საქართველოს აქტიური ჩარევა, რაც წარმოადგენდა არა მარტო 1203 და 1204 წწ. ამბების უშუალო პასუხს, არამედ აგრეთვე ადრევე გამომუშავებულ ქართულ საგარეო პოლიტიკურ მისწრაფებათა გამოხატულებას. თამარ მეფემ თითქმის მთლიანად დაიკავა ბიზანტიის კუთვნილი სანაპირო შავი ზღვისა, მაგრამ უშუალოდ კი არ შემოუერთა დაპყრობილი ქვეყანა საქართველოს, არამედ ოსტატურად მოზომილი ნაბიჯი გადადგა: ახალი დამოკიდებული სახელმწიფო შექმნა და ბიზანტიის იმპერატორთა კანონიერი მემკვიდრე, თავისი გაზრდილი ა ლ ე ქ ს ი კ ო მ ნ ი ა ნ ო ს ი დააყენა მის მეფედ. საქართველოს წყალობითა და ხელშეწყობით დაარსებული ტრაპიზონის სახელმწიფო, სავსებით გაქართველებული დინასტიითა და უპირატესად ქართული მოსახლეობით, ფაქტიურად წარმოადგენდა საქართველოს მონარქიის ნაწილს და ფორპოსტს მისი პოლიტიკისათვის, რომელიც ერთი წვერით მიმართული იყო კონსტანტინოპოლში ფეხმოკიდებული „ლათინი“ დამპყრობლების წინააღმდეგ, ხოლო მეორეთი — რუმის (იკონიის) სასულტნოს წინააღმდეგ, რომელიც უკვე მეტისმეტად ძლიერდებოდა. ამასთანავე ტრაპიზონის სამეფო ჩამოყალიბებულ იქნა ისეთი ფორმით, რომელსაც აღმოსავლეთქრისტიანული სამყაროს გულის მოსაგებად უნდა საქვეყნოდ ეჩვენებინა, რომ კონსტანტინოპოლში დათრგუნული ბიზანტია აქ განაგრძობს არსებობას, რომ აღმოსავლეთის მართლმადიდებელთა ეკლესიამ და ბერძნულმა ენამ აქ მოიპოვეს სრული თავისუფლება და საიმედო მფარველი. ამ ამბების ნამდვილი აზრი გაუგებარი არ დარჩენილა დაინტერესებული მხარეებისათვის. რუმის სულტანმა დაუყოვნებლივ დიდი ომით უპასუხა საქართველოს ამ ნაბიჯს (ბასიანის ომი).

ტრაპიზონისა და ლათინთა იმპერიები ერთსა და იმავე წელიწადს დაარსდნენ, მაგრამ მათ ერთგვარი გამძლეობა როდი გამოიჩინეს და ერთნაირი კვალი როდი გაავლეს ისტორიას. ლათინთა იმპერიამ გაჭირვებით იარსება 57 წელიწადი. ამ ხნის განმავლობაში არა მარტო მისი პროვინციები იყო დაქვეითებული და გაპარტახებული, არამედ თვით დედაქალაქიც. მემატიანე მოგვითხრობს, რომ იმპერატორთა სასახლეებიც კი „იტალიური ჭვარტლითა და ბოლით“ იყო შებილწულიო.

ტრაპიზონის სამეფომ 200 წლით მეტი გასძლო, ვიდრე ლათინთა იმპერიამ. მან განახლებული კონსტანტინეპოლის იმპერიასაც კი წააცილა გამძლეობაში. მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი ევროპული ცივილიზაციის მნიშვნელოვანი ბურჯი იყო აღმოსავლეთში.

ტრაპიზონის სამეფოს ბუნების სწორ გაგებას დიდად შეუწყეს ხელი თავისი გამოკვლევებით ცნობილმა რუსმა ბიზანტინოლოგებმა, აკადემიკოსებმა კუნიკმა და უსპენსკიმ. კუნიკმა აღნიშნა: „კომნიანოსები ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყვნენ, საქართველოში რომ მოხვდნენ, სადაც ისინი აღიზარდნენ; მათი დედა-ენა ქართული იყო... ისინი ყველგან ქართული ცხოვრებისა და ქართული შეხედულებების გავლენის ქვეშ იყვნენ, ასე რომ 20 წლის ასაკში ისინი უთუოდ ქართველ დიდებულებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ბიზანტიელთ“-ო. უსპენსკი დარწმუნებული იყო, რომ „ტრაპიზონის იმპერია შეიქმნა მეზობელი საქართველოს სამეფოს დიდი ზემოქმედების ქვეშ“ და ცდილობდა „XIII და XIV საუკუნეების ტრაპიზონის შინაგანი ისტორიის საიდუმლოებით მოცული ფაქტები“ აეხსნა მისი „მოსახლეობის ეთნოგრაფიული ხასიათისა და ისტორიის თავისებურებით, რომელშიაც ელინიზმს გაბატონებული ადგილი არ სჭერია. საჭიროა გვახსოვდეს,— წერდა იგი, პონტოს ძველი ისტორია და პონტოს მეფეების პოლიტიკის მიმართულება, ისევე როგორც თავისებურებანი ტრაპიზონელი ბერძნების ენაში... არ შეიძლება წინ არ წამოვწიოთ და განსაკუთრებული გულმოდგინებით ხაზი არ გავუსვათ იმ პირობებს, რომელნიც XIII საუკუნის დამდეგს და იმპერიის შექმნის შემდეგ თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში მიუთითებენ ადგილობრივი, ლაზური ტენდენციების ბატონობაზე ტრაპიზონში, რომელთაც ზურგს უმაგრებენ თბილისიდან და მხარს უჭერს თვით ტრაპიზონელი მეფეების სულისკვეთება“. ტრაპიზონელი მეფეების ეს სულისკვეთება, ეს მიდრეკილება კი, უსპენსკის აზრით, „მთლიანად და სავსებით საქართველოსაკენ იყო მიმართული“.

**დასავლეთევროპელები საშუალო საუკუნეთა საქართველოს სახელმწიფოს შესახებ.** შემონახულია რიგი საბუთები, რომელთა მიხედვით შეგვიძლია გავითვალისწინოთ, თუ როგორი წარმოდგენა ჰქონდათ საშუალო საუკუნეთა საქართველოს სახელმწიფოს შესახებ იმდროინდელ დასავლეთ ევროპელებს. ეს ცნობები განსაკუთრებით მატულობს ჯვაროსნულ ლაშქრობათა დაწყების შემდეგ, როცა ევროპელებს საშუალება მიეცათ, ადგილობრივ შეეგროვებინათ ცნობები ახლო აღმოსავლეთის შესახებ და როცა ქართული სახელმწიფოს საერთაშორისო მნიშვნელობა უფრო საგრძნობი გახდა.

ჯვაროსანთა მიერ დაარსებული ანტიოქიის სამთავროს კანცლერს, ფრანგ გოტიეს თავის დროზე და დაწვრილებით შეუტყვია 1121 წ. დიდგორის ომის ამბები, მათ შორის ზოგი რამ ჩვენთვის ახალი. განსაკუთრებით საყურადღებოა, თუ როგორ აფასებს ჯვაროსანთა ეს თვალსაჩინო წარმომადგენელი დიდგორის ომს: „ალეპოს სულტანმა,— წერს გოტიე, — თავი მოუყარა თურქმანთა და აგრეთვე არაბთა დიდძალ ჯარს, როცა გადაავლო თვალი შეკრებილთა სიმრავლეს, იგი უზომო სიამაყემ მოიცვა; მან, ერთ ხორასნელ სულტანთან ერთად, გადაწყვიტა გაელაშქრა იბერიის მეფის დავითის წინააღმდეგ, რათა გაენადგურებინა ან განედევნა იგი და შემდეგ, დაუბრკოლებლად და სავსებით, დაემორჩილებინა იერუსალიმი და ანტიოქია და ამოეწყვიტა ქრისტიანები“.

ამრიგად, ფრანგი ისტორიკოსის (რომელიც 1122 წელს წერდა ამ სტრიქონებს) აზრით, ძლიერი ქართული სახელმწიფოს არსებობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სირიასა და პალესტინაში ჯვაროსანთა საქმის წარმატებისათვის. გოტიე ქართველთა და ჯვაროსანთა შორის უშუალო ურთიერთობასაც კი აღნიშნავს: მისი სიტყვით, დიდგორის ომში დავით აღმაშენებლის ლაშქარში ვითომც ორას ფრანგ მეომარს უბრძოლია.

წინა აზიის საქმეებში საქართველოს როლის შესახებ კიდევ უფრო დიდ წარმოდგენას ვხედავთ გოტიეს თანამემამულისა და თანამედროვის, ქრისტეს საფლავის კანტორისა და მღვდლის, ვინმე ანსელუსის წერილში, რომელიც მას გაუყოლებია იერუსალიმიდან პარიზში გაგზავნილი ძვირფასი ჯვრისათვის. იგი, სხვათაშორის, ამბობს: „ამ ჯვარს დიდ თაყვანს სცემდა საქართველოს მეფე დავითი, სანამ იგი ცოცხალი იყო; ეს ის დავითია, რომელიც, თავის წინაპართა მსგავსად, ფლობდა კასპიის კარებს, გოგისა და მაგოგის წინააღმდეგ აღმართულს ამ ზღუდეს. იმასვე აკეთებს დღემდე მისი შვილი, რომლის ქვეყანა და სახელმწიფო არის, ასე ვთქვათ, ჩვენი წინაბურჯი მიდიელთა და სპარსელთა წინააღმდეგ“.

საქართველოს სამეფოს ძლიერების შემდგომი ზრდა ქრონოლოგიურად დაემთხვა ჯვაროსნებისა და მათი სახელმწიფოების დასუსტებას აღმოსავლეთში. ასეთ პირობებში საქართველოს პრესტიჟი ევროპელთა შეგნებაში ერთგვარი ლეგენდარული ელემენტითაც იმოსება, რომელშიაც გამოხატულებას პოულობს დასავლეთ ევროპის საზოგადოების სათანადო ჯგუფების სანუკვარი ოცნებები. ასე, მაგალითად, დავით აღმაშენებელი, რომლის შესახებაც XII საუკუნის დასაწყისში

ევროპელებს სავსებით რეალური ცნობები ჰქონდათ, თანდათან გადაიქცა ზღაპრულ პიროვნებად, „ქრისტიანთა ჩრდილოელ მეფე დავითად“, რომლისაგანაც XIII საუკუნეშიაც კი მოელოდნენ ხსნას.

ასეთივე განწყობილებით არის გამსჭვალული რაინდ დე-ბუას მიერ XIII საუკუნის დამდეგს აღმოსავლეთიდან საფრანგეთში, ბეზანსონის არქიეპისკოპოსისათვის გაგზავნილი წერილი: „...ეხლა მოისმინეთ გასაოცარი და მნიშვნელოვანი ახალი ცნობები. ჯერ ყურმოკრული შევიტყვე, ხოლო შემდეგ სარწმუნო ელჩების მეშვეობით დანამდვილებით შევამოწმე, რომ იბერიელი ქრისტიანების, რომელნიც გეორგენებად (ქართველებად) იწოდებიან, დიდძალმა ცხენოსანმა და ქვეითმა ჯარმა, ღვთის შემწეობით აღფრთოვანებულმა და ძალზე კარგად შეიარაღებულმა, გამოილაშქრა ურწმუნო წარმართების წინააღმდეგ, სწრაფად დაჰკრა მათ და უკვე აიღო 300 ციხე და 9 დიდი ქალაქი, რომელთაგანც ძლიერნი დაიპყრო, ხოლო სუსტნი ნაცარტუტად აქცია.

ამათ შორის ყველაზე უფრო ცნობილი და წარმართთა ქალაქებში უმდიდრესია ის, რომელიც ეფრატზე მდებარეობს (ე. ი. ერზერუმი). მისი მფლობელი იყო ბაბილონის სულტანის ვაჟი... ზემოაღნიშნული ჯარი მოეშურება, რათა გაათავისუფლოს იერუსალიმის წმიდა მიწა-წყალი და დაიპყროს წარმართთა მთელი სამყარო. მათი წარჩინებული მეფე 16 წლის ჭაბუკია. იგი ალექსანდრე მაკედონელს ჰგავს ვაჟკაცობითა და სათნოებით, მაგრამ არა სარწმუნოებით (აქ ავტორი გულისხმობს იმას, რომ ალექსანდრე მაკედონელი წარმართი იყო, ხოლო საქართველოს მეფე — ამ შემთხვევაში ლაშა გიორგი — ქრისტიანია). ამ ჭაბუკს თან მოაქვს ძვლები თავისი დედისა, უძლიერესი მეფის თამარისა, რომელსაც თავის დროზე იერუსალიმს წამოსვლის აღთქმა დაუდვია და უთხოვნია შვილისათვის, თუ აღთქმის ასრულება არ დამცალდეს, ჩემის ძვლები ქრისტეს საფლავზე წაიღეო. შვილს არ დავიწყებია დედის თხოვნა და... გადაუწყვეტია წმიდა ქალაქში გადმოიტანოს დედის ნეშტი, მიუხედავად იმისა, მოისურვებენ ამას წარმართები თუ არა“.

იმავე ეპოქაში ბიზანტიაში დაიწერა დიდი პოემა ლექსად, რომელიც ხოტბას ასხამს თამარ მეფეს. ამ პოემაში თამარი გვევლინება, როგორც ივერიის ძლიერი დედოფალი, დინარა, რომელიც არავითარ სიძნელეს არ უფრთხის, პირადად წინ მიუძღვის თავის ლაშქარს და ბრწყინვალედ იმარჯვებს „სპარსელებზე“, ე. ი. აღმოსავლეთის მაჰმადიან აგრესორებზე. ეს პოემა შემდეგში რუსულადაც ითარგმნა და დიდად პოპულარული იყო რუსეთში.

## საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტმა დღიდან თავისი დაარსებისა მიზნად დაისახა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნა. სამი წლის განმავლობაში (1936—1939) ამ მიმართულებით ინსტიტუტმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია. 1939 წლიდან ინსტიტუტმა ხელი მოჰკიდა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შედგენას საშუალო სკოლის V—VII კლასებისათვის, რომელშიც მოცემული იქნებოდა პერიოდი XIX საუკუნის დამდეგამდე. 1940 წლის დასაწყისისათვის მუშაობა დაამთავრა და ამავე წლის ივნისში დაიბეჭდა სახელმძღვანელოთა მაკეტი 31 ნაბეჭდი ფურცლის მოცულობით. ამ ნაშრომში ქართველი ხალხის ისტორია უძველეს დროიდან X საუკუნის ბოლომდე დაწერილია პროფ. ს. ნ. ჯანაშიას მიერ, XI—XV საუკუნეებისა — აკად. ი. ა. ჯავახიშვილის, XVI—XVIII საუკუნეებისა — პროფ. ნ. ა. ბერძენიშვილის და XIX—XX საუკუნეებისა — პროფ. გ. ვ. ხაჭაპურიძის მიერ.

სახელმძღვანელოს შედგენაზე მუშაობასთან დაკავშირებით ინსტიტუტმა განახორციელა მთელი რიგი მონოგრაფიული გამოკვლევანი, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ. გარდაცვლილმა აკად. ი. ა. ჯავახიშვილმა დაწერა პირველად საქართველოს XIII—XIV საუკუნეთა ისტორია. ეს პერიოდი ჩვენი ქვეყნის ისტორიის ყველაზე დაუმუშავებელი პერიოდია. ეს დიდი ნაშრომი იბეჭდება და გამოვა ცალკე წიგნად საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისათვის. პირველად დაიწერა, აგრეთვე, საქართველოს XVI—XVIII სს. ისტორია, რასაც საფუძვლად დაედო ვრცელი კრიტიკული შესწავლა (პროფ. ნ. ა. ბერძენიშვილი). დიდი მუშაობა ჩატარდა აგრეთვე საქართველოს ისტორიის დასაწყისი პერიოდის დასამუშავებლად.

სახელმძღვანელოს მაკეტი რეცენზიისათვის გადაეცათ საბჭოთა ინტელიგენციის მრავალრიცხოვან წარმომადგენლებს — ისტორიკოსებს, არქეოლოგებს, ლინგვისტებს, ეთნოგრაფებს, მწერლებს, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს. მიღებულია რამდენიმე ათეული შენი-

შვნა. გარდა ამისა, სახელმძღვანელოს მაკეტი განხილულ იქნა სპეციალურ თათბირებზე საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში და ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში. წიგნის ამ წინასწარმა ფართო განხილვამ მნიშვნელოვანი სარგებლობა მოიტანა.

ამჟამად დაწყებულია სახელმძღვანელოს რედაქტირება. იგი სკოლებმა უნდა მიიღონ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში. გარდა ამისა, გადაწყვეტილია, გამოიცეს საქართველოს ვრცელი ისტორია ფართო მკითხველებისათვის.

## როგორ იქმნებოდა სახელმძღვანელო

**გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტის საუბარი წიგნის „საქართველოს ისტორიის“ რედაქტორთან აკადემიკოს ს. ნ. ჯანაშიასთან.**

ჩვენი წიგნი წარმოადგენს ცდას, აგვეგო საქართველოს ისტორიის მთლიანი კურსი სახელმძღვანელოს ფორმით, წმინდა მეცნიერულ მარქსისტულ-ლენინურ საფუძველზე. ასეთი ამოცანა აუცილებლად უნდა წასწყდომოდა დიდ სიძნელეებს, უმთავრესად იმის გამო, რომ ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის შესწავლილი საქართველოს ისტორიის მთელი რიგი საკითხები და ცალკე პერიოდებიც კი. ამასთან ერთად სახელმძღვანელოს ფორმა გამორიცხავდა სპეციალური არგუმენტაციისა და დაწვრილებითი გადმოცემის შესაძლებლობას.

ავტორთა კოლექტივის მუშაობისათვის ყველაზე ხელსაყრელ პირობას წარმოადგენდა (1936 წელს) აკადემიკოს ნ. ი. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი, რომელიც ამჟამად გაყოფილია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ნ. ი. მარის სახელობის ენის ინსტიტუტად და აკადემიკოს ი. ა. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტად.

ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის აღნიშნულ ინსტიტუტში შეიქმნა კოლექტივი რესპუბლიკის ძირითადი მუშაკებისა; ქართული ენათმეცნიერების, საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის დარგში, რომელიც ენთუზიაზმით შეუდგა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურის შესწავლას.

დიდი მეცნიერული კოლექტივი მთელ ამ უაღრესად რთულ მუშაობაში ხელმძღვანელობდა ამხანაგ სტალინის იდეებითა და მითითებებით საზოგადოებრივ მეცნიერებათა ამოცანების შესახებ.

სტალინური იდეებითა და პატრიოტული გრძნობებით შთაგონებულნი, ინსტიტუტის მუშაკები, კერძოდ, ავტორები გამოსული წიგნისა „საქართველოს ისტორია“, მუდამ ხვდებოდნენ სრულ დახმარებას და მზრუნველ დამოკიდებულებას რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების მხრივ.

თვით წიგნის დაწერისათვის მუშაობა 1938 წლის გაზაფხულზე დაიწყო. 1940 წელს წიგნი გამოვიდა ხელნაწერის უფლებით და ფართოდ განხილულ იქნა მეცნიერების, ლიტერატურისა და სახალხო განათლების მუშაკებს შორის, რომლებმაც მოგვცეს მთელი რიგი მითითებანი და გამოთქვეს სურვილები.

მუშაობა წიგნის „საქართველოს ისტორია" საბოლოო გაფორმებაზე უკვე სამამულო ომის პირობებში მიმდინარეობდა და ავტორთა კოლექტივს იგი მიაჩნია ფაშისტური ბარბაროსობის წინააღმდეგ სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის, საერთო-საკაცობრიო ცივილიზაციისა და კულტურისათვის სსრ კავშირის ხალხთა ბრძოლის წმიდათაწმიდა საყოველთაო-სახალხო საქმეში შეტანილ წვლილად.

გამოსული წიგნი წარმოადგენს „საქართველოს ისტორიის" მხოლოდ პირველ ნაწილს, რომელიც მიყვანილია XIX საუკუნის დამდეგამდე. ინსტიტუტის მორიგი ამოცანაა მეორე ნაწილის (XIX—XX საუკ.) დაწერა.

ჩვენთვის დიდად სამწუხაროა, რომ წიგნის პირველი ნაწილის ავტორთაგან მის გამოსვლას ველარ მოესწრო აკადემიკოსი ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი, რომელმაც ესოდენ დიდი შრომა გასწია იმ მეცნიერული ნიადაგის მოსამზადებლად, რაც აუცილებელი იყო „საქართველოს ისტორიის" სახელმძღვანელოს შესაქმნელად.

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

## განმარტებითი ბარათი

წარმოდგენილი პროგრამა გულისხმობს საქ. ისტორიის 2 წლიან ზოგად კურსს ისტორიული სექციებისათვის. I კურსზე უნდა გავლილ იქნეს მთელი მასალა XIII ს დამდეგამდის. II კურსზე კი დანარჩენი მასალა XIX ს. დამდეგამდის. I კურსზე საგანს დათმობილი აქვს 100 საათი, II-ზე — 120 ს.

მუშაობა წარმოებს ლექციურ-სემინარული წესით.

პროგრამის პირველი ნაწილი ითვალისწინებს 62 თეორიულს, ხოლო 38 სემინარულ საათს. მეორე ნაწილი — 72 თეორიულს და 48 პრაქტიკულს.

დოც. ს. ჯანაშია
ნ. ბერძენიშვილი

## I

### ᲨᲔᲡᲐᲕᲐᲚᲘ
### ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐ ᲬᲘᲜᲐᲙᲚᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕ ᲮᲐᲜᲐᲨᲘ

მითვისებითი მეურნეობა ამიერკავკასიაში. პალეოლითი. პირველყოფილი ადამიანის სადგურები და მათი ინვენტარი (გვარჯილას კლდე, დევის ხვრელი და სხვა). საზოგადოებრივი კავშირების პრიმიტიული ფორმები: ურდო, ჰასაკის ჯგუფები.

გადასვლა მითვისებითი მეურნეობიდან წარმოებითს მეურნეობაზე. ნეოლითი ამიერკავკასიაში. მიწის მოქმედების წარმოშობა, ცხოველთა მოშინაურება და მესაქონლეობა. ლითონის ტექნიკაზე გადასვლა. ამიერკავკასიის ლითონის კულტურები (სამთავრო და სხვა). ჭარბი პროდუქტის გაჩენა. პროდუქტების უშუალო გაცვლის დასაწყისი. აღებ-მიცემა თემის კიდურებზე. „ფულის", კერძო საკუთრების ჩანასახი.

4. ს. პრაქტ. 2 ს.

მატრიარქატი. ცნობა აზოს სახლების შესახებ. მატრიარქატის თანამედროვე გარდმონაშთები. პატრიარქატი. უძველესი ბერძნული ცნობები გვაროვნული წყობილების შესახებ ქართველ ტომებში. ქართული წყაროების გადმოცემანი ამავე საგნის შესახებ. „სახლი“, როგორც ძირითადი გვაროვნული ორგანიზაცია და მისი სტრუქტურა. მეურნეობის მდგომარეობა, გვაროვნული კოლექტივის ფსიქოიდეოლოგია: ანიმიზმი, ტოტემიზმი, სისხლის აღება. გვაროვნულ წყობილების გარდმონაშთები ქართველ მთიელ ტომებში ახალ ხანაში.

თეორ. 8 ს.
პრაქტ. 4 ს.

## II

## გვაროვნული წყობილების რღვევა და საზოგადოებრივი კლასების წარმოშობის დასაწყისი

### (გარდამავალი პერიოდი)

ა) გვაროვნული წყობილების რღვევა საწარმოო ძალთა განვითარების შედეგად. შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, როგორც კლასობრივი სტრუქტურის საფუძველი.

ბ) საწარმოო ძალთა განვითარების სახე. სასოფლო მეურნეობის დარგები. მიწის მოქმედება. მესაქონლეობა. ტყის ექსპლოატაცია. მონადირეობა. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა: ლითონის იარაღი, აღებმიცემა, ქალაქები (დიოსკურია, ფაზისი, არმაზი, მცხეთა და სხვ.). ფული და მისი შედარებითი როლი ნატურალურ მეურნეობაში (კოლხური თეთრი). კოლხური თეთრი, როგორც შინაური აღებ-მიცემის საშუალება. მიწა, როგორც მთავარი საწარმოო საშუალება.

გ) ვითარება ახალი ერის დამდეგს (I—IV სს.). საწარმოო ურთიერთობის ტიპი. სტრაბონის ოთხი „გენე“, როგორც სოციალურად დიფერენცირებული ფენები. კლასობრივი სტრუქტურის სახე: მონათმფლობელნი. მონები. თავისუფალნი — წვრილი მწარმოებელნი. კოლონები. გვაროვნული საზოგადოების ნაშთები. სხვა შეხედულებანი სტრაბონის ცნობის შესახებ.

დ) საგარეო ვაჭრობა. გასატანი საქონელი: ნედლეული — ტყის და სოფლის მეურნეობის პროდუქტი (ცვილი, ფისი, კანაფი, სელი,

ხე-ტყე, ბეწვეული, ტყავი), მონები. საიმპორტო საქონელი: მარილი, ლითონი, სამკაული.

ამიერკავკასიაზე გამავალ მსოფლიო სავაჭრო გზების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკაში.

ე) შინაური აღებ-მიცემის საკითხი.

ვ) პოლიტიკური ზედნაშენი. სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი საქართველოში. არსებული თეორიები (ჯავახიშვილი, ნათაძე, კაკაბაძე, სოსელია) და მათი კრიტიკული განხილვა.

სახელმწიფო, როგორც კლასობრივი ბატონობის ორგანიზაცია და მისი ფორმა ამ პერიოდის საქართველოში.

ზ) საგარეო პირობები. რომისა და სპარსეთის ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები ამიერკავკასიაში. რომთან დამოკიდებულების განვითარება იძულებითი სამხედრო კავშირიდან ვასალობამდე (I—III ს.). ნიზიბინის ზავი და მისი მნიშვნელობა საქართველოსათვის (298 წ.). ამიერკავკასიის დანარჩენი ნაწილების (ალბანია, სომხეთი) მდგომარეობა. სპარსეთის აქტიურობის განვითარება იბერიისა და ლაზიკის მიმართ. ზემოქმედების იდეოლოგიური საშუალებანი (ქრისტიანიზმი და მაზდეიზმი). ქრისტიანობის და მაზდეიანობის გავრცელების სოციალური საფუძვლები და მათი შემდგომი ბედი კლასობრივ საზოგადოებაში. ამ რელიგიების ოფიციალურ სარწმუნოებად მიღების სოციალურ-პოლიტიკური საფუძვლები. ქრისტიანობა, როგორც „აზნაურობის“ რელიგია.

თეორ. 6 ს.
პრაქტ. 4 ს.
სულ . . . . . 10 ს.

## III

## ფეოდალიზმი

### ფეოდალურ-ბატონყმურ ფორმაციის ძირითადი ნიშნები მარქსისა და ლენინის მიხედვით

მეურნეობის ნატურალური ხასიათი. უშუალო მწარმოებლის ნაწილობრივი აღჭურვა საწარმოო საშუალებებით და მისი პირადი დამოკიდებულება საწარმოო პირობების პატრონისაგან. უშუალო მწარმოებლის პირად დამოკიდებულების სხვადასხვა ხარისხი. პოლიტიკური ხელისუფლების დაკავშირება მსხვილ მიწისმფლობელობასთან. ბატონყმობის ცალკე ფორმაციად მიჩნევის უსაფუძვლობა.

2 საათი.

ა) ფეოდალიზმის წარმოშობა საქართველოში. — მიწაზე კერძო საკუთრების მნიშვნელობის გაძლიერება მიწათმოქმედების ხვედრითი წონის გადიდებასთან დაკავშირებით. მიწისმფლობელობის სხვადასხვა ჯგუფები. მსხვილ კერძო მიწისმფლობელობის წარმოქმნა. წოდებრივი საზოგადოების სახე. აზნაურნი — დიდნი და მცირნი. სეფეწულები, უაზნონი. ყმები, მონები, მსახურთა და ტაძრეულთა სოციალური მდგომარეობა. დიდ აზნაურთა სოციალური და პოლიტიკური უფლების ზრდა. კლასობრივი წინააღმდეგობანი იბერია-ლაზიკაში V—VI საუკუნეებში.

კლასობრივი სხვადასხვა საგარეო ორიენტაციები და ვახტანგ გორგასალი.

ბ) სპარსეთის და რომის ბრძოლა კავკასიის საექსპლოატაციო ბაზისა და აქაურ სავაჭრო და სტრატეგიულ გზების ხელში ჩასაგდებად. მეფობის გაუქმება იბერიაში (VI საუკუნის დასაწყისი) და ამის მნიშვნელობა მსხვილ მიწათმფლობელთა ფენის შემდგომი გაძლიერებისათვის.

თეორ. 6 საათი.
პრაქტ. 4 საათი.

## საშუალო (პატრონყმური) პერიოდი ქართული ფეოდალიზმისა

ა) იბერია — სპარსეთის პროვინცია (VI საუკ.) სპარსეთის მფლობელობის ხასიათი: ხარკი, სამხედრო ბეგარა, დიდ აზნაურთა გაძლიერება.

ბ) აღებ-მიცემა ბიზანტიასთან; იმპორტი: მარილი, ხორბალი, თევზი. ექსპორტი: ტყავები, მონები; ლაზიკა — ბიზანტიის ვასალი. ბიზანტიის ბატონობის ხასიათის ცვლა. სავაჭრო მონოპოლია (იოანე ციბე). ლაზური არისტოკრატიის ორიენტაციის შეცვლა და სპარსეთ-ბიზანტიის ომი. ლაზების მონაწილეობა ამ ომში.

თეორ. 2 ს.
პრაქტ. 2 ს.

გ) ფეოდალური სამთავროები — VII—IX სს. სოფლის მეურნეობის გაძლიერება. სააღებმიცემო ურთიერთობანი. ქართული ფულის მოჭრა. შემდგომი დიფერენციაცია მიწისმფლობელთა კლასში.

მსხვილ მიწისმფლობელთა პოლიტიკურ უფლებების ზრდა. წვრილ სამთავრო სამფლობელოების ჩამოყალიბების პროცესი.

თეორ. 4 ს.
პრაქტ. 2 ს.

დ) არაბობა (VII—IX სს.). არაბები — წინააზიის ვაჭრობის შუამავალნი. არაბების გაერთიანება და მათი დაპყრობითი სახარკო პოლიტიკა. შემოსვლა ქართლში და ბატონობა-მორჩილების განმსაზღვრელი პირობები. ეკონომიური და პოლიტიკური მხარე არაბთა მფლობელობისა ქართლში. ხარკის სახე და მისი გავლენა ადგილობრივ მეურნეობაზე. არაბები დასავლეთ საქართველოში. საქართველო არაბულ მსოფლიო საალებ-მიცემო ქსელში. ბიზანტია-არაბეთის ბრძოლა და მისი მნიშვნელობა ამიერკავკასიისათვის.

თეორ. 4 ს.
პრაქტ. 2 ს.

ე) საქართველოს გაერთიანება (IX—X სს.). საალებმიცემო და ფულად ურთიერთობათა გაძლიერება აღმოსავლეთ საქართველოში (IX საუკ.). სავაჭრო გზები და ცენტრები. კლასობრივი ბრძოლის გამწვავება სამამულო და სასესხო დამოკიდებულების ნიადაგზე. საკოლონიზაციო მოძრაობა, მისი სოციალურ-პოლიტიკური პირობები და მისი მნიშვნელობა ფეოდალურ ურთიერთობის განვითარებისათვის. აშოტ კუროპალატისა და ბაგრატიონთა დინასტიის დამკვიდრება კლარჯეთში. სამთავროების გამსხვილება, როგორც საწარმოო ძალთა ზრდის შედეგი. აფხაზთა სამეფო. კახეთ-ჰერეთის სამთავროები. ტფილისის საამირო. ტაო-კლარჯეთი. ტაო-კლარჯეთის სოციალურ-პოლიტიკური წყობილება. სამთავროთა სამეურნეო ურთიერთობის გაძლიერება. გაცვლა-გამოცვლის გაფართოება და ქვეყნის გაერთიანების ტენდენციები. ამ პროცესის სოციალური შინაარსი. წინააღმდეგობის განვითარება ფეოდალთა კლასის შიგნით. მიწისმფლობელთა ფენები (არისტოკრატია და წვრილი ვასალიტეტი). ეკლესია — უმსხვილესი მემამულე. ამ მემამულეობის თავისებურება, მიზეზი ეკლესიის განწყობილებისა ფეოდალურ პოლიტიკურ დაქსაქსულობის წინააღმდეგ. თავისუფალ მიწისმოქმედთა როლი პოლიტიკურ ბრძოლაში. სამეფო სამთავროების გაერთიანება და საქართველოს ფეოდალურ მონარქიის წარმოქმნა. დავით კუროპალატი და ბაგრატ III. ცალკე პოლიტიკურ ერთეულების

ადგილი ამ ამბებში. აფხაზთა სამეფო და კლარჯეთის სამთავრო. მებრძოლ კლასების იდეოლოგია.

თეორ. 6 ს.
პრაქტ. 4 ს.

## ფეოდალურ მონარქიის სამეურნეო, სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურა

ა) მეურნეობა. მეურნეობის ნატურალური ხასიათი. სასახლისა და საგლეხო მეურნეობა. მეურნეობის დარგები. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. ხელოსნობა. ვაჭრობა. სავაჭრო კაპიტალი. საწარმოო ურთიერთობა. ფეოდალურ ექსპლუატაციის სისტემა. ყმის ვალდებულებათა სახეები. სამსახური. შრომითი ვალდებულება (მუშაობა). პროდუქტული გამოსაღები (ბეგარა).

თეორ. 2 ს.
პრაქტ. 2 ს.

ბ) სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურა და ხელისუფლების ორგანიზაცია. შინაკლასობრივი დიფერენციაცია (ფეოდალური კიბე). ყმობის კატეგორიები. ვაჭრები. ხელოსნები. მეფის ხელისუფლების განვითარება. სამამულო შეწყალების სხვადასხვა სახეები. სამკვიდრო. სახარაჯო და საკარგავი მამულები. სავაზირო. პროვინციის ადმინისტრაცია. ცენტრალურ ხელისუფლების კლასობრივი საფუძვლები. ფეოდალურ ჯარის ორგანიზაცია. პოლიცია. სამართალი. ეკლესია.

გ) უსაფუძვლობა ბატონყმობის ცალკე ფორმაციად მიჩნევისა ქართულ მასალების მიხედვით. ქართულ ფეოდალურ დაწესებულებათა შედარება ევროპის და აზიის ანალოგიურ მოვლენებთან. ფეოდალიზმის სპეციფიკური ნიშნები საქართველოში.

თეორ. 2 ს.
პრაქტ. 2 ს.

## ბრძოლა ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის (XI—XII საუკ.)

ა) სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია. ხელოსნობის და აღებმიცემობის გაძლიერება. ძველი ქალაქების ზრდა და ახალთა გაჩენა. სავაჭრო და სავახშო კაპიტალი. შინა საქალაქო წყობილება და ვაჭართა კლასი. ეკლესიის როლი სავაჭრო-სავახშო ურთიერთობათა სფეროში. წინა აზიაში მომხდარ ცვლილებათა მნიშვნელობა აღნიშნულ

მოვლენათა განვითარებისათვის. ლევანტის ვაჭრობა IX—XI საუკუნეებში. ჯვაროსანთა ომები. სელჩუკიანთა სახელმწიფო და მისი დაშლა.

თეორ. 2 ს.
პრაქტ. 2 ს.

ბ) მონარქიის აბსოლუტისტური ტენდენციები და კლასთა ბრძოლა. ბრძოლის მონაწილე სოციალური ძალები (მეფე, წვრილი ვასალიტეტი და სავაჭრო კაპიტალი ფეოდალურ არისტოკრატიის წინააღმდეგ) ადგილობრივი ხასიათი ფეოდალური არისტოკრატიის გამოსვლებისა პირველ პეროდში. გიორგი I, ბაგრატ IV და გიორგი II-ის ხანა (კლდეკარის ერისთავთ-ერისთავთა და სხვათა ბრძოლა მეფის წინააღმდეგ).

თეორ. 2 ს.
პრაქტ. 2 ს.

გ) ბრძოლა ცენტრალურ ხელისუფლებასა და ფეოდალებს შორის საეკლესიო და სახელმწიფო აპარატის დაპყრობისათვის (XII ს.). კარის გადატრიალება და საშინაო პოლიტიკის კურსის შეცვლა (დავით IV „აღმაშენებელი"). თვითმპყრობელობის გაძლიერება. დაქირავებული ჯარის შექმნა. საპოლიციო აპარატის გაძლიერება.

დ) ფეოდალების ორგანიზაციული გამოსვლები მე-2 პერიოდში. გიორგი III-ის მეფობა. დემნას განდგომა. ეკლესიის ბრძოლა საგადასახადო შეუვალობისათვის. თამარის მეორედ გამეფება და ფეოდალურ-არისტოკრატიული რეაქცია (1184 წ.). მეფის საკანონმდებლო უფლების შეკვეცის ცდა და მისი სოციალური წყარო (ყუთლუ-არსლანის პროგრამა). მთის თავისუფალი მოსახლეობის ბრძოლა ფეოდალიზაციის წინააღმდეგ. გლეხობის დიფერენციაცია რენტის ნაწილობრივ ფულად კომუტაციასთან დაკავშირებით.

თეორ.. 6 ს.
პრაქტ. 2 ს.

ე) მონარქიის საგარეო ომები. მათი მიზეზები. მიზნები, ფარგლები და შედეგები. დაპყრობითი პოლიტიკა. ხარკი და ალაფი. შამქორის ომი (1195). ტრაპეზუნის იმპერიის დაარსება. ძველი სომხური სამეფოების ტერიტორიის მთლიანი ინკორპორაცია. ბასიანისა და არჭეშხლათის ომები. დიდი ლაშქრობა სპარსეთში.

თეორ. 2 ს.
პრაქტ. 2 ს.

საეკლესიო კლერიკალური იდეოლოგიის ბატონობა V—X საუკუნეებში. ანტიკლერიკალური განწყობილების გაბატონება XI—XIII საუკუნეებში და ამის მიზეზები. ინდივიდუალიზმი. რაინდობის წარმოშობა და მისი როლი ამ ხანის იდეოლოგიის შემუშავების საქმეში. ფილოლოგიურ-ფილოსოფიურისა და სამეცნიერო (სამკურნალო, მათემატიკურ და ასტრონომიულ) მწერლობის განვითარება. საერო პოეზია. მეხოტბენი. შოთა რუსთაველი. კლასობრივი ბრძოლის გამოხატულება მწერლობაში. თეორიები მეფის უფლების და წოდებათა წარმოშობის შესახებ. ფეოდალური პუბლიცისტიკა.

ფეოდალური საზოგადოების გაბატონებული კლასების მხატვრული სტილი და მისი განვითარება მატერიალურ კულტურის ძეგლებში (საკულტო და საერო შენობების არქიტექტურა, საყოფაცხოვრებო ინვენტარი, საომარი იარაღი). გლეხური ხუროთმოძღვრული სტილი (დარბაზი)... ფეოდალური ურთიერთობის ანასახი ქართულ ხალხურ პოეზიაში.

თეორ. 4 ს.
პრაქტ. 2 ს.*

## ბატონყმური პერიოდი ქართული ფეოდალიზმისა

ა) საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობა XII საუკუნის დასასრულისათვის. დიდებულები. წვრილი აზნაურები. მსახურები. გლეხები. გლეხთა მდგომარეობის გაუარესება ქვეყნის შემდგომ ფეოდალიზაციასთან დაკავშირებით. მოსაკარგავეობის მემამულეობაში გადასვლის პროცესის გაძლიერება.

თეორ. 6 ს.
პრაქტ. 3 ს.

ბ) მონღოლები. მათი სოციალურ-ეკონომიური სტრუქტურა. მონგოლთა მფლობელობის დამყარება წინა აზიაში და ეკონომიური ცხოვრების შეფერხება. მონღოლური საექსპლოატაციო სისტემა (ხარკი, გადასახადები, სამხედრო ბეგარა).

მონღოლთა ბატონობის შედეგები საქართველოში. საქალაქო ცხოვრების დაცემა. სახელმწიფო შემოსავლის წყაროთა შემცირება.

---

* აქ წყდება ს. ჯანაშიას ნაწილი და გრძელდება ნ. ბერძენიშვილის თანაავტორობით შედგენილი პროგრამა.

მატერიალური რესურსების ქვეყნიდან გაზიდვა. საეკლესიო მამულების გამოწირვა და ბრძოლა ამის გამო. გლეხობის მდგომარეობის შემდგომი გაუარესება. მიწაზე მიმაგრების ტენდენციის გაძლიერება. საგადასახადო ტვირთის გადიდება. ფეოდალური მონარქიის რღვევის დასაწყისი. ორმეფობა — ულუ-დავითი და ნარინ-დავითი. „სამთავროების" სისტემა (ხაჩენი, სივნიეთი, სამცხე-საათაბაგო). ეკლესია მონგოლთა მფლობელობის პირველ ხანაში. მისი პრივილეგიური მდგომარეობა ქვეყნის საერთო დახარჯულობის პირობებში.

თეორ. 9 ს.
პრაქტ. 6 ს.

ფეოდალიზაციის ტენდენციები ურდოში

ა) მონღოლთა დაუძლურება. საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. რესტავრაციის ცდა და მისი შეუძლებლობა. გიორგი ბრწყინვალე. მისი სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური ღონისძიებანი. საგარეო ინტერესების ახალი მიმართულება და მასთან დაკავშირებით პოლიტიკური ორიენტაციის ცვლილების საკითხი. ბრძოლა ოქროს ურდოსა და ილხანებს შორის (ბერქა-ულაუ, ბარაქა-აბაღა) და მისი შედეგები საქართველოსათვის. თემურლენგი და მისი საქართველოში ლაშქრობის შედეგები. მოსახლეობის (უპირატესად მწარმოებელი კლასის) კატასტროფიული შემცირება. მატერიალური დოვლათის განადგურება. ცენტრალური ხელისუფლების დაქვეითება. ცვლილებები ფეოდალურ იდეოლოგიაში. კლერიკალური რეაქცია.

თეორ. 9 ს.
პრაქტ. 6. ს.

ბ) ფეოდალური მონარქიის დაცემა. ეპოქის სოციალურ-ეკონომიური წანამძღვრები. სააღებმიცემო პროცესის მოშლა. სათათრო ხარკი. ბატონყმური საექსპლუატაციო სისტემის გაძლიერება (ეკონომიურ ცხოვრების დაცემისა და ექსპლოატატორულ და მწარმოებელ კლასთა რიცხვობრივი პროპორციის დარღვევის ნიადაგზე) და გლეხთა ბრძოლა მის წინააღმდეგ. საგლეხო გადასახადების ნატურალური კომუტაცია. ქვეყნის საერთო ფეოდალიზაცია როგორც საერო, ისე საეკლესიო სფეროში. „მთავრები", „მეფენი". ფეოდალების გამსხვილება. ალექსანდრე, გიორგი, ბაგრატ, კონსტანტინე.

თეორ. 9. ს.
პრაქტ. 6 ს.

ა) ოსმალები. მათი ვინაობა. გაძლიერება. მცირე აზიისა და კონსტანტინეპოლის დაპყრობა მათ მიერ. ამ ფაქტის მნიშვნელობა ამიერკავკასიისათვის. მსოფლიო სავაჭრო-სატრანზიტო გზის გაწყვეტა. წინა აზიის ეკონომიური ცენტრების გადანაცვლება სამხრეთისაკენ. მსოფლიო საქონლის-გამტარებელ არტერიების დაშორება ამიერკავკასიისაგან სამხრეთით და ჩრდილოეთით. შექმნილი მდგომარეობის მნიშვნელობის შეგნება თანამედროვეებში და საპასუხო ცდები. გიორგის და კონსტანტინეს ცდები დასავლეთ ევროპასთან დაკავშირებისა.

XV საუკუნის დიდი აღმოჩენების გავლენა წინა აზიასა და საქართველოზე. ფეოდალური მონარქიის საბოლოო დარღვევა და ახალი სამეფო-სამთავროები.

თეორ. 9 ს.
პრაქტ. 6 ს.

ბ) ფეოდალური დაშლილობის ხანა. საერთო ეკონომიური დაქვეითება XVI—XVII საუკუნეებში. საშინაო და საგარეო აღებ-მიცემის, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორის, დაცემა. პროვინციების ეკონომიური მდგომარეობის სხვადასხვაობა. დასავლეთ საქართველოს ჩამორჩენილობა აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით და კახეთის დაწინაურება გილან-შემახია-აშთარხანის ვაჭრობასთან დაკავშირებით. საიმპორტო მინიმუმი (რკინა, მარილი, ბამბა, თევზი). სათანადო საექვივალენტო ექსპორტი (აბრეშუმი, ტილო, ხილი, ღვინო, ბზა, ენდრო) და მისი ახალი საგანი — „ტყვე". ტყვის ყიდვის მნიშვნელობა ქვეყნის შინაგანი მდგომარეობისათვის. ქალაქების შემცირება. ახალი ელემენტები შინაკლასობრივ დიფერენციაციაში. თავადთა წოდების ჩამოყალიბება. დიდებულთა დაწინაურება თავადთა წრეში. აზნაურთა ფენები. სახასო აზნაურთა გაძლიერება (სააკაძეები), გლეხობა (მსახური, თარხანი, აზატი, მებეგრე, მოჯალაბე, ხიზანი). გლეხთა მდგომარეობის გაუარესება და მათი ბრძოლა ფეოდალური უღლის წინააღმდეგ. ბრძოლის საშუალებანი: გაქცევა, ყაზახობა, ღალატი, აჯანყება.

თეორ. 9 ს.
პრაქტ. 6 ს.

გ) ოსმალეთ-სპარსეთის ბრძოლა პირველობისათვის წინა აზიაში. საქართველოს მნიშვნელობა მებრძოლი მხარეებისათვის. სპარსეთის

მფლობელობის დამკვიდრება აღმოსავლეთ საქართველოში, ოსმალეთისა — სამხრეთ და დასავლეთ საქართველოში. ლეკობა. ხარკი (ფულადი, სულადი და ტყვიით).

თეორ. 3 ს.
პრაქტ. 3. ს.

დ) ფეოდალური „ჩიხიდან“ დაძვრის ხანა. ახალი მსოფლიო ეკონომიური სიტუაცია. გარეპოლიტიკური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების პროცესი. ქართლ-კახეთის გაერთიანება. საქალაქო ცხოვრების გაცხოველება სპარსეთ-რუსეთის ვაჭრობის აქტივიზაციასთან დაკავშირებით. დარიალის გზის გახსნა და ტფილისის წინ წაწევა. ტფილისი — ხელოსნობა-აღებ-მიცემის ცენტრი. მანუფაქტურის გაჩენა. თავისუფალი და ბეგრის შრომა. ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების ცდები კლასობრივ ძალთა ახალი განწყობილების საფუძველზე.

თეორ. 3 ს.
პრაქტ. 3. ს.

ე) თეიმურაზ-ერეკლე. ერეკლეს პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური ღონისძიებანი. „ნოქარი“ ჯარის სისტემა. საერისთაოთა ექსპროპრიაცია. დამარცხება. კომპრომისი. ცდა ფეოდალურ და სავაჭრო ელემენტებზე თანაბრად დაყრდნობისა. „მორიგე“ ჯარის სისტემა და მისი მარცხი. ამ დამარცხებათა მიზეზები. ცენტრალურ ბიუროკრატიულ ხელისუფლებისა და ფეოდალური არისტოკრატიის შეურიგებლობა. ვაჭართა კლასის სისუსტის მნიშვნელობა ამ ბრძოლისათვის. გლეხობის კლასობრივი ბრძოლები (აჯანყებანი და სხვ.). სახელმწიფო-პოლიტიკური აზროვნება XVIII ს. დასასრულს (კანონ-პროექტები). იმერეთის და სამცხე-საათაბაგოს მდგომარეობა XVII—XVIII საუკუნეებში.

თეორ. 9. ს.
პრაქტ. 6. ს.

ვ) ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის. პირველი ფაქტები. რუსული ორიენტაციის დაინტერესების ეკონომიური და პოლიტიკური საფუძვლები. რუსული სავაჭრო კაპიტალის ინტერესები შუა აზიასა და სპარსეთში. ამ ინტერესების სისუსტე საქართველო-

ში და დაახლოვების პირველი ცდების უნაყოფობა (XVI—XVII საუ-
კუნეებში). რუსეთის დაინტერესების გაძლიერება საქართველოში XVIII საუკუნეში და მისი პოლიტიკურ-ეკონომიური საფუძვლები. გზების ძიება კონსტანტინეპოლისაკენ საქართველოზე. შემხვედრი ტენდენციები საქართველოში და კლასობრივი ინტერესების დაჯგუფებანი ამ საკითხის გარშემო. სხვადასხვა ორიენტაცია და მათი კლასობრივი საფუძვლები. 1783 წლის ტრაქტატი. ანექსია.

თეორ. 6 ს.

პრაქტ. 3 ს.

# პროგრამა
# პალეოგრაფიისა და ნუმიზმატიკისათვის

## შესავალი

ისტორიის დამხმარე დისციპლინები და მათი მნიშვნელობა ისტორიული მეცნიერებისათვის ისტორიულ-მატერიალისტური თვალსაზრისით.

## A. პალეოგრაფია

### I. ზოგადი ცნობები

1. დამწერლობის წარმოშობის სოციალურ-ეკონომიური საფუძვლები.
2. ცნების განმარტება.
3. პალეოგრაფიის მიზნები და მეცნიერული ღირებულება.
4. პალეოგრაფიის ისტორია ზოგადად და ჩვენში.
5. საწერი მასალა და იარაღები.

### II. ქართული პალეოგრაფია

1. ქართულ დამწერლობაში ხმარებული ნიშნები: ქარაგმა, განკვეთილობის და სასვენი ნიშნები, რიცხვითი ნიშნები.

2. ქართული დამწერლობის მთავარი სახეები:

ა) ასომთავრული; ამ დამწერლობით შესრულებული უძველესი ძეგლები; მისი დამახასიათებელი თვისებები.

ბ) ნუსხური და მისი ჩამოყალიბების დრო. ნუსხურის დამახასიათებელი თვისებები.

გ) მხედრული ხელის ჩამოყალიბება.

3. ქართული დამწერლობის მიერ განვლილი გზა.

ა) გარდამავალი ხანის დამწერლობა; მისი ჩამოყალიბების დრო; მისი დამახასიათებელი თვისებები.

ბ) მხედრული ხელის ჩამოყალიბება.

გ) ქართული დამწერლობის მიერ განვლილი განვითარების მთავარი ეტაპები და ამ ეტაპების წარმომშობი გარემო.

## B. ნუმიზმატიკა

### I. ზოგადი ცნობები

1. ფულის რაობა და მისი წარმოშობის პირობები.
2. ცნების განმარტება
3. ნუმიზმატიკის ღირებულება, როგორც სამეცნიერო დისციპლინისა. მისი მონაცემების უდიდესი მნიშვნელობა საზოგადოების ეკონომიური ისტორიისათვის
4. ნუმიზმატიკის ისტორია ზოგადად და ჩვენში.
5. ნუმიზმატიკური მასალა.
6. ნუმიზმატიკური განძები.

### II. ქართული ნუმიზმატიკა

1. ქართული ფულის წარმოშობის დრო და პირობები.
2. ტერმინები ქართული ნუმიზმატიკისა.
3. შესწავლა საქართველოში მოჭრილი ფულების მთავარი ტიპებისა XVIII საუკუნის დამლევამდე.
4. საქართველოში ხმარებული არაქართული ფულები, განხილული საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური ურთიერთობის თვალსაზრისით სხვა ქვეყნებთან.

სახელმძღვანელოები:

ივ. ჯავახიშვილი— „ქართულ დამწერლობათა მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია". ტფილისი, 1925.

მისივე — „ქართულ საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია". ტფილისი, 1925 წ.

Е. Пахомов, „Монеты Грузии", ч. I, Петербург, 1910 г.

# საქართველოს ისტორიის კურსის პროგრამა

## (დაუსწრებელი პედინსტიტუტებისათვის)

### I. ამიერკავკასია და საქართველო წინაკლასობრივი საზოგადოების ხანაში

ა) პალეოლითური კულტურის ნაშთები საქართველოს ტერიტორიაზე (შმიდტის აღმოჩენა 1914 წ., კრუკოვსკის აღმოჩენა 1916 წ. „გვარჯილას კლდეში", ნიორაძის აღმოჩენა 1926 წ. „დევის ხვრელში"). ამ ხანის ადამიანის („ტროგლოდიტის") პირველყოფილი საზოგადოებრივი და სამეურნეო მდგომარეობა: მითვისებითი ხასიათი მეურნეობისა. ურდო, ჰასაკის ჯგუფები, პრიმიტიული მეტყველება და იდეოლოგია (ტოტემიზმი).

ბ) გადასვლა მითვისებითი მეურნეობიდან წარმოებით მეურნეობაზე, ნეოლითი (ახალი ქვის ხანა) ამიერკავკასიაში. გვარის, როგორც საზოგადოებრივი კავშირის, ჩამოყალიბება. ტომობრივი ერთეულების აღმოცენება. ტომური ენების წარმოქმნა და სათანადო იდეოლოგიური ფორმების განვითარება (ანიმიზმი). მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის წარმოშობა და ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა.

გ) ლითონის ტექნიკის შემოღება. სპილენძი. ბრინჯაო. ამიერკავკასიასა და საქართველოში (სამთავროს, სტეფანწმინდის, ყობანისა და სხვ. სამარხები). სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია. ჭარბი პროდუქტებისა და აღებ-მიცემობის გაჩენა ჯერ უშუალო გაცვლის, ხოლო შემდეგ პრიმიტიული ვაჭრობის სახით. ბრინჯაოს „სამაჯურები" (რგოლები), როგორც შესაძლებელი, ერთი უძველეს სახეთაგანი, პრიმიტიული „ფულისა" ამიერკავკასიაში. პატრიარქალური მონობა. სოციალური უთანასწორობის ჩანასახი.

#### ლიტერატურა:

პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია", ტ. 1, გამ. მე-3, გვ. 5—16, 30—32, გამ. მე-2, გვ. 90—91.

ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, „საქართველოს ისტორია", განაკვეთები დაუსწრებელი პედინსტ, გან. 1.
გ. ნ ი ო რ ა ძ ე, „პალეოლითის ადამიანი დევის ხვრელში", საქ. მუზეუმის შრომები, VI.

## II. გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში

სტრაბონის ცნობა სვანების შესახებ. მეურნეობა (მონადირეობა, გროვება, მესაქონლეობის სისუსტე), სოციალური წყობა (სატომო საბჭო, ჯარი — „სამხედრო დემოკრატია"). სტრაბონისეული ცნობები სხვა მთიანი რაიონების შესახებ. გვაროვნული წყობილების გადმონაშთები კლასობრივ ხანაში. „სახლი", როგორც ძირითადი გვაროვნული ორგანიზაცია ქართველ ტომებში.

### ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა:

პროფ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „ქართული სამართლის ისტორია", წიგნი 1, ტფ., 1928 წ., გვ. 163—170.
ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, „საქართველოს ისტორია", განაკვეთი 1.

## III. ქართველ ტომთა პირველადი სამშობლოს საკითხი[1].

ქართველ ტომთა გენეტური კავშირი წინააზიის უძველეს კულტურულ ხალხებთან (სუმერები, ხეთები, ჰურები, ხალდები). ურარტუ — ქართველ ტომთა წინაპრების უძველესი სახელმწიფო ამიერკავკასიაში (I ათასეული, ძვ. წ.)[2].

## IV. გარდამავალი პერიოდი

სტრაბონის ცნობები იბერიისა და კოლხეთის სამეურნეო და საზოგადოებრივი მდგომარეობის შესახებ. მიწათმოქმედების წამყვანი როლი ბარის რაიონებში. მესაქონლეობა. ხელოსნობა. საშინაო და საგარეო ვაჭრობა, ქალაქები, გზები და ტრანსპორტი, ქალაქები: ფაზისი, დიოსკურია, პიტიუნტი, შორაპანი, არმაზი, სევსამორა და სხვ. ფაზის-კასპიის სატრანზიტო გზა, დარიალის გზა, ნაოსნობა და ხიდები.

---

[1] ეს პარაგრაფი დამატებული აქვს ამავე წლის სახელგამის სამეცნიერო პედაგოგიური სექტორის გამოცემასთან შედარებით (გვ. 4).
[2] 1939 წ. თსუს გამოცემაში დამატებულია ლიტერატურა: პროფ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „ქართული სამართლის ისტორია", წიგნი 1, თბ., 1928 წ.

საალებმიცემო საქონელი (სელი, კანაფი, ხე-ტყე, ცვილი, ფისი, მარილი, ლითონი, ტყავები, მონები და სხვ.). იბერიისა და კოლხეთის წამყვანი რაიონების საზოგადოებრივი სტრუქტურა, როგორც გარდამავალი პერიოდის განსაზღვრული კლასობრივი საზოგადოების სახე. სახელმწიფო, როგორც კლასობრივი ბატონობის ორგანო და მისი არსებობის საკითხი იმდროინდელ საქართველოში. იბერიისა და კოლხეთის წამყვანი რაიონების პოლიტიკური ორგანიზაცია, როგორც მონათმფლობელური სახელმწიფოს პრიმიტიული[3] ფორმა.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა:


ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „ქართველი ერის ისტორია", ტ. I, გამ. მე-3, გვ. 26—30, გამ. მე-2, გვ. 86—89.

ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, „საქართველოს ისტორია", განაკვეთი II[4].


## V. გარეპოლიტიკური ურთიერთობანი

რომაული გავლენის დამყარება იბერიასა და კოლხეთში 65 წ. ძვ. წ. რომისა და ირანის ინტერესები ამიერკავკასიაში და მათი ბრძოლა ჰეგემონიისათვის. იბერიის დამოკიდებულება რომზე, როგორც იძულებითი სამხედრო კავშირი, კოლხეთისა — როგორც ვასალობა. ნიზიბინის ზავი 298 წ. ირანის ძლიერების ზრდა და იბერიის ორად გაყოფა.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა:


პროფ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „ქართველი ერის ისტორია", ტ. I, გამ. მე-3, გვ. 1—4, 152—162. 215—217, გამ. მე-2, გვ. 169—183.

ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე".


## VI. იდეოლოგია

ქრისტიანობა და მაზდეიზმი, როგორც გაბატონებული კლასების ოფიციალური კულტები რომსა და ირანში. ამ რელიგიების, როგორც

---

3 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, „საქართველოს ისტორია", განაკვეთი I.

1938 წ. გამოცემაში — „სპეციფიკური" (გვ. 5). 1939 წ. გამოცემაში „როგორც მონათმფლობელური სახელმწიფოს ფორმა" (გვ. 4).

4 1939 წ. გამოცემაში დამატებულია: ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე" (გვ. 5).

იდეოლოგიური საშუალების, გამოყენება რომისა და ირანის მიერ ამიერკავკასიის დაპყრობისათვის ბრძოლაში. ქრისტიანობის მიღება ფეოდალ. კლასის მიერ საქართველოში და ამის სოციალურ-პოლიტიკური მიზეზები. სოციალურ-პოლიტიკური მიზეზები ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად სხვადასხვა დროს გამოცხადებისა აღმ. და დას. საქართველოში. სხვა კლასების დამოკიდებულება ამ ამბებისადმი. ქრისტიანობის მიღების კულტურული მნიშვნელობა.

ლიტერატურა:

პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია", ტ. I, გამ. მე-3, გვ. 213—215.

ს. ჯანაშია, „საქართველო ადრინდ. ფეოდალიზაციის გზაზე".

## VII. ფეოდალური ურთიერთობის ზრდა

ეკონომიური დიფერენციაციის გაღრმავება თავისუფალთა წოდების შიგნით. ეკონომიურად გაბატონებული ფენის სოციალური და პოლიტიკური განვითარება. შეიარაღების როლი ამ პროცესში. მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდა და აზნაურთა წოდების ჩამოყალიბება. წოდებრივი საზოგადოების სახე V ს. ქართლში „შუშანიკის მარტვილობის" მიხედვით. ანტაგონიზმის განვითარება მეფის ხელისუფლებასა და დიდ აზნაურებს შორის. ეკლესია, როგორც ფეოდალ. ორგანიზაცია და მისი როლი ამ ბრძოლაში. ქართლი ირანის ვასალობაში. პიტიახში. დიდ აზნაურთა და ირანელთა ბლოკი ქართლის მეფის წინააღმდეგ. ვახტანგ გორგასლის მეფობა, მეფობის გაუქმება ქართლში (523 წ.) და ირანული მმართველობის ორგანიზაცია, ქართლის სამარზპანო. 532 წ. ზავი.

დას. საქართველოს განვითარება. ლაზების, აფშილების, აბაზგების და სანიგების სამთავროების აღმოცენება. ლაზების გაძლიერება და ლაზიკის სამეფოს წარმოშობა. ლაზიკა რომაელთა ვასალობაში. რომაელთა პოლიტიკა ლაზიკაში VI ს. პირველ მესამედში — ადმინისტრატიული ჩარევის გაძლიერება შინაურ საქმეებში, გარნიზონების ჩაყენება. საგარეო ვაჭრობის მონოპოლია, ლაზიკის მმართველი წრეების განწყობილება. რომაულ-ირანული ომები ლაზიკაში და მისი შედეგები (541—563 წწ.).

ლიტერატურა:

პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, ტომი I, გამ. მე-3, გვ. 215—241, 249—265; გამ. მე-2, გვ. 183—215, 222—237.

ს. ჯანაშია, „საქართველო ადრ. ფეოდალიზ. გზაზე“.

ს. ჯანაშია, „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში“, სათანადო თავები.

პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „ქართ. სამართლ. ისტორია“, წ. 1, გვ. 188—198.


## VIII. ფეოდალური ურთიერთობის ჩამოყალიბება ქართველ ტომებში. ფეოდალური სამთავროები

მეფობის გაუქმება ქართლში და ამ ფაქტის მნიშვნელობა აზნაურთა შემდგომი გაძლიერებისათვის. ანალოგიური მოვლენები დას. საქართველოს ისტორიაში. სათემო და წვრილ მესაკუთრეთა მიწების საბოლოო დატაცება და მისაკუთრება მსხვილ მესაკუთრეთა მიერ (VI—IX სს.). თავისუფალი გლეხობის მდგომარეობის გაუარესება. ზრდა ყმა-გლეხთა რიცხვისა თავისუფალ მიწათმოქმედთა ხარჯზე. გაბატონებული კლასის შინაგანი აღნაგობის გართულება. შინაგანი დამოკიდებულების დამყარება ფეოდალთა სხვადასხვა ფენას შორის.

გარეპოლიტიკური პირობები ქართული ფეოდალიზმის განვითარებისა აღებულ პერიოდში. ბიზანტიის სუვერენიტეტის დამყარება აღმ. და დას. საქართველოში (VI ს. და VII ს. პირველი ნახევარი). ადგილობრივ პოლიტიკურ მფლობელთა პოლიტიკური დამოკიდებულების ფორმა ბიზანტიისაგან. ქართლის საერისთაოს წარმოშობა.

არაბთა მფლობელობის დამყარება ქართლში (VII ს. მეორე ნახევარი, VIII ს. დამდეგი). არაბული ბატონობის ხასიათი. ხარკი და სამხედრო სამსახური. პოლიტიკური მმართველობის ორგანიზაცია. თბილისის საამირო. პოლიტიკური რეჟიმის გაუარესება VIII ს. მეორე ნახევრიდან (ხარკის დამძიმება, სარწმუნოებრივი დევნულობის მოვლენები). თბილისის საამიროს შემდგომი განვითარება (დასუსტება და ცენტრალური ხელისუფლებისაგან განდგომა IX—X სს.). აღმ. საქართველოს პერიფერიისა და დას. საქართველოს სამეურნეო და პოლიტიკური აღორძინება (IX—X სს.). აფხაზეთის სამეფოს, კახეთისა და ტაო-კლარჯეთის სამთავროების წარმოშობა.

ნატურალური მეურნეობა და აღებმიცემობის ხასიათ-ფარგალი მის პირობებში. საშინაო და საგარეო ვაჭრობის გაძლიერება. ფულად ურთიერთობათა ზრდა და ახალი ქალაქების აღმოცენება (IX—X სს.). კლასთა ბრძოლა სამამულო და სასესხო დამოკიდებულების ნიადაგზე. ფეოდალთა პოლიტიკური აპარატი ამ ბრძოლაში. საკოლონიზაციო მოძრაობა სამხრეთ და დასავლეთ საქართველოსაკენ. მონასტრების როლი ამ პროცესში. საეკლესიო მემამულეობის ზრდა.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა:

პროფ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. „ქართველი ერის ისტორია“, ტ. I. გამ. მე-3, გვ. 241—248, გამ. მე-2, გვ. 216—220; ტომი II, გვ. 343—366.

მ ი ს ი ვ ე, „სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში“, გვ. 1—6. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, „არაბობა საქართველოში“, ტფ., 1936.

## IX. ფეოდალური სამთავროების გაერთიანება და ფეოდალური მონარქიის წარმოშობა

ფეოდალურ სამთავროთა ბრძოლა ჰეგემონიისათვის. სხვადასხვა კლასი და შინაკლასობრივი ფენა ამ ბრძოლაში (მსხვილი ფეოდალური არისტოკრატია, წვრილი აზნაურები, ვაჭრები, სამღვდელოება). ფეოდალური სამთავროების სამეურნეო დაახლოვება. საალებმიცემო პროცესების გაფართოება. გაერთიანების ტენდენციების გაძლიერება და ამ ტენდენციების მატარებელი სოციალური ძალები (წვრილი აზნაურობა, ვაჭრები). ეკლესია — უმსხვილესი მემამულე. ამ მემამულეობის თავისებურება-მიზეზი ეკლესიის განწყობილებისა ფეოდალური პოლიტიკური დაქსაქსულობის წინააღმდეგ. აფხაზეთი და ტაო-კლარჯეთი, როგორც უძლიერესი მონაწილენი ამ ბრძოლისა. ტაო-კლარჯეთის საბოლოო გამარჯვება და დავით კურაპალატი. სამთავროების გაერთიანება და ბაგრატ III, როგორც პირველი მონარქი გაერთიანებული საქართველოსი (978—1014 წწ.).

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა:

ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „ქართველი ერის ისტორია“, ტომი II, გვ. 367—412.

## X. ფეოდალური მონარქიის სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურა

ა) მეურნეობა და გაცვლა-გამოცვლა. მეურნეობის ნატურალური ხასიათი. სასახლისა და საგლეხო მეურნეობა. მეურნეობის დარგები (მემინდვრეობა, მებაღეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა), სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. ხელოსნური წარმოების ხასიათი. ხელოსანთა კორპორაციების არსებობის საკითხი. ვაჭრობა და მისი კავშირი წინა-აზიის ვაჭრობასთან. ვაჭარნი. დიდვაჭარნი. ყმა-ვაჭარნი, ვაჭართუხუცესი. უმთავრესი სავაჭრო გზები და ქალაქები (თბილისი, ქუთაისი, დმანისი, სამშვილდე, მანგლისი, რუსთავი, ახალქალაქი, ოძრხე, ხუნანი, მცხეთა, გორი, ცხუმი, ფუთი, ხუფათი და სხვ.). სავაჭრო და

სასესხო-სავაჭრო კაპიტალი. ორტაღები. ქალაქების ორგანიზაცია. ქალაქის ამირები და ბერები.

ბ) საწარმოო ურთიერთობა. ბატონი და ყმა. ფეოდალური ექსპლოატაციის სისტემა. ყმის ვალდებულებათა სახეები. შრომითი, ნატურალური და ფულადი გამოსაღებები და მათი ურთიერთობა.

გ) სოციალური სტრუქტურა და ხელისუფლების ორგანიზაცია. შინაკლასობრივი დიფერენციაცია. ფეოდალური იერარქია. ფეოდალური შინაკლასობრივი ურთიერთობანი. პატრონყმობა. შეწყალება. შეუვალობა. სამამულო შეწყალების სხვადასხვა სახე. სამკვიდრო, სახარაჯო და საკარგავი მამულები. გლეხობის სხვადასხვა ჯგუფი. მსახურნი. მეფის ხელისუფლების ხასიათი. დარბაზი. ფეოდალური ჯარის ორგანიზაცია. პოლიცია. სამართალი.

ეკლესიის ფეოდალური ხასიათი და მისი როლი სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

დ) პატრონყმობა და ბატონყმობა. უსაფუძვლობა ბატონყმობის ცალკე ფორმაციად მიჩნევისა ქართული მასალების მიხედვით. ქართულ ფეოდალურ დაწესებულებათა შედარება ევროპისა და აზიის ანალოგიურ მოვლენებთან. ფეოდალიზმის სპეციფიკური ნიშნები საქართველოში.

ლიტერატურა:

პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „ქართ. სამართლის ისტორია“, წიგნი II, ნაკვეთი 2, გვ. 26—107.

პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „საქ. ეკონომიური ისტორია“, 1907 წ. გამოც., გვ. 3—59.

## XI. ბრძოლა ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის (XI—XII სს.)

მონარქიის აბსოლუტისტური ტენდენციები და კლასთა ბრძოლა. ბრძოლის მონაწილე სოციალური ძალები (მეფე, წვრილი აზნაურობა და სავაჭრო კაპიტალი ფეოდალური არისტოკრატიის წინააღმდეგ). ადგილობრივი ხასიათი ფეოდალური არისტოკრატიის ბრძოლისა მეფის წინააღმდეგ პირველ პერიოდში. ბაგრატ III-ის, გიორგი I-ის (1014—1027), ბაგრატ IV-ისა (1027—1072) და გიორგი II-ისა (1072—1089) მეფობანი. კლდეკარის ერისთავთა ბრძოლა მეფის წინააღმდეგ, როგორც განსაკუთრებით რელიეფური ეპიზოდი ამ ბრძოლისა. ურთიერთობა თურქ-სელჩუკებთან და მისი მნიშვნელობა შინაგანი განვითარებისათვის. ფაქტები ამ ურთიერთობისა. ბრძოლა ცენტრალურ

ხელისუფლებასა და ფეოდალებს შორის საეკლესიო და სახელმწიფო აპარატის დაპყრობისათვის. თვითმპყრობელობის გაძლიერება და მისი ფარგლები. დავით აღმაშენებლისა (1089—1125) და გიორგი III-ის (1156—1184) მეფობათა ხასიათი. დაქირავებული ჯარის შექმნა. საპოლიციო აპარატის გაძლიერება. ფეოდალური არისტოკრატიის ორგანიზაციული გამოსვლები მეორე პერიოდში. დემნას აჯანყება (1177 წ.). ეკლესიის ბრძოლა საგადასახადო შეუვალობისათვის. თამარის მეფობა (1184—1213 წწ.) ფეოდალურ-არისტოკრატიული გადატრიალება. მეფის საკანონმდებლო უფლების გაუქმების ცდა და მისი წყარო (ყუთლუ-არსლანი და მისი დასი). სხვა პოლიტიკური ჯგუფები თამარის დროს. მთის თავისუფალი გლეხობის ბრძოლა ფეოდალიზაციის წინააღმდეგ.

მონარქიის ტერიტორიული ზრდა. კახეთ-ჰერეთისა და სამხრეთ პროვინციების შემოერთება. ტფილისის აღება (1122 წ.) და მისი გამოცხადება სატახტო ქალაქად. მონარქიის საგარეო ომები, მათი მიზეზები, მიზნები და ფარგლები. ძველი სომხეთის სამეფოს ტერიტორიის შემოერთება. კავკასიის აზერბაიჯანის სამთავროების გადაქცევა საქართველოს ვასალურ სამთავროებად (XII ს., XIII ს. დამდეგი). შამქორის ომი (1195 წ.). ლაშქრობა შინაგან ირანში. ყარსის აღება და ბასიანის ომი (1206 წ.) არჭეშისა და ხლათის დახარკვა, არზრუმისა და ერზინკას დამორჩილება (1206—7 წწ.). ტრაპიზონის სამეფოს დაარსება საქართველოს პოლიტიკური მფარველობის ქვეშ (1204 წ.). ხარკისა და ალაფის ხასიათი და მნიშვნელობა.

### ლიტერატურა:

პროფ. ივ ჯავახიშვილი, „ქართვ. ერის ისტორია", ტომი II, გვ. 409—465, 506—639.

## XII. ფეოდალური საზოგადოების კულტურა და იდეოლოგია

საეკლესიო-კლერიკალური იდეოლოგიის ბატონობა V—IX სს.. ანტიკლერიკალური საერო განწყობილების გაბატონება XI—XII სს. და მისი სოციალურ-ეკონომიური მიზეზები. ინდივიდუალიზმი. რაინდობის წარმოშობა და მისი როლი ფეოდალური იდეოლოგიის შემუშავების საქმეში. კლასობრივი ბრძოლის გამოხატულება მწერლობაში. თეორიები მეფის უფლებისა და წოდებათა წარმოშობის შესახებ. ფეოდალური პუბლიცისტიკა. გაბატონებული კლასების მხატვრული სტილი და მისი განვითარება მატერიალური კულტურის

ძეგლებში (საკულტო და საერო შენობების არქიტექტურა, საყოფაცხოვრებო ინვენტარი, საომარი იარაღი...). გლეხური ხუროთმოძღვრული სტილი (დარბაზი). ფეოდალური ურთიერთობის ანასახი ქართულ ხალხურ პოეზიაში. ბიზანტიის, არაბების და ირანის კულტურული გავლენები. არაბულ მეცნიერულ ცოდნათა (ასტრონომია, მათემატიკა, მედიცინა) გავრცელება და არაბული ციფრების შემოღება საქართველოში. პოეზია: მეხოტბენი, რაინდული რომანი, რუსთაველი.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა:

პროფ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „ქართ. ერის ისტორია", ტ. II, გვ. 640—666.

პროფ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, „ქართ. ლიტერატურის პერიოდიზაცია", დაუსწ. პედინსტიტუტის გამოცემა[5].

## XIII. ფეოდალურ-არისტოკრატიული ბატონობა

გლეხების მდგომარეობის გაუარესება XII ს. დასასრულიდან. მონღოლთა გამოჩენა მსოფლიო ისტორიულ ასპარეზზე და საქართველოს დაპყრობა მათ მიერ (1236—1240). სამეურნეო განვითარების შეფერხება მონღოლთა მიერ დაპყრობილ ქვეყნებში. მონღოლური მეხარკეობის ხასიათი. მონღოლური მმართველობის ორგანიზაცია. ცვლილებები საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში. გლეხობის მდგომარეობის შემდგომი გაუარესება.

მსხვილი არისტოკრატიის სოციალურ-პოლიტიკური ძლიერებისა და დამოუკიდებლობის ზრდა. გლეხობის მიწაზე მიმაგრების ტენდენციების გაძლიერება და საგლეხო გადასახადების ზრდა. მატერიალური დოვლათის გაზიდვა ქვეყნიდან. ფეოდალური მონარქიის რღვევის დასაწყისი. ორმეფობა, ულუ-დავითისა და დავით-ნარინის მეფობანი (XIII ს. მეორე ნახევარი). ცალკე სამთავროების (სამცხისა და სხვ.) გამოყოფა.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა:

პროფ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „საქ. ეკონომ. ისტორია", 1907 წ. გამოცემა, გვ. 82—85.

---

[5] აქ მთავრდება ს. ჯანაშიას ნაწილი. გრძელდება ნ. ბერძენიშვილის თანაავტორობით შედგენილი პროგრამა 1939 წ. გამოცემაში ნ. ბერძენიშვილის ნაწილი მნიშვნელოვნად შეიცვალა, ს. ჯანაშიას ნაწილი უცვლელად რჩება მომდევნო გამოცემებშიც.

პროფ. ივ. ჯავახიშვილი. „სოციალური მოძრაობის ისტორია“, გვ. 21—55.
დოც. ნ. ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორიის კონსპექტი“, ტფ. უნ. შრომები, VI, 1937.

## XIV. ფეოდალური მონარქია XIV ს.

ფეოდალიზაციის პროცესები მონღოლთა შორის. ჩინგის-ყაენის სამფლობელოს ოთხ ნაწილად დაყოფა. ბრძოლა ილხანებსა და ოქროს ურდოს შორის და მისი მნიშვნელობა საქართველოსათვის. მონღოლთა გავლენის შესუსტება საქართველოში. მონარქიის აღორძინება გიორგი ბრწყინვალის დროს (XIV ს. პირვ. ნახ.). ლანგ-თემურის შემოსევები (XIV ს. დამლევი- XV ს. დამდეგი) და მათი შედეგები. მოსახლეობის, უპირატესად მწარმოებელი კლასის კატასტროფული შემცირება. ნივთიერ საწარმოო ძალთა განიავება. ცენტრალური ხელისუფლების დაქვეითება. ცვლილებები ფეოდალურ იდეოლოგიაში— საეკლესიო-კლერიკალური რეაქცია. პესიმიზმი.

### ლიტერატურა:

პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, წ. IV, გვ. 184—186.

## XV. ფეოდალური მონარქიის დაცემა

ახალი მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიური სიტუაცია. თურქებისა და ირანელების ფეოდალურ-ცენტრალური სახელმწიფოების შექმნა და მათი მნიშვნელობა ამიერკავკასიისათვის. თურქების დაპყრობანი აზიასა და ევროპაში. კონსტანტინოპოლის დაპყრობა მათ მიერ 1453 წ. ამიერკავკასიაზე გამავალ მსოფლიო გზების დაცემა. სავაჭრო გზებისა და ეკონომიური ცენტრების დაშორება ამიერკავკასიისაგან სამხრეთისა და ჩრდილოეთის მიმართულებით. ვასკო-დე-გამას აღმოჩენა. საქართველოს სამეურნეო დაქვეითება. საშინაო და საგარეო სააღებმიცემო პროცესების მოშლა. ხარკის მნიშვნელობა. ბატონყმური ექსპლოატაციის გაძლიერება და გლეხთა ბრძოლა მის წინააღმდეგ. მეფის ცენტრალური ხელისუფლების აღდგენის ცდა და მისი საბოლოო დამარცხება (ალექსანდრეს მეფობა — XV ს. პირველი ნახევარი), ცალკე ფეოდალური ერთეულების გამსხვილება, ცენტრალური ხელისუფლების დაცემა და ფეოდალური მონარქიის დარღვევა (XV ს. სამოციანი წლები), საქართველოს დაყოფა ქართლის, იმერეთისა და კახეთის სამეფოებად და სამცხის, სამეგრელოსა და გურიის სამთავროებად.

ლიტერატურა:

პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „ქართვ. ერის ისტ.", წ. მე-4, გვ. 20—37, 46—60, 50—77, 184—207.

დოც. ნ. ბერძენიშვილი, „ფეოდალური ურთიერთობა XV ს.", „მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის", ნაკვ. I, 1937.

## XVI. საქართველო XVI—XVII სს.

საერთო ეკონომიური დაქვეითება XVI ს. და XVII ს. პირველ ნახევარში. საშინაო და საგარეო აღებმიცემობის, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორის, არარსებობა. საიმპორტო საქონლის მინიმუმი (რკინა, მარილი და სხვ.). საექსპორტო ეკვივალენტი (აბრეშუმი, ტილო, სელი, ღვინო, ენდრო და სხვ.). ქალაქთა რიცხვის შემცირება და საქალაქო ცხოვრების დაცემა. ტყვე, როგორც საექსპორტო საქონელი. ტყვეთა ყიდვის ზრდა და ამ ფაქტის მნიშვნელობა შინაგანი განვითარების ახალ პირობებში. დასავლეთ საქართველოს შედარებითი ჩამორჩენილობა. კახეთის განსაკუთრებული დაწინაურება XVI ს. აღმ. საქართველოს სამეფო-სამთავროთა შორის სოფლის მეურნეობისა და ხელოსნური წარმოების ინტენსიფიკაციის გამო, განვითარების ხელსაყრელი პირობების წყალობით.

ახალი ელემენტები სოციალურ დიფერენციაციაში. თავადთა წოდების ჩამოყალიბება. დიდებულთა დაწინაურება თავადთა წრეში. აზნაურთა ფენები. გლეხთა კატეგორიები. მსახურნი, თარხანი, აზატი, მებეგრე და მოჯალაბე გლეხები, ხიზანნი. გლეხობის მდგომარეობის შემდგომი გაუარესება. კლასთა ბრძოლის გამწვავება (გლეხების გამოსვლები ფეოდალთა წინააღმდეგ). ბრძოლა სხვადასხვა ფეოდალურ ჯგუფებს შორის (გიორგი სააკაძე და მისი მოწინააღმდეგენი).

თურქეთ-ირანის ბრძოლა პირველობისათვის წინაზიაში და ამიერკავკასიის მნიშვნელობა დასახელებულ სახელმწიფოებისათვის ამ ბრძოლაში. თურქეთის გავლენის ზრდა (XVI ს.). სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრა თურქების მიერ 1578 წ. თურქების გავლენის საბოლოო დამკვიდრება სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოში. ირანის გაძლიერება შაჰ-აბაზის მეფობაში და მისი გავლენის ზრდა ამიერკავკასიაში (XVII ს. დამდეგი). თეიმურაზ I და კახეთის აოხრება შაჰ-აბაზის მიერ (1614—1616 წწ.). კახეთისა და ქართლის სამეფოების ირანის სავასალო სახელმწიფოებად გადაქცევა (XVII ს. პირველი ნახევარი). როსტომის მეფობა ქართლში (1633—1658 წწ.). სპარსული და თურქული ხარკი და ვალდებულებანი. ლეკთა თარეშები საქართველოში, მათი მიზეზები და შედეგები.

### ლიტერატურა:

ს. კაკაბაძე, „საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა".

## XVII. სამეურნეო-პოლიტიკური აღორძინება და გარეპოლიტიკურ დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების ცდები

ქართლის ეკონომიური გამოცოცხლება და პოლიტიკური გაძლიერება მე-17 ს. მეორე ნახევარში. შაჰ-ნავაზისა და გიორგი XI მეფობანი. კულტურული აღორძინება (XVII ს. დამლევი — XVIII ს. დამდეგი). ფარსადან გორგიჯანიძე, არჩილ, ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანი და სხვ. ვაჭრობის გაცხოველება და საბაზრო-ფულად ურთიერთობათა ზრდა. თურქების გავლენის დამკვიდრება ქართლ-კახეთში (XVIII ს. ოციან და ოცდაათიან წლებში). ირანის გაძლიერება შაჰ-ნადირის დროს და თურქების განდევნა ქართლ-კახეთიდან. კახთა მეფეების — თეიმურაზისა და ერეკლეს — პოლიტიკა. ქართლისა და კახეთის სამეფოების გაერთიანება ირანის პროტექტორატის ქვეშ. ამ პროცესის შინაგანი პირობები. ქვეყნის საწარმოო პროცესების გამოცოცხლება. ვაჭრობის ზრდა ირანთან. სავაჭრო ურთიერთობის გაბმა რუსეთთან დარიალის გზით. ტფილისი — ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის ცენტრი. ქართლ-კახეთის სამეფოს გაძლიერება (XVIII ს. ორმოცდაათიანი და სამოციანი წლები). ერეკლე II-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების ცდა. ცვლილებები არმიის სტრუქტურაში. „ნოქარი" და „მორიგე" ჯარები. ცალკე ფეოდალური სამფლობელოების ექსპროპრიაცია. ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური გავლენის გავრცელება მეზობელ მაჰმადიანურ სამფლობელოებზე. ერეკლე და მაჰმადიანური სამფლობელოების ქვეშევრდომი სომხობა.

### ლიტერატურა:

ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი.

## XVIII. საქართველო XVI ს. დამლევს. რუსეთთან ურთიერთობის ისტორია. ანექსია

ერეკლეს შინაური პოლიტიკის დამარცხება და მისი მიზეზები. სამეურნეო და პოლიტიკური განვითარების შეფერხება XVIII ს. დამლევს არახელსაყრელი გარემოს წყალობით. ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების შექმნის შეუძლებლობა სათანადო სოციალური საყრ-

დენის არ არსებობის გამო. ფეოდალური არისტოკრატიის მძლავრობა და ამის მოსპობის შეუძლებლობა მარტოოდენ ადმინისტრაციული ღონისძიებებით. ანტიფეოდალური ჯარის ორგანიზაციის ცდების მარცხი. კლასთა ბრძოლა (გლეხობის ანტიფეოდალური აჯანყებანი). საგარეო მომენტის მნიშვნელობა. თურქული აგრესია. ლეკთა თარეშების გაძლიერება.

იმერეთისა და სამცხე-საათაბაგოს განვითარება. საათაბაგოს გამაჰმადიანება. თურქების გავლენის გაძლიერება დას. საქართველოს სამთავროებში და კერძოდ შავი ზღვის სანაპიროებზე. ტყვეთა ყიდვის ფარგლები და მნიშვნელობა დას. საქართველოში. იმერეთის ხანმოკლე მოღონიერება სოლომონ I-ის დროს. დასავლეთ საქართველოს საერთო ჩამორჩენილობა აღმ. საქართველოსთან შედარებით.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ფაქტები XVI—XVII სს. რუსეთის ამიერკავკასიით დაინტერესების სიძლიერე და ფარგლები ამ პერიოდში (აღმოსავლეთთან ვაჭრობის ინტერესები, დარუბანდის გზა და სხვ.). რუსეთის ინტერესების გაღრმავება ამიერკავკასიასა და საქართველოში XVIII ს. მეორე ნახევარში და განსაკუთრებით ამ საუკუნის დამლევს. ამ პროცესის ახალი ფაქტორი — რუსეთის ბატონყმური მეურნეობის პროდუქტის (პურის) ექსპორტი ევროპაში შავი ზღვის გზით. რუსული ორიენტაციის საფუძვლები საქართველოში. ვახტანგ VI-ისა და პეტრე I-ის ურთიერთობა (XVIII ს. პირველი მეოთხედი). რუსეთისადმი მიდრეკილების ზრდა საერთო მდგომარეობასთან დაკავშირებით XVIII ს. მეორე ნახევარში (სხვადასხვა ფეოდალური ჯგუფი, მათი პოლიტიკური ინტერესები და ურთიერთობა, სოლომონ ლეონიძე, ქსნის და არაგვის ხეობათა ფეოდალები...). რუსოფილური და რუსოფობური პარტიები. პირველთა გამარჯვება. რუსეთის პროტექტორატის მიღება ქართლ-კახეთის სამეფოს მიერ და 1783 წ. ტრაქტატი.

საქართველოს ანექსია მეფის რუსეთის მიერ. ქართული სამეფოსამთავროების გაუქმება. რუსეთთან შეერთება, როგორც უმცირესი სხვა ბოროტებათა შორის.

## ლიტერატურა:


პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის, მე-18 ს."

ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი.

# საქართველოს ისტორიის
# პ რ ო გ რ ა მ ა

## (XIX—XX საუკუნეები)

### I. საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა XVIII საუკუნის ბასულს და XIX საუკუნის დასაწყისში. ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია მეფის რუსეთის მიერ

1. შინაური სიძნელენი ფეოდალური ცენტრის სიმტკიცისათვის. ეკონომიური ვითარება და სოციალური ძალები. საგარეო მდგომარეობა. 1783 წლის ტრაქტატის შედეგები საქართველოსათვის. ახალი მოვლენები რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულებაში აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს სუვერენიტეტის საკითხი და რუსეთის ინტერესები საქართველოს მიმართ.

2. აღმოსავლეთ საქართველოს ანექსია მეფის რუსეთის მიერ. ანექსიის პირობები. მეფობის საკითხი და ბატონიშვილების მდგომარეობა. კნორინგის მმართველობა. აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს მაგივრად „საქართველოს გუბერნია“. საქართველოს ახალი მმართველობის სისტემა.

3. არეულობა და უწესრიგობანი მმართველობაში. კნორინგის გადაყენება. საქართველოს მთავარმართებლად თავად ციციანოვის დანიშვნა.

### II. მეფის რუსეთის პოლიტიკური ამოცანები მახლობელ აღმოსავლეთთან დამოკიდებულებაში და ამიერკავკასიის დაპყრობა

1. თ. ციციანოვის ბრძოლები ამიერკავკასიაში, განჯის, შირვანისა და ყარაბაღის სახანოების დაპყრობა. იმერეთის სამეფო და სამეგრელოს სამთავრო. სამეგრელოს შესვლა რუსეთის „მფარველობაში“; იმერეთის იძულებით მოქცევა მეფის რუსეთის პოლიტიკური უფლების ქვეშ.

2. შინაპოლიტიკური ვითარება. ბატონიშვილების ბრძოლა რუსე-

თის მფლობელობის წინააღმდეგ. ციციანოვის ზომები ბატონიშვილების წინააღმდეგ; თავადაზნაურობის საკითხი.

3. რუსეთის წარმატებანი ამიერკავკასიის დაპყრობაში. ბრძოლა ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ. ციციანოვის მომდევნო მთავარმართებლები. ბაქოს, ყუბისა და დარუბანდის სახანოების დაპყრობა. იმერეთის სამეფოს დაპყრობა. გურიის მთავარი იმერეთის წინააღმდეგ. გურია-აფხაზეთის სამთავროების შესვლა რუსეთის „მფარველობაში"; 1812 წლის ომის გავლენა აღმოსავლეთის ფრონტზე: გულისტანის ზავი 1813 წელს. დემარკაცია რუსეთსა და ერანს შორის. ხელახალი კონფლიქტები. მთავარმართებელი ერმოლოვი. ბრძოლის განახლება ერანთან და ოსმალეთთან. ინგლისის ხელი ერან-რუსეთის (1826—1828 წლის ომში; ირანის დამარცხება. თურქმენჩაის ზავი. ოსმალეთის დამარცხება. ადრიანპოლის ზავი. რუსეთის გაბატონება ამიერკავკასიაში და შავ ზღვაზე.

## III. საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში

1. ეკონომიური მდგომარეობა. რუსეთის მიერ წარმოებული ომების გავლენა. მძიმე სასურსათო და სატრანსპორტო ბეგარანი. ქართველი გლეხობა კოლონიურ-ბატონყმური უღლის ქვეშ, გლეხობის აუტანელი მდგომარეობა.

2. გლეხთა აჯანყებანი.

ა) აჯანყება მთიულეთში 1804 წ. მეფის მთავრობის ზომები აჯანყების ჩასაქრობად. თავადაზნაურობა და სამღვდელოება მეფის მთავრობის თანამშრომლად გლეხების წინააღმდეგ.

ბ) კახეთის აჯანყება 1812 წ. აჯანყების უშუალო მიზეზები. თავადაზნაურობის სხვადასხვა ჯგუფების დამოკიდებულება აჯანყებასთან. ალექსანდრე ბატონიშვილის კავშირი თავადაზნაურობასთან; ა. ბატონიშვილის ცდა აჯანყების გამოსაყენებლად რუსეთის მფლობელობის წინააღმდეგ. თავადაზნაურობისა და სამღვდელოების კავშირი მეფის ადგილობრივ მთავრობასთან და მათი თანამშრომლობა აჯანყებულ გლეხთა წინააღმდეგ ბრძოლაში. აჯანყების ბოლო. კახეთის აჯანყება, როგორც მძაფრი პროტესტი მეფის რუსეთის კოლონიური ბატონობის წინააღმდეგ.

გ) იმერეთის აჯანყება. ამ აჯანყების უშუალო მიზეზები, მიმდინარეობა და დასასრული.

3. მთავრობის ზომები მმართველობის რეორგანიზაციისათვის, სენატის რევიზია. ქართველი თავადაზნაურობის მდგომარეობა სენატის რევიზიასთან დაკავშირებით. წოდებრივი უფლებების საკითხი.

კონფლიქტი თავადაზნაურობასა და მთავრობას შორის. თავადაზნაურობის უკმაყოფილება. 1832 წლის შეთქმულება. შეთქმულების პირობები, შეთქმულთა მიზნები და ამოცანები. შეთქმულების მარცხი; მთავრობის ზომები შეთქმულთა წინააღმდეგ.

4. როზენი; ხელახალი პროექტები მმართველობის რეორგანიზაციისათვის, კავკასიის კომიტეტი; განის კომისია და რეფორმები სამოქალაქო მმართველობაში.

5. ახალი უწესრიგობანი და არეულობა მმართველობაში, რუსული ადმინისტრაცია და რუსული სასამართლო. მღელვარება და სახალხო მოძრაობა მეფის ადგილობრივი მთავრობის წინააღმდეგ გურიის აჯანყება 1841 წ.

6. მეფის ნაცვლობის (ნამესტნიკობის) დაწესება კავკასიაში. თავადი ვორონცოვი. საქართველოს კოლონიზაცია და მისი განვითარება ვორონცოვის დროს. ვაჭრობა-მრეწველობა. ქალაქი და ქალაქის მოსახლეობა. ამქრების მდგომარეობა. თავადაზნაურობის საკითხი, თავადაზნაურობის კორპორაციული უფლებები და პრივილეგიები. 1849 წლის კანონი და გლეხობის მდგომარეობა. მეფის ნაცვლის საბჭო და თავადაზნაურობა.

7. განათლება და კულტურა საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში. მეფის მთავრობა საგანმანათლებლო ზომებსა და განათლების სისტემას თავის პოლიტიკურ ამოცანებს უმორჩილებს. მთავრობის ოფიციალური რუსული პრესა. რუსული პროგრესული ელემენტები საქართველოში. ამ ელემენტების გავლენა. ქართული პრესა. ქართული თეატრი. ქართული ფეოდალური ინტელიგენცია. პოლიტიკური რომანტიზმი. ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ვახტ. ორბელიანი, მებრძოლი რომანტიზმი — ნიკ. ბარათაშვილი.

## IV. კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში

1. რუსეთ-თურქეთის ომი და კავკასიის საბოლოოდ დაპყრობა.

2. საგლეხო რეფორმის წანამძღვარები საქართველოში. გლეხთა მოძრაობანი და იდეოლოგიური ბრძოლა ბატონყმობის წინააღმდეგ. სამეგრელოს გლეხთა აჯანყება. ლ ე ნ ი ნ ი და ს ტ ა ლ ი ნ ი გლეხთა აჯანყების შესახებ.

3. საგლეხო რეფორმა. ქართველ მემამულეთა პოზიცია. სხვადასხვა შეხედულებანი რეფორმის გატარების საქმეში. მთავრობის კომისია და სათავადაზნაურო კომიტეტები: დიმიტრი ყიფიანის პროექტი; რეფორმის გატარება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში;

გლეხობის მღელვარება. გლეხთა გამოსვლები. ნადელები და დროებითი ვალდებულება. ნიკო ნიკოლაძის ხმა საგლეხო რეფორმის სიმახინჯის გამო. ლ ე ნ ი ნ ი საგლეხო რეფორმის შესახებ.

4. სასოფლო მმართველობის შემოღება საქართველოში.

5. კაპიტალიზმის განვითარება მრეწველობაში. წარმოების ახალი სახეები საქართველოში სამოციან-სამოცდაათიან წლებში. სამთამადნო მრეწველობის განვითარება და პირველი რკინიგზა საქართველოში.

6. სასოფლო მეურნეობა რეფორმების შემდგომ. ფეოდალური ეკონომიკის შემდგომი რღვევა და თავადაზნაურობის ეკონომიური დაქვეითება. დიფერენციაცია გლეხობაში. გლეხთა მასობრივი გაღატაკება და მისი დენა ქალაქად. ქალაქების ზრდა საქართველოში.

7. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში სამოციან-სამოცდაათიან წლებში. თერგდალეულები და მათი ბრძოლა „ცისკარის“ ჯგუფთან. „საქართველოს მოამბე“. შვილები და მამები. სოციალური და ნაციონალური საკითხი. შვილების გამარჯვება. თერგდალეულების დაჯგუფებანი. პირველი და მეორე დასი. „დროება“; „ივერია“. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი; სათავადაზნაურო ბანკი; ილია ჭავჭავაძე და დიმიტრი ყიფიანი ბანკის გარშემო.

ნაროდნიკული მოძრაობა საქართველოში.

8. 80-იანი წლები სამრეწველო პროლეტარიატი და მუშათა მოძრაობა საქართველოში. მუშათა გაფიცვები. რეაქცია და მისი შემოტევა ქალაქად და სოფლად. მეფის ნაცვლობის გაუქმება — მთავარმმართველობის დაწესება. ნაციონალურ-კოლონიური მჩაგვრელობის გაძლიერება. ქართული პრესის, თეატრისა და სკოლების დევნა.

9. ბრძოლა რეაქციისა და რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. მოძრაობა მოწაფეობაში. ქართული პროგრესული ძალების ბრძოლა მეფის მთავრობასთან. დიმიტრი ყიფიანი.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქართული პრესა და თეატრი, როგორც მებრძოლი ორგანიზაციები. ნაციონალურ-კოლონიური მჩაგვრელობის წინააღმდეგ; ილია ჭავჭავაძე, როგორც მეთაური და წინამძღოლი ნაციონალურ-კოლონიური მჩაგვრელობის წინააღმდეგ მებრძოლი ქართული კულტურული დაწესებულებებისა.

## V. მუშათა კლასი და ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ

1. 90-იანი წლები. სამრეწველო აღმავლობა. მუშათა მოძრაობის ზრდა. მარქსიზმის იდეების შემოჭრა და მათი გავლენა მუშათა პოლიტიკურ ბრძოლაზე. გადმოსახლებული რუსი რევოლუციონერი

მუშების როლი მარქსიზმის იდეების გავრცელებაში. ქართველი ლეგალური მარქსისტები; ჟურნალი „კვალი". მესამე დასი. მესამე დასი — პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია საქართველოში.

2. მესამე დასის უმცირესობის ჯგუფის ჩამოყალიბება.

ი. სტალინი, ალ. წულუკიძე, ლ. კეცხოველი. უმცირესობის ჯგუფი — რევოლუციურ-მარქსისტული მიმართულების მატარებელი. უმრავლესობა — მარქსიზმის ვულგარიზატორი და შემგუებელი ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ინტერესებთან.

ი. სტალინი — რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ორგანიზატორი და ბელადი საქართველოში და ამიერკავკასიაში. რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკური მუშაობა. რსდმპ თბილისის კომიტეტის შექმნა სტალინის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით. რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის არალეგალური გაზეთი „ბრძოლა". სტალინი მუშათა მოძრაობის სათავეში ბათუმი 1901—1902 წწ. სოციალ-დემ. პარტიის ბათუმის ორგანიზაციის ჩამოყალიბება სტალინის ხელმძღვანელობით. ბათუმის მუშათა გაფიცვები. 9 მარტის დემონსტრაცია. რუსეთის სოც. დემ. მუშათა პარტიის კავკასიის კავშირის კომიტეტი. რსდმპ მეორე ყრილობა. ბოლშევიკები და მენშევიკები. ბოლშევიკური ორგანიზაციები ამიერკავკასიაში 1904 წ. სტალინის ხელმძღვანელობით.

## VI. 1905 წლის რევოლუცია საქართველოში

რევოლუციის წინ. მუშათა მდგომარეობა. გლეხობა. რევოლუციის დასაწყისი. მუშათა გამოსვლები. გლეხთა გამოსვლები, მდგომარეობა გურიაში. შეიარაღებული აჯანყება თბილისში. შეიარაღებული აჯანყებანი დასავლეთ საქართველოში. ცარიზმის ღონისძიებანი საქართველოში რევოლუციური ბრძოლის ჩასაქრობად. გოლიცინის მაგივრად ვორონცოვ-დაშკოვი. კონტრრევოლუციური ძალების მობილიზაცია. დამსჯელი ექსპედიციები. სრულიად-რუსეთის ოქტომბრის გაფიცვა. 17 ოქტომბრის მანიფესტი. დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება, სტალინი — ამიერკავკასიის ბოლშევიკების ხელმძღვანელი პირველი რევოლუციის წლებში.

## VII. სტოლიპინის რეაქცია და მისი გამოვლენა საქართველოში

1. მუშათა კლასის მდგომარეობა. მდგომარეობა სოფლად. საქართველოს ახალი კოლონიზაცია.

რეაქციის ძალები. ცარიზმის ზომები ქართველი ერის წინააღმდეგ. ილია ჭავჭავაძის მოკვლა მეფის ოხრანკის მიერ.

2. ბოლშევიკების ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ სტალინის ხელმძღვანელობით. მენშევიკები რეაქციის წლებში. მენშევიკების ცდები მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის დეზორგანიზაციისათვის.

3. სტალინის ბრძოლა მენშევიკებისა და სხვა ნაციონალისტურ-ბურჟუაზიული პარტიების წინააღმდეგ.

4. მეცნიერება, ხელოვნება და ლიტერატურა საქართველოში XX საუკუნის დასაწყისში. 1905 წლის რევოლუციის წინამორბედი ქართული მწერლობა. რეაქციის გავლენა მწერლობაზე.

## VIII. საქართველო მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში

ომის გავლენა საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაზე, ბურჟუაზია და მემამულე თავადაზნაურობა ომის წლებში. გლეხობა. მუშათა მდგომარეობა. ბოლშევიკების რევოლუციური მუშაობა ომის წლებში.

## IX. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია

ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი. ბოლშევიკების ბრძოლა მასების დაუფლებისათვის და ბოლშევიკური ორგანიზაციები 1917 წელს საქართველოში.

## X. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია

ქართველი მენშევიკების პოზიცია ოქტომბრის რევოლუციის მიმართ. ამიერკავკასიის კომისარიატი და მისი ბრძოლა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. ბაქოს პროლეტარიატი ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. არმიისა და სოფლის ბოლშევიზაცია. საგარეო მდგომარეობა. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება ბაქოში. ამიერკავკასიის „დემოკრატიულ-ფედერატიული რესპუბლიკის“ დაშლა. საქართველოს „დამოუკიდებელ რესპუბლიკად“ გამოცხადება.

## XI. საქართველო მენშევიკური დიქტატურის პერიოდში

მენშევიკური ხელისუფლების ორგანოები. დამფუძნებელი კრება. მენშევიკური ხელისუფლება დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმისა და რუს თეთრგვარდიელების სამსახურში.

საშინაო მდგომარეობა. კატასტროფიული მდგომარეობა ქვეყნის ეკონომიკაში. ნაციონალური გართულებანი. მენშევიკები ნაციონალურ უმცირესობათა წინააღმდეგ. საქართველოს მუშები და გლეხები

მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ. ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის; გლეხთა აჯანყებანი საქართველოს ცალკე რაიონებში. კულტურის საკითხი და განათლების მდგომარეობა მენშევიკების ბატონობის პერიოდში.

## XII. პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება საქართველოში

1. საქართველოს სს რესპუბლიკა. ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია და რესპუბლიკის მმართველი ორგანოები. ამიერკავკასიის ფედერატიული რესპუბლიკის სტრუქტურა.

2. სერგო ორჯონიკიძე — საქართველოს და ამიერკავკასიის ფედერატიული რესპუბლიკის საბჭოთა სოციალისტური მშენებლობის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. ლონისძიებანი და პირველი ძლევამოსილი ნაბიჯები ქვეყნის ელექტრიფიკაციის, ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის. ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვება ამიერკავკასიაში.

3. სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის აღმავლობა. ამიერკავკასიის ერების ნაციონალურ კულტურათა აღორძინება და აყვავება. დიადი სტალინური კონსტიტუცია და ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალ ნაციონალურ რესპუბლიკების ცალკეულად შესვლა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში. ამიერკავკასიის ფედერაციის როლი ნაციონალური რესპუბლიკების მშენებლობისა და განვითარების საქმეში.

4. ორდენოსანი სოციალისტური საქართველო სტალინური კონსტიტუციის ეპოქაში. სტალინური ხუთწლედების შედეგები. საკოლმეურნეო მშენებლობა და კოლმეურნეობანი. მეურნეობისა და მრეწველობის ახალი დარგების განვითარება: საქართველოს ჩაი და ციტრუსები: მანქანათმშენებლობის, ნავთის მომპოვებელი, ნავთის გადამმუშავებელი, ფეროშენადნობის, ლაქ-საღებავის, შალეულის, ტრიკოტაჟის, საკონსერვო, ეთეროვანი ზეთის, ქიმიურ-ფარმაცევტული და სხვ. დარგების მრეწველობა.

სამთამადნო მრეწველობა. ქალაქებისა და მოსახლეობის ზრდა.

საკოლმეურნეო სოფელი; სოციალისტური ქალაქი. ნაციონალური კულტურის აღმავლობა. ხელოვნება და მეცნიერება.

# ქართლის ცხოვრების ძველი და ახალი ფურცლები

## ნაკვეთი პირველი

> „წიგნი ესე ქართველთა ცხორებისა აღიწერებოდა ჟამითი ჟამად... ამიერითგან შემდგომთა მომავალთა ნათესავთა აღწერონ, ვითარცა იხილონ და წინამდებარემან ჟამმან უწყებად მოსცეს გონებასა მათსა ღმრთივ-განბრძნობილსა"...
>
> „ქართლის ცხოვრება"

ისტორია წარსულს მოგვითხრობს.

ჩვენ აწმყოთი ვცხოვრობთ, მომავლისათვის ვიბრძვით.

რა აკავშირებს წარსულს აწმყოსთან, ისტორიას — თანამედროვეობასთან?

*
* *

ისტორიაში უნახავი ომის ქარცეცხლი ტრიალებს ამჟამად ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალზე.

ეს ომი ჩვენ გერმანიის ყაჩაღურმა იმპერიალიზმმა მოგვახვია თავზე. ვერაგულად შემოიჭრნენ ფაშისტი დამპყრობლები ჩვენს ქვეყანაში. მტერი ლამობდა, ერთი დაკვრით მოერღვია სოციალისტური სახელმწიფოს ყველა ზღუდე და მოეკლა ჩვენი ხალხის სული, გაეთელა მისი თავისუფალი ცხოვრება.

მწარედ მოტყუვდნენ გერმანელი მტაცებლები. ერთიან სამხედრო ბანაკად დაირაზმა საბჭოთა კავშირის ხალხთა ოჯახი.

ხალხის ერთსულოვანი დახმარებით წითელმა არმიამ უკვე ბევრი მწარე დამარცხება აწვნევინა მკვეხარა გერმანელ მტაცებლებს და გააცამტვერა ზღაპარი გერმანული ჯარის უძლეველობის შესახებ.

ხალხის ერთობა, მებრძოლთა შეუდრეკელი სულისკვეთება, საყოველთაო მზადყოფნა თავდადებისათვის — აი, რაშია ჩვენი ძალა.

ჩვენი მებრძოლნი იცავენ თავის სამშობლოს უცხოელი დამპყრობელებისაგან. იცავენ მშობელი ხალხის ღირსებასა და თავისუფლებას..

ამიტომაა ჩვენი საქმე წმინდა, ჩვენი ბრძოლა სამართლიანი, მტრის საქმე კი უსამართლო და უწმინდური.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი წმინდა და მართალი საქმე, უეჭველად გაიმარჯვებს!.

* * *

კაცობრიობის ისტორია სავსეა ომებით. მათგან ზოგი სამართლიანი იყო, ზოგი — უსამართლო.

სამართლიანი ომი ისეთი ომია, რომელიც მიზნად ისახავს ან ხალხის დაცვას საგარეო თავდასხმისაგან და მისი დამონების ცდისაგან, ან ხალხის განთავისუფლებას მონობისა და ჩაგვრისაგან.

უსამართლო ომი კი არის ომი მტაცებლური: ომი, რომელიც მიზნად ისახავს სხვა ქვეყნების, სხვა ხალხების დაპყრობასა და დამონებას[1].

დიადი სამამულო ომი, რომელსაც აწარმოებს საბჭოთა ხალხი ფაშისტ მტაცებელთა წინააღმდეგ, სამართლიანი ომია.

ჩვენს მებრძოლებს ამხანაგი სტალინი ასე მიმართავს: „თქვენ შემოგყურებთ მთელი მსოფლიო როგორც იმ ძალას, რომელსაც შეუძლია გაანადგუროს გერმანელ დამპყრობთა მძარცველური ურდოები. თქვენ შემოგყურებენ ევროპის დამონებული ხალხები, რომელნიც გერმანელ დამპყრობთა უღელ ქვეშ მოექცნენ, როგორც თავის განმათავისუფლებლებს. თქვენ წილად გხვდათ დიადი განმათავისუფლებელი მისია. მაშ, იყავით ამ მისიის ღირსნი. ომი, რომელსაც თქვენ ეწევით, არის ომი განმათავისუფლებელი, ომი სამართლიანი“.

საბჭოთა კავშირის ხალხებს არა ერთი სამართლიანი ომი გადაუხდიათ ძველადაც და თავისი საქმის სიმართლე გამარჯვებით დაუგვირგვინებიათ.

---

[1] ს. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი, თბ., 1939, გვ. 203.

ეს ხასიათი ანათესავებს ჩვენს დღევანდელ ომს ჩვენი წინაპრების ომებთან.

არც ერთ ძველ ომს არ ჰქონია ისეთი ფართო და დიდებული მიზნები, როგორიც აქვს ომს, რომელსაც ჩვენ ვეწევით. მაგრამ ის ძველი ომების ისტორიაც უაღრესად საგულისხმოა.

ეს ისტორია გვიჩვენებს, რომ განმათავისუფლებელი, სამართლიანი ომი ბუნებრივად გადაიქცევა ხოლმე სახალხო ომად, რომელიც წალეკავს მტაცებელი მტრის შემოსეულ ბრბოებს.

როგორც ახლა, ისე მაშინაც ეროვნული ღირსებისა და დამოუკიდებლობის დაცვის მართალი იდეა, სამშობლოს განთავისუფლების მართალი მიზანი მთელ ხალხს რაზმავდა მტრის წინააღმდეგ.

აი, წარსულისა და აწმყოს კავშირის მეორე რგოლი.

ისტორია გვიჩვენებს, რომ როგორც ახლა, ისე ძველადაც სახალხო განმათავისუფლებელი ომი ქმნის თავის საკუთარს სახალხო ბრძოლის ხერხებსაც, რომელნიც ამტკიცებენ მამულიშვილთა რაზმებს და თავზარს სცემენ მტრებს.

სახალხო ბრძოლის ერთი ასეთი ხერხია პარტიზანული ომი, რომელსაც თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხი აწარმოებს თავის მშობლიურ გარემოში, სამშობლო ქვეყნის ხევებსა და ტყეებში, ჭაობებსა თუ ველებში, თემშარებსა თუ ბილიკებზე, ჩვეულ ჰავაში.

აი, ჩვენი აწმყოსა და წარსულის, დღევანდელობისა და ისტორიის დიადი კავშირის კიდევ ერთი რგოლი.

ომი, რომელსაც თქვენ ეწევით, მიმართავს ჩვენს მებრძოლებს ამხ. სტალინი, არის განმათავისუფლებელი ომი, სამართლიანი ომი, დაე, ამ ომში თქვენ აღგაფრთოვანებდეთ ჩვენი დიდი წინაპრების მამაცური სახე.

საბჭოთა მებრძოლს თავისი სახელოვანი წინაპრების მამაცური სახე აღაფრთოვანებს, იმიტომ რომ ჩვენი ხალხის გადასულსა და თანამედროვე თაობათა შორის თუმცა უხილავი, მაგრამ უმტკიცესი სულიერი ძაფებია გაბმული.

თანამედროვეობა ისტორიასთან იმითაც არის გადაჯაჭვული, რომ ჩვენ ვიცავთ არა მარტო ჩვენს დღევანდელ ცხოვრებას, მეოთხედი საუკუნის სიგრძეზე რომ შენდებოდა საბჭოთა ხალხის თავგანწირული შრომით, არა მარტო ჩვენი შვილების უზრუნველსა და ბედნიერ მო-

მავალს, არამედ ჩვენი მამა-პაპის ნაანდერძევსაც — ჩვენს ძველთა-ძველ ენას, დ ე დ ა ე ნ ა ს, ჩვენს ათასწლოვან ეროვნულ კულტურას, მშობლიური სისხლით მორწყულ მიწა-წყალს.

*
* *

დამაფიქრებელი და შემაგონებელია წარსულის გაკვეთილები. ისტორია დიდი სკოლაა, რომელიც ამდიდრებს ჩვენს ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გავუფრთხილდეთ მშობელი ხალხის ბედს თვალის ჩინზე უფრო მეტად, თუ როგორ უნდა გამოვიცნოთ შენიღბული მტერი და მისი გულისნადები, როგორ უნდა შევარჩიოთ მოკავშირეები და მეგობრები, რომელი გზაა გამარჯვებისაკენ მიმყვანებელი და რომელ გზას შეუძლია დაამარცხოს და დაღუპოს ქვეყანა.

ისტორია აწრთობს მამულიშვილთა სულს.

„პატრიოტიზმი ერთი ყველაზე უფრო იმ ღრმა გრძნობათაგანია, რომელნიც განმტკიცებულნი არიან საუკუნეებითა და ათასი წლებით“, — ამბობდა ლენინი.

ისტორია გვიამბობს ხალხის ცხოვრების როგორც გუშინდელი დღის, ისე შორეული საუკუნეების შესახებ, რომელთა ბრძმედშიაც გამოიკვერა, დაიწმინდა და გამშვენიერდა ჩვენი პატრიოტული შეგნება და გრძნობა.

## 1

რუსების, უკრაინელების, ბელორუსების. აზერბაიჯანელების, სომხების, უზბეკებისა და სხვა საბჭოთა ხალხების წარსული სავსეა სამშობლოსათვის თავდადების. მოსიულ მტრებთან შეუპოვარი ბრძოლისა და მათი განადგურების ბრწყინვალე მაგალითებით.

მამულიშვილთა თავდადებული ბრძოლითაა დაწერილი აგრეთვე ქართველი ხალხის ისტორია.

იშვიათია ხალხი. რომელსაც იმდენი გამოსაცდელი გამოევლოს თავისი ისტორიული არსებობის განმავლობაში, რამდენიც ქართველობას აქვს გამოცდილი. აურაცხელი მტერი უნახავს საქართველოს, ბევრჯერ დასტყდომია მას თავზე საშინელი უბედურება, მაგრამ ქართველმა ხალხმა მაინც შეინარჩუნა თავისი ეროვნული არსებობა, თავისი ძველი კულტურა და მოიტანა იგი ჩვენს ბედნიერ ეპოქამდე.

XVII საუკუნის ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე გვიამბობს, თუ როგორ გაიყვეს 1553 წელს ირანმა და ოსმალეთმა საქართველო, საქართველოს მეფეების უნებურად და შეუკითხავად. ხონთქარი (თურქების მბრძანებელი) და ყაენი (ირანის მბრძანებელი) მაჰმადის რჯულზე იყვნენ და მრავალი დიდრონი ქვეყნის პატრონები. საქართველოკი, რომელსაც ქრისტეს რჯული ეჭირა, თავად პატარა იყო და მრავლად გაყოფილი. ქართველი მეფე-მთავრები ერთმანეთის მარბევნი და მაწყინარნი იყვნენ. შინაური მტრობითა და ქიშპით სარგებლობდა მტერი და იქით ურუმები (ე. ი. თურქ-ოსმალები) არბევდნენ საქართველოს და აქით ყიზილბაშები (ე. ი. ირანელები). „ამისთანა ორს დიდ ხელმწიფეს შუაში ბევრს ეცადნენ (ქართველები), აქეთ იქნიეს ხმალი და იქით, მრავალი ნავნებიც იქნეს, მაგრამ არ იქნა და ვერცა რას თავს გაუვიდნენ. ხონთქარმა და ყაენმა საქართველო შუა გაიყვეს: სამცხე, ქართლი და კახეთი ყაენს (დარჩა), იმერეთი, ოდიში, აფხაზეთი, გურია და ლაზის ქვეყანა — ხონთქარსა", ამ გაყოფას ბოლოსდაბოლოს საქართველოს ბევრი მეფე-მთავარი დასჯერდა. ქართლს გარდა. ქართლის „მეფე ლუარსაბ არ სჯერიყო, კიდეც თაკილობდა, ამისთვის უფრო ურჩობდა და აქეთ ერანის თემსა და იქით ურუმის ქვეყანას არბევდნენ" ქართველებიო.

განა მარტო XVI საუკუნეში, წინათაც და მას შემდეგაც რამდენჯერ უნახავს საქართველოს ისეთი გასაჭირი, გორგიჯანიძეს რომ აქვს აღწერილი.

რამდენჯერ ყოფილა დარწმუნებული მტერი, რომელიც ქართველი ხალხის შინაური დაქსაქსულობით სარგებლობდა ყველაფერზე მეტად, გულისწადილს ვეწიე და საქართველო საბოლოოდ დავიმონე ან მოვსპე კიდეცაო, მაგრამ ირკვეოდა, რომ კიდევ დარჩენილა საქართველოში თავისუფლების კერა, რომელიც წინააღმდეგობის ცეცხლს კვებავდა.

როგორ უნდა ავხსნათ ეს საოცარი გამძლეობა, როგორ ავხსნათ ის გარემოება, რომ „ისტორია წარმოგვიდგენს მრავალჯერ საქართველოს გაოხრებულს და კვლავ აღდგინებულს არარაისაგან", როგორც ამბობდა პოეტი გრიგოლ ორბელიანი? რით დაიცვა ქართველმა ხალხმა თავისი თავი, თავისი ეროვნული დამოუკიდებლობა და ღირსება?

პასუხი ერთია: სიცოცხლის უკვდავი წყურვილით, თავისუფლების უდრეკი მნებელობით, გამარჯვების უტეხი რწმენით.

ქართველი ხალხი იმარჯვებდა იმით, რომ გუნდ-გუნდად ზრდიდა ვაჟკაცებს, რომელნიც ანთებული იყვნენ ჩაუქრობელი სიძულვილით მტრებისადმი, სამშობლო ქვეყნის დამმონებლებისადმი, და სი-

ხარულით მზად იყვნენ თავი დაედოთ სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

ქართველი ხალხი იმარჯვებდა იმით, რომ მისი ნებისყოფა თავისუფლებისა და გამარჯვებისადმი იწრთობოდა სახალხო სამართლიან ომში მამულისათვის.

ტყუილად კი არ ამტკიცებდნენ ძველი ბერძენი მწერლები, საქართველოში (კოლხეთში) გველეშაპის კბილებია დათესილი, რომლისგანაც აბჯრით შემოსილი, მტრისათვის უძლეველი ვაჟკაცები იზრდებიანო. ეს ხალხის შვილები იყვნენ, რომელნიც სამშობლოს სადარაჯოზე იდგნენ.

გულუშიშარ მებრძოლებს ზურგს უმაგრებდა მთელი ხალხი, რომელიც ზვავად ადგებოდა ხოლმე თავისი სამართლიანი, სახალხო ომის საწარმოებლად.

ქართველმა ხალხმა ადრევე შეიგნო, რომ სახალხო საქმის გამარჯვებისათვის მარტო მისი სიმართლე საკმაო არ არის და არც მარტო მებრძოლთა სიმამაცე კმარა, რომ ყოვლის უწინარეს საჭიროა მტკიცე ორგანიზაცია და დისციპლინა, სამხედრო საქმის ცოდნა და მეომრის ოსტატობა.

XVII საუკუნის ცნობილი პოეტი-მეფე არჩილი ასე აღწერს მარაბდის ომს, რომელშიაც ქართველობა დიდი სარდლის გიორგი სააკაძის ხელმძღვანელობით ებრძოდა თავის მოსისხლე მტერს, ირანელ ყიზილბაშებს:

„დავაწყევით ორთავ რაზმი,
ჩვენ აქათ და მათ იქიდამ,
მათი იდგა თვალუწვდომი,
სიმრავლე სჭირს მათ გეარიდამ!"

არჩილის ეს სიმწრით ნათქვამი სიტყვა საქართველოს სამხედრო ისტორიის მთელ თავისებურებას გამოხატავს: ქართველ ხალხს მისი მტრები თითქმის ყოველთვის სჭარბობდნენ რიცხვით, მათ ტომით სიმრავლე მოსდგამდათ.

ამიტომ იყო, რომ ქართველმა ხალხმა რიცხვსა და ძალას თავიდანვე ორგანიზაცია და მოხერხება დაუპირისპირა.

ქართველი ხალხის ძველი სიბრძნე ამბობს: „ციხეს კარი უნდა, კარს უკან კი კაციო". ეს ნათქვამი პირდაპირი აზრითაც უნდა გავიგოთ და გადატანილითაც.

ქართველი ხალხი უხსოვარი დროიდანვე ციხეების მშენებლობის ოსტატი იყო.

თვით სიტყვა „ციხე“ ძველთაძველი, მკვიდრი სიტყვაა ქართულ ენაში. საქართველო გარსშემორტყმული იყო მაგარი ციხეებით. რომაელი ისტორიკოსების ცნობით, უკვე ორი ათასი წლის წინათ ქართველებს გამაგრებული ჰქონიათ, მაგალითად, დარიალი, რომელზედაც მეტად მნიშვნელოვანი გზა გადიოდა: „...გასასვლელი მოზღუდულია რკინით შემოჭედილი დირეებით... მდინარის გამოღმა აგებულია კუმანიად წოდებული სიმაგრე, აშენებული იმ მიზნით, რათა დააბრკოლონ მრავალრიცხოვანი ტომების გადმოსვლა“.

ციხედ იყო გადაქცეული მთელი საქართველო, რომლის კარები გულღიად იხსნებოდა მოყვრებისათვის და მტკიცედ იხურებოდა მტრებისათვის იმის წყალობით, რომ ამ კარებს უკან ერთგული და გაწვრთნილი მეციხოვნეები იდგნენ.

ციხე ადამიანის ცოცხალი ძალის გაძლიერების საშუალებაა იმ ხალხის ხელში, რომელიც თავს იცავს. ასეთივე საშუალებაა მებრძოლის მოხერხება და დახელოვნება. ქართველ ხალხს სწამდა: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“, და მას არა ერთი „ხერხიც“ შეუქმნია, რომელიც მტრის რიცხვისათვის დაუპირისპირებია.

ქართველ ხალხს ისიც სწამდა, რომ თუ ციხე მტკიცედ არის აგებული და მას უშიშარი, გაწაფული მებრძოლები იცავენ, გარედან მტერი ვერაფერს დააკლებს, ოღონდ შიგნიდან ღალატმა და სულმოკლეობამ არ დააზიანოს იგი. „ციხე შიგნიდან გატყდება“-ო, — ამბობს ქართული ანდაზა.

ხალხი დაუღალავად ზრდიდა თავის შვილებში გმირულ სულს და იმავე დროს შეუბრალებლად სჯიდა ზიზღით, სიძულვილით, თემიდან გაძევებითა და ფიზიკური განადგურებით ლაჩრებს, სულმოკლეებსა და მოღალატეებს. თაობიდან თაობაში გადადიოდა გმირთა სახელისა და მშიშარა-გამცემლების შერცხვენის ამბავი.

ეს ძველთაძველი ხალხის გულისნადები, განცდილ-ნაფიქრალი და სამართალია გამოხატული სახალხო მოაზროვნეებისა და პოეტების ასეთ თქმებში:

„მგელი არ მოშლის მგლობასა,
კაი ყმა — მამაცობასა,
არ მოშლის ბერი არწივი
მთის ყურზედ ნადირობასა“.

„კარგი ყმა ლაშქარს მოკვდება
სწორების ჯობინობაში,
გონჯი კი — ბოსლის ბოლოში,
ქალების ლოდინობაში“.

---

„დიაცი მიმავალი იკვეხის, მამაცი — მომავალიო“.

---

„თავის გატეხა სჯობია სახელის გატეხასაო“.

---

„მოღალატე რომ კალთაზე მოგეკრას, ის კალთა მოიჭერიო“...

აი, ასე იყო: უთვალავ მტრებთან განუწყვეტელ ბრძოლაში ქართველმა ხალხმა არა მარტო გამოიწრთო გმირული სული, არამედ შეიმუშავა უმაღლესი, თავის დროის კვალობაზე, სამხედრო საქმისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანიზაცია და ხელოვნება. ყოველთვის, როცა საჭიროება დადგებოდა ხოლმე, ქართველი ხალხი წარმოშობდა შორსმჭვრეტელს მაღალნიჭიერს, მტკიცე სახელმწიფო მოღვაწეებსა და სარდლებს, რომელნიც რაზმავდნენ ხალხის ენერგიას. სამხედრო საქმის, პოლიტიკისა და დიპლომატიის ისტორიის წინაშე ქართველ ხალხს თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის.

## 2

ქართველები წარმოშობით წინა აზიის უძველეს მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნიან.

უძველეს დროში წინა აზიის მთელს უზარმაზარ მიწა-წყალზე ერთი მოდგმის ხალხები ცხოვრობდნენ. ამ მოდგმის ხალხების დარწეულია კაცობრიობის კულტურის აკვანი. წინა აზიაში გამოიგონეს პირველად ლურსმული ანბანი, აქ განვითარდა სხვა ქვეყნებზე ადრე ლითონების დამუშავების საქმე, ადრე დაწინაურდა სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა, ხელოვნება.

წინა აზიის მოსახლეობის სიმდიდრე ძველი დროიდანვე იზიდავდა უცხოელ ველურ ტომებს. ამ ტომების შემოსევების წყალობით თანდათან შეიზღუდა მკვიდრი, ძველი მოსახლეობის სამფლობელო.

მე-2 ათასწლეულის დამდეგისათვის ძველი წელთაღრიცხვით წინა აზიის ძველი, მკვიდრი, მოსახლეობის შთამომავალი ხალხებიდან

განსაკუთრებით ცნობილი იყვნენ ხეთები და სუბარები. ხეთა-სუბარები არიან ქართველ ტომთა უშუალო წინაპრები.

ხეთებს ეჭირათ მცირე აზიის დიდი ნაწილი. ხეთების სახელმწიფოებრივი და კულტურული ცენტრები მდებარეობდა მდ. ღალისის (დღევანდელი ყიზილ-ირმაკი) აუზში, ამ მდინარის აღმოსავლეთით.

სუბარები მოსახლეობდნენ ხეთების აღმოსავლეთით, მათ ეჭირათ ტერიტორია ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან მოყოლებული ვიდრე კავკასიამდე. მეორე ათასწლეულში. ძვ. წ. ხეთები და სუბარები პირველობდნენ მთელს წინა აზიაში.

მეზობელი ტომების განუწყვეტელმა შემოტევებმა და თანაც შინაურმა ქიშპობამ ხეთები და სუბარები თანდათან დაასუსტა და შემდეგ, VII საუკუნისათვის ძვ. წ. დასცა მათი პოლიტიკური ძლიერება წინა აზიაში.

მაინც, ჯერ კიდევ VI საუკუნეში ძვ. წ., ესე იგი, ამ ორი ათას ხუთასი წლის წინათ, ქართველობას ხელთ ეპყრა თავისი ძველი მიწა-წყლის თვალსაჩინო ნაწილი.

ამ დროის ქართველ ტომებს ორი დიდი სახელმწიფო ჰქონდათ. ერთს, რომელსაც ბერძნები კოლხიდას ეძახდნენ, ეჭირა მთელი დასავლეთი საქართველო და შავი ზღვის სამხრეთი სანაპირო. მეორეს, რომელიც კოლხიდას აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა, იგივე ბერძნები სასპერებს ეძახდნენ. ცნობილი ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე (V ს. ძვ. წ.) ამბობს: „სპარსები ცხოვრობენ ვიდრე სამხრეთის ზღვამდე, რომელიც წითლად იწოდება; მათ ზემოთ ჩრდილოეთისაკენ ცხოვრობენ მიდიელები; მიდიელებს ზემოთ — სასპერები, სასპერებს ზემოთ — კოლხები ვიდრე ჩრდილოეთის ზღვამდე, რომელსაც ერთვის მდინარე ფასიდი. ეს ოთხი ხალხი ცხოვრობს ზღვიდან ზღვამდე“. მაშასადამე, იმდროინდელი წინა აზიის ოთხი დიდი ხალხიდან ორი ქართულ მოდგმას ეკუთვნოდა.

ამრიგად, VI საუკუნეში ძვ. წ. ქართული სახელმწიფოები ჯერ კიდევ თამაშობდნენ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის როლს. მაგრამ ეს ხანა დიდი კატასტროფების ხანა იყო. VII—VI საუკუნეებში საქართველოს მეზობელ ქვეყნებში დიდი ცვლილებები მოხდა. მოიშალა და დაემხო ბევრი ძველი, ძლიერი სახელმწიფო, მათ ადგილას კი ახლები აღმოცენდა. ბევრმა ხალხმა გამოიცვალა თავისი ადგილსამყოფელი, ახალი მიწა-წყალი დაიპყრო და დაპყრობილი ტერიტორიის მკვიდრი მოსახლეობა ან გააძევა, ან შეიერთა, ან მოსპო. მოსულებისა და დამხვდურების შეერთებით საფუძველი ჩაეყარა ახალ ხალხებსაც.

VII საუკუნეში დაემხო ხეთა-სუბარების უკანასკნელი დიდი სახელმწიფოებრივი გაერთიანება წინა აზიაში — ურარტუს სამეფო. მას ბოლო მოუღეს მიდიელებმა, რომლებმაც შემუსრეს აგრეთვე ასურეთიც.

VI საუკუნის მეორე ნახევარში ძვ. წ. მიდიელებს პირველობა სპარსელებმა წაართვეს. იმავე საუკუნის დამლევისათვის სპარსეთი უზარმაზარ სახელმწიფოდ იქცა, რომელმაც თავის გავლენას დაუმორჩილა თითქმის მთელი წინა აზია.

ქართველ ტომთა სახელმწიფოებს, რომელნიც ამ დროს თავის ფარგლებში ჩრდილოეთისაკენ კავკასიის ტერიტორიასაც შეიცავდნენ, დიდი ზიანი თავდაპირველად სწორედ სპარსელებმა მიაყენეს. მათ ქართულ სამეფოებს სამხრეთის ბევრი ოლქი ჩამოაცილეს და მძიმე ხარკი და სამხედრო ბეგარა დაადეს მოსახლეობას. სპარსელების ლაშქარში ქართველი მეომრები შორეული ქვეყნების დასაპყრობლად იგზავნებოდნენ. სპარსელების გაუთავებელ ომიანობასა და საერთოდ იმ საუკუნეების დიდ-დიდ ამბებს ბევრი ჩვენი წინაპრის სიცოცხლე შეეწირა.

შემდეგ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობამ აღმოსავლეთში და ალექსანდრეს მემკვიდრეთა მიერ დაარსებულმა სამეფოებმა კიდევ შეკვეცეს ქართველ ტომთა სამფლობელო სამხრეთისაკენ. მიუხედავად ამისა, 400 წელს ძვ. წ. ქალაქები ტრაპიზონი და კერასუნტი ჯერ კიდევ კოლხეთს ეკუთვნოდა. აღმოსავლეთ-ქართულ სამეფოს კი, რომელსაც ამ დროს ბერძნები უკვე იბერიას ეძახდნენ, II საუკუნის დამდეგს ძვ. წ. ეჭირა ეხლანდელი სივასის ოლქი, მდ. ყიზილ-ირმაკის ზემო წელზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ორიათას ასი წლის წინათ ქართველებს ჯერ კიდევ ეპყრათ თავისი ძველი სამშობლოს, ხეთის, ტერიტორიის ერთი ნაწილი.

II და I საუკუნეებში კოლხეთისა და იბერიის საზღვრები ისევ შეიზღუდა სამხრეთიდან.

იბერიის სამხრეთი საზღვარი II საუკუნის დამლევისათვის ძვ. წ. მდ. არაქსზე გადიოდა, ხოლო პირველი საუკუნის პირველ ნახევარში ძვ. წ. ამ საზღვარმა ისევ გადაიწია ჩრდილოეთისაკენ, მტკვრისა და არაქსის აუზების წყალგამყოფი ქედისაკენ.

რაც შეეხება კოლხეთს, მისი სამხრეთი საზღვარი პირველ საუკუნეში ძვ. წ. ტრაპიზონის აღმოსავლეთით იწყებოდა უკვე და მომდევნო საუკუნეებში კიდევ უფრო იკუმშებოდა.

უეჭველია, რომ VII—I საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ქართველობამ დიდი ზარალი განიცადა. ამ ხანაში შემცირდა ქართვე-

ლი ტომების მოსახლეობა და, მასთან ერთად, ამ ტომებმა თავისი მსოფლიო-ისტორიული პოზიციებიც დაჰკარგეს. მაგრამ მომდევნო ამბები მოწმობს, რომ ეს დროებითი უკანდახევა იყო.

3

ასურელების, ბერძნებისა და სხვა მეზობელი ხალხების ისტორიულ ძეგლებში აღბეჭდილია ქართველების სამშობლოსათვის თავდადებისა და გმირობის ბრწყინვალე საქმეები უკვე ამ უძველეს ხანაში. მაგრამ ჩვენ მათ აქ აღარ შევეხებით. შემდეგდროინდელი პერიოდიდანაც, როცა ქართველობის პოლიტიკური და კულტურული ცენტრები უკვე საბოლოოდ ამიერკავკასიაში დამკვიდრდა, ჩვენ მხოლოდ რამდენსამე დამახასიათებელ ამბავს გადმოვცემთ.

ამ ორი ათასი წლის წინათ კავკასიაში ორი ქართული სამეფო არსებობდა: აღმოსავლურ-ქართული — ი ბ ე რ ი ა ანუ ქ ა რ თ ლ ი, და დასავლურ-ქართული — კ ო ლ ხ ე თ ი.

უკვე პირველი საუკუნიდან მოყოლებული ძვ. წ. კოლხეთსა და იბერიას განუწყვეტელი ომები ჰქონდათ მტრებთან, რომელნიც ქართული სამეფოების დამონებას ცდილობდნენ.

ეს დიდი ომები რომაელებმა დაიწყეს, პირველად მათ სცადეს საქართველოს დაპყრობა.

მაგრამ რიცხვით პატარა ქართველმა ხალხმა უზარმაზარ რომის სახელმწიფოს განსაცვიფრებელი წინააღმდეგობა შეახვედრა.

რომაელები შემოიჭრნენ ჩვენს სამშობლოში 65 წელს ძვ. წ. ქურდულად.

რომაელების მოულოდნელი თავდასხმის გამო ქართველები იძულებული გახდნენ, თუმც სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ, დაეთმოთ მტრისათვის სამეფო რეზიდენცია — არმაზი (მცხეთასთან, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე; არმაზის ტერიტორიაზე უკანასკნელ წლებში ჩვენი ძველი კულტურის უძვირფასესი განძია აღმოჩენილი).

ბრძოლა გაგრძელდა მტკვრის მარცხენა ნაპირას. მტერი სჭარბობდა. ქართლის მეფემ არტაგმა მოლაპარაკება დაიწყო რომაელებთან დროის მოსაგებად. ხალხი კი სამშობლოს არ თმობდა. ქართველი ჯარი თავგამეტებით განაგრძობდა ბრძოლას. ვინც წინა ბრძოლებში გადარჩა, მცხეთის გარშემო ტყეებში დაიფანტნენ.

იმდროინდელი რომაელი ისტორიკოსი გვიამბობს, რომ ქართველი მეომრები მაღალ ხეებზე ასულან და იქიდან უშენდნენ ისარს მტერს. რომაელებმა ქართველ მოისარებს ვერაფერი მოუხერხეს —

ცოცხალი თავით დანებებას ისინი საპატიო სიკვდილს არჩევდნენ. რომაელები იძულებული გახდნენ, ტყეები ეჩეხათ.

როგორც ვხედავთ, ეს ძველი ქართველი სნაიპერები, რომელნიც შესაძლოა პარტიზანული წესით იბრძოდნენ, სამშობლო ბუნებას იყენებდნენ. შემდეგშიაც ქართველ ხალხს არა ერთგზის გამოუყენებია ტყე, როგორც ბუნებრივი საფარი მტრის წინააღმდეგ.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც რომაელებმა გაჭირვებით მოახერხეს ტყეების გაჩეხა, დაიღუპნენ ქართველი მებრძოლნი. ოცი ათასამდე ქართველი მეომარი შეეწირა მაშინ რომაელებისაგან სამშობლოს დაცვის საქმეს.

მაგრამ ეს მსხვერპლი არ იყო უშედეგო. რომაელებმა თავის პრეტენზიებს მოუკლეს ქართლის სამეფოს მიმართ — ოღონდ სამხედრო დახმარება გაგვიწიეთ პართელებისა და სხვა ჩვენი მტრების წინააღმდეგ, მეტს არაფერს გთხოვთო.

მაგრამ ქართლის სამეფოს საკუთარი საგარეო პოლიტიკა ჰქონდა და მის შეზღუდვას მცირედაც კი ვერ ურიგდებოდა. პირველი დიდი ბრძოლების შემდეგ რამდენიმეჯერ დაჰკრეს კიდევ ქართველებმა რომაელებს და მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა.

უკვე პირველ საუკუნეში ჩვენი წელთაღრიცხვით ქართლის სამეფო იმდენად გაძლიერდა რომ იგი დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებდა რომის მიმართ, რომელიც ახლა ქართლის „მეგობრობას“ ფიცულობდა მხოლოდ. ქართლის სამეფომ რამდენიმეჯერ შავი დღე დააყენა პართელების (ირანის) სახელგანთქმულ მხედრობასაც, რომელიც მეზობელი სომხეთის დამონებას ცდილობდა და რომელსაც თვით რომი უშედეგოდ ებრძოდა მთელი საუკუნე. II საუკუნის რომაელი ისტორიკოსები გადმოგვცემენ, რომ რომის იმპერატორს „უდიდესი მეგობრობა ჰქონდა იბერებსა (ქართლსა) და ალბანელებთან (ეხლანდელი საბჭოთა აზერბაიჯანი)... იმპერატორი იძულებული იყო, სიუხვითა და საჩუქრებით მოელბო მათი მეფეების გული, როცა მათ ზიზღით უარი სთქვეს მასთან მისვლაზე“. ამნაირადვე ელაქუცებოდა და ძვირფასი ძღვენით გულს ულბობდა რომის იმპერატორი ქართლის პირველ ქრისტიან მეფეს მირიანს IV საუკუნეში, ოღონდ მირიანს სპარსელებისათვის დახმარება არ გაეწია.

• • •

შეუპოვრად ებრძოდა ხალხი რომაელებს დასავლეთ საქართველოშიაც, რომელიც მათ თავდაპირველად თითქოს უფრო ადვილად ჩაიგდეს ხელში. 69—79 წლებში სახელოვანი კოლხეთის ერთმა შვილმა, სახელად ანიკეტმა, ყოფილმა მონამ, შეაკავშირა კოლხეთის ტომები, ბრძოლით აიღო რომაელების მთავარი ბაზა შავ ზღვაზე, ქ. ტრაპიზონი, მოსრა აქ მდგარი რომაული გარნიზონი და დაწვა რომაული ფლოტი. რომაელი ისტორიკოსები სიმწრით მოგვითხრობენ, რომ ანიკეტი დასცინოდა რომაელების დაცარიელებულ ზღვას, თვითონ კი აიშენა ახალი ხომალდები და სწრაფად მიდი-მოდიოდა შავ ზღვაზეო. ბოლოს იმპერატორმა დიდი ჯარები გამოგზავნა ანიკეტის წინააღმდეგ და, ერთი ადგილობრივი მთავრის ღალატის წყალობით, კოლხების ეს ბელადი მტერმა ხელთ იგდო. მდ. ხობის პირას (სამეგრელოში).

არც ეს მსხვერპლი ყოფილა უმიზნო და უშედეგო. ასეთი შეუნელებელი ბრძოლით ხალხმა დასავლეთ საქართველოშიაც მოქანცა და დაასუსტა რომაელები, დააღწია თავი მათს მბრძანებლობას და ახალი ძლიერი სამეფო შექმნა. უცხოელები ამ სახელმწიფოს ლ ა ზ ე ბ ი ს სამეფოს, ანუ ლ ა ზ ი კ ა ს, ეძახდნენ; ხალხის მიხედვით, ქართველობა მას ე გ რ ი ს ს უწოდებდა (აქედანაა „მ ე გ რ ე ლ ი“, რაც „ეგრისელს“ ნიშნავს). ლაზების სახელი ეხლა ტრაპიზონის ოლქის მეგრელებსა აქვს შემორჩენილი.

მტაცებელი რომი მაინც ვერ ელეოდა ჩვენს მდიდარს, სტრატეგიულადაც მნიშვნელოვან ქვეყანას. თუმცა ქართლზე მათ ბოლოსდაბოლოს სავსებით ხელი აიღეს, დასავლეთ საქართველოს რომაელები მაინც ეპოტინებოდნენ. V საუკუნეში რომაელებმა კვლავ რამდენიმეჯერ სცადეს ლაზიკა-ეგრისის დაპყრობა, მაგრამ ეგრისელებმა რომაელები ორჯერ სასტიკად დაამარცხეს. რომაელები ეგრისს ისეთ საშიშ მოწინააღმდეგედ თვლიდნენ, რომ იძულებული იყვნენ თავისი დაუძინებელი მტრისათვის, სპარსეთისათვისაც კი მიემართათ, დაგვეხმარეთ ეგრისის წინააღმდეგ ომშიო.

იმდროინდელი რომაელი ისტორიკოსი ამ დამარცხების ამბავს ასე მორცხვად გვიამბობს: „რომაელები მოვიდნენ კოლხიდაში და ომი დაიწყეს ლაზებთან; შემდეგ რომაელების ჯარი დაბრუნდა შინ (ცხადია, დამარცხებული. ს. ჯ.) და კარისკაცებმა ახალი ომისათვის მზადება დაიწყეს. ისინი (ე. ი. რომაელი დიდი მოხელეები. ს. ჯ.) ბჭობდნენ იმ საკითხის შესახებ, განევრძოთ ომი ძველი გზის გამოყენებით თუ გადაევლოთ სომხეთზე, რომელიც სპარსელების ქვეყანას ესა-

ზღვრება. ამ შემთხვევაში კარისკაცებს საჭიროდ მიაჩნდათ, გადაებირებინათ თავის მხარეზე პართელების მეფე, რადგანაც ისინი (რომაელების ხელმძღვანელები) საძნელოდ თვლიდნენ ზღვით მოევლოთ მიუდგომელი ადგილები, ვინაიდან კოლხიდაში არ იყო ნავსადგურები"-ო.

ეს მტაცებლების ჩვეულებრივი სიცრუეა. კოლხიდას მშვენიერი ძველთაძველი ნავსადგურები ჰქონდა, მათ შორის ისეთი მთელ მსოფლიოში განთქმული ქალაქი — ნავსადგური, როგორიც იყო ფასიდი-ფოთი, თუ კოლხიდის ნაპირები რომაელებისათვის მიუდგომელი იყო. ეს იმიტომ, რომ მათ თავისი მკერდით იცავდა ქართველი ხალხი, რომელიც სამშობლოს თავისუფლებისათვის სამართლიან სახალხო ომს ეწეოდა.

თუ როგორ აწარმოებდნენ ეგრისელები სახალხო ომს V საუკუნეში, ამას იგივე რომაელი მწერლები გვიამბობენ: „ლაზებმა ამოთხარეს ორმოები, ჩაარჭვეს ორმოებში შუბები, ორმოების პირებს დაახურეს ლერწმის ჩელტები და ხის ტოტები, რომელთაც მკვიდრი საფუძველი არ ჰქონდათ და რომელიც სიმძიმისაგან იზნიქებოდნენ. შემდეგ დააყარეს თავზე მიწა. ორივე მხრიდან მიწა მოხნეს და ხორბალი დათესეს და (ამ საშუალებით) გააქციეს რომაელები".

ეს ორმოები ის „მგლის ორმოები" და მტრის ტექნიკის საწინააღმდეგო მიწის ნაგებობანია, რომელთაც იყენებენ ეხლანდელ ომებშიაც. ეგრისში „მგლის ორმოების" გამოყენება. ჩანს *კარგად დამუშავებული სამხედრო ხელოვნება* იყო, რომელსაც ხალხი სისტემატურად და ფართოდ ხმარობდა თავდამსხმელი მტრის წინააღმდეგ, ეს იყო *სახალხო ომის* დეტალურად, დიდი ოსტატობით მოფიქრებული გეგმა (ორმოების მოწყობა, მათი შენიღბვა პურის ნათესებით, ორმოების დიდი რაოდენობით გათხრა რომაელთა სავარაუდო მოძრაობის გზებზე და სხვა). ასე იჩენს თავს თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის მოხერხება, მხნეობა და სიმამაცე.

## 4

დიდი სახალხო ომი გადაიხადა ქართველობამ VI საუკუნეშიაც.

მაშინაც საქართველო ისევ იყო ორ ნაწილად გაყოფილი, ორსამეფოდ: ქართლი ანუ იბერია (აღმოსავლეთი საქართველო) და ეგრისი ანუ ლაზიკა (დასავლეთ საქართველო).

ქართლი ამ დროს უკვე სპარსელებს ეჭირათ, რომელნიც სულ უფროდაუფრო ძლიერდებოდნენ აღმოსავლეთში IV—V საუკუნეებში. მთელი საუკუნენახევარი ებრძოდა ქართლი სპარსეთს თავისი და-

მოუკიდებლობისათვის. ამ ბრძოლის ყველაზე დიდი გმირი იყო მეფე ვ ა ხ ტ ა ნ გ  გ ო რ გ ა ს ა ლ ი (V საუკუნის მეორე ნახევარი), რომელიც შეაკვდა კიდევაც მტერს. ვახტანგს ეხლაც აქებს ხალხი თავის სიმღერებში:

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შესდგა,
დიდმა მთებმა შექმნეს დრეკა..."

უთანასწორო ბრძოლაში ქართლი ბოლოს დამარცხდა დროებით. სპარსელებმა ქართლში მეფობა მოსპეს, VI საუკუნის დასაწყისს, და ჩვენი ქვეყანა თავის მოხელეს — მარზპანს — დაუმორჩილეს. ქართლის მოსახლეობას გაუმაძღარმა მტერმა უმძიმესი უღელი დაადგა ქედზე.

ეგრისში რომაული გავლენა სჭარბობდა და თუმცა ეგრისს ჯერ კიდევ საკუთარი მეფე ჰყავდა, მაგრამ ეს მეფე სულ უფროდაუფრო დიდ შევიწროებას განიცდიდა რომაელებისაგან.

ამავე დროს დასავლეთ საქართველოს სპარსელებიც ეპოტინებოდნენ. სპარსელები მიზნად ისახავდნენ მკვიდრი მოსახლეობის დედიანბუდიანად მოთხრას, აქ სპარსელი და სხვა უცხო ტომების დასახლებას, ამრიგად შავი ზღვის სანაპიროზე ფეხის მტკიცედ მოკიდებას და შემდეგ აქედან რომის სახელმწიფოზე, თავის მოსისხლე მტერზე, გალაშქრებას, უწინარეს ყოვლისა კი კონსტანტინოპოლის ხელში ჩაგდებას. საკმაო იყო სპარსელებს ეს შავი გეგმა განეხორციელებინათ და ეგრისი მოესპოთ, რომ შემდეგ, უეჭველია, იმასვე დამართებდნენ ქართლსაც. თუ ქართლის მიმართ ასეთი განზრახვა ადრევე არ გამოამჟღავნეს სპარსელებმა, მიზეზი, რა თქმა უნდა, ეგრისის არსებობა იყო: აქ სპარსელების ფლანგი უზრუნველყოფილი არ იყო, ისინი ამ მხრიდან მუდამ მოულოდნელი დარტყმის შიშში იყვნენ. ქართლელებს კი ეგრისში საიმედო თავშესაფარი და დასაყრდენი ჰქონდათ. არა მარტო ქართლელებს, არამედ სომხებსაც არა ერთგზის უპოვნიათ დასავლეთ საქართველოში მყუდრო სახიზარი და ძმური დახმარება.

ეს გარემოებაც აცოფებდა სპარსელებს. ირანის შაჰანშაჰის განზრახვით, „კოლხიდის მტკიცედ დასაკუთრება... ირანის ძალაუფლებას დიდ სარგებლობას მოუტანდა. იბერიაც ხომ მომავალში სავსებით მორჩილი იქნებოდა, რადგან იბერებს აღარ ეყოლებოდათ ეს ხალხი, ვისთანაც ისინი, აჯანყების შემთხვევაში, თავს გადაირჩენდნენ"-ო, ასე წერს იმდროინდელი ისტორიკოსი.

იშვიათად დასდგომია ქართველ ხალხს ისეთი ჟამთა სიავე და ძნელბედობა, როგორც VI საუკუნეში. ისევე როგორც ხალხთა ჯა-

ლათის თემურ-ლენგისა და სისხლიანი შაჰ-აბასის დროს, ახლაც ქართველი ხალხის ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა.

მაგრამ ორცეცხლს შუა მომწყვდეულმა ქართველმა ხალხმა, რომელსაც სრულ განადგურებას უქადნენ წინა აზიის ეს უდიდესი, უძლიერესი სახელმწიფოები, იხსნა თავისი ფიზიკური არსებობა და სულიერი სახე, დაიცვა თავისი ძველი კულტურა.

ამ შესანიშნავ შედეგს ქართველმა ხალხმა მიაღწია იმით, რომ დარაზმა მთელი თავისი ძალები, თავისი წიაღიდან წარმოშვა მაღალნიჭიერი, ერთგული პოლიტიკოსები, დიპლომატები, სარდლები და მათი მეთაურობით გააჩაღა თავდადებული მამულიშვილების საყოველთაო სახალხო ომი.

დიდებულ სურათს წარმოადგენს ეს ბრძოლა! მისი მთავარი ამბებია: ქართლის ბრძოლა სპარსელების ბატონობისა და მჩაგვრელობის წინააღმდეგ, რომისა და ირანის ოცწლიანი ომი ეგრისისათვის თვით დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ეგრისის ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის როგორც რომაელების, ისე სპარსელების წინააღმდეგ.

რკინისებური დარაზმულობა, მაღალი პოლიტიკური და დიპლომატიური ხელოვნება, გაშლილი ფრონტით ბრძოლა, ბრძოლა პარტიზანული ხერხითა და წესით, გულუშიშარ მამულიშვილთა ვაჟკაცობა და თავდადება — აი, რა დაახვედრა ქართველმა ხალხმა VI საუკუნეში რიცხვმრავალსა და გაიძვერა მტრებს.

ცეცხლოვანი სიტყვებითაა აღბეჭდილი იმდროინდელი ქართველი პატრიოტების სულისკვეთება, აღწერილი თანამედროვე ისტორიკოსების მიერ.

* * *

ეგრისელი ხალხის ბრძოლას VI საუკუნის პირველ ნახევარში გუბაზ მეფე ხელმძღვანელობდა.

იმ პერიოდში, როცა ყველაზე საშიშ მტრად სპარსეთი ჩანდა, ეგრისელებმა სპარსელების წინააღმდეგ რომაელები გამოიყენეს, მაგრამ საკუთარ მიზნებზე და დამოუკიდებელ პოლიტიკაზე ეგრისის ხელმძღვანელებს ერთი წუთითაც ხელი არ აუღიათ — ეგრისის ხალხს და, საერთოდ, ქართველობას თავისი საკუთარი გზა ჰქონდა და იმას მიჰყვებოდა.

ერთ-ერთ დიდ ბრძოლაში სპარსელების წინააღმდეგ ეგრისელებს ანუ ლაზებს, როგორც მათ ისევ, ძველებურად, ეძახდნენ უცხოელები, ჰსურდათ, რომ ისინი რომაელებისაგან ცალკე, დამოუკიდებლად ჰკვეთებოდნენ მტერს. ეგრისელი მეომრები ამბობდნენ, როგორც გადმოგვცემს იმდროინდელი რომაელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი: „რომაელები ბრძოლაში წასვლით არც სამშობლოსთვის იგდებენ თავს საფრთხეში, არც ნათესავებისათვის, მათ კი, ლაზებს საფრთხე მოელით შვილებისთვის, ცოლებისთვის და სამშობლო ქვეყნისთვის. ასე რომ, ლაზებს თავიანთი ცოლებისა უნდა შერცხვეთ, თუ მოწინააღმდეგისაგან დამარცხებული იქნებიან“... ლაზებს ძალიან უნდოდათ, რომ პირველნი სძგერებოდნენ მარტონი მტერს, რათა მათთვის საქმეში ხელი არ შეეშალათ რომაელებს, რომელნიც ლაზებსავით არ იყვნენ აღფრთოვანებულნი სახიფათო ბრძოლაში. ლაზები რომ ასე აღფრთოვანებით ლაპარაკობდნენ, გუბაზს ძალიან გაეხარდა, მოუხმო მათ რომაელებისაგან ცოტა მოშორებით და ასე მიმართა: „მე არ ვიცი, ვაჟკაცებო, საჭიროა თუ არა კიდევ რჩევა-დარიგებით მომართვა თქვენდამი თქვენ აღსაფრთოვანებლად... არავითარი მოწოდება აღარ ესაჭიროება იმას, ვინც გარემოებათა საჭიროებითაა უკვე აღფრთოვანებული, რასაც ამჟამად ჩვენთან ვხედავთ. საფრთხე მოელის ხომ ცოლ-შვილს, სამშობლო ქვეყანას და, ერთი სიტყვით, ყველაფერს, რის გამოც სპარსელებმა ჩვენზე იერიში მოიტანეს. არავინ არ დაუთმობს მტერს, ვინც რასმე ართმევს მას ძალით მისი ქონებიდან, ვინაიდან ბუნება აიძულებს კაცს იბრძოლოს თავისი საკუთრებისათვის... თუ სპარსელები ამ ომში გაიმარჯვებენ, ისინი მარტო იმას არ იკმარებენ, რომ დაგვიმორჩილონ ან ხარკი დაგვადონ ან სხვა რამე დაისაკუთრონ... ნუ გაქრება ლაზების სახელი! ძნელი არ არის, ვაჟკაცებო, სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენთვის, რომელთაც ხშირად გაგვიმარჯვენია მათზე ხელჩართულ ომში“ — ასე წერს მტრის მწერალი.

მართლაც, ეგრისის ცხენოსანი ჯარი პირველი ეძგერა მტერს. ატყდა ფიცხელი ომი, რომელიც სპარსელების სასტიკი დამარცხებით გათავდა.

შემდეგში გარემოებამ მოიტანა და გუბაზი სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლის ახალ წესზე გადავიდა. ეს უფრო პარტიზანული ომი იყო. წვრილწვრილი თავდასხმებით სამეგრელოს ტყეებიდან და ხეობებიდან გუბაზი მტერს მოსვენებას არ აძლევდა. 553 წელს გუბაზს რამდენიმე ბრძოლა ჰქონდა სპარსელებთან. ამ ბრძოლებში

რომაელები სრულ უდარდელობასა და სილაჩრეს იჩენდნენ. ამის გამო გუბაზ მეფე მათზე ძალიან გაგულისებული იყო და საჯაროდ ილანძღებოდა — რომაელი სარდლები უჭკუო, უქნარა და მშიშარა ხალხიაო, ამიტომ 554 წელს რომაელმა სარდლებმა შეტყუებით მოჰკლეს გუბაზი, ვითომც სპარსელებთან კავშირის გამო.

იმდროინდელი რომაელი ისტორიკოსი აგათია გადმოგვცემს, რომ გუბაზის ვერაგულად მოკვლამ „ააღელვა ლაზების მთელი ჯარი. ლაზები ისე იყვნენ აღშფოთებულნი, რომ გადასწყვიტეს აღარ შეერთებოდნენ რომაელებს და აღარ ეომნათ მათთან ერთად"-ო.

თუ რას ნიშნავდა ლაზების ჯარის ძალა, ეს რომაელებმა მალე დაინახეს ო ნ ო გ უ რ ი ს ბრძოლაში. აქ სამი ათასმა სპარსელმა სამარცხვინოდ დაამარცხა 50 000 რომაელი, რომელთაც ლაზები არ ეხმარებოდნენ.

თვითონ ლაზები (ეგრისელები) ამ დროს თავისი ქვეყნის ბედზე ფიქრობდნენ. ხალხის თავკაცებმა ერთ ხეობაში დიდი საერო კრება მოიწვიეს. აქ ბევრი სხვადასხვანაირი აზრი გამოითქვა იმის შესახებ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ შემდეგში. კრების მეთაურნი ორ ჯგუფად გაიყვნენ. ერთი ჯგუფის სათავეში აიეტი იდგა, რომაელების ძველი მტერი და სპარსელების მომხრე, აიეტი ამტკიცებდა — გუბაზის მოკვლა მხოლოდ დასაწყისია და რომაელებს ჩვენი მოსპობა აქვთ განზრახულიო. „გ ა ქ რ ა კ ო ლ ხ ე ბ ი ს ძ ვ ე ლ ი ღ ი რ ს ე ბ ა, — ამბობდა აიეტი. — მ ე მ ი ნ დ ა რ ო მ კ ო ლ ხ ე თ ი ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ჰ ქ ო ნ დ ე ს თ ა ვ ი ს ი წ ი ნ ა ნ დ ე ლ ი ძ ლ ი ე რ ე ბ ა, რ ო მ მ ა ს ა რ ს ჭ ი რ ო დ ე ს უ ც ხ ო ე ლ ე ბ ი ს დ ა ხ მ ა რ ე ბ ა გ ა რ ე დ ა ნ, რ ო მ რ ო გ ო რ ც ო მ ი ს, ი ს ე მ შ ვ ი დ ო ბ ი ს დ რ ო ს ი გ ი მ ხ ო ლ ო დ თ ა ვ ი ს თ ა ვ ს ე ყ რ დ ნ ო ბ ო დ ე ს. მაგრამ როცა ჩვენ ჟამთა ვითარების გამო ან ბედის უკუღმართობის წყალობით ანდა ორივე მიზეზით ისე დავუძლურდით, რომ სხვისი ხელქვეითი გავხდით, ისევ სჯობია იმის ხელში ვიყოთ, ვინც უფრო კეთილისმსურველია, ვინც დაურღვევლად იცავს კეთილ განწყობილებას თავისიანებთან და მოკავშირეებთან".

აიეტის სიტყვამ ისე აანთო ხალხი, რომ ერთხმად იგრიალეს, სპარსელებს მივემხროთო. მაგრამ მოწინააღმდეგე პარტიის მეთაურმა, ფარტაძმა, რომელსაც დიდი პატივისცემა და გავლენა ჰქონდა კოლხებში მოხვეჭილი, შეაჩერა ხალხი. ფარტაძი ურჩევდა, საქვეყნო საქმის გულისათვის დავივიწყოთ ეს მწუხარება და წყენა და გ ო ნ ე ბ ი ს ძ ა ლ ი თ ს ა უ კ ე თ ე ს ო გ ზ ა ა ვ ი რ ჩ ი ო თ ო. „მოხერხებულსა და წარმტაც სიტყვას უნდა დავუპირისპიროთ გონიერი მოსა-

ზრება, რომელიც საქმის ნამდვილ ვითარებას ემყარება ...მსჯელობის დროს ნუ ავყვებით მოწოლილ ბოღმასა და გულისტკივილს, რომ არ დავკარგოთ მოსაზრების ღონე და არ დავაბუნდოვანოთ ჩვენი მსჯავრი. შევინარჩუნოთ უმჯობესის არჩევის უნარი... უგუნურნი ადამიანები სულ მუდამ დასტირიან განვლილ უბედურებას, ხოლო გონიერნი შეიგნებენ ხოლმე ბედის უკუღმართ ტრიალს, ან შფოთავენ ცვლილებების გამო და როცა წინანდელ მდგომარეობას კარგავენ, არ ისპობენ მომავლის იმედებს... სასოწარკვეთილებას კი არ უნდა ავყვეთ და მონებივით კი არ უნდა გავიქცეთ, არამედ უნდა გავიმსჭვალოთ „კოლხის თავისუფლების შეგნებით, ვაჟკაცურად უნდა გადავიტანოთ უბედურება და არ ჩავიდინოთ არაფერი უღირსი და მამა-პაპური წესების შემბღალველი“. შევატყობინოთ კეისარს, რაც მოხდა და ვნახოთ, რა პასუხს მოგვცემს. თუ ჩვენი სამართლიანი მოთხოვნილება უარყოფილი იქნება, მაშინ ვიფიქროთ სპარსელებთან კავშირზე.

ეს შესანიშნავი სიტყვები მთელი პოლიტიკური პროგრამაა. ასე თქმა შეუძლიათ მხოლოდ დარბაისელს, შორსმჭვრეტელს, ბრძენ ხალხის წინანძღოლებს, რომელთაც დიდი პოლიტიკური სკოლა აქვთ გამოვლილი. პოლიტიკაში არ შეიძლება გრძნობათა ღელვას, გულჩვილობას აჰყვე, — მათ შეიძლება სწორი გზიდან გადაგჩეხონ. პოლიტიკოსისათვის საჭირო და შესაწყნარებელი გრძნობა ის რთული გრძნობაა, რომელიც აზრად შედედდება ხოლმე, ან რომელიც თვით აზრია წამახული. სამშობლოს დამოუკიდებლობის მაღალი აზრი და მიზანი, ეროვნული თავისუფლების შეგნება, რომელიც გამსჭვალავს ხალხის მსახურებსა და მებრძოლებს, წარმოშობს სათანადო მაღალ გრძნობებსაც, რომელნიც აზრსა და შეგნებაზე არიან აშენებულნი და მათგან განუყრელნი: ეროვნული და მოქალაქეობრივი ღირსებისა და სახელის გრძნობა-შეგნებას, მოვალეობისა და თავდადებისათვის აღფრთოვანებას, უმწვავესი სირცხვილის გრძნობას ეროვნულ-მოქალაქეობრივი მოვალეობის შეუსრულებლობის გამო.

ამრიგად, ძველს ქართველ სახელმწიფო მოღვაწეებს მთელი მოძღვრება ჰქონდათ შემუშავებული ეროვნული პოლიტიკის ძირითადი პრინციპების შესახებ, მთავარი ამ პრინციპებს შორის იყო, როგორც ვნახეთ, — დაცულ იქნას სამშობლო ქვეყნის დამოუკიდებლობა და ეროვნული თვითმყოფობა, რო-

გორც ომის, ისე მშვიდობის დროს ეროვნული სახელმწიფო მხოლოდ თავის საკუთარ თავს ეყრდნობოდეს.

*

* *

სწორედ ამავე სიტყვებით გამოათქმევინა ილია ჭავჭავაძემ თავის მოხევეს მიზანი ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისა, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაიშალა ცარიზმის წინააღმდეგ: „მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, — წერდა დიდი მწერალი, — რა ნესტარითაცა ხარ ნაჩხვლეტი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო", — სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდამ გულამდე ჩამირბინა. იქ, გულში ვაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დარჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის?"...

ეს დიდი ეროვნული ტკივილი, რომელიც საუკეთესო მამულიშვილების შეგნებაში იბადებოდე და მათსავე გულში იმარხებოდა, საბჭოთა ხელისუფლების დროს დაუამდა ქართველ ხალხს. ლენინისა და სტალინის ეროვნულმა პოლიტიკამ მისცა ქართველ ხალხს ნამდვილი დამოუკიდებლობა, ეროვნული სუვერენული სახელმწიფოებრიობა და მით მოხსნა ილიას კითხვაც...

ძველი ქართველი სახელმწიფო მოღვაწეების პოლიტიკური თეორია ითვალისწინებდა, როგორც ვნახეთ, იმ იძულებითს მდგომარეობასაც, როდესაც ეროვნული პოლიტიკის წარმოება საჭირო ხდება მოზღვავებული, მტრული და ჭარბი ძალების გარემოცვაში, როცა სავსებით დამოუკიდებელი პოლიტიკისათვის ხალხს ძალა არა ჰყოფნის. ასეთ შემთხვევაში საჭიროა საგარეო წინააღმდეგობათა გამოყენება, ერთი მტრული ძალის დაპირისპირება მეორისათვის, მრავალი ბოროტებიდან უმცირესის შერჩევა.

ასედაც იქცეოდნენ ძველი ქართველი პოლიტიკოსები. ისინი რომაელთა წინააღმდეგ სპარსელებს იყენებდნენ, ხოლო სპარსელთა წინააღმდეგ — რომაელებს. „უმცირესი ბოროტების" პოლიტიკისათვის შემდეგშიაც არა ერთგზის მიუმართავთ საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეებს.

ეგრისის ხალხის შეუპოვარი და შეუდრეკელი ბრძოლით სპარსელები გაძევებულ იქნენ დასავლეთ საქართველოდან და მათი საზარელი გეგმებიც საბოლოოდ ჩაიფუშა.

უცხოელებიც კი იძულებული იყვნენ, უნებლიე პატივისცემის გრძნობით გამსჭვალულიყვნენ ამ რიცხვით პატარა, მაგრამ მამაცი, ნიჭიერი, მშრომელი ხალხისადმი. VI საუკუნის ერთი რომაელი ისტორიკოსი, ა გ ა თ ი ა, მაგალითად, წერს: „ძლიერი და მამაცი ტომია ლაზები და სხვა ძლიერ ტომებზედაც მბრძანებლობენ; ისინი ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით... იმ ტომებს შორის, რომელნიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არც ერთი სხვა ასე სახელგანთქმული და განდიდებული, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მიწაწყლის სიჭარბითა და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიცქვიტით... ლაზები ზღვაშიაც დაცურავენ კიდეც, რამდენადაც შესაძლებელია, და ვაჭრობაშიაც დიდ სარგებლობას პოულობენ... მათ თავიანთი ცხოვრებისათვის სახელმწიფოებრივი და კანონითი სახე მიუციათ“...

*

* *

იმავე დროს ძლიერდებოდა ხალხის რისხვა სპარსელების წინააღმდეგ ქართლშიაც. ღრმა პატრიოტიზმი ასაზრდოებდა ამ რისხვას. სპარსელთა წინააღმდეგ ერთერთი აჯანყების შემდეგ, რომელიც ქართველებმა და სომხებმა მოაწყვეს, გაიმართა მოლაპარაკება სპარსელებსა და რომაელებს შორის. რომაელები მოითხოვდნენ, სპარსელებს ნება მიეცათ აჯანყებულთათვის წასულიყვნენ სამშობლოდან, სადაც მოისურვებდნენ; რომის მთავრობა ფიქრობდა, რომ ამ მამაცსა და შეუდრეკელ ხალხს თავისთვის კარგად გამოიყენებდა. სპარსეთის მთავრობამ ამ მოთხოვნაზე ცბიერი თანხმობა მისცა რომაელებს. ეს იმიტომაო, ამტკიცებს იმავდროინდელი რომაელი ისტორიკოსი მ ე ნ ა ნ დ რ ე, რომ ირანის შაჰმა კარგად იცოდაო: „მცირეოდენი მმართველი პირების გარდა, რომელნიც ხელმძღვანელობდნენ აჯანყებას, არც ერთი სპარსეთის სომეხი და ქართველი არ წავიდოდა უცხო ქვეყანაში სამშობლოსადმი სიყვარულის გამო, რომელიც ბუნებით არის ჩანერგილი ადამიანებში“. ეს სამშობლოსა და თავისუფლების სიყვარული და სიძულვილი უცხოელი დამპყრობლებისადმი აბობოქრებულ აჯანყებად იქცა 572 წელს. აჯანყება გადავიდა ხანგრძლივ ბრძოლაში და დასრულდა სპარსელების გაძევებით ქართლიდანაც იმავე საუკუნის დამლევისათვის. ქართლში დაიბადა ახალი, ეროვნული სახელმწიფოებრიობა, რომლის ნიადაგზედაც შემდეგში ჩამოყალიბდა საშუალო საუკუნეების დიდი და ძლიერი ქართული სახელმწიფო.

საქართველოს შემდგომი განვითარება ახალმა მტერმა დააგვიანა. ესენი არაბები იყვნენ. VII საუკუნის შუაწლებიდან მოყოლებული თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში ცდილობდნენ არაბები მოეკლათ ქართველ ხალხში წინააღმდეგობის ძალა და თავისუფლების წყურვილი. რამდენჯერ გადაუვლიათ მათ საქართველოზე ცეცხლითა და მახვილით, როგორც ეს ჩაიდინა VIII საუკუნის დამდეგს მურვანყრუმ, რომელიც ახლაც ახსოვს ქართველ ხალხს და რომელმაც „შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი“ ქართლსა და ეგრისში. მემატიანე ამბობს, რომ მურვანის ლაშქრობის შემდეგ საქართველო და მთელი ამიერკავკასიაც ისე იყო აოხრებული, რომ „არღარა იპოვებოდა ნაშენები, არცა საჭამადი კაცთა და პირუტყვთა“.

როცა არაბები ერთი ხნით ფეხის მოკიდებას ახერხებდნენ ჩვენში, ისინი უმძიმესი ჩაგვრის უღელს ადგამდნენ ხალხს. მაგრამ საბოლოოდ მათ თავის მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს, ქართველი ხალხი ვერ მოდრიკეს. რაც უფრო მეტს მტარვალობას იჩენდნენ არაბები, მით უფრო იზრდებოდა ხალხის გულისწყრომა და სიძულვილი უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ბრძოლა ხანგრძლივი და მსხვერპლით სავსე იყო, მაგრამ ის ხალხის გამარჯვებით გათავდა.

არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაში ამიერკავკასიელი ხალხები ძმურად ეხმარებოდნენ ერთმანეთს. როცა აჯანყების ცეცხლი არაბების წინააღმდეგ უფრო ადრე სომხეთში დაინთო, იმიტომ რომ სომხეთში ხალხი კიდევ უფრო გაწამებული იყო, ქართველები ეხმარებოდნენ სომხებს. დამარცხებული სომეხი მთავრები ქართლსა და ეგრისში პოულობდნენ თავშესაფარს.

VIII საუკუნის დამლევიდან მოყოლებული ქართლი, სომხეთი და ალბანია უკვე გამუდმებით აჯანყების ალსა და კვამლში იყო გახვეული. ამბოხებული იყო მთელი ხალხი. ხალიფები ჯარს ჯარზე გზავნიდნენ ერთიმეორეზე უფრო სასტიკი ამირების მეთაურობით და შეუბრალებლად უსწორდებოდნენ აჯანყებულებს, მაგრამ მოძრაობა სულ უფროდაუფრო ძლიერდებოდა.

ამ დიდ სახალხო მოძრაობას ქართლში თავისი მქადაგებლები და იდეოლოგები ჰყავდა. მათ შორის პირველი იყო VIII საუკუნის დიდი ქართველი მწერალი ი ო ა ნ ე ს ა ბ ა ნ ი ს ძ ე. საბანისძე მიზნად ისახავდა გაეღვივებინა თავის თანამემამულეებში ე რ ო ვ ნ უ ლ ი ს ი ა მ ა ყ ი ს გ რ ძ ნ ო ბ ა, გაემხნევებინა სუსტნი, რომელნიც „შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“, არაბების ძალმომრეობის გამო. საბანისძეს სურდა კვლავ მშობლიურ კერას დაჰბრუნებოდნენ ისინი, ვინც არაბებმა უკვე „შეაცთუნეს და გარდადრიკნეს გზისაგან სიმართლისა“ დაშინებით, ვერაგობით, მო-

სყიდვით, „რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკვარებით"-ო. ლამის ჩვენი საკუთარი სახე დაგვეკარგოს და უცხო ხალხში გავითქვიფოთ, მრისხანე გულისწუხილით მოთქვამდა საბანისძე: „ა ღ ვ ე რ ი ე ნ ი თ ე რ ს ა უ ც ხ ო ს ა".

იოანე საბანისძისა და მისი მსგავსი მქადაგებლების მოწოდება ამტკიცებდა სახალხო თვითშეგნებას. აკაჟებდა მებრძოლთა სულისკვეთებას ეროვნული განთავისუფლებისათვის.

არაბების ძალაუფლება თავიდანვე უფრო ცენტრალურ თემებზე ვრცელდებოდა და მთიან რაიონებს ეგრე რიგად ვერა სწვდებოდა. ამით სარგებლობდა ხალხი, განაპირა თემებს, ხეობებსა და მთიანეთს თავს აფარებდა და იქიდან თავს ესხმოდა მტერს.

საქართველოს განაპირა თემებიდან ყველაზე ადრე გაძლიერდა კახეთი.

დამახასიათებელია კახელების ბრძოლა არაბთა წინააღმდეგ. აქ, ივრისა და ალაზნის ნოყიერ ხეობებში, განსაკუთრებით ამ ხეობების ზემოთა ნაწილში, ხალხი თავს უფრო გულმშვიდად გრძნობდა, თავისუფლად ცხოვრობდა და შრომობდა. VIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის კახეთში ხალხი ძალიან მომრავლებული და შეძლებულიც იყო. ხარბ დამპყრობლებს კახელების სიმდიდრე იზიდავდა ხოლმე, მაგრამ საკმარისი იყო კახეთის ხეობებში არაბები გამოჩენილიყვნენ, რომ უშიშარი და ამაყი მთიელები მათ თავს ესხმოდნენ და მუსრს ავლებდნენ. VIII საუკუნის შუაწლებიდან კახეთი აინუნშიაც არ აგდებდა არაბებს. არაბული ცნობებით, კახელები ამ დროს ყველაზე საშიში მტერი იყვნენ არაბებისათვის ამიერკავკასიაში. მართლაც. სისხლისმღვრელ ბრძოლებში, არაბებსა და კახელებს შორის რომ ხშირად ხდებოდა, გამარჯვება ჩვეულებრივად კახელებს რჩებოდათ. VIII საუკუნის დამლევისათვის კახელებმა უკვე თავისი მ თ ა ვ ა რ ი ც გაიჩინეს და საკუთარი მართვა-გამგეობა მოაწყეს.

თანდათან დასავლეთი საქართველოც განთავისუფლდა არამკითხე უცხოელებისაგან, ამ შემთხვევაში — ბიზანტიელებისაგან, რომელნიც ძველი რომის მემკვიდრეობას ჩემულობდნენ. VIII საუკუნის დამლევს ეგრისი და აფხაზეთი კვლავ გაერთიანდნენ აფხაზთა სამეფოს სახელით. ამ დროისათვის ეს ქვეყანა აგრეთვე მჭიდროდ დასახლებული და ღონიერი ქვეყანა იყო.

IX საუკუნის დამდეგს სამხრეთ საქართველოში კიდევ ერთი ქართული სამთავრო ჩამოყალიბდა. ეს იყო ტაო-კლარჯეთი. აქაური მთავრები ბაგრატიონთა საგვარეულოს ეკუთვნოდნენ, რომელნიც შემდეგ-

ში გაერთიანებული საქართველოს მეფეები გახდნენ და მეფობა შეინარჩუნეს XIX საუკუნის დამდეგამდე.

IX—X საუკუნეებში ჩვენი ქვეყანა გაიზარდა და გაძლიერდა ეკონომიურად და კულტურულადაც.

არაბებისაგან დაცული ეს განაპირა თემები წინ მიდიოდნენ უფრო სწრაფი ნაბიჯით. სიცოცხლისა და თავისუფლების სიყვარული, შრომისმოყვარეობა და ძველისძველი კულტურული გამოცდილება იყო იმის მიზეზი, რომ ხალხი ამ განაპირა თემებში ფართოდ შლიდა თავის მეურნეობას, აჩაღებდა სამოქალაქო ცხოვრებასა და თავსაც მარჯვედ იცავდა ხანდახან კარზე მომდგარი მტრისაგან.

ამრიგად, კახეთი, ტაო-კლარჯეთი, ეგრის-აფხაზეთი გაიზარდნენ და გაშენდნენ. როცა, IX საუკუნის დამდეგს არაბებმა ზავი დადეს კახელებთან, კახელებმა არაბების მოთხოვნით იკისრეს, მიეცათ მათთვის სამი ათასი ფაშატი ცხენი და ოცი ათასი ცხვარი. ეს მოწმობს, თუ როგორი დიდი რაოდენობით აშენებდნენ კახელები იმ დროს საქონელს. შემდეგშიაც კახეთი განთქმული იყო თავისი ცხენებითა და თავისი ცხვრით. კახეთის იმდროინდელი სიმდიდრის უტყვი ნაშთია ხუროთმოძღვრების ძვირფასი ძეგლები, რომლებითაც მოფენილია კახეთის მიწა-წყალი.

ეგრის-აფხაზეთის იმდროინდელი მატერიალური კულტურის ნაშთია მარტვილის (ჭყონდიდის) შესანიშნავი ტაძარი, მოქვის დიდებული ტაძარი და სხვა ძეგლები.

ყველაზე წინ ქართულ სამთავროებში იდგა თავისი სიმდიდრითა და კულტურულადაც ტაო-კლარჯეთი. აქაური ქართველი მოსახლეობა ადრევე განთქმული იყო თავისი მიწისმოქმედებით. იმდროინდელი ტაო-კლარჯეთის ქონებრივი შეძლებისა და კულტურული განვითარების ცოცხალი მოწმეა ისეთი შესანიშნავი ძეგლები არქიტექტურისა, როგორიცაა ოშკის, იშხანის, ბანას, ხახულის ტაძრები.

განსაკუთრებით გაძლიერდა ტაო-კლარჯეთი X საუკუნეში. ამ საუკუნის პირველ ნახევარში ტაო-კლარჯეთი სამხრეთით ვრცელდებოდა მდ. არაქსამდე, სადაც იგი ბიზანტიას ემიჯნებოდა. შემდეგ, X საუკუნის მეორე ნახევარში, დავით კურაპალატის მეფობაში, ტაო-კლარჯეთი კიდევ უფრო დიდი და ძლიერი სამეფო გახდა.

## 6

ამრიგად, X საუკუნეში საქართველოს უდიდესი ნაწილი ყოველმხრივ წინსვლის, პროგრესის გზაზე იდგა და ამ გზაზე მას უკვე თვალსაჩინო მანძილი ჰქონდა გავლილი.

მომრავლდა მოსახლეობა, გაიშალა მისი სამეურნეო საქმიანობა, ქვეყანა გაძლიერდა ეკონომიურად, გაიზარდა ძველი ქალაქები, გაშენდა ახალი. გაფართოვდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ურთიერთობა, შინაგანი გაცვლა-გამოცვლა და აღებ-მიცემა, გახშირდა და გაძლიერდა საგარეო სავაჭრო კავშირები.

X საუკუნეში საქართველო სულიერი კულტურის მხრივაც დაწინაურებული ქვეყანა იყო. მწერლობამ და ხელოვნებამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. ქართული სალიტერატურო ენა ძალიან გაიზარდა და გავრცელდა. უკვე IX საუკუნეში როგორც ტაო-კლარჯეთში, ისე კახეთში, ქართლსა და აფხაზეთში ქართული ენა იყო მწერლობის, სახელმწიფო მართვა-გამგეობისა და სამოქალაქო ურთიერთობის, ეკლესიის ერთადერთი ენა. ქრისტიანობის საშუალებით ქართული ენა გადავიდა ჩრდილოეთ კავკასიაშიც. პირველ რიგში — ჩერქეზებსა და ალანებში. ქართულის ასეთმა გავრცელებამ და ქართული მწერლობის აყვავებამ იმდროინდელს ქართველ მოღვაწეებს ჩაუნერგა დედაენის დიდი ღირებულებისა და ღირსების შეგნება. X საუკუნის მწერალმა იოანე ზოსიმემ სპეციალური შესხმა (ქება) უძღვნა ქართულ ენას — „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“. ამ ჰიმნში ავტორი ქართულ ენას განსაკუთრებულ როლს აკისრებს მსოფლიოს ენათა შორის.

მატერიალური და სულიერი განვითარების ამ დონეზე საქართველო მომწიფებული აღმოჩნდა რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ამოცანის წამოყენებისათვის.

პირველი და ძირითადი ამოცანა საქართველოს გაერთიანება იყო. მოწინავე ადამიანებმა შეიგნეს, რომ აუცილებელი გახდა საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს შექმნა, რომელიც მოსპობს შინაგან დაქსაქსულობას, მეტ წესრიგს დაამყარებს ქვეყანაში, ხელს შეუწყობს მის შემდგომს უფრო სწრაფ ზრდას და ამავე დროს უფრო კარგად დაიცავს ქვეყანას გარეშე მტრისაგან.

რა თქმა უნდა, ეროვნული ძალების სრული და მტკიცე გაერთიანება ფეოდალურ ხანაში შეუძლებელია. მაგრამ გაერთიანება იმ სახითაც კი, როგორც ეს მაშინ იყო მისაწვდომი, დიდი სიკეთე იყო ჩვენი ხალხისათვის. და ხალხიც იმ პირებს თანაუგრძნობდა, ვინც გაერთიანებისათვის იღწვოდა.

ხალხის ერთობის საჭიროების იდეა ღრმად შეითვისა და შეიყვარა ჩვენმა ხალხმა, ერის მესაიდუმლემ, დიდმა აკაკიმ, გამოხატა ეს ხალხის გულისნადები თავის სიმღერაში:

„ერთობა ჩვენთვის ტახტია
მტრებისთვის — სახრჩობელაო!“

ტყუილად კი არ იყო, რომ ქართველმა ხალხმა 1905 წლის რევოლუციას დაარქვა სახელად ეს ერთი სიტყვა — „ე რ თ ო ბ ა“, რევოლუციის მებრძოლებს კი — „ე რ თ ო ბ ი ს კ ა ც ე ბ ი!“ ეს იყო პირველი შემთხვევა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, როდესაც მან სცადა მთელი თავისი ძალების გაერთიანება...

მეორე, აგრეთვე მეტად მნიშვნელოვანი, ამოცანა მდგომარეობდა ს ა გ ა რ ე ო მ ე გ ო ბ რ უ ლ ი კ ა ვ შ ი რ ე ბ ი ს შექმნაში, ისეთი კავშირებისა, რომელნიც საშუალებას მისცემდნენ მოკავშირეებს უფრო ადვილად დაეცვათ თავი საგარეო აგრესიისაგან და უფრო გულმშვიდად ეწარმოებინათ შინაური მშენებლობა.

ხალხთა მეგობრული კავშირების შექმნა ფეოდალურ ხანაში კიდევ უფრო ძნელია, ვიდრე ე რ თ ი მ ო დ გ მ ი ს ხალხის გაერთიანება. საზოგადოებრივ-ეკონომიური პირობები არ იყო ხომ მაშინ სამისოდ მომზადებული. ტომობრივი და რელიგიური თავკერძობის, უნდობლობისა და გაუტანლობის ქვენა გრძნობები და ცრუ რწმენები შუა საუკუნეების ადამიანებს ძალუმად ჰქონდათ გამჯდარი. მაგრამ, ერთი მხრივ, მარტოხელა და ცალუღელა ცხოვრებისა და ბრძოლის გამოცდილება, მეორე მხრივ — მიღწეული მაღალი კულტურული საფეხური უნერგავდნენ მოწინავე ადამიანებს იმის შეგნებას, რომ ეროვნული ობლობა უფრო მწარეა, ვიდრე პიროვნული ობლობა. საქართველოს ისტორიის მძიმე პერიოდებში, როცა მეზობელი ხალხები წაიჩოქებდნენ ხოლმე მოზღვავებულ მტრებთან უთანასწორო ბრძოლაში და როცა თვით ჩვენს ქვეყანას შავი საფრთხე გადაეფარებოდა, ხალხის მოაზროვნე წინამძღოლები სწორედ ამ ო ბ ლ ო ბ ა ს ჩიოდნენ. ასე იყო, მაგალითად, არაბთა მძლავრობის ყველაზე მძიმე ხანაში, VIII საუკუნის მეორე ნახევარში, როცა იმდროინდელმა დიდმა ქართველმა მწერალმა იოანე საბანისძემ მძაფრი გულისწუხილით გამოთქვა ეს აზრი: ჩვენ, ქართველები, „ვ ა რ თ ყ უ რ ე ს ა ა მ ა ს ქ ვ ე ყ ა ნ ი ს ა ს ა“, დედამიწის კუთხეში, ე. ი. კ უ ლ ტ უ რ უ ლ ი მ ს ო ფ ლ ი ო ს გ ა ნ ა პ ი რ ა ს ვ ა რ თ მ ო ქ ც ე უ ლ ნ ი ო. თათარ-მონგოლების მიერ დარბეულ საქართველოშიაც საქმიანი დოკუმენტიც კი არ დაიწერებოდა ისე, რომ ამ განმარტოება-უთვისტომობის საჩივარი არ ყოფილიყო: „ყურესა ამას მცირესა დაშთომილნი ქართველთა ერნი“-ო, ასეთი იყო გავრცელებული ფორმულა.

განმარტოების შეგნება სასოწარკვეთილებას კი არ ბადებდა, არამედ მისწრაფებას განმარტოების დაძლევისაკენ.

ქართველი ხალხი თანაუგრძნობდა ამ პოლიტიკასაც, იგი სავსებით შეეფერებოდა მის ძველთაძველს ხალხურ ტრადიციებს.

რა შეიძლება იყოს მშობლებზე, და-ძმაზე უფრო ახლობელი; ქართველ ხალხს ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი სისხლით ნათესაობის შეგნება და ადათი. მაგრამ ახალმა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ მოიტანა და ხალხმაც ღრმად შეითვისა, რომ სისხლის კავშირის გარდა შეიძლება არსებობდეს და უფრო მტკიცეც იყოს სულიერი, იდეური კავშირი და მეგობრობა. მშობლების გვერდით ხალხმა მამობილი და დედობილი გაიჩინა, დას გვერდში დობილი ამოუდგა, — ძმას — ძმობილი, ძმადნაფიცი, მოძმე. განსაკუთრებული სიძლიერით შეიყვარა ქართველმა ხალხმა ძმადნაფიცობა. ძმადნაფიცისათვის, ძმობილისათვის არა ერთს ქართველს დაუდვია თავი სიხარულით... საგარეო მოკავშირესაც ხალხი ძმადნაფიც ხალხად თვლიდა...

ქვეყნის ყურეს, კულტურული მსოფლიოს კიდეზე არსებობის შეგნება იმასაც გულისხმობდა, რომ ჩვენი წინაპრები თავის თავს სწორედ ამ კულტურული, მოწინავე კაცობრიობის წევრებად სთვლიდნენ და თავის ბრძოლას იმ ბოროტძალებთან, რომელნიც ამ სამყაროს საზღვრების გარეშე იმყოფებოდნენ, განიხილავდნენ როგორც ბრძოლას არა მარტო საკუთარი ეროვნული ინტერესებისათვის, არამედ იმავე დროს საერთო კულტურული კაცობრიობის ინტერესებისათვისაც. ეს იყო ისეთი ამოცანა, რომლის განხორციელებისათვის მოღვაწეობა ჩვენს მოწინავე წინაპრებს სიმხნესა და სიამაყის გრძნობას ჰმატებდა.

დასასრულ, კიდევ ერთი ამოცანა, რომელიც ჩვენი ქვეყნის წინაშე იდგა, ბუნებრივად გამომდინარეობდა ზემოთ აღნიშნული მიზნებიდან. ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლას, საგარეო კავშირების შექმნისა და გაფართოებისათვის ზრუნვას, ბრძოლას ზოგადსაკაცობრიო ინტერესებისათვის არ შეეძლო არ გაერღვია ვიწროდ, შეზღუდულად გაგებული ეროვნულ-პოლიტიკური ფარგლები და ქართველი ერი კვლავ არ გამოეყვანა იმ მსოფლიო-ისტორიულ სარბიელზე, რომელიც ქართველობამ წინაფეოდალური ხანის დამლევისათვის დაკარგა ჟამთაშლილობისა და ძნელბედობის წყალობით. თუნდაც მხოლოდ ეროვნული თავდაცვის თვალსაზრისითაც რომ შევხედოთ, ვნახავთ, რომ სწორად გაგებული სათანადო ინტერესებიც არღვევენ

ვიწრო ეროვნულ ზღუდეებსა და უფრო ვრცელი პოლიტიკური სარბიელისაკენ მიისწრაფვიან, რადგანაც თავდაცვამ მხოლოდ მაშინ შეიძლება მოგვცეს საიმედო, მტკიცე შედეგი, როცა თავდაცვა აქტიურია და არა პასიური...

ვიმეორებთ, X საუკუნეში საქართველო მომწიფებული აღმოჩნდა იმისათვის, რომ შეეგნო ქვეყნის განვითარების ეს ძირითადი ამოცანები და უმეტესობა მათგანი პრაქტიკულად წამოეყენებინა კიდევაც. ამ დიდ მოძრაობას სათავეში ედგა, როგორც ვთქვით, ტაო-კლარჯეთი დავით კურაპალატისა და მისი თანამოღვაწეების ხელმძღვანელობით.

* * *

დავითი ჭკვიანი, მხნე და ძლიერი კაცი იყო. მას დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი მთელ აღმოსავლეთში, დავითის თანამედროვე სომეხი მემატიანე სტეფანოს ტარონელი წერს: „დიდი კურაპალატი დავით ჩვენი დროის ყველა ხელმწიფეს აღემატებოდა თავისი ლმობიერებითა და მშვიდობისმოყვარე გულით. დავითმა დაამყარა მშვიდობა და კეთილწესიერება ყველა აღმოსავლეთის ქვეყანაში, განსაკუთრებით კი სომხეთსა და საქართველოში. მან შესწყვიტა ომები, რომლებიც გამუდმებით ჩნდებოდა ყოველი მხრიდან, და გაიმარჯვა ყველა გარშემო მცხოვრებ ხალხზე, ასე რომ ყველა ხელმწიფე ნებაყოფლობით დაემორჩილა დავითსა“.

979 წელს დავითმა დიდი დახმარება გაუწია ბიზანტიის იმპერატორს ბასილის, რომელსაც სარდალი ბარდა სკლიაროსი აუჯანყდა. სკლიაროსმა რამდენიმეჯერ დაამარცხა კეისარი და ტახტიდან ჩამოგდებასაც უპირებდა მას. კეისარმა შველა სთხოვა დავითს — ბიზანტიის ერთადერთი იმედი მაშინ საქართველო იყო მხოლოდ. დავითმა გადაარჩინა იმპერატორი: თორმეტი ათასმა რჩეულმა ქართველმა ცხენოსანმა თორნიკე ერისთავის, რომელიც იმ დროს უკვე ბერად იყო შემდგარი, და ჯოჯიკის მეთაურობით გაანადგურეს სკლიაროსი და მისი ლაშქარი და იმპერატორს მისი სამფლობელო დაუბრუნეს. მადლიერმა ბასილიმ ამ დახმარების სანაცვლოდ დავითს დიდი მიწა-წყალი დაუთმო: კარინის ანუ ერზერუმის ოლქი, მეზობელი ბასიანის ოლქი, ჰარქის, აპაჰუნიქის და სხვა ოლქები, მნიშვნელოვანი ციხე ხალდო-არიჭი (ერზერუმის დასავლეთით, თანამედროვე აშყალასთან),

ჩორ-მაირი (ჭოროხის სათავეებთან) და სხვა პატარა ციხე-სიმაგრეები.

ოთხმოციან წლებში დავითმა დაიპყრო ტარონისა და დერჯანის (თანამედროვე თურქეთის — დერსიმი) ოლქები და ქალ. მანაზკერტი (ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთით) 997 წელს დავითმა ალყა შემოარტყა ცნობილ სავაჭრო ქალაქს ხლათს (ვანის ტბის ნაპირზე). დავითის ასეთი გაძლიერებით დაშინებულმა სამხრეთი (სპარსეთის) აზერბაიჯანის ამირამ ომი აუტეხა მას. იმავე სომეხი მემატიანის ცნობით, მაჰმადიანების ლაშქარი ასი ათასი მეომრისაგან შედგებოდა, მაგრამ დავითმა მწარედ დაამარცხა მტერი და შორს განდევნა იგიო. დაპყრობილ ქვეყნებში დავითი ასახლებდა თავის ქვეშევრდომებს — ქართველებსა და სომხებს.

ამრიგად, X საუკუნის მეორე ნახევარში ტაო-კლარჯეთის სამეფო შეიცავდა უზარმაზარ ტერიტორიას, რომლის სამხრეთი საზღვარი ვანის ტბასა და ქალ. ერზინკამდე (ერზინჯანი) აღწევდა.

დავითის ომები სამხრეთში ათავისუფლებდა ქართველსა და სომეხ ხალხს არაბი, ბიზანტიელი და სხვა მოძალადეებისაგან და მშვიდობიანობას ამყარებდა ამ ქვეყნებში. ამ ნიადაგზე ისკვნებოდა კავშირი და მეგობრობა ორს მოძმე ხალხს, ქართველებსა და სომხებს შორის.

ამიტომაა, რომ დავითს ასეთი პატივისცემითა და სიყვარულით იხსენიებენ მისი დროის სომეხი მწერლები. ზემოთ დასახელებული სტეფანოსის გარდა დიდად აქებს დავითს აგრეთვე მეორე ძველი სომეხი ისტორიკოსი, არისტაკეს ლასტივერტელი, რომელიც ამბობს, რომ დავითი იყო „ძლიერი და ქვეყნის მაშენებელი... ნამდვილად მშვიდობიანობის ზღუდე, რადგანაც მის დროში მოისვენა ყოველმა კაცმა"-ო.

დავითის ბრძოლამ სამხრეთისაკენ, ის ნაყოფიც მოიტანა, რომ მოძალადე უცხოელების მრავალსაუკუნოვანი ტყვეობისაგან განთავისუფლებულ იქნა ქართველობის ძველთაძველი, მკვიდრი ტერიტორია და საქართველოს სახელმწიფო მიჯნა ამ მხრივ მიუახლოვდა I.I საუკუნის საზღვარს (ძვ. წ.).

მაგრამ დავითის ყურადღება მარტო სამხრეთისაკენ კი არ იყო მიმართული, კიდევ უფრო მეტად მას ჩრდილოეთი აინტერესებდა, სადაც დაქსაქსული საქართველოს შინაგანი თემები ეგულებოდა.

სამოცდაათიან წლებში, როცა აფხაზთა მეფეების ტახტზი უძლური თეოდოსი იჯდა, ძმის ვერაგობით თვალდამწვარი, დავითმა ისარ-

გებლა აფხაზეთის აშლილობით და თავისი შ ვ ი ლ ო ბ ი ლ ი, ბ ა გ-რ ა ტ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, თეოდოსი აფხაზთა მეფის დისწული, ჯერ ქართლში გაამეფა (975 წელს) და შემდეგ აფხაზეთშიაც (978 წ.).

ამ საქმეში დავითის უახლოესი თანამშრომელი იყო ქართლის ერისთავი ი ო ა ნ ე მ ა რ უ შ ი ს ძ ე.

დავითს საჯაროდ გამოუცხადებია: ბაგრატი არის მემკვიდრე, „მკვიდრი ტაოსა, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი გაზრდილი ჩემი, და მე ვარ მოურავი მისი და თანაშემწე, ამას დაემორჩილენით ყოველნი"-ო.

დავითს ერჩია საქმის უსისხლოდ გაკეთება, სადაც ეს შესაძლო იყო. ვაჟების ხაზით უმემკვიდროდ დარჩენილ აფხაზთა სამეფოსათვის ბაგრატი კანონიერ მემკვიდრედ უნდა ყოფილიყო მიჩნეული, რადგანაც აფხაზთა სამეფო, ე. ი. დასავლეთი საქართველო, ბაგრატის „დედული" — დედისეული — მემკვიდრეობა იყო. ტაოც ბაგრატს ეკუთვნოდა, როგორც უშვილო დავითის მიერ ნაშვილევს. ქართლი კიდევ მაშინ პოლიტიკურად აფხაზთა მეფეების სამფლობელოს ნაწილს შეადგენდა. გარდა ამისა, საქმე ისე იყო წინასწარ მოგვარებული, რომ ახალგაზრდა ბაგრატი მეფედ ქართლისა და აფხაზეთის თავკაცებმა ითხოვეს. ამით დავითი ბაგრატის მომავალი მდგომარეობის განმტკიცებისათვის ზრუნავდა. ამასთან ერთად, დავითი იმდენად დიდბუნებოვანი ადამიანი იყო, რომ საქართველოს გაერთიანების ინტერესების გულისათვის მან ნებაყოფლობით იმთავითვე შვილობილს დაუთმო უზენაესი ხელისუფლება და თავისი თავი გაერთიანებული საქართველოს მეფის მხოლოდ „მოურავად და თანაშემწედ", ე. ი., ფორმალურად მის ქ ვ ე შ ე ვ რ დ ო მ ა დ გამოაცხადა.

საქართველოში ჯერ კიდევ დარჩენილი სხვა ფეოდალური მფლობელებისა და მთავრებისათვის ეს სავალდებულო მაგალითი და შეგონება უნდა ყოფილიყო, დავითის განზრახვით, რომელიც კატეგორიულად მოითხოვდა: „ამას (ე. ი. ბაგრატს) დაემორჩილენით ყოველნი!".

ასე ჩაეყარა საძირკველი ახალს და დიდ სახელმწიფოს, რომელმაც თანდათან გააერთიანა მთელი ჩვენი ქვეყანა. ამ სახელმწიფოს „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო" ეწოდა, ე. ი., ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი ს ქვეყანა და სახელმწიფო. უკვე ეს სახელწოდებაც უჩვენებს, რომ ჯერ კიდევ გაერთიანებამდისაც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის — ქართლ-კახეთის, ტაო-კლარჯეთის, ეგრის-აფხაზეთის... მოწინავე წრეებს შეგნებული ჰქონდათ, რომ ისინი ერთი ეროვნულ-კულტურული ოჯახის შვილები არიან...

მაგრამ ბაგრატისავე მეფობაში ცხადი გახდა, რომ ამ სახელმწიფოს შემდგომი ზრდისა და ვიწრო ეროვნული ფარგლების გარღვევის მიდრეკილება თან დაჰყვა. ბაგრატ III-ის ისტორიკოსი ამტკიცებს: ბაგრატმა „დაიპყრა ყ ო ვ ე ლ ი კ ა ვ კ ა ს ი ა თვითმპყრობელობითა ჯიქეთითგან ვიდრე გორგანამდე"-ო. ბაგრატ მესამის დროისათვის ეს მტკიცება გაზვიადებულია, საამისო პირობები ჯერ არ იყო მომზადებული, მაგრამ პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმული იყო აქეთკენ.

*
* *

მტერი, რომელიც დღეს ჩვენი სახლის კარებს მოსდგომია, გვემუქრება არა მარტო ტანკებითა და ავტომატებით, არამედ „იდეოლოგიითაც". ჰიტლერი და მისი თუთიყუშები ცდილობენ გადააყირაონ მეცნიერება, დაყონ კაცობრიობა მაღალი და დაბალი ჯიშის ხალხებად და მაღალ რასად გერმანელები გამოაცხადონ.

გერმანელი ფაშისტები ურცხვი თავხედობით გაჰკივიან, თითქოს სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და კულტურული შემოქმედების უნარით მხოლოდ „უმაღლესი, ჩრდილოეთის, გერმანული, რასაა" „ზეგარდმო" დაჯილდოებული, თითქოს სხვა ხალხები შემოქმედებითს ენერგიას მოკლებული არიან. ფაშისტები განსაკუთრებით აღმოსავლეთის ხალხების დამცირებას ცდილობენ. ეს ყაჩაღები ხალისით აყალბებენ მათ მიერ მოძულებული ხალხების ისტორიასაც. მაგრამ პირუთვნელი, მეცნიერული ისტორია აცამტვერებს ფაშისტების ამ ჩმახს. საკმარისია ამისთვის კაცმა თუნდაც თვითონ გერმანელი ძველი, პატიოსანი ისტორიკოსების გამოკვლევებში ჩაიხედოს, რომ ადვილად წარმოიდგინოს, თუ როგორი ღვაწლი მიუძღვით წარსულში საბჭოთა კავშირის ხალხებს საკაცობრიო მატერიალური, სულიერი და საზოგადოებრივი კულტურის განვითარებაში.

კერძოდ, ეს X საუკუნე რომ ავიღოთ, ჩვენ ვნახეთ, როგორი უნარი გამოიჩინა ქართველმა ხალხმა ამ დროისათვის ეროვნული სახელმწიფოსა და კულტურის მშენებლობის საქმეში. ჩვენ ვნახეთ, რომ ამ ხანაში მტკიცდებოდა საქართველოს კავშირები კავკასიის მოძმე ხალხებთან და ფართოვდებოდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის საზღვრებიც. მაგრამ იმავე დროს ჩვენი წინაპრების ენერგია სცილდებოდა სამშობლო ქვეყნის ფარგლებს. ქართველები და სომხები მაშინ

დიდ როლს თამაშობდნენ, კერძოდ, თვით ბიზანტიის იმპერიაშიაც, რომელიც ერთი უდიდესი მსოფლიო სახელმწიფოთაგანი იყო. ცნობილი გერმანელი ისტორიკოსი, პროფესორი გელცერი ამბობს, რომ უკვე X საუკუნის პირველ ნახევარში ქართველები და სომხები „მსოფლიო-ისტორიული ვითარების ბატონ-პატრონები იყვნენ. ამ ერების მამაცმა და ჭკვიანმა შვილებმა მიაღწიეს ხელმძღვანელ მდგომარეობას აღმოსავლეთ რომის იმპერიის როგორც სარდლობაში, ისე მთავრობაში და ღირსეულადაც ეჭირათ იგი“-ო. X საუკუნის მეორე ნახევარში, იმავე გელცერის მტკიცებით, ბიზანტიის იმპერიაში „ყველა უმნიშვნელოვანესი სამხედრო თანამდებობა გამოუკლებლივ სომხებსა და ქართველებს ეჭირათ“.

* * *

მრავალს საშიშარ ხიფათსა და ფათერაკს გადაჰყრია ქართველი ერი თავისი ხანგრძლივი ისტორიული ცხოვრების გზაზე, მაგრამ არასოდეს ეს განსაცდელი არ ყოფილა ისეთი დიდი, როგორც დღეს. ამავე დროს, არასოდეს ქართველი ხალხი არ ყოფილა ასეთი ძლიერი, როგორც დღეს. ამ ძლიერების მთავარი წყარო არის თავისუფალი ხალხების საბჭოთა, ლენინური კავშირი, ერთობა, აგებული ადამიანების, ერებისა და რასების თანასწორობის დიადსა და უძლეველ პრინციპზე. თავის ძმადნაფიც ხალხებთან მხარდამხარ იბრძვის დღეს თავდადებით ქართველობა. ამ ბრძოლას ასულდგმულებს როგორც დიდი ზოგადსაკაცობრიო მიზანი, ასევე სასიცოცხლო ეროვნული ინტერესებისა და ღირსების ღრმა შეგნება. ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ბოლშევიკური გვარდიის ძველი წევრი, ამხ. ემ. იაროსლავსკი წერს:

„გმირულად იბრძვის ქართველი ხალხი. მთელი ქვეყანა იცნობს უშიშარს სტალინურ შევარდენს წურწუმიას. ბრძოლებში სახელი გაითქვა გვარდიის მოტომსროლელთა დივიზიამ, რომელსაც მეთაურობს გენერალ-მაიორი ჩანჩიბაძე. ხალხი, რომელმაც მსოფლიოს მისცა ბოლშევიკების გენიალური ბელადი, ხალხი, რომელმაც თავის წიაღიდან წარმოშვა ამდენი სახელოვანი მო-

დ ვ ა წ ე, ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ა რ ი ყ ო ს გ ე რ მ ა ნ ე ლ ი ი მ პ ე- რ ი ა ლ ი ს ტ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ მ ე ბ რ ძ ო ლ თ ა პ ი რ ვ ე ლ რ ი გ ე ბ შ ი!"[1].

ქართველი ხალხი არის და დარჩება გერმანელი იმპერიალისტების წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში ჩვენს სრულ გამარჯვებამდე*.

---

[1] „Спутник агитатора", № 11, 1942 წ. გვ. 18.

* ეს ნარკვევი დამუშავებულია სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრაზე. მისი ცალკე ნაწილები იკითხებოდა 1941 წლის ოქტომბრიდან საჯარო ლექციების სახით.

## „სსრ კავშირის ისტორია“ და კავკასიის ხალხთა ისტორია*

გამოქვეყნდა დიდი ხნის ნანატრი სახელმძღვანელო სსრ კავშირის ისტორიისა უმაღლესი სასწავლებლებისათვის. ეს შრომა, რა თქმა უნდა, გარკვეულ მიღწევას წარმოადგენს საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებაში. წიგნის ღირსებასა და ნაკლოვანებებზე უკვე დაიწერა საერთოდ და, უნდა ვიფიქროთ, დაწერენ კვლავაც. მოცემულ წერილში ჩვენს ამოცანას განვსაზღვრავთ მხოლოდ საკითხით იმის შესახებ, თუ რა ასახვა ჰპოვა სახელმძღვანელოში კავკასიის ხალხთა ისტორიამ.

სსრ კავშირის ისტორიამ მიზნად უნდა დაისახოს მეცნიერული გადმოცემა ისტორიული პროცესისა, რომელმაც მიგვიყვანა ჩვენი ქვეყნის ხალხთა დიადი კავშირის შექმნამდე. ყურადღების ცენტრში უნდა იყვნენ ცოცხალი ხალხები, რომლებმაც დიდი რუსი ხალხის მეთაურობით შექმნეს მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო და ახლა ძლევამოსილად აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას. ცხადია, ჩვენი ხალხების ისტორია მოცემული უნდა იყოს როგორც მჭიდრო ურთიერთკავშირში, ისე კავშირში მსოფლიო ისტორიასთან. ამასთან ერთად, მთელი სისრულით უნდა ვუჩვენოთ ყოველივე გმირული, ყოველივე პროგრესული, კულტურული მონაპოვარი ჩვენი ქვეყნის წარსული ისტორიის მანძილზე, რომლითაც სამართლიანად ამაყობს საბჭოთა ხალხი. საჭიროა გვახსოვდეს ამხანაგ მოლოტოვის სიტყვები: „...ხალხთა კულტურის ყველა ნამდვილი მიღწევა, რა გინდ შორეულ წარსულში არ უნდა ჰქონდეს მას ფესვები, დიდად ფასდება სოციალისტურ სახელმწიფოში და ამჟამად იგი წარმოსდგება თავისი ხალხის წინაშე და მთელი საბჭოთა კავშირის ხალხების წინაშე აღორძინებული თავისი ნამდვილი იდეური ბრწყინვალებით“.

სახელმძღვანელოს შემდგენელთა და რედაქციის მიერ ეს ამოცანები როდია დამაკმაყოფილებლად გადაჭრილი. ჩვენი შენიშვნა შე-

* „სსრ კავშირის ისტორია“, ტომი I, უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე, პროფ. ლებედევის, აკად. ბ. დ. გრეკოვის, მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტის ს. ვ. ბახრუშინის რედაქციით; ტომი II, რუსეთი XIX საუკუნეში, პროფ. მ. ვ. ნეჩკინას რედაქციით, მოსკოვი „სოცეკგიზი“, 1939—1940 წწ.

ეხება პირველ რიგში სახელმძღვანელოს I ტომს. რა თქმა უნდა, ჩვენ გათვალისწინებული გვაქვს ის სიძნელეები, რომელიც წინ ელობებოდა სახელმძღვანელოს შემდგენელთ, მაგრამ ეს სიძნელეები არავითარ შემთხვევაში არ გამოდგება სახელმძღვანელოს არსებითი ნაკლოვანებების გასამართლებლად.

განვიხილავთ რა სახელმძღვანელოს კავკასიის ხალხთა ისტორიის ჩვენების თვალსაზრისით, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ სათანადო თავების შემდგენელთ საერთოდ ნაკლები ინტერესი გამოუჩენიათ ამ ხალხების ისტორიისადმი. ასე, მაგ., კავკასიის ხალხთა ისტორიის უძველესი პერიოდის მიმართ სახელმძღვანელოს შემდგენელნი დაკმაყოფილდნენ მხოლოდ შემდეგი უშინაარსო, ყალბი ფრაზით: „სომხეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის ხალხები თავისი წარმოშობით დაკავშირებული არიან ამიერკავკასიისა და წინა აზიის ძირითად მოსახლეობასთან“ (ტ. I, გვ. 25). ამ პარაგრაფის ავტორმა სრულიად აუარა გვერდი კავკასიის ხალხთა უძველესი ისტორიის იმ ელემენტებს, რომლებიც უდიდეს ინტერესს წარმოადგენენ ძველი აღმოსავლეთის კულტურის შესწავლის თვალსაზრისით. ამის უარყოფა არ შეუძლიათ დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ ორიენტალისტებსაც კი, მიუხედავად მათი მისწრაფებისა, დაამცირონ ძველი აღმოსავლეთის ენდემური კულტურის როლი და გაზარდონ დასავლეთის კულტუროსნული მისია.

მხოლოდ ჩვენი, ყველაზე მოწინავე და რევოლუციური, ყველაზე ობიექტური საბჭოთა ისტორიოგრაფიაა მოწოდებული გადაჭრას მსოფლიო კულტურისა და ცივილიზაციის აკვანის — ძველი აღმოსავლეთის პრობლემა. ეს პრობლემა არ შეიძლება არ აინტერესებდეს საკაცობრიო კულტურის ერთადერთი მემკვიდრისა და გამტარებლის — სოციალისტური საზოგადოების — მეცნიერებას. საბჭოთა მეცნიერება, რომელმაც ამოცანად დაისახა „კაცობრიობის მთელი განვითარებით შექმნილი კულტურის ზუსტი ცოდნა“, მიჰყვება ვ. ი. ლენინის მიერ გენიალურად ფორმულირებულ მეთოდოლოგიას: „ყველაზე საიმედო საზოგადოებრივი მეცნიერების საკითხში და აუცილებელი იმისათვის, რომ ნამდვილად მოიპოვოთ ჩვევა ამ საკითხისადმი სისწორით მიდგომისა და არ დაიბნეთ უამრავ წვრილმანებში ან მოწინააღმდეგე შეხედულებათა მრავალფეროვნებაში, — ყველაზე მთავარი იმისათვის, რომ ამ საკითხს მეცნიერული თვალსაზრისით მივუდგეთ, არის ის, რომ არ დაივიწყოთ ძირითადი ისტორიული კავშირი, ყოველ საკითხს შეხედოთ იმ თვალსაზრისით, თუ როგორ წარმოიშვა ისტორიაში განსაზღვრული მოვლენა, რა მთავარი ეტაპები განვლო მან თავის გან-

ვითარებაში და ამ განვითარების თვალსაზრისით შეხედოთ იმას, თუ რად იქცა ეს მოვლენა ამჟამად“ (ლექცია „სახელმწიფოს შესახებ“).

მიუხედავად ამისა, სახელმძღვანელოს შემდგენლებმა ფაქტიურად აუარეს გვერდი თანამედროვე აღმოსავლეთისმცოდნეობის ყველა ამ აქტუალურ საკითხს. სახელმძღვანელოში მკრთალი გამოსახულება ჰპოვა მხოლოდ ურარტუს ისტორიამ, მაგრამ მისი განხილვაც მეტად თავისებური გამოვიდა. არც ისა ჩანს, თუ რატომ შევიდა ეს მიმოხილვა სახელმძღვანელოში და რად არის იგი მოთავსებული მე-2 თავში: „ამიერკავკასია და შუა აზია ჩვენს ერამდე“. შუა აზიას, ურარტუ, ცხადია, არ შეიძლება მივაკუთვნოთ, მაგრამ არც ამიერკავკასიას შეიძლება მივაკუთვნოთ იგი, თუ მივიღებთ ურარტუს ტერიტორიის იმ განსაზღვრას, რომელიც მოცემულია სახელმძღვანელოში: „ქვეყანა, რომელიც მდებარეობდა ვანის ტბის ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით“... (ტ. I, გვ. 22—23). მეორე მხრივ, კავკასიის ხალხებთან ურარტუს ეთნიკურ, ლინგვისტურ და კულტურულ კავშირზე არც ერთი სიტყვა არ წამოსცდენიათ შემდგენელთ, მაშინ როცა ეს კავშირი ამჟამად ყველას მიერ არის აღიარებული. კიდევ მეტი, ამტკიცებენ რა, რომ ურარტუული „წარწერების ძიებაში და მათ ამოშიფრვაში უდიდესი დამსახურება მიუძღვით რუსსა და საბჭოთა მეცნიერებსო (აკად. ნიკოლსკი, აკად. მარი, აკად. მეშჩანინოვი და სხვა)“ (ტ. I, გვ. 24), შემდგენელნი სრულიად დუმან იმაზე, თუ რას ამბობენ ეს მეცნიერები თვით ურარტუულ ენაზე, ურარტუს ხალხის წარმოშობაზე და მის ურთიერთობაზე კავკასიის ხალხებთან.

ასევე სრულიად ვერ ჰპოვა გამოსახულება სახელმძღვანელოში კავკასიის ხალხთა პრეისტორიულმა მდგომარეობამ. არაფერია თქმული ისეთ შესანიშნავ კულტურებზე, როგორიცაა ე. წ. ყობანის კულტურა, მცხეთა-სამთავროს კულტურა და მრავალი სხვ.

სახელმძღვანელოს შემდგენლებმა ნაკლები ყურადღება დაუთმეს კავკასიის ხალხთა ისტორიის უფრო ახლობელ პერიოდებსაც, რომელნიც საკმაოდაა გაშუქებული ლიტერატურული წყაროებით, და ეს მაშინ, როდესაც სახელმძღვანელოს სხვა განაყოფებში მოცემულია ძალიან ბევრი გამოუსადეგარი წვრილმანი, შემდგენლებმა მეტი ინტერესი გამოიჩინეს ზოგიერთი მომთაბარე ტომისადმი (ხაზარებისადმი, ჰუნებისადმი, პაჭანიკებისადმი), რომლებიც დიდი ხანია გაქრნენ ისტორიის არენიდან და რომლებსაც არაფერი ორიგინალური და მნიშვნელოვანი არ მოუციათ კულტურაში, ვიდრე კავშირის ზოგიერთი ცოცხალი ხალხებისადმი. ასე, ჩერქეზები, ჩაჩნები, დაღესტნის ხალხები, რომლებიც ამჟამად ორგანიზებული არიან თავიანთ ავტონომიურ რესპუბლიკებში, მოხსენიებულიც კი არ არიან ამ ტომში.

კავკასიის სხვა ხალხების ისტორიიდან გამოტოვებულია უდიდესი ისტორიული პერიოდები, მოვლენები და ფაქტები, რომლებსაც პირველხარისხოვანი მეცნიერული მნიშვნელობა აქვთ. ასე, გამოტოვებულია სტრაბონის ღრმადსაინტერესო აღწერა ამიერკავკასიის ხალხთა კულტურისა ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში, მიუხედავად იმისა, რომ შემდგენლებს ხელთ ჰქონდათ სათანადო მასალები. მოცემული ეპოქის საქართველოს კულტურული მდგომარეობის აღწერაში გამოტოვებულია ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ნათლად მოწმობს განვითარების შესანიშნავ მაღალ საფეხურს.

ადრეული ფეოდალიზმის ეპოქის სომხურ კულტურას მიძღვნილი აქვს თავი 1, 3 გვერდის მოცულობისა, რომელიც სავსეა არასწორი მტკიცებებით. არ არის სწორი თავისთავად მტკიცება, თითქოს მესროპ მაშტოცს V საუკუნეში გამოეგონებინოს სომხური დამწერლობა (ტ. 1, გვ. 54). ძველი სომხური წყაროები ლაპარაკობენ არა გამოგონებაზე, არამედ უკვე არსებული სომხური ანბანის შევსებაზე. მაგრამ ამასთან როგორ შევარიგოთ ამავე სახელმძღვანელოს მტკიცება (ტ. I, გვ. 16), რომ სომხური მატიანეები გაჩნდა უკვე III საუკუნეში? კიდევ უფრო გვაოცებს მტკიცება, თითქო მ. ხორენელი იყო მწერალი VI ს. დამლევის, თუ VII ს. დასაწყისისა (ტ. I, გვ. 54). თვით ხორენელს თავისთავი გამოჰყავს V საუკუნეში მცხოვრებ ადამიანად, თუმცა ხორენელის მეცნიერულმა კრიტიკამ, რომელიც წარმოდგენილია ისეთ დიდ მეცნიერთა მიერ, როგორიც არიან პროფ. ხალათიანცი, ნ. აკინიანი, ი. მარკვარტი, აკად. მარი და სომხეთის ისტორიის თანამედროვე გამოჩენილი სპეციალისტი აკად. ი. მანანდიანი, დაამტკიცა, რომ ხორენელი ცხოვრობდა არაუადრეს IX საუკუნისა. სახელმძღვანელოს ორჭოფულ, უსაფუძვლო ფორმულირებას მკაცრი მეცნიერული პოზიციებიდან მივყავართ უკან, საეკლესიო-კლერიკალური სქოლასტიკისაკენ. ამავე განაყოფში სომხური ხუროთმოძღვრების თავისებურების დახასიათება დაყვანილია გარეშე გავლენათა შიშველ რეგისტრაციამდე (ტ. I, გვ. 54) და ა. შ.

კიდევ უფრო ცუდადაა საქმე საქართველოს ისტორიის გაშუქების მხრივ. სომხეთის ისტორიის შემდეგ უშუალოდ 1.5 გვერდზე გადმოცემულია საქართველოს ისტორია ოთხი საუკუნის მანძილზე (III—VI სს.), ეს პერიოდი კი საქართველოს ისტორიაში მეტად მნიშვნელოვანია: აქ შემდგენლებს ერთი სიტყვაც არ წამოსცდენიათ ქართველი ხალხის კულტურაზე ამ ეპოქაში. მკითხველს რჩება ყალბი წარმოდგენა, თითქო განხილულ პერიოდში ქართველ ხალხს არ ჰქონოდეს საკუთარი დამწერლობა მაშინ, როდესაც არსებობდა მნიშვნელოვანი ლიტერატურა (საკმარისია მივუთითოთ თუ გინდ იმ ფაქტზე,

რომ V ს. ჩვენ უკვე გვაქვს დათარიღებული ქართული წარწერები, რომლებიც უძველესია საბჭოთა ხალხების ეროვნულ ენებზე შენახული წარწერებიდან). არაფერია თქმული ხელოვნებასა და ხუროთმოძღვრებაზე მაშინ, როდესაც შემოქმედების ეს დარგები საქართველოს მაღალგანვითარებული ჰქონდა მოცემულ ეპოქაში და ისინი წარმოდგენილი არიან დღემდე დაცული ბრწყინვალე ძეგლების სახით.

სრულიად არ არის მოხსენიებული ძველი ალბანეთის (თანამედროვე აზერბაიჯანის) კულტურა. საჭირო იყო მითითება საბჭოთა მეცნიერების მიერ ძველი ალბანური ანბანის აღმოჩენის ფრიად მნიშვნელოვან ფაქტზე მაინც.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ კავკასიის ხალხების ისტორიაზე გამოთქმულ აზრთა უმეტესობა შემთხვევით ხასიათს ატარებს, შედგენილია დაუდევრად, არ არის ურთიერთდაკავშირებული და არ არის სწორი ფაქტიურად.

არადამაკმაყოფილებლადაა გადმოცემული ამიერკავკასიის ისტორია XI—XII სს. არაფერია თქმული იმ მეტად საინტერესო ბრძოლებზე, რომელიც საქართველოში წარმოებდა XII საუკუნეში და რომელსაც მიზნად ჰქონდა ფეოდალური პარლამენტის შექმნა. არ არის სწორი, თითქო თამარის მეფობაში „დაარსდა სახელმწიფო საბჭო (დარბაზი)“ (ტ. I, გვ. 159). სინამდვილეში დარბაზი არსებობდა თამარზე ბევრად ადრე. არამც თუ ფაქტიურად, არამედ პრინციპული თვალსაზრისით არ არის სწორი თეზისი „სომხურ-ქართულ ხუროთმოძღვრებაზე“ (ტ. I, გვ. 160). სომხური და ქართული ხუროთმოძღვრება სინამდვილეში წარმოადგენდა დარგებს ორი თავისებური ხალხური, ნაციონალური კულტურებისას, რომლებიც ხანგრძლივ ურთიერთმოქმედებაში იყვნენ, მაგრამ ამის გამო არ კარგავდნენ თავიანთ დამოუკიდებლობას. არ არის სწორი (არას ვამბობთ ფორმულირების უცნაურობაზე), თითქოს სომხური და ქართული ხუროთმოძღვრების გაფურჩქვნა „გამოწვეული“ (!) იყო „ტაძრებისა და სასახლეების აგებით ანისში (IX—X სს.)“ და შემდეგ გაერთიანებულ საქართველოში (X—XII სს.)“. სომეხი ხალხის კულტურის შესახებ XI—XII და მომდევნო საუკუნეებში მეტი არაფერია თქმული მთელს წიგნში. რამდენიმე ფრაზა კი საქართველოს კულტურაზე XI—XII საუკუნეებში (ტ. I, გვ. 160) შემთხვევით ხასიათს ატარებს. არ არის სწორი, თითქოს „ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატი (საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში) არ გამოირჩეოდა სირთულით ...მთავრობის ცენტრალური აპარატი მეტად შეზღუდული იყო“ (ტ. I, გვ. 157). საქართველოს ფეოდალური მონარქიის ადმინისტრაციული აპარატი

სწორედ რომ დიდი სირთულით გამოირჩეოდა და ამ მხრივ მას ერთ-ერთი პირველი ადგილი ეჭირა აღმოსავლეთში.

კიდევ უფრო გასაოცარ შთაბეჭდილებას ტოვებს I ტომის მომდევნო თავები, სადაც კავკასიის ხალხები იხსენიებიან. პარაგრაფში „შუა აზიის, ამიერკავკასიის და აღმოსავლეთი ევროპის დაპყრობა მონღოლების მიერ" (ტ. I, გვ. 172) არცერთი სიტყვა არ არის ამიერკავკასიის დაპყრობაზე, ამის შესახებ ლაპარაკია მე-5 თავის პარაგრაფშივე, რომელიც არასწორად გადმოგვცემს მოვლენებს და შეიცავს გასაოცარ ზღაპრებს (მაგალითად, თითქო საქართველოს დედოფალი რუსუდანი „მთებში გაექცა" მონღოლებს და თითქო მან „თავი მოიწამლა", რათა არ წასულიყო ბათოს ბანაკში მის მბრძანებლურ მოწოდებაზე (ტ. I, გვ. 178—179). XIV საუკუნიდან კი კავკასიის ხალხთა ისტორია სრულიად აღარ არის მოცემული.

სომეხი ხალხის ხუთი საუკუნის ისტორიას მხოლოდ ერთი ფრაზა ღირსეს ეჩმიაძინის შესახებ (ტ. I, გვ. 720). საქართველოს ისტორია მოჩანს მხოლოდ გაკვრით, მოსკოვის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით და გადმოცემულია ამ უკანასკნელის თვალსაზრისით.

პეტრე I-ისა და ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის ურთიერთობა ყალბად არის გადმოცემული. ვახტანგს კი არ მიუმართავს პეტრესათვის, არამედ პეტრემ ჩაითრია ვახტანგი სპარსეთის ლაშქრობაში (ტ. I, გვ. 621). არ არის სწორი, თითქოს „რუსის ჯარებს არ მოუხერხდათ ესარგებლათ საქართველოსა და სომხეთის დახმარებითო" (ტ. I, გვ. 622). სინამდვილეში, პეტრემ თავისი კავკასიელი მოკავშირეები შეუბრალებლად მიატოვა ბედის ანაბარა. იმავე გვერდზე მოყვანილია ციტატა, სადაც პეტრეს სპარსეთის ლაშქრობას მარქსი უწოდებს „მუხანათურ შეჭრას სპარსეთში" და ლაპარაკობს პეტრეს „ადგილობრივ დაპყრობათა სისტემაზე", მაგრამ შემდგენლები ვერ ამჩნევენ მარქსიზმის კლასიკოსებისა და თავის საკუთარ აზრებს შორის არსებულ წინააღმდეგობებს. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის კავკასიაში რუსეთის ცარიზმის პოლიტიკის გაშუქებაში ეს წინააღმდეგობა კიდევ უფრო გასაოცარია. სახელმძღვანელო ამტკიცებს, რომ 1769—1770 წლებში ტოტლებენის რუსულ დამხმარე რაზმს „დიდი დახმარება ქართველებისათვის... არ გაუწევია"-ო. (ტ. I, გვ. 720)! მაშინ, როცა ამ ავანტიურისტისა და მისი სულისჩამდგმელების მოქმედება პროვოკაციას წარმოადგენდა და მან ხელი შეუწყო საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესებას. იქვე ვკითხულობთ: „რუსეთმა ვერაფერი მოასწრო გაეკეთებინა თავისი მეზობლის (ე. ი. საქართველოს, ს. ჯ.) დასაცავად სპარსეთის შაჰის მუჰამედ-აღას თავ-

დასხმისაგან“-ო. ავტორს ეჭვი არ ეპარება ცარიზმის გულწრფელ სურვილში, დახმარებოდა კავკასიის ხალხებს, ფაქტები კი საწინააღმდეგოს ლაპარაკობენ. ცარიზმის პოზიციის არსი მოცემულ სიტუაციაში ზედმიწევნით არის გამოხატული ციტატაში ენგელსიდან, რომელიც მოყვანილია იქვე, სახელმძღვანელოს შემდეგსავე გვერდზე: „კავკასიის ქედის სამხრეთით თურქთა ბატონობის ქვეშ იმყოფებოდნენ აგრეთვე ქრისტიანული წვრილი სახელმწიფოები და ქრისტიანობის მიმდევარი — სომხები, და აქ ცარიზმს შეეძლო მიეღო გამათავისუფლებლის პოზა“. (ტ. I, გვ. 721).

კავკასიის ხალხთა ისტორიისადმი მიუღებელ მიდგომასთან ერთად იმ ერთნამცეცა პარაგრაფებშიც კი, რომელთა გამოყოფაც კავკასიისათვის შესაძლებლად მიიჩნიეს შემდგენლებმა, სახელმძღვანელო ავსებულია ფაქტიური შეცდომებით. აი, ზოგიერთი ამ შეცდომათაგანი (ყველაფრის აღნიშვნა აქ შეუძლებელია):

ქართველი ტომებიდან დასახელებულია „ქართები ანუ ქართველები, იბერები და სხვანი“ (ტ. I, გვ. 26). სინამდვილეში ორივე სახელწოდება აღნიშნავს ერთსადაიმავე ხალხს. შემდეგ ვკითხულობთ: „დასავლეთი საქართველოს — იბერიის წარმოშობა ქართული გადმოცემებით ეკუთვნის IV ს. ჩვ. წელთაღრიცხვამდე“ (ტ. 1, გვ. 26). ფრაზის სტილს რომ თავი დავანებოთ („დას. საქართველოს წარმოშობა...“), საჭიროა შევნიშნოთ, რომ იბერია ეწოდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს, ავტორები ამტკიცებენ, თითქო არტაქსიამ მიიღო სახელი არტაშესისაო (ტ. I, გვ. 31); სინამდვილეში — ეს ერთიდაიგივე სახელია სომხური და ბერძნული გამოთქმით. იბერიისა და ალბანეთის მეფეებს „დაწეული აქვთ ხარისხი“ და იწოდებიან „მთავრებად“ (ტ. I, გვ. 33). არ არის სწორი, რომ „IV საუკუნეში (ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ს. ჯ.) ალანთა ტომი გაბატონდა სხვებზე და თავისი სახელწოდებით დაფარა ყველა დანარჩენი ტომი“ (ტ. I, გვ. 39). ეს ხდება მრავალი საუკუნის შემდეგ. უცნაურია, რომ არაფერია თქმული ალანთა ურთიერთობაზე ჩრდილოეთ კავკასიის ტომებთან, კერძოდ, ოსებთან (ტ. I, გვ. 58). „კათალიკოსი“ ეს ტიტულია და არა „სახელწოდება“ (ტ. I, გვ. 15). არ არის სწორი თითქო ბაგრატ IV დათანხმდა სელჯუკებისათვის ხარკის მიცემაზე (ტ. I, გვ. 55). ეს მოხდა გიორგი II დროს. „ქართული წყაროების მიხედვით“, საქართველოში დასახლებულ ყივჩაყთა რაოდენობა უნდა განისაზღვროს არა 40 000 (ტ. I, გვ. 56), არამედ დაახლოებით 200 000 კაცით. არ არის სწორი, რომ „დიდი ყაენის დადგენილებით“ დავით გიორგის-ძემ და დავით რუსუდანის-ძემ ერთმანეთში გაიყვეს საქართველოს მიწა-წყალი (ტ. I, გვ. 179). მონღოლებმა ორივე მეფისწული დაამტკიცეს

ტახტზე და ისინი ერთად განაგებდნენ სამეფოს 10 წელზე მეტს. უცნაურია სახელმძღვანელოს მტკიცება, თითქო ვახტანგ VI-ის თაოსნობით (XVIII საუკუნის დასაწყისში) „შედგენილ იქნა საქართველოს ყველა მატიანის საერთო კრებული“ (ტ. I, გვ. 719). დიდი ხანია დადგენილია, რომ ეს კრებული, ცნობილი „ქართლის ცხოვრება“, რომლის სულ მოკლე აღწერისთვისაც ადგილი არ აღმოჩნდა სახელმძღვანელოში, — შედგენილია ვახტანგზე ბევრად ადრე, რომ მოიპოვება „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერები, ერთი XV ს. დასასრულისა, მეორე კი XVII ს. დასაწყისისა, რომ დაცულია XIII ს. მისი სომხური თარგმანის ხელნაწერი. კურიოზული გამონათქვამი „გურიელთა ქვეყნის მმართველ ვამიკზე“ (ტ. I, გვ. 509): არავითარი ვამიკი არ არსებობდა, ხოლო უნდა იწერებოდეს გურია და არა „გურიელთა ქვეყანა“ და სხვა, და ა. შ.

ასეთსავე შეცდომებს ვპოულობთ სახელმძღვანელოს ისტორიულ რუკებზედაც. რუკაზე „სამხრეთ-შავიზღვის სანაპირო V—IV სს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე“ ნაჩვენებია აგრეთვე „აბაზგები“, რომლებიც პირველად იხსენიებიან მხოლოდ ხუთი საუკუნის შემდეგ. რუკაზე „ხალხები და სახელმწიფოები ჩვენი ქვეყნის სამხრეთ ნაწილში უძველეს ეპოქაში (პირველ ათასეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე და პირველ საუკუნეში ჩვენი წელთაღრიცხვით)“ არ არიან აღნიშნულნი აფსილები, სანიგები, ზიკხები, ჰენიოხები, კერკეტები და მრავალი სხვა ხალხი. ამავე რუკაზე საქართველოს სახელმწიფოების სამხრეთი საზღვრები II საუკუნისათვის ჩვენს წელთაღრიცხვამდე გატარებულია მდინარე ჭოროხის შესართავსა და მტკვრის სათავეზე, რაც მკვეთრად ეწინააღმდეგება წყაროების მითითებებს: სწორედ II საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ბერძენი მწერალი აპოლოდორი იუწყება, რომ იბერიისა და სომხეთის საზღვარს წარმოადგენდა მდინარე არაქსი, ხოლო კოლხიდის შესახებ სტრაბონი I საუკ. მრავალგზის და კატეგორიულად მიუთითებს, რომ კოლხიდა აღწევდა თვით ტრაპიზონამდე.

უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებს ლიტერატურის ბიბლიოგრაფია კავკასიის ხალხთა ისტორიიდან: აქ ჩვენ ვერ ვპოულობთ აკად. მარის, აკად. ჯავახიშვილის, აკად. მანანდიანის, პროფ. ხალათიანცის და ბევრ სხვათა მიერ რუსულ ენაზე გამოცემულს ვერც ერთ შრომას.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ სახელმძღვანელოში ხშირადაა დამახინჯებული საკუთარი სახელები, ტერმინები, არეულია თარიღები.

სახელმძღვანელოს II ტომი შესამჩნევად და დადებითად განირჩევა პირველისაგან. ამ ტომის შემდგენლებსა და რედაქციას მოუწა-

დინებიათ კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხების უფრო ობიექტური თვალსაზრისით და უფრო სრულად გაშუქება. საკმარისია შევადაროთ „უმცირესი ბოროტების“ საკითხის განმარტება და აგრეთვე კულტურის ისტორიის გადმოცემა ორივე ტომში. მიუხედავად ამისა, ამ ტომშიც ვხვდებით არასწორ და ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებებს, ფაქტიურ შეცდომებს, დაუდევრობის სამწუხარო კვალს. აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთს ამ შეცდომებიდან.

არასწორად არის წარმოდგენილი ფეოდალური დამოკიდებულებანი ჩრდილო-კავკასიაში.

არ არის სწორი, რომ „გლეხებს (საქართველოში) ასამართლებდა მემამულე... 1801 წლის შემდეგ ცარიზმი ისწრაფოდა შეეზღუდა მემამულის სამოსამართლო უფლებები“ (ტ. II, გვ. 45). ამასთან ერთად, ეს მტკიცება ეწინააღმდეგება სწორ ცნობას, რომ საქართველოში მეფის დროს განსაკუთრებით მძიმე იყო მდგომარეობა გლეხობისა. რომლის ჩაგვრაც არამც თუ შემცირდა 1801 წლიდან, არამედ გაძლიერდა... 1807 წ. გამოიცა განკარგულება, რომ გლეხებს შორის ყველა სამოქალაქო საქმე გარჩეულიყო მემამულეების მიერ; გლეხების საჩივრებს მემამულეებზე სასამართლოები არ იღებდნენ (ტ. II, გვ. 55).

ცარიზმის პოლიტიკის მცდარსა და საწინააღმდეგო დახასიათებას ვხვდებით წიგნის სხვა ნაწილებშიც. ასე, მაგალითად. სახელმძღვანელოში (ტ. II, გვ. 638) ვკითხულობთ: „კავკასიის დაპყრობის შემდეგ დაიწყო მისი ეკონომიური ათვისება. ამ მიზნით, **მეფის მთავრობამ კავკასიაში გაატარა რიგი ბურჟუაზიული რეფორმები** და, ამასთან ერთად, **ზომები მიიღო** კავკასიის კოლონიზაციისათვის და **კაპიტალების მოზიდვისათვის გზების, ფაბრიკების, ქარხნების ასაშენებლად, წიაღთა დასამუშავებლად და ვაჭრობის გასაფართოებლად**“ (ხაზგასმულია ჩვენ მიერ — ს. ჯ.).

პორტრეტი ცარიზმისა, რომელიც „მამობრივად“ ზრუნავდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის, აქ მოცემულია გაბედული და ლაზათიანი ფერადებით. თუ რა გამოვიდა ფაქტიურად ცარიზმის ბატონობის შედეგად, ამის შესახებ ლაპარაკია სახელმძღვანელოში სტალინის ციტატაში: „...ამიერკავკასიის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს მისი ეკონომიური ჩამორჩენილობა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბაქოს, მხარის ამ სამრეწველო ოაზისს, რომელსაც უმთავრესად საზღვარგარეთის კაპიტალი ამოძრავებს, ამიერკავკასია წარმოადგენს აგრარულ ქვეყანას, ცოტად თუ ბევრად განვითარებული სავაჭრო ცხოვრებით განაპირა ადგილებში, ზღვების სანაპიროებზე და, ჯერ კიდევ მაგრად ფესვგადგმული წმინდა ბატონყმური ნაშთებით

ცენტრში“ (ტ. II, გვ. 644). გასაოცარია, რომ შემდგენლებმა და რედაქციამ ვერ შენიშნეს ეს აშკარა წინააღმდეგობა ამ განზოგადებასა და თავიანთ სრულიად ყალბ აზრებს შორის.

დაუდევრობისა და უყურადღებობის სანიმუშოდ აღვნიშნოთ, რომ სათაურის ქვეშ „აჯანყება ზაქათალას ოლქში, საჩაჩნეთსა და დაღესტანში“ ნაამბობია აგრეთვე სვანეთის, სამეგრელოს, აფხაზეთის, კახეთის, გურიის, აჭარის, აზერბაიჯანის რიგი რაიონის, სომხეთის აჯანყებებზედაც (ტ. II, გვ. 643).

ვაჯამებთ ჩვენს შენიშვნებს და ვფიქრობთ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ეჭვს გამოვთქვამთ ამგვარი მასალით კავკასიის ხალხთა ისტორიის შესწავლის მიზანშეწონილობაში. სათანადო თავები და პარაგრაფები გადამუშავებულ უნდა იქნეს ძირფესვიანად.

## კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ

ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების შესახებ თხრობას კონსტანტინე იწყებს თავისი თხზულების, „ერთათვის“, მე-45 თავში, რომელიც იწერება თვით ტექსტში ჩართული ქრონოლოგიური ჩვენების თანახმად, X ინდიქტს 6460 წელს „დასაბამიდან სოფლისა“, ე. ი. 952 წელს ახ. წ. აქ ავტორს მოცემული აქვს დასახელებული ბაგრატიონების გენეალოგია, მოყვანილი აშოტის-ძე ადარნასემდის, რომელსაც კუროპალატობა მიუღია რომეების კეისრის ლეონისაგან (ლეონ VI, ბრძენი, 886—912 წწ.). მთლიანი სახით ამ ადარნასე კუროპალატის გენეალოგია, პორფიროგენეტის თხრობაში წარმოდგენილი, ასეთია:

დავით
|
ბაგრატ
|
აშოტ
|
ადარნასე

რომ ადარნასეს წინაპრების შესახებ კონსტანტინეს ცუდი ცნობები ჰქონდა, ეს მის მიერ მოცემული ამ პირთა ქრონოლოგიიდანაც ჩანს. საგვარეულოს მამამთავარი დავითი და მისი ძმა სპანდიატი იერუსალიმიდან გადმოსახლდნენ სომხეთსა და საქართველოში, კონსტანტინეს მტკიცებით, 400 თუ 500 წლით ადრე მის დრომდე, ესე იგი, ავტორის მიერვე მოცემული თარიღით, 952 წლამდე; მაშასადამე, გადმოსახლება მომხდარა V თუ VI საუკუნის შუა წლებში. ამ მტკიცებას სავსებით ეწინააღმდეგება კონსტანტინესვე ცნობა, ამავე თხრობაში ჩართული, რომ დავითი და სპანდიატი ჰერაკლე კეისრის მოკავშირენი იყვნენ და სწორედ ჰერაკლეს ანტიირანულ ლაშქრობათა წყალობით გაძლიერდნენ, ე. ი., რომ ეს ძმები VII საუკუნის დამდეგის პირები იყვნენ. თუნდაც ეს უკანასკნელი პერიოდი მივიჩნიოთ დავითისა და სპანდიატის ცხოვრების ნამდვილ ხანად, მაინც დაუჯერებე-

ლია, რომ VII საუკუნის დამდეგიდან IX საუკუნის დამლევამდე ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებს მხოლოდ ოთხი თაობა მოეცათ! ნამდვილად, ადარნასეს წინამორბედი და წინაპარი სამი თაობა, როგორც ვიცით, მარტოოდენ IX საუკუნის სიგრძეზე თავსდება! ამიტომ ტყუილად აბრკოლებდათ მკვლევრებს კონსტანტინეს შემცდარი ცნობა, თითქოს ადარნასე კუროპალატი აშოტის შვილი ყოფილიყოს (ამ შეცდომის მიღების გამო ბ რ ო ს ე და მ ა რ კ ვ ა რ ტ ი ვერ ახერხებდნენ დასახელებული ადარნასეს პიროვნების გარკვევას). არაფერია გასაკვირველი იმაში, რომ კონსტანტინე პორფიროგენეტს არ სცოდნოდა ადარნასე კუროპალატის მამის ნამდვილი სახელი. მაგრამ შესაძლებელია მოცემულ გენეალოგიურ შტოში ერთი შემთხვევითი ხასიათის შეცდომა ვივარაუდოთ, სახელდობრ, რომ სიის პირველსა და მესამე პირებს, რალაც მიზეზით, ადგილები აქვთ შეცვლილი, და მაშინ ადარნასეს გენეალოგია აღდგება შემდეგი სახით, რომელიც სავსებით ეთანხმება ქართულ ცნობებს (იერუსალიმიდან გადმოსახლების ამბავი მთლად ზღაპარია და აქ ანგარიშგასაწევი არ არის):

აშოტ
|
ბაგრატ
|
დავით
|
ადარნასე

ასე აღდგენილი სია ივსება კონსტანტინეს შემდგომი, უკვე მართებული ცნობებით, რომელიც უმთავრესად მის თანამედროვე ბაგრატიონებს ეხება და იმავე თხზულების მე-46 თავშია მოცემული.

ეს გენეალოგიური ჩვენებები ქვემოთ იქნება განმარტებული, სადაც განხილული იქნება კონსტანტინე პორფიროგენეტის სხვა რეალურ-ისტორიული ცნობები, რომლებიც ჩვენ არსებითად გვაინტერესებს.

46-ე თავში, პირველი აბზაციდანვე, კონსტანტინე მოგვითხრობს ერთს უაღრესად საყურადღებო ეპიზოდს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა ცხოვრებიდან; რადგანაც ამ მოთხრობაში ცალკე დეტალების გარკვევას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ჩვენ მთლიანად გადმოვცემთ აქ კონსტანტინეს მოთხრობას.

*

* *

სუმბატ დიდს, იბერს (ქართველს), ჰყავდა შვილები: პანკრატი და დავით მამფალი*. პანკრატს ერგო მემკვიდრეობად (**εἰς κληρονομίαν**) ადრანუჩე (არტანუჯი), ხოლო დავითს — სხვა ქვეყანა (ადგილ-მამული? **χώρα**). პანკრატს ჰყავდა სამი ძე — ადრანასერი, კურკენი და პატრიკიოზი ასოტი ანუ კისკასი. პანკრატმა გაუყო მათ (**διεμέρισεν αὐτοῖς**) თავისი ქვეყანა (მამული) და კურკენს ერგო ადრანუჩე. რაკი კურკენი უშვილოდ (**ἄτεκνον**) გადადიოდა (კვდებოდა), მან იგი (ე. ი. არტანუჯი) დაუტოვა თავის ძმას, ასოტის ანუ კისკასის. უკანასკნელმა სიძედ აირჩია მაგისტროსი კურკენი, რომელმაც მიაღწია რა ხელისუფლებას (**δυναστεύσας**), ძალით (**κατὰ τυραννίδα**) წაართვა თავის სიმამრს, ასოტის, ადრანუჩე, და მის მაგიერ მისცა მას „ტიროკასტრონი“ (სიტყვა-სიტყვით — „ყველი-ციხე“) და მდინარე „აჩარას“ (თუ „აჭარას“) ხეობა, რომელიც ესაზღვრება „რომანიას“ (ე. ი. ბიზანტიის იმპერიას) კოლორისთან. პატრიკიოზს ასოტის ანუ კისკასის ცოლად ჰყავდა აბასგიის მთავრის (ექსუზიასტის), მაგისტროს გიორგის. და. როცა მაგისტროსი კურკენი და მაგისტროსი გიორგი, აბასგიის ექსუზიასტე, წაიჩხუბნენ, კურკენიმ, იმის გამო რომ პატრიკიოზი ასოტი აბასგიის ექსუზიასტესთან კავშირში იმყოფებოდა, სძლია მას (ე. ი. აშოტს), წაართვა ისიც, რაც ადრანუჩეს ნაცვლად ჰქონდა მისთვის მიცემული და გააგდო კიდევაც. (ასოტი) წავიდა აბასგიაში. ხოლო როცა გარდაიცვალა მაგისტროს კურკენი, ადრანუჩე ერგო (**κατελείφθη**) მის ცოლს, პატრიკიოზ ასოტ-კისკასის ასულს, როგორც მისი „მამული“ (**ὡς πατρικόν**) მაგრამ როცა მაგისტროს კურკენის ქვეყანას იარაღით (**μεθ' ὅπλων**) იყოფდნენ კუროპალატი ასოტი, გიორგი, აბაზგიის მთავარი (ექსუზიასტე) და მაგისტროსი პანკრატი, მოხსენიებული კუროპალატის ძმა, ისინი შეუთანხმდნენ ერთმანეთს და თითოეულმა აიღო თავისთან ახლო მდებარე წილი მიწაწყლისა. ადრანუჩე ახლოს იდო სუმბატის მამულთან, იმ სუმბატისა, რომელიც ზემოდასახელებული დავითის ძე იყო. მაშინ ამათ ყველამ შეიპყრეს მაგისტროს კურკენის ცოლი, პატრიკიოზ ასოტი-კისკასის ასული და უთხრეს, მას: „შენ, როგორც ქალს, არ შეგიძლია ჰფლობდე ციხეს“ (**λέγοντες ὅτι σὺ γυνὴ οὖσα οὐ δύνασαι κρατεῖν τὸ κάστρον**). სუმბატმა მისცა ქალს ამ ციხის სანაცვლოდ სოფლები (**χωρία**), თვითონ კი აიღო ციხე ადრანუჩე.

* ტექსტში, ამ ადგილას, „მამფალი“ წარმოდგენილია როგორც მესამე შვილის სახელი, მაგრამ რომ ეს შეცდომაა, ჩანს, ავტორისავე შემდგომი ცნობებიდან.

საცოდნელია, რომ ამ იბერების (ქართველების) ნათესაობა ასეთია: დავითისა და ადრანასე კუროპალატის, აწინდელ[1] კუროპალატის ასოტის მამის, დედები, ორი ძმის ასულნი იყვნენ, ე. ი. ბიძაშვილებად მოხვდებოდნენ ერთმანეთს. ხოლო სუმბატს დავითის ძეს ცოლად ჰყავდა ასული მაგისტროს პანკრატისა, აწინდელ მაგისტროსის ადრანასის მამისა. როცა ეს ქალი გარდაიცვალა, ადრანასიმ შეირთო სუმბატ დავითის ძის და.

შემდეგ კონსტანტინეს მოთხრობილი აქვს კიდევ ერთი ეპიზოდი, რომელიც აღწერილ ამბებს ქრონოლოგიურად წინ უსწრებს და თავისი ხასიათითაც რამდენადმე თავისებურია. მაგრამ რადგანაც ამ ეპიზოდის შინაარსი ჩვენი თვალსაზრისით საყურადღებო მასალას შეიცავს და ზემოთ მოცემული ცნობის განმარტებისათვის, აგრეთვე, მიუცილებელია, ჩვენ ვარჩევთ აქვე მოვათავსოთ პორფიროგენეტის ეს მოთხრობაც. ავტორი ჯერ ქ. არტანუჯს ახასიათებს. თითქოს იმის ასახსნელად, თუ რატომ იბრძოდნენ ამ ქალაქებისათვის ასე თავგამოდებით.

ციხე ადრანუჩი, ამბობს იგი, ძალიან არის გამაგრებული და როგორც დედაქალაქს („ქვეყნის ქალაქს“, χωρόπολις), მას დიდი რაბადი აქვს. აქ მოდის საქონელი ტრაპეზუნტიდან, იბერიიდან, აბაზგიიდან, არმენიის მთელი ქვეყნიდან და სირიიდან, ამ საქონლით აქ მეტად დიდ ვაჭრობას აწარმოებენ.

ციხე ადრანუჩის ქვეყანა, ანუ „არზენ“[2] ვრცელია და ნაყოფიერი და წარმოადგენს კლიტეს (გასაღებს) იბერიისა, აბაზგიისა და მისხიების (მოსხიების) ქვეყნისათვის.

ნეტარხსენებულმა იმპერატორმა პატრონმა რომანოზმა გაგზავნა პატრიკიოზი და ფლოტის დრუნგარი... კონსტანტი და გაატანა სამაგისტროსო მოსასხამი (ἱμάτιον μαγιστράτου), რათა მაგისტროსად აეზევებინა (დაედგინა) კურკენი იბერი. (ნიკომიდიაში კონსტანტი ხვდება ვინმე ბერს, აგაპიოსს), რომელიც მაშინ, აღთქმის თანახმად, წმინდა ქალაქში მიდიოდა და იბერიაზე გავლით ციხე ადრანუჩშიაც ყოფილი-

---

[1] ἀρτίως: ამ სიტყვას ზოგი მთარგმნელი (ლასკინი, პანი) გადმოსცემს, როგორც „ოდესღაც“, „წინანდელი“ (მაგ., ლასკინი: „некогда“). ასეთი მნიშვნელობა მას, მართლაც, აქვს. მაგრამ აქ, უეჭველია, იგი ნახმარია თავისი მეორე აზრით — „ეხლახან“, „აწინდელი“, როგორც სამართლიანად განმარტავენ ბროსე და მარკვარტი. ისტორიულად ტექსტის სწორედ ასეთი გაგებაა აუცილებელი.

[2] ბროსეს განმარტებით Additions et éclaircissements, p. 149, n. 6. აქ არაბული სიტყვა („ქვეყანა“, „მიწა“) გვაქვს მოცემული. ჩვენ კი გვგონია, რომ „არზენ“ არის „კლარჯეთის“ დამახინჯება — არტანუჯი კლარჯეთის დედაქალაქი იყო.

ყო. პატრიკიოზმა ასოტი-კისკასიმ, რომელსაც მტრობა ჰქონდა თავის სიძესთან, კურკენისთან, უთხრა აგაპიოს ბერს: „გაფიცებ ღმერთსა და პატიოსნისა და ცხოველმყოფელი ჯვრის ძალას, წადი დედაქალაქში და უთხარი მეფეს, რათა გამოგზავნოს ვინმე, მიიღოს ჩემი ციხე და თავისი ხელისუფლების ქვეშ (ὑπὸ τὴν ἐξουσίαν) იქონიოს". (ბერმა შეასრულა აშოტის დავალება). როცა... კონსტანტი ნიკომიდიაში იმყოფებოდა დასახელებული დავალების შესასრულებლად კურკენი იბერის მაგისტროსად განწესების შესახებ, (მან მეფის ერთი მოხელისგან მიიღო წერილი შემდეგი შინაარსისა): „ჩვენი წმინდა მეფე გიბრძანებს, თავი დაანებო ყველა შენს დავალებას და დაუყოვნებლივ წახვიდე პატრიკიოზ ასოტისთან, რომელიც კისკასადაც იწოდება, და მიიღო მისგან მისი ციხე ადრანუჩი, რადგანაც მან აგაპიოს ბერის პირით გამოუცხადა მის უდიდებულესობას, ჩვენს წმინდა მეფეს, რათა ამას გაეგზავნა ვინმე თავის ერთგულ კაცთაგანი და მიეღო მისგან (ე. ი. აშოტისაგან) მისი ციხე ადრანუჩი. როცა ქალდიაში ჩახვალ, აიყვანე ვინმე ვარგისი არქონტები, რომელთაც გაბედულ და ერთგულ ხალხად მიიჩნევ, შედი და დაიპყარ ეგ ციხე", (კონსტანტიმ წაიყვანა ქალდიიდან ტურმარქები, არქონტები და სამასამდე მეომარი) და ჩავიდა იბერიაში. აქ იგი შეაჩერა ნეტარხსენებულმა დავითმა, აწინდელ (ἄρτίως) კუროპალატ ასოტის ძმამ, და უთხრა: „საით გაუგზავნიხარ მეფეს, ან რა დავალებას ასრულებ, რომ ამოდენა ხალხი მოგიყვანია თან?".

მათ ეშინოდათ, რომ ადრანასი კუროპალატის სიკვდილის გამო მეფეს კუროპალატად როგორმე არ აეზევებინა კურკენი, რადგანაც ამ დროს ადრანასი კუროპალატის შვილებს, თავისი მამის სიკვდილის შემდეგ, უთანხმოება ჰქონდათ თავიანთ ბიძაშვილთან. კურკენიმ თავისი უმაღლესი მსახური გაუგზავნა მეფეს მდიდარი საჩუქრებით, რათა გამოეთხოვა მისგან კუროპალატობა ან მაგისტროსობა. ამიტომ ამ ოთხმა ძმამ, ადრანასი კუროპალატის შვილებმა, ეჭვი აიღეს, რომ ის (კონსტანტი) მოვიდა კურკენისათვის კუროპალატობის მისაცემად. მაგრამ კონსტანტი პატრიკიოზმა უპასუხა, რომ იგი მოვიდა ამოდენა ხალხით კურკენისათვის მაგისტროსობის მისაცემად. და რომ ამის შესრულების შემდეგ იგი დავით მაგისტროსთანაც მივა. კონსტანტი პატრიკიოზს დავითთანაც ჰქონდა მეფის დავალება და საჩუქრები.

ამრიგად, კონსტანტი პატრიკიოზი მივიდა კურკენის ქვეყანაში და მიანიჭა მას მაგისტროსის პატივი. შემდეგ შევიდა პატრიკიოზ ასოტი-კისკასის ციხეში, ადრანუჩში, და გადასცა ასოტის მეფის სიტყვები არა ადრანუჩის შესახებ, არამედ სხვა საქმეების გამო. კონსტანტი

პატრიკიოზმა უთხრა მას: თუმცა ეს ბრძანება სრულებით არ ეხება ციხე ადრანუჩს, მაგრამ რადგანაც აგაპიოს ბერი მოვიდა მეფესთან და გადასცა მას შენი განზრახვა ციხე ადრანუჩის შესახებ, ამიტომ (მეფემ) გამომგზავნა, რათა მივიღო ციხე და ჩავაყენო შიგ მოყვანილი ჯარი. როგორც ნათქვამი იყო, პატრიკიოზს ასოტი-კისკასის მტრობა ჰქონდა თავის სიძესთან, კურკენისთან, და ასოტმა უმჯობესად მიიჩნია თავისი ციხის მეფისათვის გადაცემა. კონსტანტი პატრიკიოზს თან ჰქონდა ალამი (φλάμουλα) და გადასცა იგი პატრიკიოზს ასოტი—კისკასის. უკანასკნელმა დაამაგრა ალამი ბუნზე და დაუბრუნა იგი კონსტანტი პატრიკიოზს შემდეგი სიტყვებით: „აღმართე კედელზე, რათა ყველამ იცოდეს, რომ დღეიდან ეს ციხე მეფეს ეკუთვნის". კონსტანტი პატრიკიოზიც ასე მოიქცა, დროშა აღმართა კედელზე და, ჩვეულების თანახმად, რომეების მეფეთათვის სათანადო წარსათქმელი შეასრულა და ამით ყველას აცნობა, რომ პატრიკიოზმა ასოტი-კისკასიმ ციხე ადრანუჩი მეფეს გადასცა (მიუძღვნა). ხოლო დავით დიდმა თავისი ქვეყანა არ მისცა მეფეს, თუმცა იგი აკამფსისისა და მურღულის ოლქებს ესაზღვრება. კონსტანტი პატრიკიოზმა ორი მოხსენებით აცნობა მეფეს: ჯერ (პირველით) — კურკენისათვის მაგისტროსობის გადაცემისა და იმის შესახებ, თუ როგორ მიიღო კურკენიმ მაგისტროსობა და როგორ შეასრულა სათანადო წარსათქმელი მეფისათვის, ხოლო შემდეგ (მეორე მოხსენებით) — იმის შესახებ, თუ როგორ მიიღო ციხე ადრანუჩი პატრიკიოზ ასოტი-კისკასისაგან და როგორი ძლიერი უთანხმოება და მტრობა აქვს ასოტი პატრიკიოზს თავის სიძესთან, კურკენი მაგისტროსთან. (იგი სთხოვდა) აგრეთვე მეფეს ჯარის მოშველებას ამ ციხის დასაცავად და, აგრეთვე, თუ შესაძლებელია, სქოლების დომესტიკის გამოგზავნასაც.

როცა ეს გაიგეს, იბერებმა: კურკენი მაგისტროსმა და დავით მაგისტროსმა, ასოტი კუროპალატის ძმამ, მეფეს მისწერეს: „თუ მეფობა შენი ამას ჩადის და ჩვენი ქვეყნის (მამულის) შუაგულში შემოდის, მაშინ ჩვენ შენი მეფობის სამსახურიდან (τῆς δουλώσεως) გამოვდივართ. ჩვენ სარკინოზებს შევუერთდებით, იძულებული ვიქნებით, ვებრძოლოთ და ვეომოთ რომეებს და ჯარით თავს დავესხათ ადრანუჩს, მის ქვეყანასა და თვით რომანიასაც (ბიზანტიას)". როცა მეფემ ეს ამბავი შეიტყო დასახელებული არქონტების წერილებიდან და თავის მიერ წარგზავნილი კაცებისაგან, შეეშინდა, მართლაც არ შეერთებოდნენ ისინი სარკინოზებს და სპარსეთის ლაშქარი არ შემოეყვანათ რომანიაში, გადათქვა (თავისი მონაწილეობა ამ საქმეში, დაამშვიდა ქართველი მთავრები, ხოლო კონსტანტის საყვედურისა და მუქარის წე-

რილი გაუგზავნა): „ვისი განკარგულებით ჩაიდინე შენ ეგ საქმე? სჯობს გამოხვიდე ციხიდან, წამოიყვანე თან განსვენებული ადრანასი კუროპალატის ძე ასოტი და მოიყვანე იგი აქ, რათა პატივი ვცეთ მას მამისეული კუროპალატობის წოდებით" (τὴν τοῦ πατρὸς αὐτοῦ ἀξίαν τοῦ κουραπαλάτου). ამის მიღების შემდეგ, კონსტანტი პატრიკიოზმა დატოვა პატრიკიოზი ასოტი-კისკასი მის ციხექალაქ ადრანუჩში, თითონ კი გამოვიდა იქიდან, წავიდა დავით დიდთან და გადასცა მას ბრძანება, რომელიც მის შესახებ ჰქონდა, და დაბრუნდა. იგი შევიდა იბერიაში და ნახა, რომ იქ იმავე საქმის გამო შეკრებილიყვნენ კურკენი მაგისტროსი და დავით მაგისტროსი, ასოტი კუროპალატის ძმა. ამათ კიცხვა და ლანძღვა დაუწყეს კონსტანტი პატრიკიოზს და ეუბნებოდნენ მას: „შენ გულჩახვეული და ბოროტი კაცი ხარ, არ გვაცნობე, რომ გინდა ციხე ადრანუჩის დაპყრობა და რომ იგი მეფის უფლებას უნდა დაექვემდებაროს. ჩვენ ამის გამო მოვახსენეთ მეფეს და პასუხად მივიღეთ, რომ მეფემ ამის შესახებ არაფერი არ იცის, არამედ შენ ყოველივე ეს პატრიკიოზ ასოტი-კისკასის ხათრით ჩაიდინე". ხოლო კონსტანტი პატრიკიოზმა უთხრა მათ, რაც საჭირო იყო თავის გასამართლებლად და წაიყვანა თან ასოტი, ადრანასე კუროპალატის ძე, და ჩაიყვანა იგი დედაქალაქში, სადაც მას მეფემ კუროპალატობა მიანიჭა[3].

კონსტანტინეს ცნობების გამოყენებისათვის წინასწარ პირობას წარმოადგენს მათი ქრონოლოგიური და რეალურ-ისტორიული განსაზღვრა. ეს თხრობა დიდი ხანია, რაც საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის ცნობილია და მათ მიერვე მოცემულია ცდა დასახელებულ პირთა ვინაობისა და სათანადო დროის განსაზღვრისათვის. ბევრი რამ ამ მხრივ ნათელია და სიძნელესაც არ შეიცავს, ძირითადი მითითებები თვით ავტორს აქვს მოცემული.

განსაკუთრებით დაწვრილებით შეჩერდნენ ამ საკითხზე აკად. მ. ბროსე და ი. მარკვარტი, თავიანთ ზემოთ დასახელებულ

---

[3] Constantinus Porphyrogenitus, De thematibus et De administrando imperio (Corpus scriptorum historiae Byzantinae), Bonnae, 1840, cap. 45, 46, p. 197 — 214. თარგმანები: ფრანგული: მ. ბროსესი, Additions et éclaircissements, à l'Histoire de la Géorgie, S.—P., 1851, pp. 139—140, 144—152; რუსული; Ган, Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, ч. II, стр. 13—14, 25—37; Г. Ласкин, Сочинения К. Багрянородного: „О Фемах" и „О народах", М. 1899, стр. 162—172; Известия Гос. Академии истории материальной культуры, вып. 91, М.—Л., 1934, стр. 27—34. —იხ. აგრეთვე, Marquart, Osteuropäische und ostasiatische Streifzüge, Leipzig 1903, S. 176—184, 425—436.

ნაშრომებში. აღსანიშნავია, რომ ეს მკვლევარნი არახელსაყრელ პირობებში იმყოფებოდნენ იმ მხრივ, რომ მათ მხოლოდ „შევსებული ქართლის ცხოვრების“ ცნობები ჰქონდათ და მარიამისეული ნუსხისათვის ჯერ კიდევ ხელი არ მიუწვდებოდათ, ნაწილობრივ, მათი შეცდომები ამ გარემოებითაც აიხსნება.

ყველაზე მარტივია ადრანასე კუროპალატისა, მისი შვილებისა (რომელთაგანაც კონსტანტინე პორფიროგენეტი ასახელებს აშოტ კუროპალატს, ბაგრატ მაგისტროსსა და დავით მაგისტროსს)[4] და შვილიშვილების[5] ვინაობის საკითხი. ადრანასე კუროპალატი, რა თქმა უნდა, არის ადარნასე, დავით კუროპალატის ძე, კარგად ცნობილი ქართული და სომხური წყაროებითაც. ის გარემოება, რომ კონსტანტინე მას მხოლოდ „კუროპალატობით“ იხსენიებს, ხოლო საგვარეულო მემატიანე, სუმბატ დავითის-ძე, მხოლოდ „ქართველთა მეფის“ ტიტულით, ასეთ გაიგივებას არ ეწინააღმდეგება[6]. ის ცნობილი ამბავი, რომ ადარნასემ პირველმა, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შორის,

---

[4] ქართული წყაროებით, მას მეოთხე შვილიც ჰყავდა, სუმბატი. მეოთხე შვილის არსებობა იცის პორფიროგენეტმაც (თხრობაში კონსტანტი დრუნგარის მისიის შესახებ), ოღონდ მას ამ ვაჟის სახელი აღნიშნული არა აქვს.

[5] ამათგან პორფიროგენეტი იხსენიებს ადარნასეს, ბაგრატის-ძეს, რომელიც 952 წ. მაგისტროსი ყოფილა. ეს ცნობა სავსებით დასტურდება საგვარეულო მატიანის ჩვენებათა მიხედვით („გარდაიცვალა ბაგრატ მაგისტროსი, ძე ადარნასე ქართველთა მეფისა, ქორანიკონსა: — რგ̃ე: — [945], და დაუტევა ძე თჳსი ადარნასე, რომელი შემდგომად მამისა თჳსისა [მაშასადამე, 945 წ.] მაგისტროსი იქმნა და შემდგომად მამის ძმათა კურაპალატი იქმნა“. სუმბატ დავითის-ძე, ქ. ცხ. მარ., 350).

[6] ბროსეს არა აქვს მკაფიო წარმოდგენა ამ ადარნასეზე: მისი აზრით, პორფიროგენეტი ურევს ორ ადარნასეს — 45-ე თავში მოხსენიებული უნდა იყოს დავითის-ძე. მაგრამ ეს სათუო რჩება, რადგანაც მისი გენეალოგია განსხვავდება მატიანეში მოცემულისაგანო, დასახ. თხზ., გვ. 145. შენ. 3, მე-46 თ. მოხსენებული კი, ბროსეს აზრით, არის ამ ადარნასეს შვილიშვილი, ბაგრატის ძე, იქვე, 150 შენ. 3, რაც ცხადი შეცდომაა. კიდევ უფრო არეულია ბროსეს გენეალოგია, პორფიროგენეტის ცნობების მიხედვით შედგენილი, იქვე, 154. ბროსე თვითონ ურევს ორ ადარნასეს: უმცროსს, რომელიც გაკვრით მოხსენებულია „იბერთა ნათესაობის“ შესახებ აბზაცში, და მისს პაპას, — მარკვარტი (დასახ. თხზ., 427—428, 434—436) იმეორებს ამ შეცდომას (ოთხშვილიანი ადარნასე კუროპალატი, აშოტ კუროპალატის, ბაგრატ მაგისტროსის და სხვათა მამა, არის ბაგრატ არტანუჯელის ძეო!) და ქართულ მატიანეს აბრალებს ორი სხვადასხვა ადარნასეს არევას. მარკვარტი, 428. უსწორებს ბროსეს შეცდომას, რომელიც პორფიროგენეტის „აწინდელ მაგისტროს ადარნასეს“ აღრევაში მდგომარეობს ადარნასე კუროპალატთან (დავითის ძესთან). და სამართლიანადაც, მაგრამ თვითონ კიდევ უფრო ურევს ადარნასეთა საერთო ურთიერთობას.

მიიღო „ქართველთა მეფის“ ტიტული, ჩვენ სხვაგან გვაქვს განხილული.

ამ „მეფობის“ გაჩენა ასეთი გრძელი პაუზის შემდეგ (მეფობის მოსპობიდან ქართლში VI საუკუნის ოციან წლებში) თავისთავად ძალიან საინტერესო და მაჩვენებელი მოვლენაა, მაგრამ იგი სრულიადაც არ მოასწავებდა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შორის დამკვიდრებული იერარქიული წესის შეცვლას და „მეფის“ გამარჯვებას „კუროპალატზე“. ეს გარემოება არც იმის მომასწავებელი იყო, რომ თვით ადარნასემ ხელი აიღო „მამისეულ“ (პორფიროგენეტის ტერმინი რომ ვიხმაროთ) კუროპალატობის პატივზე. პირიქით, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ პატივის მოპოვება მისთვის სანუკვარ მიზანს შეადგენდა. ადარნასეს მიმართ ეს ან რა გასაკვირი უნდა იყოს, როცა ორი საუკუნის შემდეგაც კუროპალატობას ეძებდნენ „მეფეთა-მეფე“ გურგენი, მისი შვილი, თითქმის საქართველოს უდიდესი ნაწილის მფლობელი, ბაგრატი და მათი მემკვიდრეები. ამიტომ არ შევცდებით, თუ ვიტყვით რომ გურგენ კუროპალატის, რომელმაც „მამისეული“ პატივი წაართვა ბაგრატის შთამომავლობას, და ადარნასეს ბრძოლა მარტო მამულის გარშემო კი არ წარმოებდა (რაზედაც სხვაგან გვექნება საუბარი) არამედ კუროპალატის ხელისუფლების გამოც. ეს ბრძოლა ცუდად გათავდა გურგენ კუროპალატისათვის: ომში მიღებული ჭრილობისაგან იგი გარდაიცვალა 891 წ.[7] საფიქრებელი იყო, რომ ადარნასე ახლა მაინც ეწეოდა თავის საწადელს. და, მართლაც, IX საუკუნის დამლევს თუ X დამდეგს ადარნასეს კუროპალატობა მიუღია; კონსტანტინე პორფიროგენეტი ამბობს, როგორც ვნახეთ, რომ ადარნასეს ეს პატივი მიანიჭა რომეების მეფემ ლეონმა. აქ იგულისხმება კეისარი ლეონ VI ბრძენი, რომელიც მეფობდა 886—912 წწ. მაშასადამე, ადარნასეს კუროპალატობა მიუღია 891 წელსა (გურგენ კუროპალატის მოკვლის თარიღი) და 912 წელს შორის. ამის შემდეგ მისთვის თანაბრად შეიძლებოდა ეწოდებინათ როგორც „მეფე“, ისე „კუროპალატი“. ასეთ მოვლენას ვხედავთ ჩვენ X საუკუნის სომეხი მემატიანის იოანე დრასხანაკერტელის თხზულებაში, სადაც ეს ადარნასე ხან მოხსენიებულია, ზოგადად, როგორც „ქართველთა დიდი მთავარი“ (*մեծ իշխանն վրաց Ատրներսեհ*)[8] ხან, როგორც „ქართველთა დიდი კუროპალატი“ (*մեծ կուրապաղատն վրաց*),[9] ხან როგორც ქართველ-

---

7 ს უ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს ძ ე, მარ. 348.

8 **Յովհաննու կաթողիկոսի Դրասխանակերտեցւոյ պատմութիւն հայոց**, მოსკ. გამოც. 1853 წ. (ქვემოთ-დრასხანაკერტელი) გვ. 80.

9 იქვე, 69, 101, 102, (145), (146).

თა მეფე“ (*Թագավորն վրաց*)[10] ადარნასე, ქართველთა კუროპალატი (დაახლოებით, მაშასადამე, 891 წლიდან) და ქართველთა მეფე (888 წლიდან), გარდაიცვალა, სუმბატ დავითის ძის ცნობით, ქორონიკონს 143[11], ე. ი. 923 წ.

ადარნასეს გაკუროპალატებით ეს პატივი კვლავ, და ახლა უკვე საბოლოოდ, დაბრუნდა ბაგრატის შტოში. ისევ გაიმართა მემკვიდრეობის ხაზი, რომლის გამრუდების ერთადერთ შემთხვევას, ამრიგად, გურგენ ადარნასეს-ძის კუროპალატობა წარმოადგენს[12].

---

10 იქვე, 108, 110, 113, 134, 146, 167, 168.

11 მარ., 349.

12 სუმბატ დავითის-ძის ცნობით, აშოტ კეკელას ადარნასეს ძეს, ჰყავდა შვილი გურგენი, „რომელი შემდგომად კურატპალატად დასუეს“ (მარ., 346). კუროპალატად არის აღნიშნული ეს გურგენი აგრეთვე აქვდ. ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილს „ბაგრატონიანთა შთამომავლობითს შტოში“ (იხ. ქართ. ერის ისტორია, II, დამატ.). მაგრამ ეს აშკარა შეცდომაა მემატიანისა ან, იქნებ უფრო მეტად, გადამწერისა — მეორე გურგენ კუროპალატისათვის არავითარი ადგილი არ რჩება და შემდეგ იგი არც იხსენიება არსად.

ასეთივე შეცდომაა, როცა ბაგრატ არტანუჯელი და მისი შვილი ადარნასე კუროპალატებად არიან მიჩნეულნი (იხ. „შტო“). ბაგრატი მხოლოდ მამფლობით იხსენიება საგვარეულო მატიანის მიერ, 348—9, ადარნასეს კი, ამავე მატიანის მიხედვით, არავითარი პატივი არ ჰქონია, 349—350. შეცდომა ადარნასე-ბასილი კლარჯის მიმართ აიხსნება იმით, რომ იგი არეულია ტაოელ ადარნასეში, რომელიც აგრეთვე ბაგრატის, მაგრამ მაგისტროსის და არა მამფლის ძე იყო და ძალით შეამონაზვნეს შვილებმა, სუმბატ. 350—1. შეცდომაა, აგრეთვე, კუროპალატად მიჩნევა მესამე ადარნასესი, რომელიც იყო მეორის ბიძაშვილი, ძე სუმბატ კუროპალატისა (იხ. „შტო“). აქაც იგივე აღრევა გვაქვს, მაგრამ აღრევაში ბრალი უკვე ხელნაწერს მიუძღვის: სუმბატის შვილების ჩამოთვლისას, „დაუტევნა ძენი ორნი, ბაგრატ... და ადარნასე“, ხელნაწერი მექანიკურად აცლის მომდევნო ფრაზას დასაწყის სიტყვას, იმავე პირის სახელს და, ამრიგად, ორს სხვადასხვა ცნობას აერთიანებს. უნდა ყოფილიყო:... „ადარნასე. ადარნასე კუროპალატი, ძე ბაგრატ მაგისტროსისა, გარდაიცვალა ქორანიკონსა: რპა: — [961 წ.], რომელი ესე ძეთა შეიპყრეს და მონაზონ ქმნეს, მოკუდა უნებლიეთ ფიჩვითა მოსილი და დაუტევნა ძენი ბაგრატ და დავით ერისთავთა-ერისთავი“, 351. მისი შვილების შესახებ ცნობაშიაც ეს ადარნასე კუროპალატად იხსენიება: „გარდაიცვალა ესე ბაგრატ ერისთავთა-ერისთავი, ძე ადარნასე კურატპალატისა, ქორანიკონსა: — რპვ. — (966 წ.), ხოლო ძმა მისი დავით კურატპალატი იქმნა დიდად“, იქვე: ან კიდევ: „გარდაიცვალა დავით დიდი კურაპალატი, ძე ადარნასე კურატპალატისა, ქორანიკონსა: ს·· — (1001 წ.)“. იქვე, 352. სუმბატის ძე ადარნასე კი არც შემდეგ იხსენიება კუროპალატად, მემატიანე ამბობს: 351: „გარდაიცვალა ადარნასე, ძე სუმბატ კუროპალატისა, ძმა ბაგრატ რეგუნისა, ქორანიკონსა: — სგ: — (983 წ.) და დაუტევა ძე, დავით, მცირე“. ამრიგად, ადარნასეს სახელს ატარებდა ნამდვილად მხოლოდ ორი კუროპალატი: I. „ქართველთა მეფე“, გარდ. 923 წ., და II. პირველის შვილიშვილი, ბაგრატ მაგისტროსის ძე, გარდ. 961 წ.

ვინ არიან კონსტანტინე პორფიროგენეტის მიერ მოხსენიებული სხვა პირები?

ადვილად გამოსაცნობია კონსტანტინეს „სუმბატ დიდი იბერი“ და მისი შთამომავლობა. კონსტანტინეს ცნობით (იხ. ზემოთ), ამ სუმბატს ჰყოლია ორი ძე — ბაგრატი და დავით მამფალი. გაყოფისას ბაგრატს ჰრგებია არტანუჯი, ხოლო დავითს — რომელიღაც სხვა ქვეყანა. მაშასადამე, სუმბატ დიდი არტანუჯის მფლობელი ყოფილა. ბაგრატ სუმბატის-ძეს, კონსტანტინეთი, სამი ვაჟი ჰყოლია: ადარნასე, გურგენი და აშოტი, რომელსაც, ჩანს მეტსახელად კისკასიც ჰრქმევია. ბაგრატისაგან არტანუჯი გადასულა უშვილო გურგენზე, რომელსაც ეს ციხე-ქალაქი თავისი ძმის აშოტ კისკასისათვის უანდერძებია.

დავით სუმბატის ძეს კიდევ, იმავე კონსტანტინეს ცნობით, ჰყოლია შვილი, სუმბატი. ამ სუმბატის ხელში გადასულა არტანუჯი, როცა არტანუჯის მფლობელნი, ბაგრატის შვილები და მათი სიძე, დახოცილან.

უეჭველია, რომ სუმბატ დიდი იბერი არის საგვარეულო მემატიანის „სუმბატ არტანუჯელი“ (აქაც არტანუჯელობა ხაზმოსმითაა აღნიშნული), ძმა ზემოთ მრავალგზის მოხსენიებულის გურგენ კუროპალატისა და ძე აშოტ დიდის უფროსი შვილის ადარნასესი[13]. ეს სუმბატი, მისი ძმის გურგენის, „ჭელმწიფობაში“, ანთიპატოს-პატრიკად დაუსვამთ[14]. მას, გარდა ამ ტიტულისა, მამფლის წოდებაც ჰქონია. ამის, ისევე როგორც მის სიკვდილის, და შთამომავლობის შესახებ, მემატიანე ამბობს: „მამფალი (ტექსტში შეცდომით „მამეფელი“) სუმბატ არტანუჯელი, ძე ადარნასესი, ძისა აშოტ დიდისა, გარდაიცვალა ქორანიკონსა: — რთ҃ — (889 წ.) და დაუტევნა ძენი ორნი: ბაგრატ მამფალი არტანუჯელი და დავით მამფალი“[12]... ამ პუნქტამდე პორფიროგენეტსა და სუმბატ დავითის ძეს შორის სრული თანხმობაა, გარდა იმისა, რომ საგვარეულო მემატიანე ბაგრატსაც ამკობს მამფლის ტიტულით. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია შეხვედრები ორივე წყაროსი, კერძოდ, სამფლობელოს განსაზღვრისას: პორფიროგენეტით — არტანუჯი ხვდა ბაგრატს, სუმბატითაც — სწორედ ბაგრატია არტანუჯელი.

შემდეგ ამ ბაგრატის შესახებ საგვარეულო მემატიანე გვამცნობს: „გარდაიცვალა ბაგრატ მამფალი არტანუჯელი, ძე სუმბატისი, ქორა-

---

13 ასე აქვს ეს აღნიშნული მ ე რ ჩ უ ლ ე ს ა ც, გვ. ნთ: „ადარნერსე ჭელმწიფესა ესხნეს ძენი გურგენ კუროპალატი და სუმბატ“.

14 ს უ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს ძ ე, მარ., 346.

15 იქვე, 348. უკანასკნელი სამი სიტყვა დამატებულია თეიმურაზისეული ნუსხის მიხედვით.

ნიკონსა: რ҃კთ: — (909 წ.), თუესა აპრილს კ҃(20), დღესა აღვსებისა, და დაუტევნა ძენი ოთხნი: ადარნასე, — რომელი იგი მონაზონ იქმნა და ბასილი სახელ იდვა, — გურგენ ერისთავი, აშოტ და დავით. გარდაიცვალა დავით ერისთავი, ძე ბაგრატ არტანუჯელისა მამფლისა... ქორანიკონსა: რ҃კԹ: — (908 წ.) და არა დაუტევა შვილი"[16]. მეოთხე შვილის, დავითის, ქართულ წყაროში მოხსენიებით დარღვეული თანხმობა პორფიროგენეტსა და სუმბატს შორის ადვილად აღდგება, თუ ვიფიქრებთ, რომ კონსტანტინემ მამის სიკვდილამდე გარდაცვლილი დავითი არ მოიხსენია იმიტომ, რომ იგი, საზოგადოდ, ამ ამბებს არტანუჯის მემკვიდრეობის ისტორიის თვალსაზრისით უკვირდება. ახალი, მორიგი მოძრაობა კი ამ სფეროში ბაგრატ არტანუჯელის სიკვდილის დღიდან (909 წლის აპრილის 20) იწყებოდა, როცა მემკვიდრეობისაგან დავითი უკვე გამორიცხული იყო. რამდენადმე შორდება, აგრეთვე, ბიზანტიელ ისტორიკოსს საგვარეულო მემატიანე, როცა დავითის ძმის გურგენის შვილს ახსენებს: „გარდაიცვალა გურგენ ერისთავი, ძე ბაგრატ არტანუჯელისა, ქორანიკონსა: — რ҃მგ: — (923 წ.) მასვე წელსა შინა, რომელსა შინა ქართველთა მეფე ადარნასე მიიცვალა, და დაუტევა ამან გურგენ ძე, მუცელსა შინა ცოლისა თჳსისა, რომელსა ეწოდა გურგენვე სახელი მამისა თჳსისა"[17]. მაგრამ აქაც, ჩვენ ვფიქრობთ, გაუგებრობა ადვილად აიხსნება: იმავე მემკვიდრეობის ისტორიის თვალსაზრისით, უშვილობა თუ მემკვიდრე შვილის ყოფნა დედის მუცელში მემკვიდრეობის მფლობელი მამის სიკვდილის მომენტში, დაახლოებით ერთგვარი მნიშვნელობის გარემოებები იყო. პორფიროგენეტი ალბათ ცდება, როცა ამტკიცებს, რომ არტანუჯის გადასვლა გურგენის ხელიდან აშოტ-კისკასის ხელში ნებაყოფლობითი აქტის შედეგი იყო. საფიქრებელია, რომ აქ ადგილი ჰქონდა მიმძლავრებასა და მიტაცებას, რაც არც ისე იშვიათი იყო ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შორის. ეთანხმება სუმბატ დავითის ძე კონსტანტინე პორფიროგენეტს აშოტ-კისკასის უძეობის (და არა უშვილობის!) შესახებ ცნობაში: „გარდაიცვალა აშოტ, ძე ბაგრატ

---

16 აქ სუმბატის ტექსტში დიდი აღრევაა: იქ, სადაც ჩვენ მრავალწერტილი დავსვით, წერია: „ადარნასეს ძისა, გურგენ კურატპალატისა ძმა დიდისა გურგენისა", რაც, ცხადია, სრული დამახინჯებაა. მარ. 349. აღრევა იზრდება ქვემოთ, როცა მემატიანე მოულოდნელად აცხადებს, რომ „გარდაიცვალა დავით, ძე ბაგრატ არტანუჯელისა, ქორანიკონს რმბ (922 წ.) და დაუტევა ძე მუცელსა შინა ცოლისა თჳსისასა, რომელსა იგი ეწოდა ბაგრატ", იქვე. ასეთი წინააღმდეგობანი ტექსტის დიდ დაზიანებას მოწმობენ, რა თქმა უნდა.

17 იქვე, 349. ეს გურგენი კვლავ არის მოხსენიებული: „გარდაიცვალა გურგენ, ძე გურგენისი, ძისა ბაგრატ მამფლისა, ქორანიკონსა: — რ҃პԹ — (968 წ.)" იქვე, 351.

არტანუჯელისა, ქორანიკონსა: — რ˝ნთ: — (939 წ.) თუესა ივნისსა, და არა ესვა ძე“[18].

სავსებით ადასტურებს საგვარეულო მატიანე კონსტანტინეს ცნობას დავით სუმბატის ძის შვილის შესახებაც. ამ მატიანეში ვკითხულობთ: „გარდაიცვალა მამფალი დავით, ძე სუმბატ არტანუჯელისა, მონაზონობასა შინა, ქორანიკონსა: — რჲგ: — (943 წ.), თვესა ფებერვალსა ოცსა და დაუტევა ძე თჳსი სუმბატ, რომელიცა იგი დასუეს ერისთავთა-ერისთავად“[19]. შემდეგ, ამ სუმბატის შესახებ აქ ნათქვამია: „გარდაიცვალა სუმბატ ერისთავთა-ერისთავი, კაცი მართალი, ძე დავით მამფლისა, არტანუჯელი, ქორანიკონსა: სჟ: — (988 წ.)“[20]. სუმბატის არტანუჯელობით მოხსენიება იმის მოწმობაა, რომ მემატიანემ იცის არტანუჯის სუმბატის მფლობელობაში გადასვლის ამბავი.

ყველაზე რთულია აშოტ-კისკასის სიძის, გურგენის, ვინაობის საკითხი. საგვარეულო მატიანეში X საუკუნის პირველი ნახევრისათვის ასეთი სახელის მქონე რამდენიმე პირია დასახელებული. რომელი მათგანია აშოტის სიძე? საკითხის გადასაწყვეტად პორფიროგენეტის რამდენიმე ჩვენებას უნდა დავეყრდნოთ: 1) ეს გურგენი თავდაპირველად არის ტიროკასტრონისა (ყველისციხის) და მდ. „აჩარას“ ხეობის პატრონი, 2) იგი კვდება უშვილოდ, ყოველ შემთხვევაში, უძეოდ, 3) იგი კვდება, ჩანს, თავისი სიმამრის, აშოტ-კისკასის სიკვდილის (939 წ.) შემდეგ და იმ მომენტზე ადრე, როცა კონსტანტინე პორფიროგენეტი თავის თხრობას ადგენს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ (952 წ.); მეტიც, გურგენი კვდება აშოტ კუროპალატის ძმაზე ბაგრატ მაგისტროსზე, ადრეც, ე. ი., 945 წლის უწინარეს[21]; ანუ, ეს ქრონოლოგიური მიჯნები რომ დავავიწროოთ, აშოტის სიძე გურგენი გარდაიცვალა, პორფიროგენეტის თხრობაში მოცემულ ცნობათა მიხედვით, 939-სა და 945 წლებს შორის. ამ ნიშნების მიხედვით, საძიებელი გურგენი არ შეიძლება იყოს ზემოთ მოხსენიებული გურგენ გურგენის ძე, აშოტ-კისკასის დისწული, რომელიც გარდაიცვალა

---

18 იქვე, 350 — მარკვარტს, დასახ. თხზ., 434, პროფიროგენეტის სუმბატ დიდი სამართლიანად გაგებული ჰყავს, როგორც აშოტ კუროპალატის ძის, ადარნასე უხუცესის, შვილი, მაგრამ სრულიად არეული ჰყავს სუმბატის შთამომავლობა. ბროსესაც, დასახ. თხზ., 154, ეს სუმბატი მიჩნეული ჰყავს პორფიროგენეტის მიერ დასახელებულ ყველა ქართველ ბაგრატიონის მამად, რაც, რა თქმა უნდა, სრული გაუგებრობაა.

19 სუმბატ დავითის-ძე, ქცხ. მარ., 350.

20 იქვე, 351.

21 სუმბატ დავითის-ძე მის შესახებ ამბობს: „გარდაიცვალა ბაგრატ მაგისტროსი, ძე ადარნასე ქართველთა მეფისა, ქორანიკონსა: — რ˝ჲე: — (945 წ.), თუესა მარტსა“, მარ. 350.

968 წ., რომ აღარაფერი ვთქვათ მის მამაზე (გარდაიცვ. 923 წ.), რომელიც ყოველმხრივ გამორიცხულია[22], სავსებით საეჭვოა, რომ ეს იყოს აშოტ კეკელას ძე, შეცდომით მოხსენებული კუროპალატობით, რომლის შესახებაც მატიანეში სხვა არავითარი ცნობა არ შენახულა. ყოველ შემთხვევაში, კონსტანტინე პორფიროგენეტის მოთხრობიდან აშკარაა, რომ აშოტ-კისკასის სიძე კუროპალატი არ ყოფილა.

დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ პორფიროგენეტის გურგენი არის ქართული წყაროების გურგენ ერისთავთა-ერისთავი, ძე გურგენ კუროპალატის ძის ადარნასესი[23]. სუმბატ დავითის ძის ცნობები ამ გურგენის შესახებ კარგად უდგება კონსტანტინე პორფიროგენეტის მიერ მოცემულსა და ზემოჩამოთვლილ ნიშნებს. აი, რას ამბობს მის შესახებ საგვარეულო ანალისტი: „ადარნასე ერისთავთ-ერისთავი, შემდგომად გურგენ მამისა თჳსისა კურატპალატისა, გარდაიცვალა ქორანიკონსა: — რ̃ივ: — (886 წ.) და დაუტევნა ორნი ძენი მცირენი: დავით ერისთავთა-ერისთავი და გურგენ, რომელი შემდგომად მერმე დიდი ერისთავთა-ერისთავი იყო“[24].

გურგენს ერისთავთა-ერისთაობა მიუღია 918 წელს ან მის მახლობლად: „გარდაიცვალა ესე აშოტ კუხი (ერისთავთ-ერისთავი, გურგენ კუროპალატის ძე) ქორანიკონსა: — რ̃ლჱ: — (918 წ.) და არა ესუა შვილი და ამისსა შემდგომად გურგენ, ძმისწული მისი, ძე ადარნასესი, დასუეს ერისთავთა-ერისთავად“[25]. ეს გურგენი მემკვიდრეობით მფლობელი იყო იმ მამულისა, რომელიც ნაჩვენებია კონსტანტინე პორფიროგენეტის მიერ. სუმბატ დავითის ძე მოგვითხრობს, რომ როცა გურგენ კუროპალატმა და მისმა შვილებმა, ე. ი. ამავე წყაროს ცნობით, ადარნასე ერისთავთა-ერისთავმა და აშოტ კუხმა, ერისთავთა-ერისთავმა, ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით — ადარნასე დავითის ძემ ბრძოლა გაუმართეს დავით კუროპალატის მკვლელს, ნასრა გუარამის ძეს და მოკლეს იგი კიდევაც ასპინძაში 888 წ., ამის შემდეგ, „ოდეს ნასრი მოიკლა, ქუეყანა ნასრისი დაიპყრეს სხუათა ამათ მთავართა. ხოლო გურგენ კურაპალატი წარვიდა ტაოთ, კალმახით,

---

22 ბროსე კი ფიქრობს (დასახ. თხზ., 154 და შენ. 4), რომ სწორედ ეს გურგენ-მამა არის აშოტ-კისკასის სიძე; ქართ. მატიანის ცნობა, რომ გურგენს ჰყავდა თანამოსახელე შვილი, ერთადერთი წინააღმდეგობაა ორსავე წყაროს შორისო!.

23 მარკვარტი, დასახ. თხზ., 176—7, 179, 184—185, 427, 434, აგრეთვე ამ აზრისაა. ამ იგივეობას მარკვარტი ამყარებს სტეფანე მტბევარის ცნობისა და პორფიროგენეტის ცნობის შეხვედრაზე იმის შესახებ, რომ გურგენი ყველის ციხის პატრონია. სხვა გენეალოგიურ საკითხებსა და ქრონოლოგიაში მარკვარტი აქაც იბნევა.

24 მარ., 348.

25 იქვე, 349.

მამულით თჳსით, ცხოვრებად შავშეთს და არტანს"[26], გურგენ კუროპალატი ტაოს კალმახიდან შავშეთსა და არტაანში გადმოსახლებულა. ამ პროვინციების დაპყრობის შემდეგ, ჩანს, გურგენისა და მისი შთამომავლობის გავლენა ნაწილობრივ ვრცელდება ჩრდილოეთით მომიჯნავე თემებზეც — აჭარასა და სამცხე-ჯავახეთზე. ეს ქვეყნები შემდეგ გურგენ კუროპალატის შთამომავლობის ხელშია. ასე, მაგ., იგივე სუმბატი გვიამბობს, რომ „აშოტ ერისთავთა-ერისთავმან, ძემან გურგენ კურატპალატისამან, რომელსა ეწოდა კუხი, აღაშენა ტბეთი შავშეთს და განასრულა იგი ყოვლითა განგებითა და დასვა პირველად ებისკოპოსად სანატრელი სტეფანე"[27]. შავშეთის გარდა გურგენ კურაპალატის შთამომავლობის ხელშია თითქოს კლარჯეთის ერთი ნაწილიც. გ. მერჩულის ცნობით, ხანძთა, მაგ., თითქოს გურგენ კურაპალატის საძვალეა: „გარდაცვალებისა ჟამსა ანდერძ ეყო გურგენ კურატპალატსა, ვითარმედ „ნათლისმამისა ჩემისა [იგულისხმება გრ. ხანძთელი] ძუალთა მახლობლად დამდევით ფერჴთა თანა მისთა"... რომელ ყვესცა ეგრჱთ. არამედ შემდგომად გურგენ კურაპალატისა ძემან მისმან აშოტ ერისთავთა-ერისთავმან ხანძთას ახალი ეკლესიაჲ დაიწყო წადიერად და ურიცხჳ შესაწირავი გარდაჰმატა მას"... შემდეგ, გურგენ ერისთავთა-ერისთავმა, აშოტის ძმისწულმა, „განასრულა ეკლესიაჲ იგი ახალი ხანძთისაჲ"[28]. ამ ფაქტებს, ისე როგორც გურგენ კუროპალატის შთამომავლობის სხვა ამბებსაც, ჩვენ კარგად ვიცნობთ სხვა წყაროებიდანაც, კერძოდ, დასახელებული სტეფანე მტბევრის თხზულებიდან („წამებაჲ წმიდისა მოწამისა გობრონისი"), რომელიც სწორედ აშოტ ერისთავთ-ერისთავის, ტბეთის აღმაშენებლის, ბრძანებითაა დაწერილი. ამ თხზულებაში (დაწერილია იგი 918 წლის ახლო ხანაში) აღნიშნულია, მაგ., რომ „ციხე ყუელისა" „იყო გურგენ ერისთავთა-ერისთჳსა"[29]. ეს ძლიერი ციხე, რომლის ასაღებად

26 იქვე, 347—348.

27 მარ., 349.

28 მ ე რ ჩ უ ლ ი, გვ. ლგ-ლდ. ხანძთა კლარჯეთის მონასტერი იყო: „კლდჱ იგი ხანძთისაჲ უფიცხლჱს არს უფროჲს, ყოველთა მათ კლარჯეთისა უდაბნოთა", იქვე, გვ. ია.

29 საქ. სამოთხე, 395—396. ჩვენ ციტატები მოგვაქვს დოც. თამ. ლომოურის მიერ დადგენილი ტექსტიდან. გურგენის მოხსენება ავტორის მიერ „ერისთავთა-ერისთავად" მოწმობს რომ თხზულება იწერება უკვე აშოტის სიკვდილის შემდეგ, რადგანაც ეს პატივი გურგენმა ბიძის გარდაცვალების შემდეგ მიიღო. აშოტის მოხსენება სათაურში ალბათ იმას ნიშნავს, რომ თხზულება შეკვეთილი იყო აშოტის მიერ, მაგრამ ამ უკანასკნელის სიცოცხლეში მისი დაწერა, ჩანს, არ მოესწრო. ადარნასე მეფის ხსენება, გაკვრით, ერთერთ ადგილას, ამ ქრონოლოგიისათვის არაფერს გვაძლევს. უფრო საყურადღებოა, რომ აშოტის შესახებ შემდეგ სტეფანეს არაფერი აქვს ნათქვამი.

დიდი ჯაფა დასჭირდათ, სტეფანე მტბევრის მიხედვით, სწორედ ზემოაღნიშნულ თემების მიჯნაზე ძევს და, როგორც ჩანს, მათ იცავს. ამით აიხსნებოდა ამ ციხის მნიშვნელობა და, კერძოდ, არაბთა განსაკუთრებული ყურადღება მისდამი ამ შემთხვევაში. ავტორი გადმოგვცემს, რომ არაბები, რომელთაც გარემოცული ჰქონდათ ყველის ციხე, „ოდესმე გამოეტევნიან სიმრავლენი იგი ზღუეარსა არტაონისასა და რომელნი პოვნიან თივისა მკრებელნი და მსხუჱრტელნი ყანობირისა მათისანი, — რომელნი შიმშილისაგან შიშსა სიკუდილისასა შეურაცხჰყოფდეს, — შეკრიბნიან მახლობლად ციხესა მას, ვითარცა ცხოვარნი, საჩუჱნებელად მათდა, და დაჰრნიან ჴორცნი მათნი და სისხლი იგი უბრალო, ვითარცა მსხუჱრპლი სულნელი, შეიწირვოდეს ღუთისა"[30]... ე. ი., მორალური ზემოქმედების მოსახდენად ციხოვანებზე, რომელნიც მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ არაბებს, უკანასკნელნი იჭერდნენ არტაანის თემში მინდვრის სამუშაოებზე გამოსულს, საკვების მაძიებელს, დამშეულ ხალხს და აწამებდნენ მას ციხის კედლებთან. მაშასადამე, ავტორის გეოგრაფიული კონცეფციით, ყველის ციხე, რომელიც გურგენ ერისთავთა-ერიხთავს ეკუთვნის, ან თვით არტაანის თემის საზღვრებში მდებარეობს, ან იქვე არტაანის კიდეზე.

შემდეგ მ ტ ბ ე ვ ა რ ი განაგრძობს: „და ურიცხუნი იგი ერნი მართლმადიდებელთანი აჭარას და შავშეთს შეწყუდეულ იყუნეს, რომელნი, ვითარცა მკალნი, მოსჭამდეს ფურცელთა ხეთასა და მწუანილოვანსა ქუჱყანისასა. მას ჟამსა იქმნა შავშეთი ბაკ მჯეც შეუვალ, რამეთუ ეგოდენნი იგი ნათესავნი მახლობელად დგეს, ვითარ სადილობისა გზა ოდენ, რომელთა ქვეყანაჲ ვერ იტევდა. ღმერთმან არა აუფლა შთასვლად მას შინა" არაბებსაო[31].

ამრიგად, ყველის ციხის გარემოცვა მეტად მნიშვნელოვანი გარემოება იყო აჭარა-შავშეთისათვისაც, ანუ რამდენადმე რომ გავაფართოოთ კონსტანტინე პორფიროგენეტის გეოგრაფიული წარმოდგენა, აჭარისწყლის ხეობისა თუ აუზისათვის, და დიდ გავლენასაც ახდენდა მათზე. მაშასადამე, ჩვენ ახლა მეტი საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ ამ პოლიტიკურ-გეოგრაფიული ობიექტების ურთიერთკავშირი, პორფიროგენეტისა და სუმბატ დავითის ძის ცნობათა სიახლოვე, ამ წყაროების აქ აღებულ გურგენთა იგივეობა და, ამასთან ერთად, „ტიროკასტრონ" — „ყველისციხის" არა მარტო ეტიმოლოგიური, არამედ რეალურ-ისტორიული იდენტურობაც.

ამ გურგენის შესახებ საგვარეულო მემატიანე, საერთოდ, ძალიან

---

30 შეადრ. საქ. სამ., 396.

31 შეადრ. საქ. სამ., 396.

დიდი აზრისაა: გარდა იმისა, რომ თავშივე გურგენი დასახელებულია, როგორც „დიდი ერისთავთა-ერისთავი“, შემდეგ იგი ასეა დახასიათებული: „გარდაიცვალა გურგენ დიდი, ერისთავთა ერისთავი, ძე ადარნასესი, რომელმან უმეტესნი სიმჴნენი და ბრძოლანი ქმნნა ყოველთა მამათა მისთასა და დაიმორჩილნა ყოველნი გარემოსნი, ქორანიკონსა: — რ̃ჲა: — თუესა თებერვალსა: — იდ: — [941. 11. 4]. არა ესუა ძე“[32]. სიმხნე, მებრძოლი ბუნება და სათანადო წარმატებები კარგად უდგება კონსტანტინეს ცნობებს, ისევე როგორც ჩვენება უძეობის შესახებ. სავსებით შეეფერება ჩვენ მიერ ზემოთ მოხაზულს ისტორიულ ქრონოლოგიურ ჩარჩოს გურგენის სიკვდილის თარიღიც.

გურგენს იცნობს გ ი ო რ გ ი მ ე რ ჩ უ ლ ი ც, რომელიც მის შესახებ ისეთივე აზრისაა, როგორც სუმბატი. მ ე რ ჩ უ ლ ს გურგენი მოხსენიებული ჰყავს ხანძთის ახალი ეკლესიის შენების ისტორიაში. ეს ეკლესია, მისი ცნობით, დაუწყია აშოტ ერისთავთა-ერისთავს („კუხს“), გურგენ კურაპალატის ძეს, და დაუმთავრებია ამ აშოტის ძმისწულს, გურგენს: „ხოლო გურგენ, ძმისწული აშოტისი, დიდი იგი ჴელმწიფჱ ფრიადთა ნათესავთაჲ, ღმრთისა მიერ დაჯდა ერისთავთა-ერისთავად. და მან განასრულა ეკლესია იგი ახალი ხანძთისაჲ“[33].

ესევე გურგენი იგულისხმება, მ ა რ კ ვ ა რ ტ ი ს სამართლიანი იდენტიფიკაციით ერთს არაბულ ცნობაში, რომელიც X ს. მეორე მესამედს ეკუთვნის და რომელშიაც ნათქვამია, რომ მტკვარი (კურ) დის ქართლის ქვეყნიდან, გურგენის (ჯურჯენ) სამთავროდან[34]. მტკვრის სათავე მოდიოდა, მართლაც, გურგენ კუროპალატისა და მისი შთამომავლობის, კერძოდ, გურგენ ერისთავთ-ერისთავის სამფლობელოში, რომელიც, როგორც ვნახეთ, საკმაოდ კარგადაა მოხაზული ბიზანტიურ-ქართული წყაროების მიერ.

შემდეგ, რომელიღაც გურგენ ქართველთა მთავარს (ერთს თუ რამდენსამე) იხსენიებს სომეხთა მემატიანე ი ო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი ც, რომელიც, აგრეთვე, X საუკუნის ოციან წლებში წერდა, მაგრამ დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი ს ცნობების ანალიზი უფრო რთული საქმეა. პირველად გურგენი აქ იხსენიება 891 წლის მახლობლად: როცა ადარნასემ, ქართველთა დიდმა მთავარმა, მამაზე მგლოვიარე სუმბატს, სომეხთა ბაგრატუნიების წარმომადგენელს, აშოტ I-ის (გარდ. 890—891 წწ.) ძეს, სამგლოვიარო ტანისამოსი გახადა და სამეფო ჩააცვა, ამით მან სუმბატის ბიძის, აბას სპარაპეტის, კარელის, უდიდესი გულისწყრომა გამოიწვია; აბასმა უკან დაბრუნე-

32 ქ. ცხ. მარ., 350.

33 მ ე რ ჩ უ ლ ი, ლგ-ლდ.

34 დასახ. თხზულება, 176—177.

ბული ადარნასე შეიპყრო და მოითხოვა მისგან მძევალი და ორი ციხე, რომელიც ადარნასეს დის ქმრის (*քեռայր*) გურგენისათვის წაერთმია[35]. შემდეგ გურგენი დიდ როლს თამაშობს სომეხთა მფლობელის, აშოტ II-ის, მეფობაში (915—928 წწ.). გურგენ მთავარი (*իշխան*) ქართველთა ქვეყნიდან ფრიად საყვარელი პირია აშოტისა[36]. ეს ქართველთა დიდი მთავარი გურგენი (*Մեծ իշխանն Վրաց Գուրգէն*) აქტიურად ჰშველის აშოტს მოცილეების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ და მომდევნო ამბებში გურგენი კიდევ უფრო ხშირად იხსენიება, მაგრამ იოანეს ყვავილოვანი და ხელოვნური ენის გამო ამ თხრობაში დანამდვილებით გზის გარკვევა ძნელი ხდება. აშოტ, სომეხთა მეფე, თავის სეხნია-მოწინააღმდეგე აშოტ დვინელთან (იგი აშოტ მეფის ბიძაშვილი იყო) ბრძოლაში დამარცხებული, მიდის „ქართველთა დიდ მთავარ გურგენთან“, რომელიც მას მეშველ ჯარს აძლევს[37]. შემდეგშიაც აშოტ სომეხთა მეფე თავის მოკავშირედ გულისხმობს ქართველთა მთავარს გურგენს, რომელიც აქ აშოტის ძმის, აბას ერისთავთა-ერისთავის სიმამრადაა დასახელებული[38]. მაგრამ ახლა უკვე გურგენი თავისი სიძის, მეფის ძის აბასის მხარეზეა და მასთან ერთად მტრულად ირაზმება აშოტის წინააღმდეგ და ვერაგულ სიკვდილსაც უმზადებს მას[39]. ასეთ ამბავს, ცხადია, უნდა გაეფუჭებინა ის სამაგალითო მეგობრობა, რომელიც თავიდანვე არსებობდა გურგენსა და აშოტს შორის. ამიტომ ესევე გურგენი უნდა იგულისხმებოდეს მომდევნო თხრობაში, სადაც ნაამბობია, რომ აშოტი მიდის ქართველთა ქვეყანაში, სადაც ქართველთა მეფე ადარნასესთან ერთად თავს ესხმის გურგენ მთავარს. გურგენს კიდევ მეორე მეფე აშოტი და მეფის წულის (ე. ი. მეფე აშოტის) ძმა აბასი (აქ ეს სახელი შეცდომით ნათესაობით ბრუნვის ფორმითაა მოცემული) ეხმარებიან. აქ გურგენი ადარნასეს დისწულადაა მოხსენიებული[40]. შემდეგ მოსდევს საინტერესო ცნობა რომ ვასაკ გნთუნი, სომეხთა მეფეების ნაცვალი გუგარეთის დაპყრობილ თემებში, ქართველთა მთავარს გურგენს უთმობს დიდ ციხექალაქს სამშვილდეს და სამაგიეროდ ითხოვს გურგენისგან ციხე კრუსტს[41]. დაბოლოს, ი ო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი იხსენიე-

---

35 დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი, გვ. 81

36 იქვე, გვ. 161.

37 იქვე, 163; შდრ. გვ. 161—162.

38 იქვე, 164—165; ამავე 165-ე გვერდზევე დასახელებულია ვინმე გურგენი, მეორე მეფის აშოტის სიმამრი.

39 იქვე, 165.

40 იქვე, 167—168.

41 იქვე, 171—172.

ეზს „გამრთა ქვეყნის ერისთავთა-ერისთავს“... (*Իշխան իշխանաց զամրաց աշխարհին*) გურგენს, რომლის სამსახურშიაც გადადის აშოტ სომეხთა მეფის ყმა, როგორც ჩანს, უტის თემის მმართველი, ამრამი, მეტსახელად — ცლიკი[42].

როგორც უკვე ნათქვამი იყო, ი ო ა ნ ე ს ცნობების განმარტებას საკმაო სიძნელე ახლავს, რამაც სათანადო ლიტერატურაშიაც დატოვა თავისი კვალი. ბროსე ფიქრობს, რომ აქ ყველგან, (გარდა პირველი შემთხვევისა, სადაც აბას კარელის დის ქმარი გურგენია დასახელებული)[43], საუბარია აფხაზთა მეფის გიორგი, კონსტანტინეს ძის, შესახებ[44].

მარკვარტიც ფიქრობს, რომ, უკანასკნელი შემთხვევის გარდა (სადაც გამრთა ქვეყნის მთავარია დასახელებული), ყველგან ი ო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი ერთსადაიმავე პირზე გვიამბობს და ამ პირში ადვილად გამოიცნობა ბაგრატ არტანუჯელის ძე გურგენ, აშოტ კისკასის ძმა[45]. „გამრთა“ მთავარი კი უნდა იყოს იოანნე კურკუასი (სომხ. გურგენ), რომაელი სარდალი, ან შესაძლებელია აქ ერისთავთ-ერისთავი გურგენი, აშოტ კისკასის სიძე, ვიგულისხმოთო[46].

„გამრთა“ მთავრის საკითხი უფრო რთულია და მისი გადაწყვეტა არსებული მასალის მიხედვით ძნელია. რაც შეეხება წინა თხრობის გურგენს, იქ, მართლაც, ბ რ ო ს ე ს ი არ იყოს, ორ სხვადასხვა პირთან უნდა გვქონდეს საქმე. აბას კარელის სიძე გურგენ კუროპალატი უნდა იყოს — ცნობა იმის შესახებ, რომ ადარნასე ქართველთა მეფეს ამ გურგენისათვის ციხეები წაურთმევია, კარგად უდგება სხვა წყაროებიდან ცნობილს ფაქტიურ ისტორიას ამ ეპოქისას: გურგენი ხომ მოიკლა კიდევაც ადარნასესთან ბრძოლაში, სწორედ 891 წ., რომელ წელსაც (ან მომდევნოში) მოხდა აბასისა და ადარნასეს კონფლიქტი. საყურადღებოა დრასხანაკერტელის ცნობაში ის გარემოება, რომ გურგენის ციხეებს აბასი თ ა ვ ი ს თ ვ ი ს მოითხოვს და არა თავისი სიძისათვის (*„տացէ ինձ այսրէն Ատրներսեհ զԿիրկու ամրոցսն, զոր յափշտակեալ իւր է 'ի ձեռաց Գուրգինաց քեռաոն իմոյ“*, გვ. 81). ამ გარემოებაში ჩვენ იმის მოწმობას ვხედავთ, რომ გურგენი ამ დროს უკვე ცოცხალი აღარ არის. ქრონოლოგიური დაბრკოლება, მაშასადამე, იხსნება.

---

42 იქვე, 174.

43 დასახ. თხზულება, გვ. 162, შენ. 4.

44 იქვე, გვ. 165—171. განსაკუთრებით, 165, შენ. 4.

45 მ ა რ კ ვ ა რ ტ ი, დასახ. ნაშრომი, 178—184, განსაკუთრებით, 183—184.

46 იქვე, 183.

აშოტ II სომეხთა მეფის (915—928) თანამედროვე გურგენი კი, ქართველთა დიდი მთავარი, ჩვენი აზრით, უნდა იყოს აშოტ კისკასის სიძე. ამ გურგენის მთელი მოქმედება, აღწერილი დრასხანაკერტელის მიერ, კარგად გამომდინარეობს გურგენ დიდი ერისთავთ-ერისთავის ხასიათიდან და მისი მოღვაწეობის პირობებიდან, რომლებსაც ჩვენ საკმაოდ ვიცნობთ სხვა წყაროების საშუალებითაც. მისი მამული (მტკვრის სათავეებში, არტაანი და სხვა) უშუალოდ ემიჯნებოდა სომეხთა მეფის სამფლობელოს. ეს ტერიტორიული საბუთი ჩვენ მიერ ნაგულისხმევი იგივეობისათვის უფრო თვალსაჩინო ხდება ვასაკ გნთუნის ეპიზოდში: სამშვილდის გადაცემა ქართველ ბაგრატიონთა შორის სწორედ ყველის პატრონისათვის იყო ყველაზე უფრო ბუნებრივი და შესაფერისი, რადგანაც სამშვილდის მხარე აღმოსავლეთიდან ემიჯნებოდა გურგენის სამფლობელოს. დრასხანაკერტელის გურგენის აქტიურობა, სახელი, ავტორიტეტი აგრეთვე გურგენს, აშოტის სიძეს, გვაგულისხმებინებს. ერთადერთი დაბრკოლებაა თითქოს ის გარემოება, რომ დრასხანაკერტელის გურგენს ასული ჰყავს სომხეთში გათხოვილი, მაშინ როდესაც პორფიროგენეტის გურგენი უშვილოა, ხოლო სუმბატ დავითის ძე გურგენის ქალზე არაფერს ამბობს. მაგრამ გათვალისწინებულია, რომ ეს წყაროები ამ შვილიერება-უშვილობაზე სხვადასხვა ქრონოლოგიურ ჩარჩოში და სხვადასხვა შინაარსით ლაპარაკობენ. სომხური წყარო აქ გულისხმობს ადრინდელ პერიოდს, 923 წლის (ადარნასე ქართველთა მეფის სიკვდილის თარიღი) უწინარესს (დრასხანაკერტელს, საერთოდ, თავისი თხრობა მხოლოდ X ს. ოციან წლების დამდეგამდე მიჰყავს); ბიზანტიური წყარო ოცი წლით უფრო გვიანდელ ხანას გულისხმობს — იქ გურგენის უშვილობა (არა პირდაპირად აღნიშნული) მოხსენებულია გურგენის გარდაცვალებასთან (941 წ.) დაკავშირებით. ამ დროს გურგენის შვილი (ქალიშვილი) შეიძლებოდა მკვდარიც ყოფილიყო.

რაც შეეხება სუმბატ დავითის ძეს, ის ხომ ამბობს გურგენის „უძეობას" („არა ესუა ძე") და არა უშვილობას. სუმბატ დავითის ძე კი ამ გამოთქმებს აშკარად არჩევს: ბასილ კლარჯის მონაზონის შესახებ იგი, მაგ., ამბობს: „არა ესუა შვილი" ხოლო, იქვე, აშოტ სუმბატისძის შესახებ — „არა ესუა ძე"-ო (გვ. 350); სუმბატ ბაგრატ რეგუნის-ძის შესახებაც აქ ნათქვამია: „არა ესუა შვილი", ხოლო დავით დიდის კურაპალატის შესახებ კი — „არა ესუა ძე" (გვ. 351—352).

თუ სუმბატ დავითის ძის ცნობები გურგენის ასულის არსებობას არ გამორიცხავენ, სამაგიეროდ, მეორე ქართული წყარო, „მატიანჱ ქართლისაჲ“, პირდაპირ ასახელებს გურგენის ასულს, იქ ნათქვამია, რომ კონსტანტინე აფხაზთა მეფის უმცროსი შვილი „ბაგრატ სიძე იყო გურგენ ერისთავთა-ერისთავისა“. ვარიანტი უმატებს: „ძისა ადარნასე ერისთავთა-ერისთავისა“[47]. ადარნასეს ძე გურგენ სწორედ აშოტ-კისკასის სიძეა. მართალია, „სიძე“ დის ქმარსაც შეიძლება ნიშნავდეს, მაგრამ ჩვენ ზემოთ მოცემული გაგებისაკენ ვიხრებით, რადგანაც გურგენის და იმავე მატიანის მიერ ქვემოთ არის მოხსენებული, სწორედ დობით: ჰერეთის მფლობელი იშხანიკი გურგენის დისწული ყოფილა, ე. ი. იშხანიკის დედა, დინარ დედოფალი, გურგენის და[48].

ამგვარად, აღნიშნული მოჩვენებითი წინააღმდეგობაც იხსნება.

---

47 ქ. ცხ., მარ., 228.
48 იქვე, 229.

# დე ლა პორტის ცნობები საქართველოს შესახებ და წყარო ინტერპოლაციებისა მათს რუსულ თარგმანში*

რამდენიმე წლის წინათ (1920) ჩვენ შევამჩნიეთ მსგავსება ორს უცხო ცნობას შორის XVIII საუკუნის საქართველოს შესახებ: ერთი ეკუთვნის ფრანგ დე ლა პორტს, მეორე — რუს იაზიკოვს. აბატ დე ლა პორტის მსოფლიო მოგზაურობის აღწერილობაში, რომლისაც მხოლოდ რუსული თარგმანი გვქონდა ჩვენ ამჟამად[1], ვინაიდან ტფილისის წიგნსაცავებში მისი ფრანგული გამოცემა არ მოიპოვება, საქართველოს შესახები ცნობები მოთავსებულია მე-17 და მე-18 წერილში (თხრობას ეპისტოლარული ფორმა აქვს). რუსულ თარგმანში პირველ წერილს სათაურად აქვს: „Грузия и Имеретия“ (პირვ. გამოცემა, გვ. 90—122; მესამე გამოცემა, გვ. 82—111), ხოლო მეორეს: „Мингрелия или древняя Колхида“ (123—147; 112—134).

დე ლა პორტის ცნობები ჩვენს სამეცნიერო მწერლობაში პირველად გამოაქვეყნა პლ. იოსელიანმა[2], რომელმაც გამოთქვა მოსაზრება, შემდეგში სხვების მიერაც განმეორებული[3], რომ დე ლა პორტი სა-

---

* მოხსენდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას 1929 წ. იანვრის 18-ის საზოგადო კრებაზე (ოქმი № 273).

[1] თარგმანის თავფურცელზე აღნიშნულია: „Всемирный путешествователь или познание Стараго и Новаго света, т. е.: Описание всех по сіе время известных земель в четырех частях света etc. изданное господином Аббатом де ла Порт, а на Российской язык переведенное с французского. В. С. Сопиков, Опыт Российской библиографии-ს ცნობით (№ 9263), რუსული თარგმანის პირველი გამოცემა გამოსულა 1778—1794 წწ. ამ გამოცემისა ჩვენ ხელთა გვქონდა მხოლოდ მეორე ტომი (აქ არის სწორედ საქართველოს აღწერილობა), რომელსაც თარიღად უზის 1779 წ., იმავე ტომის მესამე გამოცემას კი — 1800 წ.“

[2] Пл. Иоселиани, Описание древностей г. Тифлиса, Тифл., 1866, გვ. 274. აქ მოთავსებულია დე ლა პორტის ზოგიერთი ცნობა ტფილისისა და ქართველების შესახებ, რუსული თარგმანიდან ამოღებული. ფრანგული ტექსტი იოსელიანს, როგორც ჩანს, არ უნახავს. აქედან ეს ნაწყვეტი გადაუბეჭდავთ „Сборник сведений о Кавказе“— VI (Тфл., 1880, гл. XIII: „Краткий исторический очерк Тифлиса“, стр. 292—293), ხოლო ქართულად უთარგმნია მოსე ჯანაშვილს (საქართველოს დედა-ქალაქი ტფილისი, ქუთ., 1899, გვ. 118 შემდ.).

[3] П. Иоселиани, დასახ. შრ., გვ. 274; Сборник сведений... VI, 292; 118; Л. М. Меликсет-Беков, Тифлис, его основание и краткий исторический очерк, 21—22 („Тифлис и его окрестности“, Тифл., 925).

ქართველოში იყო 1768 წ. არ ჩანს, რაზეა ეს თარიღი დამყარებული.

იაზიკოვის ცნობა გამოცემულია პროფ. ალ. ცაგარელის მიერ მისს „Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии" (т. I. С.-Пб, 1891). აქ დაბეჭდილია ვრცელი „Записки капитана Языкова" (გვ. 183 — 196) და მეტად მოკლე „Записка о Мингрелии кап. Языкова" (გვ. 261 — 262). ეს რუსი ოფიცერი ეკატერინე მეორის ბრძანებით დანიშნულ იქნა 1770 წლის ივლისის 9-ს მეფე ერეკლესა და საქართველოში მყოფის [რუსული კორპუსის უფროსს გენ. ტოტლებენს შუა აღმოცენებული უკმაყოფილებისა და ამასთან დაკავშირებული სხვა საქმეების გამოსაძიებლად (ib. 125—127 და 139—145).

ინსტრუქციის მე-10 მუხლის თანახმად, იაზიკოვს, სხვათა შორის დავალებული ჰქონდა „იქაური ქვეყნის (ე. ი. საქართველოს) მდგომარეობისა, მოსახლეობის ზნეთა და თვისებათა, მფლობელთა ხელისუფლებისა და ძალისა და მათი ურთიერთშორის განწყობილების დაკვირვება", სწორი და საიმედო ცნობების მისაწოდებლად მთავრობისათვის ამ საგნის შესახებ (ib. 144). იაზიკოვი საქართველოში ჩამოვიდა იმავე წლის სექტემბერში (169) და დაჰყო აქ (ქართლსა და იმერეთში) 1771 წ. ივნისამდის (309)[4].

დე ლა პორტის (რუს. თარგმანის სახით) და იაზიკოვის ცნობების შედარებამ აღმოაჩინა მათ შორის ისეთი სიახლოვე, რომ საკითხი უნდა დასმულიყო ამ ავტორების ერთმანეთზე ან საერთო წყაროზე დამოკიდებულების შესახებ. საკითხის გადაწყვეტა ჩვენ შეუძლებლად მივიჩნიეთ დე ლა პორტის ფრანგული ტექსტის გარეშე, ვინაიდან რუსული გამოცემის წინასიტყვაობაში მთარგმნელი აცხადებს, რომ მან დედნის ცნობებში შეიტანა ზოგიერთი ცვლილებანი თუ დამატებანი (წინასიტყვაობა, გვ. VII, გამოც. III), თუმცა აქ საქართველო განსაკუთრებულად დასახელებული არ არის. ჩვენს ეჭვს აძლიერებდა ლიტერატურული ცნობა, რომ პირველი ფრანგული გამოცემა გამოვიდა პარიზში 1765—1795 წწ.[5].

ამჟამად ფრანგული გამოცემა ხელთა გვაქვს და მისმა შესწავლამ გამოარკვია შემდეგი[6]:

---

[4] შეადრ. А. Цагарели, Грамоты..., I, XVII; П. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, ч. I, с. 285.

[5] Brunet, Manuel du libraire et de l'amateur de livres, Paris. 1920, s. v. Porte; Weiss. Biographie universelle ou Dictionnaire historique etc. s. v. Porte.

[6] გამოცემის თავფურცელზე აღნიშნულია: Le Voyageur français ou la Connois-

საქართველოს აღწერილობა მოთავსებულია მეორე ტომის XVII და XVIII წერილებში. პირველს (pp. 120—143) სათაურად აქვს: „La Géorgie“, ხოლო მეორეს (pp. 144—178)—„La Mingrélie, autrefois la Colchide“. პლ. იოსელიანის ქრონოლოგიური ცნობის საწინააღმდეგოდ, პირველი წერილი დათარიღებულია „A Tiflis, ce 18 novembre 1737“, მეორე კი—„En Mingrélie, ce 30 décembre 1737“. კიდევ უფრო საყურადღებოა ის განსხვავება, პირველ რიგში ჩანართები, რომელიც არსებობს ფრანგულ ტექსტსა და რუსულ თარგმანს შორის, თუმცა უკანასკნელი დასაწყის აბზაცებში სავსებით ეთანხმება დედანს. თუ ნაკლებ მნიშვნელოვან დაშორებას მთარგმნელისას დედნისაგან უყურადღებოდ დავტოვებთ, რუსული ტექსტის ჩანართები შემდეგი იქნება: ერეკლე II-ის ვრცელი დახასიათება (რუს. გამოც., გვ. 90 სიტყვებიდან: „Теперь владеет Грузиею Царь Ираклий“, გვ. 91. სიტყვებამდის: „Столица его есть Тифлис“..., III გამოც., გვ. 82—83); გოგირდის აბანოების შესახებ რუსული ტექსტის ცნობები განსხვავდება ფრანგულისაგან. უკანასკნელში არ არის, მაგალითად, ცნობა, რომ აბანოს შენობები ას წელზე მეტია, რაც აგებულია (რუს. გამოც. გვ. 93). შემდეგ: ფრანგული ტექსტით, ტფილისში არის 14 ეკლესია: 6 ქართული და 8 სომხური, რუსულით—13 ეკლესია მართლმადიდებელთ ეკუთვნის, 7 სომხებს და ერთი კათოლიკეთ, სამაგიეროდ, რუსულ თარგმანში გამოტოვებულია ცნობა, რომ ქალაქში არ არის არც ერთი მიზგითა, მაშინ როცა მთავარი (le prince) და დიდებულთა უმრავლესობა მაჰმადიანები არიანო (ფრანგ. ტ., გვ. 123). ინტერპოლაციას წარმოადგენს რუსულ თარგმანში ნაწყვეტი ამ სიტყვებიდან: „Сии последния все каменныя со сводами“... სიტყვებამდის „кажется чтобы надлежало христианской вере...“ (გვ. 93). ფრანგული ტექსტის სათანადო ადგილას ისეთი ცნობებია, რომელიც შეეფერება იმ დროს, როცა ტფილისში მეფის (ე. ი. შაჰის) მოადგილე (le vice-roi) იჯდა (ფრ. ტ., გვ. 123). მომდევნო აბზაცში დამახასიათებელია, რომ ფრანგული „ce patriarche“ (იგულისხმება საქართველოს კათალიკოსი. გვ. 124), რუსულში გადმოცემულია: „Сей наместник патриарха“ (გვ. 94).

ასეთივე ამბავი განმეორებულია შემდეგაც (იხ. რუს. ტ., გვ. 108;

---

sance de l'ancien et du nouveau Monde, mis au jour par M l'abbé De la Porte. Quatrième edition, t. II, A. Paris, MDCCLXXI.

ეს გამოცემა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის სახიო მუზეუმის წიგნსაცავში ჩვენის თხოვნით მოძებნა პროფ. გ. ახვლედიანმა, ხოლო აკადემიამ ტფ. სახ. უნივერსიტეტის გამგეობის შუამდგომლობით სამუშაოდ გადმოგვიგზავნა; აღნიშნულ პირთა და დაწესებულებებს მადლობას მოვახსენებთ.

ფრ. ტ., გვ. 140). სეფი-აბადის აღწერილობა (ფრ. ტ., გვ. 125—126) რუსულ თარგმანში იმნაირად არის გადმოცემული, თითქოს მიტოვებულ სასახლეზე იყოს საუბარი (რუს., ტ., გვ. 96). ნაწყვეტს სურამის შესახებ რუსულ თარგმანში დართული აქვს ცნობები ქართლელი გლეხის ყოფა-ცხოვრებისა და ლეკთა თარეშის შესახებ (ამ სიტყვებიდან: „Мужики же в деревнях"... ამ სიტყვებამდის „Недалеко от Сурама"... გვ. 96), რაც ფრანგულში არ მოიპოვება. გორის შესახებ დედანში არ არის ნათქვამი (ფრ. ტ., გვ. 127), რომ ის დაშორებულია ტფილისიდან 80 ვერსით (რუს. ტ., 97). რუსულ თარგმანს ეკუთვნის განმარტებები, რომ „კოტატის"-ი უდრის ქუთაისს და „ფაზ"-ი რიონს. ჩანართს წარმოადგენს ქუთაისის აღწერილობაზე მიკერებული როგორც მეფის სასახლის, ისე სხვა სახლების სიღარიბის სურათი („Ибо как оной, так и домы князей, и обывателей" გათავებული სიტყვებით: „а в другом стоят лошади", რუს. ტ., გვ. 99). მთარგმნელს ეკუთვნის ცნობა, რომ ახალციხის ფაშა არის „трехбунчучный" (გვ. 100). იქვე მოთავსებულია ცნობებიც საქართველოს ისტორიიდან („Когда Грузия была в настоящей своей силе"... და შემდეგ, აბზაცამდის, გვ. 100).

დედანთან შედარებით ზედმეტია თარგმანში შენიშვნა: „представляя себе упомянуть особо в конце письма, в чем (!) между ими (ე. ი. ქართლსა და იმერეთს შორის) найду разность" (გვ. 104). ქალებით ვაჭრობის შესახებ ფრანგულ ტექსტში ნათქვამია, რომ ის ნაკლებ ნებადართულია (moins licite) აბრეშუმის ვაჭრობასთან შედარებით (გვ. 135), რუსი მთარგმნელი კი ამბობს სასტიკად აკრძალულიაო (104). შემდეგი ჩანართია ქართველი ქალის გარეგნობის აღწერილობა (ამ სიტყვებიდან: „когда грузинка еще не убрана"... გვ. 105 ამ სიტყვებამდის „Уверяют, что прав их"... გვ. 106) და აქვე და წინამავალ აბზაცში ორი ნაკლებმნიშვნელოვანი ფრაზა. ფრანგულ ტექსტის: „L'habit des Géorgiens est presque semblable à celui des Polonais" (137) და სხვა თარგმანში გადმოცემულია ისე, რომ წარჩინებული ქართველების ჩაცმულობა სპარსელსა ჰგავს, ხოლო მდაბიოთა კი კოზაკებისაო (106). მომდევნო ორი წინადადებაც რუსულ ტექსტში ჩანართია. ჩანართია აგრეთვე ცოტა ქვემოთ მოთავსებული ცნობა, რომ ტყვის (ქალების) გაყიდვისათვის ამჟამად თვალებს სწვავენო (107). თარგმანში გამოუტოვებიათ ნაწყვეტი: „J'ai remarqué, au surplus, que les seigneurs Géorgiens respectent le mariage de leurs vassaux: ils n'enlèvent et ne vendent pour l'ordinaire que des filles. C'est par cette raison qu'on voit ici des enfants en épouser d'autres: on en voit même que leurs parents ont mariés dès le berceau" (138). ამ აბზა-

ციდან: „Грузинцы имеют наместника Патриаршего“ მთელი რიგი ცნობებისაა ჩართული: 1. „Нынешней есть брат“... (ცნობა იმდროინდელი კათალიკოსის შესახებ; იგულისხმება ანტონი), სიტყვებამდის: „У них есть также“... (108). 2. „в редкой есть царские двери“... სიტყვებამდის „Большая часть последних“... (109). 3. „В пятнадцати верстах выше Тифлиса“... აბზაცამდის (109). შემდეგ ჩანართს წარმოადგენს მოზრდილი ნაწყვეტი სიტყვებიდან: „Грузинцы наружно все богобоязливы“... (110) სიტყვებამდის: „Дворяне, которые подданных своих невольниками почитают“... (111); ამ ნაწყვეტს უჭირავს ფრანგული ტექსტის იმ ცნობების ადგილი, რომელშიაც მოთხრობილია მეფისა და წარჩინებულ პირთა იძულებითი მაჰმადიანობის შესახებ და აგრეთვე საქართველოს მეფის სპარსეთისაგან დამოკიდებულების თაობაზე (ფრ. ტ., გვ. 141). დასასრულ, ყველაზე მნიშვნელოვან ინტერპოლაციას წარმოადგენს ვრცელი ცნობები ქართლისა და იმერეთის შესახებ. იწყება ეს დიდი ნაწყვეტი 112-ე გვერდზე (რუს. ტ.) აბზაცით: „Народ Грузинской вообще легкомыслен:“... და თავდება 122-ე გვერდზე უკანასკნელი აბზაცით („Теперь нужна нам отвага“)...

მეთვრამეტე წერილში, რომელიც სამეგრელოს შეეხება, მთარგმნელს ნაკლები ცვლილებანი შეუტანია და ამასთან საყურადღებოა, რომ ახალი ცნობები სამეგრელოს შესახებ მას გაცილებით უფრო მცირე ჰქონია, ვიდრე ქართლისა და იმერეთისათვის. თუ სხვაობათ თავს მოვუყრით, შემდეგს მივიღებთ; ოდიშის მთავრის შესახებ ცნობას თარგმანში დართული აქვს:

„Коему дается название Дадиан. Нынешний имянуется Кацiй“ (124—123). დედნის „პატრიარქს“ (152, 159) თარგმანში ზოგჯერ უდრის „Наместник патриарший“ (129, 134); უკანასკნელ შემთხვევაში ამას გარდა ჩართულია ფრაზა: „также как в Имеретии“ და შემდეგ ნაწყვეტი სიტყვები: „он прежде почитался Мингрельским и Имеретинским... სიტყვებამდის: „от Кафоликоса зависят“ (134). სამაგიეროდ, გამოტოვებულია დედნის წინადადება: „c'est (კათალიკოსი) proprement le pape de cette contrée“ (150), ზოგჯერ კიდევ დედნის „patriarche“ (160, 161)=„Кафоликос“ თარგმანში (135, 136).

მეგრელებს სხვა სიწმინდეთა შორის აქვსთო—„quelques poils de la barbe du Sauveur“ (165). ეს ფრაზა თარგმანში გამოტოვებულია (138). L'étable de Bethléem ne pouvait pas être plus malpropre“ (166, საუბარია სოფლის ეკლესიებზე)—abs. რუსულ თარგ. (139), როცა ავტორი ამბობს: მონაზონებს წმ. ბასილის წესისას მეგრელები „ბერებს“ ეძახიანო (166—167), „ბერი“ რუს მთარგმნელს გადმოუცია „отец“ სიტყვით (140). რუს მთარგმნელს 141 გვერდზე („Когда служат они

собором"...) აკლია ალბათ გამოპრჩენია, რამდენიმე ფრაზა (ფრ. ტ., გვ. 168, "Lorsque plusieurs prêtres"...). შემდეგ თარგმანში გამოტოვებულია ფრაზა: „ils consacrent" და სხვ. (169) და გრძელი ნაწყვეტი სიტყვებიდან „ils ont, en tout temps et tous lieux"... (169), სიტყვებამდის „On n'enterre ici les morts" (170). სამაგიეროდ, მთარგმნელს ჩაურთავს ფრაზა: „Я не хочу более вычислять всех их поступков: ибо прихожу от того в содрогание" (141). თეატინელების შესახებ მთარგმნელს ჩაურთავს შემდეგი: „Но как они Римского исповедания, и следовательно не терпящие ни какого другова закона, то и я не совсем им подавал веру" (142). თარგმანში გამოტოვებულია (146): „il n'est point question de ragoûts chez cette nation" (176). სხვა ცვლილებები ნაკლებ საინტერესოა.

მთელი ეს ფაქტიური მასალა, რომელიც დე ლა პორტის რუსულ თარგმანში ჩაურთავთ, სავსებით იმეორებს იაზიკოვის აღწერილობაში მოცემულ ცნობებს. ამასთან უეჭველი ხდება, რომ დე ლა პორტის მთარგმნელი იაზიკოვზე არის დამოკიდებული; მესამე, საერთო, წყაროს არსებობა დაუჯერებელია. იაზიკოვს დავალება და თან სრული შესაძლებლობაც ჰქონდა, შეეკრიბა ეს ცნობები ადგილობრივ, საქართველოშივე. ერთგან ის ასახელებს კიდევაც თავისი (საფიქრებელია ისტორიულის) ცნობების წყაროს: კათალიკოსს ანტონის (183). იაზიკოვის მოხსენება დაწერილი უნდა იყოს 1770, ან ყოველ შემთხვევაში 1771 წ., ხოლო დე ლა პორტის რუსული თარგმანის პირველი წიგნი გამოვიდა პეტერბურგს 1778 წ.[7]. დაუჯერებელია, რომ ამ მთარგმნელს (რომელიც, ვ. ს. სოპიკოვის სიტყვით, ივ. ბულგაკოვი ყოფილა[8]) უშუალოდ მიემართნა იაზიკოვის ქართული წყაროებისათვის, თუნდაც იმავე კათალიკოს ანტონისათვის; ამას, სხვათა შორის, ეწინააღმდეგება ის ტექსტუალურ-სტილისტური სიახლოვე, რომელიც არსებობს თარგმანსა და იაზიკოვის ცნობებს შორის, და რომელიც ყოველ შემთხვევაში, საერთო რუსულ წყაროს უნდა გვაგულისხმებინებდეს.

საინტერესოა კიდევ ერთი გარემოება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დე ლა პორტის მთარგმნელს აკლია ახალი ცნობები სამეგრელოს შესახებ. ასეთსავე მდგომარეობაშია იაზიკოვიც (მისი სამეგრელოს აღწერილობა მეტად მოკლეა), რაც იმის შედეგი ყოფილა, როგორც თვითონ აცხადებს, რომ მისთვის გზაში მოუპარავთ ფუთა, რომელშიაც მას გურიისა და სამეგრელოს აღწერილობა ჰქონია (261). ამ მოსაზ-

---

[7] В. С. Сопиков, о. с. № 9263.

[8] იქვე.

რებათა გამო ყველაზე მარტივი ახსნა იქნება, თუ დე ლა პორტის რუსი მთარგმნელის წყაროდ იაზიკოვს მივიღებთ. მაგრამ, რადგანაც იაზიკოვის აღწერილობა, ცაგარლის მიერ გამოცემული, ოფიციალური დოკუმენტია, რომელიც მიუწვდომელი უნდა ყოფილიყო იმ დროს კერძო პირისათვის, უნდა ვიფიქროთ, რომ ცნობები მიწოდებულია თვით იაზიკოვის მიერ უშუალოდ. მას ხელთ ექნებოდა, ალბათ, თავისი ნაშრომის პირი ან შავი.

ბულგაკოვს გამოუყენებია იაზიკოვის ტექსტის უდიდესი ნაწილი, რომელიც ნაჭერ-ნაჭერ და ადგილის შეცვლით ჩართულია ფრანგული გამოცემის ცნობათა შორის. ეს ინტერპოლაციები იაზიკოვის თხრობის (თუ ცაგარლის გამოცემის მიხედვით ვიმსჯელებთ) უმნიშვნელო პარაფრაზს წარმოადგენენ, ზოგჯერ კიდევ ლიტერულ იგივეობას, მაგ.:

| იაზიკოვი | დე ლა პორტის რუსული თარგმ. (პირვ. გამ.) |
| --- | --- |
| ...За монастырями хотя и есть деревни, но как оброк с них збирают Архиергии, то и употребляют их на свое содержание и прихоти и церкви без всякого поправления остаются (გვ. 185). | ...За монастырями хотя и есть деревни, но как оброк с них збирают Архиереи, то и употребляют на свое содержание и прихоти, а церкви без всякого поправления остаются (გვ. 109) |
| Имеретинцы народ крупной, сухощавой и смелой, лицы свежее, нежели у грузин, в усах, без бород (გვ. 194) | Имеретинцы суть народ крупной, сухощавой и смелой, лицы у них свежее, нежели у Грузин, бороды бреют, а оставляют только усы (გვ. 120) |

არის დე ლა პორტის რუსულ თარგმანში რამდენიმე ახალი ცნობა, რომლებიც ცაგარლის მიერ გამოცემულს იაზიკოვის ძირითად ტექსტში არ მოიპოვება. ეს ჩანართებია: 1. ქართველი ქალის მოკაზმულობისა და ჩაცმულობის აღწერილობა: ამ სიტყვებიდან: „Когда Грузинка еще не убрана"... გათავებული ამ სიტყვებით... „мелкия косы, кои лежали по плечу" (პირვ. გამ. გვ. 105—106); 2. იმერეთის მეფის სოლომონის შესახებ: „иногда носит на шее"... გათავებული სიტყვებით: „Щеголи красят усы красной краскою" (გვ. 117): 3. იმერეთის პატრიარქის უმეცრების შესახებ: „Я с ним говоря спрашивал... что должно заключить о подлых людях" (112), და სხვა. რომელ-

თაც ნაკლები მნიშვნელობა აქვთ. როგორც ჩანს, ეს ცნობებიც იმავე წყაროდან, ე. ი. იაზიკოვის მასალებიდან, უნდა იყოს ამოღებული. მაგ., აქ აღნიშნული მესამე ცნობა იმერეთის პატრიარქის შესახებ, როგორც ალ. ცაგარლის წინასიტყვაობიდან ჩანს (XXXVII), იაზიკოვს ჰკუთვნებია, მაგრამ მისი სათანადო ადგილას დაბეჭდვა ცაგარელს საჭიროდ არ დაუნახავს.

ამას გარდა აღსანიშნავია, რომ თვით იაზიკოვის ცნობებშიაც შეტანილია ზოგიერთი ცვლილებები, მათ შორის ქრონოლოგიური ხასიათისაც; მაგ.: იაზიკოვი ამბობს, რომ ერეკლე მეფე ამჟამად არის 52 წლისა და 13 წელიწადი იქნება, რაც მეფობსო; დე ლა პორტის რუსულ თარგმანში ეს რიცხვები გადიდებულია სამოცსა და ოცამდის. კათალ. ანტონის დაბრუნების შესახებ რუსეთიდან პირველ ცნობაში ნათქვამია; ეს მოხდა 7 წლის წინათ, მეორე კი დაახლოებით 10 წელს აღნიშნავს. ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, დე ლა პორტის რუსული თარგმანი 7 თუ 8 წლით გვიანდელია იაზიკოვის მოხსნებებთან შედარებით (მხოლოდ ანტონის დაბრუნების დათარიღებაში არ არის დაცული, ალბათ შეცდომით, ეს განსხვავება)[9].

კიდევ ორი ფაქტი ასეთი ცვლილებისა: იაზიკოვი ამბობს: ქართული სასოფლო ტაძრების უდიდეს სამკაულს წარმოადგენს ორი ხატი სუზდალის ხელობისაო (გვ. 185), დე ლა პორტის რუსულ თარგმანში კი ეს ხატები დახასიათებულია, როგორც ძალიან ცუდი ნახელავი: „самаго дурнаго письма“ (გვ. 109). იაზიკოვის ცნობით: „Имеретинцы говорят по-грузински, но с некоторою отменою и не так красно“ (გვ. 196), ბულგაკოვისეულ ტექსტში აქ ქართულის მაგიერ ბერძნულია მოხსენიებული (по гречески, გვ. 122), რაც, ალბათ, კორექტურულ შეცდომას უნდა მიეწეროს. სხვა წვრილმან სხვაობათა ჩამოთვლასა და საზოგადოდ ტექსტების დეტალურად შედარებაზე შეჩერება აქ ზედმეტად მიგვაჩნია[10].

---

9 თუ პლ. იოსელიანი თავის თარიღს ამ ქრონოლოგიურ ცნობებზე ამყარებდა (ვინაიდან არავითარი სხვა თარიღი რუსულ თარგმანს არ მოეპოვება), მაშინაც კი 1768 წ. მიღება შეუძლებელი უნდა ყოფილიყო. ყველაზე ხელსაყრელი კათალიკოსის დაბრუნების შესახებ ცნობაც რომ ავიღოთ, ეს ცნობაც, 1773 წლით, ან ახლო ხანით უნდა დაგვეთარიღებინა, ვინაიდან, როგორც თვით იოსელიანი ამავე თხზულებაში ამბობს (Описание..., გვ. 92), ანტონი ექსორიიდან დაბრუნდა 1763 წ.

10 პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი თავის ზემოთ მოხსენიებულ ნაშრომში დე ლა პორტის შესახებ გაკვრით ამბობს, რომ ის „дает описание его (г. Тифлиса) от 1768 г., повидимому, с чужих слов“ (22). რას გულისხმობდა ავტორი ამ ფრაზა-

რას წარმოადგენს თვით დე ლა პორტის ცნობები საქართველოს შესახებ? დიდი ჭკუის სიმახვილე არ არის საჭირო იმის გამოსაცნობად, რომ ეს არის მხოლოდ შარდენის განმეორება. ავტორს შარდენის „მოგზაურობიდან“ ამოუკრებია ზოგიერთი ადგილები, თავისებურად დაულაგებია ისინი და რამდენიმედ სახე უცვლია მათთვის. არც ერთი ახალი ცნობა მას არ მოეპოება და, რა თქმა უნდა, ავტორი საქართველოშიაც არ ყოფილა. ასეთი საქმე ეგუება მისი ლიტერატურული მუშაობის საერთო ხასიათს[11].

რაც შეეხება დე ლა პორტის რუსულ თარგმანს, მას მხოლოდ იმდენად აქვს ახლა მნიშვნელობა, რამდენადაც მასში დაცულია ორიოდე წვრილი ცნობა, რომელიც, ჩანს, იაზიკოვს ეკუთვნის, მაგრამ ცაგარლის გამოცემაში არ მოიპოება.

1928, ნოემბერი.

---

ში, არ ჩანს, მაგრამ ისიც, ალბათ, პლ. იოსელიანის გამოცემით იცნობს დე ლა პორტს.

[11] აბატი Joseph de la Porte (დაიბადა 1713, გარდაიცვალა 1779) ცნობილია უმთავრესად თავის კომპილაციებით, Weiss, o. c., s. v. Porte; Dezobry et Bachelet, Dictionnaire général de Biographie etc., Paris, 1857, s. v. La Porte.

## ქართული პატრონყმობის ბუნებისა და წარმოშობის საკითხისათვის

### (ისტორიოგრაფიული მიმოხილვა)

პატრონყმობის პრობლემის გამოკვლევის გარეშე შეუძლებელია საერთოდ ფეოდალური საზოგადოების აღნაგობის ყველა სხვა მხარის გააზრება. ასევე პატრონყმობის შესწავლა შეუძლებელია მთელი ფეოდალური ურთიერთობის გათვალისწინებისა და შეგნების გარეშე. ქართული პატრონყმობის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა XIX საუკუნის ისტორიოგრაფიამ.

ჩვენ აქ სრულიად მოკლებული ვართ საშუალებას, დაწვრილებით შევეხოთ XIX საუკუნის ქართულ საისტორიო მწერლობას, ან იმ მკვლევართ, რომელნიც სხვა ენებზე წერდნენ საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ. ზოგადად ვიტყვით; ამ მოღვაწეთა მთავარი დამსახურებაა ის, რომ მათ მნიშვნელოვნად გააფართოვეს საქართველოს ისტორიის წყაროების წრე, შეაგროვეს რა და ნაწილობრივ გამოაქვეყნეს კიდევაც უმდიდრესი ადგილობრივი თუ უცხოური წარმოშობის ფაქტიური მასალა ნარატიულ-ლიტერატურული და დოკუმენტური, ეპიგრაფიკული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და სხვა ძეგლებისა და აღწერილობათა სახით. ამავე დროს წარმოებდა საკუთრივ ისტორიული საკითხების კვლევაც. ამ მუშაობის ისტორია ჯერ კიდევ დასაწერია. აქ ჩვენ მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავთ დასახელებული მწერლების მთავარ წარმომადგენელთა შეხედულებებს ქართული ფეოდალიზმის ძირითადი მოვლენების შესახებ.

უწინარეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ აკადემიკოსი მ. ბროსე, რომელმაც საქართველოს ისტორიისა და სიძველეების შესწავლას ესოდენი ამაგი დასდო. ბროსეს ეკუთვნის სპეციალური მონოგრაფიაც, რომელსაც მან „შესავალი"[1] უწოდა. ავტორს ეს მონოგრაფია მიაჩნდა თავისი კაპიტალური ნაშრომის, „საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან ვიდრე XIX საუკუნემდე", შესავლად. თუ „საქართველოს ის-

---

[1] M. Brosset, Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'au XIX$^{e}$ siècle. Introduction et Tables des matières, St.-Pétersbourg. 1858.

ტორია“ საკუთრივ წარმოადგენს ქართული საისტორიო მწერლობის მთავარი ძეგლების გამოცემას დედანსა და თარგმანში სათანადო კომენტარებისა და სამეცნიერო აპარატის დართვით, „შესავალში“ ბროსემ თავი მოუყარა თავის შეხედულებებს და განზოგადებულ დაკვირვებებს საქართველოს ისტორიული წარსულის შესახებ. კერძოდ, „შესავლის“ მეორე ნაწილი „ნარკვევი საქართველოს სოციალური ორგანიზაციისა. საბუთების (სიგელ-გუჯრების) საშუალებით“ (გვ. 79) ბროსეს დაუთმია ფეოდალური საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურის საკითხისათვის; საქართველოს სოციალური აღნაგობა ბროსეს შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი; მეფე, თავადთა სამი ხარისხი, აზნაურთა სამი ხარისხი, მოქალაქენი, ვაჭარნი, მსახურნი, გლეხები (vilains) და მონები. „თავადი“, „თავი“-საგან მომდინარეობს და შეესიტყვება ლათინ. princeps, i. e. primum caput-ს. პირველი ხარისხის თავადნი ანუ „დიდებულნი“ ქართლში იყვნენ ექვსი დიდი არისტოკრატიული გვარის თავები (ჩამოთვლილია ეს გვარებიც ვახტანგ-ვახუშტის მიხედვით). ეს სახელწოდება უფრო ზოგადად აღნიშნავდა ყველა თავადს, რომელსაც ჰქონდა დიდი დომენები ან გამოჩენილი თანამდებობა. ზოგადი მნიშვნელობით იგივე ეხება „მთავარის“ წოდებულებას, თუმცა XV ს. საქართველოს დაყოფის შემდეგ მთავრებად მიაჩნდათ მხოლოდ დადიანი, გურიელი, ათაბაგი, აფხაზეთის შარვაშიძეები და სვანეთის უმაღლესი სენიორი. ერისთავები, ე. ი. „ხალხის თავები“, ცნობილი არიან არაგვისა, ქსნისა, რაჭისა, ბარისა — იმერეთში და გურიის მთავრის რამდენიმე დიდი ვასალი. „მთავრისა და ერისთავის“ წოდებულება უფრო ადმინისტრაციული ხასიათისა იყო, ვიდრე არისტოკრატიული (plutôt administratifs, que nobiliaires) და უმაღლეს საფეხურზე მდგომ ფეოდალებს (les feudataires de l'ordre le plus élevé) აღნიშნავდა, („აზნაური“ ბროსეს ტერმინი გამოჰყავს სომხ. „აზნ“-იდან) აღნიშნავდა ყოველივეს, რაც არ იყო უთავისუფლო („მონური“) წარმოშობისა ან მდგომარეობისა; გარკვეული აზნაურები მაინც ფეოდალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ თავადებისაგან. მოქალაქენი ანუ ბურჟუაზია მხოლოდ ტფილისში მოიპოვებოდა; გორელი ვაჭრებიც ანალოგიურ კორპორაციას შეადგენდნენ. მსახურნი წარმოადგენდნენ საშუამავლო რგოლს თავადაზნაურობასა და მდაბიურთა შორის. ესენი იყვნენ გლეხები, რომელნიც ბატონმა (maître) ან დიდმა მოხელემ აღჭურვეს თავიანთი ნდობით, მოსწყვიტეს მიწის მუშაობას თავიანთ სამსახურში გამოსაყენებლად მეომრებისა თუ სამოქალაქო მოხელეების სახით. მსახური სავსებით განსხვავდებოდა მონისა (esclave) და ყმისაგან

(vassal, serf). შემდეგ ბროსე დაწვრილებით არჩევს ალბუღას სამართლის ცნობებს მსახურთა სისხლის ფასზე.

ბროსე საყურადღებო დაკვირვებას იძლევა ტერმინების „აზნაურიშვილი" და „თავადიშვილი" შესახებ. „აზნაურსა" და „აზნაურიშვილს" შორის ისეთივე მიმართებაა, როგორიც „ბოიარსა" და „ბოიარის შვილს" შორის რუსულში. ქართული წარჩინებული სახლების მეთაურები ატარებდნენ აზნაურის წოდებულებას. ისინი იყვნენ თავიანთი სახლის წარჩინებულთა წარმომადგენელნი: მათი შვილები იყვნენ მხოლოდ „აზნაურთა შვილები", იგივე ითქმის თავადებზედაც, შემდეგ, იმავე ალბუღას სამართალზე დაყრდნობით, ბროსე შენიშნავს, რომ რომელსამე უგვარო მსახურსაც შეეძლო აზნაურისა თუ აზნაურისშვილის სამსახურის მსგავსი სამსახური გაეწია.

გლეხები (ბროსე ამ ტერმინს უახლოებს სომხ. „გრეჰ", „გრეჰიკ"-ს), ვილანები, მიჯაჭვულნი იყვნენ მიწის სამუშაოზე, ამუშავებდნენ მიწას და სამაგიეროს უხდიდნენ თავიანთ ბატონს (maître) თუ სახელმწიფოს გარკვეული სამსახურით ეწეოდნენ მათთვის „მუშაობას" („კორვე"), უხდიდნენ გადასახადებსა და გამოსაღებებს. მათ შორის გამოსარჩევია „სახასონი", ე. ი. სამეფონი, ფისკის კუთვნილნი, და კერძო მესაკუთრეებისანი (particuliers). მცხეთის კუთვნილნი იწოდებოდნენ „მცხეთის ყმა"-დ,, ხოლო „მცხეთის შვილნი" — უნდა აღნიშნავდეს უფრო თავად-აზნაურს, რომელნიც დამოკიდებულნი იყვნენ ეკლესიაზე, ან გულისხმობს საერთოდ იმ ადამიანების მთელ მასას, რომელნიც უშუალოდ ემორჩილებოდნენ საეკლესიო ადმინისტრაციას.

ვისაც ჰქონდა ქონება, მამული, იწოდებოდა „მამულიან"-ად, ხოლო ვისაც ასეთი არ მოეპოვებოდა — „ბოგანო"-დ. გლეხების გაცემაც შეიძლებოდა, გაყიდვაცა და დაგირავებაც. არის, აგრეთვე, მაგალითები, როცა თავისუფალი პირები აცხადებდნენ თავიანთ თავს ნებაყოფლობით ამა თუ იმ სენიორის მონებად, ყმებად (esclaves). გლეხთა გაცემა-ბოძება მთელი მათი ოჯახითა და ქონებით მეტად ხშირი ამბავია. შეიძლებოდა, აგრეთვე, გლეხის განთავისუფლება, გაახატება. ხანდახან მას თავისუფლება ეძლეოდა მხოლოდ ბატონის სიკვდილის შემდგომი ხანისათვის. გარდა რომელიმე პირის ნებაყოფლობაზე დამოკიდებული განთავისუფლებისა, ლეკებში ტყვედ ყოფნაც იმათთვის, ვინც ტყვეობიდან თავის დაღწევას ახერხებდა, უპირატესი მიზეზი ხდებოდა განთავისუფლებისათვის. შემდეგ ბროსე დაწვრილებით ჩერდება შინაურსა და გარეულს ტყვეზე, ტყვის ყიდვაზე, ტყვით ხარკზე, ეკლესიის დამოკიდებულებაზე ამ მოვლენისადმი.

დასასრულ, ავტორი კვლავ უბრუნდება სამი ხარისხის ვაჭართა და მოქალაქეთა და მათი სისხლის ფასის საკითხს (ვახტანგის სამართ-

ლის წიგნით) (§ 1, გვ. 79—84). მომდევნო პარაგრაფში, „მეფისათვის“ ქართული სამეფო ხელისუფლების ისტორიაზე მსჯელობის შემდეგ ბროსეს გამოაქვს შემდეგი საყურადღებო ზოგადი დასკვნა: „ყოვევლივე წინამორბედის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში ისევე, როგორც ევროპის ყველა ქვეყანაში, ვიდრე XIX საუკუნემდე, ფეოდალიზმი ყვაოდა ძველთაძველი დროიდან მოყოლებული, მართალია, არა ომის, დაპყრობის, უხეში ძალის უფლებით, არამედ როგორც ნაყოფი, დერივატი (dérivation) პატრიარქალური, პრიმიტიული, პირველყოფილი მდგომარეობისა, ბუნებრივი ოჯახის წყობილებისა, სოციალური აგრეგაციისა, შემდეგ — ნიჭისა და ჭკუის სხვადასხვაობისა და უთანასწორობისა; რომ შემდეგში სიტყვების გამო ცილობა აღარ იყოს, — ფეოდალიზმი მე მესმის როგორც ისეთი სოციალური მდგომარეობა, როცა მთელი მიწა, რომელიც ერის განსაზღვრულ მოდგმას უჭირავს, განხილულია (ხაზგასმულია ავტორის მიერ), როგორც კუთვნილება ერთი ოჯახისა, რომელიც ყველა სხვა ოჯახს პირველ ოჯახად მიჩნეული ჰყავს. იგი (პირველი ოჯახი) ამ მიწიდან უშუალოდ განაგებს ერთ ნაწილს. მიწის სხვა ნაწილები, გაბატონებული ოჯახის ფორმალური დათმობისა თუ აღიარებისა და მთელი ხალხის მდუმარე თანხმობის ძალით, იქცევა თავის მხრივ სხვა ბუნებითი დიდი ოჯახების სამფლობელოდ (apanage), რომელნიც, ერთი მხრით, დაკავშირებული არიან პირობადადებული სუბორდინაციით, უზედაესთან. ხოლო, მეორე მხრით, გადასცემენ (délèguent) თავიანთ უფლებებს უქვედაესთ, ჰომაჟისა (ერთგულების ფიცისა) და დამოკიდებულების პირობით, და მათი საშუალებით, თანდათანობით (საფეხურიდან საფეხურამდე) ხელისუფლება ჩადის ქვევით და მან უნდა მოიცვას ხალხის მთელი მასა. უკანასკნელის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ მდაბიოთაგან დაწინაურებული მემამულენი (rentiers parvenus), ყმობისაგან განთავისუფლებულნი, ვაჭრები, ხელოსნები და მიწისმოქმედნი და ყველა ფიზიკურად მომუშავე (hommes de main); მოკლედ, სუვერენის ოჯახი, ვასალთა დიდი ოჯახები, მემკვიდრეობითი მთავრები და ერისთავები, შემდეგ ამათი ვასალები, თავადები და აზნაურები და საკუთრივ ხალხი: აი, სრული სახე ქართული ფეოდალიზმისა, ისე, როგორც მას გვიხატავს ძველი ქრონიკები და სიგელ-გუჯრები, ისევე როგორც სტრაბონი, რომელიც ქრისტიანული წელთაღრიცხვის პირველ წლებში ცხოვრობდა“ (§ 2, გვ. 85).

ასეთივე ზოგადი ხასიათის შენიშვნები ბროსეს მოცემული აქვს სხვა პარაგრაფებშიც. მე-3 პარაგრაფში, მაგალითად, იგი ლაპარაკობს „ფეოდალური იერარქიის“ შესახებ საქართველოში (გვ. 90), მე-5 პარაგრაფში კი ის ეხება ფეოდალური ქონებისა და მფლობელობის

საკითხებს. „ქართველ ფეოდალურ მესაკუთრეთა, ე. ი. თავადებისა და აზნაურების ქონება ნივთიერად მდგომარეობდა სხვადასხვა სივრცის მქონე მამულებში, რომელნიც შეიცავდნენ მთებს, ხეობებსა და ბარს, წყალსა და ტყეს, ნადირობის, თევზის ჭერისა და მინერალური სიმდიდრეების ექსპლოატაციის უფლებით; ამაში იყო, ასე ვთქვათ, მათი, როგორც ინდივიდებისა და როგორც იერარქიის წევრთა, ძლიერების საფუძველი, მაგრამ ის, რაც აძლევდა ყოველსავე ამას თავის ღირებულებას, იყო მოსახლეობა, რომლის ბირთვი, თავდაპირველი დამკვიდრების უხსოვარი დროიდან აქ არსებული, იზრდებოდა ან შემცირდებოდა თანდათანი განვითარებისა და დამცრობის საკუთარი კანონების თანახმად მშვიდობიანობისა და ზავის დროს, ნებაყოფლობითი ემიგრაციების წყალობით, ტყვეებისა და უცხოელების, და აგრეთვე, აღვნიშნოთ ესეც, ნაბოძები და ნაყიდი მონების კოლონიზაციის წყალობით. ამ მოსახლეობისათვის და მისი საშუალებით შენდებოდა რეზიდენცია, ციხე-სიმაგრე, ეკლესია და მისი მონასტერი და გლეხების სადგომი ბინები“ § 5, გვ. 103).

ერთ ადგილას კიდევ ბროსე შენიშნავს, რომ ფეოდალური საქართველოს ყველა წამყვანი ძალა (forces vives) შთანთქმული და თავმოყრილი იყო ამ სამ სიტყვაში: მეფე, დიდებულნი, სამღვდელოება, ასეთი იყო მიზეზი საქართველოს ძლიერებისა განსაზღვრულ ხანაში და მისი საბოლოო დასუსტებისა უფრო გვიან (§ 7, 114).

განსაკუთრებით დაწვრილებით მსჯელობს ბროსე საქართველოს ეკლესიის ვითარებაზე და ეს გარემოება განსაზღვრული იყო მისი უმთავრესი წყაროების ხასიათით, რომელთა შესახებაც ქვემოთ ვიტყვით. ბროსეს მტკიცებით, სამღვდელოება საქართველოშიც, ისევე როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში, შეადგენდა დამოუკიდებელსა და პრივილეგიურ კორპორაციას, საეკლესიო ერს პოლიტიკური და სამოქალაქო ერის გვერდით, საკუთარი კანონების თანახმად მოწყობილი აღნაგობითა და მართვა-გამგეობით, რომელიც, მეორე მხრით, ქვეყნის ნივთიერ კეთილდღეობაზე სრულიად არ ზრუნავდა და ძალიან მცირედ უწყობდა ხელს წარმოებას, ხოლო რეგულარულად ხელს უწყობდა უზომო მოხმარებას როგორც თვითონ თავისთავად, ისე თავისი მოწყალების საქმითაც: კათალიკოსი, არქიეპისკოპოსები, მიტროპოლიტები, ეპისკოპოსები, არქიმანდრიტები, წინამძღვარნი, ბერნი და თეთრი სამღვდელოება შეადგენდნენ მთელს საეკლესიო იერარქიას. კათალიკოსი ფორმალურად მიჩნეულია „ქვეყნის სულიერ მეფედ“ როგორც სიგელ-გუჯრებში, ისე კოდიკოს სხვადასხვა მუხლში.

ამრიგად, კათალიკოსი არ იყო წმინდა სულიერი სუვერენი. გარდა მისი სამღვდელოებისა და „საყდრისშვილებისა“ (ასე იწოდებოდა

კათალიკოსის ხელისუფლებისაგან უშუალოდ დამოკიდებული ყველა მდგომარეობის პირი), იგი განაგებდა ვრცელ მამულებს, რომელნიც იძლეოდნენ ფულადსა და ნატურალურ შემოსავალს და, ჩვეულებრივად, არაფერს უხდიდნენ მეფეს ან დატვირთული იყვნენ მსუბუქი (სამეფო) გამოსაღებებით, როგორიც იყო სათათრო გადასახადი და სალაშქრო და სანადირო სამსახური. გარდა ამისა, კათალიკოსს მოუდიოდა წილი განსაზღვრული საბაჟოებიდან და საფიჩხულეებიდან. მას ჰყავდა თავისი ლაშქარი, რომელიც ემორჩილებოდა მხოლოდ და მხოლოდ მის მიერ არჩეულ სარდალს (§ 6, 111—112); საერთოდ, მცხეთის საპატრიარქო ეკლესიასა და სხვა ეკლესიებსა და მონასტრებს, რომლებითაც მოფენილი იყო საქართველო, ჰქონდათ დიდი და მდიდარი მამულები (§ 7, 115—116).

თვითონ თავიანთი პატივის მიხედვით, სამღვდელოების წევრები მიემსგავსებოდნენ ფეოდალური ჰიერარქიის წევრებს. უმრავლეს შემთხვევაში კათალიკოსი და საეკლესიო დიდებულნი (dignitaires) გამოდიოდნენ სამეფო ოჯახიდან ან მსხვილი ფეოდალური საგვარეულოებიდან (§ 7, 114). მღვდლები (იგულისხმება დაბალი სამღვდელოება) შეიძლებოდა თავისუფალ მდგომარეობას მოკლებული ყოფილიყვნენ (§ 7, 115). მცხეთის ეკლესიის შვილთა ანუ ვასალთა შორის გლეხებს გარდა ითვლებოდნენ თავადები და აზნაურები (იქვე). როგორ მოხდა, კითხულობს ბროსე, რომ სოფლები, აზნაურები და გლეხები და თვით მღვდლებიც კი იქცნენ ეკლესიის საკუთრებად? წყალობის აქტები გვამცნობს, რომ ყოველი სოფელი თავისი მიწებითა და სარგებლობის უფლებებით, ყოველი ყმა, თავისი პირადი მამულით (bien), სახლითა და მოძრავი ქონებით ითვლებოდა იმ ეკლესიის მფლობელობაში, რომელზედაც ისინი მიწერილნი (assignés) იყვნენ; რომ ხსენებულ ეკლესიას შეეძლო მათი პყრობა, გაყიდვა, ხელახლა დათმობა სხვისთვის, გაცვლა, ერთი სიტყვით, მათი განკარგულება სუვერენულად. საერთოდ, საქართველოში საკუთრება როგორც კერძო, ისე სამეფო, შეიძლებოდა გაცემული ყოფილიყო გაყიდვისა და გაცვლის გზით, რაც დადასტურებულია სათანადო საბუთებით... ქალებს კი არ ჰქონდათ საკუთრების გაყიდვის უფლება... ეკლესია, როგორც ამას ამტკიცებს მრავალრიცხოვანი სიგელები, იძენდა თავის მამულებს უფრო ხშირად წყალობის აქტების, გუჯრებისა და სიგელების მეშვეობით (§ 8, 126—127). გარდა თავისი საკუთრებისა, ეკლესია სარგებლობდა აგრეთვე განსაზღვრული თავისუფლებითა და სხვა შემოსავლით, რომლებიც აგრეთვე სიგელებით იყო გარკვეული. ძნელია იმის თქმა, რომ ეკლესიის საკუთრება მთლიანად განთავისუფლებული იყო გადასახადებისა და გამოსაღებისაგან მეფის

სასარგებლოდ, ან იმის მტკიცება, რომ ეს „თავისუფლებანი“ შერბილებული იყო დადებითად რაიმე პირობით (§ 14, 149). რამდენიმე დოკუმენტის განხილვის შემდეგ ბროსე ასკვნის ამ საკითხის გამო, რომ თავისუფლებანი და შეუვალობანი ყოველგვარი პირობის გარეშეა ნაბოძები ეკლესიისათვის XIV საუკუნიდან დაწყებული, ვიდრე XVIII-მდე. მაინც არ არის იშვიათი, როცა წყალობის (აქტის) დასასრულს გვხვდება მწყალობელი მეფის პირობა, რომელიც მოითხოვს „ლაშქარ-ნადირობის“ სამსახურს, „მტრის დარაჯობას“, „სათათრო მალს, საურს“, „საყეენო საურს“, „ჩობან-ბეგის საყეენოს“ (§ 14, 151).

ბროსეს ზოგადი დაკვირვებებიდან ფეოდალური საქართველოს შესახებ და მისი ზოგადი მოსაზრებებიდან საყურადღებოა კიდევ მსჯელობა ფულადი ურთიერთობისა და ფულის ტრიალის შესახებ საქართველოში. ისეთ ქვეყანაში, ამბობს ბროსე, რომელიც გამდიდრებულია საგარეო ვაჭრობით, განვითარებული ინდუსტრიით, პროდუქტების მუდმივი შინაგანი გაცვლა-გამოცვლით, რაც გულისხმობს ადვილ კომუნიკაციებს ფართო მასშტაბით, გადასახადს ბუნებრივად იხდიან ფულად, რაც ყველასათვის მოხერხებული და სასიამოვნო საშუალებაა, იმიტომ რომ ანგარიშები ამ სახით მარტივია და საზოგადოებრივი შემოსავალიც გარანტირებულია ციფრების უცვლელობით. განსხვავებულ პირობებში, პირადი მუშაობა და ნატურალური გამოსაღებები ცვლიან ფულს ბუნებრივი შეფასების მიხედვით, რომელიც უფრო მოქნილია და ნაკლებ სასარგებლო დაინტერესებულ პირთათვის (§ 3, 86). განიხილავს რა ფულის ტრიალის ისტორიას საქართველოში, ბროსე ასკვნის, რომ ფული აქ იჭრებოდა ყველა ხანაში და, ცხადია, მას აქ უნდა ეთამაშა იგივე როლი, რაც ევროპასა და დანარჩენ აზიაში. მაგრამ შეუძლებელია ფულის სიუხვე ისეთს ხალხში, რომელიც მოკლებულია ინდუსტრიას, საგარეო ვაჭრობას, კომუნიკაციის ადვილ გზებს. მართალია, ოქრო და ძვირფასი ლითონები აქ (საქართველოში) მოიპოვებოდა მნიშვნელოვანი რაოდენობით აყვავებისა და დიდების განსაზღვრულ ხანებში, როგორც ამას ამტკიცებს მონასტრების მდიდარი ხატები, ძველი ბრწყინვალების ნაშთები, მაგრამ, ჯერ-ერთი, ეს იყო სამღვდელოებისა და დიდებულების სიმდიდრე, ხოლო შემდეგ იგივე მიზეზი, რომელიც ამ სიმდიდრეს ქვეყანაში მოადინებდა — ომი — მრავალგზის აქრობდა მას. ქვეყნის მინერალური სიმდიდრეც უმნიშვნელო იყო. სხვა საკითხია, სუვერენის სასარგებლოდ გადასახადებს იხდიდნენ თუ არა ფულად? ბროსე ამ კითხვაზე უპასუხებს დადებითად — ყოველ შემთხვევაში, მცირე ნაწილს მაინცაო. სამეგრელოში, აფხაზეთში და სხვა პატარა

სამთავროებში, რომელთაც ძველი ორგანიზაციის მეტი ნაშთები შეინარჩუნეს, ნატურალური გამოსაღები და ბეგარა შეადგენდა უმნიშვნელოვანეს ნაწილს სახელმწიფოს, ე. ი. ფეოდალური მეთაურის და ფეოდალური იერარქიის ყველა საფეხურის, შემოსავლისას (§ 3, 86—90). შემდეგ, ამ საკითხებთან დაკავშირებით, ბროსე დაწვრილებით განიხილავს ქართულ სასისხლო სიგელებს, მათი ავთენტურობის საკითხის წარმოჩენით, სისხლის ფასისა და ფულადი საურის საკითხებს.

დაწვრილებითი მსჯელობა აქვს ბროსეს გამართული ფეოდალური საქართველოს სხვა მოვლენების შესახებ (საეკლესიო პრივილეგიები და უფლებები; სამოქალაქო სამართალი, ფეოდალური, საეკლესიო და საერო გამოსაღებები და გადასახადები, ფულის სახელები და ფასი, სისხლის ფასი, მოხელეები და მრავალი სხვა), მაგრამ ამაზე ჩვენ უადგილობის გამო აქ ვერ შევჩერდებით.

თავისი ნარკვევის ღირებულების შესახებ ბროსე ძალიან თავმდაბალი წარმოდგენისა იყო. ამავე ნარკვევის მრავალ ადგილას (გვ. 79 85, 103, 149) იგი აცხადებს, რომ მას არ წარმოუდგენია საქართველოს სოციალური ორგანიზაციის სრული სურათი, რომ ეს თემა მეტად სერიოზული საგანია და რომ მისი სათანადოდ შესრულებისათვის მას მასალა აკლია. ამის გამო მისი ნარკვევი მხოლოდ „მარტივი ესკიზია". აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას თავისი გამოკვლევის წყაროთა შორის ბროსე ანიჭებდა სიგელ-გუჯრებს და მეტწილ შემთხვევაში დასკვნებიც მას ამ დოკუმენტურ მასალაზე აქვს დამყარებული. ბროსეს გამოუყენებია ტფილისის სინოდალური კონტორის ორი კრებული, რომელნიც შეიცავენ მცხეთის საბუთების პირებს, აგრეთვე, სხვა საბუთები, ქართული ისტორიული თხზულებები და ქართული სამართლის წიგნები. საბუთები მას მოჰყავს თარგმანში ზოგჯერ მთლიანად, ზოგჯერ ექსცერპტების სახით. არა ერთგზის ბროსე ეხება მის მიერ გამოყენებული წყაროებისა და ცალკე ისტორიული ცნობების კრიტიკის საკითხებს და აქაც საგულისხმო დაკვირვებებს იძლევა.

ბროსეს ცდის მნიშვნელობა მისმა მომდევნო ქართულმა ისტორიოგრაფიამ ვერ დააფასა და ვერც გამოიყენა ამ ცდაში მოცემული დებულებები, ნამდვილად კი ეს ცდა ჭეშმარიტად შესანიშნავია და შთამომავლობის მადლიერების ღირსი. მიუხედავად ბროსეს მრავალი შეცდომისა, მიუხედავად მისი გაუმართლებელი ისტორიული პერსპექტივისა, მიუხედავად იმისა, რომ ფეოდალური წყობილების არსება ბროსემაც ვერ გაიგო (და ეს არც გასაკვირველია), ბროსემ პირველმა წამოაყენა ისეთი დებულებები, რომლებიც ურყევად დარჩება საქარ-

თველოს ისტორიის მეცნიერებაში. მთავარია ამ დებულებათაგან ის, რომ ძველი საქართველოს სოციალური წყობილება ფ ე ო დ ა ლ ი ზ მ ს წარმოგვიდგენს და რომ ამ მხრივ საქართველო მიემსგავსება ევროპის სხვა ქვეყნებს, ვიდრე XIX საუკუნემდე. საყურადღებოა განმარტება ფეოდალიზმის ცნებისა და საქართველოს ფეოდალური საზოგადოებისა და სახელმწიფოს აღწერილობა, ბროსეს მიერ შესრულებული. ძირითადად სამართლიანია და ახალი ბროსეს მიერ მოცემული განმარტება ტერმინებისა „აზნაურიშვილი", „თავადიშვილი", „საყდრისშვილი", „მცხეთისშვილი" (ორი უკანასკნელი ცნების გამო ბროსე ირყევა მართებულსა და მიახლოებითს განმარტებას შორის). ძირითადად სწორია წარმოდგენა ქართველი გლეხობის შემადგენლობისა და მდგომარეობის შესახებ. ამ მხრივ, ჩვენ ვნახავთ, რამდენად ჩამორჩებოდა ბროსეს ზოგი ქართველი ისტორიკოსი ჯერ კიდევ XX საუკუნის დამდეგს. საყურადღებოა ბროსეს მიერ მოცემული გარჩევა მსახურსა, მონასა და ყმას შორის. უკანასკნელი ტერმინი მისთვის, ჩანს, მხოლოდ ყმა-გლეხის გაგებას ატარებს. მახვილგონიერად არის შენიშნული ჰიერარქიული ურთიერთობა საერო და საეკლესიო ფეოდალურ სფეროებში.

თავისი დროისათვის ძალიან ღრმაა ბროსეს დებულება ფეოდალთა საზოგადოებრივი ძლიერების საფუძვლის — მემამულეობისა და ყმათამფლობელობის შესახებ, მწარმოებელი კლასის როლის შესახებ ძველი საქართველოს საზოგადოებრივი დოვლათის შექმნის საქმეში.

მახვილგონიერია და გაბედული ბროსეს დაკვირვებანი საქართველოს ეკლესიის მდგომარეობისა და როლის შესახებ საზოგადოებაში. ამ საკითხთან დაკავშირებით ბროსემ პირველმა მიაქცია ყურადღება შეუვალობის ინსტიტუტს ძველ საქართველოში და ტერმინოლოგიურად მაინც ევროპის ინსტიტუტს დაუახლოვა; ჰკვიანურია მსჯელობა ფულადი ურთიერთობისა, ნატურალური მეურნეობისა და მათი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ და სხვა.

ამ საკითხებთან დაკავშირებით საინტერესო იქნებოდა იმის გარკვევა, თუ რა გავლენა განიცადა ბროსემ თავისი დროის განვითარებული საისტორიო მწერლობის (ტოკვილი, გიზო, ოგ. ტიერი და სხვ.) მხრივ, მაგრამ ეს ჩვენი თემის ფარგლებს სცილდება.

ჩვენ აქ ზედმეტად მიგვაჩნია ბროსეს მცდარი შეხედულებების კრიტიკაზე შეჩერება. მათი ხასიათი, ისევე როგორც სხვა ჩვენ მიერ განხილული მკვლევრების უმართებულო მოსაზრებათა ბუნება, თავისთავად გაირკვევა, როცა ჩვენ საკუთარს პოზიტიურ შეხედულებებს დავალაგებთ. აქ მხოლოდ იმას შევნიშნავთ, რომ საკუთრივ „პა-

ტრონყმობისა“ და „ბატონყმობის“ ხსენებას ბროსეს ნარკვევში ჩვენ ვერ ვხვდებით და არც ჩანს, რომ მას ჰქონდა ნათელი წარმოდგენა ამ ინსტიტუტების ურთიერთობის შესახებ, მათს სოციალურ არსზე რომ არ ვილაპარაკოთ.

*
*   *

XIX საუკუნეში, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში, ფართოდ გაიშალა საქართველოს ისტორიის კვლევა-ძიება თვით საქართველოში. ამ საქმემ, რომელსაც ხელი მოჰკიდეს ბურჟუაზიული ევროპის, კერძოდ, რუსეთის, მეცნიერებაზე აღზრდილმა პირებმა, ბუნებრივად სპეციფიკური მიმართულება მიიღო — ასე ვთქვათ, არქეოგრაფიულ-არქეოლოგიური. საქართველოს ისტორიის წყაროთა წრის მაქსიმალური გაფართოება, ამ წყაროების შეძლებისდაგვარად მოგროვება ცენტრალურ პუნქტებში, მათი დაცვა, აღწერა და გამოქვეყნება, ასეთი იყო მთავარი ამოცანა. ამ მხრივ, XIX საუკუნის ქართულმა ისტორიოგრაფიამ დიდი საზოგადოებრივ-მეცნიერული ღვაწლით შეიმკო თავისი თავი, მაგრამ ამასთან ერთად წარმოებდა მუშაობა ეროვნული წარსულის სურათის აღსადგენადაც. ამ სფეროში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა დიმიტრი ბაქრაძის საქმიანობას. ბაქრაძის „ისტორია საქართველოსი“ (ტფ., 1889), უეჭველია, თვალსაჩინო ეტაპს წარმოადგენს ჩვენი მეცნიერების განვითარებაში. სამწუხაროდ, ავტორმა თავისი შრომის მოყვანა მხოლოდ X საუკუნემდე მოასწრო. კერძოდ, არ დასცალდა ბაქრაძეს ხსენებული წიგნის XVI და XVII კარების დაწერა თემაზე: „საქართველოს სურათი: გეოგრაფიული, პოლიტიკური და სოციალური დროთა მსვლელობაში ვიდრე X საუკუნის ბოლომდე“. ამ კარების „პროგრამა“ კი ავტორმა ჯერ კიდევ 1888 წელს გამოაქვეყნა „ივერიაში“. თუმცა „პროგრამა“ სათაურების ფორმითაა შედგენილი, მაგრამ ავტორის შეხედულებები მეტნაკლებად გამოსჭვივის ცალკე პარაგრაფებში, მაგ., მე-2 პარაგრაფში, რომლის სათაურია „უმაღლესი გამგეობა“, ვკითხულობთ: „მამასახლისი, შემდეგ მეფე... ხელმწიფობა. მემკვიდრე. უფლისწულნი. ტაძრეულნი. სეფეწულნი მეფისანი. სეფე-ქალნი დედოფლისანი. სამეფო საგანძურნი“... მე-3 პარაგრაფში, — „უმაღლესი ხელისუფლება“. „ხელისუფალთა სახელწოდებანი, ქართულნი და უცხოელთაგან შეთვისებულნი. კათალიკოზი. სამღვდელო-იერარხიული რიგი“... განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის მე-4 პარაგრაფი, რომლის სათაურია „მაღალი და დაბალი წოდება“ და რომელშიაც ვკითხულობთ: „დიდებულნი, აზნაურნი, გლეხნი, იმათი ურთიერთი

დამოკიდებულება, ბატონ-ყმობა. ხასიათი ბატონყმობისა. „მონაობა" (იხ. „ისტორია საქართველოსი", გვ. VI). აქ ჩვენთვის ძალიან საყურადღებო ხდება ის ამბავი, რომ ბაქრაძე ჯერ კიდევ X საუკუნის მეორე ნახევრამდე ხედავდა საქართველოში ბატონყმური ურთიერთობის ფაქტებს და ბატონყმობას მონობისაგან, უფრო ზუსტად, მონათმფლობელური ურთიერთობისაგან ასხვავებდა, საინტერესოა ისიც, რომ თვით ბაქრაძის განმარტებით, მას ამ თავის დაწერა დაუგვიანდა სათანადო მასალის ნაკლებობის მიზეზით. „ამ პროგრამის შესრულება ჩვენ ვერ შევძლეთ, რადგანაც ზოგიერთმა იმის საგნებმა ცნობების შემოკრება მოითხოვა ისე წიგნებიდამ არა, როგორათაც ადგილობრივ ჩვენის მხარის სხვადასხვა კუთხეებიდამ". ეს ყოფილა ისეთი მასალა, რომელიც წარსულ წლებში იბეჭდებოდა „ივერიაში" ფშავ-ხევსურ-სვანთა ცხოვრებიდან. საჭიროა ასეთი მასალა ყველა კუთხიდან შეგროვდესო (იქვე, გვ. V). მაშასადამე, ბაქრაძეს საჭიროდ მიაჩნდა ეთნოგრაფიული მასალის გამოყენება სოციალური გადმონაშთების სფეროდან. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა დ. ბაქრაძე აგრეთვე დოკუმენტურ მასალასაც (სიგელ-გუჯრებს). უფრო ადრე ამის შესახებ ის წერდა:„ შეიძლება სავსებით დარწმუნებული ვიყოთ, რომ, როცა შეგროვებული იქნება და მკაცრი ანალიზის ქვეშ გატარებული აღმ. და დას. საქართველოს ყველა ძველი საეკლესიო და საერო აქტი, მოღწეულნი ჩვენ დრომდე წარმოუდგენელი სიმრავლით, მაშინ ჩვენს განკარგულებაში იქნება უხვი მასალა საქართველოს ყველაზე სარწმუნო და დამახასიათებელი ისტორიის შესადგენად"[2]. ამგვარი მასალის შესაგროვებლად თვით ბაქრაძემ ბევრი გააკეთა (იხ. თუნდაც მისი აქ დასახელებული „მოგზაურობა").

ბაქრაძის „ისტორიის" გამოსვლის მეორე წელს გამოქვეყნდა ალ. ხახანაშვილის უკვე სპეციალური ნარკვევი „ბატონ-ყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის... ისტორიული გამოკვლევა" (ტფ., 1890 წ.). ხახანაშვილი, როგორც ცნობილია, ლიტერატურის ისტორიკოსი იყო და შესაძლოა სწორედ თავისი საგნის ინტერესებმა მიიყვანა იგი ამ წმინდა ისტორიულ პრობლემამდე. ავტორი თვით „ჰგრძნობს, რომ გამოკვლევა მისი ბატონ-ყმობის შესახებ სუსტი და დაუმთავრებელია", მაგრამ თავისი წერილების ცალკე წიგნად გამოქვეყნებით მას უნდა კრიტიკის მითითებები მიიღოს. აღსანიშნავია, რომ თავისი ნაშრომის წერას ხახანაშვილი სპეციალური მომზადებით შესდგომია,-ასე, მას დამუშავებული ჰქონია მ. კოვალევსკი, პ. ვინოგრადოვის,

---

[2] Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, СПБ., 1878 г., გვ. 288.

კურციუსის, მენის, ფიუსტელ დე-კულანჟის, კლიუჩევსკის, გიზოს, ტოკვილის, როდბერტუსის, ტენის, ლეონტოვიჩის, კარეევის, ჩიჩერინის, სემევსკის, სკაბალანოვიჩის და სხვათა ცნობილი სპეციალური გამოკვლევები. თავის საგანსაც ხახანაშვილი ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით განიხილავს. კერძოდ, ქართული ფეოდალიზმის დაწესებულებებს იგი ადარებს ძველი რომის, საბერძნეთის, დასავლეთ ევროპისა და რუსეთის სათანადო ინსტიტუტებს.

ჩვენ აქ სრულებით არ შევეხებით იმას, თუ რა თქვა ხახანაშვილმა საკუთრივ ბატონყმობის შესახებ, რომელსაც იგი უპირატესად გვიანდელი საუკუნეების მასალაზე სწავლობს. ჩვენ შევეხებით მხოლოდ მის ზოგად მოსაზრებებს. პირველსავე აბზაცში ავტორი წერს: „ბატონყმობას საქართველოში ჰქონდა ბევრი საერთო მხარე ამგვარსავე წყობილებასთან ევროპასა და რუსეთში. ფეოდალობასავით იგი არ არის საკუთრება გერმანელ და რომაელ ერებისა, არამედ იგია მსოფლიო ამბავი, რომლის კერძო განსხვავებანი დამოკიდებულნი არიან ერის ხასიათზედ და იმის ისტორიულ განვითარების სვე-ბედზედ, ჩვენს ყურადღებას მივაქცევთ როგორც ერთნაირს შედეგს, აგრეთვე განმასხვავებელ ელემენტებსაც, რომელიც ჩვენებურმა ბატონ-ყმობამ შეიხორცა, გამოიხატა ჩვენს მეფეთა კანონებში და განხორციელდა ცხოვრებაში“ (იქვე, 5). აქ, თითქოს, ისე გამოდის, რომ ავტორი ასხვავებს ბატონყმობისაგან „ფეოდალობას“ ანუ ფეოდალიზმს და ამ უკანასკნელს მხოლოდ გერმანულ და რომანულ მოდგმის ტომთა საკუთრებად თვლის. მაგრამ ხახანაშვილის შემდგომი მსჯელობიდან ჩანს (თუმცა ეს შეხედულება ნარკვევში მკაფიოდ გამოთქმული არ არის), რომ ხახანაშვილი იგივეობის ნიშანს სვამდა საერთოდ ფეოდალიზმსა და, კერძოდ, ბატონყმობას შორის[3]. შემდეგ ავტორი გადმოგვცემს თავის ზოგადს შეხედულებას „ბატონყმობაზე“, „ბატონყმობა ყველგან და ყოველთვის იყო პირველად აშენებული მამულის მფლობელობის ნიადაგზედ. მას ედო სარჩულად ეკონომიური დამოკიდებულება მამულის პატრონთა და მის მკეთებელთა შორის, იგი აშენდა პირველად მატერიალურს უფლებაზედ და მხოლოდ

---

3 ეს ჩანს, კერძოდ, ისეთი შემთხვევებიდან, როცა ხახანაშვილი ადარებს ქართული ბატონყმობის დაწესებულებებს დას. ევროპისას. მაგ., გვ. 120, ავტორი ამბობს: „თავის ნებით ყმად შესვლა იშვიათი არ არის ევროპაშიაც! იგი წოდებულია პრეკარად და კომენდაციად. პრეკარი ერქვა გადაცემას მამულისა და თავის თავისა ეკლესიისათვის, როგორც ჩვენში იყო, და კომენდაცია შესვლაა შეძლებულის მებატონის მფარველობის ქვეშ“. საინტერესოა, აგრეთვე, ავტორის მოსაზრება: „ეს ქონებრივი და პიროვნული უფლება გვაძლევს საბუთს შევადაროთ ჩვენი გლეხი არა რუსების ყმას, არამედ გერმანელთა ნახევარ თავისუფალ ლიტებსა, ლაცებსა და ალდიებს“, და სხვ. 123.

შემდეგ ჩვეულებით მიღებული დედა-აზრნი განმტკიცებულ იქმნენ იურიდიულის სანქციით. ამ საფუძველზედ დაიბადნენ კოლონატი რომის იმპერიაში, ვასალიტეტი საშუალო საუკუნეებში და ბატონ-ყმობა რუსეთში. ჩვენშიაც ბატონ-ყმობას ჰქონდა იგივე დასაწყისი, დამყარებული მამულის მფლობელობაზედ. თუ ახლო დავაკვირდებით ბატონყმობას, მასში აღმოვაჩენთ, გარდა ამ ეკონომიურის საფუძვლისა, პოლიტიკურს მიზეზსაც, რომელიც გახდა აგრეთვე ბატონ-ყმობის შემოქმედ ძალად. ძველის დროებისაგან დარჩენილ ჩვეულების გამო ომში ძლეული მძლეველის მონად, ყმად გახდებოდა ხოლმე... იგი (ძლეული) გათანასწორებული იყო ხართანა და ცხენთან... ეს კაცის დამამცირებელი ჩვეულება — ტყვის მონად წაყვანა —ჩვენში ამ საუკუნის დასაწყისამდე ძალიან იყო გავრცელებული. ძველს ბერძნებთან ჩვენი წინაპარნი სხვათა შორის ამ ცოცხალის საქონლითაც აღებმიცემობდნენ. ბრძოლაში დარჩენილ დავლასა და ტყვეს სახელმწიფო ჰყოფდა თავის და კერძო პატრონთა შორის... პატრონი ნაბოძებ ტყვეს ჰხმარობდა სახლში და ჰხდიდა აღებ-მიცემობის საგნად. როცა იგი აღარ აძლევდა იმედს გამოსარჩომ სამსახურისას... აქედან წარმოსდგა მეორე სათავე მონობისა, სყიდვა-გასყიდვა ტყვედ აყვანილის კაცისა. ჩვენში ნასყიდი მონა უკეთესს მდგომარეობაში იყო, ვიდრე ტყვე: ტყვე, ამბობს ვახტანგ მეფე, „სყიდულზე უფრო ყმა არის" (ვახ. კანონები, § 254). მაგრამ რა განსხვავება იყო მათ შორის, ამისი ცნობა არ მოიპოვება. მესამე სათავეს ბატონყმობისას წარმოადგენენ თავისუფლად შესულნი პატრონის მფარველობის ქვეშ: ესენი იყვნენ უცხო ტომთა ჩამომავალნი, ან სხვა მხრიდგან მოსულნი უმამულონი, როგორც რომაელთა კლიენტები, რომელნიც არსებობისათვის გაცხარებულს ბრძოლაში ეძებდნენ პატრონსა და მფარველს. თუ, ერთის მხრით, პოლიტიკური ღელვა ატანდა ძალას უცხო კაცს, შესულიყო ძლიერის კაცის მფარველობის ქვეშ, მეორეს მხრით, ეკონომიური ხელმოკლეობა, უმამულობა ხდიდა იმას მიწისმფლობელის ყმად. აქედან მიწათმფლობელი იყო ბატონიცა და პატრონიც უთვისტომო, უმამულო, გადმოვარდნილის გლეხისა, რომელიც ბატონის მიწის შემმუშავებელისაგან ბოლოს ყმადაც გადაიქცა. ერთი სიტყვით, ეკონომიურმა მდგომარეობამ გახადა თავისუფალი კაცი ყმად. აგრეთვე ტყვის ყმად გადაქცევაში ამ ეკონომიურს საფუძველს უპირატესობა ეძლევა პილიტიკურ მიზეზთან შედარებით: ტყვე გახდა მონად და ყმად იმიტომ, რომ იმისი ძალ-ღონე გამოსადეგი იყო პატრონისთვის მიწის შესამუშავებლად. სახლში მოსახმარისად, და არა უსარგებლო საგანს წარმოადგენდა აღებ-მიცემობისათვის. ჩვენ არა ვართ იმ აზრისა, რომ ყველა ისტორიული ამბავი და მოვლენა ავხსნათ

ეკონომიურს ნიადაგზედ დაბადებულ მიზეზით. ჩვენ ვამბობთ, რომ ამ საბუთს დიდი ძალა ჰქონდა ბატონ-ყმობის სათავეში და განვითარებაში; ამასთანავე, ვაღიარებთ, რომ იმისი გაძლიერება იყო შედეგი მთავრობის განკარგულებისა, ხელმწიფის სურვილისა: ბოძება მამულისა გლეხებითურთ ეკლესია-მონასტრებისათვის, ბატონ-პატრონებისათვის გახდა უაღრეს საგძლად ბატონ-ყმობის მსვლელობაში. შემდეგ პოლიტიკური და ეკონომიური გარემოებანი მხარდამხარ ჰმოქმედობდნენ ამ წეს-წყობილების გასამტკიცებლად“ (იქვე, 5—9).

შემდეგ ხახანაშვილი ბატონყმობის ეკონომიური საფუძვლის, მემამულეობის შესახებ ლაპარაკობს: „ბატონების უძრავს ქონებას შეადგენდა, გარდა მამულისა (მამეული, დედეული, საგვარეულო მიწა-წყალი), მეფის ნაწყალობები, „ნაბოძები“. უკანასკნელი შეადგენდა არა სრულს საკუთრებას პატრონებისას, არამედ დროებითს სასარგებლოს, ჯილდოს სამხედრო ანუ სამოქალაქო მოღვაწეობისათვის, მეფისა და ტახტის ერთგულებისათვის.. მეფე აძლევდა მამულს მეფის შვილებს საუფლისწულოს (удел), თავადაზნაურებს, მოქალაქეებს და ეკლესია-მონასტრებს სულის მოსახსენებლად... მეფისშვილები (ბატონიშვილები) თავის მხრივ, აძლევდნენ მამულს საუფლისწულოდამ... ბატონებიც ასახლებდნენ გლეხებს ბოძებულს მამულზე. უმაღლეს პატრონად ბოძებულის მამულისა ითვლებოდა ჯერ მეფე-ბატონი, მერე ბატონ-პატრონი და შემდეგ დროებითის სარგებლობის უფლება რჩებოდა მის შემმუშავებელს. „ნაბოძების“ გადაცემა დროებითს პატრონს არ შეეძლო... როგორც ვასალი თავის სიუზერენის დაუკითხავად ვერ განაგებდა მამულს, აგრეთვე ჩვენშიაც ამგვარსავე წესს და ჩვეულებას მისდევდნენ, ვასალს ჰქონდა dominium utile, სიუზერენს— dominium directum“ (იქვე, 9 — 11). სამამულო დამოკიდებულებას თან სდევდა განსაზღვრული სახის პირადი დამოკიდებულებაც: „როგორც დასავლეთს ევროპაში კონტრაგენტების — მფლობელისა და იმის შემმუშავებლის — გამოცვლით საჭირო იყო ხელწერილის განმეორება ინვესტიტურით და ჰომაჟით, აგრეთვე ჩვენშიაც ახალს მფლობელს მიეცემოდა განახლებული სიგელი და გუჯარი მამულის ხმარებისათვის. განმეორების განსამტკიცებლად დროებითი მფლობელი აძლევდა ბატონს რაიმე სასყიდელს (გურიაში 500 მარჩილს) და წინათ ბოძებული მამული უკან უბრუნდებოდა. ყმა (ვასალი) აძლევდა პირობას ერთგულის სამსახურისას. მეფის უფლება ბატონზედ და ამ უკანასკნელისა მამულის დროებითს მფლობელობაზედ იქიდამა ჩანს კიდევ, რომ „ამოვარდნილი“ (выморочное) მამული უბრუნდებოდა ან მეფეს, ან ბატონს, ან ეკლესიას, ერთის სიტყვით, მას, რომ-

ლისგანაც მიღებული ჰქონდა მიწა-წყალი. მეფე და ბატონი ამ ამოწყვეტილის მამულს არიგებდნენ სურვილისამებრ. მაშასადამე, მეფე ბატონს, ბატონი მიწის შემმუშავებელთ უყურებდნენ, როგორც დროებითს მფლობელებს[4]. სიგელისა და გუჯარის განახლება, სასყიდლის მიცემა ხელწერილის განმეორებაში ცხადად ამტკიცებს ამგვარს ხასიათს მიწის მფლობელობისას. მამული (მემამულე) უდრის რუსების „вотчина"-ს, „ნაბოძები", — „пожалованное поместье"-ს. „ნაბოძები" რუსეთშიაცა და ჩვენშიაც ეძლეოდათ იმ პირობით, რომ სამხედრო და სამოქალაქო მოვალეობა, საზღვრების გამაგრება მიეღოთ თავისთავზედ ამ „ნაბოძებით" გაბედნიერებულთ; რასაკვირველია, „ნაბოძები" ამ შემთხვევაში გადადიოდა შთამომავლობაზედ მხოლოდ მაშინ, როცა მამრობითი მემკვიდრე რჩებოდა. დედაკაცს არ შეეძლო შეესრულებინა ის უპირატესი მოვალეობა, რომელიც დაკავშირებულია ლაშქარ-ომიანობასთან. ამიტომაც პირველად ჩვენშიც და რუსეთშიც მდედრობითი სქესი მოკლებული იყო უფლებას დამკვიდრებულიყო „ნაბოძებს" მამულში... პოლიტიკურმა გარემოებამ, ეკონომიურმა მოთხოვნილებამ, კაცობრიულმა გრძნობამ ამ ჩვეულებას მოუღო ბოლო, მამეული და ნაბოძები (вотчина და поместье) გააერთა და ორივე გახადა ბატონის საშვილიშვილო, სამკვიდრო ქონებად. ნაბოძებისა და მამულის გაცემის უფლება თანასწორად მიეცა ბატონს, იგი გახდა „ნაბოძების" პატრონისაგან მამულის ბატონად. მამულზედ, ნაბოძებზედ დასახლებული იყო ნასყიდი ანუ ვალ-გადაუხდელად დარჩენილი გლეხი, სახასო ანუ ნაბოძები გლეხი და ყმა. სხვის მამულზედ მოსახლ-კარე გლეხები განიყოფებოდნენ სამ სახედ, ანუ კლასად: სახელმწიფო, ანუ სახასო, საბატონო ანუ საპატრონო, საეკლესიო ანუ სამონასტრო. გლეხებში განირჩეოდნენ მსახური, ნასყიდი, ნაბოძები, ვალ-გადუხდელი, თავის ნებით შესული და რთული ტიპის ყმა"... (იქვე. 11—14).

როგორც ვხედავთ, ხახანაშვილი ნაწილობრივ იმეორებს ბროსეს მიერ უკვე გამოთქმულ აზრებს, ნაწილობრივ მას ახალი საყურადღებო მოსაზრებებიც შემოაქვს, რომლებსაც იგი ქართული ძეგლების ცნობებზედაც ამყარებს. მკითხველს მაინც ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ავტორის ზოგადი შეხედულებანი შეთვისებულია და რომ ქართულ მასალას მის ხელში ზოგჯერ მხოლოდ საილუსტრაციო როლიღა რჩებოდა. რომ ქართული წყაროები ხახანაშვილს არ ჰქონდა სათანადო სისრულით დამუშავებული, ეს ჩანს მისი ისეთი დებულებებიდან, როგორიცაა, მაგ., შემდგომი:... „ძველმა ჩვენმა კანონებმა

---

4 შეადრ. იქვე, გვ. 100.

მეფე გიორგისამ არ იცის ის წყობილება, რომელსაც ბატონ-ყმობა ჰქვიან. ალბულამ იცის ვალის ამღები და არა ის ყმობა, რომელსაც ვიცნობით ვახტანგის ბრძენთა, კანონებით... ალბულას კანონმდებლობა არ არჩევს ჯერ კიდევ ყმათა შორის ნაბოძებს, ნასყიდს და თავისნებით შ ე ს უ ლ ს. იმის დროს არ არის ის ყმობა, რომლის კვალს ვპოულობთ ვახტანგის კანონებში. ალბულამ იცის მხოლოდ დროებითი მოვალე, რომელსაც შეუძლია გადასწყვიტოს ვალი და განთავისუფლდეს"... (იქვე. 26—28). უფრო ადრე ავტორი წერს: „ალბულამ მხოლოდ ომში იცის დარჩენილი ტყვე. მაგრამ იმის მდგომარეობაზედ არას გვაუწყებს" (იქვე. 17), რომ ყმა-გლეხის მდგომარეობა ვახტანგის დროს სხვაგვარი უნდა ყოფილიყო, ვიდრე XIII—XIV სს. ეს ეჭვს არ იწვევს. რა თქმა უნდა, მაგრამ სრული შეცდომაა თითქოს ბექა-ალბულას სამართალი მხოლოდ „დროებით მოვალეს" ან ტყვეს იცნობდეს. ავტორისათვის გაუგებარი დარჩენილა, აგრეთვე, გიორგისეული „ძეგლისდების" სპეციალური დანიშნულება და ხასიათი, მიუხედავად ასეთი ნაკლისა, ხახანაშვილის ნაშრომი სასარგებლო შენაძენი იყო ღარიბი ქართული საისტორიო მწერლობისათვის.

ჩვენ აქ ვეღარ შევჩერდებით ხახანაშვილის ზოგ სხვა საყურადღებო მოსაზრებებზე. მაგ., ქართველი ბატონის იურისდიქციის ფარგლების შესახებ[5]. რაც შეეხება საკუთრივ „პატრონყმობას" ან მის დამოკიდებულებას „ბატონყმობისადმი", ამის შესახებ ხახანაშვილს არაფერი არ აქვს ნათქვამი, თუმცა აქა-იქ მსჯელობს „ბატონისა" და „პატრონის" სხვაობის შესახებ. მაგ.: „ბატონს (იგულისხმება „ქართველ ბატონს", ს. ჯ.) არა ჰქონდა უფლება, წინააღმდეგ რუსთა მებატონეთა, ყმის სისხლის დასჯისა, იგი იყო მხოლოდ „მფარველი და

---

[5] ავტორის აზრით, რომელიც მას ვახტანგის სამართლის წიგნზე დაუძყარებია, „ნაბოძებისა და თავისუფალ ყმის პატრონისაგან მიწისმფლობელი გახდა ბატონად: იმას მიეცა ნება დატუქსვის და დასჯისა; იგი იცნეს მსაჯულად გაყრასა და უთანხმოების დროს ყმათა შორის", 34—35; მაგრამ „ბატონსაც, — ბრძანებს ვახტანგის წიგნი, — დაადებინოს, რომ უხელმწიფოდ ვერც მოკლას, ვერც გაახეიბროს", გვ. 37; სხვაგანაც ავტორი ამბობს: „მას შემდეგ, რაც ბატონყმობამ მიიღო სახელმწიფო ხასიათი („დავთარში" ჩაიწერა). ბატონი მეფის მოხელე გახდა, ბატონის უფლება გაორკეცდა და შესდგა ორის ელემენტისაგან — ეკონომიურისა და პოლიტიკურის ხელმწიფობისა: როგორც მამულის მფლობელი, იგი სარგებლობს ყმის შრომითა და სამსახურით; როგორც სახელმწიფოს აგენტი, აბჯობს ყმათა საქმეს, ყურს უგდებს იმის ობლებს და პასუხისმგებელია ყმებისა მთავრობის წინაშე". გვ. 71, მაგრამ „სისხლის სამართალი ჩვენში ბატონებს, წინააღმდეგ, რუსეთისა არ მიეცათ", გვ. 74. „ჩვენში ყმა არ არის" „res", მხოლოდ სულიერი დასასჯელი, იგი არის სუბიექტი საკუთარის უფლებით. თვით ბატონმა უნდა მისცეს სისხლი ყმას, როცა დასჭრის, და უნდა ზღოს სისხლი, ვირა (Wergeld) იმის ოჯახის სასარგებლოდ, თუ ბატონისაგან მოკლულ იქმნა", 75.

პატრონი". „თავის ნებით ყმად შესული იმ პირობით მიდის ბატონთან, რომ დაიფაროს იგი და ეყოს პატრონად", გვ. 122, ან: „ყმები ჰყავდათ როგორც კერძო ბატონებს, აგრეთვე თვით მეფეს (სახასო ყმანი) და ეკლესია-მონასტრებს. ხშირად ყმანი ბატონისა და მეფის განურჩევლად იხმარებიან, რადგანაც მეფეც თავისთავს ყმის შესახებ „ბატონს" უწოდებს. აქედამ წარმოსდგა გამოურკვევლობა, როდის არის ლაპარაკი მეფეზედ და როდის კერძო ბატონზედ" და სხვა (53—54).

ალ. ხახანაშვილის იმ ქართველ თანამედროვეთაგან, რომელნიც საქართველოს ძველს სოციალურ წყობილებას იკვლევდნენ, განსაკუთრებული ნიჭითა და დაკვირვების უნარით გამოირჩეოდა ნ. ურბნელი (ხიზანაშვილი), რომლის ყურადღება უმთავრესად სამართლის საკითხებისადმი იყო მიპყრობილი. მის მონოგრაფიებს, კერძოდ. ქართული სამართლის წიგნების შესახებ დღესაც არა აქვთ დაკარგული თავიანთი მნიშვნელობა, როგორც ეს აკად. ივანე ჯავახიშვილმაც აღნიშნა. ურბნელის შეხედულებათა გამოსამჟღავნებლად ჩვენ აქ მივმართავთ მხოლოდ ერთს (და ყველაზე დიდს) მის მონოგრაფიას „ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი", ტფ., 1892 წ. ეს, კერძოდ, მოხერხებული იქნება იმიტომაც, რომ შეიძლება დავუპირისპიროთ ურბნელის შეხედულებები ხახანაშვილისას, რომელმაც, როგორც ვნახეთ, ხსენებულ „სამართალში" ბატონყმობის და, მაშასადამე, ფეოდალიზმის ნასახიც ვერ იპოვა.

ურბნელი ბექა და აღბუღას წიგნის შესწავლამ მიიყვანა სრულიად სხვა დასკვნამდე. ვიდრე ხახანაშვილი: „საქართველოში და კერძოდ, საათაბაგოში აღორძინდა სრულის ფორმის ფეოდალობა სწორედ ისე, როგორც ევროპაში", — ამბობს ურბნელი (ხსენებული გამოკვლევა, გვ. 61). ასეთივე ხასიათი მიიღო ეკლესიამაც: „დროთა მსვლელობაში საქართველოს კათალიკოზი და კერძოდ ეპისკოპოზი ისეთივე ბატონი, „სენიორი" შეიქმნა, როგორსაც დასავლეთი ევროპა გვაჩვენებს; საქართველოს საეპისკოპოზოც განსაკუთრებულს ფეოდალურს დაწესებულებას შეადგენდა, სადაც სულიერს მწყემსს, საეკლესიო გამგეობას გარდა, სახორციელო მმართველობაც ისე ჰქონდა მოწყობილი, როგორც ერისთავსა და დიდებულს. ამ მოვლენას საათაბაგოშიაც ვპოვებთ. მაწყურელი მარტო სამცხის მამამთავარი და „სულის ხელმწიფე" არ არის, „ხორცის საქმეც" აბარია და ზოგს შემთხვევაში თავის საერო უფლებით ათაბაგსაც კი აღემატება" (იქვე, 74); ან არა და: „იქ, სადაც „ზემო-ქვემოება" ცხოვრების ქვა-კუთხედი იყო, ეკლესიაც ვერ ასცდებოდა ღირსების მეტნაკლებობას და საყურადღებოა, რომ ეხლაც ამ აზრისაა ქართველი კაცი: ერთი ეკლესია და ხატი უფ-

რო მადლიანად მიაჩნია, ვიდრე მეორე, ზოგს ტაძარს დიდს პატივსა სცემს და ზოგს მცირეს. ასეთი აზრი ნაშთია იმ ძველის დროისა, როცა ფეოდალობა ეკლესიის საძირკველს შეადგენდა. საათაბაგოშიაც ასევე იყო"... (იქვე, 394—395).

რაღაა ეს ფეოდალობა? ამ კითხვაზე ურბნელი ასე უპასუხებს: „ფეოდალობა მსოფლიო მოვლენას შეადგენს და როგორც ევროპაში, ისე აზიაში მოიპოვება. იმის არსებისათვის საჭირო როდია, მიწა და მამული მარტო საზოგადოების მცირედს ნაწილს ეკუთვნოდეს და ერის უმრავლესობა კი ეკონომიურად დამონავებული იყოს. არა, ფეოდალური წესი მაშინაც შესაძლოა, როცა საერთო მიწისმფლობელობა არსებობს, თუმცა სრულს ფეოდალურს ფორმას საფუძვლად ეკონომიური დამოკიდებულობაც აქვს. არსებითი ხასიათი ფეოდალობისა იმითი გამოიხატება, რომ ერი ან საზოგადოება გაყოფილია სხვადასხვა წოდებად და წოდებანი კიდევ მაღალ-დაბალნი არიან, იერარქიულად მოწყობილნი. საათაბაგოს წყობილება დაფუძნდა „გვარსა", „დიდსა მამულსა" და „საპატიო ხელზედ" და სრული ფეოდალობა ხომ ამ სამის ნაწილისაგან შესდგება. თითქო სართულებად განყოფილ საათაბაგოს შენობაში „სისხლისდენაც" გვარსა, მამულსა და საპატიო ხელს მისდევდა" (გვ. 60—61). „ამ სისხლზედ დაამყარა ალბუღამ საზოგადოებრივი შენობა, რომელსაც ჩვენ ფეოდალური წყობილება ვუწოდეთ. იგი შენობა მრავალსართულიანია. მოსახლენი მაღლა და დაბლა ცხოვრობენ, სხვადასხვა წოდებად განიყოფებიან და თითოეულს წოდებას საკუთარი სართული უჭირავს. ყველა სართულს თითქო კარებზედ აწერიაო: გ ვ ა რ ი, მ ა მ უ ლ ი და ს ა პ ა ტ ი ო ხ ე ლ ი, ამ წარწერით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მოსახლენი, შეიძლება მოსახლე ერთის სართულიდგან მეორეში ავიდეს და დაბლიდამ მაღლა მოექცეს. მხოლოდ ამითი იზიდავს გულს იგი ძველი შენობა... მ ე ფ ე, ა თ ა ბ ა გ ი , და მ ა წ ყ უ რ ე ლ ი თითონ შენობაში არ ცხოვრობენ და შენობის თავს დგანან"... (85—86).

ავტორის თვალსაზრისი, ამ ზოგად დებულებებში გამოთქმული, რამდენადმე მერყევია, როგორც მკითხველი შენიშნავდა. თუ, ერთი მხრით, იგი ფიქრობს, რომ „ფეოდალობისათვის", ე. ი. ფეოდალიზმისათვის აუცილებელი არ არის მიწის მონოპოლიზაცია საზოგადოების უმცირესობის მიერ და უმრავლესობის ეკონომიური დამონება და მეტიც კი, თითქოს ფეოდალური წყობილება შეიძლება საერთო, საზოგადოებრივ მიწისმფლობელობას შეუთავსდეს, მეორე მხრით, ავტორი გრძნობს. რომ „სრული ფეოდალობისათვის", ე. ი. განვითარებული ფეოდალიზმისათვის, ეს ნიშნები საკმარისი არ არის; აქ საფუძვლად ეკონომიური დამოკიდებულებაც საჭიროაო. ეს ნაწილაკი -ც მო-

წმობს, რომ ურბნელი, ბროსეს საწინააღმდეგოდ, მთავარ მნიშვნელობას ამ ეკონომიურ საფუძველს არ ანიჭებდა. და, მართლაც, იგი იქვე ამტკიცებს, რომ „არსებითი ხასიათი ფეოდალობისა“ მდგომარეობს საზოგადოების წოდებრივს დანაწილებასა და წოდებათა „იერარქიულად მოწყობაში“-ო. გარდა ამისა, ურბნელს არ ჰქონდა ნათელი წარმოდგენა ფეოდალური საზოგადოების განვითარების საფეხურებზე; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ამ ევოლუციის სხვადასხვა ეტაპზე ბევრს რასმე საყურადღებოს თავისთვის აღმოაჩენდა. მცდარია, რა თქმა უნდა, ავტორის ის მტკიცებაც, თითქოს ფეოდალურ საქართველოს, კერძოდ — საათაბაგოს, ყველა საზოგადოებრივი სართულის კარებზე ეწერა: „გვარი, მამული, საპატიო ხელი“, — ზოგს კარებს სულ სხვა წარწერა ჰქონდა. ურბნელს არც ის ჰქონდა შეგნებული, რომ არსებითად ეს საზოგადოება ორი სართულისაგან შედგებოდა, მაგრამ ყოველივე ამის შესახებ ჩვენ ქვემოთ ვისაუბრებთ.

ასევე მცდარია ავტორის ზოგადი დებულებაც, რომ ფეოდალურ საზოგადოებაში „საზოგადოდ სამსახური ანიჭებდა კაცს ყოველს ღირსებასა და იგი სამსახური იყო წოდებათა შემქმნელი ძალა“ (გვ. 99).

მაინც, კონკრეტულ ისტორიულ სინამდვილეზე დაკვირვებისას ავტორის ბუნებრივი ნიჭი და ალღო უფრო ღრმად სწვდება ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ბუნებას. საათაბაგოს შესახებ ურბნელი წერს: „საათაბაგოში სამამულო დამოკიდებულება მოწყობილია ფეოდალურად, წოდებრივი ურთიერთობა მამულის ჭერაზედ დამყარდა და ვასალი თავისი მამულით პატრონის ხელთ იყო. ძალა და უფლება პატრონს ეკუთვნოდა და როცა პატრონი — ეს ევროპიელის ჯურის სენიორი — ვისმე მამულს უბოძებდა, პირობასაც ართმევდა — მემსახურეო, როგორც თითონ ვალდებული იყო სამსახური გაეწია სიუზერენისთვის. ასეთმა ურთიერთობამ მამულსაც თავისებური ხასიათი დააჩნია, თუ მამულის მქონე სამსახურზე უარს იტყოდა, და ან რასმე დააშავებდა, პატრონს უფლება ჰქონდა მისთვის მამული ჩამოერთმია“... შემდეგ ავტორს მოაქვს სათანადო ამონაწერები ბექა-აღბუღას სამართლის წიგნიდან და ასკვნის: „ერთი სიტყვით, „საპატრონო“ — ეს საათაბაგოს ფეოდი — პატრონს ეკუთვნოდა და მამულის ბოძებასა და ჭერას ზედ მოსდევდა მორჩილება და ერთგული სამსახური. ევროპიელ სენიორს თავის ფეოდში ყველაფერი ეკითხებოდა, იგი ბატონიც იყო და პატრონიც. ასეა საათაბაგოშიაც... მაგრამ ფეოდალური აგებუ-

ლება მხოლოდ გარეგანი სახე იყო სამამულო ურთიერთიერთობისა, სულ სხვაა ამ ურთიერთობის შინაგანი აგებულება" (იქვე, 188—190; ხაზი ყველგან ჩვენია, ს. ჯ.).

ავტორის პასუხი ამ კითხვაზე იმავე დროს შეიცავს მის ზოგად შეხედულებას საზოგადოებრივი ფორმებისა და მასთან დაკავშირებული მიწათმფლობელობის ფორმების ისტორიული ცვლის შესახებ:... „არიელ ერთა ჩვეულება თხოულობდა, მიწა საგვარეულოდ ჰქონოდათ და ეხმარათ. საქართველოშიაც სულ პირველად ასეთი სამამულო წყობილება არსებობდა. ჟამთა ვითარებამ შესცვალა ძველებური მიწის ჰერა და აწინდელს დროს მხოლოდ მთაში მოიპოვება პირვანდელი სამამულო წყობილება, მაგ. ხევსურეთში ხატის მიწა და ტყე საგვარეულო საკუთრებაა, რაკი საათაბაგოს განვლილი ჰქონდა საგვარეულო ცხოვრება, მამულის საქმეც სხვაფრივ იყო მოწყობილი.

ალბუღა არც-კი ამბობს მამულის დასაკუთრება და ხმარება საგვარეულოდ შეიძლებაო, იგი აღნიშნავს მხოლოდ სახლის, ოჯახის მამულს, ამ მამულში ყველა ერთსახლიანს თანასწორი წილი აქვსო. მაშასადამე მამული საოჯახო და კერძო საკუთრებას შეადგენდა და არა საგვარეულოს" (190—192; სიტყვები „სახლის, ოჯახის მამულს" და „ერთსახლიანს" ხაზგასმულია თვით ავტორის მიერ).

საყურადღებოა ავტორის შეხედულებები მრავალსართულიანი საათაბაგოს ცალკე „სართულების" შესახებ. ჯაყელისა და მაწყვერელის შემდეგ პირველი ადგილი უჭირავთ დიდებულებს. „დიდებული, მართალია, „დიდი" და „მდიდარი" იყო, მაგრამ რით? — გვარით, საპატიო ხელით, მამულით. ამ სამის საგნისაგან შესდგებოდა დიდებულობა და როცა რომელიმე მათგანი, მაგ., „დიდი მამული", კაცს აკლდა, მაშინ არც დიდებული ითქმოდა" (86—87). შემდეგ ურბნელიც იგონებს ვახტანგ სჯულმდებლისეულს განმარტებას დიდებულისას და აღნიშნავს, რომ ქართლში, მაშასადამე, „ექვსნი" „გაუყრელნი" ფეოდალნი შეადგენდნენ უმაღლეს არისტოკრატიას, რომელსაც, დიდს გვარსა და მამულს გარდა, დიდი საპატიო ხელისუფლებაც ნაბოძები ჰქონდა" (87)... აღსანიშნავია, რომ ავტორს აქ სამართლიანი მითითება აქვს ბროსეს „შესავალზე", სადაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, პირველადაა „დიდებულის" ასეთი გაგება მოცემული. შემდეგ ურბნელი დასძენს: „საათაბაგოს დიდებულიც ისაა, რაც ქართლისა. საათაბაგოში ძველადვე ვპოვებთ რამდენსამე დიდებულს, წარჩინებულს გვარს. თითოეულს მათგანს დიდი მამული ეჭირა, საკუთარი სასაფლაო, მო-

ნასტერი და კარის ეკლესია ჰქონდა. გარდა ამისა, ჰყვანდა აზნაურები და დიდძალი გლეხობა“... (88).

„დიდებულს აზნაური მოსდევს და აზნაურობა სხვადასხვა ღირსებისაა. პირველს რიგს ეკუთვნოდნენ საპატრონო (სულ ერთია, ათაბაგი იყო პატრონი თუ დიდებული) და ტაძრეული (ტახტის აზნაური)... დიდის აზნაურისათვის საჭირო იყო კარგი გვარი („კარგი უნდა იყოს“), საპატიო ხელი („საპატიოდ პატრონს ჰყვეს“) და დიდი მამული („მამულ-დიდი უნდა იყოს“). ვისაც ამ სამს ღირსებაში ერთი რომელიმე აკლდა, მაშინ იმას პირველი აზნაური არ ეწოდებოდა. მაგრამ სამართალი მაინც „საპატიო ხელს“ აქცევს უმთავრესს ყურადღებას. ძველად საპატიო სამსახურისაგან წარმოსდგა აზნაურობა და შემდეგშიაც ის დარჩა ამ წოდების ცხოველმყოფელ ძალად“ (91).. „აზნაურს პირადი დამოკიდებულება ჰქონდა თავის ბატონთან... აზნაურობა ეკონომიურს ნიადაგზედაც დაფუძნდა. საზოგადოებრივი შრომა და ქონებრივი შეძლება თითქოს ხელიხელ იყვნენ გადაბმული და აზნაურს მაშინ ედო დიდი ფასი, როცა თვალსაჩინო სამსახურს უწევდა თავის ბატონსა და ნივთიერი სიმდიდრე კიდევ ღონეს აძლევდა, სამსახური არ მოეკლო: მაგრამ უფრო სამსახურს ჰქონდა პირველი მნიშვნელობა და, როგორც აღბუღას სამართლიდანა ჩანს, მსახურისაგან წარმოსდგა აზნაური და მსახური აზნაური შეიქმნა დიდისა და შუა აზნაურის დამაარსებელი და გამჩენელი. რა სამსახური ედვა აზნაურს? აზნაურის მოვალეობას „საომარი საქმე“ შეადგენდა. იარაღი და ბრძოლა — აი, უფრო რას სთხოვდა ბატონი თავის აზნაურს. ციხე, აბჯარი და კარავი აზნაურს აკუთვნეს და თუმცა მოხსენებულია „კარვისნობა ყოველთა წესია აზნაურულიო“ (მეხ. ი), მაგრამ ყოველგვარს სალაშქრო საქმეზედაც ესევე ითქმის, სალაშქრო სამსახურმა ფერი დასდო აზნაურის ღირსებასაცა და თუ აზნაურნი თანასწორნი არ იყვნენ, ეს, სხვათა შორის, იმიტომ, რომ თვით „საომარი საქმე“ განსხვავდებოდა. დიაღ, სალაშქრო სამსახურს გარეთ აზნაურს მარტო ცალიერი სახელი-ღა რჩებოდა, ასეთი აზნაური გლეხს უდრიდა, თუმცა ისეთს გლეხს კი, რომელსაც „პატრონი სიკეთესა ზედა იცნობდა“ (94—96).

აზნაურებს მოსდევდნენ მსახურნი. ურბნელის მტკიცებით, „მაღალსა და დაბალს წოდებას შორის ხიდი რომ არ ჩატეხილიყო, მსახური გააჩინეს. მსახური, ერთის მხრით, აზნაურზე მცირეა. მეორის — გლეხს აღემატება. იგი იმათ შუა დგას და თუ აზნაური არ ეთქმის, არც გლეხობა შეეფერება... მსახური მოსამსახურე იყო, მაგრამ ისეთი კი, რომელსაც „არა საჩინო ხელი“ ებარა“ (97—98). ავტორი ეკამათება ალ. ხახანაშვილს, რომელსაც „მსახურნი საკუთარ წო-

დებად არ მიაჩნია“ და ამტკიცებს, რომ „საათაბაგოს მსახურნი საკუთარს წოდებას შეადგენდნენ და იგი წოდება გლეხობაზედ მაღლა იდგა“ (გვ. 99—101). შემდეგ მოდიან ვ ა ჭ ა რ ნ ი, რომელნიც აგრეთვე „საკუთარს წოდებას შეადგენდნენ... ღირსშესანიშნავია, რომ ვაჭრობაც „ხელზედ“ არის დაფუძნებული და ამისდაგვარად ორად განიყოფება: დ ი დ ი — ვ ა ჭ ა რ ი ა, რომელიც „პატრონთა კარგად და საპატიოდ ჰყვეს და საქმის მქნელად“, ხოლო მ ც ი რ ე იგია, ვინც მხოლოდ „პატრონის ნახვისა და ძღვნისა მიღებას ღირს იყოს“... ცხადია, რომ ვაჭრების განსხვავებაც სამსახურისაგან წარმოსდგა და არა ნივთიერი შეძლებისაგან, თუმცა სხვაფრივ უნდა ყოფილიყო, რადგანაც ვაჭრობის დედა-ძარღვს ქონება და სიმდიდრე შეადგენს“... (101—102).

ჩვენი თემის თვალსაზრისით, განსაკუთრებული ინტერესი ახლავს ურბნელის მსჯელობას გლეხისა და ყმის შესახებ. ამიტომ ურბნელის შეხედულებას აქ ჩვენ უფრო ვრცლად გადმოვცემთ: „ყველა წოდებაზედ დაბლა გ ლ ე ხ ო ბ ა იდგა და გ ლ ე ხ ს სულ უკანასკნელი ადგილი ეჭირა, მაგრამ გლეხნიც განირჩეოდნენ და მათი დამოკიდებულება ბატონთან სხვადასხვა იყო. წვრილმანს განსხვავებას თავი რომ დავანებოთ, დაბალი წოდება ორ ნაწილად განიყოფებოდა: პირველს ეკუთვნოდნენ გ ლ ე ხ ნ ი, მეორეს — ყ მ ა ნ ი, მ კ ვ ი დ რ ნ ი გ ლ ე ხ ნ ი. ამ სიტყვებით აღნიშნავს აღბუღაც დაბალს წოდებას. რით განსხვავდებოდნენ ყ მ ა და გ ლ ე ხ ი? — ს. ს. ორბელიანის განმარტებით, „ყმა მისს ალაგში მოსახლეა“, ხოლო „გლეხი მოსახლე მდაბიო“. ასეთს განმარტებას თავისი საბუთი აქვს. აღბუღას ყმა, მ კ ვ ი დ რ ი გ ლ ე ხ ი „მისს ალაგში მოსახლეა“, — „მ კ ვ ი დ რ ს ა მამულსა ნუ ვინ ეცილებისო“... რატომ? საქმე ისაა, რომ ყმობა სამამულო დამოკიდებულებას წარმოადგენდა. ყმა მამულზედ იყო დაკრული, თითქო მამულის კუთვნილებააო და თუმცა მამულს ვერვინ გამოსწირავდა, მაგრამ მაინც „ადგილი პატრონისა არის“ და ყმას არც გასყიდვა და არც „დაწიდნა“ (заклад) არ შეეძლო. ყმა სამკვიდრო და უცილობელს მამულს ჰხმარობდა, მაგრამ საკუთრებას-კი მოკლებული იყო. და ან რა საკუთრება ექმნებოდა ყმას, როცა თვითონაც ბატონის საკუთრებას შეადგენდა, თითქო იმისი საქონელიაო. ყმა მამულს ვერ მოშორდებოდა და, სადაც უნდა წასულიყო, „მკვიდრს ბატონს“ უფლება ჰქონდა უკანვე მოეყვანა. ერთის სიტყვით, ყმა და საყმო მამული ბატონს ეკუთვნოდნენ და თუმცა ყმას ბატონი ან სხვა ვინმე მამულს ვერ შეეცილებოდა, მაგრამ მამული ბატონის საკუთრება იყო. სხვაა გ ლ ე ხ ი. ჯერ ერთი, რომ იგი „მოსახლე მდაბიოა“ და საკუთარი მიწა-წყალი აქვს, მაგ., „ნასყიდი სამიწო“ (მუხ. ოა). მეორედ.—

როცა გლეხი საბატონო მამულში მოსახლობდა, მაშინ იმასა და ბატონს შორის თუმც სამამულო დამოკიდებულება არსებობდა, მაგრამ იმ დამოკიდებულებას ხელ-შეკრულობისა და პირობის ხასიათი ჰქონდა. გლეხი თავისუფალი მუშაკი იყო და შეეძლო კავშირი მოესპო ბატონთან. მაშასადამე, გ ლ ე ხ ო ბ ი ს ძირითადს თვისებას შეადგენდა თავისუფალი და დროებითი სამამულო დამოკიდებულება მიწის პატრონთან. ეს დამოკიდებულება მოგვაგონებს ევროპის ვ ი ლ ლ ა ნ ა ჟ ს. როგორც ერთი, ისრე მეორე დაფუძნდა სხვის მამულის ხმარებაზედ და სრულიადაც არ შეიცავდა კაცის პირადს დამოკიდებულებას. ალბუღას გლეხს მხოლოდ სამამულო დამოკიდებულება აქვს ბატონთანა და პირადად თავისუფალია“ (103—106). საყურადღებოა, რომ ავტორი თავისი ალღოთი გრძნობს განსხვავებული მოვლენების არსებობას აღებულ სფეროში, მაგრამ თვით მოვლენების ნამდვილ ბუნებას იგი ვერ მისწვდომია.

ასევე მცდარია ურბნელის შემდგომი დებულება: „ცხადია, თავდაწერამა და წასვლამ ყმას გლეხობა მიანიჭა, მაგრამ, შემდეგ, — განაგრძობს ის, — საუბედუროდ, ბოლოს ყმები დ ა ვ თ ა რ შ ი ჩასწერეს და ამის გამო თავისუფლების საშუალება მოესპოთ და ყმის გლეხად გადაქცევა გაძნელდა“ (115). მცდარია ისიც, რასაც ავტორი ამბობს „თავდაწერილის“ შესახებ: „ასეთი დამოკიდებულება არც სრული თავისუფალი გლეხობა იყო და არც ყმობა იყო და არც ნამდვილი ყმობა. როგორც თავდაწერილი ორს ბატონს შუა იდგა, ისე თავდაწერილობა გლეხობასა და ყმობას შუა ჩასდგა და თავისებურს მოვლენას წარმოადგენდა“ (118). „მკვიდრ ყმის არა სანატრელმა მდგომარეობამ დაჰბადა წ ა ს ვ ლ ა და წასვლამ კიდევ გამოიწვია თ ა ვ დ ა წ ე რ ი ლ ი, თ ა ვ დ ა უ წ ე რ ე ლ ი, მ ო მ ა რ თ ე ბ უ ლ ი გლეხი. თითოეული ამ გლეხთაგანი განსხვავდებოდა ყმისაგან და საკუთარი დამოკიდებულება ჰქონდა პატრონსა და ბატონთან. თვით გლეხობა ყმობას არ ნიშნავდა“... (121).

ყმასა და გლეხს შორის არსებულ სხვაობას ავტორი ყმობის წარმოშობით ხსნის: „თუ ყმა გლეხზედ დაბლა იდგა, ამის მიზეზი ყმის ვინაობა და „სიკეთეს“ მოკლება იყო, და მართლაც, საიდგან, გაჩნდა ყმობა? საფუძვლიანად სჯის საქართველოს „ბატონ-ყმობის“ ავტორი. რომ ყმობის საძირკველი ჩასდეს ტ ყ ვ ე მ ა და შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ მ ა მ ო ვ ა ლ ე მ“... (106—107; ხაზი ორსავე ციტატაში ყველგან ავტორს ეკუთვნის). „ტყვეობამ, ვალსა და სისხლში წაყვანამა და თავის გაყიდვამ დაბადა ყ მ ო ბ ა. ყმობის მიზეზი „სიკეთეზედ“ ხელის აღება შეიქმნა, პირადი ღირსებისა და თავისუფლების დაკარგვა და საათაბაგოში ხომ ასეთი მდგომარეობა კაცს სულ დაბლა აყენებდა: ყმა მოკ-

ლებული იყო „საპატიოდ ყოფნას“ და ამის გამო ეკონომიურად და პირადად ბატონობამ მთლად შეჰხუთა იგი“ (110).

ურბნელი გრძნობდა მაინც, ჩანს, თავისი შეხედულებების შინაგან წინააღმდეგობას და ამიტომაა, უთუოდ, რომ ამბობს: „აღბუღა გლეხსა და ყმას ერთმანეთში ურევს, ხშირად ერთად იხსენიებს და ამიტომ, როგორც უკვე შევნიშნეთ, სამართალში გარკვევით ნაჩვენები არ არის გლეხისა და ყმის ვინაობა. უცილობლად მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ გლეხი სულ სხვა მოსახლე იყო, ვიდრე ყმა“ (113—114). მაგრამ ეს მტკიცება სრულიად ირღვევა მეორით: „როცა ყმობა მკაცრი შეიქმნა და დაბალ წოდების კაცური ღირსება და პატივი მეტად შეილახა, გლეხსაც უსულო სასაქონლოს მსგავსად ჰყიდდნენ. არც აღბუღა ამბობდა უარს ამ სყიდვაზე. მაგრამ იმის დროს ეს სამარცხვინო აღებმიცემა მარტო ბატონ-ყმობის შედეგი არ ყოფილა. კაცის სყიდვას უფრო ძველებურს წინდად დგომაში ჰქონდა ძალა და საფუძველი... ყმის გასყიდვას სჯული ხომ პირდაპირ აწესებდა. ფეოდალურს გავლენას, რასაკვირველია, არც სყიდვა გადაურჩა. ბ ა ტ ო ნ ს უ ფ ლ ე ბ ა ჰ ქ ო ნ დ ა ს ა გ ლ ე ხ ო ფ უ ძ ე გ ა ე ს ყ ი დ ნ ა, „კ ა ც რ ი ე ლ ი გ ი ნ ა უ კ ა ც უ რ ი“ (მუხ. 6ხ.). ყმაცა და მამულიც ბატონს ეკუთვნოდა. ამის გამო თვითონ ყმას არ შეეძლო „პატრონის ხელჩაურთავად“ სამამულოს გასყიდვა — „ადგილი პატრონისა არისო“ (მუხ. ო ზ). ყმა „ბატონის ხელ-ჩაურთავად“ მარტო სასაქონლოს თუ გაჰყიდდა, რადგანაც სასაქონლო იმის მონაგებს შეადგენდა“ (212—213). „სამამულო შევედრება უფრო საგლეხო ჩვეულებად გარდაიქცა. ცხადია, რისთვისაც ფ ე ო დ ა ლ ო ბ ა მ ძ ი მ ე უ ღ ლ ა დ დ ა აწ ვ ა გ ლ ე ხ ო ბ ა ს და მამულის შევედრებას უმეტესად გლეხი საჭიროებდა. საათაბაგოს სამამულო შევედრება ბევრად მიაგავს რომაელების precario-ს; რომში პატრონი თავის კლიენტს სამოწყალოდ აძლევდა მამულსა. ასე იქცეოდნენ საათაბაგოშიაც, სადაც გლეხი ხშირად ეაჯებოდა მემამულესა და ბატონს, მამული მომეცი სარჩენადაო; ხელმოკლეობა და გაჭირვება გლეხს ძალას ატანდა ასე მოქცეულიყო. რასაკვირველია, ესევე არ ითქმის პატრონსა და ბატონზე. თუმცა სამამულო შევედრების მიზეზი ამ სოციალურს ურთიერთობაშიაც უნდა მოიძებნოს, მაგრამ თავდაპირველად ეს ხელ-შეკრულობა სხვა გარემოებამ დაჰბადა. მამულის უქონლობას გარდა, კაცს ბევრგვარი სხვა მიზეზი იძულებულს ხდიდა შევედრებისათვის მიემართნა“ (227—228; ხაზი ყველგან ჩვენია). ზოგჯერ მამულის მიბარების საჭიროება თვითონ მემამულეს ებადებოდა, კერძოდ — ობლობისა და გადახვეწის მიზეზითაო, მაგრამ „მერმე შევედრებამ ხასიათი იცვალა და უ ფ რ ო ს ა გ ლ ე ხ ო ხ ე ლ-შ ე კ რ უ ლ ო ბ ა დ გარდაიქცა. ეს მაშინ,

როცა ობლობასა და გადახვეწას გარდა, სამამულო დამოკიდებულება გამწვავდა და პირვანდელს საბაბს ზედ დაერთო სხვა მიზეზიც“... (229).

თუმცა მოტანილ ამონაწერებშიც არის ზოგი რამ საცილობელი და არასწორიც კი, მაგრამ თავისი ზემოთ მოტანილი ზოგადი შეხედულების საწინააღმდეგოდ „გლეხისა“ და „ყმის“ რაობის შესახებ, ურბნელი ბევრად უფრო სწორად მსჯელობს გლეხობისა და ყმების კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებაზე. კიდევ უფრო საყურადღებოა ურბნელის აზრები ბატონყმური ურთიერთობის შესახებ: „ყმის წასვლას ხშირად იხსენიებს აღბუღა და იგი „წასვლა“ ამტკიცებს, რომ იმის დროს საბატონყმო ურთიერთობა გამწვავებულა, ნდობა და სათნოება ბატონსა და ყმას შორის შერყეულა და დამცირებულა. ამიტომაც სამართალი სასტიკად სდევნის როგორც უ ს ა მ ა რ თ ლ ო დ წ ა ს ვ ლ ა ს, აგრეთვე უ ს ა მ ა რ თ ლ ო დ ყ მ ი ს გ ა ძ ა რ ც ვ ა ს: „თუ უსამართლოდ პატრონსა ყმა წაუვიდეს, თორმეტი შეუკაზმოს; თუ უსამართლოდ პატრონმა ყმა გაძარცოს, თორმეტი გლეხი დაუურვოსო“ (მუხ. რმთ, რნ; იქვე, გვ. 111; ხაზი ავტორისაა). ამ ციტატის პირველი ნახევარი ჭეშმარიტებას ღაღადებს, მეორე კი სწორედ იმას მოწმობს, რომ აღბუღას სამართლის ძირითადი ტერმინები ურბნელს კარგად არ ესმოდა. ასეთივე ხასიათისაა უფრო ზოგადი დებულება, რომელსაც ურბნელი ხახანაშვილთან შესიტყვებით აყენებს: „აღბუღას დროსაც ისეთივე ყმობა იყო, როგორიც ვახტანგ სჯულმდებლის დროს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ, რაც დრო და ჟამი მიდიოდა, ყმობა სამძიმო შეიქმნა და გლეხის ყმად მიცემა გაადვილდა. ამის გამო ძველი თავდაწერილი, თავდაუწერელი და მომართებული გლეხი ბოლოს ყმა გაჰხდა და თავისუფალის გლეხობის რიცხვი შემცირდა“ (122).

პატრონყმობისა და ბატონყმობის განსხვავების საკითხი ურბნელისათვის არ არსებობს. იქაც, სადაც იგი პატრონყმური ურთიერთობის სპეციფიკურ მოვლენებზე ლაპარაკობს არსებითად, ურბნელს „პატრონყმობა“ ნახსენები არა აქვს და „ფეოდალობის“ ზოგადი ცნებით კმაყოფილდება. ისედაც ხდება, როცა ძეგლის ესა თუ ის მუხლი, რომელიც ამავე პატრონყმურ ურთიერთობას გულისხმობს, ურბნელს საბატონყმო ურთიერთობის სფეროსადმი აქვს განკუთვნილი. ქვემოთ, თავის ადგილას, ჩვენ ვნახავთ, რომ ყოველსავე ამას აქვს არსებითი და არა მხოლოდ ტერმინოლოგიური მნიშვნელობა.

მოიპოვება ურბნელის ჩვენ მიერ განხილულ მონოგრაფიაში სხვა შეცდომებიც (მაგ., ისეთი კურიოზი, როგორიცაა მტკიცება, რომ „მოსაკარგავი სხვისი დაკარგული საქონელია“, გვ. 214), მაგრამ ეს გა-

მოკვლევა, ისევე როგორც ავტორის სხვა წიგნები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან, უაღრესად მნიშვნელოვანსა და საყურადღებო მოვლენას წარმოადგენდა ქართულს სამეცნიერო მწერლობაში. საგულისხმოა ისიც, რომ ურბნელმა თვალსაჩინო წვლილი შეიტანა იმ საქმეში, რომელიც დ. ბაქრაძეს აუცილებელ წინაპირობად მიაჩნდა ქართული ფეოდალიზმის შესწავლისათვის: ურბნელს ეკუთვნის საუცხოო აღწერილობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რაიონების სოციალური გადმონაშთებისა[6]. თავის გამოკვლევებშიც ურბნელი უხვად ხმარობს ისტორიულ-შედარებითი მიზნებისათვის ეთნოგრაფიულ მასალას როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნების სინამდვილიდან ამოღებულს; როგორც ვნახეთ, ურბნელის ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისი ფართოდ ვრცელდება სხვა ქვეყნების ანალოგიურ ფეოდალურ დაწესებულებებზედაც.

*

* *

საქართველოს სიძველეებისა და წარსული ცხოვრების კვლევამ კიდევ უფრო ფართო ხასიათი მიიღო XIX ს. დამლევსა და XX ს. დამდეგს, უმთავრესად ურბნელის უმცროს თანამედროვეთა ენერგიისა და ენთუზიაზმის წყალობით. ახლა უკვე იწერება საქართველოს ისტორიის მთლიანი მიმოხილვანიც, როგორიცაა მაგ., მოსე ჯანაშვილის „საქართველოს ისტორია“, მაგრამ ქართული ფეოდალიზმის შესწავლა იმ გზით, რომელზედაც იგი დააყენეს ბროსემ, ხახანაშვილმა და ურბნელმა, წინ არ წასულა; მაგ., თედო ჟორდანია, მახვილგონიერი და დაუღალავი მკვლევარი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი მეცნიერების წინაშე და რომლის გამოცემებიც დღესაც მიუცილებელი წიგნებია საქართველოს ისტორიის ყველა მკვლევარისათვის, მცდარად აფასებს საქართველოს სოციალურ ურთიერთობათა ბუნებას შუა საუკუნეებში. კერძოდ, ბატონყმობა მიაჩნია არა იძულებაზე დამყარებულ, არამედ ბატონისა და ყმის ურთიერთ ეკონომიურ დაინტერესებაზე და ზნეობრივ კავშირზე დამყარებულ ურთიერთობად (იხ. თ. ჟორდანია, „ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები“, ფოთი, 1903. წინასიტყვაობა).

---

[6] ურბნელის ეთნოგრაფიული მასალების დღემდე ცხოველი მნიშვნელობითაა გამოწვეული ის გარემოება, რომ ეს მასალები ცალკე წიგნად შეკრა და გამოსცა ენიმკის ეთნოგრაფიის განყოფილებამ.

*

* *

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ჩვენს მიზანს შეადგენს XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის მიმოხილვა თუნდაც მარტო ამ ერთი საკითხის განვითარების თვალსაზრისით ჩვენს სამეცნიერო მწერლობაში. მიუხედავად ჩვენი თემის ასეთი შემოფარგვლისა, მაინც მიუტევებელი დაგვრჩებოდა დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის ილია ჭავჭავაძის აქ მოუხსენიებლობა, რომ ამ საპატიო მოვალეობისაგან არ გვათავისუფლებდეს აკად. ივანე ჯავახიშვილის სპეციალური წერილი „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია" (ტფ., 1938)[7].

აქ მშვენივრად არის ნაჩვენები, თუ როგორ დიდ სიმაღლეზე იდგა, თავისი პირობების შესაბამისად, ილია ჭავჭავაძის ისტორიული აზროვნება. საყურადღებოა კერძოდ ის, რომ საქართველოს ძველი ისტორიის ძირითადი პრობლემების ახსნას ილია ჭავჭავაძე ეკონომიურ (კერძოდ, მიწისმფლობელობის) ნიადაგზე ცდილობდა (იხ. წერილი „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ"). მიწისმფლობელობის საკითხებს (სათემო და კერძო საკუთრება მიწაზე და ამ ფორმების ისტორია, ბატონყმური ურთიერთობა, ხიზნობა, ღალა და წილზე ჭერა და სხვა) ილია ხშირად დაჰბრუნებია და ამ საგანზედაც უჩვენებია თავისი დაკვირვების სიღრმე და ფართო ჭკუა. მაგრამ დიდებულ პოეტს სპეციალური ისტორიული კვლევა-ძიება არასოდეს არ უწარმოებია და ამიტომ არც უნდა იყოს გასაკვირველი, თუ მას რიგ მოვლენებზე (მაგ., ფეოდალურ საქართველოს წოდებრივ აღნაგობაზე და წოდებათა ურთიერთობაზე) არ ჰქონდა მთლად სწორი წარმოდგენა (იხ. სანიმუშოდ მისი „ცხოვრება და კანონი", წერილი მეხუთე; ნაწერების სრული კრებული პ. ინგოროყვას და ალ. აბაშელის რედაქციით, ტ. VIII).

ჩვენ აქ აკად. ივანე ჯავახიშვილის შეხედულებებზე უნდა გადავიდეთ ქართული ფეოდალიზმისა და ქართული პატრონყმობის შესახებ. ჩვენი მკითხველისათვის ცხადია, რომ აკად. ივანე ჯავახიშვილის აღნიშნული შეხედულებების აქ დალაგება იმ წესით, რომელიც ჩვენ გამოვიყენეთ წინამორბედი მკვლევრების ნააზრევის გასაცნობად, სრულიად შეუძლებელია. მიზეზი ნათელია. თუ ძველი ქართული ისტორიოგრაფიის წარმომადგენელთა ნამემკვიდრევში ჩვენ, შეტწილად, მხოლოდ ცალკეულ დაკვირვებებს ვხვდებით, ზოგჯერ მახვილგონიერსაც და მართებულს, მაგრამ ფაქტიური მასალის მხრივ სრულიად

---

[7] იხ. „ენიმკის მოამბე", ტ. II, 1937 წ.

არა საკმაოდ დასაბუთებულს, ძირითადად სხვა სურათს წარმოგვიდგენს ჩვენ აკად. ივანე ჯავახიშვილის, როგორც ქართული ფეოდალიზმის ისტორიის მკვლევრის, მოღვაწეობა: აქ მეცნიერული მსჯელობა ყოველთვის დამყარებულია მოცემული დროისათვის ცნობილ, წყაროებიდან დიდი ხელოვნებით ამოღებულისა და მკაცრი კრიტიკით შემოწმებული ფაქტიური მასალის მთელ სისავსეზე. ამასთან ერთად, არ დარჩენილა ქართველი ფეოდალური საზოგადოების ცხოვრების არც ერთი მხარე, რომლისთვისაც აკად. ივ. ჯავახიშვილს კაპიტალური გამოკვლევა არ ეძღვნას. ცხადია, შეუძლებელია რამდენიმე გვერდის მანძილზე შეჯამება ასეთი უზარმაზარი მუშაობის შედეგებისა. ქართული პატრონყმობის პრობლემის მიმართაც აკად. ივანე ჯავახიშვილის ღვაწლია არსებითი მნიშვნელობის მქონე დებულებათა წარმოდგენა, რომელნიც დამყარებული არიან მკაცრი კრიტიკის გზით შესწავლილი ფაქტიური მასალის მთელ მოცულობაზე ისევე, როგორც პატრონყმური ურთიერთობის მწყობრი და მთლიანი სურათიც. საკუთრივ „პატრონყმობისათვის“ აკად. ჯავახიშვილს მიძღვნილი აქვს სპეციალური დიდი თავი თავისი კაპიტალური „ქართული სამართლის ისტორიის“, რომელიც საერთოდ ავტორის ერთი საუკეთესო გამოკვლევათაგანია, მეორე წიგნის პირველ ნაკვეთში. მაგრამ ამავე წიგნის სხვა განაყოფებიც (მაგ., „საზოგადოებრივი და წოდებრივი დანაწილება“, „მმართველი წრეები“, „მოხელენი და მოხელეობა“) ისევე, როგორც ავტორის სხვა ნაშრომების ცალკე თავები თუ პარაგრაფები მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენს პრობლემასთან. აკად. ჯავახიშვილის შეხედულებებს ჩვენ ქვემოთ, პატრონყმობის პრობლემის ცალკე საკითხების განხილვისას გადმოვცემთ.

*

*   *

ჩვენ ვიცით, რომ პატრონყმობა ფეოდალური მოვლენაა. რას ნიშნავს „ფეოდალური“? რა არის ფეოდალიზმი?

ფეოდალიზმი მარქსისტული ისტორიოგრაფიის მიხედვით არის საწარმოო ურთიერთობა, რომლის საფუძველია ფეოდალური საკუთრება მიწაზე და არასრული საკუთრება მწარმოებელზე.

პირველის საფუძველზე იქმნება ეკონომიური იძულება, ხოლო მეორის საფუძველზე — გარეშეეკონომიური იძულება. ამრიგად, ფეოდალიზმი, როგორც სხვა საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციები, პირველ რიგში საწარმოო ურთიერთობაა.

თუ ამ სახელმძღვანელო მითითების თანახმად განვსაზღვრავთ ჩვენს სამეცნიერო ამოცანას და მისი გადაჭრის მეთოდსაც მოვიმარჯვებთ, იძულებული შევიქნებით დავასკვნათ, თუ კი ჩვენთვის, რასაკვირველია, ცნობილია ქართული პატრონყმობის ფაქტიური შინაარსი, რომ პატრონყმობა არ წარმოადგენდა ფეოდალური საზოგადოების ძირითადს საწარმოო ურთიერთობას. მართლაც და მოვიგონოთ, როგორია მწარმოებელი კლასის მდგომარეობა ფეოდალურს საწარმოო ურთიერთობაში. ფეოდალური საზოგადოების მწარმოებელი კლასის წევრი, მუშაკი, რომელიც ქმნის ფეოდალური საზოგადოების მატერიალურ დოვლათს, ერთი მხრით, თვითონ, თავისთავად, შეადგენს საგანს თუმცა არა სრული, უსრული, მაგრამ მაინც საკუთრებისას ფეოდალის, მემამულის, ე. ი. ფეოდალურ საწარმოო საშუალებათა მეპატრონის ხელში. ეს საკუთრება საწარმოო საშუალებათა მეპატრონისა მწარმოებელზე ამ უკანასკნელის განსხვისების, ყიდვა-გაყიდვის, უფლებასაც აღწევს. ამავე დროს, მწარმოებელს მოეპოვება თავისი საკუთარი საწარმოო იარაღები და თავისი კერძო მეურნეობა, საკუთარ შრომაზე დაფუძნებული. მწარმოებელი ამუშავებს მიწას, ქმნის ამრიგად ფეოდალური საზოგადოების ნივთიერ დოვლათს და აძლევს თავისი მეურნეობის მოსავლის ერთ წილს ფეოდალს. ამდენად, ფეოდალის, ე. ი. საწარმოო საშუალებათა მეპატრონისა, და მწარმოებლის, ე. ი. ყმა-გლეხის, ურთიერთობა ექსპლუატაციის ურთიერთობაა: ფეოდალი გამოდის მყვლეფელის, ხოლო ყმა-გლეხი — გაყვლეფილის როლში.

თუ ახლა ჩვენ პატრონყმობას მივუბრუნდებით და ავიღებთ ამ ურთიერთობას იმ სახით, როგორც იგი წარმოდგენილია თავისი განვითარების კლასიკური ხანის ისტორიულ მწერლობასა და დოკუმენტებში (უპირატესად X—XII სს.), ვნახავთ, რომ პატრონყმური ურთიერთობის დაბალი კონტრაჰენტი — „ყმა" — სულ სხვა მდგომარეობის მატარებელია. მართლაც, ეს „ყმა": 1) უეჭველად პირადად თავისუფალი ადამიანია, 2) ჩვეულებრივად მწარმოებელ კლასს არ ეკუთვნის, საზოგადოების ნივთიერი დოვლათის შექმნაში ჩვეულებრივად მონაწილეობას არ იღებს (ამ წესის გამონაკლისზე ჩვენ ქვემოთ სპეციალურად გვექნება საუბარი); თუმცა „ყმას" მოეპოვება თავისი საკუთარი მეურნეობა, ხშირად არამცირედიც, მაგრამ ეს მეურნეობა ჩვეულებრივად „ყმის" საკუთარ შრომაზე არ არის დაფუძნებული, 3) „ყმა" „პატრონს" აძლევს არა თავისი მეურნეობის მოსავლის წილს, არამედ მხოლოდ „ერთგულად სამსახურს", რომელსაც ძირითადად სამხედრო ხასიათი აქვს; ამდენადვე, პატრონისა და ყმის ურთიერთობა არ იყო ექსპლოატაციის ურთიერთობა. პირიქით, — იგი ჩვეუ-

ლებრივად თვითონ გულისხმობდა მწარმოებლის ექსპლოატაციას, როგორც თავის საფუძველს.

ამ განმარტების სისწორეში დავრწმუნდებით, თუ ჩავუკვირდებით „ქართული პატრონ-ყმობის დამახასიათებელ და არსებით თვისებათა“ იმ აღწერილობას, რომელიც მოცემული აქვს აკად. ივანე ჯავახიშვილს: „პატრონყმობა მთელს ძველ საქართველოს ნიშანდობლივ ელფერს აძლევდა: იგი სუფევდა როგორც სოციალურს, ისე სახელმწიფო წესწყობილებაში. პატრონი მეფესაც ეწოდებოდა და ჩვეულებრივ მომაკვდავსაც, თუ მათ ყმები ჰყავდათ. ყმაც ქვეშევრდომსაც ნიშნავდა და პატრონთადმი ყმებრივ სამსახურითა და ერთგულებით ვალდებულთაც, ჩვეულებრივ ყმებსაც; მეფის გარდა, რომელიც მხოლოდ პატრონი იყო და არავის ყმად არ ითვლებოდა, ყოველი პატრონი, რომელსაც ყმები ჰყავდა, შეიძლებოდა იმავე დროს თვითონაც სხვისი ყმა ყოფილიყო და ჩვეულებრივ იყო ხოლმე კიდეც ან მეფისა ან არა და დიდებულისა ან აზნაურის; მაშასადამე, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, თითქმის მთელი მაშინდელი საქართველო, მეფისაგან მოყოლებული უბრალო მდაბიომდე, პატრონყმობის უღელში იყო შებმული; პატრონყმობის დამახასიათებელს ნაწილს და დაწესებულებას „შეწყალება“ შეადგენდა და ყმა ჩვეულებრივ იმავ დროს „შეწყალებული“ იყო ხოლმე. პატრონყმური დამოკიდებულების ჩამოგდებისას, როდესაც ყმობა ნასყიდობისა და შეუძლებლობითი მოვალეობისაგან არ წარმომდინარეობდა, არამედ ნებაყოფლობითი იყო და შეწყალებულ ყმობას კი ყოველთვის ყმობის მსურველის შესაფერისი აჯა და მოხსენება წინ უძღოდა. პატრონის თანხმობის შემდგომ შეწყალებული ყმა დაილოცებოდა ხოლმე, „წყალობა-ხელდასხმული“ უნდა ყოფილიყო. ყმის მოვალეობას პატრონის ყმებრივი სამსახური და ერთგულება შეადგენდა, განსაკუთრებით ლაშქრობაში. ქონებრივი დამოკიდებულება სხვადასხვაგვარი იყო ხოლმე იმისდა მიხედვით, თუ რა წესით იყო ყმა შეწყალებული, ან რა პირობა ჰქონდათ ერთმანეთში ნებაყოფლობით პატრონ-ყმათა დადებული. შეწყალებულობის არსებითსა და მთავარს თვისებას ის საზოგადო და იმ დროისათვის დამახასიათებელი დებულება შეადგენდა, რომ „მსახურებისა ნაცულად“ უძრავი ქონების ბოძება იყო წესად მიღებული. ჭირში თუ ლხინში პატრონყმანი ერთი მეორეს უნდა მიჰშველებოდნენ, ომიანობის დროს საქართველოს მხედრობა და ჯარი, რასაკვირველია, ტომობრივად იყო დაყოფილი და ასევე იბრძოდა, მაგრამ ამას გარდა და იმავე დროს პატრონყმურადაც იყო დარაზმული; თვითეულ პატრონს გარს ეხვივნენ მისი ყმები, რომელნიც პატრონთან ერთად იბრძოდნენ. ყმები პატრონის თანამყოლნი იყვნენ და მასთან მჭიდროდ

დაკავშირებულნი უმკლავდებოდნენ ხოლმე მტერს. ამიტომ ვინც უფრო ერმრავალი იყო. ის სხვებზე უფრო ძლიერად გრძნობდა თავის თავს“ (ქართ. სამართლის ისტორია, წ. II ნაკვ. 1, გვ. 94—95). „პატრონყმობის დამახასიათებელი ნაწილი და დაწესებულება — შეწყალება“ აკად. ივ. ჯავახიშვილს დაწვრილებით აქვს აღწერილი. კერძოდ, „შეწყალების“ დასახასიათებლად ავტორს ნათქვამი აქვს: „ნებიერ“ ყმობასავით განსაკუთრებული მნიშვნელობა პატრონყმობის წესწყობილების შემუშავებისა და დამკვიდრებისათვის საქართველოში „შეწყალებასა“ და „შეწყალებულებას“ ჰქონდა. ამგვარი ყმობა „ნასყიდი“ ყმობისაგანაც და ნებიერობისაგანაც არსებითად განსხვავდებოდა. ამასთანავე აქ შეწყალებული „ყმების“ მოვალეობად „ერთგულება“ და „სამსახური“ გარკვევით და საგანგებოდ იყო ხოლმე აღნიშნული თვით „წყალობის სიგელშივე“. *მწყალობელი „პატრონი“, „შეწყალებული“ ყმისაგან ქონებრივ გამორჩენასა და სარგებლობას კი არ ელოდა, საყმო გადასახადებს კი არ სთხოვდა, არამედ ერთგულად სამსახურს*“. დაჯილდოვებულს ეს თვისება და მოვალეობა ან უკვე გამოჩენილი ჰქონდა და ამის „ნაცვლად“ იყო „შეწყალებული“, ან „ახლად“ დაილოცებოდა ხოლმე, რომ მომავალში თავისი „ერთგულება“ და „სამსახური“ დაემტკიცებინა. მაშასადამე, ამ შემთხვევაში პატრონყმური დამოკიდებულება სულ სხვა საფუძველზეა დამყარებული. *ამისთანა ყმობაც არაფერს სათაკილოსა და დამამცირებელს არ შეიცავს, როგორადაც დამამცირებელი იყო ნაყიდი ყმობა.* ჯერ ერთი, იმიტომ, რომ „შეწყალებული“ პატრონის სასარგებლოდ არავითარს „გამოსაღებელს“ არ იხდიდა და მარტო „ერთგულება“ და „სამსახური“ ედვა ვალად, ამას გარდა, იმიტომაც, რომ *„შეწყალებული“ თვით იყო ხოლმე „შეწყალებისა“ და ყმობის მოაჯე. მაშასადამე, თვით მისი ნებით ნაკისრები მოვალეობა ედვა.* ამ მხრივ „შეწყალებული“ ცოტა არ იყოს „ნებიერ ყმას“ მიაგავდა“ (იქვე, გვ. 91; ხაზი ავტორისაა).

პატივცემული მკვლევარი სავსებით მართალია, როცა ბრძანებს, რომ იმგვარი ყმობა, რომელსაც თან სდევდა შეწყალების წესი, „*არსებითად განსხვავდებოდა*“ მეორეგვარი ყმობისაგან (სადაც, ვთქვათ, „ყმა“ ნაყიდი კაცის როლში გამოდის) და რომ „*ამ შემთხვევაში პატრონყმური დამოკიდებულება სულ სხვა საფუძველზეა დამყარებული*“. რას წარმოადგენს „შეწყალებული პატრონყმობის“ (ვიხმაროთ ჯერჯერობით პირობითად ეს ტერმინი) ეს „არსებითი სხვაობა“, ეს, „სულ სხვა სა-

ფუძეელი“? პატივცემულ ავტორთან ჩვენ ვპოულობთ სავსებით მართებულ პასუხს ამ კითხვაზედაც: „მწყალობელი „პატრონი“ „შეწყალებული“ ყმისაგან ქონებრივ გამორჩენასა და სარგებლობას კი არ ელოდა, საყმო გადასახადებს კი არ სთხოვდა, არამედ „ერთგულად სამსახურს“, „შეწყალებული“ პატრონის სასარგებლოდ არავითარს „გამოსაღებელს“ არ იხდიდა და მარტო „ერთგულება“ და „სამსახური“ ედვა ვალად“. „შეწყალებული ყმის“ „ერთგულება“ და „სამსახური“ უპირატესად სამხედრო ხასიათისა იყო: „ყმის მოვალეობას პატრონის ყმებრივი სამსახური და ერთგულება შეადგენდა, განსაკუთრებით ლაშქრობაში“. ეს რაც შეეხება „შეწყალებული ყმის“ მოვალეობას. მაგრამ „შემწყალებელ პატრონსაც“ ედო თავისი ვალი „ყმის“ წინაშე: „შეწყალებულობის არსებითს და მთავარს თვისებას ის საზოგადო და იმ დროისათვის დამახასიათებელი დებულება შეადგენდა, რომ „მსახურების ნაცვლად“ უძრავი ქონების ბოძება იყო წესად მიღებული“. სხვანაირად რომ ვთქვათ, „შეწყალებული ყმა“ პატრონისაგან მამულს იღებდა, ეს იყო, ასე ვთქვათ, მისი „მსახურების“ საზღაური. ამგვარ პატრონყმურ დამოკიდებულებას, აღწერილი, ძირითადი ნიშნების გარდა, ჰქონდა უფრო ზოგადი მხარეც: „ჭირში თუ ლხინში პატრონყმანი ერთი მეორეს უნდა მიჰშველებოდნენ“... სავსებით სამართლიანად მიუთითებს აკად. ჯავახიშვილი იმ ფსიქოლოგიურ მხარეზედაც, რომელსაც ფეოდალური საზოგადოებისათვის სრულიად გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა: „ამისთანა ყმობა არაფერს სათაკილოსა და დამამცირებელს არ შეიცავს როგორადაც დამამცირებელი იყო ნაყიდი ყმობა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ „შეწყალებული“ პატრონის სასარგებლოდ არავითარს „გამოსაღებელს“ არ იხდიდა და მარტო „ერთგულება“ და „სამსახური“ ედვა ვალად. ამას გარდა იმიტომაც, რომ „შეწყალებული“ თვით იყო ხოლმე „შეწყალებისა“ და ყმობის მოაჯე“.

ამრიგად, ჩვენ თვალწინ წარმოგვიდგება სრულიად მკაფიო და დამახასიათებელი აღნაგობის მქონე დაწესებულება, რომელსაც ჩვენ პირობითად (და, წმინდა ენობრივი თვალსაზრისით, — უხერხულად) „შეწყალებული პატრონყმობა“ დავარქვით. საკმარისია ჩავუკვირდეთ ამგვარი პატრონყმური დამოკიდებულების ხასიათს, რომ ჩვენთვის ნათელი გახდეს მისი საზოგადოებრივი ბუნება: იგი არ ეკუთვნის ფეოდალური საზოგადოების ძირითადი საწარმოო ურთიერთობის წრეს და არსებითად ზედნაშენის კატეგორიისაა.

მაშ, სად უნდა ვეძიოთ ფეოდალური საზოგადოების ძირითადი კლასების საწარმოო ურთიერთობა? მკითხველმა იცის, რომ საწარმოო ურთიერთობა არის წარმოების ერთი მხარე, მაშინ, როცა საწარ-

მოო ძალები იმავე წარმოების მეორე მხარეა. საწარმოო ურთიერთობა არის ადამიანთა ურთიერთობა წარმოების პროცესში. ცხადია, რომ ამგვარი ურთიერთობა ქართველს ფეოდალურ საზოგადოებაში უნდა ვეძიოთ სხვაგან, იქ, სადაც „ყმა" მწარმოებელია, სადაც იგი მატერიალურ დოვლათს ქმნის და ამ დოვლათის ნაწილს აძლევს თავის „პატრონს", რომლისგანაც გიი პირადად არის დამოკიდებული, მწარმოებლის პირადი თავისუფლების მეტნაკლები შეზღუდვის მნიშვნელობით. ცხადია, რომ ასეთი „ატრონიპ" და ყმ„ა" და მათი „პატრონყმობა" ძირეულად განსხვავდება ზემოთ აღწერილი პატრონყმობისაგან.

ჩვენ უნდა მკაფიოდ გავარჩიოთ ერთმანეთში ფეოდალური ხანის ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების ეს ორი ფორმა. მათი საზოგადოებრივი ფუნქცია სულ სხვადასხვაგვარია, როგორც ეს ქვემოთ იქნება ნაჩვენები.

* * *

იმ გარემოებას, რომ ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ზემოთ ნაჩვენები ორი ფორმა ირევა ერთმანეთში, თავისი ახსნა მოეპოვება როგორც ადამიანების რეალურ დამოკიდებულებათა სფეროში, ისე ამ დამოკიდებულებათა ამსახველ ტერმინოლოგიაშიც. მართალია, ურთიერთობის ორი ზემოთ აღწერილი ფორმა ძირეულად და არსებითად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, მაგრამ მათ ჰქონდათ რაღაც საერთო, რაღაც მსგავსი. ეს საერთო ნიშნები, ეს მსგავსება მეტწილად ფორმალური ხასიათისა იყო,. მაგრამ ამასთან ერთად საკმაოც იმისათვის, რომ ზერელე განხილვისას ფორმალური ნიშნების მსგავსებიდან თვით მოვლენების იგივეობაც დაესკვნათ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ არსებითად განსხვავებულ დაწესებულებათა ერთი ჯაჭვის რგოლებად წარმოდგენა საზოგადოების თვალში ხელსაყრელი იყო გაბატონებული ფეოდალური წრეებისათვის, რომელნიც ცდილობდნენ მწარმოებელი კლასის ცნობიერებაში ჩაენერგათ პატივისცემის, მიზანშეწონილებისა და კანონიერების გრძნობა ფეოდალური საწარმოო ურთიერთობისადმი, რომ ამით ექსპლოატაციისათვის შესაფერისი ფსიქოლოგიური გარემო შეექმნათ.

რომელია ეს საერთო ფორმალური ნიშნები? ჯერ ერთი, ორივე სახის ურთიერთობა საადგილმამულო დამოკიდებულებაზეა დამყარებული. მართალია, საადგილმამულო დამოკიდებულების შინაარსი სულ

სხვადასხვანაირია ორსავე შემთხვევაში, მაგრამ ფორმალურად და ზოგადად ორსავე სახის „ყმას“ „პატრონის“ მიწა უჭირავს და „საყმო“ ვალდებულებანიც აქედან გამომდინარეობენ. შემდეგ, ფორმალურად საერთოა ორივე სახისათვის პიროვნული დამოკიდებულებაც; ერთი „ყმაცა“ და მეორეც პიროვნულად, პირადად არის დამოკიდებული თავის „პატრონზე“; ჩვენ ვნახეთ, ეს პიროვნული დამოკიდებულება არსებითად განსხვავდებოდა თითოეული ცალკე შემთხვევისათვის, მაგრამ ფორმალური მსგავსება მაინც რჩება. ეს ფორმალური მსგავსება ხდებოდა საფუძველი მტკიცებისათვის საყოველთაო ფეოდალური იერარქიის არსებობის შესახებ, რომელშიაც შებმულია ფეოდალური საზოგადოების ყველა წევრი, უკანასკნელი გლეხიდან დაწყებული და მეფით დამთავრებული.

არსებობდა ამ ორი ფორმის „პატრონყმობას“ შორის კონტაქტის სხვა უფრო არსებითი ხასიათის პუნქტები. ისინი ჩვენთვის უფრო ნათელი გახდებიან ქვემოთ; ფეოდალური სახელმწიფო სტრუქტურის ანალიზის დროს, აქ კი უნდა აღვნიშნოთ ისეთი გარდამავალი ფეოდალური ჯგუფების არსებობა, რომელნიც ამ ორი დამოკიდებულების შუა იდგნენ და რომელთა შესახებაც ქვემოთ უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი.

შემდეგ, დიდი როლი ითამაშა ამ დაწესებულებათა აღრევისათვის მერმინდელ თაობათა თვალში ტერმინოლოგიურმა მომენტმა. თითოეულ იმ ტერმინთაგანს, რომელთანაც ჩვენ უკვე გვქონდა საქმე ან გვექნება, საკუთარი ისტორია ახასიათებს. ეს ტერმინები, ისე როგორც მთელი დანარჩენი ლექსიკონიც, მეტნაკლებად, დროთა სიგრძეზე იცვლიდნენ თავიანთ შინაარსს, ვიწროვდებოდნენ ან ფართოვდებოდნენ, უახლოვდებოდნენ ერთმანეთს ან შორდებოდნენ. თუ ტერმინების რეალური მნიშვნელობის ანალიზისას მკაცრი ისტორიული პერსპექტივი დაცული არ არის, შეიძლება შეცდომაში შევიდეთ. კიდევ უფრო დიდი შეცდომა მოსდევს ლექსიკური დიალექტის უგულებელყოფას.

# აზნაური

აზნაური, ფეოდალური საზოგადოების გაბატონებული კლასის წარმომადგენელი. ტერმინი უცხოური წარმოშობისაა და ქართულად გაფორმებულ სიტყვად არის მიჩნეული. ზოგიერთი მკვლევარი მას სომხურ „აზნს“ (გვარი) უკავშირებს, ზოგი — სპარსულ „ზანას“ (გვაროვნობათა კავშირი, ერი), ზოგი — სპარსულ „აზნას“ (წარჩინებული); თავდაპირველად „აზნაური“, ჩანს, „თავისუფალს“ ნიშნავდა, უძველეს ქართულ ნათარგმნ ლიტერატურაში (ძვ. და ახ. აღთქმის წიგნები) ამ მნიშვნელობით არის ნახმარი. „აზნაურთა“, „დიდ-დიდ აზნაურთა“ და „უაზნოთა“ არსებობა ქართულში უკვე V ს. II ნახევრის ორიგინალურ ძეგლში „შუშანიკის მარტვილობაშია“ დადასტურებული. იმდროინდელ საქართველოში არსებობდა წოდებრივი ჯგუფები, კერძოდ, მემკვიდრეობითი პრივილეგიებით აღჭურვილი მემამულეთა წოდება. სახელწოდება „აზნაური“ მომდევნო პერიოდში ყველა წარჩინებულზე გავრცელდა და სწორედ ამ წოდებას აღნიშნავდა. ასე რომ, ქართული „აზნაური“ დაახლოებით იმასვე აღნიშნავდა, რასაც დასავლეთ ევროპული „ნობილი“ (წარჩინებული). აზნაურთა წოდების შინაგანი აღნაგობა სულ უფრო რთულდებოდა. IX ს-იდან მოყოლებული და შემდეგ, ფეოდალური მონარქიის ხანაში, X—XIII სს-ში, ეს სტრუქტურა ასე წარმოგვიდგება: ყველაზე მაღალ წრეს შეადგენდნენ „დიდებულნი აზნაურნი“ ან მარტივად „დიდებულნი“ — მსხვილი ფეოდალური არისტოკრატია. დიდებულად იწოდებოდა ისეთი აზნაური, რომელიც დიდი მამულისა და მრავალრიცხოვან ყმათა მფლობელი იყო და ამიტომ ესა თუ ის დიდი თანამდებობაც ეჭირა. ასეთ აზნაურს საკუთარი ციხეც ჰქონდა. ამდენად „დიდებული აზნაური“ და „ციხოვანი“ ანუ „ციხის უფალი აზნაური“ მეტ-ნაკლებად ერთი და იგივე იყო. იყვნენ, აგრეთვე, „უციხო აზნაურნი“ — საშუალო და წვრილი აზნაურობა. რადგან აზნაურული პრივილეგიები მემკვიდრეობითი ხასიათის იყო, ამიტომ ამ წოდების დიდი უმრავლესობა „მემამულე“, „ნათესავით“ (ე. ი. მემკვიდრეობითი) აზნაურებისაგან შედგებოდა. შედარებით იშვიათად შეიძლებოდა „გააზნაურებაც“, განსაკუთრებით მეფის სამსახურში დაწინაურების გზით. ამგვარად ჩნდე-

ბოდა „მსახურეულ აზნაურთა“ ჯგუფი („ტაძრეულნი აზნაურნიც“ ალბათ იგივენი იყვნენ), რომელიც „დიდგვაროვანთა“ „მსახურეული სახლებისაგან“ განსხვავებით ახლად იძენდა წოდებრივ პრივილეგიებს. ამ წრეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აბსოლუტიზმისადმი მიდრეკილების მქონე მეფეების ცენტრალისტური პოლიტიკისათვის. მემკვიდრეობითი მსხვილი მემამულე არისტოკრატიისა და საშუალო და წვრილი აზნაურობის შინაკლასობრივი ანტაგონიზმი განსაკუთრებით მწვავდებოდა მაშინ, როცა დიდგვაროვან ფეოდალებს ეს „უგვარო“ და ახლად აღზევებული გააზნაურებული მდაბიონი უპირისპირდებოდნენ. სამეფო სამსახურში დაწინაურება, მეფეთა „წყალობისა“ და „ბოძების“ გზით იწვევდა, პირველ ყოვლისა, მიწის, აგრეთვე ფეოდალურ მფლობელობის ყოველგვარი სხვა ობიექტის იმ მატერიალური საფუძვლის ზრდას, რაზედაც დამყარებულია სოციალურ-პოლიტიკური კეთილდღეობა და ბატონობა ფეოდალურ საზოგადოებაში. თავდაპირველად ამ „საბოძვრებს“ პირობითი სამფლობელოს, „საკარგავის“, ხასიათი ჰქონდა და მათი მფლობელნიც „მოსაკარგავე“ აზნაურებად იწოდებოდნენ. სოციალური რაობით ამ ფენას შეესაბამება XIV—XVII სს. რუსული „დვორიანსტვო“. მოსაკარგავე აზნაურები გამუდმებით ცდილობდნენ სამფლობელოს პირობითი ხასიათი შეეცვალათ და სამემკვიდრეოდ ექციათ. ჩვეულებრივ ეს ტენდენცია მიზანს აღწევდა: იმკვიდრებდნენ არა მარტო მიწებს, არამედ პირობითი მფლობელობის სხვა ობიექტებსაც, მაგ., სახელმწიფო თანამდებობებს. ასე ყალიბდებოდა ახალი მსხვილი მემამულე არისტოკრატია, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების მიმართ ძველი დიდგვარიანების პოზიციას იჭერდა.

აზნაურთა წოდების სხვადასხვა ფენის შინაკლასობრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი იყო ე. წ. პ ა ტ რ ო ნ ყ მ ო ბ ა, რომელსაც საფუძვლად, აგრეთვე, საადგილმამულო ურთიერთობა ედო. პატრონყმობის ურთიერთობა ქმნიდა აზნაურის დამოკიდებულებას არა მარტო მეფისაგან, არამედ აზნაურისაგანაც. სათანადო ფაქტებს უკვე ადრინდელ ფეოდალურ ხანაშივე ვხვდებით, აზნაურთა წოდების განვითარების ისტორიაში განსაკუთრებით საინტერესოა თავადთა ინსტიტუტის საკითხი. ძვ. ხანაში თ ა ვ ა დ ე ბ ი, ჩანს, მხოლოდ აზნაურთა საგვარეულოების თავკაცები იყვნენ, მაგრამ XIV—XV სს-ში ისინი უკვე ჩამოყალიბდნენ ცალკე წოდებად, რომელიც ფეოდალურ იერარქიაში აზნაურებზე მაღლა მოექცა. თავადთა ხელში პოლიტიკური ძალაუფლების გადასვლის შემდეგ აზნაურთა წოდება შედარებით დაკნინდა და დამოუკიდებელი მნიშვნელობა დაკარგა. XVI—XVII სს-იდან აზნაურობა თანდათან მოექცა მეტ-ნაკლებად მყარ დამოკიდე-

ბულებაში სამეფო სახლთან, ეკლესიასა და თავადებთან. ამ გზით აზნაურთა სამი ჯგუფი ჩამოყალიბდა. სამეფო აზნაურები მეტი პრივილეგიებითა და გავლენით სარგებლობდნენ, ვიდრე საეკლესიო და სათავადო აზნაურები. დამოკიდებულების საფუძველი ყველა შემთხვევაში ერთი იყო — აზნაურს ბატონის მამული ეჭირა. აზნაურს ბატონისაგან წასვლის უფლება ჰქონდა იმ შემთხვევაში, თუ მის მიწასა და იქ დასახლებულ ყმებზე უარს იტყოდა. ბატონის უფლებები აზნაურის მიმართ დიდი იყო. ბატონს შეეძლო აზნაური მზითვადაც გაეცა. მეფეთა მიერ აზნაურის გაჩუქება ან მზითვად გატანება საეკლესიო და სათავადო აზნაურების გაჩენის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა. ამ დამოკიდებულების წარმოშობის მეორე უმნიშვნელოვანესი პირობა იყო აზნაურთა მცირემამულიანობა ან უმამულობა, რაც მათ აიძულებდა, მსხვილ საეკლესიო თუ საერო მიწისმფლობელთა მფარველობისათვის მიემართათ. უმთავრესად მამულის სიდიდისა და ყმათა რიცხვის მიხედვით, ნაწილობრივ კი შთამომავლობის მიხედვითაც, აზნაურები სამ ხარისხად განიყოფებოდნენ. კერძოდ, სისხლის ფასის მხრივ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი იცნობს დიდს (ანუ გადიდებულს), შუასა და ცალმოგვ აზნაურს. პირველის სისხლს აფასებს 192, მეორისას — 96, მესამისას — 48 თუმნად. აზნაურის საგვარეულოს გაყოფა მამულის დაქუცმაცებას მოასწავებდა და ამ იერარქიულ კიბეზე ჩამოქვეითების მიზეზი ხდებოდა.

რუსეთის მმართველობის დამყარების შემდეგ ქართველ აზნაურთა მდგომარეობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. მეფის ბიუროკრატიული მთავრობა ფორმალურად თითქოს იჩენდა მიდრეკილებას ქართველი თავადაზნაურობა განეხილა ისეთივე სოციალურ მოვლენად, როგორსაც ეს კლასი თვით რუსეთში წარმოადგენდა (ამას მოითხოვდა აგრეთვე 1783 წ. ტრაქტატის სათანადო მუხლი), მაგრამ არსებითად ეს საკითხი ძალთა რეალურ განლაგებასა და საერთო პოლიტიკურ მდგომარეობასთან იყო დაკავშირებული. ცარიზმს ახლად დაპყრობილ ქვეყანაში ეს კლასი თავის სოციალურ დასაყრდენად მიაჩნდა და ცდილობდა მის ისეთ ორგანიზებას, რომ ყველაზე საიმედო ელემენტები გამოეაშკარავებინა. 1803 წ. მთავარმართებელ პ. ციციანოვის პროექტის თანახმად, ქართლ-კახეთში დაარსდა თავადაზნაურობის წარმომადგენლობითი ორგანოები — სამაზრო და საგუბერნიო დეპუტატთა საკრებულოები, სათანადო „წესებში“ რელიეფურად ჩანდა მოვლენის სოციალურ-ეკონომიკური ბუნება: საარჩევნო და წარმომადგენლობითი უფლება, ისე როგორც რუსეთში, საქართველოშიც არ მისცეს იმ აზნაურებს, „რომელთაც არ ჰქონდათ არავითარი საკუთრება და არავითარი შემოსავალი“; ცოტა გვიან დადგა სა-

კითხი მსხვილ ფეოდალთაგან დამოკიდებულ აზნაურთა პირადი და სამამულო უფლებების შესახებ. საკითხი ეხებოდა საეკლესიო და სათავადო აზნაურებს. სამეფო აზნაურები მექანიკურად ჩაირიცხნენ სახაზინო უწყებაში, 1811 წ. მთავრობამ საეკლესიო აზნაურებიც მამულითა და ყმით სახაზინო უწყებაში გადარიცხა. ამასთან სახაზინო მიწებზე მათი გადასახლების განკარგულება გასცა. ბევრად უფრო რთული იყო თავადთაგან დამოკიდებულ აზნაურთა საკითხი. მთავარმართებელ ნ. რტიშჩევის აზრით, სათავადო აზნაურები მდაბიოებად უნდა ჩათვლილიყვნენ და არ უნდა ესარგებლათ რუსეთის აზნაურთა პრივილეგიებით. 1816 წ. რტიშჩევს უცდია კიდეც ამ შეხედულების განხორციელება. შემდეგ მთავრობამ კურსი შეცვალა. 1820 წ. მთავარმართებელ ა. ერმოლოვის წინადადებით, „საქართველოს უმაღლესი მთავრობის საზოგადო კრებამ“ განიხილა სათავადო აზნაურთა საკითხი და გამოიტანა დასკვნა — თავადთა ყმა აზნაურები სამეფო აზნაურთა ტოლნი არიანო. მწვავედ დადგა ამ აზნაურთა მამულების საკითხი. 1825 წ. „საქართველოს უმაღლესი მთავრობის საზოგადო კრებამ“ ერმოლოვს წარუდგინა მოსაზრებები ამის შესახებ, სახელდობრ: ა) თავადებს უცილობელი უფლება უნდა ჰქონოდათ იმ მამულზე, რომლითაც აზნაური თავადის ყმობაში შევიდა მეფეთა წყალობის სიგელით, აგრეთვე, თვით თავადის მიერ აზნაურისათვის ნაბოძებ და აზნაურის მიერ იმავე თავადის სხვა აზნაურისაგან ნასყიდ ან მზითევში მიღებულ მამულებზე. ბ) წასვლის შემთხვევაში აზნაური უტოვებდა თავადს ზემოხსენებული სახის მამულს მასზე მოსახლე გლეხებით; გ) აზნაურთა უცილობელ საკუთრებად რჩებოდა თავადის ყმობაში ყოფნისას. მეფის მიერ პირადად მისთვის ან მისი წინაპრებისათვის ნაწყალობევი და აგრეთვე თავისი ბატონისაგან ან უცხო მფლობელისაგან ნაყიდი მამული. ცენტრალური მთავრობის შეხედულება ამ საკითხზე გამომჟღავნდა მაშინ, როცა სენატმა თავად ორბელიანებისა და მათი ყმის აზნაურ ყაითმაზაშვილის საქმის გარჩევისას გამოთქვა მოსაზრება, რომ ყაითმაზაშვილების დამოკიდებულება ორბელიანებისაგან „ფეოდალურ დამოკიდებულების სახე“ იყო და არა „მიმაგრება“; უფრო ზოგადი სახე ამ შეხედულებამ მიიღო 1833 წ.; როდესაც ნიკოლოზ 1-მა დაამტკიცა სახელმწიფო საბჭოს აზრი, რომ „ხსენებული აზნაურები თავადების დამოკიდებულებაში არ უნდა იმყოფებოდნენ და რომ ისინი უნდა მიჩნეულ იქნენ სამეფო აზნაურთა თანასწორად“. ამ კანონმა სათავადო აზნაურები ყმობისაგან გაათავისუფლა და ქართველ თავადებთან ერთად რუსულ „დვორიანსტვოს“ გაუთანასწორა. საადგილმამულო მფლობელობის საკითხს იგივე დაკუმენტი შემდეგნაირად წყვეტდა: თავადებს მათთვის მეფის მიერ ნა-

წყალობევ აზნაურთა მამულზე უცილობელი უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ენიჭებოდათ, თუ წყალობის სიგელში სპეციალურად იქნებოდა აღნიშნული, რომ აზნაური ნაბოძებია მამულიანად. სხვა შემთხვევაში მამული აზნაურს უნდა დარჩენოდა. ასევე აზნაურს უნდა მიკუთვნებოდა მეფის მიერ ნაბოძები ან თვითონ მის მიერ ნაყიდი მამული. უშვილობის შემთხვევაში ნამზითვი დარჩებოდა ქალის ნათესაობას. თავადის მიერ ნაჩუქარი მამული აზნაურს მხოლოდ თავადისავე სურვილით შეიძლებოდა მიეღო. თავადმა განთავისუფლებულ აზნაურს უნდა აუნაზღაუროს ბატონის მიწაზე ბატონისავე ნებართვით გაშენებული ბაღ-ვენახისა და სხვადასხვა ნაგებობათა ღირებულება. თავადისაგან განთავისუფლებული აზნაური სახაზინო გლეხთა წოდებაში ჩაირიცხებოდა, სანამ აზნაურობას ფორმალურად დაამტკიცებდა. ამას გარდა, მას სახაზინო მიწაც მიეცემოდა; განსაკუთრებით ღარიბ აზნაურს ეს მიწა შემდეგაც არ ჩამოერთმეოდა. თავადებსა და მათგან განთავისუფლებულ აზნაურთა შორის საადგილმამულო დავის გასარჩევად 1836 წ. დაარსდა ადგილობრივი „საშუამავლო“ სასამართლოები. მაგრამ, რადგან ეს სასამართლოები მთლიანად თავადთა გავლენაში მოექცნენ და აზნაურები განუწყვეტლივ ჩიოდნენ მათი უმოქმედობის შესახებ, მათ ნაცვლად 1846 წ. ქ. გორში დაარსდა „განსაკუთრებული დროებითი კომისია“. ამგვარად, რუსეთის თვითმპყრობელობამ ეს მნიშვნელოვანი საკითხი თავისი ბუნების შესაფერად და საკმაოდ ოსტატურადაც გადაჭრა. მთავრობა წვრილი აზნაურობის გაძლიერებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს უპირისპირებდა უკმაყოფილებას, რასაც ძველი პოლიტიკური უფლებების დაკარგვის გამო სულ უფრო მეტად ამჟღავნებდა ქართველი მსხვილი მემამულე არისტოკრატია. შემთხვევითი არ არის, რომ მთავრობის სათანადო აქტი გამოქვეყნდა 1832 წლის შეთქმულების მომდევნო წელსვე. საყურადღებოა ისიც, რომ 1833 წ. პეტერბურგის მმართველი წრეები ამ მხრივ მეტ რადიკალობას იჩენდნენ, ვიდრე ადგილობრივი ხელისუფალნი ოციანი წლების დამდეგს. „დიდგვაროვანთა“ მიმართ თვითმპყრობელობა მაინც ერიდებოდა უხეშ ზომებს, რადგან მისი მიზანი იყო ამ ჯგუფის ერთგვარი „დატუქსვა“ და არასრული გარიყვა. აზნაურთა განთავისუფლებით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება თავადებს სახელმწიფო სამსახურით შეეძლოთ. მთავრობა მათ ამისათვის ფართო შესაძლებლობას უქმნიდა.

მთავრობა კიდევ უფრო დიდ სიუხვეს იჩენდა გლეხობის ხარჯზე ორივე წოდების გულის მოსაგებად: XIX ს. 1 ნახ. თვითმპყრობელობამ საქართველოში ზედიზედ გამოსცა რამდენიმე განკარგულება. რომლებიც მიზნად ისახავდნენ გლეხობის სრულ დამონებას. გლეხებს

აეკრძალათ სასამართლოში ბატონზე საჩივრის შეტანა და სასამართლოს საშუალებით თავისუფლების ძიება. ბატონებს კი, პირიქით, უფლება მიენიჭათ მკაცრად გასწორებოდნენ ურჩ ყმებს. ამ ღონისძიებებით ადგილობრივი გაბატონებული კლასების ყურადღება პოლიტიკური სფეროდან სოციალურ სფეროში იქნა გადატანილი. ერთგვარი შინაკლასობრივი ანტაგონიზმი თავადებსა და აზნაურებს შორის შემდეგშიც იჩენდა თავს.

აზნაურობის ეკონომიური საფუძვლის — ბატონყმური მეურნეობის რღვევამ ამ წოდების შეუჩერებელი დაცემა გამოიწვია. ბატონყმობის გაუქმებამ და კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებამ აზნაურობა საბოლოოდ გააღატაკა. ოქტომბრის რევოლუციამ მოსპო აზნაურობა, როგორც მემამულეთა კლასის ნაწილი და პრივილეგიური წოდება.

### ლიტერატურა:


ყიფიანი დ., მემუარები, ს. ხუნდაძის რედ., ტფ., 1930;

ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგნ. 1, ტფ., 1928; წგნ. 2, ნაკვ. 1—2, ტფ., 1928—29, ჯანაშია ს., შრომები, ტ. 1—2, თბ., 1949—52;

Авалиани С. Л., Крестьянский вопрос в Закавказье, т. I, Од., 1912; Махарадзе Ф., Грузия в XIX столетии, Тб., 1933.

# არაბთა მფლობელობის დამყარება ქართლში

მას შემდეგ, რაც არაბებმა დაიპყრეს სირია, მესოპოტამია და საკუთრივ ირანის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი, მათ გზა გახსნილი ჰქონდათ ამიერკავკასიისკენაც. სომხეთში, მაგ., არაბული პირველი რაზმები გაჩნდნენ, როგორც ჩანს, უკვე 640 წ.

ზოგიერთი მკვლევარი უეჭველად სცნობს, რომ ამ წელს არაბებმა მოახერხეს სომხეთის დედაქალაქ დვინის აღებაც. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ იმავე ხანებში არაბთა მარბიელს თავისი ყურადღება უნდა საქართველოსათვისაც მიეპყრო. მართლაც, ირკვევა, რომ არაბთა თარეში ქართლში გაჩენილა უკვე 642 თუ 643 წელს. არაბი ისტორიკოსი ტაბარი მოგვითხრობს, რომ ადარბადაგანის (ჩრდილოეთ ირანის) საბოლოო დაპყრობის წინ, რაც 643 წ. მოხდა, არაბთა მარბიელი რაზმები სხვადასხვა მიმართულებით მთელ ამიერკავკასიას მოედვნენ: ჰუდჰაიფა გაემართა ალანთა (თუ ალვანთა?) ქვეყნისაკენ. ბუკაირი მუღანს დაეცა, სალმან იბნ-რაბია ალვანეთის მოსაზღვრე სომხურ მთიან პროვინციაში შეიჭრა, ხოლო *ჰაბიბ იბნ-მასლამა ტფილისისაკენ გაეშურაო. არაბები უკუქცეულ იქნენ ყოველი მხრიდან*, გარდა ბუკაირის რაზმისა, რომელმაც დაიპყრო და დახარკა მუღანიო[1]. ამავე ამბავს გულისხმობს, ალბათ, სომხური ცნობა, რომ არარატის ოლქში მდგომმა (არაბთა) ჯარმა მახვილით გაიარა ტაოს, ქართლისა და ალვანეთის მხარეებამდის და დიდი დავლა და ალაფი იშოვნაო[2]. ცხადია, რომ *პოლიტიკურად* არაბთა ეს პირველი ლაშქრობა საქართველოში უშედეგოდ დამთავრებულა. მართლაც, არამც თუ ქართლისათვის, არამედ უფრო მისაწვდომი სომხეთისათვისაც, — მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნის დედაქალაქი დვინი არაბებმა, როგორც ნათქვამი იყო, უკვე 640 წ. აიღეს, — მუსლიმების პირველი შემოსევები ჯერ კიდევ დაპყრობას

---

[1] *Ghazarian*, Armenien unter der arabischen Herrschaft bis zur Enstehung des Bagratidenreiches, Marburg, 1903 (ქვემოთ ყველგან—ღაზარიანი), გვ. 17—18; ცნობა ეკუთვნის ტაბარის.

[2] *Սեբեոս*, Պատմութիւն ի Հերակլն, პეტერბურგის გამოც. 1879 წ. (ქვემოთ ყველგან (სებეოსი), გვ. 118.

არ მოასწავებდა. ხალიფას რაზმები ქვეყნის მოთარეშეების შემდეგ იძულებული ხდებოდნენ უკან გაბრუნებულიყვნენ. სომხეთში ორმოციან წლებისათვის სამი ასეთი შემოსევაა აღნიშნული (640, 642—3, 650 წწ.). ამ ხნის განმავლობაში მთელი ქვეყანა ბიზანტიის კეისრის უზენაეს ხელისუფლებას აღიარებდა, არაბთა შემოსევებს კი მხოლოდ ყაჩაღური თარეშების ხასიათი ჰქონდა. ადგილობრივ მთავართა პოლიტიკაც ცვალებადი იყო. ისინი ხან არაბების მხარეს გადადიოდნენ, ხან ბიზანტიურ ორიენტაციას უბრუნდებოდნენ. სომხეთის დაპყრობას (ისიც არა საბოლოოდ) არაბთა მიერ სომეხთა მკვლევარნი VII ს. ორმოცდაათიან წლებს მიაკუთვნებენ[3].

დაახლოებით ასევე ვითარდებოდა არაბ-ქართველთა ურთიერთობა ამ ხანაში. შედარებით მყარ შედეგებს ქართლში არაბები მხოლოდ VI საუკუნის ორმოცდაათიან წლებში აღწევენ. არაბული, სომხური და ბიზანტიური ცნობების შედარებითი შესწავლით საკმაოდ კარგად ირკვევა არაბთა მიერ ქართლის პირველი დაპყრობის ამბავი.

652 წ., როცა სომხეთის მმართველი, თეოდოროს რშტუნი, გადაუდგა ბიზანტიელებს და არაბებს დაუმორჩილა თავისი ქვეყანა, სომეხი თანამედროვე მემატიანის, სებეოსის, ცნობით, მასთან (რშტუნისთან) თანხმობაში ყოფილან (*եին ընդ նմա միաբան*) ქართველი, ალვანელი და სივნიელი (იგულისხმებიან მთავრები). რა რეალურ შინაარსისა იყო ეს კავშირი, ან რას ემყარებოდა იგი, არ ჩანს. როცა კონსტანტინე კეისარმა (III) ამ განდგომის საპასუხოდ თეოდოროსის წინააღმდეგ სათანადო ღონისძიებანი მიიღო და

---

3 ლაზარიანი თ., 36—37, რომელიც სებეოსს, როგორც წყაროს, სამართლიანად უპირატესობას ანიჭებს ბალაძორის წინაშე, არაბთა პირველი შემოსევა სომხეთში მოხდა ომარის ზეობაში, მაგრამ მალე არაბებმა ხელი აიღეს ამ ქვეყანაზე და იგი ისევ ბიზანტიელებს დაუბრუნდა. 653 წ. სომხები ნებაყოფლობით დაემორჩილნენ არაბებს. ორი წლის შემდეგ, როცა ბერძენთა ჯარებმა ქვეყანა კვლავ დაიპყრეს, არაბებმა ისევ დალაშქრეს ქვეყანა და დაიპყრეს იგი სისაკანსა, ალვანეთსა და საქართველოსთან ერთად. ამჟამად არაბებმა აქ გასძლეს მხოლოდ 657 წლამდის, როცა სირიაში არეულობა დაიწყო და სომხეთი კვლავ ბერძენთა ხელში გადავიდა, მაგრამ მალე კვლავ ხალიფა დაეპატრონა ქვეყანას; თავისი გამეფებისას 661 წ., მოავიამ წერილობით მოსთხოვა სომხებს მორჩილება და ხარკის გადახდა. კათალიკოსმა და მთავრებმა შეასრულეს ეს მოთხოვნაო. სომხეთის პირველ დაპყრობას ორმოცდაათიან წლებში დასდებს საკითხის უკანასკნელი მკვლევარი, პროფ. მანანდიანიც (Յ. Մանանդյան. Մանր հետազոտություններ, Երևան, 1932); ლევონდიც (იხ. ქვ., გვ. 11) ადასტურებს, რომ პირველი შემოსევების შემდეგ, ორმოციან წლებში, არაბები ათი წლის განმავლობაში აღარ შესულან სომხეთში.

მეამბოხეების წინააღმდეგ ლაშქარი გაუძახა, თეოდოროსთან ერთად და ვითომც მისივე ბრძანებით თავთავიანთი ქვეყნებისაკენ გაეშურნენ ქართველი, ალვანელი და სივნიელი მთავრები და იქ გამაგრდნენ[4]. შემდეგ, იმავე მწერლის ცნობით, როცა კეისარმა სომხეთის უდიდესი ნაწილი კვლავ თავისი გავლენის სფეროში მოაქცია და აირარატის ოლქის დალაშქვრის შემდეგ ქ. დვინში დაბანაკდა, აქედან მან რაზმები დაგზავნა „საზეპურო გუნდსა“ (*սեպհական գնդին*), ქართლსა, ალვანეთსა და სივნიეთში, რათა გათიშვა შეეტანა მათს კავშირში (გამოეთიშა ისინი კავშირისაგან, შეთანხმებისაგან, *քակտել զնոսա ի միաբանութենէ*, — აქ, ალბათ, იგულისხმება კავშირი და შეთანხმება ურთიერთშორის და თეოდოროს რშტუნისთან). ალვანეთი, სივნიეთი და „საზეპურო გუნდი“ არ დამორჩილდნენ კეისარს, რის გამოც ეს ქვეყნები დაარბიეს და აიალაფესო[5]. გამოდის, რომ ქ ა რ თ ლ ი, ამ ქვეყნებისგან განსხვავებით, დ ა მ ო რ ჩ ი ლ დ ა  კ ე ი ს ა რ ს და ამიტომ აოხრებასაც გადარჩა.

რომ, მართლაც, ქართლზე ამ დროს არაბებს ჯერ კიდევ არავითარი გავლენა არ ჰქონდათ, ეს ჩანს შემდგომი მოთხრობიდან: როცა კეისარი უკან გაბრუნდა, თეოდოროს რშტუნი ისევ შეუდგა ძველი მდგომარეობის აღდგენის ცდას. ეს ცდა იმით იყო გაადვილებული, რომ ზამთრის დღეების გასვლის გამო დიდი დღესასწაულის (იგულისხმება აღდგომა) მოახლოვებისას რომაელებმა ასწრაფებით დატოვეს სომხეთი და ტაოში გაიქცნენო.

ეს უკანდახევა იმით აიხსნება რომ არაბებს, ცხელი ქვეყნის შვილებს, ზამთარში საომარი ოპერაციების წარმოება უძნელდებოდათ, გაზაფხულის დადგომასთან კი ამ მხრივ ხელ-ფეხი ეხსნებოდათ. ცხადია, მაშასადამე, რომ მათს მოწინააღმდეგეს თავისი საკუთარი ძალების იმედი ცოტა დარჩენოდა. მართლაც თეოდოროსი, რომელსაც ადრევე მიეღო არაბებისაგან დამხმარე სამხედრო რაზმი, ახლა თვითონ წავიდა დამასკოში. აქ ისმაიტელთა მთავარმა მოავიამ იგი დაასაჩუქრა და მისცა სომხეთის, ქართლის, ალვანეთისა და სივნიეთის მთავრობა,

---

4 ს ე ბ ე ო ს ი, 138—139; სებეოსით, ეს ამბავი მომხდარა კონსტანტინე III-ის მეთორმეტე წელს, ე. ი. 653 წ. (ჩვეულებრივად, კონსტანტინეს გამეფებას 641-ში დასდებენ). მაგრამ იმ ადგილებიდან, სადაც სებეოსი სხვა სინქრონისტულ თარიღებსაც იძლევა, ჩანს, რომ იგი კონსტანტინე III-ის მეფობას 640-დან იწყებს და ჩვენც ამ გარემოებას ვითვალისწინებთ ჩვენს ანგარიშში. ამ კერძო შემთხვევაში 652 წ. კარგად ეთანხმება მომდევნო ამბების ქრონოლოგიას.

5 ს ე ბ ე ო ს ი, 139—140. ეს ამბავი ხდება, ავტორის განსაზღვრით, კონსტანტინე კეისრის მე-12 წელსა და ისმაიტელთა ბატონობის (იგულისხმება ხალიფების ზეობა, 632 წ. და შემდ.) მე-20 წელს, ე. ი. იმავე 652 წ.

ვიდრე კაპკოჰამდის (კავკასიონამდის) და ჭორამდის (დარუბანდამდის). ამასთან ერთად პირობა დაუდო, თეოდოროსს მორჩილებაში მოეყვანა ეს ქვეყანაო[6]. მაშასადამე, მოავიას „სულგრძელი" საჩუქარი ცარიელი აღთქმა იყო და იგი რეალური შინაარსით თვით თეოდოროსს უნდა აევსო ჩამოთვლილ ქვეყნების დაპყრობით. უეჭველია, რომ დასაპყრობი ქვეყნების რიცხვს, პირველ რიგში, ქართლიც ეკუთვნოდა. მართლაც, რომ არაბები და მათი ადგილობრივი აგენტები მხოლოდ აპირებდნენ ქართლის დაპყრობას; ესეც მკაფიოდ ჩანს შემდგომი ცნობებიდან. კონსტანტინე კეისრის მე-13 წელს, ე. ი. 652 წ., არაბებმა საშინელი დამარცხება განიცადეს ქალკედონთან საზღვაო ბრძოლაში ბიზანტიელების წინააღმდეგ. არაბები იძულებული შეიქნენ უკან დაეხიათ. შემოდგომის გასვლისა და ზამთრის მოახლოებისას არაბთა ჯარი მოვიდა და დაბანაკდა დვინში. იგი ფიქრობდა ქართლზე გალაშქრებას და ამ ქვეყნისათვის მახვილის დაცემას. არაბები მუქარით უთვლიდნენ ქართველებს: ან მოდით და გვემსახურეთ, ან დატოვეთ თქვენი ქვეყანა და წადითო. იმათ (ე. ი. ქართველებმა) არ ისურვეს ამ მოთხოვნის შესრულება და მოემზადნენ არაბთა წინააღმდეგ ომისათვის. ისმაიტელებმაც ბრძოლით გაილაშქრეს მათ წინააღმდეგ, რათა სრულიად მოესპოთ ისინი. მაგრამ ისევ ზამთარმა გააქარწყლა არაბთა ზრახვები: როცა ისინი გზას გაუდგნენ, მოიცვა ისინი ყინვამ და თოვლმა, რის გამოც სასწრაფოდ დაბრუნდნენ უკან და ასურეთში (სირიაში) წავიდნენ[7]. ეს, მაშასადამე, 653 წლის ზამთრის პირში უნდა მომხდარიყო.

რაკი არაბებმა სომხეთი დატოვეს, ამ ქვეყნის მთავრებმა ერთმანეთში პირობა შეკრეს თანხმობისა და მშვიდობიანობისათვის და, სხვათაშორის, იმჟამად ავადმყოფი თეოდოროს რშტუნის ქვეყანაც გაიყვეს. ამის მნახველმა რშტუნიანთ უფალმა კვლავ ჯარი სთხოვა ისმაიტელებს, რათა დაემხო და დაეთრგუნა სომხეთი და მახვილით გაენადგურებინა ქართლი[8]. ცხადია, რომ ქართლი ისევ თავისთვის იყო და არაბთა და მათი ერთგული ადგილობრივი მთავრების მუქარას ანგარიშს არ უწევდა.

ახალი ცვლილებები მალე მოხდა. სომეხთა მთავარმა, მუშელ მამიკონიანმა, რომელიც გადაუდგა ბიზანტიელებს, არაბთა სამსახური იკისრა. ამავე წელს სომხეთში მდგარმა არაბთა ჯარმა კიდით კიდემდის დაიპყრო მთელი ქვეყანა. ქვეყნის მთავართა უმრავლესობა შეითქვა, არაბების სამსახურში ჩადგა და მოსწრაფებით ასრულებდა მათს

---

6 სებეოსი, 143.
7 სებეოსი, 145—146.
8 იქვე, 146—147.

ნებას. მაგრამ, ჩანს, სომხეთშიაც დარჩნენ უკმაყოფილო ელემენტები. ასე, მაგ., არაბთა სარდალმა, რომელიც არუჭ-აშნაკში იჯდა და რომელსაც მემატიანე „უწყალო ჯალათს“ ეძახის, ჰაბიბმა (უეჭველია, ჰაბიბ-იბნ-მასლამა, რომელმაც 642—3 ქართლის წინააღმდეგ ილაშქრა) სიკვდილით დასაჯა ერთი სომეხი მთავართაგანი, არტავაზდ დიმაკსიანი. აქ ერთხელ კიდევ დაეხმარა ბიზანტიელებს მათი ბუნებრივი მოკავშირე — ზამთარი: იდგა მკაცრი ყინვიანი ზამთრის დღეები, როცა არაბებს ბრძოლის ველზე გასვლა არ შეეძლოთ. ბიზანტიელებმა ამით ისარგებლეს და სომხეთის ზოგიერთი ოლქი მოარბიეს — გაძარცვეს დვინი და ნახჭევანს ებრძოდნენ. ბიზანტიელების ამ რაზმს სარდლობდა მავრიანოსი[9], რომელიც სომხეთის მმართველად იყო დანიშნული კონსტანტინე კეისრის მიერ ჯერ კიდევ 652 წ.[10].

გაზაფხულზე, როგორც ჩანს, 654 წლის გაზაფხულზე, არაბებმა მათთვის ხელსაყრელი დრო იხელთეს, თავისი მხრით შეუტიეს ბიზანტიელებს, ნაწილი გაჟლიტეს, ხოლო დანარჩენი გააქციეს. გაიქცა თვით მავრიანოსიც, რომელმაც ქართლს შეაფარა თავი. არაბებმა ამის შემდეგ აიღეს კარნუ ქალაქიც (ერზერუმი) და მასთან ერთად გაძარცვეს მთელი სომხეთის, ალვანეთისა და სივნიეთის ქვეყნები. მაგრამ ახლა უკვე, ჩანს, არაბები ამ ქვეყნების მმართველ წრეებს აღარ ენდობოდნენ და მათ მძევლები გამოართვეს[11].

ქართლის პირველი დამორჩილება არაბთა მიერ სწორედ ამ ეპიზოდის, ე. ი., მავრიანოსის დამარცხების, შემდეგ მოხდა[12]. იგივე ჰაბიბი, როცა

---

9 სებეოსი, 149.

10 იქვე, 143.

11 იქვე, 149—150. ბიზანტიელი მემატიანე თეოფანე, Chronographia, Bon. 1, 527—8, აგრეთვე, იცნობს არაბთა სტრატეგოს ჰაბიბის მიერ რომაელთა სტრატეგოსის მავრიანოსის დამარცხებისა და ამ უკანასკნელის კავკასიის მთებისაკენ გაქცევის ამბავს, რასაც იგი 6145 წლით ათარიღებს, რადგანაც თეოფანე პანოდორეს სისტემას მისდევს, ამიტომ მისი თარიღი უდრის 653 წ. ახ. წ. მცირე სხვაობა მოცემულ თარიღებს შორის ადვილად აიხსნება წლისთავის ანგარიშის განსხვავებით. ამავე ამბავს მოგვითხრობს აგრეთვე არაბი მემატიანე ბალაძორი, რომლის ცნობით, ჰაბიბი ამარცხებს მავრიანოს ბიზანტიელს ქ. დებილთან (ე. ი. იმავე დვინთან) და კლავს კიდევაც მას. ეს უკანასკნელი მტკიცება მართალი არ არის, რაც ბიზანტიურ-სომხურ ჩვენებებთან შედარებით ირკვევა. იხ. Из соч. Баладзори, Книга завоевания стран, текст и перевод,. Перевод с арабского проф. П. К. Жузе, Баку, 1927 (ქვემოთ—ყველგან ბალაძორი, ჟუზე), გვ. 9.

12 ეს უეჭველობით გამომდინარეობს ბერძნულ-სომხურ-არაბული ცნობების თანხმობიდან ამ ამბების თხრობაში, რაც ქვემოთ უფრო დაწვრილებით იქნება ნაჩვენები.

სომხეთ-ალვანეთ-სივნიეთი უკვე დამორჩილებულად მიიჩნიეს არაბებმა, ახლა ქართლისაკენ გაემართა. ადვილად შესაძლებელია, რომ ჩვეულებრივი ამოცანების გარდა (დაპყრობა ან ხარკი და ალაფი) ჰაბიბი ამხელად მიზნად ისახავდა, აგრეთვე, მავრიანოსის საბოლოო განადგურებას (ეს ბიზანტიელი სარდალი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ხომ სწორედ ქართლში იყო შეხიზნული თავისი დამარცხების შემდეგ ჰაბიბთან ბრძოლაში). ეს უნდა მომხდარიყო, ამბების განვითარების მიხედვით, 654 წლის დამლევს, ან 655 წელს[13]. ყოველ შემთხვევაში, ხალიფა ოსმანის დროს (ოსმანი მოკლეს 656 წ. 17 ივნისს).

ქართლისაკენ გალაშქრებულს არაბ სარდალს წინ შეჰგებებია ქართლის პატრიკიოზის, ე. ი. ერისმთავრის, ელჩი და პატრიკიოზის სახელით ზავისა და მშვიდობის სურვილი განუცხადებია მისთვის და საჩუქრებიც მიურთმევია. ქართველთა ელჩს მოქარგული დიპლომატიური ენით ქება-დიდება შეუსხამს არაბებისათვის. ქართველთა ასეთი ლმობიერება, ალბათ, იმ გამოცდილების ნაყოფი იყო, რომელსაც მეზობლებს უხვად აძლევდა სომხეთის ვითარება. ამ ქვეყანამ წინამორბედს და მდგომარე წლებში დიდი რბევა და აწიოკება გამოსცადა არაბებისაგან იმის გამო, რომ მას დიდხანს არ სურდა ახალი ბატონობა ეცნო. გარდა ამისა, ქართლის მმართველ წრეებს უთუოდ აფიქრებდათ თავიანთი კავშირი ბიზანტიელებთან, ნაწილობრივ, უკანასკნელ სამხედრო ოპერაციებშიაც: ჰაბიბის მოწინააღმდეგე ბიზანტიელი სარდალი, არაბებისაგან დამარცხებული და ლტოლვილი, ხომ სწორედ ქართლში იმალავდა თავს. გარდა ამისა, რა თქმა უნდა, ქართლის ესევე წრეები ბოლოსდაბოლოს არც ისეთი სიძნელით უნდა შეჰრიგებოდნენ ერთი სიუზერენის შეცვლას მეორეთი.

ყოველ შემთხვევაში, აღნიშნულ ნაბიჯს კეთილი შთაბეჭდილება

---

13 მთავარ წყაროს ამ ამბების შესწავლისათვის ბალაძორი წარმოგვიდგენს. ბალაძორით, მავრიანოსის დამარცხების შემდეგ ჰაბიბი იღებს კალიკალას (ასე ეძახდნენ არაბები ერზერუმს), იმორჩილებს ხლათს, მოქს, არჭეშისა და ბიჯნისის ოლქებს, აშტიშატს, დვინს, სირაჯტაირსა და ბაგრავანდს, ნიშავს (ნახჭევანს), ბოსფორაჯანს (ვასპურაკანს) და სისაჯანს (სივნიეთს) და მხოლოდ ამის შემდეგ მიემართება ტფილისისაკენ (ბალაძორი, ჟუზე, 9—11). ცხადია, რომ ამოდენა ოპერაციას დიდი დრო დასჭირდებოდა. საკვირველია, რომ სებეოსმა არაფერი იცის ქართლის დაპყრობის შესახებ ჰაბიბის მიერ. არაბული წყაროები კი ამ პუნქტში მეტნაკლებად ეთანხმებიან ერთმანეთს. ტაბარი, მაგ., იცნობს ყველა ამ დოკუმენტს, რომლებიც დაკავშირებულია ჰაბიბის მიერ ქართლის დალაშქვრასთან და აგრეთვე ჰაბიბის ბრძოლას მარვიანოსთან (ლაზარიანი, 20, შემდ.). იაკუბიც ამბობს: „გადმოგვცემენ რომ ჰაბიბ-იბნ-მასლამამ დაიპყრო ჯურზანი (ქართლი)“ (იხ. Якуби, „История“, текст и перевод. Перевод с араб. П. К. Жузе, Баку, 1927, გვ. 5) (ქვემოთ ყველგან— იაკუბი, ჟუზე).

მოუხდენია არაბთა სარდალზე. მორთმეული ძღვენი მომავალი ხარკის ანგარიშში იქნა ჩათვლილი და ქვეყანას დაცვის სიგელი მიეცა, რომელშიაც ორივე მხარის უფლება-მოვალეობანი იყო აღნუსხული. ეს სიგელი დაცული აქვთ არაბ მწერლებს და საყურადღებო დოკუმენტია. იგი გაცემულია ტფილისში დაბანაკებული ჰაბიბის მიერ ტფილისის მცხოვრებლებისა და „წითელ ქართლი"-დან, მანგლისიდან, თავმოყრილებისადმი. პირველი წრე, ალბათ, გულისხმობს შიდაქართლს, რომლის სათავეში დგას პატრიკიოზი, საჯდომით ტფილისში, ხოლო მეორე, ალბათ, „ქართველთა საპიტიახშოს", ე. წ. გუგარეთს, რომლის სათავეში პიტიახში დგას, რეზიდენციით მანგლისში. სიგელის მთავარი მუხლები შემდეგია: 1) არაბები მოსახლეობის სარწმუნოებრივ აღსარებას ხელუხლებელს ტოვებენ; 2) მოსახლეობა აღიარებს მორჩილებას და იხდის ჯ ი ზ ი ა თ ს, პირად გადასახადს, თ ი თ ო დ ი ნ ა რ ს კ ო მ ლ ი ს თ ა ვ ზ ე; 3) ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობს, არ შეცვალოს ხელოვნურად კომლთა არსებული რიცხვი თვით გადასახადის შეცვლის მიზნით თავის სასარგებლოდ: ქართველები არ გააერთიანებენ კომლებს, ხოლო არაბები არ დაშლიან; 4) მოსახლეობა ვალდებულია, დაეხმაროს რჩევითა და საქმით მუსლიმებს მათი მტრების წინააღმდეგ, ე. ი. სამხედრო სამსახურს კისრულობს; ამასთან დაკავშირებულია მოვალეობა გაჭირვებული და ჩამორჩენილი მუსლიმის, მეომრისა თუ საერო პირის შეფარებისა და დახმარებისა; 5) ისლამში გადასული დამპყრობელთა ძმად ითვლება, ე. ი. უნდა ვიგულისხმოთ, ჯიზიათისაგან (პირადი გადასახადისაგან) თავისუფლდება; სხვებისთვის ყველასთვის ჯიზიათის გადახდა სავალდებულოა; 6) ყოველივე ამის სანაცვლოდ არაბები იძლევიან პირადი უშიშროების გარანტიას. სიგელი ითვალისწინებდა ზოგიერთ სხვა პირობასაც[14].

იგივე არაბი ისტორიკოსი ბალაძორი იუწყება ჰაბიბის მიერ ზოგიერთი სხვა პროვინციის დაპყრობის შესახებ. რადგანაც ეს ცნობა უშუალოდ მოსდევს თხრობას ქართლის დამორჩილების შესახებ და რადგანაც პროვინციების სიაში ზოგიერთი სახელი ძალიან მოგვაგონებს ქართულ თემებსა და ქალაქებს (შავშეთი, სამცხე, ბაზალეთი, ხუნანი, კლარჯეთი და სხვ.); ამიტომ ფიქრობენ, რომ აქაც აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს შესახებაა საუბარი. თუ ეს მართალია, მაშინ განსაკუთრებით უნდა მიგვექცია ყურადღება იმ ცნობი-

14 ბ ა ლ ა ძ ო რ ი, ქ უ ზ ე, 11—12; შეადრ. ღ ა ზ ა რ ი ა ნ ი, 22—27. ხსენებული დოკუმენტების სრული ქართული თარგმანი იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, 343—347.

სათვის, რომ აღნიშნული რაიონების მოსახლეობას დაეკისრა არა მარტო ჯიზიათი (პირადი გადასახადი), არამედ — ხარაჯაც (გადასახადი მიწაზე)[15]

ახლად დამყარებულ ურთიერთობას დიდი შედეგი არ უნდა მოჰყოლოდა, რადგანაც არაბებმა პირველხანად სულ ორიოდე წელიწადი თუ გაძლეს ქართლში. შინაურმა დაბრკოლებებმა და შემდეგ შფოთმა (ბრძოლა ხალიფას ტახტის გარშემო 657—661 წწ.) არაბების მდგომარეობა ამიერკავკასიაში ძირიანად შეარყია[16]. სამწუხაროდ, VII ს. მეორე ნახევრისათვის ცნობები მეტად ნაკლული სახითაა მოღწეული როგორც ადგილობრივს, ისე უცხოურ მწერლობაში. ერთი რამ ცხადია მხოლოდ: მდგომარეობა უაღრესად ცვალებადი იყო და არც ერთი დამპყრობლის მეტნაკლებად ხანმოკლე მოვლენა არ შეიძლებოდა მტკიცე დამკვიდრებად გადაქცეულიყო ამ შორეულ ქვეყნებში. სომხური ცნობებით, სომხეთი ხარკს იხდის როგორც ხალიფა მოავიას (661—680 წწ.), ისე მისი შვილის იაზიდის (680—683 წწ.) დროს, ე. ი. VII ს. ოთხმოციან წლებამდის. ასოღიკით (პეტ. გამ., 1885 წ., გვ. 122), „მოავიამ გრიგოლი მთავრად დაადგინა სომხეთსა და ქართლში", ლევონდით კი, გვ. 14 (იხ. ქვ.), გრიგოლს სომეხთა მთავრის პატივი ებოძა მხოლოდ, ხოლო ხალიფა აბდ-ალ-მალიქის

---

15 ბალაძორი, ქუზე, 13. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ლაზარიანი (გვ. 27), არც ის ჩანს მკაფიოდ, აღნიშნული თემების დაპყრობა უშუალოდ მოჰყვა ტფილისისას თუ არა (გეოგრაფიული ნომენკლატურის განმარტებისათვის იხ. ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, 347). ცნობა აღმოსავლეთ-სამხრეთ საქართველოს დაპყრობის შესახებ ჰაბიბის მიერ აქვს აგრეთვე იბნ-ალ-ფაკიჰს (СМОМПК XXXI, 26—27). უკანასკნელის ცნობაში საყურადღებო ისაა, რომ ქართლიც (მთარგმნელს „ჯურზანი" რატომღაც „ჯურრახით" გადმოუცია) ჯიზიათთან ერთად ხარაჯასაც (ე. ი. სამამულო გადასახადს) კისრულობს.

16 ამ მხრივ საყურადღებო ცნობები აქვს სებეოსს: ჰაბიბის ალწერილ ლაშქრობათა შემდეგ სომხები გათავისუფლდნენ არაბთა სამსახურისაგან და ბერძენთა მეფეს დაუმორჩილეს თავი. ამის საპასუხოდ ისმაიტელთა მეფემ თავები დააყრევინა მასთან მყოფ სომეხთა მძევლებს, რიცხვით თითქმის ორიათასამდე კაცს. სომხები ბიზანტიელთა მხარეს გადავიდნენ ალვანეთისა და სივნიეთის მთავრებსა და ერთან ერთად. ყველა ისინი, ვინც ირანთა ბატონობის დროს ადარბადაგანზე იყო მიწერილი (იგულისხმება ფისკალური მხრით), ეხლა სომხებს შეუერთდნენ. ამის შემდეგ აქვს ავტორს მოთხრობილი ოსმანის მოკვლა, ალის მოკვლა და მოავიას გამეფება (სებეოსი, 151—153). გამოდის, თითქოს სომხეთისა და „ადარბადაგანის" (ზოგადი მნიშვნელობით) გათავისუფლება არაბთაგან 656 წ. ივნისამდე მოხდა. ამ არაბებისაგან განთავისუფლებულსა და ბიზანტიელთა მხარეს გადასულ ქვეყანათა შორის ქართლიც უნდა ვიგულისხმოთ. ან რა გააძლებინებდა ქართლში არაბებს, როცა ყველა მეზობელი ქვეყნიდან ისინი იძულებული შეიქნენ, წასულიყვნენ.

(685—705 წწ.) მეფობაში ამტყდარი შინაურ შფოთის დროს სომხებმა, ქართველებმა და ალვანელებმა ოცდაათი წლის მორჩილების შემდეგ უარი თქვეს არაბებისათვის ხარკის ძლევაზეო, მოგვითხრობს ძველი სომეხი მემატიანე ლევონდი. ლევონდის მტკიცებით, შფოთი და კავკასიელი ხალხების განდგომა მომხდარა აბდ-ალ-მალიქის ზეობის მეორე წელს, ე. ი. 686 წ. სომეხ-ქართველ-ალვანელთა ურჩობა არაბთა მიმართ სამი წელიწადი (ე. ი. 689 წლამდე) გაგრძელდაო, — დასძენს იგივე წყარო[17].

ამ ცნობებს ადასტურებენ ბიზანტიური წყაროები, რომელთა მიხედვითაც 686 წ. ბიზანტიის კეისარსა და ხალიფას ზავი შეუკრავთ და საზავო პირობებში, სხვათა შორის, ასეთი მუხლიც შეუტანიათ, რომ კვიპროსის კუნძულისა, არმენიის (სომხეთის) და ივერიის (ქართლის) ქვეყნებიდან შემოსულ ხარკს შუაზე იყოფდნენ[18]. ცხადია, როცა არაბები ბიზანტიელებს წილს უდებდნენ ამ ქვეყნების ხარკში, ამით ისინი სწორედ ადასტურებდნენ ლევონდის მიერ მოთხრობილ ამბავს ხსენებული ხალხების ამბოხების შესახებ. მაგრამ თვით ბიზანტიელები მიღწეული წარმატებით არ დაკმაყოფილებულან: იმავე წელს იუსტინიანე კეისარს (II) კავკასიისკენ სარდალი ლეონტი გაუგზავნია, რომელსაც იქაური სარკინოზები გაუჟლეტია და კეისრისათვის დაუმორჩილებია სომხეთი, ქართლი, ალვანეთი, მოვაკანი და ადარბადაგანი[19]. ამდროინდელ ქართლის ვითარებას გულისხმობს, ალბათ, მეორე სომხური ცნობა, რომ ქართლის ერისთავმა ნერსემ თავისი ქვეყნიდან არაბები განდევნაო[20].

რაც შეეხება ალვანეთს, თვით ალვანურივე ცნობებით, ეს ქვეყანა, აბდ-ალ-მალიქის დროს, როცა სომხეთი კვლავ ხალიფას განკარგულებაში იმყოფება, არ ემორჩილება არაბებსა და ბიზანტიისაკენ არის მიდრეკილი პოლიტიკურად და კულტურულად. სომეხი სამღვდელოება აბეზღებს ამიტომ თავის ალვანელ თანამოძმეებს ხალიფასთან.

---

17 Պատմութիւն Ղևոնդեայ մեծի Վարդապետի Հայոց Մ. Պ., (ქვემოთ—ლევონდი), გვ. 15. ლევონდის ცნობა, რომ კავკასიელი ხალხები ოცდაათი წელიწადი ემსახურებოდნენ არაბებს, ზუსტად შეეფერება ჩვენ მიერ ზემოთაღნიშნულ თარიღს არაბთა მფლობელობის დამყარებისას ამ ქვეყნებში 654-5 წ, (+30=684-5).

18 თეოფანე ქრონოგრაფი, Bon, I, 555. თეოფანეს ქრონოლოგიით, ეს ამბავი ხდება იუსტინიანე კეისრის (II) ზეობის პირველ წელს, ე. ი. 685—6 წ.

19 იქვე, I, 556. მოვაკანად განვმარტეთ ჩვენ ტექსტის Boulkakia, რასაც ვარიანტული საკითხავები Bulkania, განსაკუთრებით Boukania — და თანამედროვე არაბული ცნობები უჭერს მხარს. ადარბადაგანის მნიშვნელობით ტექსტში მიდიაა ნახმარი. შეადრ. А. Мюллер. История ислама, II, 49.

20 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 349

მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გადასცემს ალვანეთის მთავარი არაბებს თავის ქვეყანას[21].

მაგრამ, როგორც უკვე ვამბობდით, VII საუკუნის მეორე ნახევარი ისეთი ხანა იყო, როცა მიღწეულ წარმატებებს ხანგრძლივად ვერავინ ინარჩუნებდა და მტკიცე მდგომარეობასაც ვერავინ იქმნიდა. ამ მხრივ. საერთო შფოთსა, არევ-დარევასა და ძარცვა-გლეჯაში თავისი გულმოდგინე წვლილი ხაზარებსაც შემოჰქონდათ. 689 წ., მათ ხელში ჩაუგდიათ და მოურბევიათ სომხეთი და ქართლსა და ალვანეთშიაც მთავრები და მფლობელები გაუჟლეტიათ[22].

პოლიტიკური და სამხედრო მდგომარეობის ცვალებადობას, ჩანს, ერთხელ კიდევ უჩენია თავი მეშვიდე საუკუნის მიწურულში, როცა არაბებმა, საფიქრებელია, კვლავ ხელთ იგდეს ამიერკავკასია და ქართლის ბატონობა. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა ის წარმატება, რომლისთვისაც არაბებს მიუღწევიათ დასავლეთ საქართველოში. ბიზანტიური ცნობებით, ლაზიკის პატრიკიოზი, ე. ი. ეგრისის მფლობელი, ვინმე სერგი (თუ გიორგი) ბარნუკისძე, ბიზანტიელებს ასჯანყებია და თავისი ქვეყანა არაბებისათვის გადაუცია. ეს მომხდარა 697 წ., როცა ალიდოსს გაულაშქრია რომანიის (ბიზანტიის) წინააღმდეგ და დიდი ნატყვენავი უშოვნია[23]. მერვე საუკუნის დამდეგისათვის კი, როგორც ეს ლეონ ისავრიელის თავგადასავლის მოთხრობიდან ჩანს, არაბებს უკვე მთელი დასავლეთი საქართველო, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთ ზღვისპირა ქალაქს გარდა, დაუპყრიათ. 705—711 წწ. მათ ხელში ყოფილა ეგრისის დედაქალაქი არქეოპოლისი ანუ ქართული სახელწოდებით, ციხეგოჯი (დღევანდ, ნაქალაქევი) და კოდორის ხეობაში მდებარე ზოგიერთი ციხეც. ბიზანტიის კეისარი სპეციალური ღონისძიებებით ცდილობდა, მოეწყო ჩრდილოეთ კავკასიაში მობინადრე ალანების (ოვსების) თავდასხმა აბაზგიაზე, ლაზიკასა და ივერიაზე, რა თქმა უნდა, იმის გამო,

---

[21] Մովսէսի Կաղանկատուացւոյ, Պատմութիւն Աղուանից աշխարհի. Մոսկվա 1860. ქვემოთ—კალანკატუელი, გვ. 237 და შემდ.

[22] ლევონდი, 15—16, ამ ამბავს აბდ-ალ-მალიქის ზეობის მეთხე წლით ათარიღებს.

[23] თეოფანე, I, 566. ამბავი დათარიღებულია 6189 წლით — 697 წ. ზოგი ვარიანტით „ბარნუკია" (ვარნუკია) სერგის სამფლობელოს ნაწილია, რაც ნაკლებ სარწმუნოა, ვიდრე ვარიანტულივე გიორგი სერგის ნაცვლად.

რომ ეს ქვეყნები მას არ ემორჩილებოდა და არაბთა ხელში იმყოფებოდა. როგორც ბიზანტიელები, ისე არაბები ახალ-ახალ ჯარებს გზავნიდნენ, კერძოდ ეგრისში, ამ ქვეყნის შემოსამტკიცებლად[24].

ამრიგად, უეჭველია, რომ VII ს. მეორე ნახევარში არაბთა პოლიტიკური მდგომარეობა ამიერკავკასიაში და, კერძოდ, ქართლში მეტად მერყევი იყო. მმართველობის სადავე ხალიფას ადგილობრივ წარმომადგენლებს ხშირად ეცლებოდათ ხელიდან. ამიერკავკასიის ნამდვილი დაპყრობა არაბების მიერ მხოლოდ VIII ს. პირველ ნახევარში ხდება.

VIII ს. დამდეგს არაბთა საომარი ოპერაციები ამიერკავკასიაში მიზნად ისახავენ არა მარტო ადგილობრივი სახელმწიფოების დამორჩილებას, არამედ აგრეთვე, და კიდევ უფრო მეტადაც, ხაზარების საწინააღმდეგო მოქმედებას, კავკასიონზე გამავალი სანაპირო ხაზის გამაგრებას და თვით ამ, ჩრდილოკავკასიის ახალი ბატონების პოლიტიკური ძლიერების შემუსვრას. მდგომარეობა ძალიან მოგვაგონებს წინა საუკუნეების ვითარებას, როცა ირანსა და აღმოსავლეთ რომის იმპერიას ასეთივე მუდმივი და მძიმე საზრუნავი ჰქონდა აქ. მთავარი ბრძოლები ისევ იმავე ადგილებში და იმავე პუნქტებისათვის წარმოებს — დარუბანდის ყელში, დარიალის გასასვლელსა და სხვა ზეკარებთან. ზოგჯერ მოწინააღმდეგენი იჭრებიან მტრის ტერიტორიაზე, აოხრებენ და აწიოკებენ მას. ამ ხანგრძლივ ბრძოლაში თავდაპირველად უპირატესობა აშკარად ხაზართა მხარეზეა. VII ს. დამლევს, როგორც ზემოთ აღნიშნული გვქონდა, ხაზარებს ერთგვარი გავლენა კავკასიონის სამხრეთითაც მოუპოვებიათ. ხაზართა მძლავრობის ისტორიიდან ქართლში, მაგ., ცნობილია ქრონოლოგიურად ცუდად განსაზღვრული, რომანტიკული და ტრაგიკული თავგადასავალი ქართლის ერისმთავრის ჯუანშერის დის შუშანისა. თითქოს ამ სილამაზით განთქმული ქალის ხელში ჩასაგდებად ხაზართა მფლობელის რაზმი რბევით გადმოდის ქართლში და ტფილისს იღებს.

ამიერკავკასიის საბოლოო დაპყრობა, როგორც უკვე ნათქვამია, ხდება VIII ს. პირველ ნახევარში. საერთოდ, ამიერკავკასია ხალიფების ინტენსიური ყურადღების საგნად იქცევა ვალიდ I-ის მეფობაში (705—715 წწ.), რომელიც ხალიფატის გარეგანი ექსპანსიისა და და-

---

[24] იქვე, 1, 600—606. ამბავი დათარიღებულია იუსტინიანეს მეორე მეფობით, როგორც ჩანს მომდევნო წლებშიაც აღწერილი მდგომარეობა გაგრძელებულა, რადგანაც ლეონი ბიზანტიაში დაბრუნდა მხოლოდ არტემის მეფობაში, 713—715 წწ. ამ უაღრესად საინტერესო ცნობის უფრო ვრცელ განმარტებას ჩვენ სხვაგან ვეცდებით.

პყრობითი ომების ზენიტად ითვლება. რომ VIII ს. დამდეგს არაბები მსხდარან ტფილისში, ამას, ზემოთ მოთხრობილის გარდა, მათი 704—5 წწ. აქ მოჭრილი ფული ამტკიცებს, მაგრამ მომდევნო წლებში პოლიტიკურ მდგომარეობას ისევ რაღაც ცვლილება უნდა განეცადა, რადგანაც ქართლს არაბები ხელახლა მოევლინენ ხალიფა ჰიშამის მეფობაში (724—743 წწ.), როგორც ჩანს, ისევ სამხედრო ექსპედიციის წესით. ოციან წლებში (დაახლოებით 723—725 წწ.) ქართლში შემოსულა არაბთა სარდალი ჯარაჰ-იბნ-აბდულაჰი, რომელიც სპეციალურად იყო გაგზავნილი ხალიფას მიერ ხაზარების წინაალმდეგ[25].

*ქართლის მმართველებს ჯარაჰისათვის წარუდგენიათ ჰაბიბ-იბნ-მასლამას მიერ გაცემული დაცვის სიგელი, რომელიც ჯარაჰს განუახლებია, ე. ი. კვლავ აღუდგენია ურთიერთობის ძველი პირობები.* მაგრამ თვით ჯარაჰის მიერ გაცემული დოკუმენტი ზოგიერთს ახალ მუხლს შეიცავს, რომელნიც სპეციალურ განმარტებას საჭიროებენ. სამწუხაროდ, საბუთის ტექსტში მრავალი ბუნდოვანი ადგილია. ერთი რამ მაინც უნდა აღინიშნოს — საბუთი ისეთ საერთო შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს იგი გაცემული იყოს მხოლოდ ქ. ტფილისისა და ქვემო ქართლის (ქართველთა საპიტიახშოს) მმართველი წრეებისადმი.

მაგრამ ჯარაჰის მოქმედება ვერ გამოდგა იღბლიანი. მისი ექსპედიცია საშინელი მარცხით დამთავრდა — სარდალი მთელი თავისი ჯარით დაიღუპა ხაზარებთან ბრძოლაში. ალბათ, საქართველოშიაც ადგილობრივ მმართველ წრეებს ჯარაჰის კატასტროფა ხელსაყრელ მომენტად მიუჩნევიათ იმისათვის, რათა არაბთა ბატონობის უღელი ქედიდან გადაეგდოთ. ამ ურჩობას უნდა გამოეწვია ახალი ეგზეკუ-

---

25 ჯარაჰი კარგად ცნობილი ისტორიული პირია. მას ადმინისტრაციული თანამდებობანი ეჭირა, ჩვეულებრივად, ხალიფატის განაპირა რაიონებში. 717—719 წწ. იყო ხორასანის მმართველად, სადაც თავი გამოიჩინა, როგორც მკაცრი პოლიტიკის მომხრემ, რომელსაც საჭიროდ მიაჩნდა ამ ქვეყნის მართვა მათრახისა და ხმლის საშუალებით. მოკლულ იქნა 730 წ. იხ. Согдийский сборник, Л., 1934, გვ. 59—61. ხაზარეთში ჯარაჰი პირველად შეიჭრა, იაკუბის ცნობით (ქუზეს გამ., 6), 104 წ. = 722—3 წ.; მეორედ იგი ამ ქვეყანაში ლაშქრობს უკვე დარიალით და ეს ხდება 106 = 724—5 წწ. (იქვე, 6—7). ალბათ, ამ ექსპედიციის დროს გაიარა ჯარაჰმა ქართლზე. ამავე ლაშქრობას უნდა გულისხმობდეს მ. კალანკატუელი (258—9), როცა ამბობს, რომ „ჯარაჰი მეორე გზის აფხაზეთით შევიდა ხაზარეთში" (თუმცა საკითხავია. მეორედ აფხაზეთით, თუ მეორედ ხაზარეთში?). კალანკატუელი ამ ამბავს ათარიღებს 729—730 წლებით.

ცია, რომლის სათავეში მასლამა მდგარა: 728—9 წწ. მას გაულაშქრია ხაზართა სამფლობელოში და მიუღწევია ქართლამდის, რომელიც დაუპყრია და მცხოვრებთა ერთი ნაწილი გაუჟლეტია[26]. მეორედ, იგი აქ ლაშქრობს 731—2 წ., ვერც ამხელად მოუხერხებიათ არაბებს მტკიცედ ფეხის მოკიდება ქართლში; ცოტა ხნის შემდეგ ისევ მოდის დიდი დამსჯელი რაზმი, რომელიც მოითარეშებს არა მარტო აღმოსავლეთს, არამედ დასავლეთ საქართველოსაც. საქართველოში არაბთა ამ ლაშქრობამ ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა, რომ შემდეგში იგი მიჩნეულ იქნა, საზოგადოდ, არაბების პირველ შემოსევად. მატიანე ასე აღწერს ამ ამბავს: „მოიწია ამირა აგარიანი ქართლად, რომელსა ერქუა მურვან, ყრუ, ძე მომადისი, რომელი წარმოევლინა ეშიმს, ამირ-მუმლს, ბაღდადელსა, ძესა აბდალ-მელიქისისა... ამისთვის ეწოდა ყრუ, რომელ მეორედ არა მიითუალვიდა სიტყუასა განმზრახთასა. და ყოველნი მთავარნი, პიტიახშნი, ნათესავნი ერისთავთანი და წარჩინებულთანი შემოიხუეწნეს კავკასიად და დაიმალნეს კლდეთა და ღრეთა. და მოვლო ყრუმან ყოველი კავკასია და დაიპყრა კარი დარიალისა და დარუბანდისა. და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი, და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღუართა ქართლისათა. და ვითარ ცნა, რამეთუ მეფენი ქართლისანი და ყოველნი ნათესავნი მათნი წარვიდეს ეგრისად და მუნით კუალად მიიცვალნეს აფხაზეთად, შეუდგა კუალსა მათსა და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ეგრისისანიცა და ციხე-ცა იგი შემუსრა, რომელ არს ციხე-გოჯი. შემუსრა და შევლო ზღუდე იგი საზღუარი კლისურისა... და ვითარცა შევლო ყრუმან კლისურა, რომელი მას ჟამსა იყო საზღუარი საბერძნეთისა და საქართველოსა, შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი და მოადგა ციხესა ანაკოფისასა... ერისთავი კეისრისა (აფხაზეთში), ლეონ, შესრულ იყო ციხესა შინა სობლისსა, რომელ არს გარდასავალსა ოვსეთისასა. და ვერვინ შემძლებელ იყო წყობად ყრუსა, რამეთუ იყუნეს სპანი მისნი უფროს და უმრავლეს ჭალაკთა ეგრისისათა“...

შემდეგ არაბთა ჯარს ეგრისში თითქოს დიდი ზიანი მოსდის სტიქიონური მოვლენებისაგან, რაც ავტორის მიერ ღვთის რისხვად არის განმარტებული. მაინც ლაშქრობის შედეგები მეტად აღმოსავლეთ ამიერკავკასიას დასჩენია: „იქმნა მას ჟამსა განრყვნილ ქუეყანა ქართლისა, სომხითისა და რანისა, რამეთუ არღარა იპოვებოდა ნაშენები,

---

26 ი ა კ უ ბ ი, 7. კალანკატუელით, მასლამა, ანუ მისი ტრანსკრიპციით მსლიმანი, რამდენიმე წლით ადრე ჯარაჰზე უკვე იყო ამ ქვეყნებში, კერძოდ ქართლშიაც, გვ. 258. კალანკატუელი ადასტურებს მასლამის მეორე ლაშქრობას ხაზარეთისაკენ, ჯარაჰის დაღუპვის შემდეგ. იქვე, 259.

არცა საჭამადი კაცთა და პირუტყუთა ყოვლადვე"... შემდეგ მემატიანე უაღრესად საყურადღებო ცნობას გვაწვდის: „დაეცადნეს სარკინოზნი შემოსლვად ქართლად ყრუსა წარსვლითგან წელიწადსა ორმეოცდაათსა. აქა ჟამადმდე არღარა შემოვიდოდეს, არამედ მიიღებდეს ხარკსა ერისთავთაგან"-ო[27].

მემატიანის თხრობა რომელიღაც ძველი კარგი წყაროდან არის ამოღებული, რადგანაც ზუსტად იცავს ისტორიულ ფაქტებს[28]. თუ ასევე შეიძლება ვენდოთ უკანასკნელ ცნობასაც (ეჭვებს ჰბადებს მემატიანის მიერ ხშირად დარღვეული ისტორიული პერსპექტივი), მაშინ მივიღებთ, რომ VIII ს. ოცდაათიანი წლებიდან (მურვანი ამიერკავკასიაში პირველად მოვიდა 732 წ.) ოთხმოციან წლებამდის ქართლში სტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა დამყარებულა არაბთა მფლობელობის ქვეშ.

მაგრამ დავ. კარიჭაშვილი იყო ქართველთმცოდნეობის არა მარტო თეორეტიკოსი, არამედ თვალსაჩინო პრაქტიკული მუშაკიც. წ.-კ. საზოგადოებამ, სხვა მემკვიდრეობასთან ერთად, დაუტოვა ქართველ ერს ფასდაუდებელი განძი — მუზეუმ-წიგნსაცავი, რომელიც ცნობილია განსაკუთრებით თავისი უმდიდრესი ქართულ ხელნაწერთა კოლექციით. უკვე წარსული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან დავ. კარიჭაშვილი არის ქართული ისტორიის ამ ამოურწყველი სალაროს გამგე. რევოლუციის შემდეგ, როცა „საზოგადოების“ მოქმედება ახალი მდგომარეობის გამო შეიკვეცა, დავ. კარიჭაშვილს მთავარი თავისი ყურადღება გადმოაქვს მუზეუმ-წიგნსაცავზე, რომლის ახალი მეპატრონე — ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ნიშნავს მას თავის ასისტენტად. ამ დაწესებულების მესვეურობაში ამოჰხდა სული ბ. დავითს. მუზეუმ-წიგნსაცავისათვის განსვენებული იყო არა მხოლოდ მცველი და მეთვალყურე: 1905 წ. მან შეადგინა წიგნსაცავის კატალოგი, რომელსაც 1911 წ. დაურთო სპეციალური დამატება. ეს კატალოგები დღესაც სპეციალისტებისათვისაც კი მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ. წიგნსაცავის კატალოგიზაციაზე განსვენებული მუშაობდა უკანასკნელ დღეებამდისაც: დაცულია ხელნაწერად 13 მანუსკრიპტის აღწერილობა, რომელიც შედგენილია უფრო ვრცელი წესით, ვიდრე ეს მიღებულია დაბეჭდილ კატალოგებში. სპეციალურად მოიგონებს დავ. კარიჭაშვილს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომლის დაარსების დღიდანვე ბ. დავითი არის „საზოგადოების“ თავმჯდომარის ამხანაგი, კითხულობს საჯარო მოხსენებებს, ბეჭდავს თავის გამოკვლევებს „საზოგადოების“ გამო-

ცემებში და იღებს მონაწილეობას საბჭოს მუშაობაში. უკანასკნელ წლებში საზოგადოების თავმჯდომარის ავადმყოფობის გამო მას ხშირად უხდებოდა საზოგადოების ყოველდღიური საქმიანობისა და საჯარო კრებების ხელმძღვანელობა. აქაც ის თავის მოვალეობას მუდამ ხალისით, სრული შეგნებით და გულმოდგინებით ეკიდება და თავის თანამშრომლებში ტოვებს ფაქიზ ხსოვნას გამოცდილი მეთაურის, გამტანი ამხანაგისა და დარბაისელი ადამიანისას. მისი უკანასკნელი გამოკვლევებიც უმთავრესად ჩვენს საზოგადოებაში გამოქვეყნდა.

გარდაიცვალა ბ. დავითი ა. წ. ივლისის 26-ს, დაბადებიდან 65 წლისა და განსაკუთრებით უნდა აღნიშნულ იქნას, რომ, მიუხედავად ამ ჰასაკისა, როცა ჩვენში საზოგადო მოღვაწე ჩვეულებრივად სავსებით ჯანგატეხილი არის ხოლმე, მიუხედავად გამუდმებული ავადმყოფობისა და მძიმე პირობებისა, მას არამც თუ არ შეუწყვეტია მუშაობა, არამედ, შეიძლება ითქვას, რომ ის ახლა იმყოფებოდა თავისი ნიჭის სრული გაშლის პერიოდში: მისი უკანასკნელი გამოკვლევები („როდის დაიბეჭდა პირველად ქართული წიგნი?“, „ქართული პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა“, „ვინ იყო ნიკიფორე ირბახი?“, „ვინ არის კალმასობის ანუ ხუმარსწავლად წოდებული ქართული ენციკლოპედიის ავტორი?“) უთუოდ წარმოადგენდა ავტორის საუკეთესო ნაშრომებს. ეჭვი არ არის, რომ მას კიდევ არა ერთი შეუსრულებელი განზრახვის ტკივილი წაჰყვა სამარეში. შესაძლოა აგრეთვე თავმდაბლობას დაეშალა მისთვის, დარწმუნებული ყოფილიყო იმაში (სიცოცხლეში ხომ ეს მისთვის არავის არ უთქვამს), რომ ქართველ მკვლევართა კიდევ არა ერთი თაობა მადლიერებით შეაჩერებს ყურადღებას ამ ადამიანის ცხოვრების გზაზე, როცა მის მიერ მოვლილი საგანძურის კარებს შეაღებს და როცა არა ერთგზის მიჰმართავს იმ ხიდს, რომელიც დავ. კარიჭაშვილის იდეურობითა და ერთგულებით გადებული არის ქართულ სიძველეთა შესწავლის დიდ სამყაროში ქაოსიდან სისტემისაკენ.

## მოსე ჯანაშვილი

წლეულს [1930 წელს] დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა მ. ჯანაშვილს, რომლის სახელს ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს. ამავე დროს, უკვე 53 წელიწადია, რაც იგი პედაგოგიურ, ლიტერატურულ და საზოგადოებრივ სარბიელზეა გამოსული. ამ მძიმე გზაზე ესოდენ დიდი ხნის განმავლობაში მ. ჯანაშვილი შეუხრელი მისწრაფებით მოძრაობდა დასახული მიზნისაკენ, უანგაროდ ასრულებდა ნებსით დაკისრებულ საზოგადოებრივ საქმეს და მხცოვანი მოღვაწე ღირსია იმისა, რომ ეს თარიღი განსაკუთრებულად იქმნეს აღნიშნული.

მოსე ჯანაშვილი დაიბადა ყოფილ ზაქათალის ოლქის სოფელ კახში 1855 წ. მარტის 19-ს. მამის სახელია გიორგი. დედა — მარიამ— იყო ბედირ გამხარაშვილის ქალი. 1865 წ. მოსე მიუციათ კახის სამრევლო სკოლაში, საიდანაც ქ. ზაქათალის სამაზრო სასწავლებელში გადასულა; შემდეგ მას უსწავლია თბილისის სასულიერო სემინარიაში, ხოლო 1878 წ. ქუთაისის გიმნაზიის საგამოცდო კომიტეტში ჩაუბარებია სათანადო გამოცდები და სამასწავლებლო მოწმობა მოუპოვებია.

პედაგოგიურ-აღმზრდელობითი საქმიანობა მოსეს უფრო ადრეც დაუწყია. ჯერ ყოფილა მ. პეტრიაშვილის პანსიონის გამგედ, 1876 წლიდან ქ. ქუთაისის პროგიმნაზიაში ყოფილა მასწავლებლად, ხოლო 1878 წ. სამუდამოდ გადმოსულა თბილისში, სადაც სხვადასხვა სასწავლებელში უმსახურია: თბილისის სასულიერო სასწავლებელში (1878—1900), რეალურ სასწავლებელში (1892—1918), წმინდა ნინოს სასწავლებელში (1909), ქალთა მეხუთე გიმნაზიაში (1910—1916), ვაჟთა მეხუთე გიმნაზიაში (1917—18), მიწისმზომელთა სასწავლებელში (1917 — 1919), ლექტორად თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (1920—21). ამას გარდა, ყოფილა განათლების ოლქში საგამოცდო კომიტეტის წევრად (1895—1917). ამრიგად, პედაგოგიურ სარბიელზე მოსეს 45 გრძელი წელიწადი დაუყვია. უსწავლებია, უმთავრესად, ქართული ენა. იმავე დროს უცდია თავისი კალამი სასწავლო ლიტერატურაში, რის ფაქტსაც მისი ყრმათათვის საკითხავი „მერცხალი“ (1881 წ.) წარმოადგენს, მაგრამ მისი სამწერლო მოწოდების მთავარი საგანი მაინც ეს არ ყოფილა.

მოსეს პირველი ნაბეჭდი წერილია „ცხოვრების ზოგი ვითარება-ნი“ („სასოფლო გაზეთი“, 1877 წ. 17 აგვისტო). მისივე თქმით, მას აქეთ რვაასამდე თხზულება დაუწერია (უდიდესი ნაწილი გამოცემულია, ნაწილი გამოუქვეყნებელი) და დღესაც კალამი ხელიდან გაგდებული არა აქვს. რა თქმა უნდა, ამ დიდ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ყველაფერი თანაბარი მნიშვნელობისა არ არის, მაგრამ მარტოოდენ მეცნიერული რიგის ნაწერებიც რომ გამოვყოთ, მათი მოცულობა დამკვირვებლის გაოცებას იწვევს. ენერგიისა და შრომისმოყვარეობის მხრივ მ. ჯანაშვილს მის ტოლთაგან ბევრნი ვერ შეედრებიან და თუ მოვიგონებთ იმ პირობებს, რომელშიაც მაშინ მუშაობა უხდებოდათ ჩვენს სიძველეთმცოდნეობის მუშაკებს, — როცა მსგავსი შრომისმოყვარეობისათვის წმინდა ინტერესს გარდა სხვა სტიმული არ არსებობდა, — ჩვენთვის ნათელი გახდება ამ გარჯილობის ნამდვილი ფასი.

მ. ჯანაშვილს უწერია ისტორიული, ისტორიულ-ლიტერატურული, ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული, საენათმეცნიერო და მრავალი სხვა საკითხის შესახებ, კრიტიკული თვალი უდევნებია მიმდინარე მწერლობისათვის, გულისყური მიუპყრია პრაქტიკული ცხოვრების საჭიროებათათვის, მხატვრულ პროზასა და შაირთმთქმელობაშიც კი შეუტანია თავისი წვლილი; ერთი სიტყვით, იგი ყოფილა არა მარტო ძლიერი, არამედ მრავალმხრივი ინტერესების პატრონიც.

ძირითადი მისთვის მაინც სამეცნიერო-საკვლევო ინტერესია, რომელიც ქართული სიძველეებისაკენ არის მიმართული და თუ ეს ინტერესი მაინც განშტოებულია და ცოდნის სხვადასხვა დარგში იჩენს თავს, ამ გარემოებას, ისე როგორც საერთოდ მის სამეცნიერო მიზანდასახულობას, ჩვენი ისტორიოგრაფიის თვით იმ პერიოდის ხასიათი განსაზღვრავს, რომელშიც მოსეს მოუხდა სამოქმედო სარბიელზე გამოსვლა.

ამ დროს ქართველი საზოგადოების მოწინავესა და აქტიურ წრეებში მწიფდება ის აზრი, რომ საქართველოს წარსულის მეცნიერული სურათის აღსადგენად წინასწარ საჭიროა შეკრებილ, მოწესრიგებულ, აღწერილ და გამოქვეყნებულ იქმნეს მთელი ის მასალა, რომელსაც კი შეიძლება საისტორიო წყაროს მნიშვნელობა ჰქონდეს. ეს იყო უაღრესად მნიშვნელოვანი, უაღრესად საშური საქმე იმიტომაც, რომ უწყებული მასალები, რომელნიც თავის დროზე განუზომელი რაოდენობით მოიპოვებოდნენ ჩვენში, უპატრონობისა და დაუდევრობის წყალობით განადგურების სწრაფ პროცესში იმყოფებოდნენ.

ამ აზრის ერთი პირველ მქადაგებელთაგანი იყო ისტორიკოსი დ. ბაქრაძე. 1873 წ. იგი წერდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას:

„როგორც მთავრობას, ისე თვით ქართველ საზოგადოებას მოვალეობა აწევს, რათა მეცნიერების ინტერესების გულისათვის თავის დროზე მიღებულ იქმნას სერიოზული ღონისძიებანი საქართველოს არქეოლოგიური მასალების დაღუპვისაგან გადასარჩენად და მათ დასამუშავებლად“, მიუცილებლად იყო, აგრეთვე, ცნობილია, რომ ეს მასალები თვით საქართველოში უნდა დარჩენილიყო.

აღნიშნულმა პროპაგანდამ თავისი ნაყოფი გამოიღო: 1880 წ. არსდება „წერა-კითხვის საზოგადოების სიძველეთსაცავი“, 1888 წელს კი — „ტფილისის საეკლესიო სიძველეთსაცავი“, შემდეგში საეკლესიო მუზეუმად წოდებული (მისი დაარსების მთავარი ინიციატორი სწორედ დ. ბაქრაძე იყო). ეს ორი დაწესებულება გადაიქცა იმ მთავარ საგანძურად, საითკენაც ამიერიდან დიდი რაოდენობით იწყებს დენას ქართველი ხალხის წარსულიდან ნივთიერი სახით მოღწეული ნაშთები. ეგევე დაწესებულებანი იმავე დროს არიან იქნებ სუსტი, მაგრამ ერთადერთი, სამეცნიერო კვლევის ცენტრები საქართველოში. საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა მუშაკი მათთან არის დაკავშირებული და მათს რიცხვში ვხედავთ მოსე ჯანაშვილსაც, რომლისთვისაც ეს კავშირი არის არა მარტო მეცნიერული მნიშვნელობის ფაქტი, არამედ სამსახურებრივი მდგომარეობის ერთი მთავარი მომენტიც იმდენად, რამდენადაც იგი 1898 წლიდან 1921 წლამდე საეკლესიო მუზეუმის გამგეა[1], ხოლო 1921 წლიდან, როცა ეს მუზეუმი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადმოეცა, თბილისის უნივერსიტეტის სიძველეთსაცავის ასისტენტი. მაშასადამე, 32 წლის განმავლობაში იგი ეწევა სიძველეთა მცველის მოვალეობას.

მ. ჯანაშვილმა ადრევე შეითვისა ზემოთ აღნიშნული შეხედულება ქართულ სიძველეთამცოდნეობის ამოცანების შესახებ. თავისი „საქართველოს მოკლე ისტორიის“ (ტფ., 1884) წინასიტყვაობაში იგი წერდა: „მეცნიერების ყოველგვარი მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი ისტორიის შედგენა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა მასალები შესახებ საქართველოს ისტორიისა ცნობაში მოყვანილნი, განხილულნი და შესწორებულნი იქმნებიან“. ამ მასალებში ავტორი გულისხმობდა: მატიანეებს, სიგელ-გუჯრებს, ზღაპარ-თქმულებათ (მითოლოგიურ გადმოცემებს), უცხოელ მწერალთა ცნობებს, ხელოვნების ძეგლებს, ეთნოგრაფიულსა და საენათმეცნიერო ფაქტებს. ამ მრავალფეროვან მასალაში მთავარი მნიშვნელობა მაინც ადგილობრივ წყაროებს ჰქონდათ, ხოლო ამ უკანასკნელთაგან —

---

1 არაოფიციალურად ამ მოვალეობას ის უკვე 1897 წლიდან ასრულებდა. Церковный музей Духовенства Грузинской Епархии, т. 3.

წერილობით ძეგლებს. მ. ჯანაშვილი კი სათავეში ედგა სწორედ იმ დაწესებულებას, რომელშიც წერილობითი ძეგლების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კოლექცია იყო დაცული. ბუნებრივი იყო, რომ სიძველეთა მცველიდან ის მათ მკვლევრადაც ქცეულიყო.

ამიტომ არის, რომ მ. ჯანაშვილი, უწინარეს ყოვლისა, ჩვენ როგორც არქეოგრაფი წარმოგვიდგება, იმთავითვე ის აქვეყნებს მთელ რიგს ნაშრომებისა, რომელშიც აღწერილია როგორც მუზეუმის ცხოვრება, ისე მასში დაცული ძეგლების შინაარსი და მნიშვნელობა. უკვე 1898 წ. ის ბეჭდავს წიგნს, რომელიც შეიცავს დაწესებულების ისტორიას, მის წესდებას და ხელნაწერთა და ნივთთა კატალოგს[2]. ეს იყო მუზეუმის ფონდის პირველი აღწერილობა. მას მოჰყვა გაგრძელებანი და ანალოგიური ხასიათის სხვა წვრილი გამოცემები. განცალკევებით აღსანიშნავია: „Описание рукописей Церковного Музея Духовенства Грузинской Епархии“ მესამე წიგნი (ტ. 1908), რომელიც იმავე გამოცემის პირველი ორი, თ. ჟორდანიას მიერ შედგენილი, ტომის გაგრძელებაა და სამეცნიერო ტიპის აღწერილობას წარმოადგენს. ამჟამად ხელნაწერის სახით დასრულებულია და თბილისის უნივერსიტეტის მიერ დასაბეჭდად მიღებულია იმავე აღწერილობის მეოთხე წიგნი. ყველაზე საკვირველი მოსეს ნაღვაწიდან ამ დარგში, თუ ავტორის ჰასაკს გავითვალისწინებთ, არის ყოფილი წერა-კითხვის საზოგადოების ფონდის ხელნაწერთა აღწერილობა, შესრულებული სულ უკანასკნელ წლებში (თუ არ ვცდებით, 1928—1929 წწ.). აქ აღწერილია 5263 ხელნაწერი, ე. ი. თითქმის მთელი კოლექცია (ასიოდე ხელნაწერია აუწერელი).

მეცნიერული აღწერილობაც კი, რაც უნდა სრული არ იყოს, თვით ძეგლის გამოცემის მაგივრობას ვერ გასწევს. მოსეს შეგნებული ჰქონდა ეს ჭეშმარიტება და ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა გამომცემლებს შორის მას ერთი პირველ ადგილთაგანი უჭირავს. საკმარისია მოვიგონოთ მოსეს ისეთი გამოცემები, როგორიცაა: 1). ე. წ. „ათონის კრებული“ (ტფ., 1901), რომელიც შეიცავს რამდენსამე უძვირფასეს ძველ ქართულ ორიგინალურ ნაწარმოებს და საერთოდ მნიშვნელოვან საისტორიო მასალას, 2) „ჳუალთაჲ“ (СМОМПК, XXIV), 3) „სამკურნალო ტრაქტატი“ და „სასწავლო წიგნი“ („აღვადგინე“, დამატება. ტფ., 1891), 4) ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფია“ (ტფ., 1901) და იმავე თხზულების უფრო ადრე ბროშურებად გამოცემული ცალკე ნაწილები („სამცხე“, „ქართლი“), 5) იმავე თხზულების რუსული თარგმანი (ტფ., 1904), 6) „მასალები საქართველოს

---

[2] Тифлисское Церковное Древнехранилище, Т., 1898.

ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა, 1744—1840 წწ“ (ტფ., 1905), 7) პოემა „ალღუზიანი“ რუსული თარგმანითურთ (СМОМПК, XXII), 8) შავთელის „აბდულმესიანი“, 9) ჩახრუხაძის „თამარიანი“ და მრავ. სხვა. თუმცა ამ თხზულებათაგან უმრავლესობა უკვე იყო მანამდე გამოცემული, დანარჩენი კი ცნობილი, მ. ჯანაშვილის გამოცემებს დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა ხელმისაწვდომობისა, ზოგჯერ უკეთესი ტექსტისა და მრავალ სხვა თვისებათა გამო.

მაგრამ ამ ინტენსიური, კვლევა-ძიებითი მუშაობის შედეგი იყო აგრეთვე სრულიად უცნობ, უაღრესად მნიშვნელოვან, ძეგლთა მოპოვებაც. მოსემ აღმოაჩინა და გამოსცა ისეთი პირველხარისხოვანი ნაწარმოები X საუკუნის ქართული მწერლობისა, როგორიცაა: ბასილ ზარზმელის თხზულება („ქართული მწერლობა“, წ. II, ტფ., 1909), ამჟამად ლათინურადაც თარგმნილი ცნობილი ბელგიელი ორიენტალისტის პეეტერსის მიერ. მოსემვე აღმოაჩინა და დაბეჭდა „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების ის ფრიად საყურადღებო ვარიანტი, რომელიც ვახტანგ VI-ის სწავლულ კაცთა კომისიას ეკუთვნის („ნაშრომი“, წ. 1). საყურადღებოა აგრეთვე მოსეს მიერვე მოპოვებული ისტორიკოს ფარსადან გორგიჯანიძის უცნობი ნაწარმოებნი — ქართულ-არაბულ-სპარსული ვოკაბულარი და სხვა წვრილი წერილები („ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი“, ტფ., 1896).

ყველა ამ გამოცემას დართული აქვს წინასიტყვაობა და კომენტარი, სადაც ტექსტთან, ავტორის ვინაობასა და ნაწარმოების წარმოშობასთან დაკავშირებული საკითხებია გარკვეული. თვით ძეგლები გამოქვეყნებულია იმ პრინციპული მოსაზრების თანახმად, რომ ძველი ქართული ტექსტები უნდა იბეჭდებოდეს უცვლელად, დედანთან მაქსიმალური სიახლოვის დაცვით. მოსე იყო თავგამოდებული დამცველი ამ შეხედულებისა და ცხარედ ებრძოდა იმათ, ვისაც მისი აზრით, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლთა გამოცემაში სუბიექტური ელემენტი შეჰქონდა. ამ ნიადაგზე აღმოცენებულია მოსეს საკმაოდ დიდი კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული მწერლობა (ნ. სანიმუშოდ „ალვადგინე“). შეიძლება ამ ნაწერებში ბევრი რამ უმართებულოდ ან გადაჭარბებულად გვეჩვენოს, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ ავტორს არა ერთი სრულიად სამართლიანი შენიშვნა აქვს გამოთქმული.

გასაგებია, რომ მ. ჯანაშვილის ნიჭისა და ინტერესების პატრონს, ამ არქეოლოგიური, ფილოლოგიური, კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული მუშაობის პროცესში ისტორიულ-ლიტერატურული განზოგადების სურვილი გასჩენოდა. მთელს რიგ თხზულებებში მ. ჯანაშვილი ეხება ქართული ლიტერატურის ისტორიის სხვადასხვა საკითხებს: იქნება ეს

ისეთი კარდინალური პრობლემა, როგორიცაა ქართული მწერლობის წარმოშობის საკითხი, თუ ურთიერთობა მეზობელ ერთა ლიტერატურასთან, თუ ლიტერატურული ფაქტების დაფასება და ავტორობის საკითხი და სხვა. ამ ნაწერებში გზადაგზა გაბნეულია პოლემიკური შენიშვნები არსებულ შეხედულებათა შესახებ, ახალი ბიბლიოგრაფიული ცნობები, წვრილი ტექსტები, მოცემულია საყურადღებო პარალელები, რომ აღარაფერი ვთქვათ გრამატიკულ, პალეოგრაფიულ და სხვ. დაკვირვებათა შესახებ; ერთი სიტყვით, აქ უხვი და საყურადღებო მასალაა თავმოყრილი და თავისებურად გაშუქებული („ქართული მწერლობა", წ. I, ტფ., 1900; „მწერლობა მეათე საუკუნისა", ტფ., 1891; „ქართული მწერლობა", წ. II, ტფ., 1909; „ნაშრომი" [წ. I]), ტფ., 1907; „ნაშრომი", წ. II, ტფ., 1907; „ნაშრომი" წ. III, ტფ., 1910; „საუნჯე მეათე საუკუნისა", ტფ., 1891; „მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი", ტფ., 1895 და სხვ.). ცალკე ეხებოდა ქართულ საისტორიო მწერლობას და ამ უკანასკნელის ძეგლთა კრიტიკასთან ერთად, სხვათა შორის, ცდილობდა მათს პოპულარიზაციას ქართულის არმცოდნე წრეებში („Картлис-Цховреба" — Жизнь Грузии, СМОМПК XXXV; „Известия грузинских летописей и историков о Северном Кавказе и России, Описание Осетии, Дзурдзукии, Дидоэтии, Тушетии, Алании и Джикегии. О царях Хазаретии. Алгузиани". СМОМПК XXII; „Известия грузинских летописей и историков о Херсонисе, Готфии, Осетии, Хазарии, Дидоетии и России". СМОМПК XXVI; „თამარ მეფე და მისნი ისტორიკოსნი", „მოამბე", 1903 და სხვ.).

ისტორიულ-ლტერატურული საკითხების გადაწყვეტა შეუძლებელია საერთო კულტურული და სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გათვალისწინების გარეშე და თუ ეს ვითარება ნათელი არ არის, აღნიშნულმა საკითხებმა შეიძლება მკვლევარი წმინდა ისტორიულ ძიებასთან მიიყვანოს. მოსე ჯანაშვილი უკვე 1884 წ. აქვეყნებს „საქართველოს მოკლე ისტორიას", მაგრამ თუ ეს იყო მხოლოდ სახელმძღვანელო (სხვათა შორის, სკოლებშიც მიღებული), ამ წიგნის მეორე, გადამუშავებული და მნიშვნელოვნად გავრცობილი გამოცემა (ტფ., 1895) უკვე წარმოადგენდა ცდას მეტნაკლები დამოუკიდებლობით შემუშავებული სურათის წარმოსადგენად ქართული ისტორიული პროცესის შესახებ, იმავე დროს ავტორისათვის შეადგენდა საფეხურს უკვე მსხვილი გამოკვლევის გამოქვეყნებისათვის: 1906 წ. იგი ბეჭდავს „საქართველოს ისტორიის" პირველ ტომს, რომელშიც თხრობა აღწევს 985 წლამდე ქ. შ. ამ წიგნის შედარება წინა გამოცემათა სათანადო ნაწილებთან გვიჩვენებს, რომ ამ ხნის განმავლობაში ავტორი შეუჩერებ-

ლად განაგრძობდა კვლევას და უკანასკნელ გამოცემისათვის მას მნიშვნელოვანი ნაბიჯი წაუდგამს წინ. მოსეს „საქართველოს ისტორია" ეხლაც არ არის ინტერესს მოკლებული და ზოგჯერ იქნებ უსამართლოდაც უგულვებელყოფილია, ხოლო თავის დროზე მან, განსაკუთრებით მეორე, უფრო მისაწვდომმა გამოცემამ, დიდი გავრცელება და ბევრი ერთგული მკითხველი მოიპოვა და საქართველოს ისტორიის ცოდნის სახალხოდ გადაცემის საქმეში საპატიო როლი ითამაშა. ეს აზრი ამ „ჩინებული გამოცემის" შესახებ თავის დროზე ცნობილმა გიორგი წერეთელმა შემდეგნაირად გამოხატა: „ეს პირველი წიგნია, რომელსაც მისწრაფებით უნდა საჭიროებდეს ყოველი ქართველი და მუდამ ხელში ეჭიროს... რაც უნდა ნაკლულევანება ჰქონდეს ასეთ სახელმძღვანელოს (იგულისხმება მეორე გამოცემა), მაინც იგი დარჩება ერთ საუკეთესო და სასიამოვნო მოვლენად ამ დროის ქართულ ლიტერატურაში და მწიგნობრობაში". მოსეს აქვს სხვა შრომებიც საქართველოს ისტორიიდან და არაერთი წვრილი მონოგრაფია („საქართველოს საეკლესიო ისტორია", ტფ., 1886; „Царица Тамара", ტფ., 1900; „Грузинские обители вне Грузии", ტფ., 1899; „К материалам по истории и древностям Грузии и России", ტფ., 1912 და სხვა მრავალი).

მ. ჯანაშვილის ისტორიული ნაწერების მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ ავტორი განსაკუთრებით დაინტერესებულია ქართველ ტომთა თავგადასავლით ისტორიის წინადროინდელ ხანაში. სხვადასხვა ნაბეჭდ გამოცემაში გაფანტულ მოსაზრებათა გარდა პრეისტორიულ საკითხებს ეხებიან მისნი მრავალფურცლიანნი, ჯერ გამოუცემელნი, თხზულებანი.

კაცობრიობის ცხოვრების იმ ხანის შესაგნებად, რომლისთვისაც წერილობითი წყაროები არ მოგვეპოვება, იძულებულნი ვართ, ნივთიერ ნაშთებს დავემყაროთ, რომლებშიაც თითქოს ისტორიის ნაწილია გაქვავებული, და მიღებულ ნიშნებათა ინტერპრეტაციისა და შეჯერებისათვის ენობრივსა და ეთნოგრაფიულ ფაქტებს მივმართოთ. თუ გათხრითი ძიების სრული მოუგვარებლობის გამო ჩვენში მოსე სათანადო ცნობისმოყვარეობას ისტორიულ არქეოლოგიაზე იკმაყოფილებს („Гори и его окрестности", СМОМПК XXXIV. „საქართველოს დედაქალაქი ტფილისი", ქუთ., 1899; „საინგილო" და სხვ), სამაგიეროდ, იგი ხარბად ეწაფება იმ ჩვენებებს, რომელსაც, ერთის მხრივ, ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულება, ადათები და რწმენანი, მეორე მხრით, ქართველური ენები იძლევიან. მისს უამრავ ეტიმოლოგიებში, ქართული ეთნოგრაფიული მასალების განმარტებაში, ამ რიგის ფაქტების დაპირისპირებაში სხვა ქვეყნების ანალოგიურ მოვლე-

ნებთან ხშირად შეჰხვდებით ჰკუამახვილ დასკვნებს და კიდევ უფრო ხშირად ახალი საკითხების წამოყენებას. ჩვენს აღწერითს ეთნოგრაფიას მ. ჯანაშვილმა დამოუკიდებელი შრომებიც უძღვნა (განსაკუთრებით საყურადღებოა „საინგილო“, „ძველი საქართველო“, ტ. II; კომპილაციური „Абхазия и абхазцы“, ЗКОРГО XVI; წვრილი წერილები).

ქართული ენის ბუნება, ქართველურ ენათა ურთიერთობა, ქართული დიალექტოლოგია, ქართული ენის მონათესაობა — ყველა ეს ენათმეცნიერული პრობლემა უკვე მუდმივად მისი ყურადღების ცენტრში იმყოფება. ის ძლიერ ბევრს წერს ამ საკითხებისათვის. ქართული დიალექტოლოგიისათვის მეტად ძვირფასია მისი გამოკვლევა ინგილოური კილოს შესახებ („საინგილო“). მისი „Картвельский язык и сравнительная грамматика его идиомов“ (ხელნაწ.) თავის დროზე შეიძინა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ. ყოველგვარ ოფიციალურ ლინგვისტიკურ სკოლას მოკლებული მ. ჯანაშვილი მაინც ახერხებს ბევრი საინტერესო საკითხის წამოყენებას და არცთუ იშვიათად ჩვენს სამეცნიერო ცირკულაციაში ახალი მოსაზრებანი შემოაქვს („ქართული გრამატიკა“, ტფ.. 1906; „Картвельский язык и славянорусский. Точки соприкосновения между этими языками“, СМОМПК XXXI; მასალები ერკერტის ცნობილი გამოცემისათვის: Die Sprächen des Kaukasischen Stammes. Wien. 1895 და სხვ.).

ამ საენათმეცნიერო ძიებასთან ბუნებრივ კავშირში იმყოფება ლექსიკოგრაფიული მუშაობა: მ. ჯანაშვილს გაწეული აქვს უზარმაზარი შრომა სხვადასხვა ლექსიკონთა შედგენის სახით, რომელნიც, სამწუხაროდ, ჯერ მხოლოდ ხელნაწერებად არიან დაცულნი ავტორის არქივში (ქართული ლექსიკონი, ავტორის თვლით 104000 სიტყვას შეიცავს; შოთას ლექსიკონი; პეტრიწის ლექსიკონი და სხვ.).

აღარას ვამბობთ მრავალრიცხოვან წერილებზე სოფლის მეურნეობის საკითხების შესახებ, პუბლიცისტურ მოღვაწეობაზე (თანამშრომლობდა ე. წ. „ტეტიათა მოტრფიალეების“ გამოცემებში: „იმედსა“ და „მეურნეობაში“), მოთხრობებზე, ლექსებსა და პოემებზე...

ამ სახელდახელო მიმოხილვიდანაც ჩანს, რამდენად ინტენსიური მუშაობა უწარმოებია მოსე ჯანაშვილს. ეს მუშაობა მიმდინარეობდა ყოველგვარი ხარვეზების გარეშე; და ახლაც 75 წლის მოხუცი წინანდელი ტემპით განაგრძობს თავის საქმეს. შესაძლოა, მისი შეხედულებანი დღეს ჩვენ მთლიანად ველარ გავიზიაროთ, შესაძლოა, მის უთვალავ ნაწერებში ზოგ კაბადონს დღეს უკვე ბინდგადაკრული იერი ჰქონდეს, — მეცნიერებაში ხომ უბერებელი წიგნები არ არსებობენ!— მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მთელს იმ ზნეობრივ და ნივთიერ გა-

რემოს, რომელშიც მოსეს თავის მუშაობის ჩატარება მოუხდა, უნებლიე პატივისცემის გრძნობა შეგვიპყრობს მისდამი.

ვინც მ. ჯანაშვილის ცხოვრების შესახებ დაფიქრდება, მის ყურადღებას თავისთავად მიიზიდავს ის გარემოება, რომ დაბადებით მოსე ეკუთვნის საინგილოს, ძველი ჰერეთის თემის ყველაზე განაპირა კუთხეს. ძველი საქართველოს ეს პერიფერიული ზოლი იყო იმავე დროს ის ეთნიკური ზღუდე, რომელსაც პირველ ჯერში აწყდებოდა ყოველი მორიგი ტალღა შუა და წინააზიიდან მოსული დამპყრობლებისა. ამ უსწორო ბრძოლაში თითქმის მთლიანად განადგურდა ჰერეთის თემის მოსახლეობა. და როცა იმ ერთმა მუჭა ქართველობამ, რომელმაც სხვადასხვა საფარველით XIX საუკუნემდე თავი შეინახა ზაქათალის ოლქის რამდენსამე სოფელში, შესძლო სულიერი კავშირის აღდგენა დანარჩენ საქართველოსთან, ამ „მ ე ო რ ე დ" ინგილოელებმა[3] ჭაბუკური ენერგია შესძინეს მათთვის ახლად მოპოვებული მშობლიური კულტურის კერის აღორძინების საქმეს (საინგილოდან გამოვიდა წარსულსა და ამ საუკუნეში მთელი რიგი განათლებულ და სასარგებლო პირთა, მოვიგონოთ თუნდაც მოსეს ახლობელი ნათესავი ისტორიკოსი დ. ჯანაშვილი). ისედაც მებრძოლის ტემპერამენტით დაჯილდოებულმა, მ. ჯანაშვილმა ახალმოქცეულის ვნება და აღტკინება შეიტანა თავის საქმეში. იქნებ აქ იყოს მისი დაუშრეტელი მხნეობის სათავე და მისი გულისყურის მიმართულების ფაქტორი. და უთუოდ ამ ნიადაგზე მოხდა ისიც, რომ, როგორც ეს ბრძოლის ეშხმა იცის, ზოგჯერ ფრონტი იშლებოდა საჭიროების მოთხოვნილებაზე ფართოდ. ყოველივე ამის შესახებ საბოლოო სიტყვას იტყვის ჩვენი ცხოვრების ამ პერიოდის ისტორია. დღევანდელი დღის დანიშნულებაა საჯარო განცხადება, რომ მოსე ჯანაშვილის დამსახურება შეგნებულია და დაფასებული მოქმედ ქართულ კულტურულ დაწესებულებათა მიერ, ხოლო მისი ნაღვაწი შესულია, როგორც მიუცილებელი ნაწილი, იმ საქმეში, რომლის ამოცანა არის ქართული მეცნიერების სისტემის შექმნა.

P. S. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის საბჭოს ა. წ. აპრილის 25-ის დადგენილებით მ. ჯანაშვილი არჩეულია იმავე ფაკულტეტის სიძველეთამცოდნეობის კათედრის პროფესორად და ეს დადგენილება დამტკიცებულია უნივერსიტეტის გამგეობის მიერ. საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო და ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოებათა შეერთებული საზოგადო კრების მიერ. ა. წ. მაისის 2-ს მ. ჯანაშვილი არჩეულ იქნა ორივე საზოგადოების საპატიო წევრად.

---

[3] „ინგილო" ნიშნავს პროზელიტს.

# ივანე ჯავახიშვილი

პროფ. ივანე ჯავახიშვილი დაიბადა ქ. თბილისში, 1876 წ. აპრილის 11-ს. მამა მისი, ალექსანდრე, ცნობილი პედაგოგი იყო, იმავე დროს ქართული არქეოლოგიითა და ეთნოგრაფიით გატაცებული (ალ. ჯავახიშვილის ნაშრომი ქართლის არქეოლოგიის შესახებ გამოქვეყნებულია და ცნობილი სპეციალისტთა წრეებში). მამისაგან შეითვისა პატარა ვანომაც ადრევე ინტერესი და სიყვარული ქართული სიძველეებისადმი. საშუალო განათლება ივ. ჯავახიშვილმა მიიღო თბილისის პირველ გიმნაზიაში, რომლის დამთავრების შემდეგ შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში სომხურ-ქართულ-ირანულ განყოფილებაზე. უნივერსიტეტი დაამთავრა 1899 წ. და იქვე დატოვებულ იქნა პროფესორობისათვის მოსამზადებლად. 1900 წ. მიავლინეს გერმანიაში, სადაც მუშაობდა ცნობილ მეცნიერ ად. ჰარნაკთან. 1902 წ. აკად. ნ. მართან ერთად გაემგზავრა არაბეთს, სინას მთაზე, იქაური უძველესი ქართული ხელნაწერების უმდიდრესი კოლექციის აღსაწერად, რაც ნაყოფიერად შეასრულა. 1902 წლის შემოდგომაზე წარდგენილ იქნა სომხურ-ქართული ფილოლოგიის კათედრის პრივატ-დოცენტად. 1903 წ. 1 იანვრიდან შეუდგა ლექციების კითხვას. 1906 წ. დაიცვა დისერტაცია („ძველი საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფოებრივი წყობილება“) და მიიღო ქართული ფილოლოგიის მაგისტრის ხარისხი. 1917 წ. აირჩიეს იმავე უნივერსიტეტის დოცენტად, ხოლო 1918 წ. ახლად გახსნილ ტფილისის უნივერსიტეტში არჩეულ იქნა პროფესორად და სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანად. აქვე დამტკიცდა მის მიერვე დაარსებულის პირველისა და დღემდე ერთადერთის საქართველოს ისტორიის საუნივერსიტეტო კათედრის გამგედ. 1919 წ. არჩეულ იქნა ტფ. უნივერსიტეტის რექტორად, რა თანამდებობასაც განუწყვეტლივ ასრულებდა 1926 წლამდე. ამავე დროს იყო სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს წევრი. 1931 წ. დაინიშნა საქართველოს მუზეუმის სწავლულ კონსულტანტად, ხოლო 1936 წლის იანვრიდან არის საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის პროფესორი

და სწავლული კონსულტანტი. ამჟამად განაგებს აგრეთვე რუსთაველის მუზეუმსა და საქ. მუზეუმის ისტორიულ განყოფილებას.

მეცნიერული კვლევა-ძიება ივანე ჯავახიშვილმა დაიწყო ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს. 1897 წ. მან გამოაქვეყნა „ბალავრის სიბრძნის" რუსული თარგმანი, ხოლო 1898 წ. საკონკურსოდ წარადგინა თავისი პირველი კვლევითი ნაშრომი: „ანდრია მოციქულისა და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში", რომლისთვისაც ავტორი პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ ოქროს მედლით დააჯილდოვა. მას შემდეგ, ორმოცი წლის მანძილზე, ივანე ჯავახიშვილს ერთი წუთითაც არ გაუგდია კალამი ხელიდან და დღეს იგი წარმოგვიდგება, როგორც საბჭოთა კავშირის ერთი უდიდესი მეცნიერთაგანი. ამავე დროს ამ მოღვაწეობას დასაწყისიდან დღემდე წითელი ზოლივით გასდევს ის ნიშანდობლივი თვისება, რომ ივანე ჯავახიშვილი სარბიელზე გამოდის არა როგორც კარჩაკეტილი კაბინეტის სწავლული, რომლისთვისაც სამეცნიერო საგანი მხოლოდ საკვლევ ობიექტს წარმოადგენს და სხვა არაფერს, არამედ როგორც საზოგადოებრივი მებრძოლი, რომლისთვისაც მეცნიერული მუშაობა საზოგადოებრივი აქტიურობის ერთი ფორმათაგანია მარტოოდენ. თავის ერთ საუკეთესო წიგნს, ჯერ კიდევ რევოლუციამდე გამოქვეყნებულს, ივანე ჯავახიშვილმა ეპიგრაფად წარუმძღვარა ძველი ქართველი მწერლის სიტყვები: „დიდ არს ძალი სიყვარულისაი". ის სიყვარული, რომლის საოცარ ძალას გვიჩვენებს პროფ. ივანე ჯავახიშვილის მთელი მოღვაწეობა, ქართველმა მხცოვანმა მეცნიერმა თავისი შეგნებული ცხოვრების პირველი დღიდანვე მშობელ ხალხს მისცა მთლიანად, უპიროდ და უანგაროდ. ქართველი მოწინავე პროგრესული ინტელიგენციის საუკეთესო ტრადიციების მცველი, ივანე ჯავახიშვილი აღიზარდა იმ დიდი მოძრაობის ნიადაგზე, რომელიც ქართველი ხალხის სოციალურსა და ეროვნულ განთავისუფლებას ისახავდა მიზნად. ივანე ჯავახიშვილი ამ მოძრაობას ერთგულად მოჰყვა ბოლომდე. და დღეს ყოველმა მშრომელმა იცის, რომ ივანე ჯავახიშვილი იმ საუკეთესო ქართველი ინტელიგენციის პირველ რიგებში დგას, რომელმაც ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით, მუშათა კლასსა და გლეხობასთან ერთად, შექმნა საბჭოთა საქართველოს სოციალისტური კულტურა, ინტერნაციონალური თავისი შინაარსით და ნაციონალური თავისი ფორმით.

პირველივე მეცნიერული ნაშრომი ყოველმხრივ დამახასიათებელი იყო ავტორისათვის. აქ ფილოლოგიური ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი, ფილოლოგიური სკოლის მოწაფე, აყენებს საქართველოს ისტორიის მეცნიერების უმნიშვნელოვანეს ამო-

ცანას, წ ყ ა რ ო ე ბ ი ს  კ რ ი ტ ი კ ი ს  ა მ ო ც ა ნ ა ს. უანგარო ენთუზიასტების მთელმა წყებამ როგორც ქართველთაგან, ისე არაქართველთაგან, XIX ს-ში, შეიგნო რა წყაროთა წრის მაქსიმალური გაფართოების მნიშვნელობა, უდიდესი ამაგი დასდო საქართველოს ისტორიას მისი პირველ წყაროების სხვადასხვა კატეგორიების მრავალფეროვან ძეგლთა შეგროვებითა და დაცვით. მაგრამ ამ წყაროებისადმი შემეცნებითი დამოკიდებულება არ იდგა იმდროინდელი მოწინავე მეცნიერების დონეზე. საქართველოს ისტორიის მოყვარულთა წრეში გულუბრყვილო-მოწიწებითი, ნაციონალისტური განწყობილება იყო გაბატონებული მშობლიური წარსულის ყველა ძეგლისადმი განურჩევლად. დიდმპყრობელური და შოვინისტური წრეები კი, პირიქით, ნერგავდნენ უარყოფითს, ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ამ წყაროებისადმი, ცდილობდნენ რა მათი მნიშვნელობის გაბახებასა და გაქარწყლებას. საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლა წყაროების პირუთვნელი, მაგრამ სასტიკი კრიტიკით უნდა დაწყებულიყო. ეს საქმე წარსული საუკუნის დამლევს ჯერ კიდევ ჩანასახ მდგომარეობაში იმყოფებოდა. და აი, პირველსავე გამოკვლევაში ივანე ჯავახიშვილი მწვავედ აყენებს ამ საკითხებს. აუცილებელი მეცნიერული სიმკაცრით, შეურბილებელი მეცნიერული და მოქალაქეობრივი პირდაპირობით იგი აცხადებს, რომ, მაგ., „ნინოს ცხოვრება“ არ ვარგა, როგორც IV ს. წყარო, რომ მისი ცნობების უმრავლესობა გვიანდელ ხანაშია შეთხზული, რომ ძეგლის ისტორიულ-შემეცნებითი მნიშვნელობა სულ სხვა, მისი შემდგენელ-რედაქტორების დროისთვის უნდა ვივარაუდოთ. ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი და გაბედულიც, უნდა ითქვას, ნაბიჯი — ასეთი აზრი სრულიად ეწინააღმდეგებოდა იმ დროს გაბატონებულ დებულებას. ეს წყაროთმცოდნეობითი და ისტორიულ მეთოდოლოგიური ინტერესი დღემდე შერჩა მხცოვან მეცნიერს. ამ ინტერესებმა წარმოშვეს პროფ. ჯავახიშვილის დიდი ნაშრომი, რომელსაც მცირე ანალოგები მოეპოვება სათანადო ლიტერატურაში: „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“. ამ შრომიდან ჯერ-ჯერობით 4 წიგნია გამოქვეყნებული, ყველა ქართულად: 1) ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (ტფ., 1916); მე-2 გამ. (ტფ., 1921), 2) ქართული საფას-საზომთამცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია (ტფ., 1925), 3) ქართული დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია (ტფ., 1926), 4) ქართული სიგელთამცოდნეობა ანუ დიპლომატიკა (ტფ., 1926). სხვა წიგნები·ელის გამოქვეყნებას. ამ წიგნებით ივანე ჯავახიშვილმა საფუძველი დაუდო საქართველოს ისტორიის მეცნიერების დამხმარე დარგებს და ჩვენი ისტორიის წყაროთა მთელი მრავალფეროვანების შესწავლას. უჩვენა

ამ წყაროების სიმდიდრე, მრავალმხრიობა, მნიშვნელობა და ფასი არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო ისტორიის თვალსაზრისითაც. თუ როგორი იყო ავტორის ძირითადი ამოცანა, ეს განმარტებულია პირველი წიგნის შესავლის პირველსავე ფრაზაში: „ამ წიგნის მკითხველს უნდა ახსოვდეს, რომ ჩემი წადილი იყო შეძლებისდაგვარად გამომერკვია, როგორც თვითოეული მემატიანისა და ისტორიკოსის პიროვნება, — თუ რა წრესა და მიმართულებას ეკუთვნოდა სახელდობრ იგი, რა მსოფლმხედველობის და თვალსაზრისის კაცი იყო, — ისე აგრეთვე შემეტყო, რა მიზანი ჰქონდა და რა სწადდა მას, როდესაც თავის თხზულების წერას შეუდგა. ამასთანავე ყოველთვის ვცდილობდი გამეგო, რა და რამდენად სანდო წყაროები ჰქონდა თვითოეულს მათგანს და რა გზით და რა საშუალებით სურდათ და შესძლეს თავიანთი მიზნის განხორციელება?“

საქართველოს ისტორიის ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროს, სახელგანთქმული კრებულის „ქართლის ცხოვრების“, განხილვამ პროფ. ივ. ჯავახიშვილი მიიყვანა შემდეგ მეტად საგულისხმო დასკვნამდე: „ქართლის ცხოვრების განხილვის დროსაც უფრო გარეგანი კრიტიკა იყო გამეფებული, ვიდრე წყაროების არსებითი და ყოველმხრივი შესწავლა. მკვლევართ განსაკუთრებით ის აწუხებდათ, თუ ვინ და როდის შეადგინა თვით კრებული და უცხოელ კრიტიკოსთა აზრის და საწინააღმდეგოდ უნდოდათ დაემტკიცებინათ, რომ ქართლის ცხოვრების თითოეული ნაწილი თანამედროვის მიერ არის დაწერილი. სამწუხაროა, რომ ჩვენში სრულებით შეგნებული არა აქვთ და არც ჰქონდათ, რომ თვითოეულ ძველ საისტორიო თხზულების განხილვის დროს მკვლევარს მარტო ავტორის თანამედროვეობა კი არ უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული, არამედ მისი პიროვნება, განათლება, აზროვნება და მედასეობა, მისი წყაროების თვისება, ჟამთააღმწერლის წერის წესი და მეთოდები, საისტორიო ნაწარმოების ქრონოლოგიური განხილვა მხოლოდ თანამედროვეობის მხრივ მეტად მარტივი საშუალებაა იმიტომ, რომ მემატიანე და ჟამთააღმწერელი შეიძლება თანამედროვეც იყოს, მაგრამ თუ ამასთანავე მოთხრობილის თანადამხდური არ არის, ან თუ მისი მოამბე სარწმუნო თანადამხდური და თვით-მხილველი არ იყო, მის მოთხრობას დიდი ფასი და მნიშვნელობა არა აქვს. თანამედროვე მკვლევარმა ისიც უნდა იცოდეს, რომ აღმწერლის თვალსაზრისი, წოდება და მედასეობა საისტორიო მოთხრობაზე მოქმედებს“... (იქვე).

აქ წარმოდგენილი თვალსაზრისით საქართველოს ისტორიის წყაროების შესწავლა პროფ. ივ. ჯავახიშვილის უდიდესი დამსახურე-

ბაა და ამაშივე ვპოვებთ ჩვენ საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის საძირკველსაც. მეორე ნიშანი, უაღრესად დამახასიათებელი ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობისათვის, აგრეთვე, უკვე მის პირველ ნაშრომსაც აღმოაჩნდა: რუსულ „საიმპერატორო“ უნივერსიტეტში შესრულებული და წარდგენილი გამოკვლევა ავტორმა პირველად ქართულად გამოაქვეყნა. ამაში გამოჩნდა ახალგაზრდა მკვლევარის ურყევი გადაწყვეტილება, თავისი მეცნიერული კვლევა-ძიება უპირატესად ქართველი მშრომელი მასების ფართო წრეებისათვის გასაგებ ენაზე ეწარმოებინა, რათა, ერთი მხრით, საშუალება მიეცა ამ მასებისათვის, დასწაფებოდნენ თანამედროვე მეცნიერებას, ხოლო, მეორე მხრით, განემტკიცებინა შეგნება და ფაქტიური შესაძლებლობაც ქართულ ენაზე რთული მეცნიერული მუშაობის წარმოებისა. ჯერ კიდევ რევოლუციამდე ივ. ჯავახიშვილი თავის უმთავრეს ნაშრომებს ქართულად აქვეყნებს, რითაც აკვირვებს და თავის წინააღმდეგ რაზმავს ძველი რუსეთის რეაქციონურს აკადემიურ წრეებს. ასეთი წიგნებია: „ქართველი ერის ისტორია“, I და II ტომები (ტფ., 1908, 1913, 1914 წწ.), „ქართული საისტორიო მწერლობა“ (1916), „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ (ტფ., 1907), „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია“ (ტფ., 1904) და სხვა საჟურნალგაზეთო წერილები და ნარკვევები.

ამ სულისკვეთებისა და შეგნების ნიადაგზე იბადება იდეა ქართული უნივერსიტეტისა და მის მოსამზადებლად წინასწარ ღონისძიებათა განხორციელების აუცილებლობის შესახებ. 1907 წ. პეტერბურგის უნივერსიტეტთან არსდება, ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით, ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე, რომელიც შემდეგშიაც ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით მუშაობს და დიდ საქმეს აკეთებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ტერმინოლოგიის შესაქმნელად ქართულ ენაზე, თვით საკვლევ სამუშაოს გაშლისა და კადრების მომზადებისათვის აღნიშნულ დარგში. წრის მუშაობის ნაყოფი ბეჭდური სახითაც ქვეყნდება (ქართ. ბიბლიოგრაფია, სპეციალური სამეცნიერო კრებული). ივ. ჯავახიშვილისავე თაოსნობით სპეციალური ანკეტების საშუალებით, იკრიბება ცნობები როგორც რუსეთის, ისე საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში მომუშავე და მოსწავლე ქართველების შესახებ, რომელთაც უნდა შეედგინათ მომავალი ქართული უნივერსიტეტის სათანადო კონტინგენტი. ამ საქმიანობამ მეფის პოლიციის დიდი ყურადღება მიიქცია თავის დროზე.

როცა ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ დაამხო ძველი წესწყობილება და მეფის რუსეთის მიერ დაჩაგრულ ხალხებს

ეროვნულ-კულტურული განვითარების სრული შესაძლებლობა მიანიჭა, შეიქმნა პირობები ქართული უნივერსიტეტის იდეის განხორციელებისათვისაც. პროფესორთა ერთი ჯგუფის მიერ ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით, 1918 წ. დაარსებული ტფილისის ქართული კერძო უნივერსიტეტი, საბჭოთა ხელისუფლების ზრუნვითა და დახმარებით, ბრწყინვალე შედეგს აღწევს და საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უძლიერეს უნივერსიტეტად იქცევა. უნივერსიტეტის 20 წლისთავის იუბილემ, ეხლახან ზეიმით გადახდილმა, კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა მისი დიდი როლი საბჭოთა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში.

საქართველოს ისტორიულ ორიგინალურ წყაროებთან ერთად პროფ. ივ. ჯავახიშვილი ასევე კრიტიკულად სწავლობს უცხოურ წყაროებსაც და თვით ისტორიულ პროცესსაც საქართველოს მომიჯნავე ქვეყნებში, ამოდის რა იმ დებულებიდან, რომ საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლა შეუძლებელია მეზობელ ხალხთა და ქვეყნების ისტორიისაგან განცალკევებით. პრაქტიკულად ამ საქმეში პროფ. ჯავახიშვილს ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ის სავსებით ფლობს ამ წყაროების ენებს — ბერძნულს, ლათინურს, სომხურს, სპარსულსა და სირიულს. ამრიგად აღმოცენდა, კერძოდ, ირანული და სომხური წყაროების კრიტიკა. პირველი — სპეციალურს საუნივერსიტეტო კურსში, ხოლო მეორე — მეტად მნიშვნელოვან მონოგრაფიაში: „ძველი სომხური საისტორიო მწერლობა", წ. I (ტფ., 1935).

ესოდენ ძლიერი წყაროთმცოდნეობითი ინტერესი და მასთან დაკავშირებული კვლევა და დაუღალავი ძიება შეიქმნა იმის მიზეზი, რომ პროფ. ივ. ჯავახიშვილმა აღმოაჩინა და ნაწილობრივ გამოაქვეყნა კიდევაც მანამდე უცნობი, პირველხარისხოვანი ძეგლები: 1) ანასეული ქართლის ცხოვრება, უძველესი ნუსხა ამ ძეგლისა, 2) თამარ მეფის მესამე ისტორიკოსი, ბასილი ეზოსმოძღვარი, 3) ბერი ეგნატაშვილის მიერ შედგენილი ქართლის ცხოვრების გაგრძელება, 4) ქართ. მწერლობის უძველესი ე. წ. ხანმეტი, ძეგლები, რომელთა აღმოჩენამ მთელი ეპოქა შექმნა ქართულ კულტურის ისტორიაში და სხვა.

დააგროვა რა უზარმაზარი ფაქტიური ისტორიული მასალა, გაშუქებული ზემოთ აღნიშნული ისტორიული კრიტიკით, ივ. ჯავახიშვილი შეუდგა ქართველი ხალხის სოციალურ-პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ისტორიის დამუშავებას წინასწარ მოფიქრებულის მკაცრი მეცნიერული გეგმის თანახმად. ამ ჭეშმარიტად განსაცვიფრებელი მუშაობის შედეგად პროფ. ივ. ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა შემდეგი კაპიტალური ნაშრომები: 1) ქართველი ერის ისტორია, 3 ტომად;

2) ქართული სამართლის ისტორია, 3 წიგნად; 3) საქართველოს ეკონომიური ისტორია, 2 წიგნად, უკვე დაბეჭდილია და ამ დღეებში გამოვა; 4) ქართული მუსიკის ისტორია და 5) ქართულ-ქართველურისა და კავკასიურ ენების ნათესაობის პრობლემა. პროფ. ივ. ჯავახიშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, უკანასკნელ წლებში შეგროვდა უდიდესი და ძვირფასი მასალა ქართული ხელოსნობის ისტორიისათვის.

სპეციალურად უკვირდებოდა ივანე ჯავახიშვილი სოციალური ისტორიის საკითხებს. 1905 წ. მან გამოაქვეყნა რუსულად საგულისხმო მონოგრაფია „Политическое и социальное движение в Грузии в XIX в." ეს გამოცემა შემდეგ მოსპო მეფის ცენზურამ. განსაკუთრებით სწავლობს ივ. ჯავახიშვილი დემოკრატიულ მოძრაობას ძველ საქართველოში, რასაც აგრეთვე სპეციალურ მონოგრაფიებს უძღვნის. კლასობრივი ბრძოლის ისტორიის სფეროს ეკუთვნის მისი წიგნი „სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX—XIII სს-ში" (ტფ., 1936). ანალოგიურ საკითხებს სწვდება ივ. ჯავახიშვილი მეზობელ ქვეყნების ისტორიაშიაც (იხ., კერძოდ, მისი მეტად საგულისხმო წერილი „ერთი გვერდი გლეხთა მოძრაობის ისტორიიდან ძველ სომხეთში", ტფ., უნ. მოამბე, ტ. II).

დიდ მუშაობას ეწეოდა და ეწევა პროფ. ივ. ჯავახიშვილი პედაგოგიურ სარბიელზე. რამდენიმე ათეულ კაცს, მის მოწაფეთა რიცხვიდან, უკვე მოპოვებული აქვს პროფესორისა და დოცენტის წოდებები და დოქტორისა და კანდიდატის ხარისხები. დიდი მუშაობა აქვს ჩატარებული პროფ. ივანე ჯავახიშვილს ქართული სალიტერატურო ენისა და ორთოგრაფიის ნორმების დადგენისა და ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავების დარგში. კერძოდ, სამხედრო ტერმინოლოგიაზე მუშაობისათვის მას საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრისაგან მიღებული აქვს მადლობის სიგელი. დიდს მუშაობას ეწეოდა და ეწევა პროფ. ივ. ჯავახიშვილი დაინტერესებულ ორგანიზაციებისა და პირების კონსულტაციის დარგში. დიდი საქმიანობა ჩაატარა პროფ. ჯავახიშვილმა როგორც საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარემ და სხვა სამეცნიერო საზოგადოებათა აქტიურმა თანამშრომელმა.

შესანიშნავი, დიდი მუშაობა ჩაატარეს პროფ. ივ. ჯავახიშვილმა და მისი ხელმძღვანელობით მისმა თანამშრომლებმა შოთა რუსთაველის საიუბილეო გამოფენის მოსაწყობად, რამაც, როგორც ეს კარგად იციან მშრომელებმა, ბრწყინვალე შედეგი გამოიღო.

პროფ. ივ. ჯავახიშვილმა თავისი მოღვაწეობისათვის შესაფერისი სარბიელი მხოლოდ საბჭოთა საქართველოში ჰპოვა, საბჭოთა ხელისუფლებამ შეუქმნა მას ყველა პირობა თავისი დიდი ნიჭისა და ენერგიის ყოველმხრივი გაშლისათვის. დიადმა საბჭოთა ხალხმა დაუფასა ივანე ჯავახიშვილს ღვაწლი და ამაგი და აღჭურვა იგი თავისი დიდი ნდობით: ამჟამად პროფ. ივ. ჯავახიშვილი არჩეულია საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს დეპუტატად კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის მიერ.

მხცოვანი მეცნიერის დაუშრეტელს, ჯერ კიდევ ოდნავადაც შეუნელებელს ენერგიას ეხლა ახალი ასპარეზი ეხსნება ჩვენი სწორუპოვარი სამშობლოს სამსახურისათვის.

# ИВАН АЛЕКСАНДРОВИЧ ДЖАВАХИШВИЛИ

18 ноября с. г., в 9 час. 45 мин. вечера, в гор. Тбилиси, на публичном заседании Ученого Совета Института языка, истории и материальной культуры им. Марра Грузинского Филиала АН СССР внезапно скончался выдающийся деятель советской исторической науки, действительный член АН СССР, член Президиума Верховного Совета Грузинской ССР, профессор Иван Александрович Джавахишвили.

Скончался выдающийся ученый и общественный деятель во время чтения своего доклада «Задачи грузинской филологии и истории древнегрузинской художественной литературы».

Смерть была моментальна.

Академик Иван Александрович Джавахишвили принадлежал к числу современных крупнейших советских историков, являясь основоположником научного изучения древней истории Грузии и авторитетным исследователем древностей ряда сопредельных с Грузией стран.

Иван Александрович родился в Тбилиси, 11 апреля 1876 г. Среднее образование он получил в Тбилисской I гимназии, по окончании которой поступил в б. Петербургский университет, на факультет восточных языков по армяно-грузино-персидскому разряду; Петербургский университет окончил в 1899 г. и там же был оставлен для подготовки к профессорскому званию. В 1900 г., сдав экзамены на магистра, был с научной целью командирован в Германию, где работал у известного ученого Ад. Гарнака. В1902 г. был послан, вместе с акад. Марром, Петербургским университетом в Аравию, на Синай, для описания хранящихся там грузинских рукописей, что и было выполнено с успехом. Осенью того же года был избран приват-доцентом Петербургского университета по кафедре армяно-грузинской филологии и с 1 января 1903 г. начал читать лекции по истории Грузии и Армении. В 1906 г. защитил диссертацию («Государственный строй древней Грузии и древней Армении», СПб, 1905 г.) и получил степень магистра армяно-грузинской филологии. В 1917 г. был избран доцентом. В 1918 г., с открытием Тбилисского университета, был избран профессором и деканом Философского факультета названного университета. В последующие годы, особенно и преимущественно — после установления

советской власти в Грузии деятельность акад. Джавахишвили становится исключительно многогранной и продуктивной.

Научно-исследовательской работой Иван Александрович стал заниматься еще со студенческой скамьи. Так, будучи студентом Петербургского (н. Ленинградского) университета И. А. Джавахишвили знакомит русское общество с замечательным памятником древне-грузинской письменности — «Мудрость Балавара» (1897 г.), а представленная им, тогда же, в качестве конкурсной, работа: «Проповедническая деятельность апост. Андрея и св. Нины в Грузии» была награждена советом профессоров того же университета золотой медалью (1898 г.). Эта работа чрезвычайно характерна для научных интересов и всей дальнейшей деятельности автора: студент III курса факультета восточных языков, т. е. по существу питомец филологической школы, поставил тут важнейшую задачу науки истории Грузии, задачу научной критики источников, отметая наивно-благоговейное, националистическое отношение ко всякого рода, безразлично, памятникам родной древней письменности, являвшееся одним из главных препятствий к научному освещению прошлого грузинского народа. Этот источниковедческий интерес никогда потом не покидает автора и порождает огромный его труд, имеющий по своему замыслу и выполнению мало аналогий в исторической литературе — «Задачи, источники и методы истории в древности и теперь», представленный (не будучи доведенным до конца) в 4 книгах (все на грузин. яз.): 1) «Древне-грузинская историческая письменность» (1916); 2) «Грузинская нумизматика и метрология» (1925), 3) «Грузинская палеография» (1926) и 4) «Грузинская дипломатика» (всего около 1000 стр.). В данном труде автор впервые кладет основание вспомогательным дисциплинам науки истории Грузии и научно-критическому изучению источников грузинской истории, а на основании этой критики — фактическому изучению всего разнообразия различных категорий данных источников. Свою задачу в предисловии к «Древне-грузинской исторической письменности» автор определял так: ... «выяснить как личность каждого летописца и историка, — именно, к какой среде и направлению принадлежал он, носителем какого мировоззрения и точки зрения он являлся, — а также установить, что ставил он себе целью и что хотел, когда начинал писать свое сочинение. Вместе с тем я всегда пытался узнать, какие и насколько достоверные источники имел каждый из них и каким путем и средствами желали они осуществить и осуществили свою цель». Рассмотрение с этой точки зрения основного источника истории Грузии, знаменитого сборника древних летописных и исторических сочинений, «Картлис Цховреба», и существующей о нем литературы привело автора к взгляду, что до сих пор по отношению к этому сборнику «господствовала больше внешняя критика, чем

изучение источников по существу и со всех сторон... При рассмотрении любого древнего исторического сочинения, исследователь должен составить себе представление не только о времени деятельности автора, но и об его личности, образовании, мышлении и партийности, о характере его источников, о его манере и методах письма... Точка зрения, сословность и партийность писателя кладет на историческое сочинение свою сильную печать и волей неволей определяет степень беспристрастия». С этой точки зрения, «Картлис Цховреба» для акад. И. А. Джавахишвили есть полуофициальный сборник авторов, стоявших на точке зрения интересов центральной царской власти. Другая положительная черта акад. И. А. Джавахишвили, как ученого историка — сознание необходимости изучать историю Грузии в тесной связи с историей сопредельных стран и народов, — заставляет его распространить свой критический метод и на иностранные источники истории Грузии не только с точки зрения интересов истории Грузии, но и с точки зрения истории соответствующих народов. В этом деле акад. И. А. Джавахишвили оказывает большое содействие знание соответствующих древних языков: армянского, персидского, греческого, латинского, сирийского. Таким образом возникает, в частности, критика персидских (в университетском курсе) и армянских источников; по последним акад. И. А. Джавахишвили публикует (1935): «Древне-армянская историческая литература», т. I (на груз. яз.).

Столь сильный интерес к источникам, сопровождаемый соответствующей исследовательской работой и неутомимыми поисками, приводит к открытию целого ряда неизвестных до того, чрезвычайно важных источников и рукописей; таковы: 1) древнейший список «Картлис Цховреба» («Анасеули»), 2) третий историк ц. Тамары, Басилий Эзосмодзгвари, 3) летопись эпохи Лаша Георгия, 4) продолжение «Картлис Цховреба», составленное комиссией ц. Вахтанга VI (вышло в издании ЯИМК Груз. Филиала АН СССР в 1940 г.), 5) т. н. «Ханметные» тексты, древнейшие памятники груз. письменности, открытия которых составляет целую эпоху в истории груз. литературы, и т. д.

Овладев огромным фактическим историческим материалом, освещенным осветом указанной критики, акад. И. А. Джавахишвили начинает разрабатывать историю грузинского народа, следуя предварительно выработанному плану, с совершенно исключительной методичностью, систематичностью и упорством. Так возникают его капитальные труды: 1) «История грузинского народа», в трех томах (более 1000 страниц), 2) «История грузинского права», в трех книгах (более 1000 страниц), законченное исследование и 3) первые два тома «Экономической истории Грузии» (около 1200 стр.).

Общественные взгляды акад. И. А. Джавахишвили стали формироваться под влиянием народно-освободительного движе-

ния, охватившего Грузию с шестидесятых годов прошлого века. Идеи этого движения пронизывают труды акад. И. А. Джавахишвили. С самого начала своей деятельности акад. И. А. Джавахишвили выступает энтузиастом и практическим организатором дела распространения научных, в частности, исторических, знаний на грузинском языке и внедрения новейшей науки и научно-исследовательской работы на родной почве. Большинство исследований акад. И.А. Джавахишвили, еще до революции и в бытность его доцентом С.—П. «Императорского» Университета, были написаны им на грузинском языке. Тому же делу служили его частые научные публичные лекции в Грузии. Вместе с тем акад. И. А. Джавахишвили открыто выступает против национализма в науке («Патриотизм и наука», 1904 г.). Завершением указанной деятельности была практическая подготовка к созданию национального университета, начавшаяся еще в дореволюционный период, но получившая свое осуществление лишь в условиях, созданных Великой Октябрьской Социалистической Революцией: разумеем открытие Тбилисского Государственного Университета в 1918 году, главным инициатором и организатором чего и явился акад. И. А. Джавахишвили. С 1919 г. по 1926 г. акад. И. А. Джавахишвили состоит ректором этого университета и проводит большую работу по его дальнейшему расширению и укреплению.

В общественной стороне деятельности акад. И. А. Джавахишвили привлекает внимание его отзывчивость на развитие освободительного движения, на развитие русской революции, находящая отражение в его научной работе. 1905 году акад. Джавахишвили отвечает исследованием «Политическое и социальное движение в Грузии в XIX в.». Это издание было уничтожено цензурой. Накануне первой русской революции акад. Джавахишвили занимается историей демократического движения в древней Грузии. Специально социальной истории посвящены также его работы: «Страница из истории крестьянского движения в древней Армении» (1923), впервые указавшая на значение древне-армянского историка Ст. Орбеляна с данной точки зрения, и монография «История социальной борьбы в Грузии в IX—XIII вв.» (1934).

С установлением советской власти в Грузии деятельность акад. И. А. Джавахишвили становится еще более обширной и активной, как ректора университета, профессора того же университета, председателя Государственного Ученого Совета, председателя Грузинского Историко-Этнографического общества, члена многих других научных обществ, активного участника разработки грузинской научной терминологии, унификации ли-

тературных и орфографических норм грузинского языка. За работу по военной терминологии акад. Джавахишвили получил от Наркома обороны СССР благодарственную грамоту. Большую работу И. А. Джавахишвили вел по подготовке кадров, руководя до самой смерти аспирантами по истории Грузии. Огромную работу вел акад. Джавахишвили также по консультации всех заинтересованных лиц и учреждений. Большую работу акад. Джавахишвили провел по организации юбилейной выставки Руставели (1937 г.) и самого Музея Руставели, директором которого он состоял.

Большая часть исследований акад. И. А. Джавахишвили, в том числе и самые крупные, появилась целиком при советской власти. Поистине изумительная разносторонность научных и общественных интересов акад. И. А. Джавахишвили нашла свое полное выражение и осуществление лишь при советской власти. В 1938 г. вышли из печати специальная монография по истории грузинской музыки и большое исследование по вопросу родства картвельских и кавказских языков («Первоначальный строй и родство грузинского и кавказских языков»). В последние годы под непосредственным руководством акад. Джавахишвили был собран и подготовлен к печати огромный материал для истории кустарной промышленности Грузии. Покойный готовил для сдачи в печать почти законченную «Историю быта и материальной культуры древней Грузии» и критические издания ряда древнегрузинских историков.

Советский народ и советская власть достойным образом оценили заслуги И. А. Джавахишвили: в связи с двадцатилетием Тбилисского Гос. Университета им. Сталина он был награжден орденом Трудового Красного Знамени, а 12 июня 1938 г. грузинский народ избрал его депутатом Верховного Совета Грузинской ССР; Верховный Совет, в свою очередь избрал акад. И. А. Джавахишвили членом своего Президиума.

В1939 г. Иван Александрович был избран действительным членом Академии Наук СССР.

С конца 1938 г. Иван Алескандрович был руководителем беспрецедентных по своему масштабу для Закавказья археологических работ, которые ведет в Мцхета — Самтавро Институт языка, истории и материальной культуры им. Марра Грузинского Филиала АН СССР.

Окруженный всеобщим почетом и любовью, акад. Джавахишвили продолжал свою работу без устали, не щадя сил, буквально до последней минуты своей жизни. Он был полон новых замыслов, он торопился с окончанием своих ранее начатых ра-

бот. Беспредельная любовь к народу и своему делу, верность гражданскому и научному долгу воодушевляли этого обремененного физическими недугами большого человека на подвиг, имеющий немного примеров в истории науки.

Смерть сразила его на боевом посту... Умер ученый неиссякаемой энергии, несгибаемой воли, колоссальной эрудиции...

Огромную потерю понесли советский народ и его передовая наука.

Но имя Ивана Александровича Джавахишвили останется навеки в истории родного народа, который сохранит его богатейшее научное наследство.

## ПРОФ. Н. А. БЕРДЗЕНИШВИЛИ

### Из истории русско-грузинских отношений на рубеже XVI — XVII веков. Диссертационная работа, представленная на соискание ученой степени доктора исторических наук

Новое исследование профессора Николая Александровича Бердзенишвили, представленное им на соискание ученой степени доктора исторических наук содержит в себе краткое предисловие, исследование на 194-х машинописных страницах и приложение, состоящее из основных русских документов по вопросу и их грузинских переводов, выполненных самим диссертантом.

Ознакомление с диссертационной работой проф. Бердзенишвили убеждает нас в том, что это — серьезная и большая монография на научно очень важную и общественно-политически животрепещущую тему.

Значение работы проф. Бердзенишвили станет для нас еще более понятным, если тут же вспомнить, что по вопросу мы почти не имеем других исследований. Публичный доклад покойного акад. И. А. Джавахишвили об Александре Кахетинском, читанный им лет пятнадцать или более тому назад, до сих пор остается неизданным.

Рассмотрим, однако, диссертационную работу фактически. Начнем с изложения наших критических замечаний.

Работа страдает некоторыми техническими недостатками и нуждается в дополнительной литературной отделке. Сама структура монографии не может не вызвать замечаний. Конечно, разбивка текста на отдельные части должна быть уточнена и, кроме того, желательно снабдить ее оглавлением. Следует (это легко сделать автору) усовершенствовать соотношение основного текста исследования с его примечаниями. Бросается в глаза непомерная величина примечаний, тянущихся на протяжении многих страницах (см., напр., страницы 17—23, 25—31, 35—40. 48—49, 54—59, 61—68, 69—74, 76—79, 80—89, 103—111, 157—162...). Я не против намерения автора максимально разгрузить основной текст монографии от научного аппарата и свести последний в «подвальный этаж». Наука в нашей стране, и тем более такая наука, как история, принимает все более и более ярко выраженный массовый, демократический характер, и нет, конечно, ничего плохого в том, чтобы освободить массового читателя от тяже-

лой для него объязанности вникать во все детали научной аргументации. Приходится лишь жалеть о том, что в сноски попали весьма важные, с точки зрения хода мысли исследователя, его рассуждения по существу (см., напр., стр. 156, прим.; 157—162, прим., и т. д.). Они-то, на наш взгляд, и должны быть возвращены на свое место[1].

Приходится отмечать некоторые неровности в стиле и языке диссертации, вроде неправильных согласований (стр. 74: შაჰმა... შეჰპირდა; прил. № 2, § II: მეფემ... გვემსახურონ; стр. 77, прим.: კახეთიდან ხელის აღება; стр. 79, прим.: საქართველოდან ხელის აღებინება). неправильных написаний (систематически შაჰაბასი, без дефиса). Язык диссертационной работы выразителен и сочен, автор щедро насыщает свою речь лексикой и оборотами. взятыми из источников и, реже, из диалектов, что способствует обогащению литературного языка специфическими и народными чертами исторического повествования и его освобождению от газетно-канцелярского словесного трафарета, толстым слоем покрывающего, к сожалению, многие страницы исторической печати у нас. Эта литературная тенденция автора достойна похвалы и поощрения. Однако в редких случаях тут получается и перегиб палки. Повидимому, по аналогии с народным რუს-ხელმწიფე проф. Н. А. Бердзенишвили дает такие явно неприемлемые неологизмы, как: რუს-ელჩები и რუს-დიპლომატები (стр. стр. 37, 38, 40, 45, 54, и др.), კახ-საზოგადოება (стр. 184), ოსმალო-გარნიზონები (стр. 193)[2].

Наряду с чисто языковыми оборотами в работу из источников проникли и термины. слишком локальные для того, чтобы они могли найти себе целесообразное применение в нашей речи. Так, повествуя о планах и намерениях мусульманских государств по отношению к Грузии, автор последнюю именует Гурджистаном (стр. 142, 143, 144). Такой прием один раз может создать некоторый колорит, при частом же повторении он раздражает читателя.

То же самое нужно сказать и о термине საქართველოები, «Грузии» (стр. 48, 76, 78, 83, 143). Этот термин чрезвычайно характерен для самосознания позднефеодальной Грузии: несмотря на политическую раздробленность страны, межфеодальные распри и раздоры, идея единства Грузии продолжала жить: каждое

---

[1] Кое-где я заметил ошибки в ссылках, напр., стр. 47, прим. 2 и 3, стр. 60, прим. 3, стр. 63, прим. 1, — что, очевидно, носит случайный характер. Пунктуальность автора в этом отношении нам хорошо известна.

[2] К диалектизмам нужно отнести такие формы, как გაივიწყა (стр. 40), ა რ გავიწყებია (стр. 89 прим., стр. 124—5).

грузинское царство и княжество само по себе было Грузией, следовательно «Грузий» было много! Несмотря на все историческое значение данного факта, в рассказе современного историка об этой политически расчлененной Грузии XVI—XVII веков термин საქართველოები не может быть обычным.

Описанному влиянию источников нужно приписать также и некоторую то-ли неустойчивость, то-ли недоработанность и неотточенность отдельных формулировок, что плохо вяжется со всей системой вполне определенных понятий и взглядов автора. Здесь мы уже вступаем в область замечаний по существу. Так, напр., несколько противоречивым выглядит портрет кахетинского царя Александра: с одной стороны, проф. Н. А. Бердзенишвили весьма убедительно рисует царя Александра как пламенного общегрузинского патриота, чрезвычайно настойчивого политика и искуснейшего дипломата, с другой же стороны неаргументировано и неубедительно заявляет, что царь Александр был «несколько нерешителен» (стр. 172), что он «никогда не страдал болезнью рыцарской верности» (стр. 118), что он «тяжесть выполнения объязательств возлагал лишь на протектора» (стр. 68, прим.). Неловко как-то передана характеристика Александра, принадлежащая Шаху Аббасу, этому кровожадному врагу не только кахетинского царя, но и всего грузинского народа (стр. 163)[3].

В некоторых главах диссертации основные партнеры изучаемых исторических отношений — московский и кахетинский цари — именуются просто: первый — «государем», а второй — «царем» (стр. 31, 124). Такая терминология есть плод тенденции части московских официальных актов. Между тем, хорошо известный диссертанту документальный архив московского же происхождения недвусмысленно свидетельствует, что обе стороны прекрасно разбирались в политической терминологии: московский и грузинский владетели совершенно одинаково титулуются «царями» и обозначаются «государями» (в смысле — «суверен», «верховный владыка»). Но есть и такой случай, когда кажется, что автор впадает в гиперкритицизм по отношению к источникам. Имею в виду случай с московским послом Леонтьевым — проф. Н. А. Бердзенишвили склонен больше верить личным объяснениям Леонтьева, чем официальным документальным сообщениям. Как же в таком случае объяснить столь суровое решение московского царя, как его приговор казнить смертью опорочившего честь государства чиновника?

Еще несколько мелких замечаний. Вместе с Белокуровым автор полагает, что в XVI в. весь Северный Кавказ уже был мусульманским (стр. 25, прим.). Это, конечно, неверно. Даже значительно позже того, весьма обширные районы Северного Кавказа оставались вне влияния ислама.

---

[3] Хотелось бы также смягчить замечание о «лаборатории» царя Александра, стр. 43.

Почему Ширван определяется, как «собственно иранская страна» (стр. 34, прим.), непонятно.

Мне показалось, что эпитет «великий» прилагается к кровавому Шаху Аббасу чаще (см. напр. стр. 139, 142), чем это может быть терпимо, для грузинского читателя, в печальной повести о величайшей трагедии Грузии начала XVII в.

Иной раз, в разрез с своей обычной манерой, автор комкает аргументацию, что делает его правильные по существу соображения не до конца убедительными для более широкого круга читателей. Так, безусловно верно наблюдение, что странное географическое название, встречающееся в русских источниках эпохи — «Архидиакон Степан» есть не что иное, как грузинское «Стефан-цмида». Но для большинства читателей останется непонятным, причем тут «архидиакон»; объяснить же это автору не стоило большого труда.

Оставлено также без подкрепляющего фактического материала остроумное утверждение Н. А. Бердзенишвили об идентичности Терс-а, секретаря кахетинского царя, русских сообщений, с Матарс-ом гремских надписей (стр. 41, прим.).

Наконец, не могу не пожалеть, что некоторые (хотя бы главнейшие) историко-географические вопросы Северного Кавказа оставлены в диссертации без всякого рассмотрения. В каких границах нужно мыслить Шамхальское княжество, где проходила линия территориального контакта Кахетинского царства с владением Шамхала, какую же именно реку нужно разуметь под столь часто упоминаемым Койсу («Койсу» — ведь просто тюркский термин общего значения — «река»!)? Без ответа на данные вопросы читателю невозможно себе представить конкретную историческую обстановку, что в свою очередь оставляет для него неясным очень многое в истории грузино-дагестанских отношений.

Уже по характеру наших вышеизложенных замечаний должно быть очевидно, что нам не приходится возражать против ведущих положений монографии. Эти результаты исследования проф. Н. А. Бердзенишвили войдут в грузинскую историографию, как прочный фундамент для всех возможных дополнительных разысканий и построений, имеющих своим предметом внешнеполитические отношения Грузии конца XVI-го и начала XVII-го веков, а для русско-грузинских отношений — и всю их последующую эволюцию.

Внушительная по своему объему монография Николая Александровича касается сравнительно очень небольшого отрезка времени 1587—1605 гг. и только одной — внешнеполитической — сферы исторического процесса. Уже один этот факт свидетельствует о том, насколько пристально и детально занимался диссертант предметом своего исследования. Однако, диссертационная работа отличается не только обстоятельностью и подробностью изложения — вопросы, поставленные в моногра-

фии, изучены столь же глубоко, сколь и всеобъемлюще. Для внимательного читателя не может остаться незамеченным, что в исследовании Н. А. Бердзенишвили исчерпывающему, всестороннему использованию любого источника предшествует его подробный критический анализ, вскрытие и уяснение его субъективного характера и тенденции, что очищенные и отсеянные таким образом исторические факты в дальнейшем используются для реконструкции, синтетическим путем, исторических состояний и эволюции лишь после самого строгого сравнительного рассмотрения противоречивых показаний источников. Словом, диссертационная работа построена таким образом, как должна быть построена образцовая работа историка Советской школы.

Иначе нельзя было и ожидать от проф. Н. А. Бердзенишвили. Николай Александрович безусловно принадлежит к передовому отряду советских историков, усвоивших материалистическое понимание истории не декларативно, а творчески, как метод глубочайшего познания механики развития человеческих обществ, и сочетающих свою высокую методологическую оснащенность с исчерпывающим знанием фактического материала. Н. А. Бердзенишвили — марксистско-ленинский мыслитель в подлинном значении этого слова. Он, воспитанник школы крупнейшего ученого, акад. И. А. Джавахишвили, усвоивший все положительные качества этой школы — чистоту и строгость критического аппарата, высокую научную принципиальность и развитую исследовательскую технику, — не остановился на достижениях школы, а неутомимо и смело пошел дальше, как в отношении накопления материала, так и, что еще более важно, усовершенствования метода. Потому-то деятельность Николая Александровича систематически служит замечательному приращению наших научных знаний. Со всей ответственностью мы заявляем, что Николай Александрович не имеет себе равного в отношении знания позднефеодальной Грузии и что будущие исследователи прошлого грузинского народа всегда должны будут считаться самым серьезным образом с его выводами и общей концепцией. В подтверждение данной мысли достаточно назвать одну хотя бы печатную работу проф. Бердзенишвили — главы «Истории Грузии» (Тбилиси, 1943 г., Госиздат Грузии), повествующие о развитии Грузии в XVI—XVIII веках и представляющие собой, в подавляющей своей части, совершенно самостоятельное исследование, проведенное с таким охватом материала и на такой глубине проникновения в суть движущих сил исторического процесса, что названная работа проф. Бердзенишвили должна быть отнесена к числу лучших работ советской исторической литературы. В этом обобщающей работе Николая Александровича находят себе освещение как все остальные стороны личности и деятельности кахетинского царя Александра, так и общее состояние Грузии на рубеже XVI—XVII веков. Становится очевидным, что рассматриваемая нами диссертация представляет собой од-

но из тех детальных, обстоятельных разысканий, которые предшествовали вышеуказанным сугубо конденсированным главам учебника «Истории Грузии» и что эти главы, следовательно, являются результатом колоссальной работы, проведенной Николаем Александровичем над первоисточниками.

Вопросы, имеющие исключительное научное значение, являются темой представленной диссертации. Среди них первое место, конечно, занимает вопрос о том, какими историческими путями русский и грузинский народы пришли к своему нерушимому, братскому союзу. На этот вопрос работа Н. А. Бердзенишвили отвечает не в агитационно-декларативной, а потому — неубедительной форме, а убедительными, объективными средствами научного мышления, показывая на фактах, что путь сближения русского и грузинского народов был нелегкий, загроможденный историческими, социально-экономическими, географическими, внутри-политическими и внешне-политическими препятствиями, но путь необходимый, наиболее приемлемый и наиболее прогрессивный. В этом — огромная не только научная, но и общественно-политическая заслуга и значимость диссертации.

Огромную трагедию пережила Грузия в начале XVII века. Это была кровавая расправа, учиненная персами над непокорной Кахетией. Несмотря на героическое сопротивление, богатейший, важнейший край опустел от грузинского населения. Однако опасность висевшая над страной, была неизмеримо большей: кровожадный тиран готовил ее катастрофу полную. И если бы не самоотверженная борьба великого народного вождя Георгия Саакадзе и возглавляемых им героев, Карталинию, центральную, ведущую область и сердце Грузии, ожидала участь Кахетии. Какова же могла быть и дальнейшая судьба Грузии, потерявшей всю свою восточную часть? Работа проф. Бердзенишвили объясняет нам, что подготовило эти грозные события, разразившиеся над Грузией с такой ужасной силой в начале XVII в. В этом огромная заслуга Н. А. Бердзенишвили.

Что касается вопроса о том, насколько данная работа соответствует своему специальному назначению, здесь не может быть двух мнений. Только исключительная, на наш взгляд — чрезмерная, скромность и щепетильность, а также самая высокая требовательность к себе не позволяли проф. Бердзенишвили еще раньше представить одну из многих своих публикаций с аналогичной же целью.

Ходатайствую перед Ученым Советом Института языка, истории и материальной культуры им. акад. Н. Я. Марра Академии наук Грузинской ССР о допущении профессора Николая Александровича Бердзенишвили к публичной защите исследования «Из истории русско-грузинских отношений на рубеже XVI—XVII веков» на соискание ученой степени доктора исторических наук.

## საზოგადოებრივი მეცნიერებანი საბჭოთა საქართველოში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლის თავზე

შესანიშნავია გზა, განვლილი ქართული მეცნიერების მიერ პირველი სოციალისტური ოქტომბრიდან მეოცემდე. ამ გზის მოხილვა სიამაყის გრძნობით ავსებს საბჭოთა პატრიოტის გულს.

რა იყო ქართული მეცნიერება რევოლუციამდე?

რუსეთის მეფეების საპყრობილეში საქართველო შეიყვანეს პოლიტიკურად დაძაბუნებული, მეურნეობრივად დასუსტებული, საზოგადოებრივად მძიმე წრეში მომწყვდეული; მაგრამ ეს კრიზისი, რომელმაც მოამზადა ნიადაგი ანექსიისათვის, იყო ფეოდალური მეურნეობის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს დაქვეითება, ქართველი ხალხი სავსე იყო ჭაბუკური შემოქმედებითი ენერგიით. გამობრძმედილი უთვალავ ბრძოლებში თავის შინაურ თუ გარეშე მტრებთან, გულგაუტეხელი, სიცოცხლისა და თავისუფლების მოყვარე, „მუდამ მხნე, მუდამ მღერალი", ქართველი ხალხი, არსენათა და ოთარაანთ მოდგმის ეს „ჩაკირული" ერი, ეძებს და ქმნის თავისი „გაღვიძებული ცხოვრებისათვის" ახალ კალაპოტს. ქართველმა ხალხმა იცოდა, მისი დიდი შვილის ილიას სიტყვით, რომ თავისუფლების „მძებნელი" „სისხლით იკვლევს გზას და იგი მთელი თავისი არსებით მიეცა ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლას.

ამ ბრძოლაში ქართველი ხალხი შეიარაღებული იყო, სხვათა შორის, თავისი ძველთაძველი კულტურითაც, რომლითაც იკვეთებოდა მისი ინდივიდუალური ეროვნული სახე.

ამ კულტურის ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტთაგანია, რა თქმა უნდა, მეცნიერული კვლევა-ძიება ქართულ ენაზე. ჯერ კიდევ წინაფეოდალურ ხანაში წარმოშობილი, ორგანულად დაკავშირებული ძველი აღმოსავლეთის, მსოფლიოს ღირებულების მქონე, მიღწევებთან ამ დარგში იგი ჩვენთვის ჯერჯერობით უფრო კარგად ცნობილია ფეოდალური ხანის ძეგლებით. ფილოლოგია, ისტორია, მედიცინა, მათემატიკა და ასტრონომია, ტექნიკური ცოდნანი აღწევენ ძველ საქართველოში თვალსაჩინოდ მაღალს, — ფეოდალურ

პირობებში შესაძლებელს, — დონეს, ამ კულტურის აყვავების ხანა X—XIV სს. პერიოდზე მოდის. მაგრამ ქართული ფეოდალიზმის დაცემის ეპოქაშიაც, კერძოდ, XVIII ს., პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის წინ, მეცნიერული აზროვნება საქართველოში სრულიადაც არ ყოფილა ჩამქრალი. საკმარისია დავასახელოთ ამ პერიოდის ისეთი მოვლენები, როგორიცაა ქართული ლექსიკოლოგიის უკვდავი ქმნილება სულხან-საბას ლექსიკონი, დიდი ვახუშტისა და მის თანამედროვეთა ისტორიული შრომები, ძლიერი გავლენის მქონე (ანტონისეული) გრამატიკული სკოლა, ახლად აღორძინებული ფილოლოგია და პოეტიკა და სხვა.

ამ ნოყიერი ტრადიციების ნიადაგზე XVIII საუკუნეშივე იწყება ძველი ქართული (ფეოდალური ხანის) მეცნიერული აზროვნების ურთიერთობა ახალ იდეებთან, რომლებიც იჭრება საქართველოში, უპირატესად რუსეთის მეშვეობით, კაპიტალისტური განვითარების გზაზე შემდგარი ევროპიდან. მრავალმეტყველია ის ფაქტი, რომ ქართველოლოგიის დამაარსებელი (XIX საუკუნის ოცდაათიან წლებში) რუსეთში, ბროსე, ჯერ კიდევ პარიზში ყოფნისას მოწაფე ხდება ძველი ქართული სამეცნიერო სკოლის წარმომადგენლებისა, რომელთაც XVIII საუკუნიდან XIX ს-ში გადმოიტანეს მშობლიური წარსულის ცოდნა და თაობიდან თაობაში გადმოცემული კულტურული ტრადიციები.

შემდეგ ხდება ევროპული სამეცნიერო გამოცდილებისა და მონაპოვარის უფრო ღრმა შეთვისება. საუკუნის უკვე პირველ ნახევარში სარბიელზე გამოდიან ისეთი მუშაკნი, როგორიც იყვნენ პლატონ იოსელიანი, პროფ. დ. ჩუბინაშვილი და სხვ., ხოლო იმავე საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ხალხი აძლევს მსოფლიო მეცნიერებას ისეთს სახელოვან თანამშრომლებს, როგორიც იყვნენ პროფესორები: ვას. პეტრიაშვილი, აკად. ივ. თარხნიშვილი, პ. მელიქიშვილი, ალ. ცაგარელი, აკად. ნ. მარი, ალ. ხახანაშვილი და სხვები. საუნივერსიტეტო ცენტრებს გარეშე სამშობლოში მუშაობს თავდადებული ენთუზიასტების მთელი წყება (დ. ბაქრაძე, თ. ჟორდანია, მ. ჯანაშვილი, პ. ჭარაია, ნ. ხიზანიშვილი, დ. კარიჭაშვილი, ს. გორგაძე და სხვ.). დაუვიწყარია ამ მუშაკთა ღვაწლი. დიდი მსხვერპლი და გმირობა იყო საჭირო სამეცნიერო ლაბორატორიისაკენ გზის გასაკვლევად. ვინც ახერხებდა, მიეღწია აკადემიური კარებისათვის თავის „ინოროდცობის“ დაღით, ის სამუდამოდ უნდა მოსწყვეტოდა სამშობლო ქვეყანას. აქ დარჩენილნი კი, სამეცნიერო მუშაობის ელემენტარულ პირობებს მოწყვეტილნი, ლუკმა-პურისათვის ზრუნვაში დალეული დღით დაქანცულნი, ღამეებს სტაცებდნენ დროს, რომ თავიანთი საზოგადოებრივ-მეცნიერული ინტერესი მცირედ მაინც დაეკმაყოფილებინათ. დილას

მათთვის მოჰქონდა ცენზორის „კონსულტაცია“, ხელისუფალთა რისხვა, დევნა და შეურაცხყოფა.

მეფესა და მის სატრაპებს ჭეშმარიტი მეცნიერული სიტყვის ეშინოდათ ისევე, როგორც რევოლუციურ-პუბლიცისტურისა და პოეტურისა. „ცრემლიანი ცოდნა“ იყო დამონებული ხალხის შვილების მეცნიერული ცოდნა. გაყვლეფილი ხალხის ვაება და მებრძოლთა მოწოდება, მტარვალთა დასამხობად მიმართული. ესმოდათ მეფის რუსეთის „დერჟიმორდებს“ თვითეულს მართალს მეცნიერულ სტრიქონში.

სასაცილო იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ ეს ბარბაროსული რეჟიმი სახელმწიფოებრივ დახმარებას გაუწევდა სამეცნიერო საქმის ორგანიზაციას ეროვნულ ნიადაგზე. უძველესი, ქართულ სიძველეთსაცავებს შორის, საეკლესიო მუზეუმი, რომელშიაც თავმოყრილი იყო ქართული კულტურის უძვირფასესი განძი, საბჭოთა პერიოდამდე ერთ ოთახში იყო გამომწყვდეული. ერთადერთი რევოლუციამდელი ქართული საკვლევი დაწესებულება — საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება (დაარსდა 1907 წ.) არსებობდა მხოლოდ-დამხოლოდ კერძო გზით შემოსული საშუალებებითა და ქველმოქმედებით.

როგორი განუზომელი განსხვავებაა აღწერილ მდგომარეობასა და დღევანდელს შორის! თუ XIX ს. საუკეთესო ქართველი მოღვაწეები უნაყოფოდ ოცნებობდნენ თუნდაც ერთი, ისიც, რა თქმა უნდა, არა ეროვნული, უმაღლესი სასწავლებლის შესახებ, თუ საქართველოში მომუშავე მეცნიერნი მეტწილად ავტოდიდაქტები იყვნენ, დღეს საქართველოში 19 უმაღლესი სასწავლებელია, რომლებშიაც 22 000-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს. თუ ჩვენს უახლოეს წინაპრებს წართმეული ჰქონდათ საშუალება და უფლება, ყოფილიყვნენ მეცნიერების პროფესიონალნი, დღეს საქართველოში მეცნიერების მუშაკთა პროფესიონალური კავშირი ათასობით ითვლის თავის წევრებს. თუ ჯერ კიდევ XIX და XX სს. მიჯნაზე საქართველოში მომუშავე მეცნიერნი იძულებულნი იყვნენ, საერთო პირობების გამო, ენციკლოპედისტები ყოფილიყვნენ — არქეოლოგები, არქეოგრაფები, ისტორიკოსები და ენათმეცნიერ-გრამატიკოსები, ერთდაიმავე დროს, — დღეს ეს დარგები ჩვენში მკაცრად სპეციალიზებულია. მეცნიერება საბჭოთა საქართველოში უნახავ აყვავებას განიცდის. ფართოდ რომ განვაზოგადოთ, საბჭოთა საქართველოს მიღწევები საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროში შემდეგნაირად გამოიხატება: ათეული სასწავლო და საკვლევო, უმაღლესი ტიპის, ორგანიზაციის გაჩენა იქ, სადაც რევოლუციამდე არაფერი გვქონდა; უნახავი ზრდა კვალიფიციური კადრე-

ზისა, რომელნიც ეხლა ხალხის უღრმესი ფენებიდან გამოდიან; ამ კადრების შეიარაღება მეცნიერების უმაღლესი მეთოდით — მარქსიზმ-ლენინიზმით.

ნათქვამის კონკრეტული ილუსტრაციისათვის ჩვენ ზოგადად გავითვალისწინებთ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში წარმოდგენილ საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებას საბჭოთა პერიოდში*.

დავიწყოთ ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ა თ მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი თ. ამ დარგში განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოიხატა როგორც კვალიფიციური, კადრების, ისე სათანადო მეცნიერული პროდუქციის ზრდა. ქართველურ ენათა შესწავლისას აღსანიშნავია გაღრმავებული ძიება თეორიული საკითხების გარშემო.

ფონეტიკიდან პირველად ჩვენს ყურადღებას იპყრობს ხმოვანთა რედუქციის ბუნების გამორკვევა (ა. შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის, „წელიწდეული“, 1924) და უმლაუტის კანონის დადგენა სვანური მასალების მიხედვით (ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, „არილი“, 1925). ხმოვანთა რედუქციისა და უმლაუტის მოვლენათა ახსნის საფუძველზე შესაძლებელი გახდა გარკვევა რთულ მორფოლოგიურ ფორმებში, განსაკუთრებით სვანურისათვის. აქ დადგენილ კანონებზე დაყრდნობით ვ. თოფურიამ გაარკვია საინტერესო საკითხები სახელთა დაბოლოების ისტორიიდან (ტფ., უნივ. მოამბე, VII, 1927) და რეკონსტრუქცია უყო ძველ ფორმებს საზოგადოდ („კვლავ უმლაუტისათვის სვანურში“: ტფ., უნივ. მოამბე, 1928). ა. ჩიქობავას „გრძელი ხმოვნები მთიულურში“ (ტფ., უნივ. მოამბე, IV, 1924). არკვევს ამ კილოში შენიშნული გრძელი ხმოვნების ბუნებას. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ვ. თოფურიას „ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში“ (I: „მიმომხილველი“ I, 1926; II: ტფ., უნივ. მოამბე, X, 1930; III: საქ. არქივი, 1927 წ.), რომელნიც არკვევენ ქართველური ენების ბუნებრივ კომპლექსებს.

მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ი დ ა ნ უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ქცევის საკითხი ზმნებში, რომელიც პირველად გაშუქებულია 1925 წელს გამოსულს ნარკვევში (ა. შანიძე, „ქართული ენის საქცევი“: ტფ., უნივ. მოამბე, VI, 1925). გარკვეულია აგრეთვე ისეთი საკითხები, როგორიცაა პირიელ ნაცვალსახელთა ბრუნება, ქართული ზმნის მრავალპირიანობა (პოლიპერსონალიზმი), ინვერსიული ფორმები გარდამავალი ზმნისა, ორი სახე ვნებითი გვარისა (დინამიკური და სტატი-

---

* ჩვენი მიმოხილვა ბიბლიოგრაფიულ სისრულეს არ ისახავს მიზნად.

კური), ფორმათა მესამე ჯგუფის წარმოება გარდაუვალ ზმნებში და სხვა. (ა. შანიძე, ქართ. ენა, I, მორფოლოგია, 1930). დადგენილია „პოტენციალისის კატეგორია ქართვ. ენებში“ (ა. ჩიქობავა, აქვე) და სხვა.

ს ი ნ ტ ა ქ ს ი ს საკითხებს ეხება მონოგრაფია ა. ჩიქობავასი „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ (1928), მისივე: „რითია წარმოდგენილი ზმნაში სახელობითის ბრუნვაში დასმული მორფოლოგიური ობიექტი“ (ტფ., უნივ. მოამბე, IX, 1929) და მისივე რიგი წერილებისა: „ქართ. ენის სტრუქტურული თავისებურებანი“ („ახალი სკოლისაკენ“, 1929, №№ 4, 9, 11, 12, „კულტურული მშენებლობა“, 1930, №№ 5, 7 (8); აგრეთვე, ვ. თოფურიას „სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით“ („ჩვ. მეცნიერება“, 1923, № 1).

ცალკე ენების შესწავლის ხაზით შემდეგი სამუშაოებია ჩატარებული:

1. ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ა. ძველი ქართულის შესწავლისათვის ამ მოკლე ხნის განმავლობაში ბევრია გაკეთებული; აღმოჩენილია და გამოქვეყნებული უძველესი (V—VIII სს.) ძეგლები ქართული ენისა: 1. ბოლნისისა და მცხეთის ხანმეტი წარწერები (ა. შანიძე, „ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართ. ზმნებში“ (ტფ., უნივ. მოამბე, II. 1923). 2. პალიმფსესტური ხანმეტი ტექსტები: ა) ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართ. ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის (ტფ., უნივ. მოამბე, II); ბ) ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავის ნაწყვეტები (ტფ., უნივ. მოამბე, VII, 1927) და მისივე, გ) სინური ლექციონარი (ტფ., უნივ. მოამბე, IX, 1929). 3. ჰაემეტი ტექსტები VIII ს. (ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართ. ენის ისტორიისათვის; ტფ., უნივ. მოამბე, III, 1923).

გამოქვეყნებულ ტექსტებს თან ახლავს სპეციალური მიმოხილვანი ენის შესახებ. ამ ძეგლების აღმოჩენითა და გამოქვეყნებით მეტად გაფართოვდა ჩვენი წარმოდგენა ძველი ქართული ლიტერატურის მოცულობისა და ქართული სალიტერატურო ენის ხასიათის შესახებ უძველეს პერიოდში.

ცოცხალი კილოების შესწავლის დარგში აღსანიშნავია: შესწავლა და გამორკვევა ქართლურისა (ვ. თოფურია, ზმნის ზოგიერთი თავისებურებანი გომარულში: „ჩვენი მეცნიერება“ № 2, 1924; ქართლური, „არილი“. 1925), ფერეიდნულისა (ა. ჩიქობავა. ვ-ინის რეფლექსები ფერეიდნულში: „ჩვენი მეცნიერება“, № 5, 1923; „წელიწდეული“, 1925; ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, ტფ., უნივ. მოამბე,

VII, 1927); გარე-კახურისა (ა. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად: „არილი", 1925), გურულისა (ს. ჟღენტი, გურული კილო, 1936 წ.; ქ. ლომთათიძე, მესამე პირის ობ. ნიშანი გურულსა და აჭარულში, ტფ., უნივ. შრომები, VI, 1937); აჭარულისა (მ. ხუბუა, ზემო აჭარის ენობრივი მიმოხილვა, 1932); მთარაჭულისა (შ. ძიძიგური, იბეჭდება ენიმკი-ს „მოამბის" ტ. II-ში); ქვემო იმერულისა (ვლ. ფანჩვიძის სადისერტაციო ნაშრომი, ჯერ გამოუქვეყნებელი) და სხვა.

ამას გარდა, შეკრებილია ტექსტები და მასალები: ხევსურულისათვის (ბ. გაბუური: „წელიწდეული", 1925); ქიზიყურისა და ინგილოურისათვის (სტ. მენთეშაშვილი); ქართლურისათვის ენიმკი-ს ექსპედიციის ნაშრომები, 1937 წ. (ანგარიშები იბეჭდება ენიმკი-ს „მოამბეში" ტ. II). და სხვ.

ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხებს ეხება თ. გონიაშვილის სადისერტაციო ნაშრომი: „დიალექტიზმები ჰადიშის ხელნაწერში 894 წ."

მეგრულ-ჭანურის ხაზით აღსანიშნავია ა. ჩიქობავას „-ონ სუფიქსი მეგრულში" (ტფ., უნივ. მოამბე, 1925); მისივე „ჭანური ტექსტები", I, „ხოფური კილოკავი (1929); მ. ხუბუას „მეგრული ტექსტები" (იბეჭდება ენიმკი-ს გამომცემლობაში); ს. ჟღენტის ჭანური ტექსტები (იბეჭდება ენიმკი-ს გამომცემლობაში) და, განსაკუთრებით, ა. ჩიქობავას ვრცელი მონოგრაფიები: „ჭანურის გრამატიკული ანალიზი" (ენიმკი-ს გამოც., 1936) და „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი" (იბეჭდება ენიმკი-ს გამომცემლობაში).

ს ვ ა ნ უ რ ი ს ხაზით პირველ ყოვლისა უნდა აღნიშნულ იქნეს, რომ ჩაწერილია ტექსტები ყველა კილოსა და კილოკავზე (ა. შანიძე, ვ. თოფურია და სხვა) და გამორკვეულია ამ ენის ყველაზე უფრო რთული მოვლენები მორფოლოგიაში (ა. შანიძე „უმლაუტი სვანურში"; ვ. თოფურიას ვრცელი მონოგრაფია „სვანური ენა, I, ზმნა", ტფ., 1931; კ. დონდუას „К вопросу об особой форме множественного числа в сванских терминах родства", მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, VII).

ისტორიული საკითხები გაშუქებულია რიგ წერილებში, როგორიცაა: ვ. თოფურიას „ორმაგი უარყოფა ქართულში" („წელიწდეული"); ა. ჩიქობავას „მოთხრობითი ბრუნვის ისტორიისათვის" (ტფ., უნივ. მოამბე, X) და მისივე „მიმართულებითი ბრუნვის წარმოებისა, მნიშვნელობისა და ისტორიისათვის" (იქვე) და სხვ. ეტიმოლოგიური ძიებანი მოცემულია რიგ წერილებში: ა. შანიძის „წელიწადის ეტიმოლოგიისათვის" („წელიწდეული", 1925) და სხვა.

უკვე ის გარემოება, რომ ქართველური ენების შესწავლა ასეთს ფართო, მაღალ მეცნიერულსა და ისტორიულ-შედარებითს ნიადაგზე დადგა საბჭოთა საქართველოში, ბუნებრივად აყენებდა საკითხს დანარჩენი კავკასიური ენების შესწავლის საჭიროების შესახებ. ამასვე ხელს უწყობდა ის თავისთავადი ინტერესიც, რომელიც კავკასიურ ენებს თან ახლავს და რომელიც კარგად არის ცნობილი მსოფლიო ლინგვისტური მეცნიერებისათვის. რევოლუციამდე კავკასიური ენათმეცნიერება საქართველოში, როგორც ცალკე მეცნიერული დარგი, შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობდა, მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა მოღვაწეებმა უკვე იმ შავბნელ დროში შესძლეს, თავისი მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა ლინგვისტიკის ამ სფეროში. საკმარისია მოვიგონოთ ცხოვრება და ღვაწლი პეტრე ჭარაიასი, რომელიც თვითგანვითარების გზით სოფლის მასწავლებლიდან თვალსაჩინო ენათმეცნიერად იქცა და რომელმაც საფუძველი ჩაუყარა აფხაზური ენის შედარებით-ისტორიულ შესწავლას. ჩვენ არ ვიხსენიებთ აკად. ნ. მარის დიდ ღვაწლს ამ დარგშიაც, რადგანაც ამ სახელოვანი მეცნიერის მოღვაწეობა პეტერბურგის (ამჟამად ლენინგრადის) უნივერსიტეტში მიმდინარეობდა.

დღეს საქართველოში მდგომარეობა ძირეულად სხვაგვარია. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ტფილისი უკვე გადაიქცა კავკასიური ენათმეცნიერების ერთს უმნიშვნელოვანეს ცენტრად. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩამოყალიბებულია კავკასიური და აღმოსავლური ენების განყოფილება, რომელმაც 1937 წ. იანვარში უკვე 6 სპეციალისტი მოგვცა, ივნისში — 11; უახლოესი ორი წლის განმავლობაში განყოფილება გამოუშვებს კიდევ 15 სპეციალისტს. გამართულია სპეციალური ასპირანტურა კავკასიურ ენებში; აფხაზურ ენაში, მაგ., უკვე წარმოდგენილია პირველი საკანდიდატო დისერტაცია (ქეთევან ლომთათიძე, „ძირითად დროთა წარმოებისათვის აფხაზურში“).

ეს ახალგაზრდობა მომზადდა და მზადდება მხოლოდ ადგილობრივი კადრების მიერ. ენიმკი-ს ერთს ძირითად სექტორთაგანს — კავკასიურ ენების განყოფილებას — ჰყავს სპეციალისტი კავკასიური ენების ყველა ძირითადი ჯგუფისათვის: ხუნძური (ავარიული) ენისათვის — პროფ. ა. ჩიქობავა, ქისტურის ჯგუფის ერთი უმნიშვნელოვანესი წევრის წოვურისა ანუ ბაცბიურისათვის — პროფ. აკ. შანიძე; ლაკურისათვის — პროფ. ვ. თოფურია; აფხაზურისათვის — ქ. ლომთათიძე; უდურისათვის — ვლ. ფანჩვიძე; ქისტურისათვის — თ. გონიაშვილი, სტ. ჩხენკელი; ადიღეურის ანუ ჩერქეზულისათვის — გ. როგავა. გარდა ამისა, განყოფილებაში წარმოდგენილია ისეთი „გა-

„კავკასიურებული“ ენები, როგორიცაა სომხური და ოსური (პროფ. გ. ახვლედიანი). ძალიან საყურადღებოა, რომ აღნიშნული სპეციალისტები აქტიურს პრაქტიკულს, მეცნიერულსა და პედაგოგიურს, დახმარებას უწევენ სათანადო ეროვნულ რესპუბლიკებსა და ოლქებს როგორც კადრების მომზადების საქმეში (ვ. თოფურიას ხელმძღვანელობით მომზადდა და მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით დაჯილდოებულ იქნა ლაკური ენის პირველი ლაკი სპეციალისტი), ისევე კულტურულ მშენებლობაში (გრამატიკების შედგენა, ლიტერატურული ენისა და ორთოგრაფიის ნორმების დადგენა და სხვ.). გეგმაშეწონილად არის წარმართული ტფილისის კავკასიურ-ენათმეცნიერული სკოლის მუშაობა თეორიულ სფეროში. ცენტრალურ პრობლემად არის აღებული გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი  ზ მ ნ ი ს  ბ უ ნ ე ბ ა (ანუ ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა) კავკასიურ ენებში. ამ ენების სტრუქტურული განსაზღვრისა და მათი ურთიერთობის გარკვევისათვის უწყებულ პრობლემას ძირითადი მნიშვნელობა აქვს, ისევე როგორც ნათესაური დამოკიდებულების შესასწავლად ქართველურსა და კავკასიურ ენებს შორის, ერთი მხრით, და კავკასიურსა და წინა აზიის უძველეს კულტურულ ენებს (სუმერული, ხეთური, სუბარული, ხალდური და სხვა) შორის, მეორე მხრით, ამ ძირითად პრობლემასთან დაკავშირებულია ისეთი სპეციალური საკითხები, როგორიცაა სახელთა ბრუნებისა და ზმნათა უღვლილების საკითხები, ფონეტიკური და ლექსიკური შემადგენლობის საკითხები. ეს მეცნიერული პრობლემები გაცხოველებული კვლევის საგნად არის გადაქცეული ენიმკი-ს შესაბამის ლაბორატორიაში. ენიმკი-ს გამომცემლობაში გამოდის (ბეჭდვა უკვე მთავრდება) პროფ. ივ. ჯავახიშვილის კაპიტალური მონოგრაფია: „ქართულ-ქართველურისა და კავკასიური ენების ნათესაობის პრობლემა“ (700 გვერდამდე). აქ პირველადაა მოცემული შედარებითი კვლევა-ძიება ამ ენათა ისტორიის გათვალისწინებით. გაცხოველებული მუშაობა წარმოებს კავკასიური ენების თარგმნითი ლექსიკონების შესადგენად. შედგენილია უკვე უდურ-რუსულ-ქართული ლექსიკონი, წოურ-ქართული და ქართულ-წოური ლექსიკონი. მუშაობა მიმდინარეობს აფხაზურ-ქართულ-რუსულ დოკუმენტირებულ ლექსიკონზე.

დამუშავებულია მონოგრაფიულად ცალკეული საკითხები კავკასიურ ენათა სტრუქტურისა და გენეტურ-ისტორიულ დამოკიდებულებათა შესახებ. ამ მონოგრაფიათაგან ზოგი უკვე გამოქვეყნებულია, ზოგიც ელის გამოქვეყნებას. დაბეჭდილი ნაშრომებიდან აღვნიშნავთ: „ინფინიტივის დიალექტური ვარიაციები ხუნძურში“ (ა. ჩიქობავა, აქვე), „გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ხუნძურში“ (ა. ჩი-

ქობავა, აქვე), „სახელთა ბრუნებისათვის უდურ ენაში“ (ვ. ფანჩვიძე, აქვე).

ქართველური და კავკასიური ენათმეცნიერების განვითარება, ენათმეცნიერული კვლევა-ძიება სხვა ენების (მაგ., ირანულის, სლავურის) მასალაზედაც ნაწარმოები, გულისხმობდა საჭიროებას ფონეტიკის ცალკე დარგად ჩამოყალიბებისას. ეს ამოცანაც ამჟამად წარმატებით არის გადაწყვეტილი.

მეცნიერული ფონეტიკური (კერძოდ, ექსპერიმენტული) კვლევა საქართველოში იწყება ტფილისის უნივერსიტეტის ენათმეცნიერების კათედრაზე (გამგე გ. ახვლედიანი) 1921—23 წლებიდან და განსაკუთრებით საენათმეცნიერო საზოგადოებაში (თავმჯდომარე გ. ახვლედიანი). ამ დროიდან უკვე ქვეყნდება წმინდა ფონეტიკური ნაშრომები უმთავრესად ქართული ენისა (დიალექტებითურთ), აგრეთვე ოსური ენის შესახებ. სპეციალურად ფონეტიკურ საკითხებზე მუშაობდა გ. ახვლედიანი (კვლევის ობიექტი ქართული და ოსური ენები), მაგრამ ფონეტიკურ საკითხებზე მუშაობდნენ და ბეჭდავდნენ ნაშრომებს აგრეთვე აკ. შანიძე, ა. ჩიქობავა და ვ. თოფურია (იხ. ზემოთ). ამ პერიოდს ეკუთვნის გამოკვლევები გ. ახვლედიანისა ქართული და ოსური ენის ფონეტიკიდან:

1. ყრუ „მჟღერები“ ქართულში (ჟურნ. „განათლება“, სადაც დადგენილია მარტივი იარაღობრივი დაკვირვებით ქართულ „მჟღერთა“ სუსტი მჟღერობა); 2. მარცვლის საკითხის გარშემო („მომავალი“, 1921), სადაც დადგენილია მეტათეზისის ერთი კანონზომიერება; 3. მკვეთრი ხშულნი ქართულში (ტფ. უნივ. მოამბე, II, 1922—23); ამ შრომაში გაშუქებულია ქართული კონსონანტიზმის ძირითადი თავისებურება შედარებით, კერძოდ, რუსულთან; 4. შენიშვნა „ვჟარები, ჟარე“-ს შესახებ („ჩვენი მეცნიერება“ 1923); 5. მასალები აფხაზურ ბგერათა ფიზიოლოგიისათვის („მიმომხილველი“ 1926), სადაც მოცემულია ზუსტი დაკვირვება აფხაზურის სპეციფიკურ თანხმოვნებზე. 6. შენიშვნები ქართულ ბგერათა კლასიფიკაციისათვის („მიმომხილველი“, 1926) — საფუძვლად დაედო ქართულ თანხმოვანთა „სამეულებად, წყვილეულებად და ცალეულებად“ დაყოფას, და სხვა, ამას ემატება ამავე პერიოდის ნაშრომები გ. ახვლედიანისა ოსური ენის ფონეტიკიდან (იხ. ქვემოთ).

ამავე პერიოდს ეკუთვნის ფონეტიკური გამოკვლევები ა. შანიძისა, ა. ჩიქობავასი, ვ. თოფურიასი, გ. წერეთლის, მ. ხუბუასი, ს. ჯიქიასი და სხვ. (იხ. თავ-თავის ადგილას).

1930—32 წლებამდის კვლევის მეთოდი იყო უმთავრესად უშუალო დაკვირვება ცოცხალ წარმოთქმაზე და ისტორიული და შედარე-

ბითი შესწავლა ქართველურ და სხვა კავკასიურ ენათა ფონეტიკური მოვლენებისა. ამ დროიდან კი შესაძლებელი შეიქმნა ექსპერიმენტული კვლევა, რადგანაც უნივერსიტეტში ეწყობა ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორია (გამგე გ. ახვლედიანი). ძველ კადრებს ემატება ახალიც (ქ. ლომთათიძე, მ. ხუბუა, სტ. ჩხენკელი, შ. ძიძიგური, გ. როგავა, ვ. ფანჩვიძე, თ. გონიაშვილი და სხვ.), რომელთაგან ზოგიერთს უკვე მოცემული აქვს მნიშვნელოვანი მეცნიერული პროდუქცია როგორც ქართული, ისე სხვა კავკასიური ენების შესახებ.

დაარსება ენიმკი-ს ინსტიტუტში ფონეტიკის კაბინეტისა (გამგე გ. ახვლედიანი, თანამშრომელი ს. ჟღენტი) უქმნის ფონეტიკურ კვლევას ახალ მძლავრ სტიმულს. კაბინეტმა უკვე ჩაატარა კიმოგრაფიული და ფონოგრაფიული ჩაწერა ქართულის, ჭანურის, სვანურის, აფხაზურის, ლაკურის და აგრეთვე შუა აზიის არაბული ცოცხალი მეტყველებისა.

ქართველურ და კავკასიურ ენათა ბგერითი შედგენილობის შედარებითი შესწავლა მიმდინარეობს სინოპტიკური ცხრილების შედგენის სახით არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და ექსპერიმენტულად ბგერების შემოწმების საფუძველზე. შედგენილია სინოპტიკური ცხრილები აფხაზურის, ოსურის, ლაკურის, ხუნძურისა და ჩერქეზული ენებისათვის მათი ბგერების კლასიფიკაციითურთ გ. ახვლედიანის სისტემით.

ასეთი მუშაობის შედეგად მიღებულია მნიშვნელოვანი მეცნიერული პროდუქცია, დაბეჭდილი ან დასაბეჭდად გამზადებული შრომების სახით (მოხსენებულია ინსტიტუტის სხდომებზე).

1. აბრუპტივთა და ასპირატების დისიმილაციური გამჟღერება ოსურში. აქ ავტორმა (გ. ახვლედიანი) დაადგინა კანონზომიერება, რომლის მიხედვით ირკვევა ოსთა ენობრივი (და კულტურული) თანდათანი შეგუება კავკასიური ენების (და კულტურის) სინამდვილეში.

2. ფაუკალური და ლატერალური თანხმოვნების საკითხისათვის ქართულში. აქ ავტორმა (გ. ახვლედიანი) დაამტკიცა ფაუკალურ და ლატერალურ ბგერათა იმთავითვე არარსებობა ქართულში და ამის საფუძველზე ახსნა ქართულ ბგერათა ისტორიული გამძლეობა. გზადაგზა ავტორმა გამოიკვლია სლავური, კერძოდ, რუსული ენის ისტორიის ერთი აქამდის აუხსნელი პრობლემა (греб←*гребл, пал←*падл).

3. „ფონეტიკური შენიშვნები“ (გ. ახვლედიანი, აქვე) ა) „საშუალო მჟღერობა“ თუ „ასპირაცია?“ ბ) „ქართულის ფარინგალური თანხმოვნები“, გ) „ქართული აფრიკატები“.

4. ბუნებრივი მარცვალთგასაყარის შესახებ. აქ ავტორმა (გ. ახვლედიანი) პირველად ახსნა თანხმოვანთა არტიკულაციის ფიზიოლოგიური თანმიმდევრობა ქართველურ ენებში

ასეთი მუშაობის შედეგად იბეჭდება ვრცელი შრომა გ. ახვლედიანისა „ზოგადი და ქართ. ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები“; ნაწ. 1 (უნივ. გამოცემა).

5. ს. ჟღენტმა დაბეჭდა ვრცელი გამოკვლევა გურული კილოს შესახებ, რომელიც უმთავრესად ფონეტიკური ხასიათისაა( იხ. ზემოთ) და დაადგინა საყურადღებო ფონეტიკური მოვლენა ჭანური ენისათვის „თანხმოვანთა გადაწევა“.

უკანასკნელ, კაბინეტმა გამოუშვა ქართველურ და კავკასიურ ენათა ფონეტიკური შესწავლისათვის მეტად საჭირო წიგნი:

6. ქართველურ ენათა ფონეტიკური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია (ენიმკი-ს გამოც., 1937), რომელშიაც შეკრებილია ქართველურ ენათა შესახებ მთელი ფონეტიკური ლიტერატურა ვრცელი ანოტაციით.

ფონეტიკის განვითარების ამ ახალ ეტაპზე ჩვენში კვლევის მაშტაბი გაფართოვდა სხვა კავკასიურ ენათა მიმართ: ფონეტიკურ საკითხებს ეხებიან და წარმატებით წყვეტენ ენიმკი-ს სხვა სექტორებიც.

საბჭოთა საქართველოს ენათმეცნიერნი მარტო ქართველური და კავკასიური ენებით არ ზღუდავენ თავის საკვლევ არეს. მათი ყურადღების ფარგლებში შემოდის სხვა ენებიც, როგორც კავკასიის სხვა ენები, აგრეთვე ისეთნიც, რომელნიც ისტორიულსა და კულტურულ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ ქართველურ და კავკასიურ ენებთან.

ასე, საბჭოთა საქართველოში ჩაისახა და დიდი წარმატებით ვითარდება ოსური ენის შესწავლაც, რისი ინიციატორი და მთავარი წარმომადგენელი არის პროფ. გ. ახვლედიანი.

გ. ახვლედიანის გამოკვლევებმა ამ დარგში მიიქციეს ყურადღება და მაღალი შეფასება მიიღეს როგორც საბჭოთა კავშირის, ისე საზღვარგარეთის სპეციალისტებისაგან. ამ ნაშრომებიდან აქ აღვნიშნავთ:

1. პროთეტული ხმოვნის საკითხისათვის ოსურში („ჩვენი მეცნიერება“, 1923). 2. სამი „ტ“ ოსურში და მათი მიმართება ძველი ირანულის შესაფერ ბგერებთან („წელიწდეული“, 1923) — ამ შრომამ საფუძველი ჩაუყარა ოსური ენის თანხმოვანთა ახალ გაგებას (დადასტურებულია პროფ. აბაევის გამოკვლევებით) 3. Dativus praedicativus ოსურ ენაში, 1923.

შრომები ოსური ენის დიალექტოლოგიიდან უმთავრესად ფონეტიკური ხასიათისაა, რომელთა საფუძველზე დადგენილია ოსური ენის დიალექტების სრულიად ახალი კლასიფიკაცია („ოსური ენის ისტო-

რიისათვის“, I, ტფ., უნივ. მოამბე, V, 1925, II; იალღუზიძე ი. და მისი ოსურად დაწერილი შრომები, იქვე, VI, 1926, გემინირებული და ნაზალიზებული აფრიკატების შესახებ ოსური ენის დვალურ დიალექტში, ტფ. უნივ. შრომები, V, 1936 და სხვ.).

სპეციალურად უნდა აღინიშნოს არმენოლოგიის განვითარება საბჭოთა საქართველოში. ენა, ისტორია და კულტურა სომეხი ხალხისა, რომელიც ქართველ ხალხთან მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობით არის დაკავშირებული, ხოლო ამჟამად ერთა ურყევი სტალინური მეგობრობით არის შესისხლხორცებული საბჭოთა კავშირის დიდი ხალხების ოჯახთან, ფართო მეცნიერული შესწავლის საგნად იქცა საბჭოთა პერიოდში. მეტიც: ჩვენი რწმენით ქართველოლოგიის წარმატებით განვითარება არმენოლოგიის განვითარებასაც გულისხმობს და პირუკუ, ქართველოლოგიის მეცნიერულ საჭურველში სომხური ენის, კულტურის, ისტორიის ცოდნა მიუცილებელ ელემენტად არის შესული. არმენოლოგიის ორგანიზაციული მდგომარეობიდან საბჭოთა საქართველოში აღვნიშნავთ: არმენოლოგიის კათედრის (გამგე პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი) არსებობას ტფ. სახ. უნ-ტში და იმ საპატიო ადგილს, რომელიც უჭირავს არმენოლოგიურ სამუშაოებს ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში.

არმენოლოგიური მუშაობა საბჭოთა საქართველოში მიმდინარეობდა ძირითადად 3 ხაზით: სომხური ენის, სომხური ლიტერატურის ისტორიისა და სომხეთის ისტორიის სწავლებისა და კვლევა-ძიების (უმაღლესი სასწავლებლების საკვლევი დაწესებულებები) ხაზით.

აღზრდილია არა ერთი თაობა ახალგაზრდა არმენისტებისა: საქართველოს მუზეუმში, ცენტრარქივსა და შ. რუსთაველის ინსტიტუტში დაგროვილია 250-ზე მეტი ძველი სომხური ხელნაწერი წიგნი და რამდენიმე ასეული საბუთი.

ენის კვლევის ხაზით გამოცემულია გრამატიკები და ქრესტომათიები (ლ. მელიქსეთ-ბეგი, ილ. აბულაძე).

ლიტერატურის ისტორიის ხაზით გამოქვეყნებულია მრავალი გამოკვლევა და წერილი, უმთავრესად სომეხ-ქართველთა ურთიერთობის საკითხისათვის, სახელდობრ: გამოკვლევა რუსთაველის ეპოქის სომხური ლიტერატურის ვითარების შესახებ საქართველოს ფეოდალური მონარქიის სფეროში (ლ. მელიქსეთ-ბეგი, ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი, 1927 წ.), გამოკვლევები ძველი სომეხი ისტორიკოსების შესახებ V—VII სს. (პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, 1935. იხ. აგრეთვე, С. Н. Джанашиа, К критике М. Хоренского: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის, VI, 1937). გამოქვეყნებულია სომეხ ისტორიკოსთა ძველი ქარ-

თული ვერსიები (ლ. მელიქსეთ-ბეგი), სომხური სამართლის წიგნები (ლ. მელიქსეთ-ბეგი, 1928) და სხვა.

ისტორიის ხაზით პირველად საქართველოში წამოყენებულ იქნა საკითხი კლასთა ბრძოლის შესწავლისათვის სომხეთის ისტორიაში (ნარკვევი სივნიეთის აჯანყების შესახებ X ს. ივ. ჯავახიშვილისა, ტფ., უნივ. მოამბე, II, 1922), აგრეთვე ანისის უთანხმოების შესახებ 1918 წ. (იგივე, 1935), შეკრებილ იქნა და ნაწილობრივ გამოქვეყნდა სომხური ეპიგრაფიკული ძეგლები საქართველოში (ლ. მელიქსეთ-ბეგი, სხვადასხვა დროს). ქვეყნდება ცალკეული მონოგრაფიები სომხურ სიძველეთა შესახებ (С. Т. Аветисян, Г. Джуга, 1937, ენიმკი-ს გამოც.). დაიწყო თარგმნა და გამოცემა სომხური წყაროებისა საქართველოს შესახებ. უკვე გამოქვეყნდა: თომა მეწოფელი (პროფ. მელიქსეთ-ბეგი, 1936), იოანე დრასხანაკერტელი (დოც. ილ. აბულაძე, 1936) და სხვა.

ბიზანტინოლოგიის დარგში მუშაობა მიმდინარეობდა ორი მიმართულებით:

1. ქართველთმეტყველების დარგში მომუშავენი თავიანთ მონოგრაფიებში საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით არკვევდნენ ზოგიერთ საკითხს ბიზანტინოლოგიისას. ამ მხრივ საყურადღებოა:

ა) პროფ. ივ. ჯავახიშვილის მიერ „ქართული სამართლის ისტორიის“ საკითხების პარალელურად ბერძნულ-ბიზანტიური სამართლის კოდექსის განხილვა.

ბ) პროფ. კ. კეკელიძის მიერ თავის მოყრა და დალაგება ყველა იმ უცხო (უპირატესად ბიზანტიელ) მწერალთა, რომელთა ნაწარმოებნიც ძველ ქართულ თარგმანებში მოიპოვება (მისი შრომა „უცხო ავტორები ქართულ მწერლობაში“).

2. ბერძნულ-ბიზანტიური ფილოლოგიის დარგში მომუშავეთა გამოცემები და მონოგრაფიები ბიზანტინოლოგიის დარგში: ამ მხრივ საყურადღებოა:

ა) დამსახურებული პროფ. გრ. წერეთლის, რომელმაც საბჭოთა საქართველოს მკითხველ საზოგადოებას შესძლვნა თავის მრავალმხრივ საყურადღებო ორტომიანი „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“ (1926—7, 1935), მის მიერ გამოცემული სერიის „რუსეთისა და საქართველოს პაპირუსების კრებულის“ ცალკე, მესამე, ტომი: „გვიანდელ-რომაული და ბიზანტიური ტექსტები“ (1930 წ.).

ეს გამოცემა საერთაშორისო სამეცნიერო აზრის მიერ ერთხმად აღიარებულია უზადოდ და სანიმუშოდ. პროფ. გრ. წერეთლის მიერვე გამოცემულია:

ბ) რუსთაველის ეპოქის ქართ. ფილოსოფიურ აზროვნების ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი მწერლის ი. იტალის შრომები, 2 ნაწ. (1924—1926).

გ) პროფ. გრ. წერეთლის მონოგრაფია „კორიდეთის ხელთნაწერი და მისი ბერძნული მინაწერები" (ენიმკი-ს გამოცემა, 1937), სადაც გარკვეულია ბიზანტიური (ბერძნული) პალეოგრაფიის ზოგიერთი სადავო საკითხი და პირველად გამოცემულია მთლიანად, საქართველოში შესრულებული ამ განთქმული ხელნაწერის ბერძნული (ბიზანტიური) მინაწერები, თარგმნითა და კომენტარიებითურთ.

დ) პროფ. ს. ყაუხჩიშვილის „ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ", ტ. II და III (ბერძნული ტექსტი, ქართული თარგმანი და წვრილი გამოკვლევები ცალკეულ საკითხებზე). ეს დიდი შრომა გრძელდება და იგი მიზნად ისახავს საქართველოს შესახები ბიზანტიური წყაროების სრულს გამოცემას დედანსა და თარგმანში, რასაც საქართველოს ისტორიის მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის მეტად თვალსაჩინო მნიშვნელობა აქვს.

ე) უახლოეს დღეებში გამოდის პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მიერ (პროფ. შ. ნუცუბიძესთან ერთად) გამოცემული ფილოსოფოსის პროკლე დიადოხოსის „ელემენტების" („კავშირნი") ქართული თარგმანი, XII საუკუნეში შესრულებული ქართველი ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის მიერ; გამოცემა შეიცავს 2 ტომს.

საყურადღებოა, რომ საბჭოთა საქართველოში წარმატებით ვითარდება არაბისტიკა (დოც. გ. წერეთელი), ირანისტიკა (პროფ. ი. მარი. დოც. ვ.-ფუთურიძე, დოც. მ. ხუბუა), თურქოლოგია (დოც. ს. ჯიქია). მეცნიერებათა ის დარგები, რომელნიც სწავლობენ საქართველოს კულტურული ისტორიის თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვან ენებს და კულტურებს. დოც. გ. წერეთელმა პირველად აღწერა შუა აზიის მეტად ორიგინალური არაბული კილო, რომლის შესახებაც მეცნიერებამ დღემდე არაფერი იცოდა და რომელიც უაღრესად საინტერესოა არა მარტო არაბული ენის ისტორიისა და დიალექტოლოგიისათვის, არამედ სემიტოლოგიისათვის, საერთოდ, საბჭოთა არაბისტების საკავშირო ყრილობაზე (ოქტომბერი, 1937, ლენინგრადი). გ. წერეთლის მოხსენება ამ საგანზე ყურადღების ცენტრში მოექცა და მაღალი შეფასება მიიღო. ეს მუშაობა გრძელდება და არაბისტიკას სრულიად ახალ თავს ჰპირდება.

ჩვენი არაბისტები მონაწილეობას იღებენ, აგრეთვე, არაბული ლიტერატურის სრულებით ახალი დარგის, ჩრდილოკავკასიური წარმოშობის არაბული ძეგლების დამუშავებაში, რომლებიც საყურადღებოა არამარტო როგორც ნიმუშები ჩრდილო-კავკასიის ორიგინალური

არაბული მწერლობისა, არამედ ნათელს ჰფენენ აგრეთვე საკითხს ჩრდილოეთკავკასიის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლისა მეფის რუსეთის წინააღმდეგ. ამ მხრით აღსანიშნავია შამილის პიროვნებასთან დაკავშირებული დოკუმენტების აღმოჩენა საქართველოს მუზეუმში და მათი გამოცემა სათანადო დამუშავების შემდეგ[1].

ს. ჯიქია სწავლობს საქართველოს სამხრეთი რაიონების ქართველი მოსახლეობის თურქული მეტყველების თავისებურებას (სამუშაო გათვალისწინებულია ენიმკი-ს გეგმებით, უკვე გამოქვეყნებულია, ტფ. უნივ. შრომებში, ტ. VI; დაკვირვება თურქული ენებისათვის ჯერ უცნობი ენობრივი მოვლენის შესახებ: „Об одном морфологическом явлении в ахалцихском наречии анатолийско-турецкого языка") და ამ მხარის ისტორიის თურქული პერიოდის (სამცხე-საათაბაგო დაპყრობილ იქნა თურქების მიერ 1578 წ.) ისტორიულ ძეგლებს, კერძოდ ს. ჯიქიას მიერ ამოკითხულ იქნა (რაც რთულ მეცნიერულ ამოცანას შეადგენდა) და გადმოითარგმნა ქართულად „გურჯისტანის ვილაიეთის საზეგრო დავთარი" XVI ს. დამლევისა, პირველხარისხოვანი და ვრცელი (20 ფორმამდე) ისტორიული წყარო (გადაცემულია წარმოებაში). ირანისტიკის დარგიდან აღვნიშნავთ: პროფ. იური მარის „სპარსულ-რუსულ დოკუმენტირებულ ლექსიკონს" (პირველი ნაკვეთი დაიბეჭდა 1935 წ.), რომელიც ახალსა და მნიშვნელოვან სიტყვას წარმოადგენს სპარსულ ლექსიკოგრაფიაში, მთელ რიგ წერილებს რუსთაველის თანამედროვე ირანელი პოეტების (ხაკანი, ნეზამი) შესახებ, რომელთა ნაწილი მოთავსებულია კრებულში „Незами-Хакани-Руставели" (ენიმკი-ს გამოც. 1936); აქ განხილულია ქართულ-ირანული კულტურულ ურთიერთობის საინტერესო საკითხებიც; ი. მარისა და კ. დონდუას პუბლიკაცია: „სპარსულ-ქართული ცდანი" (1926); დოც. ვ. ფუთურიძის წიგნი „ისთახრი-ჰუდუდ ალ-ალემი, ჰამდალლაჰ ყაზვინი" (ტფილისი, 1937 წ.), რომელშიაც მოცემულია ამ ავტორების ცნობები საქართველოს შესახებ, მისივე წერილს სპარსული „ვისრამიანისა" და ქართული „ვისრამიანის" ურთიერთობის შესახებ (თეირანის ჟურნ. „მეჰრ"-ში) და დოც. მ. ხუბუას წერილი „მხატვრული პროზის საკითხისათვის უახლეს ირანულში" (ტფილ. უნივ. შრომ., IV). ცალკე უნდა აღვნიშნოთ ენიმკი-ს მიერ გამოცემული ორი

---

1 იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, IX, 13 (1). ტფილისი, 1936, გვ. 103 — 120; ЗИВ АН СССР, V. Л., 1935, стр. 97 — 114; Труды Первой Сессии Арабистов. Л., 1936, стр. 95—112. იხ. ამის შესახებ აგრეთვე აკადემიკოს ი. კრაჩკოვსკის წერილი გაზეთ „იზვესტიაში", 4, XII, 1935, № 281 (5834), გვ. 4.

კრებული სპარსული დოკუმენტებისა ამიერკავკასიის შესახებ („ნახიჩევნის დოკუმენტები“, 1936 და „ყუბის ხანთა ფირმანები“, 1936). ეს მუშაობა გრძელდება — ინსტიტუტი ამზადებს ქართული წარმოშობის თუ საქართველოს შესახები სპარსული დოკუმენტების სრული კრებულის გამოცემას.

აღმოსავლეთის ენათა შესწავლის ხაზით აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ იმ მზრუნველობასთან დაკავშირებით, რომელსაც იჩენს პარტია და ხელისუფლება კადრების მომზადების საქმეში. ჩვენმა სპეციალისტებმა სერიოზული მუშაობა ჩაატარეს სასწავლო-პედაგოგიური ლიტერატურის შედგენისა და დამუშავების მხრივ. თუ რევოლუციამდის ჩვენ არ მოგვეპოვებოდა აღმოსავლური ენების არც ერთი სახელმძღვანელო, ამჟამად ჩვენს ახალგაზრდობას საშუალება აქვს ხელი მოჰკიდოს აღმოსავლეთის ენების შესწავლას სპეციალურად მათთვის შედგენილი სახელმძღვანელოებით, რომელთაგან აღსანიშნავია ი. მარისა და ვ. ფუთურიძის სპარსული ქრესტომათია, იუსტინე აბულაძის სპარსული ენის სახელმძღვანელო, გ. წერეთლის არაბული ქრესტომათია (რომელიც საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეშეცაა გამოყენებული სახელმძღვანელოდ), ს. ჯიქიას თურქული ქრესტომათია (დამზადებულია დასაბეჭდად) და სხვა.

განსაკუთრებული კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა საქართველოში გაჩნდა და განვითარების სწორ გზაზე დადგა ძველი აღმოსავლეთის ენებისა და კულტურის მეცნიერული შესწავლის საქმე. ძველი აღმოსავლეთი, განსაკუთრებით ქართველ ტომთა უძველეს ისტორიასთან დაკავშირებით, აინტერესებდათ XIX საუკუნეშიაც, მაგრამ ძველი აღმოსავლეთის ენების დამოუკიდებელი კვლევის შესაძლებლობა ჯერ არ ჰქონდათ. ეს შესაძლებლობა მხოლოდ საბჭოთა პერიოდში გაჩნდა, როდესაც მეთოდოლოგიურად და ფაქტიური ცოდნის (ქართველოლოგია, კავკასიოლოგია, ასირიოლოგია) მხრივ სათანადოდ აღჭურვილმა მეცნიერებმა მიჰყვეს ხელი ამ საქმეს აუცილებელ სამეცნიერო პირობებში. პირველ რიგში, მოხსენებულ უნდა იქნეს გ. წერეთლის დიდი ნაშრომი „საქართველოს მუზეუმის ხალდური ძეგლები“, ლურსმული ტექსტები, დედანსა და ტრანსკრიპციაში, თარგმანითა და გამოკვლევით. ძველი აღმოსავლეთის ენებსა და კულტურაზე, კერძოდ, მათს კავშირზე ქართველურ ენებსა და ქართულ კულტურასთან მუშაობს ენიმკი-ს ინსტიტუტის თითქმის ყველა უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. ამ მუშაობის პირველი შედეგები ნაწილობრივ გამოქვეყნებულია ინსტიტუტის მოამბის წარმოდგენილ ტომში (იხ. აქვე წერილები პროფ. ივ. ჯავახიშვილისა, აკ. შანიძისა, არნ. ჩიქობავასი, გ. ჩიტაიასი, ს. ჯანაშიასი).

გ. ახვლედიანი იკვლევს კონსონანტიზმის საკითხებს ხეთურში, რომელშიც იგი პოულობს ხშულ თანხმოვანთა ისეთსავე სამეულებრივ სისტემას, როგორიცაა ქართველურ ენებში. ამ კვლევის დადებითს შედეგებს შეუძლია გახსნას სრულიად ახალი გზა ხეთური ენის შესწავლის ისტორიაში — ქართველურ ენებთან ხეთურის ნათესაობის დადგენის მხრივ.

სპეციალურად უნდა აღვნიშნოთ პავლე ინგოროყვას მოხსენება (საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში 1931 წ.), რომელშიაც მოცემული იყო ახალი არგუმენტაცია ხეთურ-ქართული ნათესაობის საკითხისათვის და პირველი ცდა (თარხუდიმეს ცნობილი ბეჭდის ტექსტზე), ამოშიფრული ყოფილიყო ხეთური ჰიეროგლიფური დამწერლობა ქართველური ენობრივი მასალის საშუალებით.

ენიმკი-ს მეცნ. თანამშრომელმა პ. უშაკოვმა დაამზადა და დასაბეჭდად წარმოადგინა მონოგრაფია „ლიდიური ენის“ შესახებ. მანვე 1937 წ. გეგმით დაამთავრა „ხალდური (ურარტული) ენის ლექსიკა“.

ჩვენი ტომების წინა აზიის უძველეს მოსახლეობასთან ეთნიკური და კულტურულ-ისტორიული ნათესაობის დიდი პრობლემა ენიმკი-ს ყველა განყოფილების ყურადღების ცენტრში დგას მესამე ხუთწლედის გეგმებითაც. ენათმეცნიერნი, ისტორიკოსები, არქეოლოგები და ეთნოგრაფები — ყველანი საკუთარი მასალის საფუძველზე ცდილობენ დასახელებული პრობლემის ცალკე საკითხების გადაჭრას (იხ. ამავე წერილში ცალკე სამეცნიერო დარგების მიმოხილვისას). უახლოესი წლები ამ მხრივ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, განსაკუთრებულ შედეგებს მოგვცემს.

თვალსაჩინო საქმეა გაკეთებული ლექსიკოლოგიის დარგშიაც. მართალია, ოქტომბრის წინადროინდელი ქართული სალექსიკოლოგიო მუშაობის შედეგად არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი ლექსიკონი მოგვეპოვება: დ. ჩუბინაშვილისა, რ. ერისთავის, ნ. მარის, ი. ყიფშიძის, ვ. ბერიძის, ი. ჰყონიას და სხვათა, მაგრამ ჯერ ერთი, უმეტესობა ამ ლექსიკონებისა შესრულებულია საქართველოს გარეთ, რუსეთში, და, მეორეც, სისტემატური სალექსიკოლოგიო მუშაობა მაშინ არ წარმოებულა. საქართველოში დაბეჭდილი ლექსიკონებისა და სალექსიკონო მასალების მეტი წილი შემთხვევითს ხასიათს ატარებდა და მეცნიერულადაც ყოველთვის ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას.

ქართველურ ენათა ფარგლებში გეგმაშეწონილი სალექსიკოლოგიო მუშაობა დაიწყო 1923 წ., როდესაც ტფილისის სახ. უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრა მისი გამგის, პროფ. აკ. შანიძის ხელმძღვანელობით შეუდგა ქართული განმარტებითი ლექსიკონისათვის

მასალების შეკრებას. ვრცელი ქართული აკადემიური ლექსიკონის შედგენა პოლიტიკურად და კულტურულად უაღრესად მნიშვნელოვანი აქტუალური ამოცანაა, რომელიც მოითხოვდა და მოითხოვს ქართული ზღვა ლექსიკური მასალის შეგროვება-თავმოყრას. ამ მიზნით პირველ რიგში დამუშავდა XIX საუკუნის ქართული კლასიკური მწერლობის თითქმის ყველა ძეგლი. გარდა ამისა, ლექსიკონის მაცოცხლებელ წყაროს, ხალხურ მეტყველებას, რომ თავისი კუთვნილი ადგილი ლექსიკონში ეპოვა, ყურადღება მიექცა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სალექსიკონო მასალების მოძიებასაც. ამ საქმიანობას ხელმძღვანელობდნენ ქართული ენის კათედრა, სატერმინოლოგიო კომიტეტი და ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება. საგანგებოდ შედგენილი ანკეტა-ინსტრუქცია (გ. ახვლედიანი, ვ. ბერიძე) დაგზავნილ იქნა ადგილებზე. საენათმეცნიერო საზოგადოების წევრ-კორესპონდენტები დროდადრო გზავნიდნენ მასალებს ხსენებული ანკეტა-ინსტრუქციის მიხედვით.

ქართული ლექსიკოლოგიური ნაშრომების მიხედვით პუბლიკაცია ამ ხნის განმავლობაში ძირითადად ოთხი მიმართულებით წარიმართა. ესენია: ა) ქართული დიალექტოლოგიური ლექსიკონები, ბ) ქართველ კლასიკოსთა აკადემიური გამოცემებისათვის დართული ლექსიკონები, გ) თარგმნითი და დ) უცხო სიტყვათა ლექსიკონები. დიალექტოლოგიურ ლექსიკონთაგან აღსანიშნავია: ა. შანიძის 1. ფშაური ლექსიკონი ვაჟა-ფშაველას მიხედვით (დართული აქვს პოეტის სხვადასხვა გამოცემას), 2. მისივე, ხევსურული ლექსიკონი (დართული ბ. გაბუურის მასალებზე: „წელიწდეული", I—II, 1924), 3. ა. ჩიქობავა, ფერეიდნული ტექსტების ლექსიკონი (ტფ., უნივ. მოამბე, № 7, 1927), 4. ე. ნინოშვილის „პარტახის" (1935 წ.) ლექსიკონი ქ. ლომთათიძისა, 5. ს. ჟღენტი, გურული ტექსტების ლექსიკონი (1935 წ.). დიდძალი მასალაა შესული ივ. ჯავახიშვილის საქ. ეკონ. ისტორიის 2 ტომში (1930—1934 წწ.). ქართველ კლასიკოსთა გამოცემების ხაზით: 1. ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი (იუსტ. აბულაძის, ს. კაკაბაძის, კ. ჭიჭინაძისა, 1926—1935), 2. შაჰნამეს ლექსიკონი (იუსტ. აბულაძისა, 1934). 3. დავითიანისა და 4. შახნავაზიანის ლექსიკონი (ს. იორდანიშვილისა). 5. ბესიკის ლექსიკონი (ვ. თოფურიასი, 1932), 6. იოსებ ზილიხანიანისა და 7. თეიმურაზის ლექსიკონი (გ. ჯაკობიასი, 1927, 1934), 8. ძვ. ქართული ლიტერატურის ქრესტომათიის ლექსიკონი (ი. აბულაძისა, 1935), 9. წიგნი სააქიმოის ლექსიკონი (ლ. კოტეტიშვილისა, 1936). 10. ირანულიდან ნათარგმნი ასტრონომიული ძეგლის (1926 წ.) ლექსიკონი (ი. მარისა და კ. დონდუასი, 1926), 11. საიათნოვას ლექსიკონი (ლ. მელიქსეთ-ბეგისა, 1935 წ.), 12. ვახტანგისეული ვეფხისტყაოს-

ნის ლექსიკონი ა. შანიძის რედაქციით (1937), 13. ვეფხისტყაოსნის ყარაბაღული ვარიანტის ლექსიკონი (ლ. მელიქსეთ-ბეგი, 1936) და სხვ. თარგმნით ლექსიკონთაგან აღსანიშნავია: 1) იუსტ. აბულაძის რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1 ნაწ. (1926); 2. გ. ახვლედიანისა და ს. იორდანიშვილის — რუსულ-ქართული ლექსიკონი, I და II (1931 1935 წ.); 3. რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტფილ. უნივერსიტეტის გამოცემა, 1937; უცხო სიტყვათა ლექსიკონთაგან; უცხო სიტყვათა ლექსიკონი გ. ახვლედიანისა (1931) და მისივე რედაქციით გამოსული უცხო სიტყვათა ლექსიკონი ი. იმედაშვილისა (1928).

ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში 1936 წლის მაისში ჩამოყალიბებულმა სალექსიკოლოგიო განყოფილებამ (გამგე ვ. თოფურია), რომელიც ამჟამად ცენტრს წარმოადგენს სალექსიკოლოგიო მუშაობისას საქართველოში, ფართოდ გაშალა მუშაობა. მოკლე ხნის განმავლობაში განყოფილებამ შესძლო სტამბისათვის გადაეცა დიალექტოლოგიურ ლექსიკონთაგან: 1. გურული, 2. ლეჩხუმური და 3. ზემოიმერული; შედარებით ლექსიკონთაგან: უაღრესად მნიშვნელოვანი ნაშრომი პროფ. არნ. ჩიქობავასი: მეგრულ-ჭანურ-ქართული შედარებითი ლექსიკონი (15 თაბ.). წელსავე ამთავრებს განყოფილება ერთს დიალექტოლოგიურ ლექსიკონს: ქართლურს (შ. ძიძიგურისა და პ. ხუბუტიასი) და კლასიკოსთაგან ილ. ჭავჭავაძის ნაწერთა სრულს ლექსიკონს (15 თაბახის მოცულობით). განყოფილებამ თავი მოუყარა დიდძალ მასალას ქართული განმარტებითი ლექსიკონისა და სვანური, მეგრული და ჭანური თარგმნითი ლექსიკონებისათვის. ისე რომ, განყოფილების ხუთწლიანი გეგმის თანახმად, დასახელებული ლექსიკონები უნდა დამზადდეს და გამოიცეს მესამე ხუთწლედის დამლევისათვის.

ასევე ფართოდ გაიშალა საბჭოთა საქართველოში ლექსიკოლოგიის ერთი უაღრესად პრაქტიკული და აქტუალური დარგი — ტერმინოლოგიური მუშაობა. საბჭოთა ყველა ტიპის და საფეხურის სკოლამ მოითხოვა სამეცნიერო ტერმინოლოგია ცოდნის ყველა დარგში, ეგევე ტერმინოლოგია საჭირო შეიქმნა სხვადასხვა დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის. თავისთავად ცხადია, რომ მეფის კოლონიური რეჟიმის დროს ამგვარ ტერმინოლოგიაზე ოცნებაც არ შეიძლებოდა.

საბჭოთა წყობილებას არ მიუღია მზა, მეცნიერულად დამუშავებული, ტერმინოლოგია მეცნიერების არც ერთ დარგში. ამ გარემოებამ შექმნა მიუცილებელი საჭიროება ფართო და განსაკუთრებული ღონისძიებებისა ქართული სამეცნიერო, საყოველთაოდ სავალდებულო, ტერმინოლოგიის შემუშავებისათვის. 1926 წელს გამოცემულ კანონის თანახმად დაარსდა „ცენტრალური სამეცნიერო-სატერმინოლოგიო კო-

მიტეტი", რომელსაც დაევალა, შეემუშავებინა მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგის ტერმინოლოგია, ინტერნაციონალიზმისა და ხალხურობის პრინციპებზე დამყარებით.

ამ საფუძველზე კომიტეტმა დაადგინა და გამოსცა: 1. მათემატიკური ტერმინოლოგია, 2. ფიზიკისა და ელექტროტექნიკის (ტფ., 1928), 3. ლიტერატურისა და ენათმეცნიერების (ტფ., 1928), 4. ნორმალური ანატომიის (ტფ , 1930), 5. საანგარიშო (ტფ., 1928), 6. ბიბლიოთეკისა და პოლიგრაფიული წარმოების (ტფ., 1932), 7. ტექნიკური ტერმინოლოგია (ტფ., 1935), 8. სოც.-ეკონომიური ტერმინოლოგიის მასალები (ტფ., 1936).

გარდა ამისა, გამოცემულია 9. „საალმშენებლო ლექსიკონი" (ტფ., 1926). ყველა აღნიშნული წიგნი პროფ. ვ. ბერიძის რედაქციითაა გამოცემული.

1925 წელს გამოცემულია, აგრეთვე, სამხედრო ტექნიკური ლექსიკონი ლ. ცაგარლისა; რუსულ-ქართული საგზაო ტექნიკური ლექსიკონი და სხვ.

1936 წ. შემოდგომიდან სატერმინოლოგიო საქმე ენიმკ-ის ინსტიტუტშია გადმოსული სატერმინოლოგიო განყოფილების სახით. ამ ხნის განმავლობაში განყოფილებამ ჩაატარა შემდეგი სამუშაოები: დაამზადა ა) მემცენარეობისა და სოფლის მეურნეობის მავნებლების ტერმინოლოგია (გადაცემულია სტამბაში), ბ) ფინანსებისა და კრედიტის ტერმინოლოგია, გ) სოფლის მექანიზაციის ტერმინოლოგია.

მესამე ხუთწლედის ბოლოსათვის განზრახულია სატერმინოლოგიო მუშაობის დამთავრება მეცნიერების ყველა დარგისათვის.

მნიშვნელოვანი გზა გაიარა საქართველოს ისტორიის მეცნიერებამაც საბჭოთა ხანაში. ისტორიოგრაფიას საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები აქვს. ძალიან საყურადღებოა, რომ ფეოდალურ საქართველოს კარგად ჰქონდა შეგნებული ისტორიის, როგორც მკვეთრი იდეოლოგიური იარაღის, საზოგადოებრივი ფუნქცია: ძირითადი წყარო ფეოდალური საქართველოს ისტორიისა, „ქართლის ცხოვრება", ნახევრად ოფიციალური კრებულია; ფეოდალურ აღზრდის მიუცილებელ ელემენტად ისტორიული განათლებაც არის მიჩნეული.

მეფის რუსეთის დროინდელს საქართველოში ისტორიოგრაფიული მუშაობა უფრო ფართოდ გაიშალა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ეს პროცესი დაკავშირებული იყო, პირველ რიგში და განსაკუთრებით, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდასთან.

იმჟამად ქართული ისტორიოგრაფია უმთავრესად არქეოლოგიური ინტერესებითაა გატაცებული. ცდილობენ შეაგროვონ, დაიცვან და

გამოაქვეყნონ საქართველოს ისტორიის რაც შეიძლება მეტი ძეგლი, წყაროების ყველა კატეგორიის წარმომადგენელი. ჩნდება სიძველეთსაცავები და სათანადო საზოგადოებები (საეკლესიო მუზეუმი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება თავისი მუზეუმით და სხვ.). საკუთრივ ისტორიული კვლევა-ძიებაც უმთავრესად გარეგანი ისტორიის საკითხებითაა დაინტერესებული, ამ პერიოდის მუშაკებმა და დასახელებულმა ორგანიზაციებმა მეტად დიდი და ფასეული სამუშაო შეასრულეს, მაგრამ, რა თქმა უნდა, არც ამ დაწესებულებებს და არც იმდროინდელ მუშაკებს — ენთუზიასტებს — არ მოეპოვებოდათ შესაძლებლობა გადაეწყვიტათ საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები. ამისთვის საჭირო იყო სრულიად სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური პირობები, რომლებიც ჩვენს მეცნიერებას მხოლოდ ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოუტანა.

საქართველოს ისტორიის საუნივერსიტეტო შესწავლა და სწავლება, რომელიც წარსული საუკუნის მიწურულში ჩაისახა, როგორც სომხურ-ქართული ფილოლოგიის საერთო ჭერქვეშ შეკედლებული დარგი (პეტერბურგის, ამჟამად ლენინგრადის, უნივერსიტეტში, ხელმძღვანელი პროფ. ივ. ჯავახიშვილი) ამჟამად წარმოდგენილია ტფ. სახ. უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სათანადო კურსებისა და აკადემიური მუშაობის სახით, რომელთა ძირითადი საორგანიზაციო უჯრედია, პირველი და ერთადერთი საუნივერსიტეტო კათედრა საქართველოს ისტორიისა. 1934 წლიდან ამავე უნივერსიტეტთან არსებობს საქართველოს ისტორიის კაბინეტი. საქ. მუზეუმთან ეწყობა ხელნაწერთა განყოფილება, რომელიც თავს უყრის ყველა სათანადო ფონდს. ეწყობა საქ. ცენტრარქივი თავისი რაიონული ფილიალებით. არსდება მრავალი ახალი მუზეუმი (რევოლუციისა, ხელოვნებისა — „მეტეხი“, ბათუმის, კოლხეთის სამხარეთმცოდნეო — ფოთში, სოხუმის, ზუგდიდის, გორის, თელავის, ახალციხის სამხარეთმცოდნეო, ტფ., კომუნალური და სხვ.). არსდება მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალი, დიდი დაწესებულება, რომელიც სპეციალურად სწავლობს მუშათა მოძრაობისა და კომუნისტური პარტიის ისტორიას საქართველოში. დასასრულ, ეწყობა (1936) ენიმკი-ს საქართველოს ისტორიის განყოფილება.

შესაბამისად გაიზარდნენ კადრები — ერთეულების ნაცვლად ახლა კვალიფიციური მუშაკების ათეულები იღწვიან ამ ასპარეზზე.

საბოლოოდ გადაწყვეტილია მეცნიერების ძირითადი საკითხი— მეთოდის საკითხი — საქართველოს ისტორიისათვისაც. საქართველოს ისტორიის რევოლუციურ-მარქსისტული შესწავლის ფუძემდებელია

სტალინი. სტალინმა და მისმა სახელოვანმა თანამებრძოლებმა, კერძოდ — ალ. წულუკიძემ, მკვეთრად დაუპირისპირეს რევოლუციური მარქსიზმის დიალექტიკურ-მატერიალისტური თვალსაზრისი ყველა ჯურის ცრუ მარქსისტულ-მექანისტურს „კონცეპციებს“, რომლებიც საქართველოს ისტორიაში მხოლოდ ბურჟუაზიული დასავლეთის ბრმა ანალოგიებსა და განმეორებებს ხედავდნენ. მეტიც უნდა ითქვას: მათ განუმარტეს საქართველოს მებრძოლ მუშათა კლასს სამშობლო ქვეყნის წარსულის კრიტიკულად შესწავლის მნიშვნელობა და ჩაუნერგეს მას რევოლუციური მარქსიზმის შეხედულება იმის შესახებ, რომ ახალი, ნამდვილად თავისუფალი და ნამდვილად ადამიანური სამყაროს მშენებელი კლასი იღებს წინა თაობათა ნამემკვიდრევიდან ყველაფერს, რაც პროგრესულია, კულტურულად ღირებული და მაღალი. სწორედ მათ გაანადგურეს ის ყოვლად მავნე, საზოგადოებრივად და მეცნიერულად არსებითად ლიკვიდატორული, ნიჰილიზმი ამ დარგში, რომელსაც ქადაგებდნენ ჩვენებური ფსევდო-მარქსისტები (ცნობილია, მაგ., ქართული მენშევიზმის ერთი ლიდერთაგანის „აფორიზმი“: „მეზიზღება ჩემი ქვეყნის წარსული“).

საქართველოს უახლესი ისტორიიდან (XIX—XX სს.) საბჭოთა პერიოდში მრავალი გამოკვლევაა გამოქვეყნებული, რომელნიც საყურადღებო მასალას შეიცავენ. ჩვენ აქ მათ ვერ განვიხილავთ, ვინაიდან საკვლევ ცენტრს საქართველოს ისტორიის ამ პერიოდში მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალი შეადგენს.

საქართველოს ძველი ისტორიიდან აღვნიშნავთ ცალკე დარგების მიხედვით შემდეგს:

სამოქალაქო ისტორიაში პროფ. ი. ჯავახიშვილი განაგრძობდა რევოლუციამდე წამოწყებულ შრომას. 1924 წელს მან გამოაქვეყნა „ქართველი ერის ისტორია“, წ. IV. აქ განხილულია საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრება XV ს-ში. მონოგრაფია დიდ ფაქტიურ მასალას ემყარება. მანვე გამოაქვეყნა 1928 წ. ამავე ისტორიის I ტომის დიდად გადამუშავებული და შევსებული გამოცემა.

სპეციალურად სოციალურ ისტორიას ეხება ივ. ჯავახიშვილის მონოგრაფია „სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში“ IX—XIII სს., 1924.

პროფ. გ. ნათაძე წერს: „საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიურ მიმოხილვას“, 2 წიგნად (1924—25 წწ.). ძველს ხანას ეხება ს. კაკაბაძის „ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები“ („საისტორიო მოამბე“, I. 1924).

საქართველოს ისტორიის უძველესსა და ძველ პერიოდს მოიცავს ს. ჯანაშიას კურსი დაუსწრებელი პედ. ინსტიტუტის მსმენელებისა-

თვის (ნაკვ. I: „გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში“, 1932, ნაკვ. II: [კლასების და სახელმწიფოს წარმოშობა ქართვ. ტომებში], 1932, ნაკვ. III: „ადრინდელი ფეოდალიზმი“, 1934) და მისივე მონოგრაფიები: „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში“, 1935; „არაბობა საქართველოში“, 1936 და „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“, 1937.

ამავე დროს მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს ისტორიის საუნივერსიტეტო კურსის შექმნის გარშემო. იწერება გაშლილი პროგრამა (ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი) და კონსპექტები საქართველოს ისტორიისა: ს. ჯანაშია, „საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 საუკ-მდის“ (ტფ., უნივ. შრომები, V, 1936 წ.) და ნ. ბერძენიშვილი, „საქ. ისტორია მე-13—15 საუკუნეში“ (იქვე, VI, 1937).

ქვეყნდება მრავალრიცხოვანი წერილები საქართველოს სამოქალაქო ისტორიის ცალკეული საკითხების შესახებ: ივ. ჯავახიშვილი, „ახლად აღმოჩენილი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის“ (ტფ. უნივ. მოამბე, II, 1922—23); ნ. ბერძენიშვილი, „ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა ბრძოლიდან მე-13 საუკუნეში“ („მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის“, I, 1937, ენიმკი-ს გამოც.); თ. ლომაური: „სუმბატ დავითის-ძისა და გიორგი მერჩულის ცნობები მე-9—მე-10 ს. ქართ. ბაგრატონიანთა შესახებ“ („არილი“, 1925); ს. ჯანაშია, „ეგრისის სამეფოს წარმოშობა“, (ტფ., უნივ. შრომები, I, 1936), ს. კაკაბაძის წვრილი წერილები კრებულებში: „საისტორიო ძიებანი“ (1924), „საისტორიო მოამბე“ (1924—25) და „საისტორიო კრებული“ (1928—1929) და სხვა.

ცალკე ვითარდება საქართველოს სამეურნეო ისტორიაც. ამ დარგში უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს პროფ. ივ. ჯავახიშვილის კაპიტალური შრომა: „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, I, 1930; II, 1934. აქ, უზარმაზარ ფაქტიურ მასალაზე დაყრდნობით, ავტორს განხილული აქვს საქართველოს სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების მემინდვრეობის, მებოსტნეობის, მებაღეობისა და მევენახეობის — განვითარების ისტორია, ისტორია სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა საქართველოში და მიმოხილული აქვს თვით საქართველოს ეკონომიური ისტორიის წყაროები ძალიან დეტალურად. ავტორს განზრახული აქვს მოცემული ისტორიის კიდევ ორი ტომის გამოქვეყნება. საქართველოს ეკონომიური ისტორიის საკითხებს ეხება ნ. ბერძენიშვილის „სამღებროთა შესახებ მე-18 საუკ. საქართველოში“ („მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. VI, 1937); ს. კაკაბაძის „საქართველოს ეკონომიური ვითარების შესახებ მე-18 საუკ.“ („მნათობი“, 1926).

ქართული ხელოსნობის ისტორიას შეეხება სპეციალური მონოგრაფია გ. გამყრელიძისა („ხელოსნობა ტფილისში", 1926).

ქართული სამართლის ისტორიიდან პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ პროფ. ივ. ჯავახიშვილისავე კაპიტალური ნაშრომი „ქართული სამართლის ისტორია" ორ წიგნად (1928—1929). აქ მოცემულია ქართული სამართლის ისტორიის წყაროების ვრცელი მიმოხილვა და სამართლის ინსტიტუტების განვითარების ისტორია საქართველოში სხვა ქვეყნების ანალოგიური მოვლენების შედარებით განხილვასთან ერთად.

სამართლის (კანონიკურის) ერთ მომენტს შეეხება ნ. ბერძენიშვილის წერილი: „დას. საქართველოს საეკლესიო წესწყობილება მე-13—მე-15 საუკ." („მიმომხილველი", I, 1926) და პროფ. კ. კეკელიძის „კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში" (ტფ., უნივ. მოამბე, X, 1930).

საბჭოთა საქართველოში ჩაისახა პირველად და განვითარებული სახე მიიღო საქართველოს ისტორიის დამხმარე დარგებმა. ამ მხრივ ფუძემდებელი ადგილი უჭირავთ პროფ. ივ. ჯავახიშვილის შრომებს: 1. „ქართ. ნუმიზმატიკა და მეტროლოგია", 1925; 2. „ქართული პალეოგრაფია", 1926, 3. „ქართული დიპლომატიკა", 1926. ქართ. ნუმიზმატიკაში სპეციალურად მუშაობს თ. ლომაური (იხ. მაგ., „თამარის ფულების განძი", ტფ., უნივ. შრომები, I, 1936 და სხვა).

იბეჭდება ნარკვევები, აგრეთვე, კულტურის ისტორიის, საეკლესიო ისტორიის, ისტორიულ-ქრონოლოგიურსა, გენეალოგიურსა და ისტორიულ-ფილოლოგიურს თემებზე (კ. კეკელიძე, „ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები", „მიმომხილველი", 1926; მისივე „საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ", ტფ., უნივ. მოამბე, VI, 1926; მისივე, „რამდენიმე, ჯერ კიდევ გაურკვეველი, ტერმინი ჩვენი საისტორიო მწერლობისა", ტფ., უნივ. მოამბე, V, 1925; პ. ინგოროყვა, „ძვ. ქართ. წარმართული კალენდარი", საქ. მუზ. მოამბე, VI, 1931; ს. ჯანაშია, „ტრაქტატი ფეოდალური სწავლა-აზღრდის შესახებ მე-17 ს. საქართველოში", „სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში", მასალების კრებული, I, 1937; ს. ჯანაშია, „ინგოროყვას გენეალოგიისათვის" „ლიტერატურული მემკვიდრეობა", I, 1934 და სხვ.

გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობდა საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების გამოცემისა და შესწავლის სფეროში. უკანასკნელის მხრით უნდა აღნიშნულ იქნეს პროფ. ივ. ჯავახიშვილის „ქართული საისტორიო მწერლობის" I ნაწილის მეორე შევსებული გამოცემა (1921) და ცალკე წერილები (ივ. ჯავახიშვილი, I, „ახლად

აღმოჩენილი „ქართლის ცხოვრება“ და თამარ მეფის მეორე, აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება“, ტფ., უნივ. მოამბე, III, 1923; კ. კეკელიძე, „ლ. მროველის ლიტერატურული წყაროები“, ტფ., უნივ. მოამბე, III, 1923 და სხვ.).

თვით წყაროების პუბლიკაციის მხრივ აღსანიშნავია გამოცემა შემდეგი ისტორიული თხზულებებისა: 1. ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანისა (ივ. ჯავახიშვილი, 1927), 2. ფარსადან გორგიჯანიძისა (ს. კაკაბაძე, „საისტორიო მოამბე“, 1925, II) და სხვ. ქვეყნდება მნიშვნელოვანი დოკუმენტალური მასალაც, როგორც ცალკე საბუთების სახით (ნ. ბერძენიშვილი, გ. გოზალიშვილი, ს. კაკაბაძე, შ. ჩხეტია, ი. ცინცაძე), ისევე კრებულებად: 1. „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები“, 2 წიგნად, ს. კაკაბაძე, 1921; 2. „საქ. სიძველენი“, III ტ., დამატება, ს. ჯანაშიას რედაქციით; 3. ი. ლორთქიფანიძე, „ქვემო ქართლი“, 1935 (გამოცემა შეიცავს როგორც დოკუმენტურ მასალას, ისე მის სტატისტიკურ გადამუშავებასაც). 4. „1832 წ. შეთქმულების მასალები“, გ. გოზალიშვილი, 1936, 5. „მასალები სამთო მრეწველობის ისტორიისათვის საქართველოში“, ტ. I, 1936, შ. ჩხეტია და პ. აკრიტასი; რედ. გ. გრიგორიანი... საარქივო საქმის დაყენებას ძველ საქართველოში ეხება შ. ჩხეტიას წიგნი (უკრაინულ ენაზე) „არქივები საქართველოში“, ხარკოვი, 1932. ქვეყნდება აგრეთვე ისტორიული მნიშვნელობის მქონე არქეოგრაფიული მასალაც (ი. საბანისძისა და ბ. ზარზმელის თხზულებანი, კ. კეკელიძის გამოც., 1935; ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები, ს. კაკაბაძის გამოც., 1928 და სხვ.).

საბჭოთა პერიოდში გამოქვეყნდა მეტად საყურადღებო ქართული ეპიგრაფიკული მასალაც (ვ. თოფურია, ლ. მელიქსეთ-ბეგი, აკ. შანიძე, ივ. ჯავახიშვილი), ზოგჯერ თავმოყრილი ცალკე პროვინციების მიხედვით.

სპეციალურად უნდა აღნიშნულ იქნეს, რომ საბჭოთა პერიოდში მკვიდრ ნიადაგზე დგება რუსეთის არქივებში დაცული რუსული და ქართული დოკუმენტების გამოცემა საქართველოს შესახებ. ამ საქმეში არა ერთი მუშაკია ჩაბმული (პროფ. მ. პოლიევქტოვი, ი. ცინცაძე, ნ. ბერძენიშვილი, ი. ლორთქიფანიძე). უკვე გამოცემულია შემდეგი კრებულები: 1. „ტოლოჩანოვისა და იევლევის ელჩობა იმერეთში 1650—52 წწ.“ (1926), 2. „მიშეცკისა და კლუჩარევის ელჩობა კახეთში 1640—1643 წწ.“ (1928) და 3. „Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, (1615—1640 гг.“). სამივე მ. პოლიევქტოვის რედაქციით, გამოსაცემად მზადდება ასეთივე რამდენიმე კრებული.

ისტორიის უმნიშვნელოვანეს დამხმარე დარგთაგანმა, არქეოლოგიამ, აგრეთვე დიდ წარმატებებს მიაღწია საბჭოთა საქართველოში.

რევოლუციამდე ჩვენში თითქმის არ ჰქონია ადგილი მეცნიერულს, დაგეგმილსა და წინასწარ მომზადებულს არქეოლოგიურს კვლევაძიებას. სათანადო აღმოჩენებს უმეტეს წილად შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. მოპოვებული ნივთები ნაწილობრივ იკარგებოდა, ნაწილობრივ საზღვარგარეთ მიდიოდა. ზედმეტი იყო ფიქრი სიძველეთა დაცვაზე სახელმწიფოს მხრივ. ახლა მდგომარეობა შეცვლილია ძირიანფესვიანად. არქეოლოგიური ძიებისა და გათხრების ნება მხოლოდ სპეციალურად მომზადებულ პირებს ეძლევა. არქეოლოგიური სიძველენი და განძები საბჭოთა ხელისუფლების მიერ ხალხის კუთვნილებად არის გამოცხადებული, მათ იცავენ სპეციალური ორგანოები და სათანადო მონაპოვრის შენახვისათვის შესაფერის ადგილად მხოლოდ სპეციალური მუზეუმებია მიჩნეული. გაჩნდნენ უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი-არქეოლოგები, სათანადო ასპირანტურა (ენიმკი, უნივერსიტეტი) ამზადებს ახალ კადრებს. საქართველოს მუზეუმში მძლავრი არქეოლოგიური განყოფილებაა მოწყობილი. სპეციალური განყოფილების სახითაა წარმოდგენილი არქეოლოგია აგრეთვე ენიმკი-ში.

სათანადო შედეგებიც მეტად თვალსაჩინოა. პალეოლითის შესახებ საქართველოში, მაგ., ჩვენ მხოლოდ საბჭოთა პერიოდში შევძელით მიგვეღო მეცნიერული წარმოდგენა. პროფ. გ. ნიორაძის გამოკვლევებმა (1926—1930 წწ. გათხრები დევისხვრელში, ჩხერიმელას ხეობაში; 1935—1936 წწ. საკაჟიაში, მოწამეთის მიდამოებში) ქართული პალეოლითის შესახებ ყურადღება მიიქციეს როგორც საბჭოთა კავშირში, ისე კავშირის გარეთაც (იხ. „პალეოლითის ადამიანი დევის ხვრელში“, საქ. მუზეუმის შრომები, VI).

პალეოლითი დადგენილია აფხაზეთშიაც აკად. მეშჩანინოვის ექსპედიციით პროფ. ზამიატნინის მიერ (1934—1936 წწ. გათხრები), არმაზში (ენიმკი-ს ექსპედიცია 1937 წ.).

ნეოლითური კულტურა დადასტურებულია ქუთაისის მახლობლად, თეთრამიწის მიდამოებში, დიდუბეში, წალკაში და სხვ. (იხ. „Заря Востока“ № 840, 1925). ენეოლითის ნაშთები დადგენილია დიდუბეში, რეკაში (ნაოხვამუ), ანაკლიაში, ოჩამჩირეში და სხვ.

ალბათ, დაახლოებით ამ ისტორიულ ხანას ეკუთვნის მეტად საყურადღებო „ციკლოპური“ კულტურა, მრავალრიცხოვანი ძეგლების სახით დადგენილი და აღწერილი საბჭოთა საქართველოში — იხ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, „ახალი პრობლემა საქართველოს ისტორიაში (საქართველოში ახლად აღმოჩენილი „ციკლოპური“ შენობების გამო)“, „მნათობი“, 1925 წ. № 2.

უაღრესად საყურადღებო შედეგებია მიღებული საბჭოთა პერიოდში ბრინჯაოსა და ადრინდელი რკინის ეპოქების კვლევის სფეროში. 1927 წ. გათხრამ ზემო ავჭალაში (პროფ. გ. ნიორაძე, „ზემო-ავჭალის სამარე“, საქ. მუზეუმის მოამბე, VI, 1931 წ.) მოგვცა მეომარი ქალის უძველესი სამარხი, მიახლოებით XIII ს-ისა ძვ. წ., მეტად საყურადღებო ინვენტარით (ბოლოკვეთილი მახვილი, დამახასიათებელი აღმ. საქართველოსათვის და სხვ.). დიდი მნიშვნელობის ბრინჯაოს განძეულობა აღმოჩენილია 1931 წ. სოფ. სასირეთში. საყურადღებო ნაშთია ნაპოვნი სოფ. ფლავისმანში; აქაურ ინვენტარში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს „სარკმლიანი ურნა“ (იხ. ს. მაკალათია, „ფლავისმანის უძველესი ნეკროპოლი“, საქართველოს მუზეუმის მოამბე, V, 1930). „სარკმლიანი ურნა“ ნაპოვნია ბაშკირეთის რაიონშიაც. საინტერესოა, რომ ამგვარი ურნები ჩვენ გვხვდება, ამიერკავკასიის გარდა, მხოლოდ მცირე აზიასა და ევროპის განსაზღვრულ მხარეში და, შესაძლებელია, იმ ფაქტების რიცხვს ეკუთვნოდეს, რომელნიც ამ ქვეყნების უძველესი მოსახლეობის ერთიანობას ამტკიცებენ. ამავე დროის ნივთები ბევრია ნაპოვნი იკოთში, წინანდალში, მჭადიჯვარში, ბეჟუათუბანში, ნარეკვავში, საჩხერის მიდამოებში, საყულიაში, ჩხარში, საქარაში, პატარძეულში, ბაშკიჩეთში, წიწამურში, ველისციხეში, დაბლა გომში და სხვ. წიწამურში გ. ჩიტაიასა და ს. იორდანიშვილის მიერ 1924 წ. გათხრილ სამარეში ადამიანის ჩონჩხთან ერთად ცხენისაც აღმოჩნდა.

საქართველოს ბრინჯაოს კულტურის[1] შესწავლის საქმეში ყველაზე დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ეგრეთწოდებული „ყობანის კულტურა“, სავსებით ორიგინალური და მაღალი განვითარების საფეხურზე ასული ცივილიზაცია, რომლის ძეგლები პირველად ჩრდილო-ოსეთში იყო აღმოჩენილი, შესაძლოა ამჟამად დას. საქართველოს ადგილობრივ კულტურად იყოს მიჩნეული. მრავალი მეცნიერი (მაგ., აკად. მეშჩანინოვი) ამ კულტურას ამჟამად უკვე „კოლხურ კულტურას“ ეძახის და, მართლაც, საბჭოთა პერიოდში მისი ძეგლები ნაპოვნი იქნა დას. საქართველოს ყველა კუთხეში: აჭარა-გურიაში, იმერეთში, სამეგრელოში, რაჭაში, აფხაზეთში, ქუთაისის, ბათუმის, ზუგდიდისა და სოხუმის მუზეუმებში ახლა დაცულია ამ კულტურის განათხარი ნივთების უძვირფასესი კოლექციები. საინტერესოა, რომ

---

[1] ჩვენ ვლაპარაკობთ სწორედ ბრინჯაოს კ უ ლ ტ უ რ ი ს და არა ე პ ო ქ ი ს შესახებ. უკანასკნელის თვალსაზრისით, ეს არის არა მარტო ბრინჯაოს, არამედ ადრინდელი რკინის ხანაც, რადგანაც ბრინჯაოს იარაღებთან ერთად თითქმის ყოველთვის გვხვდება რკინისაც, როგორც ამას სპეციალისტები აღნიშნავენ (პროფ. გ. ნიორაძე).

ამ უაღრესად საყურადღებო კულტურული ფორმებიდან ზოგიერთს თავი დაუცავს დას. საქართველოს ეთნოგრაფიაში დღემდე (შეადრ. მაგ., „კოლხური“ და დღევანდელი წალდი). ამავე კულტურის ნაშთები დღეს აღმოჩენილია, აგრეთვე, ართვინსა და, რაც კიდევ უფრო საინტერესოა, ორდუში. აქაც, მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ საქართველოს ისტორიის მჭიდრო კავშირს წინა აზიასა და, კერძოდ მცირე აზიასთან. თვით კულტურის შესახებ შეგვიძლია უკვე ვთქვათ, რომ თუ ის პოლიტიკური განსაზღვრით კოლხეთის კულტურაა, ეთნიკურად ეს „თუბალური“ კულტურაა, ე. ი. კულტურა იმ თუბალ-ტიბარენებისა, რომელთაც მთელი ძველი სამყარო საუკეთესო მეტალურგებად თვლიდა და რომელთაც, ამის გამო სემიტებისაგან „კაენის“ (ე. ი. „მჭედლის“) ეპითეტიც კი მიიღეს.

რკინის დროის დამახასიათებელი ნივთებიც ბლომად არის აღმოჩენილი საბჭოთა საქართველოში. მაგ., აღსანიშნავია კარსნისხევის სისტემატური გათხრები, 1925—26 წწ. და მათი შედეგები (გ. ნიორაძე, „კარსნისხევის სასაფლაო“, ტფ., 1926). აქ, უეჭველია, ჩვენ საქმე გვაქვს საქართველოს უძველესი პოლიტიკური და კულტურული ცენტრის, არმაზის, საქალაქო სასაფლაოს ერთ სექტორთან, რაც მეტად ზრდის ინტერესს ძეგლისადმი და მოითხოვს სამუშაოების განახლებას (განზრახული აქვს ენიმკი-ს).

შემდეგ საყურადღებოა საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გათხრები მცხეთის რაიონში, სადაც დადასტურდა მეორედ დამარხვის წესი (იხ. G. Nioradze, „Die Nachbestattung im alten Georgien“. Archiv für Anthropologie. N. F. Braunschweig, 1930, Bd. XXII, Heft 1—2, გვ. 1, შმდ.). ქვისა თუ აგურის ყუთ-სამარეები დადასტურებულია რეყეში, ზემოავჭალაში, მცხეთაში (ს. მაკალათია, „1920—1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის“, საქ. მუზეუმის მოამბე, IV), ტაბახმელაში, წყნეთში, ელპში, კიკეთში და სხვ. (Е. Пчелина, „Археологические разведки в районе Триалетского хребта“, საქ. მუზეუმის მოამბე, V). რკინის ხანის მეტად საყურადღებო ნაშთი ნაპოვნია ინგურის ნაპირზე, სოფ. თაგელონთან, 1930 წ. აქ სხვათა შორის, აღმოჩენილია მძიმე სამხედრო საჭურველი, კერძოდ ჯაჭვის პერანგი (А. Амиранашвили, „Новая находка в низовьях р. Ингура“, ტფ., 1935).

ისტორიული ძეგლების არქეოლოგიური შესწავლის დარგში უფრო ადრინდელი სამუშაოებიდან აღვნიშნავთ 1930—31 წწ. ექსპედიციას ნოქალაქევში (საქ. გან. სახ. კომისარიატი), რომელმაც გამოარკვია ძველი ციხის კედლის მიმართულება და საყურადღებო ინვენტარიც მოიპოვა.

ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტმა არქეოლოგიურ სამუშაოებს იმთავითვე დიდი მნიშვნელობა მიანიჭა და მათი გეგმიანი, სისტემატური წარმართვა აუცილებელ პირობად დასახა. უკვე თავის 1936 წ. გეგმაში ინსტიტუტი ითვალისწინებდა ისეთ ობიექტების შესწავლას, როგორიცაა ნაქალაქარი დმანისი, ნასასახლარი გეგუთი, ქართული კულტურის უძველესი ცენტრთაგანი ბოლნისი, დაბლა-გომი და სხვ. პირველი ორი ძეგლი მათი უშუალო კავშირის გამო რუსთაველის ეპოქასთან შემდეგში რუსთაველის მუზეუმს გადაეცა. აქ წარმოებულმა (1936—37) გათხრებმა (არქეოლოგიურ სამუშაოებს უშუალოდ ხელმძღვანელობდა ლ. მუსხელიშვილი) წარმოაჩინეს ქართული ფეოდალიზმის პერიოდის ბრწყინვალე მატერიალური კულტურა.

ენიმკი-ს ორგზისმა ექსპედიციამ დაბლა-გომში (1936) მეტად საყურადღებო შედეგები მოიტანა; მათ შორის აღვნიშნავთ: მაღალი ღირსების კერამიკას, უძველესი ქართული ფულის, კოლხური თეთრის (V—II სს. ძვ. წ.) მიცვალებულთან დატანების რამდენიმე შემთხვევას, დამწერლობითს ნიშნებს ჭურჭელზე, რომელნიც თავიანთი მოხაზულობით უახლოვდებიან ქართული ასოების უძველეს სახეებს და საყურადღებო მასალას იძლევიან ქართული ანბანის წარმოშობის საკითხისათვის. ბოლნისში ინსტიტუტი უმთავრესად უძველეს ქართულ წარწერებს ეძებდა (უკვე ცნობილი ეპიგრაფიკული მასალის მიხედვით). სათანადო ექსპედიციამ 1936—37 წწ. პროფ. ივ. ჯავახიშვილის საერთო ხელმძღვანელობით (გათხრები ჩაატარა ლ. მუსხელიშვილმა) სავსებით გაამართლა იმედები — მრავალ სხვა შედეგთან (ტაძრის პირვანდელი გეგმის აღდგენა, ახალი მდიდარი ეპიგრაფიკული მასალა და სხვ.) ერთად აღმოჩენილია უძველესი (დღემდე ცნობილთა შორის) თარიღიანი ქართული წარწერა (ამოჭრილი პეროზ სასანიდის ზეობაში, 459—483 წწ.). საქ. არქეოლოგიური ინსტიტუტის ენიმკი-სათვის გადმოცემისა და აქ არქეოლოგიური განყოფილების ჩამოყალიბების შემდეგ (1936 წ. შემოდგომა) ენიმკი-ს არქეოლოგიური სამუშაოები კიდევ უფრო გაიშალა. 1937 წ. განყოფილებამ (გამგე პროფ. გ. ნიორაძე) სხვა სამუშაოებთან ერთად დაზვერვაც დაისახა მიზნად. შედეგები მეტად საყურადღებოა. ალაზნის პირზე, სოფ. არხილოსთან, ჩატარებულმა გათხრებმა (1937, აპრილი, ხელმძღვანელი გ. ნიორაძე, თანამშრომელი გ. გობეჯიშვილი) სხვათა შორის მოგვცეს — პირველად საქართველოში — მეტად საყურადღებო ჭურჭელი: 1. გრძელნისკარტიანი დოქები, ნისკარტთან დატანებული დაფანჯრული საწურით; ამგვარი დოქების წარმოშობის ცენტრად ხეთების სამეფოს ტერიტორიაა მიჩნეული და 2. სამფეხა ჭურჭელი, რომელიც ცნობილია

აგრეთვე ხეთურ კარხემიშში და ტროაში (შლიმანის გათხრებით). ბაშკიჩეთის ექსპედიციამ (იმავე შემადგენლობით, 1937, აგვისტო) სოფ. საფარლოს მახლობლად, გათხარა სასაფლაო, რომლის მეტად საინტერესო ინვენტარი, გ. ნიორაძის დასკვნით, ხალდურ კულტურას განეკუთვნება. ყველაზე ხანგრძლივი არქეოლოგიური სამუშაოები ინსტიტუტმა აწარმოა საქართველოს უძველეს დედაქალაქ არმაზში (1937; ივლისი-სექტემბერი; გათხრითი სამუშაოების უფროსი ალ. კალანდაძე, თანამშრომლები ნ. ხოშტარია და ვ. აუმალი). აქ აღმოჩენილია უძველესი ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი, როგორც ჩანს, აბანო, ალბათ ძველი ქართლის (იბერიის) იმ საზოგადოებრივ შენობათა კატეგორიიდან, რომელთა შესახებაც სტრაბონი ამბობს, რომ ისინი აშენებულია ხუროთმოძღვრების რიგზეო. აქვე მოპოვებულია უმდიდრესი ინვენტარი, ნუმიზმატიკური მასალა და სხვა. ძეგლი მრავალწლიან მუშაობას მოითხოვს თავისი სრული გამოვლინებისათვის. საყურადღებო სამარხები (თიხის კუბოებში) გათხარა გ. ნიორაძემ აგრეთვე დუშეთსა (1936) და დიდ-ლილოში (1937), ბრინჯაოს ბალთები აღმოაჩინა ღებში (1936) გ. გობეჯიშვილმა. დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ სამუშაოები წალკაზე, ხელმძღვანელი ბ. კუფტინი, (1936—7). აქ გათხრილია ყურღანები და ჩვეულებრივი სახის სამარხები, რამაც მოგვცა შესანიშნავი ინვენტარი ოქროსი, ვერცხლის, ბრინჯაოსი და სხვ., კერძოდ, შესანიშნავი ვერცხლის თასი ხეთური ხელოვნებისა.

დიდი ოქტომბრის XX წლისთავს საქართველოს ე თ ნ ო გ რ ა ფ ი ა ც მნიშვნელოვანი მიღწევებით ხვდება. საბჭოთა პერიოდის მანძილზე საქართველოში ეთნოგრაფიის დარგში მუშაობა გეგმიანი და სისტემატური ხასიათისა იყო. გეგმა ითვალისწინებდა მუშაობას შემდეგ უბნებზე: 1. სამეცნიერო კვლევისათვის საკოლექციო ფონდების ცენტრალური ბაზის შექმნა, 2. ახალი კოლექციების შეგროვება, 3. საგამოფენო მუშაობის გაშლა, 4. სამეცნიერო კვლევითი მუშაობა და 5. კადრების მომზადება.

1. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტისათვის საქართველოში ეთნოგრაფიული კოლექციები გაბნეული იყო ტფილისის სხვადასხვა მუზეუმებში. საჭირო იყო მათი ერთად თავმოყრა იმისათვის, რომ გარკვეული ყოფილიყო მათი სამეცნიერო ღირებულება და შემდგარიყო ცალკეულად შეგროვილი ნივთებიდან საკოლექციო კომპლექსები.

მთავრობის სათანადო დეკრეტით 1923 წლიდან ეს მუშაობა ჩატარდა ისე, რომ ტფილისის მუზეუმებში დაცული ყველა ეთნოგრაფიული ფონდი გადაეცა საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიულ გან-

ყოფილებას. ამით კონსოლიდაცია ექმნა ეთნოგრაფიულ კოლექციებს საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმიდან, ხელოვნების მუზეუმიდან და სხვ. ამათ შეემატა ცალკე პირებისაგან შეძენილი ეთნოგრაფიული კოლექციები, მაგ., იარაღების კოლექცია და სხვ.

2. ამ მუშაობას მოჰყვა სისტემატური მუშაობა ახალი კოლექციების შეგროვების ხაზით. საჭირო იყო, ეს მუშაობა გაშლილიყო სათანადო გეგმითა და მეთოდით. ცხადია, ეთნოგრაფიული კოლექციების შეგროვების ძველი მეთოდი, რარიტეტების შეგროვება, თუ ამას შეიძლება მეთოდი ეწოდოს, საბჭოთა ეთნოგრაფიისათვის მიუღებელი უნდა ყოფილიყო. გამომუშავდა გენერალური გეგმა საველე მუშაობისათვის. ეთნოგრაფიული თვალსაზრისით საქართველო დანაწილდა სამ ზოლად: ბარისა, ზეგანისა და მთისად. მოეწყო მრავალი ექსპედიცია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ამ მუშაობის შედეგად შეგროვდა ათასობით ახალი კოლექცია. ექსპედიციები მუშაობდნენ ინტენსიური მეთოდით, რომელიც მოითხოვს კოლექციების შეგროვებას კომპლექსურად და თემატიკურად, გროვდებოდა კოლექციები უბნობრივად, სოფლობრივად და ხეობების მიხედვით. ამის შემწეობით არა ერთი კოლექცია გადარჩა სამუდამო დაღუპვას. ჩამოტანილი იყო მუზეუმში არა ერთი და ორი უნიკალური კოლექცია, მაგ.: ქვემყურნა სვანეთიდან (ს. მაკალათიას მიერ), ლამარია, ზენახარი, უქმური, მეზირის კომპლექსი სვანეთიდან (ვ. ბარდაველიძის მიერ), რაჭული სახნელი (გ. ჩიტაიას მიერ), ხატის ყმის ჯაჭვები კახეთიდან (ს. იორდანიშვილის მიერ) და სხვა.

ამჟამად განყოფილებაში 25 000 მეტი კოლექციაა, რომლებიც სამეცნიერო კვლევის შესანიშნავი ობიექტებია. ამგვარად, საქ. მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების სახით შექმნილია უდიდესი სამეცნიერო საგანძური, მტკიცე ბაზა სამეცნიერო კვლევისათვის, რაც მიუცილებელი წინაპირობაა სამეცნიერო კვლევისათვის ამ დარგში.

უნდა აღინიშნოს იგიც, რომ ცენტრალური ეთნოგრაფიული საგანძურის გარეშე ამავე პერიოდში რაიონებში შეიქმნა მხარეთმცოდნეობითი მუზეუმები, რომლებიც ეთნოგრაფიულ კოლექციებსაც აგროვებენ. ამგვარი შემგროვებელი პუნქტი ამჟამად უკვე 12-ია.

3. შეგროვებითი მუშაობის პარალელურად წარმოებდა აგრეთვე საგამოფენო მუშაობა. ფართო მშრომელთა მასებისათვის კულტურის ისტორიის კონკრეტული მასალების მიწოდების მიზნით მოეწყო რამდენიმე ეთნოგრაფიული გამოფენა, მათ შორის ხევსურეთისა და სვანეთის, სადაც ამ კუთხეების მატერიალური კულტურა, სოციალური ყოფა და იდეოლოგიური გადმონაშთები სისრულით იყო წარმოდგე-

ნილი; კოლექციების სიუხვესა და კომპლექსური თემების სიმრავლესთან ახლდა მაღალ დონეზე აყვანილი საგამოფენო გაფორმება.

4. საექსპედიციო და საგამოფენო მუშაობას დიდი დრო და შრომა უნდებოდა. ასევე დიდ შრომას და დროს მოითხოვდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და კადრების მომზადება. საჭირო იყო ახალ საფუძველზე აგებულიყო როგორც ერთი, ისე მეორე საქმე. ქართველი ტომების უძველესი კულტურის პრობლემებიდან მუშავდებოდა: ა) მატერიალური კულტურის ხაზით: I. შრომის იარაღების საკითხები (გ. ჩიტაია, „ეთნოგრაფიული მოგზაურობა“, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. IV; სტ. მენთეშაშვილი, „სვანური კევრი“, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. VIII); 2. სახლისა და სამეურნეო ნაგებობათა საკითხები (გ. ჩუბინაშვილი, „ქართლის დარბაზი“, ტფ., 1927; გ. ჩიტაია, „გლეხის სახლი ქვაბლიანის ხეობაში“, მიმომხილველი, ტ. I); 3. ტანსაცმლის: 4. ხალხური ორნამენტის საკითხები (ენიმკი-ს ეთნოგრაფიულმა განყოფილებამ დასაბეჭდად მოამზადა „ხევსურული ორნამენტი“); ბ) ხალხური რელიგიების გადმონაშთების ხაზით: 1. ს. მაკალათია, „ფალოსის კულტი საქართველოში“, მიმომხილველი, ტ. I; 2. გ. ნიორაძე, „Begrebnis und Totenkultus bei den Chewsuren“: 3. ვ. ბარდაველიძე, „Опыт социологического изучения хевсурских верований“. 1932 г.; 4. ვ. ბარდაველიძე, „ხის კულტისათვის საქართველოში“ (საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. III); გ) სოციალური ყოფის ხაზით: სვანური ოჯახი (რ. ხარაძე) და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში საზღვარგარეთის ბურჟუაზიული მეცნიერება საქართველოს ეთნოგრაფიის დარგში უკეთეს შემთხვევაში ადგილს ტკეპნიდა.

ამავე პერიოდში ჩვენში დიდად გაიზარდა სამხარეთმცოდნეო ლიტერატურა, რომელშიც საკმარისად მოიპოვება ეთნოგრაფიული მასალა (ს. მაკალათია, ჯ. ნოღაიდელი, გ. თედორაძე, დ. გულია და სხვ.).

ცალკე კრებულად გამოიცა ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიული წერილები (მეც. აკად. საქ. ფილიალის გამომცემლობაში, გ. ქიქოძის რედაქციითა და წინასიტყვაობით).

5. განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული ჰქონდა კადრების მომზადებას. ტფ. სახ. უნივერსიტეტში იკითხებოდა სათანადო კურსები (ზოგადი ეთნოგრაფია, კავკასიისა და საქართველოს ეთნოგრაფია). ამის შედეგად მომზადდა რამდენიმე პირი, რომლებიც წარმატებით აგროვებენ ეთნოგრაფიულ მასალებს. ასპირანტების მომზადება წარმოებდა როგორც საქ. მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში, ისე ნ. მარის სახელობის ინსტიტუტში. ამჟამად ინსტიტუტს ჰყავს ხუთი ასპირანტი ეთნოგრაფიის დარგში.

ამავე ინსტიტუტში მას შემდეგ, რაც ის წამყვან დაწესებულებად გადაიქცა ქართველი ტომების ძველი კულტურის პრობლემების კვლევის დარგში, ჩამოყალიბდა ეთნოგრაფიული ჯგუფი, რომელიც აწარმოებს გაღრმავებულ მუშაობას თავის სპეციალობაში.

ზემოთ მოყვანილი სქემატური მიმოხილვის ზოგადი დასკვნისათვის გვსურს აქ გამოცალკევებით გავითვალისწინოთ ზოგიერთი მეცნიერული აღმოჩენა, რომელთა განხორციელებაც სწორედ საბჭოთა პერიოდში შეიქნა შესაძლებელი და რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ მეცნიერული ცოდნის გაფართოებისა და სათანადო დარგების შემდგომი განვითარებისათვის. ასეთებია: უძველესი (V—VII სს.) ქართული ხელნაწერების აღმოჩენა პალიმფსესტებში (ივ. ჯავახიშვილი), ამ პალიმფსესტებისა და უძველესი წარწერების შედარებითი შესწავლის ნიადაგზე ქართული ანბანის უძველესი სახის (კერძოდ თავშეკრული ასოების) აღდგენა (ივ. ჯავახიშვილი), ქართული სალიტერატურო ენის უძველესი საფეხურის, „ხანმეტობისა“ და „ჰაემეტობის“ სახით, დადგენა (აკ. შანიძე), უძველესი თარიღიანი ქართული წარწერის აღმოჩენა ბოლნისში (ლ. მუსხელიშვილი), მანამდე უცნობი ქართული ისტორიული თხზულებების (ბასილი ეზოსმოძღვრის „თამარ მეფის ისტორია“ და ვახტანგ VI სწავლულ კაცთა კომისიის „ქართლის ცხოვრების გაგრძელება“) აღმოჩენა (ივ. ჯავახიშვილი), ალბანური ანბანის აღმოჩენა (აკ. შანიძე, ილ. აბულაძე), საქართველოს უძველესი დედაქალაქის — არმაზის — ნაწილის (საქალაქო აბანო?) აღმოჩენა (ენიმკი-ს ექსპედიცია), ხეთური ნამარხევი კულტურის აღმოჩენა ალაზნის ველზე (გ. ნიორაძე), შესანიშნავი ნამარხევი ხეთური კულტურის აღმოჩენა წალკაზე (ბ. კუფტინი) და სხვ.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა წარმატებანი საბჭოთა საქართველოში, მკრთალად მოხაზული ჩვენ მიერ, და მათი უდიდესი მონაპოვარი — შესაძლებლობა შემდგომი შეუჩერებელი, სულ უფრო და უფრო სწრაფი განვითარებისა, ნაყოფია იმ პირობებისა, რომელიც ქართველი ხალხის ცხოვრებასა და შემოქმედებას დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ შეუქმნა. თავისი პირველი წლიდანვე ოქტომბერი გავლენას ახდენს საქართველოს კულტურულ ცხოვრებაზე. პირველი და ერთადერთი, მაშინ კერძო, ქართული უნივერსიტეტის გახსნა (1918) შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ პროლეტარულმა დიქტატურამ, ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით, მოსპო და გაანადგურა ეროვნული, პოლიტიკური და კულტურული ჩაგვრის ყოველგვარი ფორმა რუსეთში. მაგრამ მენშევიკურ საქართველოში, რომელიც გაღატაკებული და დაუძლურებული იყო მენშევიკების პოლიტიკის წყალობით, სადაც მთელი ენერგია მეზობელ

ხალხებისა და შინაგანი რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლას ხმარდებოდა, სადაც ყველა ჯურის იმპერიალისტური გარეწრები დათარეშობდნენ, ზედმეტი იყო კულტურულ მუშაობის გაშლაზე ფიქრი. ნამდვილი აღმშენებლობითი კულტურული მუშაობა და კულტურული რევოლუციისათვის მზადება იწყება 1921 წლიდან, როცა ქართველმა ხალხმა ნებაყოფლობით თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა საბჭოთა კავშირის ერთა დიდ ოჯახს, როცა დაიბადა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ქართველი ხალხი აშენებს თავის ბედნიერ ცხოვრებას, აგროვებს ნივთიერსა და სულიერ დოვლათს 16 წლის განმავლობაში უფრო ჭარბად, ვიდრე ეს მას შეეძლო სხვა პირობებში, საუკუნეთა განმავლობაში.

ნამდვილი გარდატეხა ბრწყინვალე აღმავლობის მიმართულებით ქართულს კულტურულს, კერძოდ მეცნიერულ, ცხოვრებაში ხდება 1931 წ.

განხორციელებულია ბრძნული მითითებანი კულტურული (კერძოდ, მეცნიერების) პოლიტიკის დარგში, აღდგენილია განახლებულ საფუძველზე ტფ. სახ. უნივერსიტეტი, დაარსებულია მრავალი ახალი კულტურული დაწესებულება, კერძოდ, ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი აკად. მარის სახელობისა, წამყვანი ორგანიზაცია ენათმეცნიერების, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის დარგში. ეს დაწესებულებანი საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის შეუნელებელი ყურადღებისა და მზრუნველობის ქვეშ ვითარდებიან. აქ მომუშავე მეცნიერებს შექმნილი აქვთ ყველა პირობა ინტენსიური, ხალისიანი, მეცნიერული შემოქმედებისათვის საკუთარი გემოვნების თანახმად არჩეულ სფეროში. და საბჭოთა მეცნიერების მუშაკთა უდიდესი სურვილია იყვნენ თავიანთი დიადი კონსტიტუციის მზით განათებული სამშობლოს ღირსეული შვილები.

## მოკლე ანგარიში

### აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის და მისი სამეცნიერო საბჭოს მუშაობისა 1936—1944 წწ.

1. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი აკად. ნ. მარის სახელობისა („ე ნ ი მ კ ი") ჩამოყალიბდა 1936 წელს.

2. ამ არსებითად სრულიად ახალი ინსტიტუტის საორგანიზაციო საყრდენად არჩეულ იქნა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის ე. წ. „კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტი", რომელიც, თავის მხრით, წარმოადგენდა ძველი „კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის" ერთ-ერთი რეორგანიზაციის შედეგს.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის „კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი" (Кавказский Историко-Археологический Институт) დაარსებულ იქნა 1917 წლის 1 ივლისს. ინსტიტუტის ხელმძღვანელობა აკადემიამ მიანდო მისი ორგანიზაციის ინიციატორს, აკადემიკოს ნ. მარს. ინსტიტუტს მაშინ ჰყავდა სულ 4 მეცნიერი თანამშრომელი: ორი ნამდვილი წევრი (ე. თაყაიშვილი და გ. ჩუბინაშვილი) და ორი ადიუნქტი[1]. ნ. მარის თბილისში არყოფნის დროს ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობას ასრულებდა ე. თაყაიშვილი[2]. ინსტიტუტის მიზანს მისი წესდება ასე განსაზღვრავდა: ა) „შეისწავლოს ენები, ყოფა და სიძველეები კავკასიის მოსახლეობისა და ლინგვისტურად ან კულტურულად მისი მონათესავე ირანის, მესოპოტამიისა და მცირე აზიის ცოცხალი და გადაშენებული ხალხებისა მათი ისტორიის მთელ სიგრძეზე და, აგრეთვე, ხელი შეუწყოს ჰუმანიტარული კავკასიისმცოდნეობის ყველა დარგისა და მათთან დაკავშირებული სამეცნიერო დისციპლინების განვითარებას; ბ) დაიცვას სხვადასხვა კულტურების

---

[1] Отчет о деятельности Российской Академии Наук... за 1917 г., стр. 232—241; стр. 16. П. 1917.

[2] იქვე, 233.

ნივთიერი და სულიერი ძეგლები კავკასიის სამეფისნაცვლოს ფარგლებში და აწარმოოს მათი რეგისტრაცია“[3].

ნ. მარი ინსტიტუტის ამ ამოცანებს სხვა ადგილას განმარტავდა კიდევ უფრო დაწვრილებით: „Задачи Института выходят как территориально, так культурно-исторически далеко за пределы традиционно узко понимаемых гуманитарно-научных интересов Кавказа: исходя из обильных материалов и прочно устанавливаемых теоретических данных Кавказоведения и проникая в таинственные пласты общечеловеческой цивилизации, имевшей очаг-источник в Передней Азии, они имеют захватить в сильной степени основные, наиболее чреватые вопросы по истории архаической культуры в Иране, Месопотамии и Малой Азии, и с точки зрения задач новое исследовательское ученое учреждение имело бы полное право быть названным Передне-Азиатским Историко-Археологическим Институтом“[4].

როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ეს მნიშვნელოვანი ამოცანები შემდეგში თანდათან მივიწყებულ იქნა და მათი გადაწყვეტისათვის არაფერი კეთდებოდა წლების სიგრძეზე. თავისი არსებობის დასაწყის პერიოდში კი, ვიდრე მასში სერიოზული მეცნიერული ძალები მუშაობდნენ, „კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიურმა ინსტიტუტმა“ განსაზღვრულ დადებითს შედეგებს მიაღწია.

ამასთანავე არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ინსტიტუტის უფრო ნაყოფიერ მუშაობას აღებულ ხანაში ხელს უშლიდა არა მარტო მისი სამეცნიერო კოლექტივის მცირერიცხოვანობა, არამედ ნაწილობრივ, აგრეთვე, ინსტიტუტისათვის სახელმძღვანელოდ დასახული მეთოდოლოგიური პრინციპების შეზღუდულობა და ზოგჯერ სრული უმართებულობაც მეცნიერული თვალსაზრისით. ინსტიტუტის ამოცანებს არ შეეფერებოდა მისი სამუშაო მეთოდები და თეორიული წანამძღვარები. აი, მაგალითები:

არ შეიძლება მკვლევარს ან საკვლევ დაწესებულებას წავართვათ თავისუფლება, შეზღუდონ თავისი მეცნიერული ობიექტი, მოატრიალონ იგი ერთი გარკვეული მხრით, ან წინ წამოსწიონ აღებული საგ-

---

[3] Устав Кавказского Историко-Археологического Института: ИРАН, 1917, № 13, стр. 957.—იხ. იქვე, გვ. 952 [და შემდ.: „Записка акад. Н. Я. Марра о Кавказском Историко-Археологическом Институте“. აგრეთვე, „Доклад академика Н. Я. Марра о подготовительной деятельности по открытию Кавказского Историко-Археологического Института“. იქვე, გვ. 1005 (აქ სრულიად არეულია გვერდების თანმიმდევრობა! ს. ჯ.).

[4] ИРАН, 1917 г., № 13, стр. 964.

ნის კავშირები სხვა საგნებთან. ეს არსებითად ტექნიკური ანუ საორგანიზაციო მომენტი იქნება მხოლოდ, თუ რომ ხედვის არეში კვლავ რჩება პრობლემა მთლიანად და საერთო ისტორიული პერსპექტივი. ამდენადვე, ინსტიტუტის ორგანიზატორთა კომპეტენციის საკითხს შეადგენდა. რა თქმა უნდა, მისი თემატიკის განსაზღვრა თუნდაც „სომხურ-ქართული ფილოლოგიის“ სახით, მაგრამ სრულიად შემცდარია შემდეგი კონცეფცია, რომელსაც ინსტიტუტის ხელმძღვანელობა ქვაკუთხედად უდებდა ინსტიტუტის მომავალ მუშაობას: „Армяно-грузинская филология не только успела обьединить в себе две национально-культурные разновидности одного общего типа, но наметила основные вехи и продолжает выяснять, что оба поздних его национальных воплощения, армянское и грузинское, образуя один культурный мир, представляют местные развития начал восточно-христианской цивилизации, противополагаемой одинаково и Европейскому западу, и Византии. Эти местные проявления и культуры национальными становятся постепенно, достигнув полноты национализации лишь после арабского нашествия. В первый период армянский и грузинский народы представляют лишь части восточно-христианского мира, имея общую культуру с восточными христианами—сирийцами, персами (христианской их частью) и др. Как за первый период армянские и грузинские материалы важны для вопросов по древне-христианскому Востоку, так за второй период они представляют высокий интерес для исследователей христианства на древней Руси. В борьбе или в единении с Византийским миром и у грузин, и у армян, имеется различная в различные эпохи степень близости к нему, и для специалиста по армяно-грузинской филологии подлежащую его компетенции богатую тему представляет область византийских влияний в явлениях, в полной мере доступных правильному анализу лишь при арменистических или грузиноведных знаниях. Еще более важные проблемы ставит нам тесная связь армянской церковности с сирийской и грузинской церковности с православной арабской (мелькитской), а позднее влияние персидской литературы на грузинскую светскую литературу вообще и на армянскую поэзию“[5].

ჩავუკვირდეთ ამ რემდენადმე ბუნდოვანსა და არც თუ სავსებით შინაგან წინააღმდეგობას მოკლებულ დებულებებს. რა ყოფილა სომ-

[5] Записка акад. Н. Я. Марра о Кавказском Историко-Археологическом Институте: ИРАН, 1917, № 13. стр. 980—981.

ხურ-ქართული ფილოლოგია? მეცნიერების დარგი, რომლის ობიექტიც, უწინარეს ყოვლისა, ქრისტიანულ ხანასა და ქრისტიანულ ცივილიზაციას განეკუთვნება. არსებობს სამი დამოუკიდებელი ქრისტიანული სამყარო: დასავლურ-ევროპული, ბიზანტიური და აღმოსავლური. აღმოსავლურ-ქრისტიანული ცივილიზაცია „უპირისპირდება" როგორც დასავლეთ ევროპას, ისე ბიზანტიას. ამ აღმოსავლურ-ქრისტიანულ ცივილიზაციას ისტორიის ორი პერიოდი ჰქონია: ძველი, რომელიც არაბთა შემოსევას წინ უსწრებს (მაშასადამე — IV—VII სს.), და მომდევნო, რომელიც VII საუკუნიდან იწყება. „პირველ პერიოდში სომეხი და ქართველი ხალხები წარმოადგენენ მხოლოდ ნაწილებს აღმოსავლურ-ქრისტიანული სამყაროისას, მათ აქვთ საერთო კულტურა აღმოსავლეთის ქრისტიანებთან — სირიელებთან, ქრისტიან სპარსელებთან და სხვებთან". აღმოსავლურ-ქრისტიანულ კულტურას აქვს თავისი „ადგილობრივი" (სიტყვას „ადგილობრივი" შემდეგში ამ მოძღვრების ადეპტები შეცვლიან სიტყვით „პროვინციალური") გამოხატულება ამიერკავკასიაშიაც. „კულტურის ეს ადგილობრივი გამოვლინებანი" ანუ „აღმოსავლურ-ქრისტიანული ცივილიზაციის საწყისების ეს ადგილობრივი განვითარება" ეროვნულს, ნაციონალურ სახეს იღებს „თანდათან" და „ნაციონალიზაციის სრულქმნას, სისავსეს აღწევს მხოლოდ არაბთა შემოსევის შემდეგ", რასაც ადგილი ჰქონდა, როგორც ცნობილია, VII საუკუნეში.

ამის შემდეგ, როგორც ჩანს, ნებადართულია „კულტურის ადგილობრივს გამოვლინებებს" ამიერკავკასიაში უკვე ეწოდოს ქართული და სომხური ეროვნული კულტურები, მაგრამ, ამასთან ერთად, კონცეფცია მოითხოვს აღიარებულ იქნეს, რომ ეს გაეროვნებული „ადგილობრივი გამოვლინებანი კულტურისა" მაინც შეადგენენ „*ერთი საერთო ტიპის* ორს ნაციონალურ სახესხვაობას", რომ „მისი (ე. ი. ერთი საერთო ტიპის) ორივე ნაგვიანევი ნაციონალური განსხეულება, ხორცშესხმა, სომხური და ქართული, შეადგენენ ერთს კულტურულ სამყაროს", რომელსაც ჩვენს დროში უკვე „თავის თავში აერთიანებს სომხურ-ქართული ფილოლოგია".

ზედმეტია სიტყვის განვრცობა იმის შესახებ, რომ ზემოთ დალაგებული შეხედულებანი ვერ პოვებენ ვერავითარს ისტორიულსა და ფაქტიურ დასაყრდენს და ამავე დროს მცდარი და მავნე არიან მეთოდოლოგიურად. მართლაც და, ვის შეუძლია დაამტკიცოს, რომ *ეროვნულ-კულტურული* „*თვალსაზრისით* ვახტანგ გორგასლისა და იაკობ ცურტაველის ქართლი (V ს. დამლევი) უფრო ახლოსაა იმავე დროის სომხეთთან, ვთქვათ — ლაზარე ფარპელის სომხეთთან (VI ს. დამდეგი), ვიდრე იოანე საბანისძისა და გრიგოლ ხანძთე-

ლის ქართლთან? ისეთი რა ცვლილება მოხდა კულტურის სფეროში არაბობის ხანაში? ელემენტარული და მტკიცედ დადგენილი ფაქტია, რომ თუ უფრო ადრე არა, ყოველ შემთხვევაში უკვე V საუკუნეში არსებობს ქრისტიანული ხასიათის მწერლობა ქართულსა და სომხურ ენებზე. მაშასადამე, უკვე მოცემულია ეროვნული კულტურის ეს ყველაზე არსებითი და თვალსაჩინო ნიშანი. ჩვენ აქ ხაზი გავუსვით ტერმინ „კულტურას" შესაძლო უკუთქმის წინააღმდეგ, ვინაიდან, თუ სიტყვას ჩამოაგდებდნენ თვით ერის ანუ ნაციის შესახებ, მაშინ რაღა აზრი ექნებოდა მტკიცებას „ნაციონალიზაციის" პროცესის დამთავრების შესახებ არაბულ ხანაში?! ეროვნული მწერლობის არსებობა აშკარად მოწმობს აგრეთვე მღვდელთმსახურებას ეროვნულ ენებზე, რაც უთუოდ საინტერესო უნდა იყოს „ქრისტიანული ცივილიზაციის" მკვლევართათვის. მაშ რაღა ქმნის კულტურულ ერთიანობას ქართლის სამეფოსა და სპარსეთის სამეფოს შორის ან ამ უკანასკნელის სომხურ ადმინისტრაციულ ოლქს შორის („პერსარმენია"), ვთქვათ, იმავე ვახტანგ გორგასლის ხანაში (V საუკუნის მეორე ნახევარი)? პოლიტიკური მომენტი? საეკლესიო დოგმატიკისა და რიტუალის სპეციფიკური ნიშნების სიახლოვე? მაშინ რაღა უნდა გვეთქვა ჩვენ იმ ქართველების, სომხების, იტალიელების, პოლონელების, ჩეხების, ხორვატების, ფრანგების, გერმანელების, ესპანელების, ბასკებისა და მრავალ სხვათა შესახებ, რომელნიც რომაულ-კათოლიკურ ეკლესიას ეკუთვნიან და რომელთაც ბოლომდე შეინარჩუნეს თვით საეკლესიო მღვდელთმსახურების ენაც კი?.

რა თქმა უნდა, მრავალსაუკუნოვანი ახლო კავშირები არსებობდა სომხურსა და ქართულ ეროვნულ კულტურებს შორის, მაგრამ ეს იყო ორი თავისთავადი ერთეულის ურთიერთობა და არა იგივეობა. ჩვენ მეტი უფლება გვექნებოდა, გვემსჯელა საერთო კავკასიური სამყაროს შესახებ, რომელიც სხვა ელემენტებსაც შეიცავს. რატომ უნდა იყოს მისგან გამორიცხული თუნდაც ძველი ალბანია? ალბანელებს ეყოფათ ისიც, რაც მათ ნომადებმა დამართეს, რომ თანამედროვე მეცნიერებაც მათ უსამართლოდ არ მოექცეს!

მაგრამ კავკასიური სამყაროს ერთობაც სრულიად არ მოასწავებს მისი შემადგენელი ერთეულების ინდივიდუალური თვითმყოფობის გაუქმებას. ეს ერთი, მეორე კიდევ ის იქნება, რომ ეროვნული კულტურის ხასიათის განსაზღვრისას, მისი განვითარების რომელი საფეხურიც არ უნდა ავიღოთ, შეუწყნარებელია, მარტოოდენ „საეკლესიო ცივილიზაციის" ნიშნებს დავეყრდნოთ. ვინ წაართვა ხალხებს უფლება, ამ თავისებურს სამეცნიერო სამსჯავროში წარდგენ მთელი

თავიანთი სულიერი საგანძურით, რომელიც სიმდიდრის, მრავალფეროვნებისა და მოცულობის მხრივ განუზომლად აღემატება ოფიციალური საეკლესიო კონფესიური იდეოლოგიის, წესწყობილებისა და ყოფის, მართლაც, „ადგილობრივ გამოვლინებას".

რომ ზემოთ განხილული შეხედულებანი არ იყო შემთხვევითი ინსტიტუტის იმდროინდელი მიმართულების განმსაზღვრელი ძალებისათვის, ეს ჩანს ინსტიტუტის მუშაობის პირველივე წლის საანგარიშო მოხსენებიდან. იგი გვამცნობს, მაგ., რომ 1917 წელს ინსტიტუტს მოუწყვია ექსპედიცია მესხეთში („Месхия"!), ამ „ძველ-კულტურულ რაიონში, რომელმაც ყველაზე უფრო მკაფიოდ აისახა თავის თავში, როგორც ფოკუსში, სრულიად სხვადასხვანაირ ლინგვისტიკურ და კულტურულ-ისტორიულ მიმდინარეობათა შეჯვარედინება, რომელსაც ჰქონდა თავისი განსაკუთრებული ისტორია და რომელმაც იმავე დროს საქართველოს ქრისტიანული ცივილიზაციისათვის ითამაშა უზარმაზარი როლი, ყველა ნიშნის მიხედვით უფრო მნიშვნელოვანი როლი, ვიდრე შირაკის ოლქმა, ქალაქ ანისთან ერთად, სომხური ცივილიზაციის ისტორიაში"...[6]

ექსპედიციას, სხვათა შორის, გამოუკვლევია მესხეთის ხელოვნების ძეგლები, კერძოდ სახელგანთქმული ზარზმის, ჰულესა და საფარის ტაძრების ხუროთმოძღვრება და მხატვრობა. ანგარიში ამტკიცებს (გვ. 240) რომ „შეგროვებული მასალები უნდა გამოყენებულ იქნას" მკვლევრის მიერ „იმ სამუშაოში, რომელიც ეხება აღმოსავლურ-ქრისტიანული ტაძრების მოხატულობათა სქემების საკითხებს დაკავშირებით საკითხთან პროვინციალურ მიმდინარეობათა შესახებ ბიზანტიურ ხელოვნებაში".

აქ მეთოდი მკაფიოდ ჩანს: კ ვ ლ ე ვ ა ეს-ეს ა რ ი ს ი წ ყ ე ბ ა, შ ე დ ე გ ი კ ი უ კ ვ ე წ ი ნ ა ს წ ა რ ა რ ი ს გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი. ამ „შედეგიდან" აშკარა ხდება, რომ საქართველოს იმ უძველესი კულტურული რაიონის ხელოვნება, რომელსაც თურმე უზარმაზარი, გარდამწყვეტი როლი შეუსრულებია „საქართველოს ქრისტიანულ ცივილიზაციაში", თვითონ განხილულ უნდა იქნეს „ბ ი ზ ა ნ ტ ი უ რ ი ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს პროვინციალურ მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა თ ა" ასპექტში!

საჭირო არ არის, რა თქმა უნდა, დიდი ენერგიის განვითარება იმის საჩვენებლად, რომ ეს შეხედულება სრულიად მცდარია როგორც მეთოდოლოგიურად, ისევე ფაქტიური მხრივაც. ქვემოთ ჩვენ საგან-

[6] Отчет о деятельности Российской Академии Наук... за 1917.: Кавказский Историко-Археологический Институт, стр. 237.

ვებოდ შევჩერდებით „გავლენების“ საკითხზედაც, რომელიც უკვე იჩენს თავს ზემოთ მოტანილ გრძელ ციტატაში.

3. შემდგომ წლებში ინსტიტუტის საქმიანობა სულ უფრო და უფრო უფერული ხდებოდა. აკად. ნ. მარი, რომელიც ძველებურად ლენინგრადში მოღვაწეობდა, ვეღარ ახერხებდა ინსტიტუტთან ახლოს ყოფნას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ინსტიტუტის მუშაობის მიმქვდარებისათვის იმ გარემოებას, რომ ინსტიტუტმა ვერ დაამყარა კონტაქტი თბილისის მეცნიერულ ძალებთან და ეს მაშინ, როცა ამგვარ კავშირს პირდაპირ მოითხოვდა ინსტიტუტის წესდება. წესდების მე-20 მუხლის თანახმად, მაგ., ინსტიტუტის საბჭოში წევრებად შედიოდნენ კავკასიის მუზეუმის დირექტორი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და სომხური ეთნოგრაფიული საზოგადოების წარმომადგენლები, აგრეთვე გარკვეული შემთხვევებისათვის ადგილობრივი ქრისტიანული ეკლესიებისა და მაჰმადიანურ საზოგადოებათა წარმომადგენლებიც[7]. ინსტიტუტის მერყევი მდგომარეობის მაჩვენებელი იყო მისი რეორგანიზაციები, რაც სახელისა და ადმინისტრაციული დაქვემდებარების ცვლილებებში გამოიხატებოდა უმთავრესად, ასე, ერთი პირობა ინსტიტუტი ატარებს „ამიერ-კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიურის“, შემდეგ — „კავკასიისმცოდნეობის“, შემდეგ — „ამიერკავკასიის ცაკთან არსებული კავკასიის მცოდნეობის“, დასასრულ, კვლავ მარტივად „კავკასიისმცოდნეობის“ ინსტიტუტის სახელს.

1935 წლიდან რამდენიმე თბილისელი მეცნიერი მუშაკი იწყებს ინსტიტუტში მუშაობას იმ მიზნით, რათა შესაძლებლობის ფარგლებში აღადგინონ ინსტიტუტში მეცნიერული ინტერესები და დაუკავშირონ იგი ადგილობრივს მეცნიერულ-საზოგადოებრივ ნიადაგს. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. საჭირო იყო ამ დაწესებულების ძირეული გარდაქმნა და მისი სრული გადახალისება პირადი შემადგენლობის მხრივ. ეს პროცესი გაგრძელდა მთელი 1936 წლის სიგრძეზე.

4. 1936 წლის იანვარში (საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის დადგენილება 23.1.1936), ინსტიტუტის ენის სექტორს (ხელმძღვანელი აკ. შანიძე) დაევალა ქართულ-მეგრულ-ჭანურ-სვანური შედარებითი ლექსიკონის შედგენა; გაიხსნა ახალი სექტორი საქართველოს ისტორიისა, რომელიც მხოლოდ სამი უფროსი მეცნიერი თანამშრომლისაგან შედგებოდა (მუდმივი სწავლული კონსულტანტი ივანე ჯავახიშვილი, უფროსი სწავლული სპეციალისტი ნ. ბერძენიშვილი, სექტორის ხელმძღვანელი ს. ჯანაშია), რაც სრუ-

---

[7] ИРАН, 1917, № 13, გვ. 959.

ლიადაც არ შეეფერებოდა იმ ვრცელ გეგმას, რომელსაც საქართველოს ისტორიის დარგში საკვლევო მუშაობის გაშლის თაობაზე შეიცავდა სპეციალური მოხსენებითი ბარათი, წარდგენილი 1935 წლის შემოდგომით საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის პრეზიდიუმის სახელზე.

შემდეგ ფილიალის პრეზიდიუმისავე დადგენილებით (27.II.1936 წ.) ინსტიტუტს ეწოდა ახალი სახელი („აკად. ნ. მარის სახ. ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიის, მატერიალური კულტურის, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტი") და ნაწილობრივ გადახალისდა ინსტიტუტის დირექციაც. იმავე წლის 12 მარტის დადგენილებით ამიერკავკასიის ხელმძღვანელმა ორგანოებმა შემდეგი სტრუქტურა მისცეს ინსტიტუტს. მოწყობილ იქნა სექტორები: 1) საქართველოს ისტორიისა და მატერიალური კულტურისა, 2) ენათმეცნიერებისა, 3) საქართველოს ლიტერატურისა და ფოლკლორისა, 4) ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიისა, 5) მახლობელ აღმოსავლეთის ქვეყნებისა და 6) ამიერკავკასიის ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიისა. ეს ცვლილებები ნაწილობრივ დადასტურებულ იქნა საკავშირო მეცნ. აკადემიის პრეზიდიუმის 1936 წ. III. 25-ის დადგენილებით.

საქართველოს ფილიალის პრეზიდიუმისავე დადგენილებით (7. VI. 1936 წ.), რაც გამოწვეული იყო ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებით ფილიალის მიერ სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის გაძლიერების შესახებ ენათმეცნიერებისა და ისტორიის დარგში, შეტანილ იქნა მეტი გარკვეულობა ინსტიტუტის სტრუქტურაში, ხოლო თვით ინსტიტუტს კვლავ გამოეცვალა სახელი („აკად. ნ. მარის სახელობის ამიერკავკასიის ხალხთა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი"). საბოლოო სახე ამ სახელმა („აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი") მიიღო კიდევ უფრო გვიან, 1936 წლის 9 ივლისსა და 21 ივლისს (ა. კ. სკს სხდომის ოქმი № 213). ინსტიტუტში ჩამოყალიბდა სექტორები: ქართველურ ენათა, ამიერკავკასიის ხალხთა სხვა ენების, მახლობელი აღმოსავლეთის ენების, ლექსიკოლოგიის, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიისა, კაბინეტი მარის მემკვიდრეობის შესასწავლად. ენიმკი-ს გადმოეცა ორი ყოფილი ინსტიტუტი — არქეოლოგიისა და ანთროპოლოგიისა და, აგრეთვე, სატერმინოლოგიო კომიტეტი[8], სამაგიეროდ, ინსტიტუტიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადაეცა ლიტერატურა და ფოლკლორი. იმავე წლის დეკემბერში მთლიანად გარდაიქმნა ინსტიტუტის დირექცია.

---

8 იხ. ბრძანება საქ. სსრ გან. სახ. კომისრისა, № 907, 28. VIII. 1936.

19. IV. 1937 წ-ის დადგენილებით გაერთიანებულ იქნა ინსტიტუტის ორი სექტორი: ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიისა და საქართველოს ისტორიისა, ხოლო იმავე წლის მაისის 22-ის ბრძანებით საბოლოოდ დაიხვეწა ინსტიტუტის სტრუქტურა, რომელმაც შემდეგი სახე მიიღო.

1. ქართველურ ენათა განყოფილება (გამგე აკ. შანიძე; 1941. XI. 23-დან ვ. თოფურია).

2. კავკასიურ ენათა განყოფილება (გამგე არნ. ჩიქობავა).

3. ლექსიკოლოგიის განყოფილება (გამგე ვ. თოფურია; 1943.I. 21-დან კ. დონდუა).

4. ისტორიის განყოფილება (გამგე ს. ჯანაშია; 1939. IX. I-დან ნ. ბერძენიშვილი).

5. არქეოლოგიის, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის განყოფილება (გამგე გ. ნიორაძე, სექციების ხელმძღვანელები: ანთროპოლოგიისა ალ. ნათიშვილი,ეთნოგრაფიისა გ. ჩიტაია. 1938 წლის 1 ივნისიდან ეთნოგრაფიის სექცია გამოიყო ცალკე განყოფილებად, ანთროპოლოგიის სექცია კი დაიხურა).

6. მახლობელი აღმოსავლეთის ენათა განყოფილება (გამგე გ. წერეთელი).

7. ტერმინოლოგიის განყოფილება (გამგე ვ. ბერიძე).

8. ფონეტიკის კაბინეტი (გამგე გ. ახვლედიანი).

9. მარის კაბინეტი (გამგე მ. ხუბუა. შემდეგში, 1939 წლის 1 ივლისიდან, ეს ორი კაბინეტი გაერთიანდა ერთ, ზოგადი ენათმეცნიერების, განყოფილებად გ. ახვლედიანის გამგეობით).

1939 წლის 1 ივლისიდან ინსტიტუტში მოწყობილ იქნა კიდევ ერთი ახალი განყოფილება — ფილოლოგიისა (გამგე აკ. შანიძე; 1940. X. 7-იდან ს. ყაუხჩიშვილი).

ნ. ამრიგად, ინსტიტუტის აღნაგობისა და მისი პირადი შემადგენლობის ჩამოყალიბებას საკმაოდ დიდი დრო მოუნდა, კერძოდ, 1936 წელი უმთავრესად საორგანიზაციო საქმეებს მოხმარდა.

ჲ. 1941 წლის 1 მარტიდან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსებასთან დაკავშირებით, „ენიმკი“ გაიყო ორ მოძმე ინსტიტუტად: ა) აკად. ნ. მარის სახელობის ენისა და ბ) ისტორიის ინსტიტუტებად. ინსტიტუტის მიერ განცდილი ყველა რეორგანიზაციისაგან განსხვავებით, ეს საორგანიზაციო აქტი შედეგი და ნიშანი იყო ინსტიტუტის ზრდისა და მომწიფების მაღალი დონისა, რამაც აუცილებელი გახადა მისი ახალი აღნაგობა. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ გაყოფის შემდეგაც ინსტიტუტს დიდხანს შერჩა ერთიანი ხელმძღვანელობა: სამეცნიერო საბჭო ერთი იყო, ვიდრე 1944 წ. ივლისამდე,

დირექციაც ერთი, ვიდრე 1943 წ. 1 მარტამდე, როცა ენის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შესრულება დაევალა ვარლამ თოფურიას. უკანასკნელი ღონისძიებანი აიხსნებოდა ახალი ინსტიტუტების წინაშე მდგომი საერთო ხასიათის ამოცანებით და, აგრეთვე, ბუნებრივი სურვილით, რათა ენიმკის სამეცნიერო საბჭოს შეენარჩუნებინა დისერტაციების მიღების უფლება მანამ, სანამ სათანადო ორგანოები ამ უფლებას არ მიანიჭებდნენ ენიმკის მემკვიდრე ინსტიტუტებს. მართლაც, საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 16 თებერვლის განკარგულებითა და უმაღლესი სკოლების საქმეთა სრულიად საკავშირო კომიტეტის 1944 წლის 18 თებერვლის ბრძანებით როგორც ენის, ისე ისტორიის ინსტიტუტებს მიენიჭათ სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციების მიღების უფლება.

ხსენებული აქტით დედაინსტიტუტსა და მისი მემკვიდრე განაყოფ ინსტიტუტებს შორის არსებული შემდგომადობა დაცულ და განვითარებულ იქნა ამ მნიშვნელოვანი მიმართულებითაც.

7. ამრიგად, 1944 წლის ივლისში შესრულდა 8 წელი მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის დაარსებიდან. აქედან თითქმის ნახევარი ომის პერიოდზე მოდის. უკანასკნელ გარემოებას, ცხადია, არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ინსტიტუტის საქმიანობის მასშტაბებსა და ფარგლებზე; მიუხედავად ამისა, ინსტიტუტმა შეინარჩუნა თავისი მუშაობის ძირითადი მიმართულება და იმავე დროს იგი დაძაბულად ემსახურებოდა ფრონტისა და ფრონტისათვის მომუშავე ზურგის ინტერესებს თავისი საკუთარი საშუალებებით.

8. აქ ადგილი არ არის ინსტიტუტის მიერ შესრულებული მუშაობის არსებითი შეფასებისა ან საბოლოო აღრიცხვისათვის[9]. მოვიტანთ მხოლოდ ზოგიერთ ფაქტიურ მონაცემს.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ თავისი მოქმედების პირველივე ნაბიჯებიდან მოყოლებული ინსტიტუტი საგანგებოდ იყო დაინტერესებული და ზრუნვით მოცული თავისი თეორიული ბაზისის სიწმინდისა და სიმტკიცის გამო; ინსტიტუტის იდეოლოგიური მრწამსი, ცხადია, იმავე მოწინავე საბჭოთა მეცნიერების კრედო იყო: მეცნიერება ხალხის სამსახურში თავისი სპეციფიკური საშუალებებით, როგორც ერთადერთი ნამდვილი მეცნიერება; მატერიალისტური დიალექტიკა, როგორც შემეცნების მეთოდი; საკაცობრიო მეცნიერული

9 საამისო მასალები ნაწილობრივ იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საზოგადოებრივი მეცნიერებანი საბჭოთა საქ-ში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავზე: ენიმკის მოამბე, ტ. I; გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, თბილისის უნივერსიტეტი და ენათმეცნიერება საქართველოში; თბ., უნივერსიტეტის მოამბე, XIX.

მემკვიდრეობა, როგორც აქტიური ათვისების საგანი; საბჭოთა პატრიოტიზმი და უმაღლესი ტექნიკური მომზადება, როგორც მოწინავე მეცნიერების მუშაკთა მიუცილებელი აღჭურვილობა; ბრძოლა ცრუმეცნიერების, მეცნიერების ვულგარიზაციისა და მეცნიერული მეთოდის გაყალბების, ყოველი სახის მეცნიერული „წუნის" წინააღმდეგ, როგორც პოზიტიური, შემოქმედებითი მუშაობის განუყრელი პირობა.

ამასთანავე ინსტიტუტი ამოდიოდა იმ შეხედულებიდან, რომ ის გენერალური მეთოდოლოგიური პრინციპი, რომელიც დიალექტიკურ-მატერიალისტური თეორიის კონკრეტიზაციის სპეციფიკურ სახეს ჰპოვებს თვითეულ ცალკე შემთხვევაში, ყველა მეცნიერებისათვის (მაგალითად, ენათმეცნიერებისათვის) ჯერ არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული და რომ ამ მხრივ კიდევ დიდი ძიებაა ჩასატარებელი.

ნაჩვენები პრინციპების განხორციელებისა და განმტკიცებისათვის ინსტიტუტმა საკმაო შრომა გასწია როგორც თვით ინსტიტუტის შიგნით, ისე მის გარეთ მეცნიერული დისკუსიებისა და კრიტიკის სახით.

ასე, ინსტიტუტი აქტიურად გამოდიოდა პოკროვსკის სკოლის შეცოდებათა აღორძინებისა თუ რეციდივების და საერთოდ ისტორიული მეცნიერების მეთოდის დამახინჯების, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ხალხთა და მსოფლიო ისტორიის გაყალბების ცდათა წინააღმდეგ[10]. დიდი მუშაობა შეასრულა ინსტიტუტმა, აგრეთვე, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის მიერ წამოწყებული „საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის თორმეტტომეულის" სწორი გზით წარმართვისათვის[11].

ენათმეცნიერების დარგში ინსტიტუტი დაადგა ასევე გარკვეული შეხედულებების გზას. მიიღო რა დიდ სახელთან ერთად მარის უზარმაზარი მეცნიერული მემკვიდრეობა, როგორც ძვირფასი საგანძური, რომელსაც სჭირია დაცვა, შესწავლა და შემდგომი გამდიდრება, ამავე დროს ინსტიტუტმა გადაჭრით უარყო იაფეტიდოლოგიის პრეტენზია, იყოს მარქსიზმის მომწიფებული წარმომადგენელი ენათმეც-

---

10 იხ. მაგ., ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, გაზ. „კომუნისტი", და გაზ. „Заря Востока" 1936. XII. 31: „ხეთების ისტორიისა და ენის საკითხისათვის" და მ ი ს ი ვ ე, „Известия", 1940, VII. II „Историк—Марксист" 1940, უფრო ვრცელი სახით: „История СССР и история народов Кавказа".

11 ინსტიტუტის თანამშრომლებმა (ივ. ჯავახიშვილმა, ნ. ბერძენიშვილმა და ს. ჯანაშიამ) დასწერეს 12-ტომეულისათვის საქართველოს ისტორია, უძველესი დროიდან XIX ს. დამდეგამდე, 30 თაბ. მოცულობისა; ს. ჯანაშიამ იმავე გამოცემისათვის დასწერა, აგრეთვე, კავკასიის მთიელ ხალხთა ისტორია. ეს ნარკვევები ჯერ გამოუქვეყნებელია. აქტიურ მონაწილეობას იღებდა ინსტიტუტი 12-ტომეულის მასალების კრიტიკულ განხილვაშიაც საერთოდ.

ნიერებაში. ინსტიტუტმა კატეგორიულად უარყო, კერძოდ, იაფეტიდოლოგიის ისეთი პრინციპები, როგორიცაა: 1) „ოთხი ელემენტი", როგორც ისტორიული თეორია და როგორც საკვლევი მეთოდი („პალეონტოლოგიური მეთოდი"); 2) ენათა სტადიალური კლასიფიკაცია და საერთოდ თვით მოძღვრება სტადიების შესახებ, რომელიც ცვლის მარქსიზმ-ლენინიზმის ნათელ მოძღვრებას საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების შესახებ; 3) ენათა მონათესაობის გენეტური წარმოშობის სრული უარყოფა და მისი უნივერსალური ახსნა სხვადასხვა ტომის სამეურნეო-საზოგადოებრივი დაახლოების ნიადაგზე; 4) ნაციონალური ენების შეზღუდვა კლასობრივი ენების ფარგლებამდე და ენების კლასობრივი ბუნების დაყვანა ფონეტიკის კლასობრივ ხასიათამდე; 5) წოდებათა წარმოშობა სხვადასხვა ტომთა ბატონობა-მორჩილების ურთიერთობიდან, რაც ცვლის მარქსისტულ თეორიას კლასობრივი საზოგადოების წარმოშობის შესახებ; 6) დასავლეთ ევროპის მიჩნევა ბგერითი ენის, პალეოლითური, ნეოლითური და ბრინჯაოს კულტურების სამშობლოდ და სხვა.

ინსტიტუტს თავისი მეთოდოლოგიური შეხედულებები ენათმეცნიერების დარგში წარმატებით გაჰქონდა ინსტიტუტის გარეთაც — კერძოდ, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების სესიაზე 1940 წლის მაისში[12].

ისტორიული კონცეფცია, რომელიც საფუძვლად დაედო ინსტიტუტის მრავალრიცხოვანი განყოფილებების მუშაობას, ემყარებოდა თანამედროვე მეცნიერების ყველაზე შემოწმებულ დებულებებს: ძველი საქართველო უფრო ვრცელი სამყაროს ორგანული, მაგრამ თავისთავადი ნაწილია; ამ სამყაროს შეადგენს ვიწრო ასპექტში კავკასია, ფართო ასპექტში — ძველი აღმოსავლეთი, რომელთა სხვა კომპონენტებსაც საქართველო უკავშირდება მრავალსახოვანი და ნაირსახოვანი გენეტური და ისტორიული კავშირებით; კომპონენტების დამოუკიდებელი შესწავლა-განვითარებაში ხელს უწყობს და მოითხოვს კიდევაც მათი კავშირების შესწავლას იმავე თვალსაზრისით; სათანადო მეცნიერებათა მდგომარეობის დონე აუცილებელს ხდის კომპლექსური მეთოდის გამოყენებასა და ცალკეული დისციპლინების (ენათმეცნიერება, ისტორია და არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ანთროპოლოგია...) კოოპერაციას; საშუალო და ახალი საუკუნეებისათვის ფართოვდება

---

[12] იხ. А. Чикобава, Проблема языка, как предмета лингвистики, в свете основных задач советского языковедения: „ენიმკის მოამბე", ტ. X, გვ. 355—410.

ისტორიული გარემო და ჩნდება ახალი კავშირები (რუსეთი, დასავლეთი ევროპა, ისლამის ქვეყნები...)[13].

ისტორიული გარემოს პრობლემა ინსტიტუტის საგანგებო ყურადღების არეში აქცევდა ე. წ. „გავლენების საკითხს", რადგანაც ამ სფეროში ჩვენ განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით ცალმხრივ ან სრულიად ყალბ შეხედულებებსა და მტკიცებებს. მაგალითისათვის, ძირფესვიანად მცდარად მიგვაჩნია ის შეხედულება, რომელმაც, სამწუხაროდ, გავრცელება მოიპოვა და რომელსაც დაჰყავს რუსთაველის ეპოქის ქართული კულტურის სინკრეტული ხასიათის თეორიის ფორმით მნიშვნელოვანი პრობლემა ქართული კულტურის გარემოს შესახებ მექანისტურ გაგებამდე, რომლის მიხედვითაც გარედან მომავალსა და შეჯვარედინებულ გავლენებს შეუძლიათ შექმნან ეროვნული კულტურები, უცნაური და მახინჯი ჰიბრიდები.

რომ გარედან მომავალი გავლენების ნაკადთა არავითარ სინთეზს, არავითარს „ჰარმონიულ" შერწყმას არ შეუძლია წარმოშვას ახალი ორიგინალური კულტურული მოვლენა, თუ ამისათვის არ არსებობდა სათანადო და საკმაო შინაგანი პირობები, ამაში ჩვენ შეიძლება ისტორიულად დავრწმუნდეთ იმ ქვეყნების მაგალითზე, რომელნიც როგორც გეოგრაფიულად, ისე კულტურულ-ისტორიულად, გაცილებით უფრო მჭიდროდ, ვიდრე საქართველო, დაკავშირებული იყვნენ ირანთან, რომლის ლიტერატურულ ზემოქმედებაზედაც ასე ბევრს ლაპარაკობენ[14]: „ამ ქვეყნებში, სათანადო ხანაში, ჩვენ ვხედავთ ეროვნული კულტურის ზოგიერთი დარგის, მათ შორის თვით ლიტერატურის გარკვეული ჟანრების, განვითარების მაღალ დონეს მაშინ როცა საერო პოეზია აქ მხოლოდ ჩანასახის ვითარებაში იმყოფება"[15]. ამრიგად, გარედან მომავალი გავლენის შემთხვევაში საჭირო ხდება ადგილობრივი ნიადაგისა და მისი შემხვედრი ზემოქმედების გათვალისწინებაც. გარდა ამისა, საძიებელია ურთიერთობის პირუკუმიქცეული პროცესების მოვლენებიც. მათი გამორიცხვა აპრიორულად შეუწყნარებელია.

9. გადავდივართ ინსტიტუტის მუშაობის შედეგების ფაქტიურს სქემატურ მიმოხილვაზე. დავიწყებთ საკუთრივ საკვლევი დარგით.

---

13 ამ საკითხებისათვის იხ.: ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიის სფეროში და ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საზოგადოებრივი მეცნიერებანი საბჭოთა საქართველოში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავზე: „ენიმკის მოამბე". 1937, ტ. 1.

14 იგულისხმება საყოველთაოდ გავრცელებული თეზისი ქართული საერო მწერლობის სპარსულის ზეგავლენის შედეგად წარმოშობის შესახებ.

15 იხ. „ენიმკის მოამბის", „ვეფხისტყაოსნის" 750 წლისთავისადმი მიძღვნილი, III ტომის წინასიტყვაობა ს. ჯანაშიასი.

ე ნ ა თ მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა. ინსტიტუტის ორგანიზაციის ინიციატორებმა იმთავითვე მის კოლექტივს შემდეგი უპირატესად ენათმეცნიერული ხასიათის ამოცანები დაუსახეს:

ა) „კავკასიურ და, უმთავრესად, ქართველურ ენათა წარმოშობისა და ისტორიის შესწავლა", ბ) „ამ ენების შედარებითი და ისტორიული გრამატიკებისა და ეტიმოლოგიური ლექსიკონების შედგენა", გ) „ქართული ისტორიული ლექსიკონის, აგრეთვე ქართულ-რუსული და სხვა ლექსიკონების შედგენა", აქედან, ქართველური ენების სტრუქტურისა და ისტორიული განვითარების შესწავლისათვის დაწერილია და გამოცემული შემდეგი მონოგრაფიები: 1) „ჭანურის გრამატიკული ანალიზი" (ა. ჩიქობავა, 1936), 2) „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში" (ა. ჩიქობავა, 1942), 3) „გურული კილო" (ს. ჟღენტი, 1936), ხოლო მრავალი წერილი გამოკვლევა გამოქვეყნებულია ინსტიტუტის თუ სხვა ორგანოებში.

ქართველურ ენათა ლექსიკის ისტორიულ-შედარებითი და დიალექტოლოგიური შესწავლისათვის გამოქვეყნებულია: 1) „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი" (ა. ჩიქობავა, 1938), 2) „გურული ლექსიკონი" (გ. შარაშიძე, 1938), 3) „ზემო-იმერული ლექსიკონი" (ბ. წერეთელი, 1938), 4) „ლეჩხუმური ლექსიკონი" (მ. ალავიძე, 1938), 5) „ქიზიყური ლექსიკონი" (სტ. მენთეშაშვილი, 1943). პუბლიკაციას ელის რიგი სხვა ლექსიკონები; შეუწყვეტლივ მუშაობდა ინსტიტუტი, აგრეთვე, დიდ ქართულ განმარტებითს ლექსიკონზე.

ისტორიულ-დოკუმენტური ხასიათის ლექსიკონებიდან გამოქვეყნებულია: 6) „ფარსადან გორგიჯანიძის ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი" (გამომც. ვლ. ფუთურიძე, 1941).

თარგმნითი ლექსიკონებიდან დამზადდა და გამოიცა: 7) „რუსულ-ქართული ლექსიკონი" (ვ. თოფურია და ს. ყაუხჩიშვილი; გამოცემულია ორჯერ: 1938 და 1940), 8) „ქართულ-რუსული ლექსიკონი" (გ. ახვლედიანი და ვ. თოფურია, 1942), 9) „ლათინურ-ქართული ლექსიკონი" (ს. ყაუხჩიშვილი, 1940).

დიალექტოლოგიურ მიზნებს ემსახურებოდა ინსტიტუტის მრავალრიცხოვანი ექსპედიციები, მივლინებები და მოგზაურობანი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და მის გარეთაც. ამ მუშაობის შედეგად ისე, როგორც წინათ ჩატარებული ანალოგიური სამუშაოების შედეგად მოპოვებული მასალის გამოქვეყნება ინსტიტუტის ერთს პირველ საზრუნავთაგანს შეადგენდა.

ქართველურ ენათა ცოცხალი მეტყველების ძეგლთა გამოცემის ხაზით შესრულებულია: 1) „სვანური პროზაული ტექსტები, I. ბალს-

ზემოური კილო" (აკ. შანიძე და ვ. თოფურია, 1939), 2) სვანური პოეზია. I. „სიმღერები" (აკ. შანიძე, ვ. თოფურია და მ. გუჯეჯიანი), 3) „ჭანური ტექსტები" (ი. ყიფშიძე, 1939), 4) „ჭანური ტექსტები, არქაბული კილოკავი" (ს. ჟღენტი, 1938), 5) „ჭანური ტექსტები (ვიწურ-არქაბული და ათინური)" (ა. ჩიქობავა, „ჭანურის გრამატიკული ანალიზის" დამატება. 1936), 6) „მეგრული ტექსტები" (მ. ხუბუა, 1937), 7) „გურული ტექსტები" (ს. ჟღენტი, „გურული კილოს" დამატება, 1936).

დამახასიათებელია ისტორია იმ ჭანური ტექსტებისა, რომლებიც ჩაწერილი იყო 1917 წელს ცნობილი ქართველი მეცნიერის იოსებ ყიფშიძის მიერ ოსმალეთის ლაზისტანში. მიუხედავად იმისა, რომ პროფ. ი. ყიფშიძე მივლინებული იყო ლაზისტანში ყოფ. „კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის" მიერ და იმის მიუხედავადაც, რომ ამ ინსტიტუტის მიერ შესრულებულ სამუშაოთა შორის მეცნიერული მნიშვნელობით ყიფშიძის ჭანურ ტექსტებს ერთი პირველი ადგილთაგანი ეჭირა, მათი გამოცემა ინსტიტუტის მესვეურებს თავშიაც არ მოსვლიათ 18 წლის განმავლობაში; სამაგიეროდ, როცა ახალმა ინსტიტუტმა ტექსტების გამოცემის საკითხი პრაქტიკულად დააყენა, მასალები ინსტიტუტიდან გაიტაცეს. ისინი ბაქოდან უკან დაბრუნებულ იქნენ მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების ჩარევის წყალობით, სამწუხაროდ, ახლა უკვე განახევრებული სახით[16].

ინტენსიურ მუშაობას აწარმოებდა ინსტიტუტი ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის უნიფიკაციისა და რეგლამენტაციისათვის. დამუშავებულია და გამოცემული, ვ. ბერიძის რედაქციით, ტერმინოლოგიური ლექსიკონები (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული): 1) აღრიცხვისა (ლ. კარბელაშვილი, 1942); 2) მემცენარეობისა (ალ. მაყაშვილი, 1938); 3) ენტომოლოგიისა (ლ. კალანდაძე და ვ. ბაქრაძე, 1938); 4) სოციალურ-ეკონომიური (1936); 5) ტექნიკისა (ვ. ომიაძე, 1943), 6) მათემატიკისა (1944, გ. ახვლედიანის რედაქციით; 7) გეოლოგიისა (გ. ლომთათიძე, მ. ფოფხაძე და კ. ჯავრიშვილი. 1941).

როგორც უკვე იყო ზემოთ განმარტებული, ქართველური ენებისა და ქართული კულტურის ისტორიული შესწავლა, ინსტიტუტის რწმენით, მჭიდროდ არის დაკავშირებული წინა აზიის უძველესი ენებისა და კულტურების სტრუქტურისა და შემადგენლობის საკითხებთან. ინსტიტუტი შეძლებისდაგვარად სპეციალისტების მწვავე ნაკლებობის პირობებში მუშაობდა აღნიშულ საკითხებზედაც. ძირითად უჯრედს

---

[16] „კავკასიის ისტ.-არქ. ინსტიტუტის" 1917 წლის მუშაობის ანგარიშში აღნიშნულია რომ ი. ყიფშიძეს ჩაუწერია ტექსტები 15 თაბახის მოცულობით. იხ. Отчет... ИРАН за 1917 г., стр. 237.

ამ მუშაობისას წარმოადგენდა ინსტიტუტის ახლო აღმოსავლეთის ენათა განყოფილება. მან უწყებული მიმართულებით გამოაქვეყნა შემდეგი ორი დიდი მონოგრაფია, რომელთაც უკვე ჰპოვეს საბჭოთა და უცხოეთის სამეცნიერო საზოგადოებრიობის აქტიური გამოძახილი: 1) „საქართველოს მუზეუმის ურარტული ძეგლები“ (გ. წერეთელი, 1939) და 2) „Армазская билингва. Двуязычная надпись, найденная при археологических раскопках в Мцхета-Армази“ (მისივე, 1941). საჟურნალო წერილებიდან დავასახელებთ: 3) „Основные историко-этнологические проблемы истории Грузии, Кавказа и Ближнего Востока“ (И. А. Джавахишвили: Вестник Др. Истории, 1939, № 4); 4) „К этимологии названия Топада“ (ა. შანიძე); 5) „მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის“ (ქართველური ენებისა და ხალდურის ურთიერთობისათვის; ა. ჩიქობავა); 6) „თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი“ (ს. ჯანაშია, 1937); 7) „უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე“ (ს. ჯანაშია. 1940) და სხვ.

არა ნაკლები ინტერესის და უფრო ფართო დაყენების საგნად იქცა ინსტიტუტში მთის კავკასიური ენების შესწავლა. ინსტიტუტში ცალკე სპეციალისტების სახით წარმოდგენილი იყო შემდეგი მთის კავკასიური ენები: აფხაზური, ადიღეური, ბაცბიურ-ქისტური, ლაკური, ხუნძური, დარგოული, უდური, ბუდუხური და, აგრეთვე, თავისებურ პოზიციაში (ლინგვისტურად) მდგომი ოსური, ინსტიტუტის კავკასიურ ენათა განყოფილებამ დიდი მუშაობა ჩაატარა და საბჭოთა კავშირის წამყვან მეცნიერულ უჯრედად იქცა კავკასიოლოგიის უწყებულ დარგში. გამოქვეყნებულია მრავალრიცხოვანი გამოკვლევები[17]. ინსტიტუტის ამ ხასიათის გამოცემათაგან პირველ რიგში უნდა ხსენებულ იქნეს აკად. ივ. ჯავახიშვილის ფუნდამენტალური ნაშრომი: „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ (1937).

ქართველი ხალხის სამოქალაქო ისტორია, ისტორია მისი საზოგადოებრივი, პოლიტიკური, კულტურული დაწესებულებებისა, სახალხო მეურნეობის ისტორია საქართველოში ინსტიტუტის ყურადღების ცენტრში იდგა მისს სხვა წამყვან პრობლემებთან ერთად. ჩამოთვლილ საკითხებს მიეძღვნა შემდეგი მსხვილი მონოგრაფიები და გამოცემები: 1) „ქართველი ერის ისტორია, წ. III, XIII—XIV სს.“ (ივ. ჯავახიშვილი, 1941); 2) „საქართველოს ისტორია უძველეს დროი-

17 სრული მიმოხილვა იხ. ა. ჩიქობავა, მთის კავკასიურ ენათა შესწავლისათვის ჩვენში: „ენიმკის მოამბე“, ტ. XII.

დან XIX ს. დამდეგამდე“ (ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. ს. ჯანაშიას რედაქციით. 1943); 3) „ქვემო-ქართლი XVIII ს. პირველ მეოთხედში“ (ივს. ლორთქიფანიძე, 1938); 4) „Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XV вв.)“), (ნ. ბერძენიშვილი, 1938), 5) „თბილისის ისტორიისათვის“ (შ. ჩხეტია. 1938); 6) „გ. შარვაშიძე, ნარკვევი აფხაზეთისა და სამეგრელოს კულტურული ისტორიიდან“ (ს. ჯანაშია, 1939); 7) „მანუფაქტურული წარმოების ისტორიისათვის ამიერ-კავკასიაში“ (პ. გუგუშვილი, 1939); 8) „შინამრეწველობა ამიერკავკასიაში“ (პ. გუგუშვილი, 1939); 9) „Восстание в Имеретии 1819—1820 гг.“ (ნ. მახარაძე, 1942); 10) “Имеретия и Гурия в период 1804—1840 гг.“ (ალ. ფირცხალაიშვილი, 1942); 11) „თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“ (შ. მესხია, 1939), 12) „დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით“ (ვ. გაბაშვილი, 1943).

პარალელურად, ინსტიტუტის კოლექტივის ენერგიის თვალსაჩინო ნაწილი ხმარდებოდა საქართველოს ისტორიის ორიგინალური და უცხოური წყაროების მეცნიერულ გამოცემას. ამ საჭიროებით და კიდევ უფრო ფართო ინტერესებით იყო გამოწვეული, რომ ინსტიტუტმა იმთავითვე მიზნად დაისახა ქართული ფილოლოგიის, როგორც საქართველოს ისტორიისა და, საზოგადოდ, ქართველთმცოდნეობის ერთი უმნიშვნელოვანესი დამხმარე დარგთაგანის, განვითარებისათვის ხელისშეწყობა, რაც, როგორც უკვე ზემოთაც იყო აღნიშნული, ფილოლოგიის განყოფილების ორგანიზაციაშიც გამოიხატა. როგორც ამ განყოფილების ხაზით, ისე საერთო საინსტიტუტო სამუშაოების ხაზითაც ინსტიტუტმა გამოსცა მთელი რიგი ძეგლები იმ სახით, როგორც ეს ფილოლოგიური მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნილებას შეეფერება და რაც ესოდენ მწვავედ აკლდა, კერძოდ საქართველოს ისტორიას: კ რ ი ტ ი კ უ ლ ა დ დ ა დ გ ე ნ ი ლ ი ტ ე ქ ს ტ ი მ თ ე ლ ი ს ა ჭ ი რ ო ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო დ ა ს ა ც ნ ო ბ ო ა პ ა რ ა ტ ი თ. საქართველოს ისტორიის წყაროებიდან ინსტიტუტმა გამოსცა:

I. ისტორიკოსები: 1) აბუსერიძე ტბელი (რედ. ლ. მუსხელიშვილი); 2) ბასილი ეზოსმოძღვარი, თამარის მეორე ისტორიკოსი (რედ. ივ. ჯავახიშვილი); 3) დავით ბატონიშვილი, „ახალი ისტორია“ (რედ. თ. ლომოური); 4) ბაგრატ ბატონიშვილი (რედ. თ. ლომოური); 5) ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება“ (რედ. ივ. ჯავახიშვილი); 6) თამარის პირველი ისტორიკოსი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (რედ. კ. კეკელიძე); 7) „ქართლის ცხოვრება ანა დედოფლისეული ნუსხისა“ (რედ. ს. ყაუხჩიშვილი).

II. დოკუმენტები: 1) „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ტ. I: „ბატონყმური ურთიერთობა" (რედ. ნ. ბერძენიშვილი); 2) „ვაჰანის ქვაბთა განგება" (რედ. ლ. მუსხელიშვილი); 3) „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი" (რედ. ს. ჯიქია); 4) „სვანეთის საისტორიო ძეგლები" (რედ. პ. ინგოროყვა); შემდეგ მოდის ძეგლები, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ არა მარტო საქართველოს, არამედ ამიერ-კავკასიის სხვა ქვეყნების ისტორიისათვისაც: 5) „История горной промышленности Закавказья". т. I: Грузия (რედ. პ. აკრიტასი და შ. ჩხეტია); 6) „Нахичеванские рукописные документы XVI—XIX вв." (რედ. ი. მარი); 7) "Указы Кубинских ханов".

წმინდა ისტორიული წყაროების გარდა ინსტიტუტმა გამოაქვეყნა ძველი ქართული მწერლობის რიგი ძეგლები, რომელნიც გარკვეულ ინტერესს შეიცავენ ისტორიკოსისათვისაც; მათ შორის დავასახელებთ: 8) ტიმოთე ანტიოქელი, „უცნობი სირიელი მოღვაწე VIII საუკუნისა" (კ. კეკელიძის რედ., 1940); 9) „მარტვილობაი თეკლასი" (ილ. აბულაძის რედ. 1940) ; 10) „ელინთა ზღაპრობანი" (ილ. აბულაძის რედ., 1941).

ანალოგიური ხასიათის ძეგლების რიგი უკვე იბეჭდება, კიდევ უფრო გრძელი რიგი კი სტამბაში გაგზავნას ელის.

ინსტიტუტის რწმენით, ყოველმხრივ საჭირო საქმეს წარმოადგენდა საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროების გამოცემა, ე. ი. იმ საქმის გაგრძელება, რომელიც დაიწყო სტალინის სახ. თბ. სახ. უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კაბინეტმა და შემდეგში გაუმართლებლად შეწყვეტილ იქნა. ამ მიმართულებით უკვე გამოქვეყნებულია: 1) „გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ". ტ. IV, ნაკვ. I (ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. 1940); 2) იგივე, ტ. IV, ნაკვ. II (ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. 1944); 3) პლანო კარპინი. „ისტორია მონღოლებისა" (გ. ქიქოძის თარგმანი, 1942); 4) რუბრუკვისი გვილიომ, „მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში" (გ. ქიქოძის თარგმანი, 1943); 5) ჰაჯი-მეჰდი-ყული ყაჯარი „უკეთესთაგან უკეთესი" (თარგმანი ვლ. ფუთურიძისა, 1942). მომზადებულია გამოსაცემად ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლები, როგორიცაა: 1) „ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი"; 2) „შარდენის მოგზაურობის ახალი, კრიტიკული თარგმანი"; 3) ისეთი ავტორები, რომელთა ცნობები საქართველოზე დღემდე სრულიად უცნობი და გამოუყენებელი იყო: მინადოი, გარსია დე ფიგეროა, სილოსი, ლამბერტი (უცნობი ნაწარმოები).

რესპუბლიკის წამყვან სამეცნიერო დაწესებულებად გადაიქცა ინსტიტუტი არქეოლოგიის დარგშიაც. ინსტიტუტის გეგმა თავიდანვე ითვალისწინებდა მიზანშეწონილ სისტემატურ გათხრებს. ამისათვის საგანგებოდ შერჩეულ რაიონებში — წინაისტორიული, ანტიკური და ფეოდალური საქართველოს ცენტრებსა და მნიშვნელოვან პუნქტებში. გათხრებს წინ უნდა წასძღოლოდა ფართოდ დაყენებული დაზვერვა. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ინსტიტუტი, აგრეთვე, მოპოვებული მასალის დაუგვიანებელ დამუშავებას, შესწავლასა და გამოქვეყნებას.

ჩატარებულია გათხრები, დაზვერვები და სხვა ხასიათის არქეოლოგიური სამუშაოები: დაბლა-გომში (1936 წ., ხელმძღვანელები ნ. ბერძენიშვილი და ბ. კუფტინი), ბოლნისში (1936, ხელმძღვანელი ივ. ჯავახიშვილი, ჯგუფის უფროსი ლ. მუსხელიშვილი), ალაზნის ველზე არხილოსკალოში (1937, ხელმძღვანელი გ. ნიორაძე), ბაშკიჩეთის რაიონში, სოფ. საფარლუს მახლობლად (1937, ხელმძღვანელი გ. ნიორაძე), სოფ. ოდიშში, სამეგრელო (1937, ხელმძღვანელი ალ. კალანდაძე), ყურღან „ნაოხვამუ"-ზე კოლხეთის დაბლობში (1938—1940, ხელმძღვანელი ა. იესენი, გ. ნიორაძე), ღებში (1938—1940, ხელმძღვანელი გ. გობეჯიშვილი), სოფ. დიდ-განთიადში, ძირულას ხეობა (1939, ხელმძღვანელი გ. ნიორაძე), ჩხოროწყუში (1939, ნ. ხოშტარია), სამშვილდეში (1939, ხელმძღვანელი ლ. მუსხელიშვილი).

განსაკუთრებით დიდი გაქანება ინსტიტუტის სამუშაოებმა მიიღო საქართველოს უძველესი დედაქალაქის მცხეთის ტერიტორიაზე, სადაც ძიება წარმოებდა და წარმოებს სამ დიდ უბანზე: სამთავროს მინდორში, არმაზის ხევთან და ბაგინეთზე. გათხრითი სამუშაოები დაიწყო არმაზის ხევთან 1937 წ., სადაც იმავ წელს და მომდევნო წელს გამოვლინდა დიდი აბანოს ნაშთი, ჩანს, ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგისა და რიგი სამარხები (ხელმძღვანელი გ. ნიორაძე და ს. ჯანაშია, ჯგუფის უფროსი ალ. კალანდაძე), სამთავროს მინდორში 1938—1941 წწ. (ხელმძღვანელი ივ. ჯავახიშვილი და ს. ჯანაშია, ჯგუფების უფროსები ალ. კალანდაძე და მიხ. ივაშჩენკო), სადაც გახსნილ იქნა დიდ ისტორიულ მონაკვეთზე (მეორე ათასწლეული, ჩვენს წელთაღრიცხვამდე — ფეოდალური ხანა) განფენილი სამარხები მანამდე უნახავი რაოდენობით: 1938 წ. — 350; 1939 წ. — 740, 1940 წ. — 400; სამარხები შეიცავდნენ უმდიდრესსა და უმრავალფეროვანეს ინვენტარს: აქვე მოპოვებულია სხვა მნიშვნელოვანი ცალკეული ძეგლები, მათ შორის წარწერიანი სტელები. არმაზისხევთან მეორე წყების სამუშაოებმა 1940—1941 და 1943—1944 წწ. (ხელმძღვანელი ივ. ჯავახიშვილი და ს. ჯანაშია, ჯგუფის უფროსები ა. კალანდაძე, ა. აფაქიძე,

გ. ლომთათიძე) წარმოაჩინეს ამიერიდან საყოველთაოდ ცნობილი ძველი ქართლის ერისთავთა საგვარეულო ნეკროპოლი თავისი გასაოცარი ძეგლებით[18]. მესამე უბანზე, ბაგინეთში, მუშაობა წარმოებდა აკროპოლისა და მის შიგნით მომწყვდეულ კაპიტალურ ნაგებობათა გამოვლინებისათვის (ჯგუფის უფროსი ა. აფაქიძე). მიღებული შედეგები ფართო პერსპექტივებს შლის საქართველოს ძველი დედაქალაქის იმ ნაწილის შესწავლისათვის, სადაც სამეფო რეზიდენციაა საძიებელი. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ომის მიერ შეწყვეტილი სამუშაოები ექსპედიციამ განაახლა უკვე 1943 წელს, ომისავე პერიოდში, რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით (ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილე გ. გობეჯიშვილი).

გამოქვეყნებულია შემდეგი მონოგრაფიები: 1) „ალაზნის ველის გათხრები“ (გ. ნიორაძე, 1940); 2) ბოლნისი (ლ. მუსხელიშვილი, 1938); 3) „Археологические раскопки в Триалети, кн. I. Опыт периодизации памятников“ (Б. Куфтин. 1941), 4) „ქვა-ჯვარანი საქართველოში“ (ვ. თოფურია, 1942); 5) „Материалы к изучению культуры колхов“ (მ. ივაშჩენკო, 1941); 6) „Чхороцку. Могильник с трупосожжением (захоронение в урнах) и остатки поселений“ (ნ. ხოშტარია, 1941); 7) „Армази“ (ლ. მელიქსეთ-ბეგი, 1938); 8) „Стеклянные многогранные печати, найденные на территории Грузии“ (მ. მაქსიმოვა, 1940); 9) „უკან-გორის ისტორიული ნაშთები“ (ლ. მუსხელიშვილი, 1940); 10) „სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი“ (ლ. მუსხელიშვილი, 1943).

გეგმიანი და სისტემატური ხასიათი ჰქონდა იმ ვრცელ საქმიანობას, რომელიც ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებამ გაშალა ახალი მასალებისა და კოლექციების მოპოვების, შესწავლისა და გამოქვეყნების ხაზით. თუ რამდენად ფართოდ იყო დაყენებული, მაგალითისათვის, საველე მუშაობის საქმე განყოფილებაში, ჩანს იმ კერძო მაგალითიდან, რომ ინსტიტუტის მარტო 1939 წლის ეთნოგრაფიული მივლინებისა და ექსპედიციების ანგარიშებმა ერთი დიდტანიანი ტომი გაავსეს („ენიმკის მოამბე“, XI). სპეციალურად აღსანიშნავია განყოფილების წარმატებითი მონაწილეობა ეთნოგრაფთა საკავშირო კონფერენციებსა და თათბირებში (მაგ., ლენინგრადში, 1938),

---

18 ამის შესახებ იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, Памятники древней истории Грузии, გაზ. „Правда“, 29. V. 1941. იგივე, უფრო სრულად; გაზ. „კომუნისტში“ 1. VI. 1941, გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში, 1944; გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არმაზის ბილინგვა.

სადაც აშკარა გახდა განყოფილების წამყვანი როლი საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიული შესწავლის დარგში.

გამოქვეყნებულია შემდეგი მონოგრაფიები: 1. „ქართული ხალხური ორნამენტი. I. ხევსურული“ (ვ. ბარდაველიძე და გ. ჩიტაია. 1939); 2) „სვანურ ხალხურ ღღეობათა კალენდარი, I, ახალ-წლის ციკლი“ (ვ. ბარდაველიძე, 1939); 3) „ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან“ (ვ. ბარდაველიძე, 1942); 4) „დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში“ (რ. ხარაძე, 1939); 5) „კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში“ (ალ. რობაქიძე, 1941).

ამას გარდა, „საქართველოს ეთნოგრაფიის მასალების“ ხაზით გამოქვეყნებულია: 1) ხიზანაშვილი ნ. (ურბნელი), „ეთნოგრაფიული ნაწერები“ (გ. ჩიტაიას რედაქციით, 1940); 2) „აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების სასულიერო ტექსტები“ (ვ. ბარდაველიძის რედაქციით, 1938); 3) „მიცვალებულის კულტი ხევსურეთში“ (ბალიაური და სხვანი, გ. ჩიტაიას რედაქციით, 1940); 4) „მიცვალებულის კულტი სამეგრელოში“ (თ. სახოკია, გ. ჩიტაიას რედაქციით, 1940).

ვინაიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსებამდე, ინსტიტუტის არსებობის პერიოდში, ქართული ხელოვნების შესწავლის საორგანიზაციო პირობები მოუგვარებელი იყო, ინსტიტუტმა სცადა ხელი შეეწყო ქართველი ხალხის მდიდარი მემკვიდრეობის გამომზეურებისათვის ამ სფეროშიაც, თუმცა ფორმალურად მას ეს არ ეკისრებოდა. ამის შედეგად გამოქვეყნებულია სპეციალური გამოკვლევები და გამოცემები: 1) „Болнисский Сион“ (გ. ჩუბინაშვილი, 1940); 2) „ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები“ (რ. შმერლინგი, გ. ჩუბინაშვილის რედაქციით, 1940); 3) „ავეჯი ძველ ქართულ ფრესკებსა და ჭედურ ხელოვნებაში“ (ტ. ხერხეულიძე, 1941); 4) „რუისის ტაძრის ისტორიისათვის“ (გ. ჩუბინაშვილი, 1940); 5) „ნიკორწმინდა და მისი ადგილი საქართველოს კულტურაში“ (ლ. მაცულევიჩი, 1938); 6) „შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ძველ ქართულ ხელოვნებაში“ (შ. ამირანაშვილი, 1938) და სხვ.

ინსტიტუტი სპეციალურად იყო დაინტერესებული თავისი სამეცნიერო დარგების მეცნიერული ბიბლიოგრაფიით. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა დასახელებულ იქნეს ინსტიტუტის შემდეგი გამოცემები: „ფონეტიკური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია“, წიგნი I; „ქართველური ენები“ (გ. ახვლედიანის რედაქციით, 1937). წიგნი II. „კავკასიური ენები“ (გ. ახვლედიანის რედაქციით, 1940), სადაც წმინდა ბიბლიოგრაფიული მასალა ვრცელი მეცნიერული ანოტაციის თანხლებაშია წარმოდგენილი, და „საქართველოს მუზეუმის S ფონ-

დის აღწერილ ხელნაწერთა საძიებელი“ (აკ. შანიძე და ალ. ბარამიძე, 1939); შედგენილია და დაბეჭდვას ელის ენიმკის გამოცემათა სრული ბიბლიოგრაფია (გ. ბაქრაძე, 1944). დამზადდა და სანახევროდ დაიბეჭდა კიდევაც ქართულ ისტორიულ თხზულებათა საძიებლები.

10. წმინდა საკვლევო მუშაობის გარდა, ინსტიტუტი ეწეოდა ისეთ პრაქტიკულ საქმიანობასაც, რომლის წარმატებისათვის არსებითს პირობათაგანს მისი მკაცრი მეცნიერული საფუძველი შეადგენს.

სკოლის მომსახურება გამოიხატა პირველ რიგში სახელმძღვანელოების შედგენაში. ასეთებია: ზემოთ მოხსენიებული 1) „საქართველოს ისტორია“, 2) „Учебник грамматики русского языка для грузинских школ“ (ცალკე უმაღლესი სკოლისათვის, ცალკე საშუალოსათვის. გ. ახვლედიანი, 1941), 3) „ქართული ენის გრამატიკა ქართული სკოლებისათვის“ (ა. შანიძე); გარდა ამისა, ქართული ენის სახელმძღვანელოები; 4) სომხური (ი. აბულაძე და თ. გონიაშვილი); 5) აზერბაიჯანული (ს. ჯიქია); 6) აფხაზური (თანაავტორი და რედ. ს. ჯანაშია) სკოლებისათვის. გარდა ამისა, ინსტიტუტის თანამშრომელთა რედაქციითაა გამოცემული ქართული ენის სახელმძღვანელოები 7) რუსული (ა. ჩიქობავა) და 8) ოსური (გ. ახვლედიანი) სკოლებისათვის.

აქტიურ საკონსულტაციო დახმარებას მეთოდიკურ საკითხებზე უწევდა ინსტიტუტი ყველა დაინტერესებულ დაწესებულებასა და ცალკე პირს.

ინსტიტუტის უახლოესი მონაწილეობით განხორციელებულ იქნა ისეთი რთული და მრავლისმომცველი ღონისძიებანი, რომელთა მაღალი კულტურული და საზოგადოებრივი ღირებულებაც თავისთავად ცხადია და როგორიც იყო აფხაზური და ოსური მწიგნობრობის გადაყვანა ქართულ შრიფტზე, ამისათვის სათანადო დამწერლობითი სისტემის შექმნა ქართული ანბანის შევსებასთან ერთად ახალი საჭირო ნიშნებით და შემდეგ თვით სასტამბო ტექნიკის საკითხების მოგვარება (ნახატების, პუნსონებისა და მატრიცების მომზადება, სხვადასხვა სასტამბო, მათ შორის სალინოტიპო შრიფტების ჩამოსხმა...). სპეციალური სამუშაოები ჩაატარა ინსტიტუტმა, აგრეთვე, საკუთრივ ქართული სასტამბო შრიფტების გაუმჯობესებისათვისაც.

ინსტიტუტთან განაგრძობდა არსებობასა და საქმიანობას „ქართული სალიტერატურო ენისა და მართლწერის ნორმების კომისიაც“, რომელმაც სხვათა შორის საგანგებო მუშაობა ჩაატარა საქართველოს გეოგრაფიული ნომენკლატურის მართლწერისა და ტრანსკრიფციის საკითხების გარშემო.

დიდი მუშაობა ჩაატარა ინსტიტუტმა მეცნიერების პოპულარიზაციის დარგში (საჯარო ლექციები, მოხსენებები, მეცნიერულ-პოპულარული გამოცემები).

11. რვა წლის განმავლობაში ინსტიტუტმა გამოაქვეყნა 500-ზე მეტი შრომა, რომელთა მოცულობაც აღემატება 1500 სასტამბო თაბახს. დაახლოებით ამდენივე ჯერ ინახება ხელნაწერის სახით ან წარმოებაში იმყოფება. ამ ნაშრომთაგან 75 ცალკე წიგნადაა გამოცემული. დანარჩენი პერიოდულ გამოცემებშია მოთავსებული; თუ ძველმა ინსტიტუტმა 1917 წლიდან 1935 წლამდე (ჩათვლით), ე. ი. 19 წლის სიგრძეზე, სულ გამოუშვა 187 სასტამბო თაბახის ლიტერატურული პროდუქცია, ახალმა ინსტიტუტმა უკვე 1936 წელს მოგვცა 116 სასტ. თაბ., ხოლო 1937 წელს — 210 თაბახი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ზემოთ ნაჩვენებ 19 წლის პროდუქციას. ინსტიტუტმა დააარსა ორი მუდმივი ორგანო: „აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე“ და „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“; „მოამბე“ სულ გამოვიდა 14 ტომი, ამათგან 10 ტომი — 1937—1941 წლებში. „მასალები“ ყოველწლიურად გამოდის რამდენიმე ნაკვეთის სახით (სულ გამოვიდა 7 ტომი 21 ნაკვეთის რაოდენობით, 1944 წლის 1 ივლისამდე საბეჭდად იყო კიდევ 2 ნაკვეთი მე-8 ტომისა).

გარდა ამისა, ინსტიტუტმა დააარსა სამეცნიერო პუბლიკაციათა შემდეგი სერიები:

1. საქართველოს ისტორიის ორიგინალური წყაროები:

ა) ისტორიკოსები

2. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან

3. ქართული სამართლის ძეგლები

4. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის

5. მასალები ქართველურ ენათა შესწავლისათვის

6. ქართველურ ენათა ლექსიკა

7. სასკოლო სახელმძღვანელოთა სერია

8. სასკოლო ლექსიკონთა სერია

9. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ.

10. წითელარმიელის ბიბლიოთეკა.

12. ინსტიტუტის პირველხარისხოვან ამოცანას შეადგენდა კადრების ზრდისა და აღზრდის, დაწინაურებისა და გაწვრთნის ამოცანა. ინსტიტუტს ჰქონდა თავისი ასპირანტურა, რომელშიაც 1936 წლის 1 იანვრიდან 1944 წლის ივლისამდე სულ ირიცხებოდა 49 კაცი. აქედან ასპირანტურა დაამთავრა სულ 30 კაცმა დარგების მიხედვით:

1. საქართველოს ისტორია . . . . . . . . 8
2. ქართველური ენათმეცნიერება . . . . . . 8
3. კავკასიური ენათმეცნიერება . . . . . . 3
4. საქართველოს არქეოლოგია . . . . . . 4
5. საქართველოს ეთნოგრაფია . . . . . . 4
6. ქართული ფილოლოგია . . . . . . . . 1
7. ახლო აღმოსავლეთის ენები და ისტორია . . . . 1
8. ქართული ფოლკლორისტიკა . . . . . . 1

1944 წლის მეორე ნახევარში ამთავრებს ასპირანტურას 7, განაგრძობს სწავლას 3, ჯარშია 2, გავიდა 2, გაირიცხა (აკადემიური მოუსწრებლობისა თუ სხვა მიზეზების გამო) 5.

ასპირანტურის სრულ კურსდამთავრებულთაგან 5 ქალია.

ინსტიტუტთან ერთმა კაცმა დაამთავრა სადოქტორო ასპირანტურა ამხ. სტალინის სახელობის სტიპენდიით. ინსტიტუტის თანამშრომელთა თუ ასპირანტთაგან სამეცნიერო ხარისხები მოიპოვეს:

დოქტორისა . . . . . . . . . . 4
კანდიდატისა . . . . . . . . . 28

მას შემდეგ, რაც ენიმკის სამეცნიერო საბჭომ მოიპოვა დისერტაციების მიღების უფლება, ინსტიტუტში დისერტაცია დაიცვა

დოქტორის ხარისხით . . . . . . . . 2 კაცმა
კანდიდატის . . . . . . . . . . . . 27 კაცმა.

აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტი კადრების აღზრდის ხაზით სპეციალურ დახმარებას უწევდა როგორც საქართველოს ავტონომიურს, ისე მეზობელ მოძმე რესპუბლიკებს (სომხეთს, აზერბაიჯანს, ჩრდ.-კავკასიის რესპუბლიკებს), რომელთაც ინსტიტუტმა რამდენიმე ასპირანტი მოუმზადა.

ინსტიტუტის თანამშრომელთაგან, მისივე წარდგენით, რამდენიმე კაცი არჩეულ იქნა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიაში: ნამდვილ წევრად 2, წევრ-კორესპონდენტად 2, ხოლო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში: ნამდვილ წევრად 6, წევრ-კორესპონდენტად 3. შეიძლება ითქვას, აგრეთვე, რომ იმ მეცნიერულ საძირკველში, რომელზედაც აშენდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ინსტიტუტის წილი არ იყო მცირე.

ინსტიტუტის ყოფილი ასპირანტებისა და უმცროსი მეცნიერი თანამშრომლების რიცხვიდან რიგი ამხანაგები დაწინაურებულ იქნენ საორგანიზაციო მუშაობის ხაზითაც: ვლადიმერ ფანჩვიძე, ალექსი რობაქიძე, ანდრო აფაქიძე, გერმანე გობეჯიშვილი, გიორგი ლომთათიძე, ივანე გიგინეიშვილი, ალექსანდრე ჯიშიაშვილი, ირაკლი ქავთარაძე, ნიკოლოზ რეხვიაშვილი.

13. ინსტიტუტის მიღწევები შესაძლებელი გახდა, ერთი მხრით, იმ ზნეობრივი და ნივთიერი პირობების წყალობით, რომელნიც ინსტიტუტს რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ორგანოებმა შეუქმნეს, მეორე მხრით — თვით ინსტიტუტის კოლექტივის ენთუზიაზმით სავსე, გეგმაშეწონილი, თავდადებული მუშაობის მეოხებით. ინსტიტუტის ცალკე განყოფილებათა მუშაობის კოორდინაცია, თანამშრომელთა შეთანხმებული მოქმედება და ამხანაგური ატმოსფერო, საქმიანი კრიტიკა და სამსახურებრივი დისციპლინა, მოვალეობის შეგნება და პასუხისმგებლობის გრძნობა ინსტიტუტის წარმატებათა წყაროდ უნდა იქნეს მიჩნეული. აღსანიშნავია ამ მხრივ ინსტიტუტის საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიურობა. დიდი მუშაობა გასწიეს დირექციის ხაზით ვ. თოფურიამ, ვლ. მაჭავარიანმა, ვლ. ფანჩვიძემ და ალ. რობაქიძემ. შეუფერხებლად და შეუცთომლად მუშაობდა ინსტიტუტის სამდივანმწიგნობრო ს. მაჭავარიანის ხელმძღვანელობით; ინსტიტუტის საერთო საქმიანობის მიუცილებელ ნაწილს შეადგენდა ბიბლიოთეკისა (გამგე ნ. პავლენკო) და ფოტოლაბორატორიის (გამგე ი. პახომოვი, ირ. ქავთარაძე) მუშაობა.

ენიმკის სამეცნიერო საბჭოს, რომელიც ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის მთელს მეცნიერულ მოღვაწეობას, თავისი არსებობის სიგრძეზე სულ 122 სხდომა ჰქონდა.

14. ინსტიტუტის კოლექტივს მისი მუშაობის განმავლობაში გამოაკლდა რიგი თანამშრომლებისა. აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა ინსტიტუტმა ქართველი მეცნიერის, ინსტიტუტის ყველა ასაკის თანამშრომელთა მასწავლებლის, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალებით. ღრმა კმაყოფილებით მიიღო ენიმკის სამეცნიერო საბჭომ ცნობა იმის შესახებ, რომ საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ენიმკის განაყოფს, ისტორიის ინსტიტუტს, მისივე თანამშრომლების თხოვნის საფუძველზე, მიანიჭა აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელი, რითაც კიდევ ერთი წარუშლელი პატივისცემის ძეგლი აეგო დიდი მეცნიერის ხსოვნას.

უდროო იყო, აგრეთვე, გარდაცვალება ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანამშრომლის პ. უშაკოვისა და ინსტიტუტის ასპირანტურის კურსდამთავრებულის, იმედისმომცემი ახალგაზრდა ლინგვისტის ვ. გაჩეჩილაძისა.

15. ყველაზე დიდი საზოგადოებრივი გამოცდა ინსტიტუტს საბჭოთა ხალხის სამამულო ომმა მოუტანა. ვფიქრობთ, ამ გამოცდიდან ინსტიტუტი პირშავად არ გამოსულა. ინსტიტუტის ახალგაზრდობამ უშუალო მონაწილეობა მიიღო ბრძოლებში. სტალინგრადის დაცვისას მძიმედ დაიჭრა კაპიტანი დ. გვრიტიშვილი, კავკასიის მისადგომებთან

სისხლი დაღვარა ლეიტენანტმა ა. აფაქიძემ, ყირიმისათვის მძიმე ჭრილობა მიიღო უმცრ. ლეიტენანტმა შ. მესხიამ, სტალინგრადის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში მონაწილეობის გამო ორი მედლით დაჯილდოებული უფრ. ლეიტენანტი ალ. ჯიშიაშვილი. ომის პირველ დღიდანვე ჯარში არიან ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლები უფრ. სერჟანტი ალ. კალანდაძე, რომელმაც არქეოლოგიის წერაქვი შაშხანით შეცვალა, ლეიტ. შ. გაფრინდაშვილი, მაიორი ი. პახომოვი და ბევრი სხვა.

ინსტიტუტი მონაწილეობდა ამ გრანდიოზულ ჭიდილში არა მარტო ფიზიკურად, არამედ მთელი თავისი იდეური და მორალური ენერგიითაც. გარდა მრავალი ასეული სამეცნიერო-პოპულარული და პროპაგანდისტულ-სააგიტაციო მოხსენებისა და ლექციისა, რომლებიც ინსტიტუტის თანამშრომლებმა წაიკითხეს წითელი არმიის სხვადასხვა ნაწილებსა თუ დაწესებულებებში, თბილისისა და საქართველოს სხვა პუნქტების სხვადასხვა ორგანიზაციებში, — საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც, — ქართველი და საბჭოთა კავშირის ხალხების გმირული წარსულიდან, მიმდინარე პოლიტიკისა და მრავალ სხვა აქტუალურ საკითხზე, ყოველივე ამის გარდა, ინსტიტუტმა დააარსა ორი საგანგებო სერია, რომელთაც საკმაო პოპულარობა მოიპოვეს: „ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ" და „წითელარმიელის ბიბლიოთეკა", მეტიც: ინსტიტუტმა დაამტკიცა, რომ მებრძოლი ფრონტის ინტერესებს პრაქტიკულად შეიძლება გამოადგნენ მეცნიერების ისეთი „მშვიდობიანი" დარგებიც, როგორიცაა, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, ენათმეცნიერება: ამ მხრით ენისა და ისტორიის ინსტიტუტში არა მარტო ინტენსიურსა და ნაყოფიერ კონსულტაციას უწევდნენ დაინტერესებულ ორგანიზაციებს, არამედ ასრულებდნენ დამოუკიდებელს ორიგინალურ სამუშაოებს, რომელნიც ამრავლებდნენ საბჭოთა ხალხის საბრძოლო ძალებს. სპეციალური ყურადღების ღირსია, კერძოდ, ის მუშაობა, რომელიც ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილებამ (გამგე გ. ახვლედიანი) ჩაატარა, თავისი ლოგოპედების ჯგუფის მეშვეობით, მებრძოლთა დაზიანებული მეტყველების აღსადგენად; მუშაობა საინტერესოა თეორიულადაც.

საზოგადოებრივად იმავე ღირებულების შედეგს იძლეოდა ინსტიტუტის „წმინდა" მეცნიერული სამუშაოებიც. უმთავრესად ინსტიტუტის არქეოლოგიური გათხრებითა და გამოცემებითაა გამოწვეული სიტყვები, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორის პროფ. ა. არტამონოვის მიერ მიძღვნილი საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებებისადმი: „რომელთაც მოახერხეს მოეწყოთ სისტემატური სამუშაოები საქართველოს სხვადასხვა კუ-

თხეში და მიეღოთ შესანიშნავი შედეგები. წალკის რაიონის ყურღანებში... მოპოვებული გასაოცარი ძეგლები, საუცხოო აღმოჩენები არმაზში და მთელი რიგი სხვა, უაღრესად საინტერესო მონაპოვარი დამსახურებული ჯილდოა მათი აქტიურობისათვის და შეადგენენ ეპოქას არა მარტო საქართველოს ან ამიერკავკასიის არქეოლოგიაში, არამედ მთელს საბჭოთა არქეოლოგიურ მეცნიერებაშიც". იგივე ავტორი ინსტიტუტის მიერ უკვე ომის დროს გამოცემული ბ. კუფტინის გამოკვლევის გამო ამბობს, რომ ეს წიგნი არის „შესანიშნავი მოვლენა ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო ცხოვრებაში... სტალინური პრემიით ამ შრომის დაგვირგვინება, რომელიც მიძღვნილია საქართველოს ისტორიის, ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ისტორიის უძველესი პერიოდებისადმი, არის თითქოს პასუხი ფაშისტური ბარბაროსების მისამართით, რომელნიც სპობენ ჩვენს ძეგლებს. ჩვენ დიდად ვაფასებთ და გვიყვარს ჩვენი წარსული, ვამაყობთ მით, და არასოდეს ხელს არ ავიღებთ ჩვენი ეროვნული კულტურის მონაპოვარზე, დამოუკიდებლობაზე, თავისუფლებაზე"[19].

მიუხედავად ომის მიერ გამოწვეული სიძნელეებისა საზღვარგარეთთან ურთიერთობაში, მთელი რიგი უცხო ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულებანი და ცალკეული მეცნიერები დადებითად გამოეხმაურნენ ინსტიტუტის იმავე სამუშარებს. ცნობილი ინგლისელი არქეოლოგი პროფ. ელლის მინსი (კემბრიჯი), რომელიც რამდენიმე გზის იტყობინებოდა მისი დიდი ინტერესის შესახებ მცხეთისა და თრიალეთის გათხრებისადმი, იმავე დროს სხვა თავის კოლეგებთან ერთად ადასტურებს, რომ საბჭოთა მეცნიერების მუშაობა ხელს უწყობს საბჭოთა ხალხის მთელი საქმიანობის როლისა და მნიშვნელობის შეგნების ზრდას უცხო ქვეყნების მოწინავე ინტელიგენციაში. თვლის რა იმავე ძეგლებს „მეცნიერების დიდებულ შენაძენად" და გამოხატავს რა თავის კმაყოფილებას იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირში, საზოგადოდ, და საქართველოში, კერძოდ, ომმა მეცნიერული მუშაობა ვერ შეაფერხა. პროფ. მინსი, ინსტიტუტის დირექტორის სახელზე გამოგზავნილს, მის მიერვე რუსულად დაწერილ წერილებში „თავის ღრმა სიხარულს გამოთქვამს კავკასიისაგან საფრთხის აცილების გამო და აღტაცებას — საბჭოთა მეომრების ღვაწლთა გამო". ერთს თავის წერილს პროფ. მინსმა შემდეგი სათაური — ლოზუნგი გაუკეთა: „ყოჩაღ, რუსებო, ქართველებო და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხო!"

16. ინსტიტუტის მუშაობის შედეგების შედარება იმ ამოცანებთან, რომლებიც მის წინაშე იდგა, აშკარად მოწმობს, რომ ენიმკის მემ-

---

[19] იხ. „Вестник Академии наук СССР", № 9—10, 1942 г.

კვიდრე ინსტიტუტებს არ რჩებათ საფუძველი სამეცნიერო ობიექტის ამოწურვის შესახებ ჩივილისათვის: გასაკეთებელი უფრო მეტია, ვიდრე გაკეთებული. ეჭვი არ გვრჩება, რომ ახალი ინსტიტუტები, ძმურად ხელიხელჩაკიდებულნი, უჩვენებენ თავისი საზოგადოებრივი და სამეცნიერო ამოცანების კიდევ უფრო მკაფიო შეგნებას, გამოიჩენენ უფრო დიდ ცოდნას, ოსტატობასა და მხნეობას და უფრო დიდ შედეგებსაც მოიპოვებენ, ვიდრე ეს მათმა წინაპარმა შესძლო. ამის ყველაზე დიდ გარანტიას ჩვენ იმ საზოგადოებრივ პირობებში ვხედავთ, რომლებშიაც ჩაისახა საბჭოთა მოწინავე მეცნიერება და რომლებშიაც მას ძლევამოსილი განვითარება უწერია შემდეგშიაც.

1943 წლის ზაფხულის პირზე ლეიტენანტი ალ. ქავთარაძე ატყობინებდა თავისიანებს ჩრდილოეთ კავკასიიდან, რომ მისი ნაწილი დგას გერმანელი ვანდალების მიერ უკანდახევისას გადაბუგულ დაბასთან. ბარბაროსებს ისე დაენგრიათ შენობები, რომ მშობლიურ ადგილებში მოფრენილი მერცხლები იძულებული გამხდარიყვნენ მზესუმზირაზე ეშენებინათ თავისი ბუდეები. ჩვენი მეომრები მზრუნველი ხელით საბჯენებს უკეთებდნენ მცენარის სუსტ ღეროებს, რათა მათ შესძლებოდათ ბუდეების სიმძიმის ატანა.

ამ პატარა ფაქტში ურთიერთდაპირისპირებული ორი სამყაროს მთელი ხასიათია მოცემული. ერთს გულგრილად გასანადგურებლად გაუწირავს ერები, ადამიანები, მათი კულტურა და ინდივიდუალობა, მეორე მკერდით იცავს კაცობრიობას, პიროვნებისა და ერთა თავისუფლებას, ხალხთა წარსულსა და მყოფადს და, ამავე დროს, უსაშინლესი ომის ქარცეცხლში თავის სულში ადგილს პოულობს პატარა ფრინველის შესახებ საზრუნავადაც. უკვდავი და უძლეველია ხალხი, რომელსაც ასეთი უსაზღვრო სული უდგას. დიდებულია მომავალი იმ კულტურისა, რომლის ბუდე საბჭოთა ხალხს უპყრია თავის მძლავრ ხელში!*

---

* მოხსენდა ენიმკის სამეცნიერო საბჭოს საზეიმო სხდომას 1944 წლის ივლისის 28-ს.

## [პასუხი გ. სოსელიას]

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს ცნობილი დადგენილებანი (1934 წ. 16 მაისისა და 1936 წ. 26 იანვრისა) სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ სკოლებში, ამხ. სტალინის, კიროვისა და ჟდანოვის შენიშვნები ცალკეულ ისტორიის სახელმძღვანელოთა კონსპექტების შესახებ, პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მთელი პოლიტიკა პედაგოგიური პროცესისა და საკვლევაძიებო საქმის ორგანიზაციისათვის ამ დარგში მოწმობენ იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც ისტორიას ენიჭება ჩვენში, ააშკარავებენ დღემდე ამ სფეროში დაშვებული შეცდომების ხასიათსა და ბუნებას და გვისახავენ სწორ გზებს მუშაობის შემდგომი მართებული გაშლისათვის.

მოვიგონოთ ერთხელ კიდევ ამ სახელმძღვანელო დადგენილებათა მითითებების ძირითადი დებულებები: 1934 წ. დადგენილებაში „სახკომსაბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა აღნიშნეს, რომ ისტორიის სახელმძღვანელოებისა და თვითონ სწავლების მთავარი ნაკლია მათი განყენებული, სქემატური ხასიათი", „მოსწავლეთა მიერ ისტორიის კურსის მკვიდრი შეთვისების გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს ისტორიული ამბების გადმოცემაში ისტორიულ-ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვა და მოსწავლეთა მიერ უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენების, ისტორიული მოღვაწეების, ქრონოლოგიური თარიღების აუცილებლად დახსომება". ამხ. სტალინის, კიროვისა და ჟდანოვის მიერ განსაკუთრებით მკაცრად იყო გაკრიტიკებული საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის კონსპექტი, „რომელშიც ბლომად იყო მარქსიზმის თვალსაზრისით, არამეცნიერული, უცოდინარი განსაზღვრანი და რომელსაც ახასიათებდა უკიდურესი დაუდევრობა", „არაზუსტი სტილი" და „სიტყვების თამაში". ამხ. სტალინი, კიროვი და ჟდანოვი ხაზგასმით მიუთითებენ თავიანთ შენიშვნებში: „ჩვენ გვესაჭიროება სსრკ-ის ისტორიის ისეთი სახელმძღვანელო, სადაც ველიკოროსიის ისტორია არ იქნება მოწყვეტილი სსრკ-ის სხვა ხალხთა ისტორიას, — ეს ერთი, და სადაც სსრკ-ის ხალხთა ისტორია არ იქნება მოწყვეტილი საერთო ევროპულ ისტორიას და, საერთოდ, მსოფლიო ისტორიას, — ეს მეორე". მიუხედავად ამ სრულიად მკაფიო

მითითებისა, აღნიშნულ სახელმძღვანელოთა ავტორებმა ვერ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა: „ის გარემოება, რომ აღნიშნულ სახელმძღვანელოთა ავტორები კვლავ დაჟინებით იცავენ პარტიის მიერ არაერთხელ მხილებულ და აშკარად უსაფუძვლო ისტორიულ განსაზღვრებებსა და დებულებებს, რომლებსაც საფუძვლად უდევს პოკროვსკის ცნობილი შეცდომები, სახკომსაბჭოსა და ც. კ.-ს არ შეუძლიათ არ შეაფასონ, როგორც იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ ჩვენი ისტორიკოსების, მეტადრე სსრკ-ის ისტორიკოსების, განსაზღვრულ ნაწილში ფესვი გაუდგამს ანტიმარქსისტულ, ანტილენინურ, არსებითად, ლიკვიდატორულ ანტიმეცნიერულ შეხედულებებს ისტორიულ მეცნიერებაზე. სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ისტორიის, როგორც მეცნიერების, ლიკვიდაციის ეს მავნე ტენდენციები და ცდები დაკავშირებულია, უწინარეს ყოვლისა, ზოგიერთ ჩვენ ისტორიკოსს შორის იმ შემცდარ ისტორიულ შეხედულებათა გავრცელებასთან, რომლებიც ახასიათებენ ეგრეთ წოდებულ „პოკროვსკის ისტორიულ სკოლას". სახკომსაბჭო და ც. კ. აღნიშნავენ, რომ ამ მავნე შეხედულებათა დაძლევის ამოცანა წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას, როგორც ისტორიის სახელმძღვანელოთა შედგენისათვის, ისე საბჭოთა კავშირში მარქსისტულ-ლენინური ისტორიული მეცნიერების განვითარებისა და ისტორიული განათლების აღმავლობისათვის, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სახელმწიფოს, ჩვენი პარტიის საქმისათვის და მოზარდი თაობის სწავლებისათვის" (იხ. „კომუნისტი", 1936 წ. 28 იანვრის ნომერი). ამავე წლის 7 მარტის მეთაურში „პრავდა" კვლავ წერდა იმ მოთხოვნილებათა შესახებ, რომლებიც ისტორიის სახელმძღვანელოების მიმართ არის წაყენებული: „პირველი ამ მოთხოვნილებათაგან — კონკრეტულობა და ისტორიული სიმართლეა. ქვეყნისათვის ცნობილს მთელ რიგ დადგენილებებსა და დოკუმენტებში დაგმობილია ცოცხალი ისტორიული ქსოვილის შეცვლა მომაკვდინებელი სოციოლოგიური სქემებით. მარქსიზმთან არაფერი საერთო არა აქვს ამ სოციოლოგიზაციას შტამპების მიხედვით".

ამ ღრმა აზრის მქონე დადგენილებებსა და მითითებებს სახელმძღვანელო მნიშვნელობა აქვთ, რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის ყველა ისტორიკოსისათვის, ისტორიის რომელ დარგშიც არ უნდა მუშაობდეს იგი. კერძოდ, იმ არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას, რომელშიაც ამჟამად საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნის საქმე იმყოფება, ჩვენ ვერ მოვსპობთ, სანამ აღნიშნულს სადირექტივო დადგენილებებსა და მითითებებს ზუსტად არ შევითვისებთ, მათ ნიადაგზე კოლექტიურს, საქმიანს, ამხანაგურ მუშაობას არ გავ-

შლით, კერძოდ, სანამ საქმიანსა და ამხანაგურ კრიტიკასაც არ გავშლით.

არა გვგონია, რომ ამ მხრივ ვინმე დააკმაყოფილოს იმ წერილმა, რომელიც გ. ქ. სოსელიამ გამოაქვეყნა გაზ. „კომუნისტში" ა. წ. 16 აპრილის ნომერში.

ავტორს აურჩევია უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი საზოგადოებრივი კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ ქართველებში და ამ საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის გარჩევას ცდილობს. როგორ სჩადის ის ამას?

იგი ჯერ შეძლებისდაგვარად გადმოსცემს ბურჟუაზიულ, კაუცკიანურ, შეხედულებებს საკითხის შესახებ, შემდეგ აცხადებს: „ჩვენს (ე. ი. საქართველოს, ს. ჯ.) ისტორიოგრაფიაში კერძო საკუთრების, კლასების და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხში დღემდე ბატონობენ აშკარა ანტიმარქსისტული, რეაქციული შეხედულებები. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია". ეს სამწუხარო ფაქტი ვერ შეუმჩნევიათ იმ ორგანოებს, „რომელთაც ეკისრებათ ჩვენს სკოლებში საქართველოს ისტორიის სწავლების საქმის უშუალო ხელმძღვანელობა", ე. ი. განათლების სახალხო კომისარიატს, თბილისის სახ. უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლეს სასწავლებლების ხელმძღვანელობას. მაგრამ გ. ქ. სოსელია „ააშკარავებს", რომ "5—6 წლის განმავლობაში ასეთ უმსგავსობას აწვდიან ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას და ამაზე არავის კრინტი არ დაუძრავს".

ვინ არიან ისინი? ისინი უპირატესად არიან თბილისის სახ. უნივერსიტეტის მუშაკები: ჯანაშია და ბერძენიშვილი, რომლებიც ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგისათვის საქართველოში უკვე სახელმწიფოს ხედავენ, შესაბამის კლასობრივი ურთიერთობის პირობებში. საბუთები?

აქ გ. ქ. სოსელია მოწინააღმდეგეთა დებულებებს იმ სახეს აძლევს, რომელიც მისთვის არის სასურველი. ვისაც ჩვენი შეხედულებები ამ საკითხის შესახებ აინტერესებს, მან პირდაპირ სათანადო ლიტერატურულ დოკუმენტებს უნდა მიმართოს (ჩვენი „საქართველოს ისტორია" დაუსწრებელი პედინსტიტუტის მსმენელთათვის). აქ კი ძალიან მოკლედ (ადგილი ნებას არ გვაძლევს) ჩვენი შეხედულება უნდა განვმარტოთ.

უარვყოფთ ჩვენ გვაროვნული წყობილების არსებობას ქართველ ტომებში? რა თქმა უნდა, არა! ამ საკითხს ეძღვნება დასახელებული „ისტორიის" პირველი ნაკვეთი (ს. ჯანაშია, გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში, ტფ., 1932 წ.). აქ ნათქვამია: „გვაროვნული წყობილების ნაშთებმა ქართველ ტომებში XX საუკუნემდისაც მოაღწიეს...

მთელი ეს ეთნოგრაფიული მასალა იმდენად მდიდარია, მრავალფეროვანი და ამასთან ერთიანიც, მთლიანი, რომ მარტო მის ნიადაგზე მდგომთაც ჩვენ უფლება გვექნებოდა დაგვესკვნა, რომ ქართველ ტომებს, ყველას, უკლებლივ, განუვლიათ გვაროვნული წყობილება და უმაღლეს ფორმამდე განუვითარებიათ იგი. მაგრამ ეთნოგრაფიასთან ერთად ჩვენ ისტორიაც გვაძლევს სათანადო ჩვენებებს, და ეს გარემოება ჩვენთვის კიდევ უფრო საყურადღებოა: ისტორიულ-ლიტერატურულ მოწმობათა შემწეობით შესაძლებელი ხდება ქართველი გვარის განვითარების ზოგიერთი საფეხურის გათვალისწინება მაინც" (გვ. 23—24). შემდეგ ჩვენ განვიხილავთ ამ ლიტერატურულ ცნობებს როგორც ქართულს, ისე უცხოურს. უკანასკნელის შესახებ ნათქვამია: „ამავე საზოგადოებრივ ფორმაციისაკენ (ე. ი. პირველყოფილ კომუნიზმისაკენ, ს. ჯ.) მივყევართ უცხოურ ცნობებსაც, რომელთაგანაც ყველაზე ძველი (თუ გ ა ბ მ უ ლ ს წერილობით ცნობებს ვიგულისხმებთ) ბერძენთა ცნობილ მწერლის, ს ტ რ ა ბ ო ნ ი ს, „გეოგრაფიაშია" დაცული". და ვარჩევთ სტრაბონის ცნობას სვანების შესახებ, რის შედეგადაც დავასკვნით:... „აღწერილობა ნიშანდობლივია და უეჭველად **მოქმედ გვაროვნულ საზოგადოებას ახასიათებს**. რა ფაქტებზეა დაყრდნობილი ეს დასკვნა? მეურნეობის, მმართველობის ორგანიზაციის („ტომს მოეპოვება ის ორგანო, რომლითაც ხალხი თავის სუვერენულ უფლებებს ახორციელებს — სატომო საბჭო", ნათქვამია იქვე), შეიარაღების (ხალხი-ჯარი!) სპეციფიკურ ხასიათზე. შემდეგ ვამბობთ: სტრაბონის „ცნობა „მეფის" შესახებ ამ დასკვნას ვერ დაარღვევს ...შეუძლებელი არ არის, რომ იმდროინდელს გარეშე დამკვირვებელს ძლიერი ტომის მეთაურის ხელისუფლების განსაზღვრისას სიზუსტე ვერ დაეცვა" (გვ. 27—28). მაშასადამე, ჩვენი აზრით, სტრაბონის ცნობებით სვანები გვაროვნულ წყობილებაში იმყოფებიან (ამასთან ერთად, განხილულია სვანური გვაროვნული წყობილების უაღრესად საყურადღებო ნაშთები XIX ს). „ქართველ ტომებს, — განვაგრძობთ ჩვენ შემდეგ, — სტრაბონისეული იმავე ხანის ცნობები სულ სხვანაირად გვისურათებენ... უკვე იმ დროს მთის განვითარება რამდენადმე ჩამორჩებოდა ბარისას"... (გვ. 29). ბარის ვითარების განხილვა სტრაბონის ცნობების საფუძველზე მოცემულია იმავე „ისტორიის" მეორე და მესამე ნაკვეთებში (ტფ., 1932 წ. და 1934 წ.). დასკვნა ასეთია ბარის ივერიის (აღმ. საქართველოს), როგორც ყველაზე დაწინაურებული რაიონის, შესახებ: „ყოველივე თქმულის ნიადაგზე გასაგები უნდა გახდეს სტრაბონისეული ივერიის საზოგადოების ხასიათი. ეს არის გარდამავალი ტიპის საზოგადოება იმიტომ, რომ მას ჯერ კიდევ გარკვეულ და ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ-ეკონომი-

ური ფორმაციის სახე არ მიუღია. აქ წარმოების სხვადასხვა წესები ებრძვიან ერთმანეთს. თავდაპირველმა დიფერენციაციამ მოგვცა გაბატონებული ჯგუფი ქურუმებისა, რომელნიც მონათმფლობელთა კლასს ეკუთვნიან და რომელთა პოლიტიკური ბატონობის ფორმაც თეოკრატიის ხასიათს ატარებს. მაგრამ წარმოების მონათმფლობელურ წესს, რომელიც წარმოადგენდა ქურუმთა ბატონობის საფუძველს, არასოდეს არ მიუღია, როგორც ჩანს, ქართველ ტომებში ისეთი ფართო ხასიათი, რომ ის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების საძირკველი გამხდარიყო. გვაროვნულ საზოგადოების ერთმა ნაწილმა (მესამე გენე, „ერი") დიდხანს, ფეოდალური ურთიერთობის საბოლოო გაბატონებამდე, შეინარჩუნა ერთგვარი ეკონომიური დამოუკიდებლობა და ნაწილი თავის ძველი პოლიტიკური უფლებებისა; სუსტად და აქა-იქ ამ წრეშიც ვხვდებით მონის შრომის გამოყენებას, სოციალურსა და პოლიტიკურ სფეროში— გვაროვნულ წყობილების ნაშთებს... ყველაზე გვიან ამ საზოგადოებაში ისახება ფეოდალური წესი წარმოებისა, რომელიც თანდათან უპირისპირდება მონათმფლობელურს"... (ნაკვ. III, გვ. 20—21). ეს დასკვნა მიღებულია იმავე კონკრეტული კვლევის გზით, რომელიც გამოყენებული იყო სვანეთის მიმართაც. ჩვენ ვეყრდნობით შემდეგ ფაქტებს: არსებობა განვითარებული შრომის საზოგადოებრივი განაწილებისა („გვაროვნული კავშირები დაარღვია შრომის საზოგადოებრივმა განაწილებამ, რომელიც საფუძველი გახდა საზოგადოების სხვადასხვა კლასად დანაწევრებისათვის", ნაკვ. II, გვ. 24—25), ამ ნიადაგზე აღმოცენება **ადგილობრივი** ქალაქებისა (სტრაბონის ცნობა: ივერია არის „მდიდარი ქვეყანა, რომელსაც შეუძლია ფრიად ხშირი მოსახლეობა დაიტიოს, და, მართლაც, ივერია **მშვენივრად არის დასახლებული**, უმეტეს წილად, **ქალაქებად** და დაბებად, ისე რომ, იქ კაცს ხვდება კრამიტის სახურავები და ხუროთმოძღვრების წესების თანახმად აგებული სახლები, **ბაზრები** და სხვა საზოგადოებრივი შენობები" იქვე, გვ. 27), მოსახლეობის სიმჭიდროვე განვითარებული ტრანსპორტის (ნაოსნობა მტკვარზე, ალაზანზე, ყვირილაზე შორაპანს ქვემოთ, რიონზე, ასოცი ხიდი მდ. ფაზისის იმ ნაწილზე, სადაც ნაოსნობა შეუძლებელი იყო, ადგილობრივი და საერთაშორისო გზების ფართო ქსელი) პირობებში, რაც ხელს უწყობს შრომის საზოგადოებრივი განაწილების გაღრმავებას, საკმაოდ ფართო (იმ დროისათვის) ფულადი ურთიერთობა ბევრად ადრე სტრაბონის ხანამდე, ადგილობრივი ფულიმონეტა; კერძო საკუთრების არსებობა, კერძოდ, სპეციფიკური ფორმის კერძო საკუთრების არსებობა მიწაზე. სოციალურ სფეროში — საზოგადოების განაწილება ოთხ „გენედ", რომელთაგანაც პირველი სამეფო დინასტიაა, დანარჩენი სამი — წოდება, წინაფეოდალური ხა-

სიათისა. ხელისუფლების სფეროში — ტომური ორგანიზაციების არარსებობა, სამაგიეროდ, არსებობა მემკვიდრეობითი სამეფო ხელისუფლებისა, რომელიც ქვეყნის ბატონ-პატრონია და რომელიც საკუთარს, ხალხისგან გამოყოფილ რაზმებს ეყრდნობა (როგორც ჯარის ორგანიზაციის, ისე შეიარაღების სისტემა შეცვლილია — მეფეს ჰყავს მძიმედ შეიარაღებულ, თავით ფეხამდის ჯავშანში მჯდომ, მეომართა გვარდია[1]) და სხვა. გ. ქ. სოსელიას მოჰყავს მხოლოდ ზოგიერთი ამ საბუთთაგან, ისიც თავისი საკუთარი რედაქციით და დაასკვნის: „განა ძნელი დასანახია, რომ არც ერთი აქ მოყვანილი მითითება არაფერს ლაპარაკობს სტრაბონისდროინდელ იბერიაში კლასობრივ საზოგადოების და სახელმწიფო ორგანიზაციის არსებობაზე“. საბუთები?

აი, ისინიც: 1) „ბერძნული ბაზილევსი სრულებით არ ნიშნავს მეფეს-მონარქს. საქართველოს ზოგი ისტორიკოსი ატყუებს პირდაპირ ჩვენს ახალგაზრდობას, როცა ბაზილევსს სთარგმნის მეფედ. ბაზილევსს მეფედ გვიხატავდნენ, როგორც მარქსი და ენგელსი შენიშნავენ, „ევროპელი მეცნიერები, რომელნიც უმეტეს ნაწილად მეფეების მსახურებად არიან დაბადებულნი“.

ჩვენ ჰეშმარიტად გვაკვირვებს ავტორის უფლებამოსილობა, როცა იგი ასეთ ოპერაციას მიმართავს მარქსისა და ენგელსის მიმართ. მთელმა კულტურულმა ქვეყანამ იცის, რომ სტრაბონის „ბაზილევსი“ სწორედ „მეფედ“ უნდა ითარგმნოს. მაგრამ რას ამბობენ მარქსი და ენგელსი „ბაზილევსის“ შესახებ? გ. ქ. სოსელიას მიერ მოყვანილი ციტატა ამოღებულია ენგელსის წიგნის („ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“) იმ ადგილიდან, სადაც ენგელსი აგვიწერს **უძველესი ხანის ბერძნებს, ჰომეროსის პოემებში მოცემულს ბერძენ ტომთა სურათს** (ქართ. გამოც., 1932 წ., გვ. 120 შემდ.). „ამ ტომებისა და ხალხების წესწყობილება შემდეგნაირი იყო“, ამბობს ენგელსი (იქვე, გვ. 121) და ჩამოთვლის სათანადო დაწესებულებებს: პირველი — საბჭო, მეორე — სახალხო კრება, მესამე — მხედართმთავარი (basileus). ამ ბაზილევსის შესახებ აქ ენგელსი იძლევა შემდეგ განმარტებას: „მარქსი შენიშნავს: „ევროპიელი მეცნიერები, რო-

---

[1] ახლახან გამოქვეყნდა ერთი მონოგრაფია А. Амиранашвили, Новая находка в низовьях р. Ингура, ტფილისის სახ. უნივერსიტეტის გამოც., 1925 წ. სადაც აღწერილია სამეგრელოში ნაპოვნი ერთი სამარხის ინვენტარი, რომელშიაც აღმოჩნდა, სხვათა შორის, ჯავშანიც. მკვლევარის აზრით, ეს არის ნაშთი „ერთ-ერთი სატომო თავადის, პატარა მეფის, მომავალ ფეოდალების არაშორეულ წინაპრის, მამაკაცის სამარხისა“ და ეკუთვნის I ს. მეორე ნახევარს — II ს. დამდევს ქრ. შ. გვ. 71 — ჩვენს შემთხვევაში უკვე მთელი რაზმია ასეთ ჯავშანში ჩამჯდარი.

შელნიც უმეტეს ნაწილად მეფეების მსახურებად არიან დაბადებულნი, ბაზილევსისაგან თანამედროვე მონარქს ჰქმნიან. ამ შეცდომის წინააღმდეგ იანკი-რესპუბლიკელი მორგანი ილაშქრებს. იგი ირონიულად, მაგრამ სწორად ლაპარაკობს მირონის მწრთოლვარე გლადსტონსა და მის „Juventus Mundi"-ზე: ბატონი გლადსტონი **გმირული ეპოქის ბერძენ სარდლებს მეფეებად და მთავრებად გვისახავს**, მხოლოდ ამას გარდა ისინი ჯენტლმენებიც იყვნენო (ხაზი ჩვენია. ს. ჯ.)" (იქვე გვ. 122). მაშასადამე, აქ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ არ შეიძლება **„გმირული ეპოქის"** ბაზილევსის გაგება მეფედ. რომელია ეს „გმირული ეპოქა"? ეს არის XIII—XI სს. ქ. წინ, ასახული, გარკვეული გადამუშავებით, „ილიადასა" და „ოდისეაში", რომელნიც თავის მხრივ X—IX სს. ეკუთვნიან. ენგელსიც ადასტურებს, რომ აქ მხოლოდ აღნიშნულ ხანაზეა ლაპარაკი:... „ბაზილევსის გერმანულ კოენიგად (მეფედ) გადმოთარგმნა ეთიმოლოგიურად სრულიად მართებულია იმიტომ, რომ კოენიგი (ანუ Kuning) Kuni-სა, Künne-საგან წარმოსდგება და გვარის უფროსს, მამასახლისს, ნიშნავს. მაგრამ **სიტყვა კოენიგის დღევანდელს მნიშვნელობას ძველი ბერძნული ბაზილევსი სრულიადაც არ შეესაბამება.** თუკიდიდე ძველ Basileia-ს პირდაპირ patrikê-ს უწოდებს, ე. ი. გვარის მიერ წარმოშობილს, და ამბობს, მას მტკიცედ გარკვეული, მაშასადამე, შეზღუდული უფლებები ჰქონდაო. ხოლო არისტოტელე ამბობს, **გმირული პერიოდის Basileia** თავისუფალი ადამიანების მეთაურობას წარმოადგენდა, ბაზილევსი — კი მთავარსარდალს, მსაჯულს და მღვდელმთავარსო; მაშასადამე, მას არ ჰქონია ხელისუფლება შემდეგ დამყარებული გაგებით. ზემონათქვამიდან ჩანს, რომ **გმირული პერიოდის ბერძნების** წესწყობილებაში ძველ გვაროვნულ ორგანიზაციას ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა სიცოცხლის ძალა, მაგრამ მისი დაქვეითება უკვე დაწყებული იყო"... (გვ. 124—125; ხაზი ყველგან ჩვენია, ს. ჯ.). **მაშასადამე, აქ ყველგან ლაპარაკია გმირული პერიოდის ბაზილევსის შესახებ, რომელიც სტრაბონის ეპოქას დაშორებულია თორმეტი საუკუნით.** შემდეგში „ბაზილევსმა" იცვალა მნიშვნელობა და ბერძნულ ენაში იგი იქცა ერთადერთ სიტყვად „მეფის" ცნების გამოსახატავად. როდის მოხდა ეს ამბავი? ძალიან ადრე! უკვე ენგელსის ზემოთ მოყვანილ ციტატიდან ჩანს, რომ თუკიდიდე და არისტოტელე ანსხვავებდნენ „ძველსა" და „გმირული პერიოდის" ბაზილევსსა და ბასილეას თავისი დროის ასეთივე დაწესებულებისაგან. ჰეროდოტე (V ს. ქ. წინ) ბაზილევსს ეძახის ეგვიპტის ფარაონს (I. 105), ცნობილ დარიოსს, ირანის აქემენიდ მბრძანებელს (IV, 97). მეორე ცნობილი ბერძენი მწერალი, ქსენოფონტე (V ს. დამლევი — IV ს. დამდეგი ქ. წინ) ბაზილევსს ეძახის,

აგრეთვე, იმავე აქემენიდ მეფეებს, რომელნიც სატრაპების საშუალებით მართავენ თავიანთს უზარმაზარ იმპერიას (IV, 4, 4; 5, 10 და სხვა). სტრაბონის თანამედროვე ეგვიპტის ცნობილი დედოფლის — კლეოპატრას ფულზე, რომელიც, სხვათაშორის, ქ. გორთან არის ნაპოვნი, წარწერილია „ბასილისა კლეოპატრა)" (Пахомов, Монетные клады Азербайджана, 1926, გვ. 39—40), თვით სტრაბონი სომხეთის შესახებ ამბობს: „არმენია, რომელსაც თავდაპირველად ვრცელი ფარგლები არ ჰქონდა, გადიდებულ იქნა არტაქსიასა და ზარიადრის მიერ, რომელნიც ჯერ ანტიოქოს დიდის სარდლები [„სტრატეგები"! ს. ჯ.] იყვნენ. ხოლო მერმე, მისი [ანტიოქოსის, ს. ჯ.] დამარცხების შემდეგ [190 წ. ქრ. წ.], მეფეები [„ბაზილევსი"! ს. ჯ.] გახდნენ", ერთი — სომხეთის ერთ ნაწილში, მეორე — სომხეთის მეორე ნაწილში, მეზობელ ხალხებს დიდი ტერიტორია წაართვეს და თავისი სამფლობელო გაადიდესო (XI, 14, 5). ცხადია, სტრაბონის ბაზილევსი მეფედ უნდა ითარგმნოს.

მაგრამ სწორი თარგმანი ჯერ კიდევ არ წყვეტს საკითხს საბოლოოდ. არა ნაკლებ სავალდებულო და უფრო მეტად საჭირო არის ცნობის სწორი ინტერპრეტაცია, განმარტება. ეს უკანასკნელი სავალდებულოა ხომ იმისთვისაც, ვისაც თარგმანი სრულიად არ სჭირდება და ვინც დედნის ფარგლებში რჩება. ჩვენ თვითონ სტრაბონის ცნობაში სვანების შესახებ ბაზილევსი მეფედ გადმოვთარგმნეთ, მაგრამ ტომის მეთაურად განვმარტეთ, რადგანაც ვიგულისხმეთ, რომ უცხო დამკვირებელმა ადგილობრივი დაწესებულების ნამდვილი ბუნება ვერ გაიგო. იქნებ ასეთსავე გაუგებრობასთან გვაქვს საქმე ცნობაში ქართლის (ივერიის) შესახებაც? გ. ქ. სოსელია წერს: „სტრაბონის ბაზილევსი ნიშნავს წინამძღოლს, სამხედრო ხელმძღვანელს, ქართველ ტომებში — გვაროვნული წყობილების დროინდელ მამასახლისს ან სამხედრო წინამძღოლს". ვნახოთ, რას ამბობს სტრაბონი ამის შესახებ: ივერიის მოსახლეობის პირველი გენე არის ის, „რომლისგანაც აყენებენ („კათისტასი") მეფეებს („ბაზილევსებს"), ნათესაობისა და წლოვანებით უხუცესობის მიხედვით. მეორე [პირი მეფის შემდეგ, რომელიც ტახტის მემკვიდრეა და რომელიც „ბაზილევსი" გახდება მეფის სიკვდილის შემდეგ, ს. ჯ.] მოსამართლეობს და სარდლობს („სტრატელატეი")". **მაშასადამე, სარდლად ივერიაში (ქართლში), სტრაბონის მიხედვით, ტახტის მემკვიდრე ითვლებოდა და არა მეფე-ბაზილევსი!** იქნებ ბაზილევსი მამასახლისი იყო? არც ეგ არის სწორი: როცა ირანელებმა ქართლში მეფობა მოსპეს და ქვეყნის მმართველად მარზპანი დანიშნეს, მათ ხელუხლებლად დატოვეს „ქართლის მამასახლისის" თანამდებობა. „ქართლის მეფე" და „ქართლის მამასახლისი" სრუ-

ლიად სხვადასხვა მოვლენებია. ამრიგად, სტრაბონისეული იბერიის ბაზილევსი არა მარტო ეტიმოლოგიურად, არამედ რეალ-ისტორიულადაც ქართულ „მეფეს“ უდრის. სოსელიას განმარტება ამ საკითხის შესახებ, რბილად რომ ვთქვათ, „უკიდურესი დაუდევრობაა“ და „სიტყვების თამაში“.

საბუთი მეორე. „სტრაბონი ლაპარაკობს მხოლოდ მონებზე, რომელნიც ემსახურებოდნენ ბაზილევსს. მონების ამ სახით არსებობა სრულებით არაფერს გვეუბნება კლასობრივი საზოგადოების და სახელმწიფოს არსებობაზე“, — აცხადებს სოსელია. სტრაბონი ამბობს შემდეგს: იბერიის (ქართლის) მოსახლეობის „მეოთხე [გვარი არის] „ლაოების“ გვარი, რომელნიც სამეფო მონები არიან და რომელნიც ასრულებენ ყოველგვარ სამსახურს, რაც საჭიროა ცხოვრებისათვის [ამ ფრაზის თარგმნა სიძნელეს წარმოადგენს. რუსულად მას ასე გადმოსცემენ: მიშჩენკო — „Это царские рабы, производящие все необходимое для жизни“, ხოლო აკადემიკოსი ლატიშევი: „служит рабами у царей и доставляет все необходимое для жизни“ С. Дж.]“. მაშასადამე, იბერიის (ქართლის) უკანასკნელი გვარის საკუთარი სახელი ყოფილა „ლაოების გვარი“ „ლაოს“ ბერძნულად ნიშნავს „მდაბიო ხალხს“ და ასე თარგმნიან მას რუსულადაც: მიშჩენკო — „простой народ“, აკად. ლატიშევი: „простонародье“. მაგრამ ამ ტერმინს ბერძნულად უფრო სპეციალური მნიშვნელობაც ჰქონდა: იგი აღნიშნავდა ისეთ მდაბიო ხალხს, რომელიც სხვის მიწაზე იჯდა, მას ამუშავებდა და პირად თავისუფლებასაც მეტნაკლებად მოკლებული იყო. ბერძნ. „ლაოი“ უახლოვდებოდნენ რომაელ კოლონებს. განსაკუთრებით ბლომად იყვნენ ეს „ლაოი“ მცირე აზიაში, ე. ი. სწორედ სტრაბონის სამშობლოში, რაც ჩვენთვის მეტად საყურადღებოა. იქ ისინი, ესეც ძალიან საყურადღებოა, უპირატესად მეფეებს ჰყავთ და სამეფო მიწაზე სხედან. ცხადია, იბერიის აღწერილობაშიაც სწორედ ასეთი დამოკიდებული მოსახლეობაა. ცნობა, რომ ისინი „სამეფო მონები“ არიან, ჩვენი კლასობრივი კლასიფიკაციისათვის სრულებით არაფერს არ ამბობს. აქ მხოლოდ მათი იურიდიული დამოკიდებულებაა გამოხატული, ისიც არა ზუსტად — ტერმინოლოგიურად, და ასეთი უზუსტობა ძველი დროისათვის სრულებით არ არის გასაკვირველი. საქართველოში XIX ს-შიაც ყმა-გლეხებს ზოგჯერ ჰყავდათ ნაყიდი მონები, რომელნიც „გლეხის გლეხად“ იწოდებოდნენ — ამ ტერმინოლოგიაში სრულიად წაშლილია განსხვავება ყმასა და მონას შორის მაშინ, როცა რეალურად ეს განსხვავება ძირითადი ხასიათისაა.

ასეთივე არაპირდაპირი მნიშვნელობით ჩვენც ხშირად ვუწოდებთ მონას როგორც ყმას, ისე პროლეტარსაც: „მონობა პირველი, ანტიკუ-

რი მსოფლიოსათვის დამახასიათებელი ფორმაა ექსპლოატაციისა; მას საშუალო საუკუნეებში ბატონყმობა მოსდევს, ახალს ეპოქაში — დაქირავებული შრომა. ეს მონობის სამი დიდი ფორმაა; ისინი ახასიათებენ ცივილიზაციის სამ დიდ ეპოქას; მონობა მუდამ ცივილიზაციას მოჰყვება თან, ახდილი თუ ნიღაბჩამოფარებული სახით“ (ენგელსი, ოჯახი, 211 იხ. აგრეთვე „კაპიტალი“, 1—701). უეჭველია, რომ სტრაბონიც აქ „მონას“ არაპირდაპირი მნიშვნელობით ხმარობს.

ესეც არ იყოს, იმისათვის, ვინც იცნობს ანტიკურ სამყაროსა და მის შეხედულებებს, აბსოლუტურად გამორიცხულია შესაძლებლობა, რომ სტრაბონს თუ მის წყაროს მეოთხე გენეში ნამდვილი მონები ეგულისხმა.

ანტიკურ სამყაროში „მონათმფლობელები მონებს თვლიდნენ თავის საკუთრებად, კანონი ამტკიცებდა ამ შეხედულებას და განიხილავდა მონებს, როგორც ნივთს, რომელიც მთლიანად იმყოფება მონათმფლობელის მფლობელობაში. ყმა-გლეხის მიმართ დარჩა კლასობრივი ჩაგვრა, დამოკიდებულება, მაგრამ მებატონე-მემამულე არ ითვლებოდა გლეხის, როგორც ნივთის, მფლობელად, არამედ მას ჰქონდა მხოლოდ უფლება მის შრომაზე და განსაზღვრული ვალდებულების შესრულების იძულებაზე. პრაქტიკაში, როგორც ყველამ იცით, ბატონყმობა, განსაკუთრებით რუსეთში, სადაც მან ყველაზე დიდხანს გაძლო და ტლანქი ფორმები მიიღო, არაფრით არ განსხვავდებოდა მონობისაგან“ (ლენინი. ლექცია სახელმწიფოს შესახებ). ლენინის მიერ აღნიშნული განსხვავება შეხედულებათა მონასა და ყმაზე ძალიან დიდი იყო: „მონათმფლობელური ეპოქის სახელმწიფო იყო მონათმფლობელთა სახელმწიფო, სულ ერთია — იყო ეს მონარქია თუ რესპუბლიკა არისტოკრატიული თუ დემოკრატიული. ძველი დროის ისტორიის ყოველ კურსში, როცა თქვენ მოისმენთ ლექციას ამ საგნის შესახებ, თქვენ გაიგონებთ ბრძოლაზე, რომელიც მონარქიულ და რესპუბლიკურ სახელმწიფოთა შორის იყო, **მაგრამ ძირითადი იყო ის, რომ მონები არ ითვლებოდნენ ადამიანებად: არამცთუ არ ითვლებოდნენ მოქალაქეებად, არამედ ადამიანებადაც არ ითვლებოდნენ. რომაული კანონი მათ განიხილავდა, როგორც ნივთს. კანონი მკვლელობის შესახებ, ადამიანის პიროვნების დაცვის სხვა კანონთა შესახებ რომ არ ვილაპარაკოთ, არ განეკუთვნებოდა მონებს, — იგი იცავდა მხოლოდ მონათმფლობელებს, რომელნიც მხოლოდ და მხოლოდ მიჩნეული იყვნენ სრულუფლებიან მოქალაქეებად.** მაგრამ თუ არსებობდა მონარქია, ეს იყო მონათმფლობელთა მონარქია, თუ რესპუბლიკა, ეს იყო მონათმფლობელთა რესპუბლიკა. **მათში ყველა უფლებით სარგებლობდნენ მონათმფლობელები, ხოლო მონები წარმოადგენდნენ ნივთს, კა-**

ნონის მიხედვით, და არამცთუ მათ მიმართ შესაძლებელი იყო რანაირიც გინდა ძალმომრეობა, არამედ მონის მოკვლაც-კი არ ითვლებოდა ბოროტმოქმედებად"... (იქვე, ხაზი ყველგან ჩვენია — ს. ჯ.). ამრიგად, ძველ სამყაროში მონები არამცთუ მოქალაქეებად არ ითვლებოდნენ, ისინი არ ითვლებოდნენ ადამიანებადაც კი, ისინი მხოლოდ ნივთად (რომაული სამართლის ენაზე — „რეს") იყვნენ მიჩნეულნი. არისტოტელე ამბობს, რომ მონა მხოლოდ ცოცხალი იარაღია, სულდგმული საკუთრება, სატვირთავი პირუტყვი! რას წარმოადგენენ **იბერიის „ლაოი"? ისინი ამ ქვეყნის მოსახლეობის ერთი ოთხ „გენეთაგანია"**: პირველი ბაზილევსების გენეა, მეორე — ქურუმებისა, მესამე — მეომართა და მიწისმფლობელთა, მეოთხე — ლაოებისა. თითქოს ითვალისწინებდა მომავალ მკვლევართა საჭიროებას, სტრაბონი აქ განსაკუთრებით ზუსტია. იგი ამბობს: „ტეტარტონ დე ტო ტონ ლაონ", აქ არტიკლი „ტო". საშუალო სქესის გრამატიკული ნიშანი, სრულიად უეჭველად გულისხმობს სიტყვა „გენოს"-ს, რომელსაც ჩვენ „გენედ" ვაქართულებთ და რომელიც სტრაბონის ფრაზაში, ბერძნული ენის ჩვეულებრივი წესის თანახმად, გამოტოვებულია, მაგრამ აუცილებლად იგულისხმება. ამას ადასტურებს მომდევნო სიტყვის, გრამატიკული მსაზღვრელის, ნათესაობითი ბრუნვის ფორმა. მაშასადამე, მთელი ფრაზა უნდა გადმოითარგმნოს: „მეოთხე გენე არის გენე ლაოებისა". მაგრამ რა არის „გენოს" — გენე?. ეს სიტყვა ბერძნულად, უწინარეს ყოვლისა, ნიშნავს „გვარს" (ლათინ. „გენუს"), შემდეგ — შთამომავლობას, ნაშიერს, ტომს, ხალხს (შეადრ. ძვ. ქართ. „ნათესავი"-ტომი), თაობას, რასას, ნათესაობას, სქესს, „პოლიტიკურსა და სამოქალაქო ცხოვრებაში — კლასს, რიცხვს" (იხ. მაგ., პოსპიშილის ბერძნ.-რუს. ლექსიკონი), შემდეგ აგრეთვე — წარმოშობას. ორი ყველაზე უფრო ცნობილი რუსი მთარგმნელი სტრაბონისა, მიშჩენკო და აკადემიკოსი ლატიშევი, სტრაბონის ცნობაში იბერიის შესახებ გენოსს თარგმნიან „კლასად". ჩვენ ეს არ მიგვაჩნია სწორად, ისევე როგორც სწორად არ მიგვაჩნია აქ მისი გადმოთარგმნა „გვარად" გვაროვნული ორგანიზაციის მნიშვნელობით (იბერია იყო ვრცელი ქვეყანა, მრავალ ქალაქად და სოფლად მჭიდროდ დასახლებული, რომელსაც შეეძლო 80 000 კაცამდე მეომრის გამოყვანა და მისი ოთხ გვარში მოთავსების ცდა სრული უაზრობაა). აქ. რა თქმა უნდა, იგულისხმება ოთხი საზოგადოებრივი წრე, სტრაბონისა და მისი წყაროს თვალსაზრისით, უწინარეს ყოვლისა განსხვავებული თავისი წარმოშობის მხრივ, ხოლო რეალ-ისტორიულად, განსხვავებული თავის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის მხრივაც. ჩვენი აზრით, პირველი გენე სამეფო დინასტიაა, დანარჩენი სამი — თავისებური, წინაფეოდალური წოდებები. ყოველ შემთხვევაში, აბსო-

ლუტურად ცხადია, რომ აქ ლაპარაკია ერთისა და იმავე საზოგადოების 4 სხვადასხვა განაყოფზე, წრეზე, რომელნიც რომელიღაც პუნქტში შეიძლება ერთ სიბრტყეზე იქნენ განხილულნი, ოთხივე ერთნაირად გენეა. ეს, რა თქმა უნდა, მოქალაქობრივი თვალსაზრისია. სტრაბონი ამ აღწერილობას ხომ ასე იწყებს: „ადამიანთა ოთხი „გვარი“ (გენე) სახლობს (ბინადრობს) ამ ქვეყანაში“. გამოთქმა „სახლობს“ („ოიკეი“) კიდევ უფრო მეტად ამტკიცებს ჩვენს მოსაზრებას — მეოთხე გენეც აქ, პირველი სამივით, ქვეყნის „მოსახლეთა“, „ბინადართა“, მკვიდრთა რიცხვშია ჩათვლილი. აბსოლუტურად შეუძლებელია, რომ მონათმფლობელური საზოგადოების ღვიძლ შვილებს, როგორიც იყვნენ სტრაბონი თუ სხვა ძველი ბერძენი მწერლები, მონები მიეჩნიათ ასეთ ორგანულ სოციალურ წრედ. აქ დამახასიათებელია ცნობაც, რომ ეს „ლაოი“ ყოველგვარს, ცხოვრებისთვის საჭირო, სამსახურს ასრულებდნენ სამეფო დინასტიის სასარგებლოდ. რომელ ძველ მწერალს მოუვიდოდა თავში აზრი, ეთქვა ასეთი რამ მონების შესახებ — სხვა რა დანიშნულება ჰქონდათ მონებს, თუ არ მხოლოდ სამსახური? ახლა თუ „გენეს“ გავიგებთ, როგორც „გვარს“, გვაროვნული ორგანიზაციის მნიშვნელობით, ან ტომს, რაც თავისთავად აბსურდია, მაშინ ზემოთ აღნიშნულ უაზრობას კიდევ ახალი ემატება — მონები მიჩნეულ არიან ერთ მთლიან, მეტნაკლებად დიდ, მჭიდრო საზოგადოებრივ წრედ, რომლის წევრები ურთიერთშორის სისხლის ნათესაობით, საერთო წარმოშობით, არიან დაკავშირებულნი, რომ აქ ქორწინება, ოჯახიანობა, ბუნებრივი გამრავლება თავისთავად საგულისხმებელი მოვლენაა. მოკლედ: გამოვა, რომ მონები, მონები არ არიან.

ამრიგად, გასაგები ხდება, რომ სტრაბონის ცნობაში ამ წრეს შემთხვევით არ ეწოდება „ლაოების“ გენე: ესენი, მართლაც, „ლაოი“, დამოკიდებული, ექსპლოატირებული, სოფლის „მდაბიო ხალხია“ და არა მონები.

ამ დასკვნას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ასეთი საზოგადოებრივი წრის არსებობა სრული მიუცილებლობით ჩვენ გვაგულისხმებინებს მონობისა და მონების წინაარსებობას და არ გამორიცხავს მონობისა და მონების თანაარსებობასაც. ვინც ოდნავ მაინც იცნობს საქართველოს არქეოლოგიას, მისთვის ასეთ მტკიცებაში მოულოდნელი არაფერი იქნება — მონური შრომის გამოყენება აქ ბევრ რამეში უდაოდ ჩანს მრავალი საუკუნით ადრე სტრაბონის ეპოქამდე. მოიპოვება ჯაჭვით დაბმული მონების ბრინჯაოსგან გაკეთებული ქანდაკებანიც კი. მაგრამ ამას ახლა თავი დავანებოთ. არავის შეუძლია იმის უარყოფა, რომ, სტრაბონის აღწერილობით, იბერიაში ქურუმებს ერთგვარად გაბატონებული მდგომარეობა აქვთ მოპოვებული. აქ დავა შეი-

ძლება იყოს და არის კიდევაც, მხოლოდ იმის შესახებ თუ რა დონეს მიაღწია უკვე ამ ბატონობამ? მაგრამ რანაირად მოიპოვეს ქურუმებმა ეს, თუნდაც განსაზღვრული, ბატონობა? ჩვენი აზრით: „ეჭვს გარეშეა, რომ ტაძრებს ამ დროს იბერიაში საკუთარი არამცირედი სივრცის მამულები აქვთ, რომელთა დამუშავებისათვისაც ისინი არათავისუფალ შრომას იყენებდნენ (საფიქრებელია, რომ უფრო მონების შრომას, რადგანაც სტრაბონის ტექსტში კოლონების მფლობელად მხოლოდ მეფის „გენე"-ა აღნიშნული). საფიქრებელია, აგრეთვე, რომ ეს ტაძრები განძების მფლობელნი არიან" (ნაკვ. II, გვ. 21). შემდეგ, აღვწერთ რა ტიპურ გზას ტაძრებისა და ქურუმების დაწინაურებისას, ვამბობთ: „თანდათან ტაძრები და მათი წარმომადგენლები იქცევიან უდიდეს მემამულეებად, რომელნიც თავიანთ მიწებს მონების ან ყმების შრომით ამუშავებენ. ფულად ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად ტაძრები, რომელთაც დიდი განძები აქვთ დაგროვილი, სავახშო კაპიტალის როლში გამოდიან და კიდევ უფრო ჰბოჭავენ მათი გავლენის ქვეშ მყოფ ხალხს... იბერიის ქურუმთა წოდების განვითარების კონკრეტული ისტორია ჩვენთვის უცნობია პირდაპირი ცნობების სრული უქონლობის გამო, მაგრამ აქაც განვითარების გზა ზემოთაღწერილის მსგავსი იყო" (იქვე, 24). შემდეგ ჩვენ მოგვყავს მერმინდელი ანალოგია ამ პროცესისა ქართული სინამდვილიდან და დავასკვნით: „ქურუმები იმიტომ კი არ იქცევიან გაბატონებულ კლასად, რომ ისინი წარმოების ორგანიზატორები არიან. სინამდვილეში ეს პროცესი პირუკუ ხდებოდა. წინასწარი ერთგვარი ეკონომიკური დიფერენციაცია არის აუცილებელი პირობა საზოგადოებრივი ფუნქციების უზურპაციისა და საზოგადოებრივი მიწების მიტაცებისათვის" (ნაკვ. III, 19). მაგრამ შრომის ექსპლოატაციის რომელ სახესთან გვაქვს საქმე ტაძრების მამულებზე? რაკი ლაოი-კოლონები მხოლოდ სამეფო დინასტიას ჰყავდა, აქედან ლოგიკური აუცილებლობით გამომდინარეობს, რომ ტაძრები და ქურუმები მონების შრომით სარგებლობდნენ, რომ „ტაძრები თავიანთ მამულებზე შედარებით ფართო მეურნეობის წარმოებას იწყებენ და ამისათვის საჭირო ხდება მონების შრომის უფრო დიდი მაშტაბით გამოყენება" (იქვე, 6), თუმცა „წარმოების მიწათმფლობელურ წესს, რომელიც წარმოადგენდა ქურუმთა ბატონობის საფუძველს, არასოდეს არ მიუღია, როგორც ჩანს, ქართველ ტომებში ისეთი ფართო ხასიათი, რომ ის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების საძირკველი გამხდარიყო" (იქვე, 21), როგორც რომსა და საბერძნეთში. იმათთვის კი, ვინც მეოთხე გენეს მონათა გენედ თვლის და, მაშასადამე, სამეფო დინასტიის გარდა, სხვა

საზოგადოებრივი წრისათვის მონური შრომის გამოყენების შესაძლებლობას უარყოფს (მეოთხე გენეს წარმომადგენლები ხომ მხოლოდ სამეფო დინასტიას ემსახურებოდნენ!), ასეთივე აუცილებლობით გამომდინარეობს, რომ ქურუმთა თუნდაც განსაზღვრული სახით ბატონობასაც არავითარი ეკონომიური საფუძველი არა აქვს, რომ ტაძრების მამულებზე არავითარ შრომის ექსპლოატაციას ადგილი არ ჰქონია, რაც, რა თქმა უნდა, არ არის სწორი.

ტაძრებისა და ქურუმების გარდა, მონები ჰყავდათ, ცხადია, სხვებსაც — სახელდობრ, სამეფო დინასტიას, ერთი მხრით, და, მეორე მხრით — მესამე გენეს, თავისუფალთა წოდების ანუ „ერის“ წარმომადგენლებსაც.

ჩვენ კარგი ცნობები მოგვეპოვება იმის შესახებ, თუ რამდენად იყო გავრცელებული მონური შრომა საქართველოს უახლოეს მეზობელ ქვეყნებში. ჩვენ აღნიშნული გვაქვს (ნაკვ. III, 37—41), რომ შავი ზღვის სანაპიროზე და სარმატიაში (ჩრდ. კავკასია) მონათვაჭრობა და ადამიანთა ტყვედ მოტაცება ფართოდ იყო გავრცელებული და ზოგიერთი ტომისათვის პირდაპირ პროფესიას წარმოადგენდა. ქ. ტანაიდი, მაგ. (მდ. დონის შესართავთან) მონათვაჭრობის დიდი ბაზარი იყო. სარმატიის ერთმა პატარა ქალაქმა, ტუსპამ, რომელსაც ალყა ჰქონდა შემორტყმული რომაელებისა და მათი მოკავშირეების მიერ, 48 წ., შეწყალების სანაცვლოდ ათი ათასი მონა შეაძლია მტერს. სარმატია კი ივერიას, თავისი განვითარებით, ბევრად ჩამორჩებოდა.

თვით საქართველოს ისტორიიდანაც ჩვენ შეგვიძლია მრავალი არაპირდაპირი ჩვენების მოპოვება მონობის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ საქართველოს უძველეს ისტორიაში. არავის არ მიუქცევია ყურადღება, მაგ., იმ უაღრესად საინტერესო გარემოებისათვის, რომ **სწორედ მონობასთანაა დაკავშირებული და მხოლოდ მის ნიადაგზე არის გასაგები განსაკუთრებული გავრცელება ტრანსპორტის იმ სახისა, რომელიც შემდეგში კარგავს თავის მნიშვნელობას სოციალურ-ეკონომიური პირობების გამოცვლასთან დაკავშირებით, სახელდობრ, ნაოსნობისა** (ალაზანზე, მტკვარზე, რიონზე, ყვირილაზე), რომლის შესახებაც ლაპარაკობს სტრაბონი: **შედარებით ჩქარი დენის მქონე ჩვენს მდინარეებზე ნაოსნობის ფართო გამოყენება ტვირთების გადასაზიდად, განსაკუთრებით, როცა მოძრაობა ზევით მიიმართებოდა, შესაძლებელი იყო რენტაბელურად მხოლოდ მონა-მენიჩბეების უხვი და მუქთი შრომის გამოყენებით. წარმოების ამ წესის დაცემასთან ერთად ეცემა ტრანსპორტის ამ სახის მნიშვნელობაც:** ფეოდალურ საქართველოში მდინარეებზე ნაოსნობა შეუდარებლად უფრო სუსტა-

დაა წარმოდგენილი. ცვლილება ღრმად ეხება თვით გზების მიმართულებასაც და მათს ხასიათსაც სხვა მხრივ, მაგრამ ამის შესახებ შემდეგ.

**საბუთი მესამე.** სოსელია წერს: „სტრაბონის დროს და მასზე წინათ ადგილობრივ მკვიდრთა ფულის მოჭრის შესახებ ისტორიაში არავითარი ცნობები არ არის. ჯანაშია-ბერძენიშვილს მხედველობაში აქვთ „კოლხური თეთრი", მაგრამ, ჯერ-ერთი, ეს კოლხეთში ყოფილა და არა იბერიაში"... შევჩერდეთ ცოტა ხანს აქ. სოსელია უარყოფს ჩვენთვის შესაძლებლობას, ივერიის (ქართლის) ძველი ისტორიის აღდგენისას გამოვიყენოთ კოლხეთის ძველი ისტორიის ფაქტები. ჩვენ კი, მართლაც, სხვა შეხედულებისა ვიყავით და ვართ, ჩვენ უფრო შორეულ ქვეყნების ისტორიასაც მივმართავთ: „რაკი პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება, არაპირდაპირსა და მეზობელ ქვეყნებთან შედარებითი შესწავლის გზას უნდა მივმართოთ. საერთოდ, ქართველი ტომების ისტორიული მდგომარეობის შესწავლა შეუძლებელია მეზობელ, პირველ რიგში, კავკასიელ ტომთა ვითარების გათვალისწინების გარეშე შესაბამის ხანაში. სამეურნეო და კულტურული კავშირები ნაწილობრივ გენეტიკურ, ნაწილობრივ, ისტორიულ ხასიათისა, ურთიერთგავლენა და ურთიერთმოქმედება აქ იმდენად ხელშესახებია, რომ უფლება გვაქვს, მეთოდოლოგიურ ზედმიწევნილობისა და მკაცრ ისტორიულ პერსპექტივის დაცვის პირობებში, ლოკალურ განვითარების მთელი სპეციფიკურობის გათვალისწინებით, ერთი ტომის სინამდვილის ცნობილი ფაქტებიდან გარკვეული დასკვნები გავაკეთოთ მეორე ტომის უცნობი სინამდვილის შესახებ. განსაკუთრებით ახლოს არიან, ამ მხრივ, ერთმანეთთან ამიერკავკასიის ქვეყნები, რაც აგრეთვე, რა თქმა უნდა, სრულებით იმას არ ნიშნავს, თითქოს თვითეული მათგანის განვითარებას საკუთარი ტემპი და თავისებურება არ ჰქონდეს"... (ნაკვ. II 28—29). აქ ჩვენ ვგულისხმობდით, უწინარეს ყოვლისა, სომხეთს, აზერბაიჯანს, ჩრდ. კავკასიას. ჩვენ თავშიაც არ მოგვსვლია, რომ ასეთი საკითხი უნდა დაყენებულ იქნეს თვით საქართველოს ცალკე ნაწილების მიმართაც. შემდეგ — ჩვენ ხომ ივერიის (ქართლის) ისტორიას კი არ ვწერდით, არამედ **საქართველოს** ისტორიას. მაგრამ თემის ასეთი დავიწროების პირობებშიაც კოლხეთი და ივერია ურთიერთშესახებ ბევრს საყურადღებო რასმე გვამცნობენ. მოვიგონოთ, რომ უძველესი დროიდან მოყოლებული მთელი ზემო იმერეთი, შორაპან-სკანდადან მოყოლებული, ყოველთვის IX საუკუნის დამდეგამდის ქრ. შ., ივერიის ფარგლებში შემოდიოდა. აქ დიდი ასპარეზი იყო ურთიერთმოქმედებისათვის.

დავუბრუნდეთ სოსელიას აზრებს კოლხური თუ საქართველოს სხვა ძველი ფულის შესახებ: „არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქ-

როთ, რომ „კოლხური თეთრი“ ან სხვა რომელიმე ფული, მოჭრილი ადგილობრივ მკვიდრთა მიერ, იყო ხმარებაში ქრისტ. წელთაღრიცხვის დამდეგამდე ან ამ დროს თუნდაც კოლხეთშიაც. პირიქით, სრული საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს ფული შემოტანილი იყო უცხოელების მიერ ან მოჭრილი კოლხეთის უცხოელთა კოლონიებში“... რას ამბობს ამის შესახებ მეცნიერება?

ძველი ქართული ფულების საუკეთესო მცოდნედ ამჟამად ითვლება ცნობილი ნუმიზმატი ე. პახომოვი. აი, რასა წერს იგი „კოლხური თეთრის“ და კოლონიების ფულის შესახებ: დასავლეთ საქართველოს ბერძნული კოლონიები „სჭრიან თავის მონეტას, რომელიც მეტ-ნაკლებად ვრცელდება ქვეყანაში, ქალაქის სავაჭრო რაიონის მეტნაკლებობის შესაბამისად. კოლონიალური მონეტების მიმოქცევა წარმოებდა უპირატესად თვით სანაპიროზე და ისინი შედარებით იშვიათად გადიოდენ ქვეყნის შუაგულში. მაგრამ თვით კოლონიებს შორის, რომელნიც უკვე მიჩვეული იყვნენ სამონეტო მიმოქცევას, არსებობდა ცხოველი მუდმივი ურთიერთობა, რის წყალობითაც მათი მონეტები ვრცელდებოდა შავი ზღვის მთელ ნაპირზე: აქამდის ჩვენ ხშირად ვპოულობთ სოხუმის მიდამოებში, ძველი დიოსკურიადის მახლობლად, როგორც ჩრდილოეთის (პანტიკაპეა და სხვ.), ისე სამხრეთის (სინოპი, ამისი და სხვ.) კოლონიების მონეტებს[2]. ბერძნული ქალაქებიდან იმ სანაპიროს ფარგლებში, რომელიც დასახლებული იყო ქართველი ტომებით (ან უკანასკნელთა გავლენის ქვეშ მოქცეული ტომებით), საკუთარ მონეტას სჭრიდა, როგორც ჩანს, მარტოოდენ დიოსკურიადა. კოლონიალურ ფულის გარდა, სანაპიროზე გვხვდება მეტროპოლიის (რუს. ტექსტშია „материковых“) ბერძ. ქალაქების ფულიც. ყველაზე ხშირად — ათენის ტეტრადრახმები. როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ყველა ეს მონეტა ხმელეთის შუაგულში სუსტად იჭრება IV საუკუნემდის ქრ. წ., მაგრამ ამ დროისათვის გარემოებები, როგორც ჩანს, იცვლება: ბერძნულ მოსახლეობათა კულტურული ზემოქმედება ადგილობრივ მკვიდრებზე იმდენად ძლიერი ხდება, რომ ვაჭრობის გაცვლა-გამოცვლითი ფორმა უკან იხევს ფულადის წინაშე, და ადგილობრივი მკვიდრნი იწყებენ უკვე ფულადი ნიშნების სარგებლობის შეგნებას. მონეტა, რომელიც სანაპიროდან ხმელეთის შუაგულში გადიოდა, ალბათ, მხოლოდ სამკაულის, ხელოვნების საგნის, სახით, და ისიც უმნიშვნელო რაოდენობით, რითაც უნდა აიხსნას მისი იშვიათობა იმერეთის შუაგულში, ახლა იქცევა აუცილებლობის საგნად, და

---

2 ქალაქები პანტიკაპეა, სინოპი, ამისი — საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარეობდა.

IVს. დამდეგიდან, ვრცელდება იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში, ჭოროხის მხარეში და სხვაგან. აი ამ დროს შეიძლება მიეკუთვნოს, დაახლოებით, კოლხური მონეტის („Колхидка“) გაჩენა, რომელიც ყველაზე უფრო ჩვეულებრივია დასავლეთ საქართველოში ნაპოვნ ანტიკურ მონეტათა შორის... „კოლხურად“ („Колхидка“) ეს მონეტები ამჟამად იწოდება იმ ქვეყნის მიხედვით, რომელშიაც ისინი უპირატესად გავრცელებულია, ე. ი. შავი ზღვის ნაპირიდან ლიხის მთებამდე და ტრაპეზუნტიდან აფხაზეთამდე, რაც დაახლოებით შეესატყვისება იმ ქვეყანას, რომელსაც ძველი ბერძნები კოლხეთის სახელწოდებით იცნობდნენ... არაჩვეულებრივი რაოდენობა ვარიანტებისა, რომლებიც გვაძლევენ ყველა ნუანსს უაღრესად ნატიფი (изящный) ტიპიდან უაღრესად ტლანქად შესრულებული ტიპისაკენ და რომლებიც გაკეთებულია სხვადასხვა ხარისხის (საერთოდ, ყოველთვის საკმაოდ კარგი სინჯის) ვერცხლისაგან, მიუთითებს (ამ მონეტის) ჭრის ხანგრძლიობაზე, რაც, ალბათ, საუკუნეებით (IV—II სს. ქრ. წ.?) უნდა გაიზომებოდეს. ხოლო ერთი ტიპის შენახვა და ქალაქის სახელის აღუნიშვნელობა თითქოს მიუთითებს იმაზე, რომ ეს მონეტა იჭრებოდა არაერთი რომელიმე კოლონიისათვის, არამედ მთელ კოლხეთში მიმოქცევისათვის, სადაც სწორედ ყველგან გვხვდება: ძნელი საპოვნია დასავლეთ საქართველოში, ახლაც კი, ისეთი, ოდნავ მაინც ვრცელი რაიონი, სადაც იგი აღმოჩენილი არ იყოს. აღმოსავლეთ საქართველოში იგი აგრეთვე გადადიოდა, მაგრამ მეტად უმნიშვნელო რაოდენობით: ცხადია, რომ იგი აქ იყო მოსული, და არა ადგილობრივი მონეტა... „კოლხური“ ფულის მრავალფეროვნება და რაოდენობა ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მათი ჭრის ეპოქა გრძელდებოდა დიდხანს, შესაძლებელია, რამდენიმე საუკუნე (IV—II სს. ქრ. წ.)“ (იხ. Е. Пахомов, Монеты Грузии, 1910 г., გვ. 5—8). უფრო ახალ შრომაში იგივე ავტორი წერს: „ალბათ ამ დროის ახლო ხანებში [ავტორი გულისხმობს V ს. დამლევსა და IV ს. დამდეგს ქრ. წ.] ჩნდება ე. წ. „კოლხური“ ფული (колхидка), რომელიც, როგორც ჩანს, მოჭრილია დასავლეთ ამიერ-კავკასიაში... ისინი გავრცელებულია სოხუმიდან, დაახლოებით, ტრაპეზუნტამდის, მაგრამ არ აღწევს უკანასკნელს. სამხრეთით, მათი მოპოვების არე ისაზღვრება პონტოს ქედით, ხოლო აღმოსავლეთით — ლიხის მთებით, რომლებსაც ქართლისაკენ მხოლოდ ცალკეული ეგზემპლარები გადადის. ტფილისის მაზრის რაიონში ისინი უკვე აღარ გვხვდება, მაშინ როცა იმერეთში ძნელია ისეთ სოფელს შეხვდეთ, რომელშიაც იგი არ იპოვებოდეს. ისინი, როგორც ჩანს, დიდხანს იჭრებოდნენ, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ რა დეტალებისა, დამუშავების

ტექნიკისა და ლითონის სიწმინდის მიხედვით“ (Е. Пахомов, Монетные Клады Азербайджана, 1926 г., გვ. 15). მაშასადამე, პახომოვის აზრით, კოლხეთის ბერძნული ქალაქებიდან (უმთავრესი მათ შორის იყო ფაზისი-ფოთი, დიოსკურია-სოხუმი, პიტიუნტი-ბიჭვინტა) ფულს ჭრიდა მხოლოდ დიოსკურია, მაგრამ ეს ფული ქვეყნის შუაგულს არ აღწევდა. **დიოსკურიას ფული მოღწეულია და მასზე ამ ქალაქის სახელწოდებაა ამოჭრილი.** მეორე მხრით, IV საუკუნიდან ქრ. წ. ჩნდება და მომდევნო საუკუნეების სიგრძეზე იჭრება ფული, რომელიც კოლხეთის შიგნით ტრიალებს აუარებელი რაოდენობით (მარტო პახომოვს თავის კერძო კოლექციაში ამ ფულის 500 ცალამდე მოეპოვება) და კოლხეთის თითქმის ყველა კუნჭულს აღწევს. უკვე ამ ფაქტებიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ეს კოლონიების ფული არ არის. ასეთი უნდა იყოს, კერძოდ, პახომოვის აზრი, ავტორის მიერ დიდი სიფხიზლით გამოთქმული (კოლონიებიდან ფულს სჭრიდაო მხოლოდ დიოსკურია, რომლის ფულს საერთო არაფერი აქვს „კოლხურ თეთრთან“). მაგრამ ჩვენ სხვა საშუალებაც მოგვეპოვება ამ საკითხის გადასაწყვეტად ან, ყოველ შემთხვევაში, გადაწყვეტის სწორი გზების ჩვენებისათვის. ეს არის „კოლხური თეთრის“ ტიპი. ამ ტიპს თანამედროვე ბერძნული, კერძოდ კოლონიების, ფულის ტიპთან საერთო არაფერი აქვს. უკვე თავის პირველ დიდ ნაშრომში იგი წერდა: „კოლხური თეთრის“ ნახატის დეტალების გამო, რომელიც მნახველს მოაგონებს ეგვიპტეს (თავის ეგვიპტური ხასიათით მრავალ ვარიანტზე, აგრეთვე ხარის გამოსახულება), არ შეიძლება არ მივუთითოთ იმაზე, რომ ჰეროდოტე და სხვა ძველი მწერლები არა ერთგზის აღნიშნავენ საერთო ხაზებს ეგვიპტელებსა და მე-5 ს., ქრ. წ., კოლხებს შორის“ (Монеты Грузии, 7).

შემდეგში იგი უფრო დაწვრილებით განმარტავს ამ აზრს, ეკამათება რა თავის რეცენზენტს, ა. ორეშნიკოვს, რომელმაც „კოლხურ თეთრზე“ გამოსახული ადამიანის თავი „არქაულ ბერძნულს“ მიამსგავსა: „არქაულ-ბერძნულ ხელოვნებას საფუძვლად დაედო ეგვიპტური და სირიულ-ფინიკიური, რომელნიც, თავის მხრით, მხოლოდ შტოები იყვნენ აღმოსავლური (მესოპოტამიის ან მის მახლობელი ქვეყნების) ხელოვნებისა. არქაულ-ბერძნულის „ყველაზე ადრინდელი ფორმები ამჟღავნებენ მჭიდრო ნათესაობას ფინიკიურ-ეგვიპტურთან“... სწორედ ამ პერიოდს, როცა **არქაულ ბერძნულ თავს ჰქონდა ეგვიპტური ან საზოგადოდ აღმოსავლური ხასიათი** [ხაზი ავტორისაა, ს. ჯ.], ეკუთვნიან ქანდაკებები, რომელნიც ყველაზე ახლოს დგანან, თავისი ნახატით, „კოლხური თეთრის“ თავთან (თმის დახვევისა და

დავარცხნის ხასიათი, „прическа из свитых валиков", თვალების აღმოსავლური ოვალი და სხვ.)... მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბერძნული ხელოვნების ეს პერიოდი საუკუნეებით არის დაშორებული „კოლხური თეთრის" მოჭრის დროს, ხოლო ამ საუკუნეების განმავლობაში იგი [ბერძნული ხელოვნება, ს. ჯ.] იმდენად დაშორდა დასახელებულ ფორმებს, რომ IV ს-ის მახლობლად ქრ. წ. მის ფორმებს არაფერი საერთო არ შეიძლებოდა ჰქონოდა „კოლხური თეთრის" გამოსახულებასთან (მერმინდელს არქაულს, მაგრამ უკვე წმინდა ელინურ თავებს უკვე სრულიად სხვა ხასიათი აქვთ), და ამიტომ „კოლხური თეთრის" ტიპი არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც არქაული ნაწარმოები ბერძნული ხელოვნებისა (და არა ტექნიკისა): ხომ არ იფიქრებთ, რომ დაახლოებით IV საუკუნის ბერძნები, ნიმუშს იღებდნენ არა იქიდან, რაც თვალწინ ედგათ, არამედ აღადგენდნენ იმ ფორმებს, რომლებსაც ხმარობდნენ მათი წინაპრები მრავალი საუკუნით ადრე ამ დრომდე... თავების მსგავსება არქაულ (უფრო სწორად — იმ პერიოდის, როცა ბერძნული ხელოვნება ექვემდებარებოდა ფინიკიურ-ეგვიპტურს) ბერძნულთან, აიხსნება ადგილობრივი კულტურის კავშირით ხელოვნების ზემოთ დასახელებულ სამი შტოს იმ ნაკადთან, რომელიც სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიიმართებოდა, ელინური გავლენის გარეშე... „კოლხური თეთრის" თავებსა და მცირე აზიაფინიკიის სანაპიროს იმ მონეტებს შორის, რომელთაც შეინარჩუნეს თავისი კულტურული დამოუკიდებლობის კვალი ელინიზმის მიმართ, ცხადად შეიძლება დავინახოთ მნიშვნელოვანი მსგავსება" (Е. А. П а х о м о в, Несколько слов о происхождении рисунка „Колхидок", Батум, 1911 г., გვ. 3—6).

რას წარმოადგენს ადამიანის გამოსახულება „კოლხურ თეთრზე"? პახომოვის აზრით, ეს ადგილობრივი ღვთაების გამოსახულებაა. ამ ფულებზე ჩვენ აღნიშნული თავის ოთხი ტიპი გვხვდება, რომლებიც, საფიქრებელია, ერთდროულია, რადგანაც ერთისა და იმავე განძის ფულებზე გვხვდებაო. ამასვე მოწმობს ის გარემოება, რომ „კოლხური თეთრის" მსხვილ ეგზემპლარებზე ერთ მხარეს გამოსახულია ერთი ტიპის თავი, ხოლო მეორე მხარეს — მეორე და მესამე ტიპის თავები ერთად; აქედან უნდა დავასკვნათ, რომ აქ გამოხატულია სხვადასხვა ღვთაებებიო, ამბობს პახომოვი (იქვე, 6—7). ხარიც „კოლხურ თეთრზე" პახომოვს ადგილობრივი ღვთაების გამოსახულებად მიაჩნია. და მიუთითებს ამ ფულის ერთ იშვიათ ცალზე, რომელზედაც ერთ მხარეს გამოსახულია ლომი, ხოლო მეორე მხარეს — დაჩოქილი **ხარისთავიანი ქალი**: ეს გვიხსნის, რომ ხარის თავი „კოლხურ თეთრზე"

საერთოდ ადგილობრივ ღვთაებას გამოხატავსო (იქვე 7—8). პახომოვის აზრით, ზემოთ აღნიშნული „მსგავსება შემთხვევითი კი არ არის, არამედ შედეგია ამიერკავკასიის რომელიღაც გაურკვეველი კავშირებისა წინა აზიის არაელინურ (вне-эллинская) კულტურასთან, თუმცა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია ვილაპარაკოთ ამ გამოსახულებათა პირდაპირი, უშუალო. სესხების შესახებ ეგვიპტედან" (იქვე, 8). „კოლხური თეთრის" წარმოშობის განმარტებისას ძალიან მნიშვნელოვანია საკითხი იმ სისტემის შესახებ, რომელზედაც დამყარებულია ეს ფული. ამის შესახებ პახომოვი ამბობს: ... „მიუხედავად იმისა, რომ ეს ფული ასეული ცალები მაქვს აწონილი (ჩემს კოლექციაში 500 ცალამდეა „კოლხური თეთრი"), ზოგი რამ ჩემთვის არ არის მთლად ნათელი და ამიტომ მე ვარჩევ არ მივსცე ამ ძეგლებს გარკვეული სახელწოდებანი ტრიობოლებისა, დიდრაქმებისა და სხვათა", არამედ ახალ ფაქტებს დაველოდოო. აქ სიძნელეს მკვლევრისათვის ის გარემოება ქმნის, რომ „კოლხური თეთრი" ბერძნული ფულების ცნობილ სისტემებს კი არ მისდევს, არამედ მეტნაკლები თავისებურებით ხასიათდება! (იქვე, 8).

მაშასადამე, მივიღეთ: „კოლხური თეთრი" კოლხეთის შინაგანი ფულია და აქ რამდენიმე საუკუნის სიგრძეზე იჭრება. იგი თავისი ტიპით და სისტემით განსხვავდება იმდროინდელი ბერძნული ფულებისაგან, კერძოდ, თვით კოლხეთის ბერძნული ქალაქების ფულთაგან, კერძოდ, დიოსკურიას ფულისაგან, რომელიც მოღწეულია. ბუნებრივია, ამიტომ ვიფიქროთ, რომ ეს ფული მოჭრილია ადგილობრივი ხელისუფლების მიერ და არა კოლონიების მიერ (მესამე მომჭრელის შესაძლებლობა გამორიცხულია).

ამასთან დაკავშირებით ღრმად საინტერესოა ერთი ფაქტი, რომლის მნიშვნელობისათვის არავის მიუქცევია ყურადღება, არც თვით პახომოვს, რომელმაც აღნიშნა იგი: 1910 წლის მახლობლად, სადგ. ჯუმათთან იპოვნეს ფულების განძი, რომლიდანაც 40 ცალამდე თვით პახომოვს უნახავს. ეს იგივე „კოლხური თეთრია", მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ ცალებზე ორი ასო „მო" (ჩანს, ბერძნულად, თუმცა პახომოვს ამის მოხსენება დავიწყებია) არის ამოჭრილი. რამდენიმე ცალი მათგან ამჟამად მუზეუმებშია დაცული (П а х о м о в, Монетные клады Азербайджана, 37). ამ დროინდელი ფულების წარწერებში ადგილის ან მომჭრელის სახელწოდება აღინიშნება ხოლმე. ადგილის სახელწოდება ჩვეულებრივად აღინიშნება (ბერძნულ ზედწერილებში) სახელების პირველი მარცვლით ან მარცვლებით. მაგ., ათენის ფულზე „ათე", დიოსკურიას ფულზე — „დიო", პანტიკაპეას ფულზე — „პან" და სხვ. ამიტომ ჩვენ საკითხს ვაყენებთ: ხომ არ აღნიშნავს

„მო“ მოხირეზისს ანუ მუხირეზისს, ადგილობრივი გამოთქმით — „მუხურს“, რომელიც იყო კოლხეთის ცენტრალური, ეკონომიურად და პოლიტიკურად, რაიონი (იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ეგრისის სამეფოს წარმოშობა, ტფ., სახ. უნ. შრომები, I, 275—276) და რომლის სახელწოდებაც ზოგჯერ ამ რაიონის მთავარ ქალაქზედაც გადადიოდა? საკითხს საბოლოოდ მომავალი კვლევა გადაწყვეტს.

არის კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი. I ს. დამდეგს ქრ. წ. კოლხეთმა პოლიტიკური დამოუკიდებლობა დაკარგა — იგი პონტოს მეფის მითრიდატის ხელში გადავიდა, ხოლო 65 წ. ქრ. წ. კოლხეთი მითრიდატის მტრებმა, რომაელებმა, დაიპყრეს პონტოს სამეფოს განადგურების შემდეგ. რომაელები კოლხეთს თავის სამხედრო ნადავლის ნაწილად თვლიდნენ და მათ აქ ძველის მაგიერ ახალი მმართველი, ვინმე არისტარხი, დანიშნეს. ზოგი წყაროთი არისტარხი კოლხების „დინასტად“ იყო დადგენილი, სხვა წყაროებით — კოლხების „მეფედ“ (რექს“). აი, ამ არისტარხს მოუჭრია თავისი ფული, რომელმაც მოაღწია ჩვენს დრომდე. ფულზე ერთ მხარეს გამოსახულია დინასტის გვირგვინოსანი თავი, ხოლო მეორე მხარეს — მჯდომარე ქალის ფიგურა და ბერძნულად წარწერილია: „არისტარხუ ტუ ეპი კოლხიდოს“ (Р е т о в с к и й, Драхма Аристарха Колхидского, Труды Моск. Нум. Общ., т. III, 1905). ეს ფაქტი მრავალმეტყველია. არისტარხი იმავე დროს ბოსფორის მფლობელიც იყო — რომაელი ისტორიკოსი ფესტი ამბობს, რომ „პომპეუსმა დაადგინა [65 წ. ქრ. წ.] ბოსფორელების და კოლხების მეფედ არისტარხი“ [„პომპეიუს ბოსფორანის ეტ კოლხის არისტარხუმ რეგემ იმპოზუიტ“, Brev., c. XVI]. მიუხედავად ამისა, არისტარხი თავის ფულზე არჩევს, აღნიშნოს ის, რომ იგი კოლხების დინასტია. ეს, ერთი მხრით, არისტარხის პოლიტიკურ პატივმოყვარეობას უპასუხებდა, მეორე მხრით კი, აშკარად მიუთითებდა იმ ძლიერს ადგილობრივ ტრადიციებზე, კერძოდ, ფულის ტრიალის სფეროდან, რომლებსაც ამ შემთხვევაში ემყარებოდა ფულის მომჭრელი.

რა გვაქვს ამ მხრივ საკუთრივ აღმოსავლეთ საქართველოში? აქ უმთავრესად ტრიალებს უცხოური ფული, მაგრამ უკანასკნელთან ერთად გვხვდება, აგრეთვე, უცხოური, კერძოდ, ალექსანდრე მაკედონელის ფულის შტამპით მოჭრილი მინაბაძი მონეტა. პახომოვი ყოყმანობს იმ საკითხის გარშემო, თუ სად არის ეს ფული მოჭრილი: „არ არის ცნობილი, მოჭრილია ისინი ამიერკავკასიაში თუ შემოტანილია გარედან; ორივე მოსაზრება ერთნაირად სარწმუნოა, იმიტომ რომ ამგვარი ეგზემპლარები არა მარტო საქართველოში, არამედ წინა აზიის თითქმის ყველა ოლქში და განსაკუთრებით ხშირია შუა აზიის ქვეყ-

ნებში“ (Монеты Грузии, 8). ეს არის ოქროს ფული, რომელზედაც უცხოური გამოსახულებანი და წარწერა მეტად დამახინჯებულია. „ა. კ. მარკოვი მიუთითებდა მათს პოვნაზე კასპიის გაღმა მხარეში და მათ იქ მოჭრილად თვლიდა, მაგრამ მე უნდა აღვნიშნო, რომ მათ პოულობენ ხოლმე ტფილისის გუბერნიაშიც, განსაკუთრებით მცხეთაში“, ამბობს პახომოვი (Монетные клады, 15—16). ჩვენ ჩვენი მხრით დავსძენთ: ამ მინაბაძი ოქროს ფულის პოვნა, ერთი მხრით, ქართლში, განსაკუთრებით, მცხეთის მიდამოებში, მეორე მხრით, კასპიის გაღმა მხარეში და უპირატესად სწორედ ამ ორ რაიონში სრულებით არ არის შემთხვევითი მოვლენა, არამედ **დაკავშირებულია იმ დიდს საერთაშორისო სავაჭრო გზასთან, რომელიც სწორედ ამ ხაზით და საქართველოზე გავლით აერთებდა დასავლეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებს და რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს განვითარებისათვის.** დაწვრილებით ამის შესახებ ჩვენ სხვაგან ვისაუბრებთ.

საკუთრივ ალექსანდრეს გარდა, საქართველომ განიცადა მისი მემკვიდრეების ფულის გავლენაც. მაგ., ლიზიმახის „მონეტებს არა იშვიათად შეიძლება შეხვდეთ დასავლეთ საქართველოს მკვიდრთა ხელში და, როგორც ჩანს, თავის დროზე ისინი იმდენად შევიდნენ სავაჭრო მიმოქცევაში, რომ მათი არასაკმაო შემოტანის პირობებში საქართველოში ჩნდებოდა მათი მიბაძვით ფულის ჭრა ოქროსაგან, მხოლოდ უფრო ცუდი სინჯისა და ნაკლები წონის ოქროსაგან. განძებში მათი არსებობა აღნიშნულია ბათუმის ახლო, გორის მახლობლად და მცხეთაში, მაგრამ ისინი იშვიათი არ არის სოფლელების ქისებშიაც. მათი გავრცელების არე თავდება ტფილისთან, და კავკასიის აზერბაიჯანში ისინი აღარ შედიოდნენ. არ შევხვედრივარ მე მათ აგრეთვე სომხეთშიაც“..., ამბობს პახომოვი (Монетные клады, 16). მართლაც, მიბაძვით ადგილობრივი ფულის მოჭრა, ჯერ ერთი მიუთითებს ფულადი ურთიერთობისა და სათანადო მოთხოვნილებების განვითარებაზე (დიდი რაოდენობით იჭრება შემდეგში ქართლში ადგილობრივი ფულიც რომაულის მიბაძვით, Монеты Грузии. 10—11), ხოლო, მეორე მხრით, შესატყვის ქვეყნებთან კავშირების მნიშვნელობაზე. უცხოეთიდან შემოტანილი ფულიც საქართველოში უძველესი დროიდან და დიდი რაოდენობით ტრიალებს (აქ გვხვდება აქემენიდური, ძველი ბერძნული როგორც მეტროპოლიის, ისე ადგილობრივი კოლონიების, ალექსანდრე მაკედონელის, დიადოხების, მცირე აზიის, პონტოს, სომხეთის, პართიის და სხვათა ფული). **ეს ყველაფერი ქისტიანული წელთაღრიცხვის დამდეგამდე მხოლოდ.** შემდეგდროინდელ ფაქტებს ჩვენ არ ვეხებით.

რას მოწმობს ეს ფაქტები? როცა ჩვენ საქმე გვაქვს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მოჭრილ ფულთან, განსაკუთრებით, საკუთარი ტიპის ფულთან, იქ ჩნდება უეჭველი საბუთი სახელმწიფო ორგანიზაციის არსებობის შესახებ. ხოლო როცა საქმე გვაქვს თუნდაც შემოტანილის, მაგრამ ასეთი დიდი და მრავალფეროვანი რაოდენობით შემოტანილი ფულის ტრიალთან მრავალი საუკუნის სიგრძეზე, იქ ჩვენ სრული საფუძველი გვეძლევა, დავასკვნათ, რომ ეს ფაქტი გარკვეული მოწმობაა ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების დონის შესახებ. ენგელსი, მაგ., ამბობს: „ათინის შემდგომი პოლიტიკური ისტორია სოლონამდე მხოლოდ უსრულოდაა ცნობილი. ბაზილევსის თანამდებობა ჩამოქვეითდა. სახელმწიფოს სათავეში თავადაზნაურობიდან (უფრო სწორად: წარჩინებულთაგან: aus dem Adel) არჩეული არხონტები ჩაუდგნენ. თავადაზნაურობის ბატონობა თანდათან გაძლიერდა, ბოლოს იგი მეექვსე საუკუნის დასაწყისში ჩვენს წელთაღრიცხვამდე აუტანელი გახდა. **ხალხის თავისუფლების დათრგუნვა განსაკუთრებით ფულისა და მევახშეობის შემწეობით ხდებოდა... გვაროვნული წესწყობილება სრულიად ვერ ურიგდება ფულის მეურნეობას.** (die Gentilverfassung ist mit Geldwirtschaft absolut unverträglich): ატიკის წვრილი გლეხების გაპარტახება უშუალოდ მოჰყვა [უნდა იყოს: დაემთხვა, თანსდევდა, fiel zusammen, ს. ჯ.] იმ ძველი გვაროვნული კავშირის შესუსტებას, რომელიც მათ იფარავდა. თამასუქი და ქონების დაგირავება (ათინელებმა უკვე აღმოაჩინეს ჰიპოთეკა) არც გვარს უწევდა ანგარიშს, არც ფრატრიას. ძველი გვაროვნული წესწყობილება კი არც ფულს იცნობდა, არც სესხს, არც ვალს" (Und die alte Gentilverfassung Kannte Kein Geld, keinen Vorschuß, keine Geldschuld) (ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 129—130; შეადრ. მოსკოვის გერმან. გამოც. 1934, გვ. 100—101.—ხაზი ყველგან ჩვენია, ს. ჯ.). „ძველი გვაროვნული წესწყობილება უილაჯო აღმოჩნდა ფულის ტრიუმფალური მსვლელობის წინააღმდეგ; **მას აბსოლუტურად უნარი არ შესწევდა** (absolut unfähig) **თავის ჩარჩოებში ადგილი** (selbst nur Raum) **აღმოეჩინა ისეთი რამეებისათვის, როგორიცაა ფული, კრედიტორი, მოვალე და ვალების იძულებითი გადახდევინება**" (იქვე, 132—133 და 103). ვაჭრების ფენასთან „ერთად ვითარდება ლ ი თ ო ნ ი ს ფ უ ლ ი [ხაზი ენგელსისაა], მოჭრილი ფული [უნდა იყოს „მონეტა", die geprägte Münze], რომელიც ახალ საშუალებას წარმოადგენს არამწარმოებლების გასაბატონებლად მწარმოებლებზე და წარმოებაზე" (იქვე, 198 და 161)... „თუ რას ნიშნავდა ეს, მისთვის ნათელი გახდება **მიწის კერძო საკუთრებასთან ერთად აღმოჩენილი ფულის წყალობით**" (das mit dem Privatgrundeigentum

gleichzeitig erfundne Geld) (იქვე, გვ. 200 და 162. ხაზი ჩვენია, ს. ჯ.). ბარბაროსობის უმაღლესმა საფეხურმა კი ფული-მონეტა არ იცის: აქ, ამბობს ენგელსი. „გაჩაღდა ვაჭრობა, არა მარტო შიგნით და ტომის საზღვრებზე, არამედ ზღვის გაღმა ქვეყნებთანაც. მაგრამ ყოველივე ეს მეტად განუვითარებელი იყო; ძვირფასი ლითონები თანდათან მთავარი და საზოგადო საქონელ-ფული გახდა. მაგრამ **ფული მოუჭრელი იყო** [ე. ი. ჯერ არ იჭრებოდა, არ იჭედებოდა еще не чеканятся, noch ungeprägt], **იგი აღებმიცემობის დროს ნამდვილი წონის მიხედვით იცვლებოდა**" (იქვე, 195 და 158. ხაზი ჩვენია, ს. ჯ.). კარგად არის ცნობილი, რომ ასეთი ფული, ბრინჯაოს რგოლების სახით, რომელიც სრულიად გარკვეულს და წინა აზიაში გავრცელებულს წონით სისტემაზეა დამყარებული. ამიერკავკასიასა და საქართველოში უკვე მეორე ათასეულში გვხვდება ქრ. წინ! ამრიგად, ყველასთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ჩვენ მიერ აღნიშნული ფაქტები ფულის ტრიალის ისტორიიდან საქართველოს ტერიტორიაზე უძველეს ხანაში მრავალმეტყველი და უაღრესად საყურადღებო მოწმობაა საწარმოო ძალთა და სოციალური განვითარების საფეხურის შესახებ!

მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე საბუთები გ. ქ. სოსელიასი: არც ქალაქები (ჩვენ ხაზს ვუსვამდით, რომ ეს ქალაქები მარტო ციხესიმაგრეები კი არ არის, არამედ ეკონომიური ცენტრებიცაა), არც ოქრო და სხვა კეთილშობილი ლითონები, არც ხუროთმოძღვრება, არც მეფეების (ბაზილევსების) „მფლობელობა ძველისძველ უფლების თანახმად" (ტაციტის ცნობა ივერიის მეფეთა შესახებ), არც მათი „მამეული ხელისუფლება" (ტაციტი), არც ის გარემოებანი, რომ რომაელები მძევლებს სთხოვენ ქართლის მეფეებს და არა ხალხს, რომ რომის კეისარი საჩუქრად აძლევს ქართლის მეფეს ხუთას მეომარს, რომ ომში ქართლისა და პართიის მეფენი ერთმანეთს სამეფო ტანისამოსით სცნობენ და მრავალი სხვა, — „არც ერთი ეს გარემოება არაფერს ამბობს მაშინდელ ქართველ ტომებში კლასობრივი საზოგადოების და სახელმწიფო ორგანიზაციის არსებობის შესახებ", აცხადებს სოსელია. რატომ? ამის განმარტებას მკითხველი ვერ იპოვის.

ერთადერთი საბუთი შემდეგია: „ვის რა უფლება აქვს ამტკიცოს, რომ ამდროინდელი ქართველი ტომები თავის განვითარების გზაზე უფრო შორს იყვნენ წასულნი, ვიდრე ჰომეროსის დროინდელი ბერძნები?". ის ბერძნები კი გვაროვნულ წყობილების ფარგლებში იმყოფებოდნენო, აცხადებს სოსელია. შემდეგ მოყვანილია რამდენიმე ციტატა ენგელსიდან, რომელთა მიხედვითაც ამ ბერძნებს (ისინი ჰომეროსის დროინდელნი კი არ არიან, არამედ ჰომეროსს რამდენიმე საუკუნით უსწრებენ წინ; ჰომეროსის პოემებით ჩვენ ვსარგებლობთ,

როგორც წყაროთი, რომელშიაც თავმოყრილია გარდმოცემები გმირული ხანის შესახებ) XIII—XI სს. ქრ. წინ უკვე ჰქონდათ საკმაოდ განვითარებული კულტურა.

აქაც ენგელსიდან ციტატები არაწესიერად და თვითნებურად არის ამოღებული და ასევეა განმარტებული ენგელსის აზრები. სათანადო თავის დასაწყისშივე („ბერძნული გვარი") ენგელსი ამბობს, რომ „იმ დროს, **როცა ბერძნები ისტორიაში შედიან, ისინი ცივილიზაციის მიჯნაზე დგანან;** მათსა და ამერიკელ ტომებს შორის, რომელთა შესახებ ზემოთ იყო საუბარი, თითქმის ორი დიდი განვითარების პერიოდი ძევს, რომლითაც გმირული დროის ბერძნები იროკეზებს წინ უსწრებენ" (გვ. 115 და 88, ხაზი ჩვენია, ს. ჯ.). იროკეზების წყობილება კი, მორგანის აზრით, არის „პირვანდელი გვარის კლასიკური ფორმა" (იქვე ქართ. თარგმ. 97, გერმ. დედ. 72), ხოლო ენგელსის დახასიათებით, ეს ამერიკული მაგალითი „გვაროვნული წყობილების აყვავებას" წარმოგვიდგენს (ქართ. 113, შეადრ. გერმ. 86 „Die Gentilverfassung im ihrer Blüte, wie wir sie in Amerika sahen"...).

ვნახოთ მაინც, რას ამბობს ენგელსი გმირული ხანის ბერძნების შესახებ. გ. ქ. სოსელია წერს: „ფრ. ენგელსი აი როგორ აგვიწერს ჰომეროსის დროინდელ ბერძნების საზოგადოებრივ წყობილებას: „შემოღებული იყო მამის უფლება და ქონების გადაცემა შვილებზე, ეს ხელს უწყობდა სიმდიდრის დაგროვებას ოჯახის ხელში, რის წყალობითაც ოჯახი ძალად იქცა გვარის წინააღმდეგ; სიმდიდრე-სიღარიბის წარმოშობა ზეგავლენას ახდენდა საზოგადოებრივ წყობილებაზე იმით, რომ ხელს უწყობდა მემკვიდრეობითი თავადაზნაურობის და მონარქიის ჩასახვას; იქმნებოდა მონობა ჯერ მხოლოდ სამხედრო ტყვეებისაგან, მაგრამ ტენდენციით საკუთარი მეტომეებისა და მეგვარეების დამონებისაკენ; ძველებური ბრძოლა ტომებს შორის უკვე სისტემატურ ყაჩაღობად იყო გადაგვარებული, იგი რეგულარული შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა და შინაურ საქონლის, მონების, განძეულობის ხელში ჩასაგდებად ხდებოდა; ერთი სიტყვით, ამ დროს ბერძნები სიმდიდრეს პატივს სცემდნენ და შესხმას უძღვნიდნენ, როგორც უდიდეს სიკეთეს, ხოლო ძველ გვაროვნულ წყობილებას ბოროტად იყენებდნენ, რათა სიმდიდრის მოტაცება გაემართლებინათ". ამას სოსელია თავის მხრივ უმატებს: „და აი, ასეთ სიმაღლემდე ასული საზოგადოებაც ენგელსს მიაჩნია გვაროვნულ საზოგადოებად. აქ ენგელსის აზრით, ჯერ კიდევ სრულ ძალაშია გვაროვნული წყობილება, გვაქვს მხოლოდ დასაწყისი მისი დაშლისა. ამ საზოგადოებაში ჯერ კიდევ არაა სახელმწიფო ორგანიზაცია".

მკითხველს უნდა შეექმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ეს საზოგადოება გვაროვნულია სწორედ იმის გამო, რომ მას აქ გამოთქმული ნიშნები ახასიათებს, რომ თითქოს ამ საზოგადოებაში სახელმწიფო ორგანიზაცია იმიტომ არაა ჯერ კიდევ, რომ აქ უკვე არის მემკვიდრეობითი თავადაზნაურობის და მონარქიის ჩანასახი, მონობა და ტყვის ტაცება, სისტემატური ყაჩაღობის სახით ბრძოლა ტომებს შორის, ქონების გადაცემა შვილებზე, სიმდიდრისათვის, როგორც უდიდესი სიკეთისათვის, პატივისცემა და სხვა. მაგრამ ვინც ენგელსს იცნობს, იცნობს კერძოდ მისს ნაშრომს, საიდანაც ეს ციტატაა ამოღებული, ის ადვილად მიხვდება, რომ ენგელსის შეხედულება დიამეტრალურად სხვანაირია.

აქ ციტატა ამოგლეჯილია ერთი მთლიანი პერიოდიდან. სოსელიას დაჰვიწყებია ერთი ფრაზა, რომელიც მის მიერ ამოღებულ ციტატას უშუალოდ წინ უძღვის. ენგელსი წერს: „ზემონათქვამიდან ჩანს, რომ გმირული პერიოდის ბერძნების წესწყობილებაში ძველ გვაროვნულ ორგანიზაციას ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა სიცოცხლის ძალა, მაგრამ მისი დაქვეითება უკვე დაწყებული იყო: შემოღებული იყო მამის უფლება და ქონების გადაცემა შვილებზე“ და სხვა, შემდეგ ისე როგორც ზემომოყვანილ ციტატაშია. ენგელსის აზრი ცხადია: რომ გმირული პერიოდის ბერძნების წესწყობილებაში გვაროვნულ ორგანიზაციას ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა სიცოცხლის ძალა, ეს **„ზემონათქვამიდან ჩანს“** (გერმან. დედანში: „wir sehen also“, რუს. თარგმანში—„итак, мы видим“), ეს ენგელსს ზევით აქვს განმარტებული, ხოლო რომ მისი დაქვეითება უკვე დაწყებული იყო, ეს ქვემოთ არის განმარტებული. **ამაზე მიუთითებს ორი წერტილი**, რომელიც არის გერმანულ დედანშიაც (გვ. 97) და რუსულ თარგმანშიაც (პარტგამომცემლობის გამოც. 1933 წლისა, გვ. 132). მაგრამ სოსელიას დაავიწყდა არა მარტო თავი ციტატისა, არამედ ბოლოც: ფრაზას — „ძველ გვაროვნულ წესწყობილებას ბოროტად იყენებდნენ, რათა სიმდიდრის მოტაცება გაემართლებინათ“, უშუალოდ მოსდევს: **„ამ ეპოქას მხოლოდ ერთი რამ აკლდა: ისეთი დაწესებულება**, რომელიც არა მარტო უზრუნველყოფდა კერძო პირების მიერ ახლად შეძენილ ქონებას გვაროვნული წესწყობილების კომუნისტური ტრადიციების წინააღმდეგ, რომელიც არა მარტო წინათ ათვალისწუნებული კერძო საკუთრების კურთხევას წარმოადგენდა და ამ კურთხევას ყოველი ადამიანური კოლექტივის უზენაეს მიზნად სახავდა, არამედ საკუთრების შეძენის ახალ ფორმებს, მაშასადამე, სიმდიდრის გაძლიერებულ დაგროვებას საყოველთაო საზოგადოებრივი აღიარების ბეჭედს

აჭდობდა; ეს ისეთი დაწესებულება უნდა ყოფილიყო, რომელიც ამუდმივებდა არა მარტო საზოგადოების ახლად დაწყებულ დაყოფას კლასებად, არამედ შეძლებული კლასების უფლებასაც ებატონა შეუძლებელ კლასებზე და მათი ექსპლოატაცია მოეხდინა. და ეს დაწესებულებაც გაჩნდა, გამოგონებულ იქნა **სახელმწიფო**" (იქვე, ქართ. 125—6, გერმ. 97, რუს. 132; ხაზი ჩვენია ს. ჯ.). ენგელსის აზრი სრულიად მკაფიო და ნათელია: ზემოთ მოყვანილ ციტატაში მის მიერ მოცემული ნიშნები ახასიათებენ არა გვაროვნულ საზოგადოებასა და წყობილებას, არამედ მათ შიგნით ძალუმი განვითარების გზაზე დამდგარს კლასობრივ დანაწილებასა და სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას, რომელთა საბოლოო გაბატონებისათვის მხოლოდ ერთი ნაბიჯის გადადგმაღაა საჭირო.

მაშ რატომღა ამბობს ენგელსი, რომ ამ პერიოდის ბერძნების წესწყობილებაში ძველ გვაროვნულ ორგანიზაციას ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა სიცოცხლის ძალა? ეს მას, მისივე სიტყვით, ზემოთა აქვს განმარტებული, წინამორბედ სამ გვერდზე. ენგელსი ამბობს: „ამ ტომებისა და ხალხების (თუ ვინ არიან ესენი, ამის შესახებ ენგელსი იქვე ზემოთ ამბობს: „ჰომეროსის პოემებში ბერძენთა ტომები გვევლინებიან, როგორც გაერთიანებულნი პატარა ხალხებად, რომელშიც გვარები, ფრატრიები და ტომები მაინც სრულს დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ", იქვე, 120—121. ს. ჯ.) წესწყობილება შემდეგი იყო (die Verfassung dieser Stämme und Völkchen war nun wie folgt, აქ გერმანულ დედანში და რუს. თარგმანში ორი წერტილი ზის და ის აუცილებელიცაა): 1) მუდმივ მოქმედ მთავრობას (die stehende Behörde) საბჭო, bulê, წარმოადგენდა, რომელიც თავდაპირველად გვარების უხუცესებისაგან შედგებოდა, ხოლო შემდეგ, როცა მათი რიცხვი მეტად გაიზარდა, მათში არჩეული წარმომადგენლებისაგან; არჩევანის მოხდენა საბაბს იძლეოდა არისტოკრატიული ელემენტის შესაქმნელად და გასაძლიერებლად სახელმწიფოს დაარსების შემდეგ ეს საბჭო სენატად იქცა, 2) **სახალხო კრება** (agora)... მას საბჭო იწვევდა მნიშვნელოვანი საქმეების გასარჩევად; ყოველ მამაკაცს შეეძლო სიტყვა მოეთხოვა... **იგი სუვერენული იყო საბოლოო ინსტანციაში**, იმიტომ რომ, შემანისა არ იყოს („Griechische Geschichte"), „როცა საკითხი ისეთ საქმეს ეხებოდა, რომლის გასაკეთებლად ხალხის მონაწილეობა იყო საჭირო, როგორც ჰ ო მ ე რ ო ს ი დ ა ნ ჩანს, **ვერავითარი ღონისძიებებით ხალხს ვერ აიძულებდნენ თავისი სურვილის წინააღმდეგ წასულიყო**". ეს გასაგებია: ამ ეპოქაში, **როცა ყოველი მომწიფებული მამაკაცი მეომრად ითვლებოდა, არ არსებობდა ხალხისაგან გამოთიშული საჯარო ხელისუფლება, რომელიც შეიძლებოდა მას დაპირდა-**

პირებოდა. ბუნებრივად აღმოცენებული დემოკრატია ჯერ კიდევ აყვავების ხანას განიცდიდა და მხოლოდ ამ თვალსაზრისით უნდა აიხსნას, როგორც საბჭოს, ისე ბაზილევსის ძალა და მდგომარეობა. [ხაზი ჩვენია, ს. ჯ.] 3) მ ხ ე დ ა რ თ მ თ ა ვ ა რ ი (basileus)... [აქ ენგელსი იძლევა მარქსის ზემოთ მოყვანილს განმარტებას, რომ ეს ბაზილევსი უნდა გაგებულ იქნეს, როგორც მხედართმთავარი და არა მერმინდელი მეფე, ს. ჯ.]... თუ ბერძნებში მამის უფლების ბატონობის დროს ბაზილევსის თანამდებობა ჩვეულებრივ ვაჟსა ან ერთ-ერთ ვაჟზე გადადიოდა, ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ვაჟებს მეტი შანსი ჰქონდათ მემკვიდრე გავხდებით ხალხის არჩევნების შემწეობითო და არა იმას, თითქო კანონიერი მემკვიდრეობის წესი არსებულიყოს ხალხის არჩევნების გარეშე. ეს იროკეზებში და ბერძნებში განსაკუთრებულ წარჩინებულ ოჯახების პირველი წარმონაქმნია (რუს. თარგმანში — первый зародыш); ხოლო ბერძნებში აგრეთვე მომავალი მემკვიდრეობითი წინამძღოლობის თუ მონარქიის პირველი წარმონაქმნი (первый зародыш) [ეს წინადადება ჩვენ ხელახლა ვთარგმნეთ, რადგანაც ქართ. თარგმანი რამდენადმე დაშორებულია გერმან. დედანს, შეადრ. ეს უკანასკნელი: „was hier vorliegt, ist bei den Irokesen und Griechen die erste Anlage zu besondern Adelsfamilien innerhalb der Gentes, und bei den Griechen noch dazu die erste Anlage einer Künftigen erblichen Führerschaft oder Monarchie“ ს. ჯ.]. მაშასადამე, ჰკუასთან უფრო ახლოა, რომ ბერძნებში ბაზილევსი ან ხალხს უნდა აერჩია, ან კიდევ მის ავტორიტეტიან ორგანოს. — საბჭოს ან აგორას — დაემტკიცებინა, როგორც ეს რომში ხდება „მეფის“ [წინწკლებში ზის ეს სიტყვა დედანში და რუს. თარგმანში, ს. ჯ.] (Rex) დაყენების დროს. ილიადაში მამაკაცთა მბრძანებელი აგამემნონი გვევლინება არა ბერძენთა უზენაეს მეფედ, არამედ მოკავშირეთა ჯარის მთავარსარდლად ალყაშემორტყმული ქალაქის წინაშე... „ბერძნები ტროას გალავანთან მხოლოდ ჯარს წარმოადგენდნენ, მათი აგორა —კი საკმაოდ დემოკრატიული დაწესებულება იყო. როცა აქილევსი ძღვენზე, ე. ი. ნადავლის განაწილებაზე ლაპარაკობს, განმანაწილებლად არც აგამემნონს ასახელებს, არც სხვა რომელიმე ბაზილევსს, არამედ „აქეელების ვაჟებს“, ე. ი. ხალხს... ერთი სიტყვით, basileia, რომელსაც ბერძენი მწერლები ჰომეროსის ე. წ. მონარქიისათვის (Königtum) იყენებენ (მიტომ რომ მის მთავარ თვისებას მთავარსარდლობა წარმოადგენს) და საბჭოსა და სახალხო კრების გვერდით სვამენ, მხოლოდ მილიტარულ დემოკრატიას წარმოადგენს“ (მარქსი). სამხედრო ხელისუფლებას გარდა ბაზილევსს მღვდელთმთავრის და მსაჯულთუხუცე-

სის მოვალეობაც ჰქონდა დაკისრებული... მოქალაქეობრივი, მმართველობითი, ხელისუფლების შესახებ არსად არაა ლაპარაკი... [აქ მოსდევს ზემოთ მოყვანილი ციტატა, რომ გმირული ხანის ძველი ბერძნ. ბაზილევსი თანამედროვე მეფე არ არის. ს. ჯ.]. არისტოტელე ამბობს, **გმირული პერიოდის Basileia თავისუფალი ადამიანების მეთაურობას წარმოადგენდა, ბაზილევსი კი მთავარსადრალს, მსაჯულსა და მღვდელმთავარსო; მაშასადამე, მას არ ჰქონია ხელისუფლება შემდეგ დამყარებული გაგებით**". (ხაზი ყველგან ჩვენია, ს. ჯ. იხ. ენგელსი, დასახ. შრ., ქართ. 121—124; გერმან. 93—96, რუს. 128—131).

მაშასადამე სრულიად ცხადია, რომ გმირული ხანის ბერძნებში (XIII—XI სს. ქრ. წ.), მიუხედავად იმისა, რომ ისინი ცივილიზაციის ზღურბლთან იდგნენ და კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის უკვე მზად იყვნენ, ენგელსი ჯერ კიდევ გვაროვნულ წყობილებას ხედავს ამ უკანასკნელის შემდეგი ძირითადი ნიშნების არსებობის გამო: 1) საბჭო, ბულე, როგორც მუდმივი მოქმედი მთავრობა; 2) სახალხო კრება, აგორა, როგორც სუვერენული ორგანო ბუნებრივად აღმოცენებული დემოკრატიისა, რომლის არსებობა იმითაა განსაზღვრული, რომ ყოველი მოწიფული მამაკაცი მეომარია და ხალხისაგან გამოთიშული საჯარო ხელისუფლება ჯერ კიდევ არ არსებობს; 3) „ბასილეია", მთავარსარდლობა, შეერთებული ქურუმობასა და მსაჯულობასთან. იგი თავისუფალი ადამიანების მეთაურობაა. ბაზილევსის მთავარი თვისება მთავარსარდლობაა. ის გარემოება, რომ ბაზილევსის თანამდებობა უკვე ერთგვარ გაურკვეველი მემკვიდრეობის წესზეა დამყარებული, წარმოადგენს მემკვიდრეობითი წინამძღოლობისა თუ მონარქიის ჩანასახს. ეს ბაზილევსი ხალხისგან უნდა იყოს არჩეული და ან მისი უზენაესი ორგანოების — საბჭოს ან სახალხო კრების — მიერ დამტკიცებული. ბაზილევსის ხელისუფლება ბულესა და აგორას მიერ არის განსაზღვრული და შეზღუდული. ამ საკითხის შესახებ იმავე თავში ენგელსი ამბობს: ძველი ბერძ. გვარის ერთი დამახასიათებელი თვისება იყო „მამასახლისების არჩევისა და გადაყენების უფლება. ჩვენ ვიცით, რომ თითოეულ გვარს თავისი არხონი ჰყავდა, მაგრამ რომ ეს თანამდებობა მემკვიდრეობითი იყო განსაზღვრულ ოჯახებში, ეს არსად არ არის ნათქვამი. ბარბაროსობის დასასრულამდე ყოველთვის საგულისხმებელია არარსებობა მკაცრი მემკვიდრეობისა, რომელიც სრულიად შეუთავსებელია იმ მდგომარეობასთან, როცა მდიდრებსა და ღარიბებს გვარის შიგნით სავსებით თანასწორი უფლებები ჰქონდათ" (იქვე, გერმ. გამოც., 90).

„მხედართმთავარი, საბჭო, სახალხო კრება წარმოადგენენ ორგანოებს გვაროვნული საზოგადოებისა, რომელიც მილიტარული დემოკრატიისაკენ ვითარდება", იმეორებს ენგელსი თავისი წიგნის განზოგადებულ თავშიაც (იქვე, 196).

**მთავარი ამ წესწყობილებაში სწორედ ეს ბულე (საბჭო), აგორა (სახალხო კრება) და სამხედრო დემოკრატიაა.** ჩვენ სწორედ ამ თვალსაზრისზე ვიდექით სტრაბონის ცნობების ანალიზის დროს. სტრაბონის მიერ დახატული სვანების წესწყობილება ჩვენ გვაროვნულ წყობილებად მივიჩნიეთ, უწინარეს ყოვლისა, იმის გამო, რომ იქ **საბჭო** (სტრაბონი მას „სინედრიონს" ეძახის) და, საერთოდ, სამხედრო დემოკრატია აღმოვაჩინეთ. ივერიაში კი (ქართლში) არავითარი ხსენება არ არის არც საბჭოსი, არც სახალხო კრებისა. რომ ამ დაწესებულებათა მოუხსენიებლობა სტრაბონის ტექსტში შემთხვევითი გამორჩენის შედეგი არ არის, ეს ცხადი ხდება მისი პოზიტიური ცნობების ანალიზით: ამ დაწესებულებებს აქ საქმე და ფუნქცია აღარ რჩებათ. მართლაც და, ეს ივერია რომ სახელმწიფო კი არ იყოს, არამედ „მილიტარული დემოკრატია", მარქსისა და ენგელსის ტერმინოლოგიით, მაშინ „მეზობლებთან სადავო საქმეებს" უმცირესობა, ქურუმთა გენე, კი არ უნდა განაგებდეს, როგორც გვამცნობს სტრაბონი, არამედ საბჭო და სახალხო კრება, იმიტომ რომ სამხედრო დემოკრატიაში „ომი და ომის ორგანიზაცია რეგულარული ფუნქციები გახდნენ" (ენგელსი, იქვე, ქართ. 196). სარდლობა და მართლმსაჯულება პირველს, ბაზილევსების, გენეს ეკუთვნოდა, იმავე სტრაბონის ცნობით. რაღა დარჩა? სამოქალაქო მმართველობის სფერო. მაგრამ უეჭველია, რომ სამოქალაქო მმართველობა ივერიის „ბაზილევსის" ხელშია.

მართლაც, ჩვენ ვნახეთ, რომ ივერიის „ბაზილევსი" მხედართმთავარი არ არის. სტრაბონის ცნობით, მხედართმთავრობა ეკუთვნის მეორე პირს ბაზილევსის შემდეგ, ბაზილევსებისავე გვარში. ესევე პირია, აგრეთვე, მსაჯულიც. მაშ რაღა დარჩა ბაზილევსს, თუ იგი არც მხედართმთავარია, არც მთავარმსაჯული? გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ეს მეორე პირი „ბაზილევსობის" მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, რადგანაც, სტრაბონის ცნობით, ბაზილევსად იყო ბაზილევსების გვარის ის წარმომადგენელი, რომელიც ყველაზე უხუცესი და ახლობელი ნათესავი იყო წინანდელი მეფისა. ბუნებრივია, რომ ასეთ პირს, ვიდრე მეფე ცოცხალია, „მეორე" პირი ეწოდოს. შეიძლება თუ არა ვიფიქროთ, რომ მემკვიდრე კარგავდა იმ უფლებებსაც კი, რომელიც მას მემკვიდრეობის დროს ჰქონდა მაშინ, როცა იგი თითქოს წინაურდებოდა. უნდა ვიფიქროთ ამიტომ, რომ სამოქალაქო მმართველობა ბაზილევსის, მეფის, ხელშია. დასაჯერებელია განა ისე-

თი მეფის არსებობა, რომელსაც არაფერი ეკითხება არც სარდლობის, არც მართლმსაჯულების, არც მეზობლებთან სადაო საქმეებისა და არც სამოქალაქო მმართველობის სფეროში?

მაგრამ ჩვენ ხომ სტრაბონის გარდა მრავალი სხვა წყაროების ჩვენებაც მოგვეპოვება იბერიის (ქართლის) მეფეების შესახებ პირველ საუკუნეში ქრ. წინ და ქრ. შემდეგ. ამ ცნობებიდან ჩანს, რომ რომაელები იბერიის ბატონ-პატრონად სწორედ იბერიის ბაზილევსებს თვლიდენ და მასთან იჭერდნენ, უწინარეს ყოვლისა, საქმეს. ცხადი ხდება, რომ სტრაბონი აგვიწერს კონსტიტუციას, თეორიულ ნორმას, რომელთან შედარებითაც სინამდვილე გაცილებით უფრო შორს იყო წასული და ქართლის მეფე თავის ხელს მმართველობის ყველა დანარჩენ სფეროშიაც ურევდა, მეტნაკლები უფლებამოსილობით.

საყოველთაოდ ცნობილს „ანკვირიის ძეგლში", რომელიც იმპერატორ ოქტავიანე ავგუსტუსის ოფიციალურ დოკუმენტს წარმოადგენს, მისივე ბრძანებით ამოჭრილს ქვაზე და დედნის სახით მოღწეულს ჩვენს დრომდე, ნათქვამია (ძეგლი, ყოველ შემთხვევაში, 14 წელზე გვიანდელი არ არის ქრ. შ.): „ჩვენს მეგობრობას თხოულობდნენ, ელჩების პირით, ბასტარნები, სკვითები, მდინარე ტანაისის გაღმა-გამოღმა მცხოვრები სარმატების მეფეები, და აგრეთვე ალვანელების, იბერების და მიდების მეფეები" (SC II 41). აქ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ბასტარნები და სკვითები უმეფოდ არიან მოხსენიებულნი, მათ იმპერატორთან ურთიერთობა აქვთ როგორც ტომებს, სარმატებს, ალვანელებს, იბერებს და მიდებს კი მეფეები (ლათინურ ტექსტში — „რეგეს", ბერძნ. ტექსტში — „ბასილეის") ჰყავთ და ეს მეფეები უგზავნიან ელჩებს კეისარს. მეტად საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ იბერების (ქართველების) და სხვა კავკასიელ ტომთა მფლობელები რომაულს ოფიციალურ დოკუმენტში იმავე წოდებულობას ატარებენ (რექს, ბაზილევს), რომელსაც ატარებს მიდების მფლობელიც. მიდებად აქ პართელები იგულისხმებიან. პართიის პოლიტიკური ორგანიზაციის შესახებ ხომ არავის შეუძლია ეჭვი შეიტანოს, რომ ეს სახელმწიფო იყო და მისი მეთაური — მეფე! მსგავსი ფაქტების გამრავლება ადვილად შეიძლება, ნაწილობრივ ისინი უკვე აღნუსხულია ჩვენს დასახელებულ ნაშრომში.

ამ საკითხს აქვს სხვა მხარეც. იმავე ძველი ბერძნების შესახებ ენგელსი ამბობს: „ბერძნები, ისევე, როგორც პელასგები და სხვა მათი მონათესავე ხალხები უკვე პრეისტორიული ხანიდან იმავე ორგანიული რიგის მიხედვით იყვნენ დაწყობილი, როგორც ამერიკელები: გვარი, ფრატრია, ტომი, ტომების კავშირი" (იქვე, ქართ. 115). ცალკე ტომებს საკუთარი სარწმუნოებრივი დღესასწაულები ჰქონდათ, რო-

შელსაც მამასახლისი [ფილობაზილევსი] ხელმძღვანელობდა (116). ტომური სტრუქტურა ძალიან მკაფიოდ ჩანს: ატტიკაში, მაგ., ოთხი ტომი არსებობდა, თვითეულში სამ-სამი ფრატრია იყო, თვითეული ფრატრია, თავის მხრით, ოცდაათ გვარად იყოფოდა (120). ჰომეროსის ცნობების შესახებ კიდევ ენგელსი ამბობს: „ჰომეროსის პოემებში ბერძენთა ტომები გვევლინებიან, როგორც გაერთიანებულნი პატარა ხალხებად, რომელშიაც **გვარები, ფრატრიები და ტომები მაინც სრულს დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ**" (იქვე, გვ. 120—121). ტომური ორგანიზაციის არსებობას ენგელსისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. აღწერს რა იროკეზების გვარს, იგი ამბობს... „ეს ორგანიზაცია განწირული იყო. იგი ვერ გასცილდა ტომის ფარგლებს; **ტომთა კავშირი მისი დამხობის დასაწყისს მოასწავებს**, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ და როგორც უკვე დავინახეთ იროკეზების ცდაში სხვა ტომები დაემორჩილებინათ" (იქვე, გვ. 113, ხაზი ჩვენია, ს. ჯ.). როგორია ამ მხრივ მდგომარეობა ივერიაში?

ამ პუნქტში საკითხი ივერიის პოლიტიკური ორგანიზაციის შესახებ საბოლოოდ წყდება. **ივერიაში ტომური ორგანიზაციის უკვე ყოველგვარი კვალი წაშლილია, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი სხვადასხვა, ზოგჯერ სრულიად სხვადასხვა მოდგმის ტომი ცხოვრობს.** ეთნიკურად და ეთნოგრაფიულად ცალკე ტომები დღესაც განსხვავდებიან აღმოსავლეთ საქართველოში (ფშავლები, ხევსურები, წოვა-თუშები და ჩაღმა-თუშები, მოხევეები, მთიულები, ქისტები, ოსები და მრავ. სხვ.), რა თქმა უნდა, სიჭრელე მაშინ ნაკლები არ იქნებოდა. თვით სტრაბონი ამბობს: ივერიის „ბარი დასახლებულია იმ ივერების მიერ, რომელნიც უფრო მიწისმოქმედებას მისდევენ, მშვიდობიან ცხოვრებისადმი არიან განწყობილნი და სომხურად და მიდიურად ირთვებიან, ხოლო მთიანი ნაწილი უკავია მეომარ უმრავლესობას, ცხოვრების წესით მსგავსს სკვითებისა და სარმატებისას, რომელთაც ისინი კიდევაც ემეზობლებიან და კიდევაც ენათესავებიან"... (წ. მე-11, თავი მე-3, § 3). მაშასადამე, ბარელები და მთიელები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო მეურნეობით, ცხოვრების წესით, ზნით, მორთულობით, არამედ მოდგმითაც — მთიელები სკვითებისა და სარმატების მონათესავენი იყვნენ. გარდა ამისა, სტრაბონივე ამბობს, რომ მესხების ქვეყანა სამ ნაწილად იყოფა: ერთს ფლობენ კოლხები, მეორეს — ივერები, მესამეს — არმენიელები (იქვე, თ. მე-2 § 18). პროკოპი კესარიელიც, ცნობილი ბიზანტიელი მემატიანე, ექვსასი წლის შემდეგაც კი სავსებით ნიშანდობლივ ცნობას იძლევა მესხების შესახებ: ლაზიკის „გვერდით, სახელდობრ იბერიის გასწვრივ, ცხოვრობენ **ძველთაგანვე იბერთა ქვეშევრდომი („კატეკოოი") მესხე-**

ში, რომელთაც მთებში აქვთ საბინადრო ადგილები". (პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, II, გვ. 97. ხაზი ჩვენია, ს. ჯ.). მაშასადამე, სრულიად ცხადია: თვით სტრაბონმა და მისმა წყაროებმა იციან, რომ ივერიაში (რომელიც, სტრაბონისავე ცნობით, მჭიდროდ დასახლებული ვრცელი ქვეყანა შორაპნიდან ალაზნამდე და კავკასიის ქედიდან სომხეთამდე) სხვადასხვა ტომი ცხოვრობს, რომ ზოგი მათგანი ძალით არის დამორჩილებული ივერების მიერ. მიუხედავად ამისა, ერთი კრინტიც დაძრული არ არის ტომური ორგანიზაციების შესახებ, აშკარაა იმიტომ, რომ ცალკე ტომებს საკუთარი ორგანიზაცია სრულებით არ გააჩნდათ. თავისი თხზულების მე-11 წიგნის მესამე თავი სტრაბონს მთლიანად ივერიისათვის აქვს მიძღვნილი. აქ ეს ქვეყანა აღწერილია ტერიტორიის, ტოპოგრაფიის, მოსახლეობის, მეურნეობის, გზებისა და ტრანსპორტის, ეთნოგრაფიისა და კულტურის, სოციალურ-პოლიტიკური წყობისა და სხვა მხრივ, ერთი სიტყვით — ყოველმხრივ. უკანასკნელი ფრაზა ამ თავისა კი არის: „ასეთია ივერები და მათი ქვეყანა". სტრაბონმა ხომ იცოდა, რომ ივერიაში მარტო ივერები არ ცხოვრობდნენ, რომ აქ ცხოვრობდნენ სკვითებისა და სარმატების მოდგმის მთიელები, მესხები და სხვანი. მაშ რა მნიშვნელობით შეიძლებოდა მას ეთქვა: ეს სხვადასხვა ტომით დასახლებული ქვეყანა ივერების ქვეყანააო? ცხადია, **მხოლოდ პოლიტიკური, მნიშვნელობით.** მეტიც შეიძლება ითქვას: ეს ტერიტორიული წყობა, რომელმაც შეცვალა ტომურ-გვაროვნული, იმდენად შორს არის წასული, რომ უკვე გაჩენილია ამ ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეულის **ტერიტორიული** სახელწოდება — „ივერია". ეს უაღრესად დამახასიათებელი ფაქტია. ჩვენ სხვა ადგილას უფრო დაწვრილებით ვუჩვენებთ, სწორედ კავკასიური სინამდვილის კონკრეტულ მასალაზე, თუ როგორ წარმოებს ეს პროცესი. ტომური ორგანიზაციის დაცემა და მის ადგილას აღმოცენებული სახელმწიფოებრიობის პირველი, დასაწყისი, პერიოდი ჯერ კიდევ იგუებს ძველ სახელწოდებას ძველი ფორმით. ეს **არის ტომური სახელწოდება მრავლობითი რიცხვის ფორმით.** მაგრამ სახელმწიფოსა და მისი ტერიტორიული წყობის შემდგომი განმტკიცება უკვე აჩენს **ახალი ფორმის სახელწოდებას, რომელიც ახლა ტერიტორიას აღნიშნავს და არა ტომს.** საფუძვლად მასაც ტომის სახელი უძევს, მხოლოდ ეს ფუძე ახლა გაფართოებულია ადგილსათავსის ფორმანტით.

სტრაბონის ცნობის შემოწმება უნდა მოხდეს არა მარტო თანამედროვე სხვა წყაროების საშუალებით, არამედ საქართველოს ისტორიის მთელი შემდეგდროინდელი მსვლელობის ფაქტებზედაც. ჩვენი ანალიზით მიღებული დასკვნები არა მარტო მართლდება ამ ფაქტებით, არამედ მერმინდელი უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენე-

ბის გაგებისათვის ეს დასკვნები სრულიად აუცილებელია. აღწერილი სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურის ნიადაგზე შეიძლება მხოლოდ ავხსნათ ისეთი უაღრესად მნიშვნელოვანი ცვლილება ქართლის ცხოვრებაში, როგორიც იყო ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადება აქ სამეფო ხელისუფლების მიერ IV საუკუნის შუაწლებისათვის (იხ. ჩვენი „ადრეული ფეოდალიზმი", ტფ. 1934 წ., გვ. 72—102). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ამბებში, კერძოდ, ვპოულობთ საყურადღებო საბუთებს იმისათვის, რომ სტრაბონის მეორე წრე, ქურუმები, როგორც მონათმფლობელები, მართლაც, შეადგენდნენ უძველესი ხანის ქართლში გაბატონებულ სოციალურ ფენას. ნაწილობრივ უკვე აღნიშნულიც გვაქვს (იხ. ჩვენი განაკვეთები), რომ ანალოგიურ მოვლენებს ჩვენ ვპოულობთ მეზობელ ქვეყნებშიაც. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ ალვანეთისა და სომხეთის ანალოგიები. ალვანეთის შესახებ, მაგ., სტრაბონი ამბობს (წ. მე-11, თ. მე-4, § 7): „ღმერთებად მიჩნეული ჰყავთ მათ [ალვანელებს] მზე, ზევესი და მთვარე, განსაკუთრებით კი — მთვარე. არის ამისი ტაძარიც ივერიის მახლობლად. ქურუმობს ყველაზე პატივცემული მეფის შემდეგ პირი. იგი მეთაურობს სატაძრო მიწის, რომელიც ვრცელია და კარგად დასახლებული, გამგეობას და აგრეთვე ჰიეროდულებს (ტაძრის მსახურთ)"... ეს ცნობა საყურადღებოა სხვა მხრივაც. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ დასახელებული მთვარის ტაძარი იყო სწორედ იმ ადგილას, სადაც შემდეგში, ქრისტიანულ ხანაში, ალავერდის წმ. გიორგის ეკლესია ააშენეს. შემთხვევითი არ არის, რომ იქვეა სოფ. ალვანი და რომ თვით ტაძრის ადგილის სახელწოდებაც ამავე ფუძეზეა აგებული: „ალავერდი", „ალვანგვერდის" განვითარებაა. სასაზღვრო ხაზი ძველ ივერიასა და ალვანეთს შორის სწორედ აქ გადიოდა. მაშასადამე, ამ სახელწოდებაში მეზობელი ქვეყნის სახელის მოგონება და კვალი შეიძლება ვივარაუდოთ. ერთი მსგავსი ტაძარი სტრაბონს აღწერილი აქვს საქართველოშიც. იგი ამბობს: „დასახელებულ მდინარეებს ზემოთ მოსხიკეში (მესხეთში) არის ლევკოთეას ტაძარი, აგებული ფრიქსეს მიერ, და აგრეთვე მისი საწინასწარმეტყველო, სადაც მსხვერპლად ვერძს არ სწირავენ. ოდესღაც იგი მდიდარი იყო, მაგრამ ჩვენს დროებაში გაძარცულ იქნა ფარნაკის მიერ და ცოტა ხნის შემდეგ მითრიდატ პერგამელის მიერ. ხოლო. ევრიპიდესი არ იყოს, როცა ქვეყანა აოხრებულია, „ღმერთებიც შეწუხებულნი არიან და მათ პატივისცემის მიღება არ ჰსურთ". (წ. მე-11, თ. მე-2, § 17). „დასახელებულ მდინარეებს" ქვეშ აქ ნაგულისხმევია კოლხეთის, ამავე პარაგრაფში აღწერილი, მდინარეები ფაზისი და მისი შენაკადები — გლავკი და ჰიპპი, ე. ი., რიონი და მისი შემდინარეები. ამ მდინარეთა, კერძოდ, თვით

ფაზისის, — სათავეების შესახებ ძველ გეოგრაფებს არ ჰქონდათ ზუსტი წარმოდგენა — ფაზისის სათავეს მაგ., — ჩვეულებრივად, სამხრეთით გულისხმობდნენ. სტრაბონიც აქვე ამბობს, რომ ფაზისს სათავე ა რ მ ე ნ ი ა შ ი აქვსო. ამიტომ აქ მესხეთის ის ნაწილია ნაგულისხმევი, რომელიც კოლხეთის აღმოსავლეთ ნაწილს სამხრეთიდან ეკრა, ღადო-ფერსათის (ახალციხის ქედის) გასწვრივ, რომელ მთაშიაც ფაზისის სათავე იყო შეცდომით დადებული (მაგ., ვთქვათ, ფაზისის თავნაკადად ხანისწყლის მიჩნევით). ეს ტერიტორია კიდევ დიდი ხნით ადრე საქართველოს პოლიტიკურ ფარგლებში იყო შემოსული. ასეთი მდიდარი ტაძარი, რომელიც გაძარცული იყო მეზობელი ქვეყნების რამდენიმე მეფის მიერ, უეჭველობით მოწმობს ამ მოვლენის სათანადო სოციალურ-ეკონომიური საფუძვლის შესახებ. სავსებით ანალოგიურ ფაქტებს ვხედავთ მეზობელ სომხეთშიაც. სტრაბონის ცნობით, სომხები თაყვანს სცემდნენ ირანელების ყველა ღმერთს, მაგრამ განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ ისინი ღმერთქალის ანაჰიტის ტაძრებს, რომლებიც აგებული ჰქონდათ აკილისენასა და სხვა ადგილებში. ამ ტაძრებში იყვნენ მსახური ვაჟები და ქალები. აქვე ყვაოდა საღმრთო პროსტიტუცია: ყველაზე წარჩინებულნი სწირავდნენ ღმერთ-ქალს თავის ასულებს, რომელთათვისაც არსებობდა წესი — რომ ღმერთქალის სამსახურად დიდ ხანს ემეძავნათ, შემდეგ კი გათხოვილიყვნენ. ეს ღმერთის მსახური მეძავი ქალები თავის საყვარლებს განურჩევლად კი არ იყვანდნენ, არამედ უპირატესად თავის საკუთარ საზოგადოებრივ წრეში ეძებდნენ. საყურადღებოა ისიც, რომ საღმრთო მეძავნი თვითონ უფრო დიდ საჩუქრებს უძღვნიდნენ ხოლმე თავიანთ რჩეულებს, ვიდრე იღებდნენ მათგან, და ამ საქმეზე დიდ ქონებას ხარჯავდნენ (წ. მე-11, თ. 14, 16). მეორე ძველი მწერლის, პლინიუსის, ცნობით, აღნიშნული ღმერთქალის პატივსაცემად აღმართული ყოფილა ერთიან ოქროსაგან გაკეთებული ქანდაკება. საყურადღებოა ტაციტუსის ცნობაც, რომ სომხეთის მეფე თრდატ I (I ს. დამდეგი ახ. წ.) იმავე დროს პირველი ქურუმიც იყო.

მერმინდელი ქართული წყაროების მიხედვით, ჩვენ სრული უეჭველობით დავადგინეთ ქურუმობის გარდა სხვა საზოგადოებრივი ერთეულების არსებობაც, რომლებსაც სტრაბონი გენეებს უწოდებს. ოთხთავის უძველესი ქართული ვერსიების, რომელნიც უკვე IV საუკუნეში ჩნდებიან, ცნობებით გამოვარკვიეთ, რომ ბაზილევს-მონარქის ძველი ქართული შესატყვისობა სწორედ „მეფე"-ა. ირკვევა ამასთანავე, რომ „მეფე" ჩნდება ძლიერი გარდატეხის შემდეგ, რადგანაც მისი პროტოტიპი „მეუფე" (პროფ. ივ. ჯავახიშვილის სამართლიანი განმარტებით „მეფე" „მეუფის" განვითარებაა), გვაროვნული წყობი-

ლების ხანაში წარმოშობილი, ახალ შინაარსს ვეღარ იტევს და წარმოდგენილი სახით იცვლის ფორმას. მეფის ხელისუფლების წარმოშობის შემდეგ ჩნდება სამეფო დინასტია: გამოირკვა, რომ ძველი ქართული სამეფო დინასტიის და, მაშასადამე, სტრაბონის პირველ გენეს, სახელწოდება არის „სეფე“, რომელიც, ენობრივად, სწორედ „მეფესთან“ დაკავშირებით არის აღმოცენებული. „მეუფეს“ კი ასეთი მნიშვნელობის შესატყვისი არ მოეპოვება. „მეუფის“ მსგავსი შესატყვისის როლში გამოდის ნაწილობრივ „სოფელი“, რომელსაც „სეფეს“ მნიშვნელობა არასოდეს არ მიუღია. „მეფე“ — „სეფის“ აქ განსაზღვრული სემანტიკა სრულიად უეჭველია. მერმინდელი ცნობებითვე ირკვევა, რომ „სეფის“ მოცემული მნიშვნელობის ნიადაგზე ვითარდება ძველი ქართული ისეთი ტერმინები, როგორიცაა „სეფე“ — სამეფო სასახლე (აქედანაა დასავლ. საქართველოში გავრცელებული „სეფა“, საქორწილო შენობა, ნეფე-დედოფლის საჯდომად განკუთვნილი), შემდეგ, სეფე ყოველივე ის, რაც სამეფო დინასტიას ეკუთვნის, მაგ., მიწა („სეფე-ყანა“) თუ სხვა რაიმე ქონება, თვით წევრებიც ამ საგვარეულოსი. აღნიშნული მნიშვნელობიდან გამოდის ძველი ქართული „სეფის-კვერი“, ზეციერი მეფის პური, და ახალი ქართული „სეფე-სიტყვა“. სამეფო დინასტიის **წევრთა** აღსანიშნავად ძირითადი ტერმინის როლში გვევლინება **„სეფე-წული“** ან, მისი უფრო იშვიათად გავრცელებული პარალელი, **„სეფე-შვილი“**. „წული“ და „შვილი“ აქ სწორედ წარმოშობის, შთამომავლობის, სისხლით ნათესაობის მომენტზე მიუთითებენ. სეფე-წულები თანდათანობით დაშორდნენ მთავარ სამეფო შტოს და გადაიქცნენ ძველი ქართლის არისტოკრატიის უმაღლეს წრედ, ყველაზე ძლიერ მემამულეებად, უძველეს მესაკუთრეებად და უძველეს აზნაურებად. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს ძველი სომეხი მემატიანის მოსე ხორენელის ცნობიდან (II 7), VI საუკუნის ორიგინალური ქართული ლიტერატურული ძეგლის, „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“, ჩვენებიდან და მრავალი სხვა წყაროს ცნობებიდანაც. ამ მოვლენასთან დაკავშირებით, შემდეგ, გაცილებით უფრო გვიანდელ ხანაში, როცა „სეფე-წულების“ საკუთარი წრე უკვე გადაშენდა, „სეფე“ ზოგჯერ იხმარებოდა საერთოდ ფეოდალის სასახლისა და ქონების აღსანიშნავადაც.

კიდევ უფრო საყურადღებოა ტერმინები „სეფე-ქალი“ და „სეფე-კაცი“. „ქალი“ და „კაცი“, რომელნიც წარმოშობაზე, შთამომავლობაზე არას ამბობენ, ძირითად ტერმინთან კავშირში უკვე სხვა მნიშვნელობას გვაძლევენ. **„სეფე-ქალი“ და „სეფე-კაცი“ ძველ ქართულში მეფის, სამეფო კარის, სამეფო ხელისუფლების მსახურებს აღნიშნავენ;** პირველი — სასახლის მოახლეს, მეორე — სამეფო მო-

ხელეს. ოთხთავის ქართულ თარგმანის უძველეს ვერსიებში „სეფე-კაცი“, მაგ., სწორედ ამ აზრითაა ნახმარი: აქ ავტორი ურჩევს (ლუკას თავი, 12, 58) დროზე განთავისუფლებას მეტოქე-მოცილისაგან, თორემ თუ — „მთავართან“ მიხვედი, „მთავარი“ გადაგცემს შენ „მსაჯულს“, მსაჯული გადაგცემს „შენ სეფესა კაცსა და სეფემან კაცმან მიგცეს შენ საპყრობილედ“. ამ საპყრობილიდან კიდევ ვერ გამოხვალ, ვიდრე უკანასკნელ „წვლილს“ არ მისცემო. ქართული ოთხთავის სხვა, უფრო ნაგვიანევ, ვერსიებში, „სეფე კაცის“ მაგიერ „მეხარკე“ არის ნახმარი (ახალ რუს. თარგმანში ამას შეესატყვისება „истязатель“). დაწვრილებით ამ საკითხების შესახებ ჩვენ სხვაგან გვექნება მსჯელობა. აქ კი ვიტყვით. რომ „სეფე-კაცის“, როგორც სახელმწიფო მოხელის აღმნიშვნელი ტერმინის, არსებობა ამ ციტატით სრულიად უეჭველია.

ზოგიერთი ძველი ქართული ძეგლი ამ ტერმინების სხვადასხვა, აქ აღნიშნული, აზრით ხმარების საყურადღებო მაგალითებს იძლევა (იხ. მაგ., ნინოს ცხ. Опис. II, 756, 767 შემდ., 761 და სხვა) და სავსებით ადასტურებს გამოთქმულ დებულებას, რომლის დაწვრილებითი განვითარებისათვის ჩვენ აქ ადგილი არ გვაქვს.

მესამე გენის („მიწისმოქმედნი და მეომარნი“) ქართული სახელწოდება, ჩვენი გამოკვლევით, არის „ერი“. „ერი“ ძველ ქართულში ნიშნავს ერთდროულად „ხალხსაც“ და „ჯარსაც“, ე. ი. არსებითად, მილიტარულის ანუ სამხედრო დემოკრატიის წიაღში წარმოშობილი ცნება-ტერმინია. ამდენად, „ერის“ აყვავების პერიოდად უნდა მიჩნეულ იქნეს გვაროვნული წყობილების უმაღლესი საფეხური, რომელიც სტრაბონის ცნობის დროისათვის უკვე განვლილია, რადგანაც „ერისაგან“ გამოყოფილია და ცალკე წოდებრივ წრედ არის ჩამოყალიბებული მონათმფლობელი ქურუმების ჯგუფი (მეორე გენე). რომ სტრაბონისდროინდელი „ერი“ უკვე ძველი ერი აღარ არის, ეს კიდევ უფრო კარგად ჩანს მისი სუვერენული თვითმყოფობის ძირითადი ნიშნის, ძველი მმართველობის უმაღლესი ორგანოების, საბჭოსა და სახალხო კრების („ერის კრების“) გაქრობის ფაქტიდან. სტრაბონისეული „ერი“, რომელიც ჯერ კიდევ შეიცავს ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას, თავისი სოციალურ-ეკონომიური შემდგომი დიფერენციაციის გზაზეა შემდგარი. ქართლის ფეოდალიზაციის ხანგრძლივი პროცესი ამ გენეში, „ერში“, მიმდინარეობს. „ერს“ ეყოფა და ზევით მიიწევს მისი უმცირესობა — „ერისთავები“, საერთოდ „თავები“ და „თავადები“ (ამ სიტყვის ძველი მნიშვნელობით), „მთავრები“, „წარჩინებულნი“ და სხვ., რომელნიც ბოლოს და ბოლოს ერთიანდებიან „აზნაურთა“ ახალ წოდებაში. ქვევით მიდის და უფლებებისაგან სულ უფრო და უფრო

მეტად იძარცვება „ერის“ უმრავლესობა, რომელიც ქმნის ყმათა ფეოდალური კლასის ძირითად სარეზერვო სოციალურ მასას, წყაროებში „წვრილი ერის“ სახელწოდებით აღნიშნულს (ზემოთ დახასიათებული ჯგუფი მასთან შეპირისპირებით „მსხვილი“ ერია). „წვრილი ერი“ დიდხანს იბრძვის თავისი ძველი უფლებების დასაცავად (მისი ნაშთები, „ჰეროვანთა“, „ერისგანთა“ და სხვ. სახელით ქართ. ფეოდალიზმის კლასიკურ პერიოდშიაც გვხვდება), მაგრამ, საბოლოოდ, მარცხდება და ყალიბდება, როგორც ქართველ „ყმათა“ ძირითადი ფეოდალური კლასი.

ასევე დოკუმენტალურად ვადასტურებთ ჩვენ, ქართული წყაროების მერმინდელ ჩვენებათა მიხედვით, სტრაბონისეული მეოთხე გენის („ლაოი“) არსებობას, რომელიც, ჩვენი დებულებით, კოლონებისაგან შედგება. ამ ჯგუფის ადგილობრივი უძველესი წოდებრივი სახელწოდებაა „გლეხი“ (სხვადასხვა დიალექტური ფორმით). ეს „გლეხობა“ ქმნის შემდეგში ქართული ფეოდალური საზოგადოების ძირითადი კლასის, ყმების, ყველაზე ძველს ელემენტს, რომელიც შეესატყვისება ზოგადად, ევროპულ „სერვებს“ (გერმ. Leibeigene), ხოლო „წვრილი ერი“, „ერისგანნი“ და სხვა მსგავსი „ქვეყანისმოქმედნი“ ქმნიან იმავე კლასის უფრო გვიანდელს (წარმოშობით) ელემენტს, რომელიც შეესატყვისება ევროპ: „ვილანებს“ (გერმ. Grundhörige). სტრაბონის ცნობით, ეს „ლაოი“, „გლეხები“ (სხვათა შორის, ახლა ჩნდება ძველი წყაროები, რომელთა მიხედვითაც „გლეხნი“ ძველ ქართულში, ლაოის შესაბამისად, „მდაბიო ხალხსაც“ აღნიშნავს) ჰყავს მხოლოდ მეფის საგვარეულოს ანუ, ჩვენი განმარტებით, „სეფეს“. ეს გარემოება სავსებით დასტურდება გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში „მესეფე“ ტერმინის არსებობით: „მესეფე“ აქ უცხოური წარმოშობის „მებეგრეს“ შეესატყვისება და მუშაობავალდებულ ყმას აღნიშნავს (იხ. მაგ., „საისტ. კრებული“, 1, 39—40). სტრაბონის ცნობით, ეს „ლაოი“ იყვნენ „ბასილიკოი დულოი“, რაც შეიძლება ადგილობრივი „მესეფე გლეხების“ პირდაპირ გადაცემად იყოს მიჩნეული. „მესეფე გლეხები“ სამეფო გვარის, „სეფესათვის“ მუშაობდნენ და უმზადებდნენ მას ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვის იყო საჭირო. ბუნებრივად უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ვალდებულება-გამოსაღების ადგილობრივი სახელწოდება იყო სწორედ „სეფობა“, რომელი ტერმინიც მერმინდელ საუკუნეებში არც თუ იშვიათად გვხვდება ყმა-გლეხის საბატონო სამუშაოს მნიშვნელობით (როსტომ მეფის სიგელი 1637 წ., საქ. სიძვ., II, 32; იასე ერისთავთ-ერისთავის სიგ. მე-16 ს., საქ. სიძვ., III, 562—3; გივი ამილახვრის სიგ. 1689 წ., საისტ. კრებ., I, 113—4; განსაკუთრებით იხ. ჯრუჭის საბეგრო დავთარი 1809 წ., საისტ. კრებ., I, 45—56).

ამგვარად, ჩვენი კონცეპცია საქართველოს ვითარების შესახებ I ს. დამყარებულია არა მარტო სტრაბონის „გეოგრაფიის“ განცალკევებული ცნობის ანალიზზე, არამედ მთელი მერმინდელი განვითარების განხილვაზე და სტრაბონისეულ აღწერილობის შედარებით შესწავლაზე ყველა დანარჩენი კატეგორიის ჩვენებათა გამოყენებით.

გ. ქ. სოსელია არა მარტო უარყოფს ჩვენს შეხედულებას, არამედ მათ უპირისპირებს და იცავს თავის საკუთარსაც. ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ შევეხოთ მათაც...

სოსელიას შეხედულებები ამ საკითხის შესახებ თავმოყრილია ერთს წერილში, რომელიც პირველად დაბეჭდილა 1930 წ. ჟურნ. „მნათობში“, 1931 წ. გამოსულა რუსულად, ხოლო 1934 წ. გამოქვეყნებულა ცალკე გამოცემის სახით, რომლის სახელწოდებაა „სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისათვის“, ჟურნ. „საქ. სოციალისტური მეურნეობის“ გამ. (იხ. ამ გამოცემის წინასიტყვაობა). ჩვენ ქვემოთ ყველგან ამ გამოცემით ვსარგებლობთ...

რას ამბობს სოსელია?... „ორი ათასი წლის წინათ ქართველებში **ტიპური საგვარეულო** წყობილება იყო. მართალია, აქ ჩვენ საქმე გვაქვს საგვარეულო წყობილების უმაღლეს საფეხურთან, როცა უკვე მომზადებულია ნიადაგი მისი დაშლისათვის. მაგრამ არც მონობის არსებობა, არც ქურუმების ცალკე გამოყოფა და არც არსებობა საზოგადოების ისეთი წრის, რომელიც „მეფეს სვამდა“ (სტრაბონის ეს სიტყვები სულ სხვაგვარად უნდა გავიგოთ, ამაზე ქვემოთ), — **არც ერთი ეს გარემოება სტრაბონის მიერ აღწერილ პირობებში არაფერს ამბობს იმაზე, რომ საგვარეულო წყობილება ამ დროს საგრძნობლად შერყეული ყოფილიყოს**“ (გვ. 11, ხაზი ჩვენია ს. ჯ.). ავტორი მრავალგზის იმეორებს ამ აზრს და თან დარწმუნებულია, რომ სტრაბონის ცნობა ახასიათებს იმ მდგომარეობას, რომელიც იყო იბერიაში ჩვენი წელთ აღრიცხვის დასაწყისში (იხ. გვ. 8, 9, 13, 14, 17, 26, 44, 45, 60). ამასთან, სოსელიასთვის „უდავოა, რომ სოციალური უთანასწორობა ქართველებში ჩამოყალიბდა I—IV სს-ში. აშკარაა, ამ პერიოდში ქართველები რაღაც განსაკუთრებულ პირობებში უნდა ყოფილიყვნენ, რაკი მოხდა მათი [! ს. ჯ.] სოციალურ წყობილებაში ასეთი დიდი გარდატეხა“ (გვ. 26) ეს, მართლაც, დიდი გარდატეხა უნდა ყოფილიყო, რადგანაც სოციალური უთანასწორობის ჩამოყალიბება ნიშნავს კლასების წარმოშობას: „რამდენადაც I—IV სს. შესახებ, როდესაც უნდა მომხდარიყო საგვარეულო წყობილების დაშლა და კლასების წარმოშობა, პირდაპირი ისტორიული წყაროები არ მოგვეპოვება, მკვლევარს რჩება ერთი საშუალება: გამოიყენოს არაპირდაპირი წყაროები“... (გვ. 14, იხ. აგრეთვე გვ. 17, 27, 62, 67 და სხვ.). აქ ავტორს უჩნდება რთუ-

ლი პრობლემა — როგორ მოხდა ასეთი ისტორიისათვის უცნობი ამბავი, რომ I ს. ქართლში „ტიპური საგვარეულო წყობილება არსებობს“, რომლის შესახებაც „არც ერთი გარემოება... არაფერს ამბობს იმაზე“, რომ ეს საგვარეულო წყობილება „ამ დროს საგრძნობლად შერყეული ყოფილიყოს“, ხოლო სამი საუკუნის შემდეგ უკვე კლასობრივი საზოგადოება ჩამოყალიბებულია? რატომ და როგორ მოხდა, რომ რომელიღაც ძალამ „სოციალური უთანასწორობა წარმოშვა მაინცდამაინც I—IV სს. და არა წინათ ან შემდეგ?“ (გვ. 17).

ვნახოთ, „რას ეუბნებიან“ გ. ქ. სოსელიას „ისტორიული მასალები ქართველ ტომებში კლასების წარმოშობის შესახებ“ (გვ. 25). „უდავოა, რომ სოციალური უთანასწორობა ქართველ ტომებში ჩამოყალიბდა 1—IV სს. აშკარაა, ამ პერიოდში ქართველები რაღაც განსაკუთრებულ პირობებში უნდა ყოფილიყვნენ, რაკი მოხდა მათ სოციალურ წყობილებაში ასეთი დიდი გარდატეხა. რა იყო ეს პირობები? როგორც ვიცით, ამ დროს (65 წ-დან ქრ. წ.) ქართველები რომაელების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ... რომაელების ბატონობას შეეძლო — და ეს ასეც იყო — არაპირდაპირი გავლენა მოეხდინა ქართველების სოციალურ წყობილებაზე: აღებმიცემობის განვითარებით დააჩქარა ის პროცესი, რომელიც თავისთავად უნდა დაწყებულიყო... რომაელებთან „დამეგობრების“ შემდეგ ქართველებში ვაჭრობა, გასაგებია, ჩქარის ტემპით უნდა განვითარებულიყო. აღებმიცემობის განვითარებასთან ერთად უნდა განვითარებულიყო ხელოსნობაც, მესაქონლეობაც და მიწის დამუშავების ტექნიკაც. ყველაფერ ამას უნდა მოჰყოლოდა, ერთი მხრივ, ქონების დაგროვება გვარში, მეორე მხრივ, შრომის საზოგადოებრივი განაწილება (გვარში შრომის პირვანდელი ბუნებრივი განაწილების ნაცვლად). ეს უკანასკნელნი კი თავის თავად ხელს შეუწყობდნენ გვარში ცალკე წევრთა შორის ქონებრივი განსხვავების გაჩენას“. (გვ. 26—27). მაგრამ სად არის ის „ისტორიული მასალები“, რომლებმაც ამ სურათის სისწორე უნდა დაგვიმოწმოს? ავტორი არ ასახელებს არც ერთ ფაქტს. სოსელიას რომ ამ სტრიქონების წერისას მიემართნა ვისმესთვის, ვინც მცირედ მაინც იცნობს საქართველოს ისტორიას, მიიღებდა იმ ცნობას, რომ რომაულ ხანაში საქართველოში მნიშვნელოვანი რაოდენობით შემოდის რომაული ფული და ჩნდება ამ რომაული ფულის ადგილობრივი მიბაძვაც (Пахомов, Монеты Грузии, 10—11), სოსელია არ იცნობს ამ ფაქტსაც, თუ როგორია დასახელებული ფაქტის ნამდვილი მნიშვნელობა, ამის შესახებ ჩვენ ქვემოთ ვიტყვით, ახლა კი დავუბრუნდეთ ჩვენს ისტორიკოსს. ფაქტები მას არ აქვს, მეთოდოლოგია საეჭვოა. მართლაც:

გარეშე გავლენა ყოველთვის ანგარიშგასაწევია, კერძოდ — რომაელების გავლენაც. მაგრამ ვინც ჩაუკვირდება ზემოთ მოყვანილ ციტატას, მისთვის ცხადი გახდება, რომ იქ განვითარების პროცესი უკუღმაა დახატული: I ს. დამდეგს ჩვენი წელთაღრიცხვით ტიპური გვაროვნული წყობილებაა, რომაელების ბატონობა ერთი საუკუნის მანძილზე მასზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს (რომაელები შემოვიდნენ ჩვენში ხომ 65 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ე. ი., იმ მდგომარეობაზე თითქმის ერთი საუკუნით ადრე, რომელიც სოსელიას ტიპურ გვაროვნულ წყობილებად მიაჩნია), შემდეგ კი ეს გავლენა კოლოსალურ ფარგლებს იღებს. გავლენა გამოიხატება იმაში, რომ რომაელებმა აქ ვაჭრობა მოიტანეს. გ. სოსელია პირდაპირ ამბობს: „საქართველოში ვაჭრობის განვითარებაზე ლაპარაკი სწორედ მხოლოდ I ს-დან რომაელების შემოსვლიდან — შეიძლება“ (გვ. 55). ვაჭრობამ განავითარა ხელოსნობაც, მესაქონლეობაც (!) და მიწის დამუშავების ტექნიკაც. ამას მოჰყვა ქონების დაგროვება გვარში და შრომის საზოგადოებრივი განაწილება! სინამდვილეში კი, ცნობილია, პროცესი პირუკუ ხდება: ვაჭრობა და აღებმიცემა შრომის საზოგადოებრივი განაწილების შედეგია. ასე იყო ფაქტიურად საქართველოშიაც.

მაგრამ დავანებოთ ამ „წვრილმანებს“ თავი და სიტყვა მივცეთ ბოლომდის გ. სოსელიას. „მაგრამ ქართველ ტომებში სოციალური ჯგუფების ჩამოყალიბების საქმეში, — განაგრძობს სოსელია, — გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია განსაკუთრებით ერთმა გარემოებამ. მესამე საუკუნიდან საქართველოში ვაჭრობა ეცემა. მიზეზი: რომის გავლენის შესუსტება და სპარსეთის გავლენის გაძლიერება. რაკი უკანასკნელი [ე. ი. რა? სპარსეთის გაძლიერება? ს. ჯ.] მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს აღარ წარმოადგენს, ქართველებს მთავარი ყურადღება მეურნეობის სხვა დარგისათვის უნდა მიექციათ. ასეთი დარგი მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა იყო“ (იქვე, გვ. 27). აქ ყველაფერი „კლასიკური“ სახითაა მოცემული: სტილი, საქართველოს ფაქტიური ისტორიის ცოდნა, მეთოდოლოგია! ჩვენ იძულებული ვართ ამიტომ აქ ცოტა ხანს შევჩერდეთ. რა მივიღეთ? — რომაელები საქართველოში შემოვიდნენ I ს-ში ქრისტიანულ წელთაღრიცხვამდე, მათ აქ პირველად განავითარეს ვაჭრობა-აღებმიცემა, მაგრამ I ს-ში ქრისტიანული წელთაღრიცხვით აქ გვაროვნული წყობილება ურყევია. იგი, უნდა ვიფიქროთ, რღვევას იწყებს ამ საუკუნის დამლევს. განსაკუთრებით ძლიერი რომაული გავლენა, როგორც ჩანს, II საუკუნეშია, რადგანაც III საუკუნეში მის ადგილს უკვე სპარსული გავლენა იჭერს. ეს პოლიტიკური ცვლილება მეურნეობრივად იწვევს ვაჭრობის დაცემას და მიწათმოქმედებაზე როგორც მეურნეობის მთავარ დარგზე გა-

დასვლას. ქართველებს თურმე მეურნეობის ამ დარგისათვის მთავარი ყურადღება მხოლოდ ახლა მიუქცევიათ. შეუძლებელია იმის გაგება, თუ რატომ მოხდა ეს ამბავი. თუ ქართული გრამატიკის თვალსაზრისით მივუდგებით მოყვანილ ციტატას, მაშინ ასე უნდა მივიღოთ: რაკი სპარსეთის გავლენის გაძლიერება მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს აღარ წარმოადგენს, ამიტომ ქართველები ახლა მიწათმოქმედებას აპყრობენ ყურადღებას. ხოლო თუ აქ ენობრივ ფაქტორს გამოვრიცხავთ, მაშინ შესაძლებელია სოსელიას აზრი ასე გავიგოთ: რაკი ვაჭრობა მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს აღარ წარმოადგენს, ამიტომ ქართველები მიწისმოქმედებისაკენ იბრუნებენ პირს. ცხადია, რომ აქ ჩვენი ქვეყნის განვითარების ფაქტორები მთლიანად საგარეო სფეროშია გადატანილი, შინაგან კანონზომიერებას არავითარი ფასი არა აქვს გარეგანთან შედარებით. მართლაც: მხოლოდ რომაელებმა გააჩაღეს თურმე ქართლში მნიშვნელოვანი ვაჭრობა, ამ ვაჭრობამ გააჩინა ხელოსნობა, მესაქონლეობა და მიწის დამუშავების ტექნიკაც, ყოველივე ამან კიდევ გააჩინა სიმდიდრე, შრომის საზოგადოებრივი განაწილება და ქონებრივი უთანასწორობა. მაგრამ მას შემდეგაც, რაც ეს გარკვეული საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობა უკვე გაჩნდა, თუნდაც გარეგანი მიზეზების წყალობით, მას, ახალ წესწყობილებას, დამოუკიდებელი არსებობა მაინც არ შეუძლია! საკმაოა, რომაელთა გავლენა შესუსტდეს, რომ ყველაფერი ყირამალა დგება! რაღა ცვლის მას, რა მიზეზები იწვევენ ახალ ვითარებას? მკითხველი მოელის, რომ ახლა მაინც დაუბრუნდება შინაგან ძალებს მათი უფლებები. გაგონილა! ახალი ურთიერთობის გამარჯვებას იწვევს „სპარსეთის გავლენის გაძლიერება"! ამავე დროს ამ საგარეო ფაქტორებს ფუნქციებიც მკაცრად აქვთ განაწილებული: რომი ვაჭრობის ფაქტორია, ირანი („სპარსეთი") — მიწისმოქმედებისა. რატომ?! მაგრამ ჩნდება კიდევ ერთი უსიამოვნო საკითხი: თუ III საუკუნემდის მთავარი ფაქტორი ვაჭრობაა, ხოლო მიწათმოქმედება მთავარ ფაქტორად მხოლოდ III საუკუნის შემდეგ იქცევა, მაშინ რით იკვებება ეს გრანდიოზული ვაჭრობა, III საუკუნის უწინარეს არსებული ვაჭრობა, რომელიც ქვეყანას ასაზრდოებს? მარტივად რომ ვთქვათ — რით ვაჭრობენ ქართველები? პასუხს ვერ იპოვით.

გაუგებარი რჩება მკითხველისათვის კიდევ ერთი გარემოება: თუ ქართველებში I—III სს. ასეთი კოლოსალური ვაჭრობაა გაჩაღებული, რომ იმით თავს ირჩენს მთელი ხალხი, თუ მას და მასთან დაკავშირებულ მოვლენებს უკვე მოჰყვა, როგორც სოსელია ამბობს, „ერთის მხრივ, ქონების დაგროვება გვარში, მეორე მხრივ, შრომის საზო-

გადოებრივი განაწილება (გვარში შრომის პირვანდელი ბუნებრივი განაწილების ნაცვლად)“ და ამ ამბებს კიდევ თან სდევდა „გვარში ცალკე წევრთა შორის ქონებრივი განსხვავების გაჩენა“, როგორ მოხდა, რომ ყოველივე ამან ვერ გააჩინა სოციალური უთანასწორობა, რომ მესამე საუკუნემდის „**ყოველი** ქართველი ერთსა და იმავე დროს მეურნეც იყო და მხედარიც“ (გვ. 27, ხაზი ჩვენია, ს. ჯ.), ესე იგი, ერთსა და იმავე დროს ვაჭარი უმთავრესად (იხ. ზემოთგარჩეული მოსაზრებები ავტორისა) და მეომარი? მარქსიზმი ხომ გვასწავლის, რომ სოციალური უთანასწორობისა და საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის ძირითადი ნიადაგი არის სწორედ შრომის საზოგადოებრივი განაწილება.

ვილაპარაკოთ თვით ავტორი. III საუკუნემდის ქართველები უმთავრესად ვაჭრობას მისდევენ. III საუკუნეში სპარსელების გავლენა ძლიერდება და ამიტომ ქართველების ვაჭრობა ეცემა. ქართველებმა ახლა მთავარი ყურადღება სხვა დარგს, მიწათმოქმედებას მიაქციეს. ეს ამბები მკითხველმა უკვე იცის. ამის შემდეგ სოსელია განაგრძობს: „ასეთი დარგი **მიწათმოქმედება** იყო. უკანასკნელზე, როგორც მეურნეობის უმთავრეს დარგზე, გადასვლას უნდა მოჰყოლოდა მთელი რიგი შედეგებისა: თუ მანამდის ყოველი ქართველი ერთსა და იმავე დროს მეურნეც იყო და მხედარიც, ახლა ასეთი მდგომარეობა შეუძლებელია გაგრძელდეს, ვინაიდან იგი მეტად საზიანოა მეურნეობისათვის. მიწათმოქმედი ვერ დაშორდება თავის მეურნეობას. ამიტომ ქვეყნის დაცვის საქმისათვის, ქვეყნის „პატრონობისათვის“ უნდა გამოყოფილიყო ცალკე წრე, მხედართა წრე. უკანასკნელთ, რამდენადაც ისინი საზოგადოებრივ საჭირო ფუნქციას ასრულებენ, გვარი ინახავს. მხედრობა თანდათან სპეციალურ, არა ყველასათვის ხელმისაწვდომ ხელობად იქცევა. ბოლოს სამხედრო წრე წყვეტს გვართან ყოველგვარ სამეურნეო კავშირს, ის მხოლოდ ქვეყნის დამცველად ითვლება. **ქვეყნის მიწა-წყლის „პატრონიც“ მხოლოდ ეს წრეა. ამისათვის დანარჩენებისაგან ის „ბეგარას“ ღებულობს.** ასე ჩამოყალიბდა ერთის მხრივ, მაღალი კლასი, კლასი „პატრონთა“ ანუ „თავისუფალთა“, რომელთაც „**აზნაურები**“ ეწოდათ და, მეორე მხრივ, დაბალი კლასი, კლასი „მებეგრეთა“, ან მიწის-მუშათა, რომელთაც **გლეხები** ეწოდათ. ბუნებრივია, რომ აზნაურობაც, როგორც სამხედრო წრიდან გამოსული, ხარისხებრ იყო დაყოფილი იმის მიხედვით, თუ ვის რა ადგილი ეკავა ქვეყნის დაცვის საქმეში, მის „პატრონობაში“. იყვნენ: „აზნაურნი დიდ-დიდნი“, აზნაურნი მცირენი და, ალბათ [ეს ჭეშმარიტად საყურადღებო ჰიპოთეზია! ს. ჯ.] საშუალონიც“ (იქვე, გვ. 27—28). ასე ჩამოყალიბდა სოსელიას შეხედულებით ფეოდალიზმი საქართველოში!

რა მივიღეთ? I—III სს., როცა რომაელების წყალობით ქართველ ტომებში ვაჭრობა იმდენად განვითარდა, რომ იგი მთელი ხალხისათვის მეურნეობის მთავარ დარგს წარმოადგენდა (აქ, სხვათა შორის, უნდა შევნიშნოთ, რომ ვაჭრობის ასეთი როლი საქართველოს ისტორიის არც ერთი პერიოდისათვის არც ერთ ისტორიკოსს არ ჰქონია არასოდეს წარმოდგენილი), როცა, ამასთან ერთად, განვითარდა ერთგვარი (თუმცა გაუგებარია, რაგვარი!) ხელოსნობა, მესაქონლეობა, მიწის დამუშავების ტექნიკა, როცა ამ მოვლენების შედეგად დაგროვდა ქონება გვარში, გაჩნდა შრომის საზოგადოებრივი განაწილება და ქონებრივი უთანასწორობა, — მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც საყოველთაო სოციალური თანასწორობა სუფევს. სოსელიას აზრით, „ქართველ ტომებში სოციალური ჯგუფების ჩამოყალიბების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია“ სხვა გარემოებამ. გვარს გამოეყოფა, გაბატონებულ წრედ იქცევა, ფეოდალური საზოგადოების უმაღლეს წოდებას, აზნაურობას, ქმნის გვარის არა ის ნაწილი, რომელიც ეკონომიურად დაშორდა თავის თანამოძმეებს. არა, ეს **სამხედრო წრეა**, რომელიც „წყვეტს გვართან ყოველგვარ სამეურნეო კავშირს, — ის მხოლოდ ქვეყნის დამცველად ითვლება“. ეს სოციალური დიფერენციაცია ჩნდება იმიტომ, რომ „ქვეყნის დაცვის საქმისათვის, მისი „პატრონობისათვის“ უნდა გამოყოფილიყო ცალკე წრე, მხედართა წრე“. უკანასკნელნი პრივილეგიურ მდგომარეობაში ექცევიან იმიტომ, რომ „ისინი საზოგადოებრივ საჭირო ფუნქციას ასრულებენ“. იქნებ მკითხველმა იფიქროს, რომ აქ პროცესის მხოლოდ დასაწყისი მომენტია ნაგულისხმევი. არა, ასე არ არის! „მხედრობა, — განაგრძობს იგი, — თანდათან სპეციალურ, არა ყველასათვის ხელმისაწვდომ ხელობად იქცევა, ბოლოს სამხედრო წრე წყვეტს გვართან ყოველგვარ სამეურნეო კავშირს, ის მხოლოდ ქვეყნის დამცველად ითვლება. ქვეყნის მიწაწყლის „პატრონიც“ მხოლოდ ეს წრეა. ამისათვის დანარჩენებისაგან ის „ბეგარას“ ღებულობს“. სიტყვა პატრონს იგი ბრჭყალებში სვამს, რომ ეს ტერმინი დღევანდელი მნიშვნელობით, „მესაკუთრის“ აზრით, არავინ გაიგოს. მიწაწყლის „პატრონი“ მისთვის მიწაწყლის მესაკუთრეს სრულიადაც არ ნიშნავს. ფეოდალიზმის განვითარებული ხანისთვისაც, როცა გაბატონებული წოდება, აზნაურობა, შინაგან ფენებად დაიყო, სოსელია ამ ფენიანობის მიზეზებსაც იმავე მოვლენებში ხედავს, რომლებმაც წარმოშვა თვით აზნაურობა: „**აზნაურობაც**, როგორც სამხედრო წრიდან გამოსული, **ხარისხებრ იყო დაყოფილი იმის მიხედვით, თუ ვის რა ადგილი ეკავა ქვეყნის დაცვის საქმეში, მის „პატრონობაში“**, ამბობს სოსელია (გვ. 28). მაშასადამე, „პატრონობა“ სოსელიასათვის უდრის „ქვეყნის დაცვის საქმეს“. არ არსებობს

საქართველოს ისტორიის არც ერთი მკვლევარი, რომლისთვისაც აზნაურთა დახარისხება მათს მამულიანობაზე, აზნაურთა მამულისა და ყმების სიდიდეზე არ იყოს დამყარებული. ეს კარგად ესმოდა და არც დაუმალავს მეფე ვახტანგ მეექვსესაც.

სოსელია დაწვრილებით ავითარებს ამ აზრებს, რომლებიც, მისივე განცხადებით, თურმე არის „სოციალური უთანასწორობის წარმოშობაზე ჩვენი (ე. ი. სოსელიას) შეხედულება" (გვ. 28). იგი წერს, რომ ფეოდალურ საქართველოში **„გადამწყვეტი მნიშვნელობა მხოლოდ ადამიანის პირად თვისებას ჰქონდა** და არა წარმოშობას, „სისხლს"... რომ **ძველად ფასი ჰქონდა ადამიანის პირად თვისებას, განსაკუთრებით, სამხედრო ნიჭს**, უნარსა და არა „გვარიანობას", ამას სხვათა შორის ადასტურებს ისიც, რომ დიდ მოხელეთა (მთავართა და თავადთა) უდიდეს ნაწილს სრულიად „უგვარო", უთვისტომო, უცხო ქვეყნიდან შემოხიზნული, „ერთგული სამსახურისათვის" (სამხედრო სამსახურისათვის), „აღზევებულნი" პირები შეადგენდნენ (მხარგრძელნი, ციციშვილები და მრავალი სხვა)" (იქვე, გვ. 29, ხაზი ჩვენია, ს. ჯ.].

სხვაგან კიდევ უფრო მკვეთრად ავტორი ამბობს: „ძველად საქართველოში მნიშვნელობა ჰქონდა არა საგვარეულო ღირსებას, გვარიანობას თუ გვარიშვილობას, არამედ ადამიანის პირად თვისებებს"... ასე ყოფილა თურმე „სულ უკანასკნელ დრომდის (XVIII ს-მდის)". (იქვე, გვ. 19—20; შეადრ. გვ. 22). თავი დავანებოთ იმას, რომ იურისტსა და ქართული სამართლის ისტორიის სპეციალისტს გ. ქ. სოსელიას უეჭველად უნდა სცოდნოდა ფეოდალური საქართველოს ისეთი მოვლენის შესახებ, როგორიც იყო „სისხლის ფასი". ახლა კი უეჭველია, რომ თავადობისა და ციციშვილების ხანაშიაც, ე. ი. XV ს-შიც (თავადთა წოდებაზე და ციციშვილების საგვარეულოზე XV ს-ზე ადრე ლაპარაკი შეუძლებელია) ადამიანის დაწინაურებისათვის „გადამწყვეტი მნიშვნელობა მხოლოდ ადამიანის პირად თვისებას ჰქონდა", ვინც ნიჭიერი კაცი და გულადი და ერთგული მეომარი იყო, ის იქცეოდა ფეოდალად, ორგულნი, გლახები და მშიშარები კი მიწას ჩიჩქნიდნენ და გლეხობას შეადგენდნენ.

სოსელია კიდევ უფრო აღრმავებს ამ აზრს. იგი წერს: „ჩვენი თვალსაზრისი მშვენივრად ხსნის აგრეთვე ქართველების სოციალურ ცხოვრებაში ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას — **პატრონ-ყმობას. სამხედრო** წრის ფუნქციას ქვეყნის დაცვა, მფარველობა ანუ, როგორც იტყოდნენ, „პატრონობა", შეადგენს. აქ პატრონი ნიშნავს მფარველს. ამ საზოგადოებრივი ფუნქციისათვის ის გასამრჯელოს — ბეგარას ღებულობს. დროთა განმავლობაში ქვეყნის „პატრონი" — მფარველი იქცევა ქვეყნის „პატრონად" — მესაკუთრედ („პატრონი" აქ

უკვე მესაკუთრეს ნიშნავს). მფარველი-პატრონი ხდება პატრონი-მესაკუთრე. მიწაწყლის დასაკუთრების შემდეგ იგი თავის ბატონობას ავრცელებს ამ მიწაწყლის ფაქტიურ მფლობელზე. უკანასკნელი მიემაგრება მიწას. პატრონყმობა იქცევა ბატონყმობად" (იქვე, გვ. 29—30). აქ პირველად გამოჩნდა აზრი მიწაწყლის დასაკუთრების შესახებ პატრონის მიერ, მაგრამ ეს იმის შედეგია თურმე, რომ თავდაპირველად პატრონი მფარველი იყო (საწარმოო ძალთა განვითარების, კლასთა ბრძოლის და მსგავსი მოვლენების შესახებ აქ კრინტიც არ არის დაძრული!). შემდეგ კი ეს დასაკუთრება ხდება. მხოლოდ იმ ხანაში, როცა გლეხი მიემაგრება მიწას და პატრონყმობა იქცევა ბატონყმობად. საკუთრივ პატრონყმობის ხანაშივე, ე. ი. XI—XII სს., პატრონობა მხოლოდ ქვეყნის დაცვასა და მფარველობას ნიშნავს. პატრონი კი **„ამ საზოგადოებრივი ფუნქციისათვის გასამრჯელოს — ბეგარას ღებულობს"!** აქამდე მიღებული იყო აზრი, რომ აღებულ ხანაში ქართულმა ფეოდალიზმმა უკვე მიაღწია თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს, რომ პატრონყმობა არის ბატონობა-მორჩილების ურთიერთობა, რომ მისი საფუძველია საწარმოო საშუალებათა მონოპოლიზაცია ფეოდალების მიერ, რომ იგი მიზნად ისახავს მწარმოებელი კლასის ზედმეტი შრომის მითვისებას, გარეეკონომიურ იძულებაზე დაყრდნობით, საწარმოო პირობების მესაკუთრეთა მიერ, რომ „ბეგარა" არის ექსპლოატაციაქმნილ მწარმოებელთა შრომის მითვისების ფორმა ფეოდალების მიერ. მაგრამ სოსელია სხვაგვარად ფიქრობს: პატრონყმობა ყოფილა მხოლოდ ქვეყნის დაცვა-მფარველობის საზოგადოებრივი ფუნქცია, ბეგარა კი მხოლოდ გასამრჯელო ამ ფუნქციისათვის!

სხვათა შორის: ჩვენ მიერ გარჩეულ წერილში სოსელიამ ამოგლიჯა ჩვენი ნარკვევიდან ერთი ციტატა ქურუმების, როგორც წარმოების ორგანიზატორების შესახებ. ამ ფრაზის ირგვლივ დისკუსიაზე უნივერსიტეტში ჩვენ განვაცხადეთ, რომ იგი შემცდარ დაფორმულებას წარმოადგენს (იხ. სტენოგრამა). იქვე იყო სოსელია, მაგრამ მან მაინც შესაძლებლად მიიჩნია, დაემალა საზოგადოებისათვის ეს გარემოება უკვე დისკუსიის შემდეგაც.

მკითხველის საყურადღებოდ უნდა განვაცხადოთ, რომ აღნიშნული ფრაზა არა მარტო მცდარია, არამედ სრულიად შემთხვევითიც ჩვენი შეხედულებებისათვის. აღნიშნული ნარკვევი დაიბეჭდა მხოლოდ ერთხელ, ისიც ლითოგრაფიულად, ჩვენი მძიმე ავადმყოფობის პირობებში. ჩვენ არავითარი საშუალება არ გვქონდა, გაგვესწორებინა კორექტურა. მიუხედავად ამისა, ყოველ პატიოსან ადამიანს შეუძლია დარწმუნდეს, რომ ჩვენი შეხედულება ამ საგანზე სულ სხვაგვარია: ჩვენ ზემოთაც მოვიტანეთ რამდენიმე ციტატა იმავე ნარკვევებიდან,

საიდანაც უეჭველობით ჩანს, რომ ქართლის ქურუმები ჩვენ კლასობრივად მონათმფლობელებად მიგვაჩნია, რომელთა დაწინაურება ეკონომიურ ნიადაგზეა ახსნილი, ხოლო საზოგადოებრივი ძალა და მნიშვნელობა — სატაძრო მამულებისა და მონური შრომის ექსპლოატაციის ნიადაგზე. მაგრამ რა არის მიზეზი, რომ სოსელია სამჯერ, ოთხი წლის მანძილზე, ბეჭდავს და მომდევნო წლებში ზეპირადაც იმეორებს ამ „თეორიას". ალბათ, სამართლიანი იქნება, მივმართოთ სოსელიას მისივე სიტყვებით? „იცის თუ არა სოსელიამ, თუ ვისია ეს შეხედულება? იცის თუ არა მან, რომ ეს ფიუსტელ დე-კულანჟის [Sic!], ფრეზერისა და სხვ. რეაქციონერი ისტორიკოსების, რუსეთში კი — ბოგდანოვის შეხედულებაა? რა ისტორიული საბუთი მოეპოვება სოსელიას ამ ანტიმარქსისტული შეხედულების დასასაბუთებლად? არავითარი". ამ საბუთების შესახებ ჩვენ ქვემოთ კიდევ ვილაპარაკებთ, ახლა კი უნდა მოვიგონოთ, რომ იმავე წერილში სოსელია წერს:... „ჯანაშია-ბერძენიშვილი ღებულობენ პროფ. ივ. ჯავახიშვილის ძალდატანების თეორიას კლასების აღმოცენების საკითხში (ს. ჯანაშია, მაგ., ტფ. სახ. უნ-ტში თავის საჯარო გამოსვლაში პირდაპირ დადგა კლასების და სახელმწიფოს წარმოშობის ძალდატანების, დაპყრობის, თეორიის თვალსაზრისზე)". ამ უსაფუძვლო მოსაზრების გაბათილებაზე ჩვენ დროს არ დავხარჯავთ (ყველას შეუძლია ნახოს სტენოგრამა და გაიგოს სიმართლე). მაგრამ იმას კი ვერ დავმალავთ, რომ ძალდატანების თეორიას სწორედ თვითონ სოსელია ქადაგებს. მკითხველი ხევით დარწმუნდა, რომ გვაროვნული წყობილების დარღვევას და საზოგადოებრივი კლასების წარმოშობას ქართველ ტომებში სოსელია მხოლოდ და მხოლოდ საგარეო მიზეზებით ხსნის. ძალდატანების თეორია სხვა არაფერია, თუ არ ისტორიული ფაქტორების გადატანა მთლიანად შინაგან კანონზომიერების სფეროდან გარეგანი კანონზომიერების სფეროში.

გ. ქ. სოსელიასათვის ჩვენ მიერ აღნიშნული შეცდომები სწორედ რომ დამახასიათებელია. ირკვევა, რომ მას საერთოდ არასწორი წარმოდგენა აქვს ცალკე ისტორიული ეპოქების ბუნების შესახებ. იმავე ფეოდალიზმის შესახებ. მაგ., სოსელია წერს: „უკვე მე-8 საუკ. აშკარად ჩანს ფეოდალური სისტემის **დამახასიათებელი მთავარი თვისება:** ცალკე სამთავროთა ბატონები იბრძვიან ერთმანეთზე გაბატონებისათვის" (იქვე, გვ. 65, ხაზი ჩვენია, ს. ჯ.). როცა ცალკე სამთავროთა ბატონები ერთმანეთს არ ებრძვიან ბატონობისათვის, როცა ფეოდალური ცენტრალური ხელისუფლება მყარდება, იქ რაღაა? ასეთი მეთოდოლოგიით შეიარაღებული ადამიანი, ცხადია, ფეოდალური საზოგადოების განვითარებაში ვერ ერკვევა. იხ. ამის საილუსტრაციოდ სოსე-

ლიას მოსაზრება თამარის ეპოქის შესახებ (გვ. 20—22). თამარის გამეფების პირველ წელსვე მომხდარ უაღრესად საყურადღებო პოლიტიკურ მოძრაობას ფეოდალური არისტოკრატიისას, რომელიც მიმართული იყო თამარის მამის დაწინაურებული უგვარო ვაზირების წინააღმდეგ, სოსელია ასე განმარტავს: „მეტად საყურადღებოა საქართველოში პირველად გაფიცულ დიდგვარიან (sic!) აზნაურთა უმთავრესი პროგრამული მოთხოვნა. გაფიცულებს ნიშანში ამოუღიათ ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი ყუბასარი... გაფიცულ აზნაურებს ყუბასარის წინააღმდეგ მეტი ვერა უშოვიათ-რა, გარდა იმისა, რომ იგი ფილენჯის სენით ყოფილა ავად. ესაა ყუბასარის წინააღმდეგ უმთავრესი საბუთი. მაგრამ ყუბასარი ხომ სრულიად „უგვარო" იყო? როგორ მოხდა, რომ აზნაურებმა „ხელზე დაიხვიეს" არა ეს უკანასკნელი, არამედ ისეთი გარემოება, როგორც ფილენჯით ავადმყოფობაა? ხომ აშკარაა რომ „ფილენჯის სენს" მეტი მნიშვნელობა ჰქონია (წარმოიდგინეთ, აზნაურობისათვისაც, პატივცემულო ისტორიკოსებო), ვიდრე „უგვარობას"?! (იქვე, გვ. 21—22). ეს უკვე კურიოზია! დიდი პოლიტიკური მოძრაობის მიზეზები უნდა ვეძიოთ თურმე არა საზოგადოებრივ ურთიერთობაში, არამედ ერთი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობაში! რაღა დაიხვიეს ხელზე დიდგვარიანებმა გიორგი მესამის სხვა ვაზირთა წინააღმდეგ? მაგრამ ამ მკითხველს, რა თქმა უნდა, ახსოვს დიდგვარიანთა პოლიტიკური ფორმულა: „აღარ ვეგებით ძველთა ხელისუფალთა და გამგებელთა საქმისათა ფარმანსა ქვეშე მყოფნი, ვინათგან მათგან დაძრცვილნი და უპატიოდ გასრულნი ვართ და **გვარიანნი და მსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსახელოდ გასრულ ვართ უგვაროთა და უხმართაგან**"-ო. სოსელიას მიაჩნია, რომ ფეოდალური „გვარიშვილობა" პატრიარქალურ გვარიშვილობას უდრის!

ასევე წარმოუდგენია სოსელიას საგვარეულო წყობილება. იგი წერს: „როგორც ვიცით, **საგვარეულო წყობილების დამახასიათებელი ერთ-ერთი არსებითი ნიშანი ცალკე გვარების განსაკუთრებული, ე. წ. საგვარეულო სახელწოდების არსებობაა. სწორედ უკანასკნელი ანიჭებს გვარის თითოეულ წევრს თავის გვარის უფლებას, გვაროვნულ ღირსება-თვისებას**" (იქვე, გვ. 18). ე. ი. ყველაფერი ყირამალა უნდა დადგეს: ზედნაშენის მოვლენები იჭერენ ბაზისის ადგილს, ბაზისი სადღაც ქრება! ამის შემდეგ რა გასაკვირველია, რომ, სოსელიას აზრით, XVII—XVIII სს. საქართველოში ჯერ კიდევ თურმე გვაროვნული სახელწოდებები არ არსებობს: ამის საბუთად იგი ასახელებს ანტონ კათალიკოსისა და ორბელიანების სიგელებს (იქვე)!

აქამდის ჩვენ ვეხებოდით სოსელიას მეთოდოლოგიას მხოლოდ. ახლა გავსინჯოთ სოსელიას კატეგორიული განცხადება, რომ „აქ (ე. ი.

სოსელიას წიგნში, ს. ჯ.) მოცემული ჩვენი შეხედულება ქართველ ტომებში სოციალური უთანასწორობის წარმოშობის შესახებ სწორედ რომ ეთანხმება კონკრეტულ ისტორიულ მასალებს“ (გვ. 28).

სოსელიას მტკიცებით, როგორც ვნახეთ, „საქართველოში ვაჭრობის განვითარებაზე ლაპარაკი მხოლოდ I ს-დან — რომაელების შემოსვლიდან შეიძლება“ (გვ. 55). ჩვენ ზემოთ ვუჩვენეთ, რომ ფული-მონეტა საქართველოში ჩნდება და დიდი რაოდენობით ვრცელდება უკვე ოთხი საუკუნით ადრე რომაელთა შემოსვლამდე. ახლა ვნახოთ ფულის ტრიალის და, მაშასადამე, ვაჭრობის შემდგომი განვითარება და რომაელ-ირანელების როლი ამ პროცესში. მკითხველს ახსოვს სოსელიას მტკიცება, რომ ამ ვაჭრობას სული მხოლოდ რომაელთა წყალობით უდგას, ირანელები კი მასზე მომაკვდინებლად მოქმედებენ. ძველი ქართული ფულების სპეციალისტი პახომოვი კი ამის შესახებ შემდეგს გვიამბობს: „რაც შეეხება აღმოსავ. საქართველოს, იგი მეორე საუკუნიდან მოყოლებული ქრ. წინ საბოლოოდ უვარდება ხელში არსაკიდებს და მათს მონეტას იყენებს. (ავტორი იზიარებს ქართ. მატიანის შეხედულებას მცხეთის სამეფო დინასტიის არშაკიდული წარმოშობის შესახებ, ს. ჯ.). პართული (ე. ი. „სპარსული“, ირანული, ს. ჯ.) დრაქმის (ვერცხლის ფულის, ს. ჯ.) ტიპის სისწორე და ერთსახეობა, რომელიც აადვილებდა სავაჭრო ანგარიშებს, ხელს უწყობდნენ მის გავრცელებას. ფულის ტრიალი გაიზარდა მანამდის უნახავ რაოდენობამდის და მან მოითხოვა ნაჭედი ვერცხლის დიდი მასები. მეორე მხრით, წვრილი ფულის საჭიროებამ აიძულა (ფულის მომჭრელი) გაეძლიერებინა სპილენძის ჭრა. სპილენძს, განსაკუთრებით I ს-ში ქრ. წ., ვპოულობთ დიდი რაოდენობით (в массах) საქართველოში, უპირატესად, აღმოსავლეთ ნაწილში, ე. ი. სწორედ იქ, სადაც არსაკიდები განსაკუთრებით მტკიცედ ისხდნენ“ (Монеты Грузии, 9—10). მაშასადამე, ჯერ კიდევ რომაელთა შემოსვლამდე ქართლში განსაკუთრებულ გავრცელებასა და გავლენას ვაჭრობაზე პოულობს სწორედ ირანელების ფული. შემდეგ, შემოდის და ვრცელდება რომაული ფულიც, მაგრამ იგი სრულებით არ არის ერთადერთი. ზემოთ აღნიშნული იყო, რომ იჭრებოდა მისი ადგილობრივი მინაბაძიც. გარდა ამისა, პახომოვი ამბობს: „I—III სს. ქრ. შ. რომაელი იმპერატორების დინარები, არშაკიდების დრაქმასა და სპილენძთან ერთად, შეადგენდნენ ამ პერიოდის საქართველოს ჩვეულებრივ (ходячая) მონეტას“ (იქვე — II). მეორე ნუმიზმატი, ბართოლომე, ცდილობდა, დაეხატა სურათი იმ ბრძოლისა, რომელიც საქართველოში წარმოებდა რომაულსა და ირანულ ფულს შორის. პახომოვი ამ დებულებებს არ ეთანხმება.

იგი მხოლოდ აღნიშნავს, რომ არშაკიდული დრაქმა დასავლეთ საქართველოში მცირედ იყო გავრცელებული, რომაული ფული კი გვხვდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოშიო (იქვე, გვ. 11—12). სამაგიეროდ, უფრო თვალსაჩინო და საინტერესო ამბები ხდება შემდეგში. 226 წლიდან (ქრ. შ.) ირანში შეიცვალა დინასტია, არშაკიდების ადგილი სასანიდებმა დაიჭირეს. სასანიდები პირველად ჭრიან ოქროს ფულს, რომელიც არშაკიდებისთვის უცნობი იყო. ვაჭრობა ირანში არამც თუ ეცემა, არამედ შემდგომს განვითარებას პოულობს. რა გავლენას ახდენს ეს ამბები საქართველოზე? „მესამე საუკუნიდან მეექვსე საუკუნემდე საქართველოში ჩვენ ვერ ვხედავთ სხვა მონეტას, გარდა სასანიდური ფულისა, რომელიც აუარებელი გვხვდება საქართველოს მთელს აღმოსავლეთ ნაწილში. დასავლეთ საქართველოში იგი ძალიან ცოტაა: როგორც ჩანს, ქვეყნის ეს ნახევარი, რომელიც ბიზანტიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ბიზანტიურივე ფულით იკვებებოდა", ამბობს პახომოვი (იქვე, გვ. 14). მკითხველს ახსოვს სოსელიას მტკიცება, რომ სწორედ III საუკუნიდან საქართველოში ვაჭრობა ეცემა ირანელების წყალობით. სინამდვილეში კი, როგორც ვნახეთ, ხდება სრულიად საწინააღმდეგო ამბავი — ვაჭრობა ექცევა ირანელების გავლენის ქვეშ, მხოლოდ ირანული ფულით იკვებება. არავითარ ვაჭრობის დაცემაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ეგ კიდევ ცოტაა.

ჩვენ კიდევ ერთი ფაქტი უნდა აღვნიშნოთ. სოსელიას მტკიცებით, „მესამე საუკუნიდან საქართველოში ვაჭრობა ეცემა. მიზეზი: რომის გავლენის შესუსტება და სპარსეთის გავლენის გაძლიერება" (გვ. 27). მაგრამ რას გვეუბნება ნამდვილი ისტორია? სწორედ III საუკუნის **მიწურულში**, 298 წ. ქ. ნიზიბინში რომაელებსა და ირანელებს შორის დაიდო ზავი, რომლის მიხედვითაც **ირანელებმა აღიარეს რომაელების შეუზღუდველი ბატონობის უფლება საქართველოში.** აღმოსავლეთ საქართველოშიც კი რომაელები ბატონობენ მთელი IV საუკუნის პირველ ნახევარში. IV საუკუნის მეორე ნახევრიდან რომაელთა გავლენა სუსტდება ქართლში. პირველად 368 წ. ირანელები აქ ერთგვარ წარმატებას აღწევენ და ქართლის აღმოსავლეთ ნაწილს ხელში იგდებენ. მაგრამ ეს დროებით. შემდეგ რომაელები ისევ იბრუნებენ დაკარგულ პოზიციებს. V საუკუნის დამდეგსაც კი ქართლის მეფე რომაელების, მართალია, ურჩ, მაგრამ მაინც ვასალად იხსენიება. ირანელების პოლიტიკური გავლენის ისტორია, ამგვარად, ქართლში შეუძლებელია დაწყებულ იქნეს IV საუკუნის დამლევზე ადრე. ახლა თუ მოვიგონებთ ზემოაღნიშნულ ფაქტს, რომ უკვე III საუკუნიდან ირანული ფული სრულიად დევნის ქართლიდან რომაულს, მაშინ ჩვენ-

თვის გასაგები გახდება, რომ ეკონომიურ სარბიელზე ირანელებმა ქართლში რომაელებს აჯობეს ორი საუკუნით ადრე, ვიდრე პოლიტიკურ ასპარეზზე: ირანელებმა ქართლის მთელი ვაჭრობა თავისი გავლენის ქვეშ მოაქციეს. აი, როგორ ბათილდება სოსელიას დებულება ქართველების ვაჭრობის დაცემისა და მათს მიწათმოქმედებაზე გადასვლის შესახებ III საუკუნეში, ირანელების გავლენის გაძლიერების შედეგად!

მაგრამ აქ არ თავდება სოსელიას შეცდომები. საზოგადოებრივი კლასების წარმოშობის საკითხს გარდა, იგი არკვევს სახელმწიფოს წარმოშობის საკითხსაც. იგი წერს: „აქ ჩვენ უსათუოდ უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში ვიმყოფებით, ვიდრე კლასების წარმოშობის საკითხის გამოკვლევის დროს, ვინაიდან ამ საკითხის (სახელმწიფოს წარმოშობის საკითხის) გადასაჭრელად უდავო ისტორიული მასალები მოგვეპოვება (გვ. 58)". ვნახოთ ეს „უდავო ისტორიული მასალები". „აღმოსავლეთ საქართველოშიაც (იბერიაში) სტრაბონის დროს ქართველების მხოლოდ ერთი ტომის — იბერების — ცალკე ნაწილებს (საგვარეულოებს) ჰქონიათ ურთიერთკავშირი. ვეჭვობთ, რომ ეს კავშირიც მტკიცე და მუდმივი ყოფილიყო. უფრო დასაშვებია, რომ იბერთა ცალკე საგვარეულოები ეხმარებოდნენ ერთმანეთს მხოლოდ აუცილებელი საჭიროების დროს"..., წერს სოსელია (გვ. 59). მაშასადამე სტრაბონისეული ცნობის მიხედვით, იბერიაში ტომურ კავშირზედაც კი არ შეიძლება ლაპარაკი, არამც თუ სახელმწიფოზე. „დაახლოებით ასეთი მდგომარეობა უნდა გაგრძელებულიყო იბერიაში სტრაბონის შემდეგაც" (იქვე, გვ. 62). როდემდის? რა თქმა უნდა, კლასობრივი საზოგადოების გაჩენამდე. იტყვის მკითხველი. ზემოთ ჩვენ გავეცანით სოსელიას აზრს: „უდავოა, რომ სოციალური უთანასწორობა ქართველებში ჩამოყალიბდა I—IV სს.-ში" (იქვე, 26). „I—IV სს... უნდა მომხდარიყო საგვარეულო წყობილების დაშლა და კლასების წარმოშობა" (იქვე, გვ. 14). აქედან უნდა დაგვესკვნა, რომ, ყოველ შემთხვევაში, IV საუკუნე, ან თუნდაც მისი მეორე ნახევარი, **ჩამოყალიბებული სოციალური უთანასწორობის და საზოგადოებრივი კლასების ხანაა** და ამდენადვე სახელმწიფო ორგანიზაციის არსებობის პირობებსაც შეიცავს, მაგრამ ეს ასე არ ყოფილა, სოსელიას რამდენიმე გვერდის მანძილზე სულ სხვა აზრი აქვს გამოთქმული. იგი შემდეგ წერს: „მე-5 საუკუნეში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უკვე გვაქვს სრულიად ჩამოყალიბებული სოციალური უთანასწორობა" (იქვე, გვ. 62). თუ IV საუკუნის „ჩამოყალიბებული სოციალური უთანასწორობის" ხასიათის შესახებ არაფერი ვიცით, სამაგიეროდ, V საუკუნის „ჩამოყალიბებული სოციალური უთანასწორობის" ხასიათი ყოველ ეჭვს გარეშე

აღმოჩნდა. სოსელია წერს: „ერთი სიტყვით, მე-5 საუკუნიდან აღმოსავლეთ საქართველოში ყალიბდება ფეოდალური წყობილება. მთელი ტერიტორია განაწილებულია ერისმთავრებს შორის. თითოეული მათგანი სრული ბატონპატრონია თავისი სამფლობელოსი“ (იქვე, 65). ჩვენ მიგვაჩნია — V საუკუნეში ფეოდალურ ურთიერთობას სრულიად არა აქვს დამთავრებული სახე, რომ ფეოდალიზმის „ჩამოყალიბებას“ საქართველოში ჯერ კიდევ განვითარების არა ერთი საუკუნე სჭირია. სოსელიას აზრით კი, V საუკუნეში ფეოდალიზმი უკვე ჩამოყალიბებულია. შემდეგ მისი განმტკიცება ხდება მხოლოდ. ამ პროცესშიაც, რა თქმა უნდა, გარეშე ძალას ისევ განსაკუთრებული როლი ენიჭება. ვაჭარ რომაელებსა და მიწისმოქმედ ირანელებს ახლა ფეოდალი არაბები ცვლიან: „არაბების ბატონობა, განსაკუთრებით მე-7 ს. უკანასკნელი წლებიდან, კიდევ უფრო ხელს უწყობს ამ წყობილების განმტკიცებას“ (იქვე, 65). აი, ამ ხანაში წარმოიშვა, სოსელიას აზრით, ქართველ ტომებში პირველად სახელმწიფო: „დაახლოებით ამ დროს საბოლოოდ ჯვარი უნდა დასმოდა იბერიაში საგვარეულო წყობილებას და ეკონომიურად გაბატონებულ კლასსაც თავისი ორგანიზაცია უნდა ჩამოეყალიბებინა. ამის დამადასტურებელი საუცხოო ცნობები გვაქვს ისტორიიდან. ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძე ამბობს: ამ დროიდან „ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთაო“. ქვეყნის პატრონად, მისი შინაური საქმეების გამგედ აზნაურები გამხდარან. ამრიგად, მემატიანეს ცნობა „საგვარეულო წყობილებაზე დამყარებულ მეფის უფლების გაუქმების“ შესახებ ნიშნავს საგვარეულო წყობილების დაშლას, საგვარეულო ორგანოების გაუქმებასა და აზნაურების მიერ თავისი ხელისუფლების შექმნას. მე-5—6 სს. უკვე ჩამოყალიბებულია აზნაურთა მმართველობა-ბატონობის ორგანიზაცია“ (იქვე, 62). ავტორის მიერ მოცემული პირდაპირი თარიღები სახელმწიფო ორგანიზაციის წარმოშობისა ქართლში ორი საუკუნის ფარგლებში ტრიალებს; მაგრამ სოსელია მნიშვნელობას არ ანიჭებს ამას ირანული გავლენის გაძლიერების ქრონოლოგიური განსაზღვრისას. სამაგიეროდ, ქართული სახელმწიფოს ისტორიული განსაზღვრისას, სოსელიას მტკიცებით, „ეს ის ხანაა, როდესაც, ისტორიკოსების აზრით, იბერიაში უქმდება „საგვარეულო წყობილებაზე დამყარებული მეფის უფლება“ (იქვე, გვ. 62). ეს გადატრიალება მშვენივრად დადასტურებულია ძველი ქართული მატიანის მიერ: „მემატიანეს ცნობაში, — წერს სოსელია, — ...ერთი რამ არის სწორად გადმოცემული: **დაახლოებით ამ დროს საბოლოოდ ჯვარი უნდა დასმოდა იბერიაში საგვარეულო წყობილებას**“ და სხვ. (იხ. ზემოთ, ხაზი სოსელიასია, გვ. 62 ს. ჯ.). ეს მემატიანე სუმბატია, რომელიც ამბობს, რომ ამ დროიდან ეპყრა უფ-

ლება „ქართლისა აზნაურთაო“. „ამრიგად, — დაასკვნის სოსელია, — **მემატიანეს ცნობა „საგვარეულო წყობილებაზე დამყარებულ მეფის უფლების გაუქმების“ შესახებ ნიშნავს საგვარეულო წყობილების დაშლას, საგვარეულო ორგანოების გაუქმებასა და აზნაურების მიერ თავისი ხელისუფლების შექმნას**“ (გვ. 62 ხაზი ჩვენია. ს. ჯ.). როდის მოხდა „მეფის უფლების გაუქმება“ ქართლში? სოსელიას 62-ე გვერდამდე გამორჩა მხედველობიდან საამისო თარიღი, რომელიც ათი გვერდით წინ აქვს მოთავსებული: „ისტორიკოსები მოგვითხრობენ, — წერს იგი, — მე-6 ს. საქართველოში „მეფობა ისპობა“ და ქვეყანას აზნაურები ეუფლებიან“ (იქვე, გვ. 51). შემდეგ სოსელია ამბობს: „იმ საკითხის განხილვას, თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში „მეფობის გაუქმება“ მე-6 საუკუნეში, ქვემოთ დაუბრუნდებით“ (იქვე, გვ. 52). ეს „განხილვა“ ზემოთ მოვიტანეთ. ჩვენ ახლა ახალი მხოლოდ ის შევიტყვეთ, რომ იქ აღწერილი მოვლენა, თვით სოსელიასავე ცნობით, VI საუკუნეში მომხდარა. მართლაც, ეს დოკუმენტურად დამტკიცებულია, რომ VI საუკუნის პირველი მესამედის დამლევიდან ქართლში მოისპო მეფობა და ირანელების უშუალო მმართველობა („მარზპანის ხელისუფლება“) დაწესდა. სუმბატის. მართლაც, საინტერესო ციტატა (არასრულად მოყვანილი სოსელიას მიერ), შემდეგს გადმოგვცემს: „ვინათგან მოაკლდა მეფობა შვილთა გორგასლისათა, მით ჟამითგან ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთა“, მას შემდეგ, რაც ვახტანგ გორგასლის შთამომავლობამ სამეფო ხელისუფლება დაკარგა, ქართლში აზნაურები გაბატონდნენო. ხოლო თუ ახალი სახელმწიფოს ნიშნად უნდა მივიღოთ სოსელიას მიერ აღნიშნული ის გარემოება, რომ „ქვეყანას განაგებენ, როგორც ისტორიკოსები გვეუბნებიან, უმაღლესი მოხელეები, რომელთაც „მთავრები“ ანუ „ერისმთავრები“ თუ „ერისთავები“ ეწოდებათ“ (იქვე, გვ. 62), მაშინ გამოვა, რომ საგვარეულო წყობილება და საგვარეულო ორგანოები ქართლში მხოლოდ **VI საუკუნის დამლევს დაშლილა**, რადგანაც „ერისმთავრობა“ ქართლში ამ დროს ჩნდება! ახლა შევაჯამოთ სოსელიას მოსაზრებები სახელმწიფოს წარმოშობისა და მისი პირობების შესახებ საქართველოში: IV საუკუნეში უცნობი ბუნების „ჩამოყალიბებული სოციალური უთანასწორობაა“, კლასები წარმოშობილია (გვ. 14)[1], მაგრამ საგვარეულო წყობილება მაინც არსებობს; V საუკუნეში უკვე ცნობილი ბუნების „ჩამოყალიბებული ფეოდალიზმია“, მაგრამ საგვარეულო

---

[1] სოსელიას ხუთ ადგილას აქვს აღნიშნული, რომ სოციალური უთანასწორობა ანუ საზოგადოებრივი კლასები ჩამოყალიბდა საქართველოში უდავოდ I—IV სს.; იხ. გვ. გვ. 14, 17, 26.

წყობილებას ჯერ ბუზიც არ აჰფრენია, საგვარეულო წყობილება და საგვარეულო ორგანოები მხოლოდ VI საუკუნეში იშლება და სახელმწიფოც მხოლოდ VI საუკუნეში ჩნდება. ეს მიუღებელი მეთოდოლოგიაა! ჯერ ერთი, სოსელიას გამორჩა ის, რომ მე-14 გვერდზე მას უწერია:... „I—IV სს. შესახებ, როდესაც უნდა მომხდარიყო საგვარეულო წყობილების დაშლა და კლასების წარმოშობა, პირდაპირი ისტორიული წყაროები არ მოგვეპოვება"... ე. ი. IV საუკუნისთვის მას საგვარეულო წყობილება უკვე დაშლილად მიაჩნია. მაგრამ ვიგულისხმოთ, რომ აქ მხოლოდ სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობაზეა საუბარი, რასაც სხვაგანაც ვხვდებით (იხ. გვ. 17, 26, 27 და სხვ.). გამოდის, რომ ორ საუკუნეზე მეტი იარსება თურმე კლასობრივმა საზოგადოებამ საქართველოში, მაგრამ სახელმწიფო ორგანიზაციის საჭიროება არც კი უგრძვნია. ჩამოყალიბებული ფეოდალური საზოგადოების კლასები ძმურად ცხოვრობდნენ საგვარეულო წყობილების ჭერ ქვეშ, სანამ რაღაც მანქანებამ მათ ეს ჭერი თავზე არ დაანგრია.

ჩვენ ვერასოდეს ვერ გავათავებდით გ. ქ. სოსელიას ნაშრომიდან ყველა შეუსაბამობის ამოწერას, მაგრამ არ შეიძლება ამ „მეფობის გაუქმებასთან" დაკავშირებული მოსაზრებებისათვის გვერდის ახვევა, რათა ცალმხრიობა არ დაგვწამონ. როგორც ჩანს, სოსელია ლამობს დაამტკიცოს, რომ VI საუკუნეში გაუქმებული ხელისუფლების მატარებელი მეფე კი არ იყო, არამედ... მამასახლისი. ჩვენ აღნიშნული გვაქვს, რომ ქართლის მეფის ხელისუფლების მოსპობის შემდეგ რჩება, ირანელთა ბატონობის პირობებშიაც, „ქართლის მამასახლისის" თანამდებობა. მაშასადამე, „ქართლის მეფე" და „ქართლის მამასახლისი" ერთი და იგივე არ ყოფილა. ან ვინ იტყვის, რომ ვახტანგ გორგასალი, რომელიც მეფობდა ქართლში V საუკუნის მეორე ნახევარში, მეფე არ იყო... მაგრამ თავი დავანებოთ ამას და მივმართოთ სოსელიას: „საქართველოს ისტორიკოსები ამ მოვლენას — „მეფობის მოსპობას" — უბრალოდ ხსნიან: თითქოს სპარსელებს ნება არ მიეცეთ ქართველებისათვის მეფე ჰყოლოდათ" (იქვე, გვ. 51). ასე მარტივად ამ მოვლენის ახსნა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება — ჩვენ გამორკვეული გვაქვს (იხ. ჩვენი „ადრინდელი ფეოდალიზმი"), რომ აქ შინაგან წინააღმდეგობას გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე გარეგანს. მაგრამ რას ნიშნავს სოსელიას შემდგომი სიტყვები: „ყოფილა რამე ამის მსგავსი ისტორიაში? შესაძლებელია განა, რომ სპარსელების ბრძანებით ქართველ ტომებში მეფობა მოსპობილიყო და ასეთი მდგომარეობა ოთხს საუკუნეს გაგრძელებულიყო?" (იქვე, გვ. 51). ამიერიდან აბისინიის ნეგუსი შეიძლება მშვიდად იყოს: იტალიელთა მიერ მისი სამეფოს დაპყრობა და თვით მისი გახიზვნა საზღვარგარეთ

მისი ხელისუფლების მოსპობას არ ნიშნავს! ან ვინ მოიგონა ისეთი ჭორები, როგორიცაა, მაგ., მეფობის მოსპობა არაბების მიერ ირანში VII საუკუნეში და ასეთი მდგომარეობის გაგრძელება, აქ სულ ცოტა რომ ვთქვათ, ოთხი საუკუნე? ან ათასი ანალოგიური ფაქტი ძველი ირანელების, რომაელების, ბიზანტიელების, თურქების, მონღოლების და სხვა დამპყრობლების მოღვაწეობის ისტორიიდან? სოსელია სახტად არის: თუ მეფობა უკვე იყო, როგორ გაუქმდა, თუ გაუქმდა, როგორღა აღდგა? შემდეგ, იგი პოულობს ამ გაუგებრობის ერთადერთს განმარტებას: „რას ნიშნავს ქართველებში „მეფობის გაუქმება“? შეიძლება საქართველოს ისტორიკოსებს სახეში აქვთ (sic!) გაერთიანებული ქართველი ხალხის, ერთიან საქართველოს მეფის ხელისუფლების გაუქმება? მაგრამ რომელი „ავტორიტეტული საბუთი“ მოეპოვებათ ისტორიკოსებს ამისთვის? რა საბუთი აქვთ საქართველოს ისტორიკოსებს, რომ ილაპარაკონ გაერთიანებულ „ქართველ ერზე“, მთლიან საქართველოზე და მის მეფეებზე მე-6 საუკუნემდის?“... (იქვე, გვ. 51). მაშასადამე, VI საუკუნიდან უკვე შეიძლება ვილაპარაკოთ გაერთიანებულ „ქართველ ერზე“, მთლიან საქართველოზე და მის მეფეებზე. ეს, რა თქმა უნდა, სიმართლეს არ შეეფერება. კიდევ ერთი მაგალითი. სოსელია წერს: „სტრაბონის მითითებაში ოთხგვარ ხალხზე იბერიაში ს. ჯანაშიას აზრით, ლაპარაკია კლასებზე, კლასობრივ დიფერენციაციაზე. გაბატონებული კლასი მეორეგვარი ხალხი (ქურუმობა) ყოფილა. მეფეს კი რომელი კლასი სვამს? სახელმწიფო ხელისუფლება ვის ხელშია? — პირველი გვარის ხალხის ხელში. მაშ გამოდის, ეკონომიურად გაბატონებული კლასი ერთია, მმართველი კლასი კი — მეორე“ (იხ. წერილი „კომუნისტში“). აქ ჩვენი აზრი არასწორად არის გაგებული. ჩვენ ვამბობთ, რომ პირველი გენე სამეფო დინასტიაა, მეორე გენე — ქურუმთა წოდება, მონათმფლობელთა კლასის წრიდან გამოსული. ჩვენ ქურუმების პოლიტიკური ბატონობის დასასაბუთებლად მივუთითებდით იმაზე, რომ ქურუმების ხელშია საგარეო პოლიტიკა. მაგრამ სოსელიას გაბატონებული კლასი და სამეფო დინასტია ერთ სიბრტყეზე აქვს დაყენებული.

აქ ნამდვილი გაუგებრობის წყარო იმის არცოდნაა, რომ მეფობა და სამეფო ისტორიული კატეგორიებია, რომ სხვადასხვა პირობებში მათ შეიძლება სხვადასხვა შინაარსი ჰქონდეთ, რომ მეფობა და სახელმწიფო ერთი და იგივე არ არის, რომ სახელმწიფოს სათავეში შეიძლება ერისმთავარიც იდგეს, პრეზიდენტიც და სხვადასხვა ეპოქის მეფეც. მაგრამ აღარ ღირს ამაზე სიტყვის გაგრძელება... გ. ქ. სოსელიას ნაწარმოები საუკეთესო და ყოველმხრივი ილუსტრაციაა იმისა, რის წინააღმდეგაც ასე მკვეთრადაა მიმართული ჩვენთვის ცნობილი

სადირექტივო დოკუმენტები. ჩვენ საკითხი დავსვით, კონკრეტულ ფაქტების საფუძველზე, სახელმწიფოს არსებობის შესახებ საქართველოში უკვე I საუკუნეში. ჩვენ ვაცხადებთ, რომ შესაძლებელია ხვალ, თუ ამას ფაქტიური ისტორია მოითხოვს, საკითხი დავსვათ სახელმწიფოს არსებობის შესახებ ქართველ ტომებში კიდევ ერთი ათასეულითაც უფრო ადრე. ქართველ ტომთა უძველესი ისტორია დაკავშირებულია მჭიდროდ წინააზიის განვითარებასთან, წინააზიაში კი, ეს ახლა ბავშვებმაც იციან, კლასები და სახელმწიფო უკვე მესამე ათასეულშიაც არსებობს. ორი ათასი წლის წინათ ქრისტიანული წელთაღრიცხვის დაწყებამდე იქ უკვე დაწერილი სამართალიც კი ჩნდება. მაშასადამე, საკითხის დასმა მეცნიერულად არავის აკრძალული არა აქვს; საქმე ის არის, თუ როგორ წყდება ეს საკითხი. სოსელიას შესაძლებლად მიაჩნია ჩამოყალიბებული კლასობრივი საზოგადოების არსებობა უსახელმწიფოდ, ჩვენ კი სახელმწიფო ორგანიზაციის არსებობას სათანადო კლასობრივი ურთიერთობით ვხსნით.

მოვალედ ვთვლით თავს განვაცხადოთ, რომ ჯერ კიდევ 1935 წ. ტფილისის სახ. უნივერსიტეტში, სოსელიასვე ინიციატივით, მცირე აზრთა გაცვლა-გამოცვლა მოეწყო ამ საკითხებზე. ამ მცირე საუბრის შედეგად გ. ქ. სოსელიამ შემდეგი წერილობითი განცხადება შემოიტანა: „სტრაბონის დროინდელ ივერიაში გვაქვს გვაროვნული წყობილების აშკარად დაშლის პროცესები. მხოლოდ არ არის ჯერ კიდევ საბოლოოდ ჩამოყალიბებული კლასობრივი საზოგადოება, სხვანაირად, გვაქვს უკლასო საზოგადოებიდან კლასობრივ საზოგადოებაში გადასვლის პერიოდი“ (იხ. სტენოგრამა). მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ეს დიდი ნაბიჯია წინ იმასთან შედარებით, რაც სოსელიას სამჯერ აქვს დაბეჭდილი: „არც ერთი ეს გარემოება სტრაბონის მიერ აწერილ პირობებში არაფერს ამბობს იმაზე, რომ საგვარეულო წყობილება ამ დროს საგრძნობლად შერყეული ყოფილიყოს“ (სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისათვის, გვ. 11) და რომ „საგვარეულო წყობილების დაშლა, საგვარეულო ორგანოების გაუქმება“ და სახელმწიფოს გაჩენა ხდება მხოლოდ VI საუკუნეში! (იქვე, გვ. 62).

## აკად. ს. ჯანაშიას „შრომების“ V ტომში მოთავსებულ ნაშრომთა ბიბლიოგრაფიული ცნობები

1. საქართველოს ისტორია.
   იბეჭდება მეორე შევსებულ-შესწორებული 1946 წლის გამოცემის მიხედვით; პირველი გამოცემა 1943 წლისაა. გვ. 1—161, 178—197; 217—226:
2. საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო.
   დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში“ 1941 წ. 7 თებ., გვ. 2.
3. როგორ იქმნებოდა სახელმძღვანელო.
   დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში“ 1943 წ. 23 ნოემბ., გვ. 2; გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ იმ. წ. 26 ნოემბ., გვ. 1. გაზეთ „Заря Востока“-ში იმ. წ. 23 ნოემბ., გვ. 1.
4. საქართველოს ისტორიის პროგრამა; პროგრამა პალეოგრაფიისა და ნუმიზმატიკისათვის.
   დაიბეჭდა 1936 წ. ნ. ბერძენიშვილის თანაავტორობით.
5. საქართველოს ისტორიის კურსის პროგრამა დაუსწრებელი პედ. ინსტიტუტებისათვის.
   დაიბეჭდა 1937 წ. ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ ნ. ბერძენიშვილთან თანაავტორობით. გვ. 1—22.
6. საქართველოს ისტორიის პროგრამა (XIX—XX სს.).
   დაიბეჭდა 1940 წ. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ. გვ. 1—19.
7. ქართლის ცხოვრების ძველი და ახალი ფურცლები.
   ნაკვ. 1, ნ. ბერძენიშვილის რედაქტორობით, დაიბეჭდა 1942 წ. ცალკე ბროშურად, თბ., საქართველოს მეცნიერებათა აკად. გამომცემლობაში. გვ. 1—52.
8. „სსრ კავშირის ისტორია“ და კავკასიის ხალხთა ისტორია.
   დაიბეჭდა გაზეთ „საბჭოთა მასწავლებელში“ 1940 წ. 8 აგვ., გვ. 2—3, 1940 წ. 11 ივლისს დაიბეჭდა გაზეთ „Известия“-ში.
9. კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ
   დაიბეჭდა თბ. უნივერსიტეტის შრომებში, 1941 წ., ტ. 18. გვ. 69—85.
10. დე ლა პორტის ცნობები საქართველოს შესახებ და წყარო ინტერპოლაციებისა მათს რუსულ თარგმანში.
    დაიბეჭდა კრ. „მასალები კავკასიის და საქართველოს ისტორიისათვის“, თბ., 1937 წ., ნაკვ. 3. გვ. 215—225.
11. ქართული პატრონყმობის ბუნებისა და წარმოშობის საკითხისათვის
    დაიბეჭდა თბ. უნივერსიტეტის შრომების 165-ე ტომში, „ჰუმანიტარული მეცნიერებანი (ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია)“, 1976 წ. გვ. 223—249. ნაშრომი დაუმთავრებელია.
12. აზნაური
    დაიბეჭდა ქსე-ს I ტომში, 1975 წ., გვ. 214—215. დაიწერა „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიისათვის“, 1932 წ.

13. არაბთა მფლობელობის დამყარება ქართლში

დაიბეჭდა ჟურნალში „კომუნისტური აღზრდისათვის“, თბ., 1936 წ., № 5. გვ. 8—18 .მცირეოდენი ცვლილებით შესულია ნაშრომში „არაბობა საქართველოში“ (1936; შრომები, II. 1952).

14. К критике Моисея Хоренского

დაიბეჭდა კრ. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“ თბ., 1937 წ., ნაკვ. 6. გვ. 471—503.

15. Давид Строитель

დაიბეჭდა კ. გამსახურდიას რომანის „დავით აღმაშენებლის“ რუსული გამოცემის ბოლოსიტყვად 1945 წ. მოსკოვში, 1946 წ. თბილისში. გვ. 349—357; გვ. 297—306.

16. სერგი გორგაძე (მისი გარდაცვალების გამო).

დაიბეჭდა ჟურნალში „დროშა“, 1929 წ., 18 VI.

17. დავით კარიჭაშვილი;

დაიბეჭდა კრ. „ქართული ისტორიოგრაფია“, 2, თბ., 1971. გვ. 136—140.

18. მოსე ჯანაშვილი (წერილი დაიწერა 1930 წელს).

დაიბეჭდა კრ. „ქართული ისტორიოგრაფია“, 2, თბ., 1971. გვ. 126—135.

19. ივანე ჯავახიშვილი,

დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“, 1938 წ., № 6. გვ. 94—101.

20. Иван Александрович Джавахишвили (Некролог);

დაიბეჭდა Сообщения Груз. филиала Акад. Наук СССР, т. I, № 9, 1940. გვ. 641—646.

21. Проф. Н. А. Бердзенишвили, Из истории русско-грузинских отношений на рубеже XVI—XVII вв. (იბეჭდება პირველად). დაიწერა 7.XII. 1943 წ.

22. საზოგადოებრივი მეცნიერებანი საბჭოთა საქართველოში დიდი ოქტომბრის რევოლუციის 20 წლის თავზე.

დაიბეჭდა ენიმკი-ს მოამბეში, თბ., 1937 წ., ტ. I. გვ. XI—XL.

23. მოკლე ანგარიში აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის და მისი სამეცნიერო საბჭოს მუშაობისა 1936—1944 წწ.

დაიბეჭდა ენიმკი-ს მოამბეში, თბ., 1944, ტ. 14. გვ. 375—398.

24. პასუხი გ. ხოსელიას;

იბეჭდება პირველად, მცირე შემოკლებით, სათაური პირობითია.

## პირთა საძიებელი*


აბაევი ვ. 413
აბას ერისთავთა-ერისთავი 263
აბას კარელი, სპარაპეტი 262, 264
აბასიდები 121
აბაშელი ალ. 302
აბდ-ალ-მალიქი 323—325, 328
აბო ტფილელი 122
აბულაძე ილ. 414, 415, 420, 435, 454, 458
აბულაძე იუსტინე 418, 420, 421
აბულ-კასიმი 126, 132
აბუსერიძე ტბელი 453
აგათია 220, 223.
აგამემნონი 492
აგაპიოს ბერი 249—251
ადარნასე, ბაგრატ არტანუჯელის ძე 255, 257
ადარნასე ბაგრატის ძე (ტაოელი მონაზონი) 255, 256
ადარნასე-ბასილი, კლარჯი 255, 265
ადარნასე, ერისთავთა-ერისთავი 259, 266
ადარნასე კურაპალატი 132, 246, 247—250, 252—255, 262—265
ადარნასე სუმბატის ძე 255
ადრანასი, ადრანასერი, იხ. ადარნასე
ადრიანე 66
აზო 51
აიეტი 40, 41, 104, 105, 220.
აკინიანი ნ. 239
აკრიტასი პ. 427, 454
ალავიძე მ. 450
ალექსანდრე მაკედონელი 48, 49, 76, 90, 164, 212, 485, 486
ალექსანდრე ბატონიშვილი 197
ალექსანდრე I 177
ალექსანდრე II (XV ს.) 192
ალი, ამირა 323
ალიდოსი 325
ამილახვარი გ. 502
ამირანაშვილი შ. 457
ამირანი 39, 81—83
ამირ-მუმლი 328
ამრამი (ცლიკი) 264
ანა დედოფალი 388
ანაპიტი 499
ანგელოსები 160
ანდრონიკე I 160
ანიკეტი 63, 215
ანსელუსი 163
ანტონ კათალიკოსი 271, 272, 274, 512
აპოლოდორი 243
არგიშტი 31
არგონავტები 40
არისტაკეს ლასტივერტელი 231
არისტარხი 485, 493
არისტოტელე 38, 471, 475
არმენი 42
არსაკიდები 517
არსენ იყალთოელი 146
არტაგი 54, 55, 213
არტავაზდ დიმაქსიანი 320
არტამონოვი ა. 462
არტაქსია 242, 472
არტაშესი 242
არტემი 326
არშაკი 85
არშაკიდები 48, 67, 518
არშუშა პიტიახში 88, 89, 91, 335
არჩილ II 194, 208
ასოტ კისკასი, იხ. აშოტ-კისკასი
ასოტ კურაპალატი, იხ. აშოტ კურაპალატი
ასოლიკი 323
აუმალი ვ. 432
აფაქიძე ა. 455, 456, 460, 462


* საძიებლები შეადგინეს რ. ჯანაშიამ და ელ. ქაჯაიამ.

აფსირტი 41
აქემენიდები 35, 46, 48, 80, 471
აქილევსი 492
ალბუღა 278, 290—292, 294, 295, 297, 299, 300
ალსართანი 139
აშოტ I ბაგრატუნიანი, სომეხთა სამეფო დინასტიის დამაარსებელი 264
აშოტ II, სომეხთა მეფე 263, 265
აშოტ დვინელი 263
აშოტ-კისკასი, პატრიკიოზი (ბაგრატის ძე) 248, 250—252, 256—259, 264—266
აშოტ კეკელა 255, 259
აშოტ კუხი, ერისთავთა-ერისთავი 259, 260, 262
აშოტ კურაპალატი 125, 131, 148, 173, 247, 249, 250, 252, 253, 260
აშოტ სუმბატის ძე 265
ახვლედიანი გ. 269, 410—413, 419—421, 445, 446, 450, 451, 457, 458, 462

ბაგრატ არტანუჯელი 253, 257
ბაგრატი, აფხაზთა მეფის კონსტანტინეს ძე 266
ბაგრატ ბაგრატიონი 135, 232
ბაგრატ ბატონიშვილი 453
ბაგრატ ერისთავი 177
ბაგრატ III 149, 173, 188, 189, 233
ბაგრატ IV 138, 150, 154, 175, 189, 242
ბაგრატიონები 125, 147—149, 153, 157, 173, 225, 246, 247, 253, 257, 258, 265
ბაგრატ კურაპალატი 131, 132, 247
ბაგრატ მამფალი, სუმბატ დიდის ძე 248, 256
ბაგრატ მაგისტროსი 248, 250, 253, 258
ბაგრატ რეგუნი, სუმბატის ძე 255, 256, 265.
ბაგრატუნიები 262
ბათო ყაენი 241
ბაკური 111
ბალაძორი 317, 320—323, 329
ბალიაური 457
ბანუ-ჯაფარი 150
ბარათაშვილი ნ. 198, 367, 371
ბარამიძე ალ. 457
ბარაქა-აბალა 177
ბარბალე, წმ. 80
ბარდაველიძე ვ. 433, 434, 457
ბარდა სკლიაროსი 134, 230
ბართლომე 517
ბასილი წმ. 271
ბასილი ეზოსმოძღვარი 388, 435, 453
ბასილი ზარზმელი 135, 378, 427
ბასილი კეისარი 134, 230
ბასილი კლარჯი მონაზონი 255, 265
ბაქრაძე გ. 451, 458
ბაქრაძე დ. 285, 286, 301, 376, 404
ბალვაშები 132, 138
ბახრუშინი ს. ვ. 236
ბერიძე ვ .419, 420, 445
ბერქა-ულაუ 177
ბერძენიშვილი ნ. ა. 165, 169, 176, 191, 192, 193, 425—427, 443, 445, 447, 453—455, 467, 479, 511
ბესიკი 367, 420, 422
ბექა-ალბუღა 291, 292
ბოგდანოვი 511
ბრაილაშვილი ნ. 6
ბროსე მ. 247, 249, 252—254, 258, 259, 264, 276—279, 281—283, 285, 286, 290, 294, 301, 404
ბუდა 137
ბუზმარი 85
ბუკაირი 316
ბულგაკოვი ივ. 272, 273
ბუქურაული ივ. 372
ბუღა თურქი 126, 128

გაბაშვილი ვ. 453
გაბუნიი ბ. 408, 420
გამყრელიძე გ. 426
გამხარაშვილი ბედირ 374
გამხარაშვილი მარიამ 374
გაფრინდაშვილი შ. 462
გაჩეჩილაძე ვ. 461
გელცერი 133, 234
გვრიტიშვილი დ. 461
გიგინეიშვილი ი. 460
გიზო 284, 287
გილგამეში 24
გიორგი, (წმ.) 80, 498
გიორგი მეფე 291
გიორგი I 175, 189

გიორგი II 154, 175, 189, 242
გიორგი III 157, 160, 175, 190, 512
გიორგი (VII) 177, 178
გიორგი XI 194
გიორგი, აფხ. მეფე კონსტანტინეს ძე 129, 132, 264
გიორგი ბრწყინვალე 192
გიორგი მაგისტროსი, აბასგიის მთავარი 248
გიორგი მერჩული 12, 135, 260, 262, 425
გიორგი მთაწმიდელი 140
გლადსტონი 471
გობეჯიშვილი გ. 431, 432, 455, 456, 460
გოზალიშვილი გ. 427
გოლიცინი 200
გონიაშვილი თ. 408, 409, 412, 458
გორგაძე ს. 366—368, 404
გორგიჯანიძე ფ. 12, 194, 207, 378, 427, 450
გოტიე 163
გრიგოლი 323
გრიგოლ ნოსელი 136
გრიგოლ, ქართლის მამასახლისი 335
გრიგოლ ხანძთელი 136, 160, 440
გრიგორიანი გ. 427
გრეკოვი ბ. დ. 236
გვარამ მამფალი 131, 132
გუარამი ერისთავი 110
გუბაზ მეფე 84, 98—100, 103—105, 218—220
გუგუშვილი პ. 453
გულია დ. 434
გურგენი (VI ს.) 92, 93, 109, 112
გურგენ, აშოტ კეკელას ძე 259
გურგენ, ბაგრატ არტანუჯელის ძე 248, 263, 264
გურგენ გურგენის ძე, აშოტ კისკასის დისწული 258
გურგენ ერისთავთა-ერისთავი, აშოტ კისკასის სიძე 248—252, 258—266
გურგენ კუროპალატი 254, 255, 256, 260, 262, 264
გურგენ მაგისტროსი, მეფეთა მეფე 254
გურგენი, სომეხთა მთავარი 264
გუჯეჯიანი მ. 451

დავით, საგვარეულოს მამამთავარი 246, 247
დავით ბატონიშვილი 378, 453
დავით ერისთავი, ბაგრატ არტანუჯელის ძე 247, 257
დავით ერისთავთა-ერისთავი 255, 259
დავით კომნიანოსი 160
დავით კურაპალატი 132, 133, 134, 173, 188, 226, 230—232, 252, 253, 259
დავით მაგისტროსი 250—253
დავით მამფალი, სუმბატ დიდის ძე 248, 249, 256, 258
დავით III 133—135, 146, 148, 149, 154
დავით IV, აღმაშენებელი 137—144, 145, 146, 150, 151, 153, 154, 157, 160, 163, 164, 175, 190
დავით გიორგის ძე 242
დავით ნარინი 191, 242
დავით წინასწარმეტყველი 147
დალი, ქალღმ. 78, 81
დანიელ ეპისკოპოსი 76
დარიოსი 36, 471
დე-ბეა 164
დემეტრე მეფე 150
დემნა 175, 190
დინარ დედოფალი, გურგენ ერისთავთა-ერისთავის და 266
დინარა (თამარ მ.) 164
დონდუა კ. 408, 417, 420, 445

ეგნატაშვილი ბერი 388, 453
ევგენი რიტორი 111
ევრიპიდე 498
ევსტათი მცხეთელი 111, 500
ეკატერინე II 268
ემესელი ნ. 367
ენგელსი ფრ. 21, 242, 470, 471, 474, 487—496
ენკიდუ 24
ერეკლე II 179, 194, 268, 269, 274
ერისთავი რ. 419
ერკერტი 381
ერმოლოვი ა. 197, 313
ექვთიმე ათონელი 137
ეშიმი 328

ვალიდ I 326
ვაჟა-ფშაველა 15, 420, 434
ვარაზ ბაკური 85
ვარსქენ პიტიახში 91, 110, 111
ვასაკ გნთუნი 263, 265
ვასკო-დე-გამა 192
ვახტანგ გორგასალი 90—92, 112, 172, 186, 194, 195, 217, 288, 291, 295, 300, 440, 441, 521, 522
ვახტანგ VI 241, 243, 312, 378, 435, 509
ვახუშტი 377, 404
ვაჰან მამიკონიანი 92,
ვესპასიანე 63, 65
ვინოგრადოვი პ. 286
ვოლტერი 371
ვორონცოვი 198
ვორონცოვ-დაშკოვი 200

ზამიატნინი 428
ზარიადრი 472
ზაქარია მხარგრძელი 12
ზევსი 40

თამარი, მეფე 12, 155—157, 160, 161, 164, 175, 190, 240, 388, 427, 453, 512
თარხნიშვილი ივ. 404
თარხუდიმე 419
თაყაიშვილი ე. 437
თედორაძე გ. 434
თეიმურაზ I 193
თეიმურაზი, II 179, 194 420
თეიმურაზ ბატონიშვილი 453
თეკლაი 454
თემისტი 111,
თემურ-ლენგი 177, 192, 218
თეოდოროს რშტუნი 317, 318, 319
თეოდოსი, აფხ. მეფე 135, 231, 232
თეოფანე ქრონოგრაფი, 320, 324, 325
თომა მეწოფელი 12, 415
თორნიკე ერისთავი 134, 230
თოფურია ვ. 406, 407—411, 420, 421, 427, 445, 446, 450, 451, 456, 461
თრდატ I 499

იაზიდი 323
იაზიკოვი 267, 268, 272—275
იაკობ ცურტაველი 92, 110, 367, 440
იაკუბი 321, 327, 328
იალღუზიძე ი. 413
